# რევაზ

# რჩეული თხზულებანი

## ოცდახუთ ტომად

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგახანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის რჩეულ თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2013

# მიშველაძე

# პოლიტიკა

## ტომი XVII

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)
ISBN 978-9941-16-336-4 (XVII ტომი)

რედაქტორი **მერაბ ცაგარეიშვილი**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **მავრა ბანცური**
**ციალა ძიმისტარიშვილი**

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთ ტომად**
© **გამომცემლობა** „საქართველოს მაცნე“, **თბილისი,** 2013

მისამართი: თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №27

# პოლიტიკური თანაარსებობის რთული პროცესი

რუსეთსა და ამერიკას შორის პოლიტიკური ბაგირის გადაქაჩვ-გადმოქაჩვა, საკუთარი გავლენის სფეროში საქართველოს მოსაქცევად, დღემდე გრძელდება.

ამერიკას საქართველო აღმოსავლეთში გასაღწევ პლაცდარმად სჭირდება, რუსეთი კი საქართველოს და, საერთოდ, მთელ კავკასიას, ადრე და მალე აღსადგენი რუსული იმპერიის, ცოტა არ იყოს, ჭირვეულ, მაგრამ მაინც ორგანულ ნაწილად მოიაზრებს და მახვილ მზერას არ აცილებს.

საქართველოს დასანარჩუნებლად ორი ზესახელმწიფოს სუმოისტური მუცლით კვეთება გასული საუკუნის 90-იან წლებში ნაწილობრივ, ხოლო ამ რვა წლის წინ ამერიკის სამსოფლიოდ გამოუცხადებელი, მაგრამ ფაქტიური გამარჯვებით დამთავრდა.

ორი ბატონის პოლიტიკური მსახურის – ეშმაკი შევარდნაძის ორჭოფულ პოლიტიკას ვაშინგტონი ცალსახად დაუპირისპირდა მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ წიაღშივე იპოვა მისი ერთგული სამი პოლიტიკური ავანტიურისტი – ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე.

შევარდნაძის ეს სამი ძე შეცთომილი ამერიკამ ჯერ ერთგულებაზე დააფიცა, მერე ე.წ. ვარდების უსისხლო რევოლუციის მზაკვრული გეგმა გაუფინა მაგიდაზე და ბოლოს ამერიკამვე მოძებნა ამ სამი უმწიფარა, მაგრამ გაბედული პოლიტიკოსის მაშველი ფინანსური რგოლი მსოფლიოს პატარა, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუღვიძებელი ხალხების ბედით კამათელივით მოთამაშე ჯორჯ სოროსის სახით.

დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო.

... და 2003 წლის 22 ნოემბერს შეთქმულთა ერთი მუჭა დამნაშავე რაზმი შეიჭრა ახალარჩეულ პარლამენტში, მუჯლუგუნის ცემით გარეკა პარლამენტი და შევარდნაძე მეორე დღესვე აიძულა საჯაროდ განეცხადებინა გადადგომის შესახებ.

ამერიკის მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ ამ სპეცოპერაციაზე (რომელსაც შემდგომ „რევოლუციად" მონათლავენ"), რუსეთმაც სცადა ხელის მოთბობა, იგი კუს მიერ ფეხის გამოყოფასავით საქართველოში სასწრაფოდ მოავლენს თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ივანოვს, მაგრამ გამარჯვებულმა ამერიკამ დაუპატიჟებელი სტუმარი რევოლუციის ბანკეტზე აღარ მიიწვია და რუსეთის მხარის მარაქაში გარევა იმით შემოიფარგლა, რომ ივანოვი ბათუმში ჩაფრინდა, იქედან აჭარის მმართველი ასლან აბაშიძე გაიყოლია და მოსკოვისაკენ გაფრინდა.

გაფრინდა და თითქოს ჩრდილოეთელმა ძმამ თავისი პოლიტიკური ჭიშკარი მიიკეტა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რუსეთს საქართველოს დაუფლების მიზანი გულიდან ერთი დღითაც არ ამოუღია.

პატარ-პატარა პოლიტიკურ-ეკონომიკური პწკენები პუტინის მთავრობისგან 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში შემოჭრით დამთავრდა.

სისხლის კალო გაიმართა.

იბომბებოდა ქვეყანა. ორი ათასი ტანკი და ოცი ათასამდე დამპყრობელი რუსის ჯარისკაცი მოემართებოდა თბილისისაკენ საქართველოს საბოლოოდ დასაპყრობად და სააკაშვილის ხელისუფლების დასამხობად.

საქართველოს „მძლეთამძლე" არმიამ რუსული ძალის წინაშე, რასაკვირველია, ომის დაწყებიდან მეორე დღესვე დაიჩოქა, მაგრამ საბოლოო კაპიტულაციის გამოცხადებამდე ერთი საათით ადრე ამერიკამ და ევროკავშირმა რუსეთი აიძულეს თბილისამდე სულ რაღაც 25 კილომეტრში შეებრუნებინა ტანკები და იქვე მახლობლად ახალგორთან დაბანაკებულიყო.



ამერიკამ და რუსეთმა ამჯერადაც „ძმურად გაიყვეს" ნადავლი: ამჯერად რუსეთმა 1993 წლის ომის ალაფს მიუმატა სამაჩაბლოს 180 სოფელი და აფხაზეთის მიმართულებით მთელი კოდორის ხეობა.

საქართველოში დროებითმა მშვიდობიანობამ დაისადგურა.

დარცხვენილმა დასავლეთმა, აქაოდა ჩემი „უმცროსი ძმა" ბოლომდე ვერ დავიცავი და გამილახესო, საქართველოს ეკონომიური დახმარება გააძლიერა; იქნებ ამერიკაზე გულგატეხილი ქართველი ამ უკიდეგანო აღმშენებლობის შემყურე საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ რუსეთის უბეში ყოფნას ამერიკის უბეში შეყუჟვა სჯობს და ამერიკაზე გული საბოლოოდ მოუბრუნდესო.

ეს ყველაფერი საქართველოს ბედის იალქანზე მსოფლიოს პოლიტიკური ქარბორიის მიმოწოლაა, მაგრამ ახლა ჩავხედოთ, როგორ მოიქცა ამ რვა საბედისწერო წლის მანძილზე ამერიკის ხელდასხმული და სოროსის დაპურებული ვარდების ხელისუფლება.

დავიწყოთ იმით, რომ 2003 წლის 22 ნოემბერს პარლამენტში შეჭრა იყო არასამართლებრივი, არაკონსტიტუციური, დანაშაულებრივი აქტი, რომლის დამგეგმავნი და განმხორციელებლები სისხლის სამართლის პასუხგებაში უნდა მიეცათ. ეს არ იყო რევოლუცია ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება და ამ ვანდალურ ფაქტზე საერთაშორისო პოლიტიკურ ინსტიტუტებს სათანადო რეაგირება უნდა მოეხდინათ.

გაერომ, ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა, ნატომ და ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ საქართველოში ჩადენილ ამ ძალადობრივ ავანტურას წაუყრუეს იმის გამო, რომ ეს თვითნებობა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიმართ მათივე უსიტყვო თანხმობით განხორციელდა. ამ „ობიექტურმა" საერთაშორისო უწყებებმა პირში წყალი ჩაიგუბეს მაშინაც, როცა პარლამენტიდან გააძევეს სრულიად კანონიერად პარტიული სიით არჩეული დეპუტატები და დატოვეს ე.წ. მაჟორიტარი დეპუტატები, რომელთა არჩევის კანონიერება მაშინაც არაერთ კითხვის ნიშანს ბადებდა.

რაკი საერთაშორისო „თანამეგობრობამ“ ნაცმოძრაობას მწვანე შუქი აუნთო, სააკაშვილის ხელისუფლებამ ენერგიულად დაიწო მის წინაშე დასმული იმ პოლიტიკურ-ეკონომიური ამოცანის შესრულება, რომელიც საზღვარსგადაღმიდან იყო შემოგდებული და რომელსაც ახალყოილთა ნაცისტური სულისკვეთებაც ასაზრდოებდა.

უპირველესად ეს მდგომარეობდა საქართველოს როგორც ეროვნული სახელმწიფოს დანგრევაში. უნდა მოშლილიყო ეროვნული ორიენტირები, გაჩანაგებულიყო ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, ამერიკულ მასკულტურას უნდა გადაეფარა ქართული ფენომენი. ერთი სიტყვით უნდა მიგვეღო ისეთი საქართველო, რომელსაც პრეტენზია აღარ ექნებოდა პოლიტიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისა და სამუდამოდ წელში გადატეხილი, ჭეშმარიტი მათხოვარი იქნებოდა ამერიკა-ევროკავშირის კარზე.

ეს ამოცანა სააკაშვილმა რეკორდულად მოკლე დროში შეასრულა და სულ რაღაც თვეები იყო დარჩენილი საქართველოს სულიერ და ეკონომიკურ სრულ გაჩანაგებამდე, როცა ქვეყნად გამოჩნდა ეროვნული პოლიტიკური ძალა „ქართული ოცნების სახით“ და საქართველოს ბედი უკეთესობისკენ 180 გრადუსით შეატრიალა.

მაინც რა დანაშაული ჩაიდინეს ნაცებმა?

უპირველეს ყოვლისა, სააკაშვილმა გაანადგურა საქართველოს ეკონომიკა. უარი თქვა ეროვნული სამრეწველო სექტორის განვითარებაზე და მისი უახლოესი გარემოცვის ხელში მოაქცია მთელი სახსრები. გააკოტრა, დააყაჩაღა, საწარმოები დაუხურა ყველას, ვინც თვალში არ მოუვიდა.

ერთი ნაბიჯი არ გადადგა სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად. გაყიდა ქართული მიწები (უმეტესობა უცხოელ მოქალაქეებზე) და ჩაკლული ქართული სოფლის მცხოვრებნი თბილისურ ბაზრობათა წვრილმან გადამყიდველებად, ხოლო მთელი საქართველო შემოზიდული საეჭვო ხარისხის სურსათის მომხმარებლებად გადააქცია.

რაკიღა ამ პოლიტიკურ-ეკონომიკური გავერანებისგან შეწუხებულ მოქალაქეთა შორის აქა-იქ უკმაყოფილების განწყობილება გაკრთა, სააკაშვილმა იგრძნო საშიშროება და გაუგონარ რეპრესიებს მიმართა.



ეს იყო უპირველესად პიროვნების თავისუფლების წარმოუდგენელი ხელყოფა განსაკუთრებით 2007 და 2012 წლებში.

დააპატიმრეს დემონსტრანტები და მიტინგის მონაწილენი.

უმოწყალოდ სცემეს საპროტესტო აქციების მონაწილეებს 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის 26 მაისს. ძალადობა არაერთგზის მსხვერპლით დამთავრდა.

სააკაშვილს ეყო თავხედობა, 2011 წლის 26 მაისს, დილაუთენია, რუსთაველზე მისი ზონდერბრიგადის მიერ დაღვრილი სისხლი გადაერეცხა და პარადი გაემართა.

დაიწყო ძალადობა თავისუფალ მედიაზე. დაარბიეს ტელეარხი „იმედი“, ხოლო მისი მფლობელი, ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი, საზღვარგარეთ გააქციეს.

სააკაშვილი მიხვდა, რომ ეროვნული სულის გაღვივების ხელშემწყობი ქვეყანაში ძირითადად მწერლობა და მეცნიერება იყო და თავისი მახვილი ძირითადად ამ ორი ინსტიტუტისკენ მიმართა.

2007 წლის 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე, დაარბიეს საქართველოს მწერალთა კავშირი. პირბადიანმა ზონდერებმა ქუჩაში გადაყარეს მწერალთა მემორიალური ნივთები და მწერლებს თავიანთ კუთვნილ შენობაში შესვლა აუკრძალეს.

სააკაშვილმა ესეც არ იკმარა და დაფინანსება შეუწყვიტა საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ ორგანოებს „მწერლის გაზეთს“, „ცისკარს“, „მნათობს“.

მერე ნაცებმა განათლების სისტემისა და მეცნიერებისთვის მოიცალეს.

გააუქმეს მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები (ფიზკულტურის აკადემია, სულხან-საბას უნივერსიტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტი...) და უპირველესი დარტყმა მიაყენეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს: ქუჩაში გამორეკეს ამ უნივერსიტეტის სამასი პროფესორ-მასწავლებელი.

ყველაზე დიდი დანაშაული, რაც ვარდების ხელისუფლებამ მოსვლისთანავე ჩაიდინა, ის გახლდათ, რომ მან ერთი ხელის

დაკვრით სამსახურებიდან დაითხოვა გამოცდილი, დამსახურებული უფროსი თაობა და ისინი შიმშილით სიკვდილისთვის გაწირა.

მოგვიანებით ამერიკაში სენატორების წინაშე გამოსვლისას ამაყად განაცხადა, მოვედით თუ არა ხელისუფლებაში, გადავწყვიტეთ ორმოცი წლის ზევით ყველა საჯარო მოსამსახურე სახლში გაგვეშვაო.

შემაძრწუნებელი ის იყო, რომ სენატორთაგან არცერთმა არ გამოთქვა პროტესტი ნახევრადშეურაცხადი კაცის ამ უტიფარი განცხადების გამო.

ვარდების ხელისუფლებამ ფაქტიურად გააუქმა საქართველოს სამეცნიერო აკადემია. ჩამოართვა მას კვლევითი ინსტიტუტები და გაუუქმა დაფინანსება.

დაიწყო სულელური ექსპერიმენტები სკოლებში. სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს თითქმის ყველა პატრიოტული ნაწარმოები, რომ მოზარდებში სამშობლოობის გრძნობა არ გაღვივებულიყო. თავს მოახვიეს სკოლებს ჯერ დირექტორების ლოტოს პრინციპით არჩევის წესი და შემდეგ მანდატურების პოლიტიკური რეჟიმი.

როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, ავანტიურისტი სააკაშვილი თავის დასავლეთელ პატრონებს არწმუნებდა – იგი არავითარ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს, ერთი ჩვეულებრივი ოლიგარქია, ხალხის დიდი უმრავლესობა მე მიჭერსო მხარს.

არჩევნების მოახლოვებისას ივანიშვილის მხარდამჭერმა მიტინგებმა შიში დაბადა სააკაშვილის გულში და ნაცისტების ბელადმა მისთვის ჩვეულ „ხრიკებს“ მიმართა.

„ქართული ოცნების“ წევრთა დაპატიმრება-შევიწროვებანი, ბანკი „ქართუს“ დაყაჩაღება, ამავე ბანკის მილიონობით დოლარით დაჯარიმება, ივანიშვილის დაცვის განიარაღება, „ოცნების“ საარჩევნო ნომრის შეცვლა, სატელევიზიო თეფშების კონფისკაცია და სხვა ამგვარი პოლიტიკური „ხულიგნობები“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

არჩევნების პირველივე საღამოს სააკაშვილი ხაფანგში მოხვედრილ ტურასავით აწრიალდა, ზონდერ ბრიგადები



რაიონებში გაგზავნა, საარჩევნო ყუთები მოიტაცეთ (ხაშური) და ჩვენი გამარჯვება, რადაც უნდა დაგიჯდეთ უზრუნველჰყავითო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ქართველ ხალხს არჩევანი გაკეთებული ჰქონდა.

ქართული ოცნების ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ საქართველოში დაიწყო სრულიად ახალი, ჩვენი სახელმწიფოსთვის მანამდე განუცდელი ისტორიული პროცესი.

ბიძინა ივანიშვილმა გამოიჩინა ჭეშმარიტი ერისკაცობა და გამოაცხადა, ჩვენ პოლიტიკურად გავიმარჯვეთ, მაგრამ რევანშისტული მიზნები არა გვაქვს! სამსახურებიდან გარდა უმაღლესი ეშელონებისა (მინისტრები...) არავინ გათავისუფლდებაო.

დაიწყო პოლიტიკური თანაარსებობის, ანუ კოჰაბიტაციის ურთულესი ეპოქა.

პრეზიდენტი ისევ სააკაშვილია, რომელიც გადადგომაზე წუთითაც არ ფიქრობს. გუბერნატორებად და გამგებლებად (საკრებულოების წევრთა ნაცისტური უმრავლესობით) ისევ სააკაშვილის კადრები მუშაობენ, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა ნაცმოძრაობის მხარდამჭერია, ხოლო პოლიციასა და პროკურატურაშიც ივანიშვილის კეთილი ნებით კვლავ მერაბიშვილის და ადეიშვილის კადრები „ნათობენ“.

უმძიმეს მდგომარეობაშია „ქართული ოცნება“, რადგანაც ხალხისთვის მის მიერ მიცემული პირობის შესრულებას ყოველდღიურად უამრავი წინაღობა ხვდება.

საქართველოს სურს სამართალმა დროულად ჭამოს პური. საქართველოს სჯერა, რომ დამთავრდება ძალადობის ეპოქა და სკამებს მოშორდებიან ისინი, ვინც სისხლი გაუშრო უდანაშაულო ადამიანებს.

მაგრამ... სამართალი იგვიანებს. თემიდას სასწორი ჯერ კიდევ საეჭვო სიზუსტით სწონის და ზომავს.

თქვენ წარმოიდგინეთ, სამართალდამცავთა პროფესიონალიზმიც კი ერთბაშად სადღაც გაქრა. თითქოსდა სპეციალურად, ნაცდამნაშავეებს აპატიმრებენ უმნიშვნელო სამხილით,

რათა ოპოზიციის კრიტიკა და დასავლეთის ეჭვი გამოიწვიონ. ამ უკანასკნელს შეშინებული ნაცები ყოვლის ღონისძიებით აღვივებენ: ურეკავენ და უმესიჯებენ რასმუსენს და კლინტონს: არიქა გვიშველეთ, ბიძინა ყველას ხელაღებით გვაპატიმრებს. საქართველო მალე ხელიდან გამოგეცლებათ და რუსეთს შეუერთდებაო. რაც შეეხება არაპროფესიონალიზმს, თითქოსდა განგებ კერავენ საქმეებს თეთრი ძაფით, რომ მერე დამნაშავეები სააკაშვილის სასამართლომ „გირაოთი“ გაათავისუფლოს. თურმე ბაჩო ახალაიას მთავარი დანაშაული ის ყოფილა, რომ ვაშლის თლის დროს თავის ადიუტანტს დანის ტარი თავში ჩაუკაკუნა. ზესტაფონის ყოფილი გამგებლის ბიწაძის მთავარი დანაშაული ის ყოფილა, რომ ხუთი წლის წინათ შეზარხოშებულმა სუფრაზე ჩხუბი ატეხა, მთავარი სამხედრო შტაბის უფროსის, კალანდაძის მთავარი დანაშაული ის ყოფილა, რომ ერთხელ ჯარისკაცისთვის უდიერად მიუმართავს, ხოლო სისხლის სამართლის მთავარი სამმართველოს უფროსს თენგიზ გუნავას ერთ-ერთი ოპერაციის დროს ბენზინი არასახელმწიფოებრივი დანიშნულებით გამოუყენებია:

სწორედ აქ ჩანს არაერთი სახელმწიფო უწყების თუ თანამდებობის პირის საბოტაჟი ქართული ოცნების ხელისუფლების მიმართ.

საქართველოს ორხელისუფლებიანობის მსგავსი ეპოქა ჯერ არ განუცდია- მეთქი რომ ვაცხადებ, აი, რას ვგულისხმობ.

სააკაშვილმა „რევოლუცია“ რომ მოახდინა, მეორე დღესვე ხელისუფლების ყველა რგოლს აკონტროლებდა.

გამოცვალა თითქმის ყველა საჯარო მოხელე. ქვეყანაში უმუშევართა რიცხვმა 74%-ს მიაღწია. დაიწყო განუკითხაობის და მასობრივი შიმშილობის ეპოქა, მაგრამ ამაზე სააკაშვილს დასავლეთმა ერთი შენიშვნაც არ მისცა.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, საკმარისია, პროკურატურამ დაკითხვაზე დაიბაროს რომელიმე ნაცისტი დამნაშავე, რომ იწყება გაუთავებელი რეკვები თეთრი სახლიდან



და ნატოს შტაბ-ბინიდან. ბიძინას რეზიდენციაში მაშინვე მოირბენს ამერიკის ელჩი და საქართველოს ახალ მმართველს ნატაციებს უკითხავს.

გასაგებია რომ არჩევნებით საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება ხელისუფლების ცვლა (მსგავი შემთხვევა რუსეთმა 1990 წელს „მრგვალი მაგიდის“ შემთხვევაში დაუშვა, მაგრამ ეს შეცდომა მალევე 1992-93 წლების ომით და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით „გამოასწორა“), მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად ამ უპრეცენდენტო შემთხვევისა, მაინც შესაძლებელი იქნებოდა, თუ ორ მმართველ პარტიას შორის იქნებოდა მხოლოდდამხოლოდ შეხედულებათა სხვადასხვაობა ზოგიერთ ეკონომიურ ან პოლიტიკურ საკითხზე.

ამ შემთხვევაში კი კოჰაბიტაციაზე, ანუ მშვიდობიან თანაარსებობაზე, ლაპარაკი ზედმეტია, რადგანაც ერთმანეთის პირისპირ დგას ერთის მხრივ ხალხის მიერ არჩეული ეროვნული პარტია, ხოლო მეორეს მხრივ დამნაშავე ნაცისტური პარტია.

მივყვეთ მოვლენებს კვალდაკვალ:

14 დეკემბერს ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატამ სპეციალურად განიხილა საქართველოს საკითხი და დაგმო ივანიშვილის ხელისუფლება, რაც დაფუძნებული იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ინგლისისთვის მოწოდებულ მცდარ ინფორმაციაზე.

17 დეკემბერს ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიამ მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომ შეაჩეროს ორი კანონპროექტის – ამნისტიის და პოლიტპატიმრების სტატუსის კანონი. ეს იყო აშკარა ჩარევა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როგორია რუსეთისკენ გახედვის პერსპექტივა?

ზურაბ აბაშიძე დანიშნეს რუსეთის საქმეთა რწმუნებულად და იგი 15 დეკემბერს ჟენევაში შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კარასინს. რუსეთის წარმომადგენელმა შესთავაზა ქართულ მხარეს, რომ ყველაფერზე ემსჯელათ, გარდა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხისა. ამ შეხ-

ვედრამ უმცირესობის აღშფოთება გამოიწვია. აქაოდა, როგორ შეიძლებაო, ოკუპანტ ქვეყანასთან მოლაპარაკებაო.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დაიანგარიშა ე.წ. პრეზიდენტის ფონდებით გათვალისწინებული თანხების დახარჯვის მიზანშეწონილობა და სავალალო სურათი გამოაშკარავდა. პრეზიდენტი თურმე ფულს თვითნებურად ხარჯავდა სრულიად უაზრო, ფუქსავატური მიმართულებით (უცხოელი მომღერლების ჩამოყვანაზე 2 მილიონი, სპექტაკლ შოუ „ქეთო და კოტეზე“ – 4 მილიონი) და ამ დროს მან თავისი ფონდიდან 1 კაპიკი არ გადარიცხა სტიქიის შედეგად დაზარალებული კახეთის აღდგენისათვის.

ამის გამო მინისტრთა კაბინეტმა პრეზიდენტის ფონდი რამდენიმე მილიონით შეამცირა.

პარლამენტში სპეციალური მსჯელობა გაიმართა აგრეთვე პრეზიდენტის მომსახურებისთვის განკუთვნილი ორი თვითმფრინავისა და პრეზიდენტის უაზროდ გაბერილშტატიანი დაცვის წევრების, აგრეთვე პრეზიდენტის საექსკორტო მანქანების შესახებ.

მაშინვე აყაყანდა უმცირესობა. აქაოდა მეორე თვითმფრინავით პრეზიდენტი საერთოდ არ სარგებლობდაო, გაირკვა, რომ სწორედ იმ მეორე თვითმფრინავით პრეზიდენტი ხშირად კონფიდენციალურად, თავის მეგობრებთან და იშვიათად ოჯახის წევრებთან ერთად, დადიოდა მსოფლიოს სხვადასხვა კურორტებზე და დისკოტეკებზე.

ოცნების გამარჯვებიდან 2 თვეში გაირკვა, რომ ნაცებს მხარს ის 40 პროცენტიც არასოდეს უჭერდა, რაზეც ასე ამაყად გაჰყვიროდნენ. მსოფლიოს სანდო სოციოლოგიურმა სამსახურებმა (ენჯიაიმ) გამოკითხვით დაადგინეს, რომ ოცნებას (კერძოდ ბიძინა ივანიშვილს) მხარს უჭერს გამოკითხულთა 63%, ხოლო ნაც-მოძრაობას (კერძოდ სააკაშვილს) მხოლოდ 16%.

18 დეკემბერს რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ განაცხადა, რომ მთელი საქართველოს გონიერი ნაწილი ხელს აწერს სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომაზე, ხოლო პრეზიდენტი სრულიად აუხსნელად ჯიუტობს და წასვლას არ აპირებს – ბატონმა რეზომ განაცხადა, რომ საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა დამთავრდეს ორხელისუფლებიანობა, რომ არ შეიძლება პრეზიდენტი ოპოზიციონერი იყოს. ეს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ მომხდარაო.



რეგიონებს ჯერ არ ეტყობა ქართული ოცნების მოსვლის სიკეთე.

ყოველდღიურად იმართება მიტინგები თითქმის ყველა რაიონის საკრებულოს წინ ლოზუნგით „ნაცებო წადით“, ყავლი გაგივიდათ“. მომიტინგეებმა მიაღწიეს იმას, რომ 15 რაიონში უკვე გადააყენეს საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები და აირჩიეს „ქართული ოცნების“ წარმომადგნლები. თუმცა არაერთ რაიონში ნაცი ხელმძღვანელები სკამებს ისევ ებღაუჭებიან.

რეზო ჩხეიძის გამოსვლას მაშინვე უპასუხა ნაცების „ცერბერმა“ ვინმე დარჩიაშვილმა და „ჯარიკაცის მამის“ ავტორზე ასე განაცხადა: ეს ის რეზო ჩხეიძე ხომ არ არის, ოდესღაც კომუნისტების საამებელ ფილმებს რომ იღებდაო.

18 დეკემბერს პარლამენტარმა ირინე იმერლიშვილმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რათა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დაექვემდებაროს პრემიერ-მინისტრს. გაირკვა, რომ სააკაშვილმა როგორც კი შეიტყო რომ ქართველი ერი მხარს არ უჭერდა, სპეციალური ბრძანებით ეს სამსახური თვითონ დაიქვემდებარა.

ამაზე ატეხა ერთი ამბავი ოპოზიციამ, დავიღუპეთ, პრეზიდენტს დაცვა ჩამოართვესო. უმრავლესობამ უპასუხა: როგორ შეიძლება ყველა მინისტრის და მათ შორის პრემიერ-მინისტრის დაცვა ოპოზიციონერ პრეზიდენტს ექვემდებარებოდესო. მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გახსნა დაცვის სპეცსამსახური, რომელიც მხოლოდ პრეზიდენტის და მისი ოჯახის დაცვას უზრუნველყოფს.

თავისი სატელიტი ტელევიზიების გადასარჩენად პრეზიდენტმა კიდევ ერთი თვალთმაქცური ნაბიჯი გადადგა; მან თავისი ფონდიდან 1 მილიონი ლარი გამოყო ტელევიზიებისთვის. ამ თანხის განმანაწილებელი საკონკურსო კომისიის თავმ-

ჯდომარედ სააკაშვილმა თავისი თაყვანისმცემელი ქალებიდან ერთ-ერთი საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნინო კალანდაძე დანიშნა, ხოლო წევრად ასევე მისი ფავორიტი, ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია.

დეკემბრის მიწურულს, ბიძინა ივანიშვილი შეხვდა უცხოელ ჟურნალისტებს. შეხვედრის ძირითადი თემა გახლდათ: „რა ხდება საქართველოში". ერთმა ჟურნალისტმა შეხვედრის შემდეგ გულახდილად განაცხადა: „საზღვარგარეთ ივანიშვილს ძალიან ცუდი პრესა აქვს და მე ძალიან მაინტერესებდა, იყო თუ არა ივანიშვილი საქართველოში შეპარული რუსეთის აგენტიო".

20 დეკემბერს ნატოს პერსპექტიული განვითარების კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ევროსაბჭომ ყოველგვარი დახმარება შეუჩერა უკრაინას პიროვნების თავისუფლების ხელყოფის და კერძოდ ტიმოშენკოს დაპატიმრების გამო. რაც შეეხება საქართველოს, იქ ჯერჯერობით უკეთესი მდგომარეობაა, ამიტომაც საქართველოსთვის დახმარების შეჩერება ახლო მომავალში არ იგეგმება. ხოლო მომავალში ნატო არ აპირებს აგრეთვე საქართველოს ასპირანტი ქვეყნის სტატუსი შეუცვალოს. მხოლოდ 2014 წელს შეიძლება დადგეს საქართველოსთვის მაპის მიცემის საკითხიო.

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია აგრეთვე გაეროს სესიაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მხარდაჭერამ პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის საკითხზე. ამის გამო ისრაელმა საქართველო ისრაელის (და შესაბამისად) ამერიკის ინტერესების ღალატში დაადანაშაულა და საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვანი მეგობრობის ხაზიდან გადახვევაში დასდო ბრალი.

ბოლოს გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილი აქაც მართალი იყო. ივანიშვილმა ისრაელის წარმომადგენელს აცნობა, რომ პალესტინისთვის მხარდაჭერა მას ობამას სახელით ამერიკის ელჩმა სთხოვა და მოასმენინა კიდეც ივანიშვილის და ამერიკის ელჩის საუბრის ჩანაწერი. რა თქმა უნდა, ამაზე გაწბილებულ ნაცებს კომენტარი აღარ გაუკეთებიათ.



19 დეკემბერს პრეზიდენტი სააკაშვილი ქუთაისში ჩავიდა. მან ნაცმოძრაობის ოფისიდან სიტყვით მიმართა საქართველოს და განაცხადა, რომ ის რაც საქართველოში ხდება, დროებითი მოვლენაა. რომ მან არაფრისგან ააშენა სახელმწიფო, თანაც დასძინა, რომ ქართულ ოცნებას არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია, რადგანაც იგი არის არა მშენებელი, არამედ მნგრეველი ძალა. რომ არც 2013 წელს საპრეზიდენტო და არც 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამ ძალას არავითარი შანსი არ გააჩნია.

სააკაშვილის ქედმაღლურმა, აშკარად ერის გახლეჩვისა და დაპირისპირებისთვის გამიზნულმა გამოსვლამ, გაანერვიულა ქუთაისი. მოქალაქენი მივიდნენ ნაცმოძრაობის შტაბთან მოწოდებით: „ქუთაისი ტრადიციული ქართული ქალაქია და აქ ეროვნული ფენომენის მტერი ნაცების ადგილი არ არის".

რამდენიმე წუთში პარლამენტის ნაც.წევრები შენობიდან გამოვიდნენ და აღელვებულ მასას გამომწვევად წინ გაუარეს. განსაკუთრებული ცინიზმით მინაშვილი გამოირჩეოდა. მოქალაქეებსა და „ხალხზე მზრუნველ" ნაცდეპუტატებს შორის შეხლა-შემოხლა გაიმართა.

თითქოს ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, უმცირესობის წარმომადგენლებმა პარლამენტის სხდომაზე განცხადება გაკეთეს. ჩვენ მომხდარის გამო აღშფოთებული ვართ. ვაჩერებთ პარლამენტში ჩვენს საქმიანობას და თბილისში ვბრუნდებითო.

თბილისში დაბრუნებულ ნაცებს „სიურპრიზი" ელოდათ. პროკურატურამ დააპატიმრა ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხომერიკი, განათლების ყოფილი მინისტრი ნიკა გვარამია და მათი რამდენიმე მეგობარი. ნიკა გვარამია ბოლო ერთი თვის მანძილზე „რუსთავი 2"-ის დირექტორად მუშაობდა. საკაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ გვარამია ჩვეულებრივი თაღლითი გახლდათ და საგამოძიებო ორგანოები მისი საქმიანობით ინტერესდებოდნენ. ჯერ იყო და მისმა მფარველმა გვარამია „სასწავლებლად" ლონდონში გაუშვა, ბოლოს ჩამოიყვანა და ტელესტუდია „რუსთავი 2-ის" დირექ-

ტორად დანიშნა. აშკარად იმ მიზნით, რომ თუ გვარამიას დაიჭერდნენ, ნაცები მის დაპატიმრებას თავისუფალ მედიაზე თავდასხმად გამოაცხადებდნენ. კოჰაბიტაციისკენ მიმსწრაფლ ნაცებს აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, პროკურატურამ გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ითვისებენ თანხებს ყაჩაღური „ოპერაციით“ ნიკა გვარამია, ალექსანდრე ხომერიკი, დამენია, კანდელაკი და სხვები. დამენიას იმ დღესვე ჩხრეკის დროს ნივთმტკიცება – მითვისებული 1 მილიონი ლარი აღმოუჩინეს.

21 დეკემბერს სააკაშვილი რუსთავის საკრებულოს წევრებს შეხვდა. ამ გამოსვლით მან საბოლოოდ აიხადა „კოჰაბიტაციის“ ნიღაბი და თავის ბანდას აშკარა წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა. ივანიშვილი იმდენ შეცდომებს უშვებს, რომ მისი ხელისუფლების დასასრული მოახლოვებულიაო. და ეს უფრო ჩქარა მოხდება, ვიდრე ზოგიერთ თქვენგანს წარმოუდგენიაო. სააკაშვილს მისთვის ჩვეულებრივი ზიზღი და მრისხანება ედგა თვალებში. სადღა იყო ის ფარისეველი, კლტურის სახლის არტისტივით ყალბი ინტონაციით მოლაპარაკე ქარიზმატული პრეზიდენტი. ცხრა წლის განმავლობაში რომ ქართველ ხალხს ატყუებდა – მეო, თქვენ საოცრად მიყვარხართო. თქვენაო, ყველაზე ლამაზები და ნიჭიერები, ყველაზე მაგრები ხართო. თურმე ქართველები უკვე აღარ ვართ „მაგრები“, რადგანაც პრეზიდენტის რეიტინგი ბოლო თვეებში კატასტროფულად ეცემა და უკვე 10 პროცენტზე დავიდა. მეო, ქუთაისში თავს დამესხნენ წვერგაუპარსავი, გონებაჩლუნგი, გალეშილი სუბიექტებიო. აკი თურმე ქუთაისში ჰყავდა ყველაზე მეტი მომხრე და თბილისზე გამწყრალმა პარლამენტიც ამიტომ გადაიტანა ქუთაისში?

ქუთაისელი მოქალაქეების გალეშილ ბრბოდ გამოცხადებაც არ იკმარა. ჩვენაო, ხელისუფლებას მალე დავიბრუნებთო. უნგრეთის პრემიერმა მითხრაო ამასწინათ, გული არ გაიტეხო, ჩვენც ასე წაგვართვეს ძალაუფლება, მაგრამ ექვს თვეში დავიბრუნეთო. ჩვენ კი ექვსი თვეც არ დაგვჭირდება. მეო უშიშარი ვარო (გორში მიწაზე ხოხიალი დაავიწყდა



კურდღელ პრეზიდენტს), დაცვა სრულიადაც არ მჭირდებაო. დედაჩემის ძველ ოპელზე დავჯდები და იმით ვივლიო. რა ღარიბები ყოფილან დედა-შვილი: თვით პრეზიდენტის მილიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, დაავიწყდა დედამისს რომ უზარმაზარი მიწები თავის შენობებიანად უფასოდ მისცა, ახლა ოპელის ანაბარა დარჩენილან.

ფსიქიატრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო, მართლაც რომ სავალალო შემთხვევა გახლდათ პრეზიდენტის იმდღევანდელი გამოსვლა. ამ სურათმა დოკუმენტურ ფილმში ნანახი ფიურერის ბოლო დღეები გამახსენა. თავის ერთგულ თანამებრძოლებს რომ ჩამოუარა. მაგრამ იმ ჩამოვლით ფიურერი თავის წრეს დაემშვიდობა, სააკაშვილი კი დამშვიდობებას ჯერჯერობით არც ფიქრობს.

ორხელისუფლებიანობის მძიმე შედეგები საქართველოში აშკარად იგრძნობა.

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას აშკარად უცხადებენ საბოტაჟს სასამართლო ორგანოები. სწორედ სასამართლოს მსუბუქი ხელით გაათავისუფლეს გირაოთი დაპატიმრებიდან სამი დღის შემდეგ ხომერიკი, გვარამია, დამენია, კანდელაკი და სხვა დამნაშავეები. ამით სასამართლომ ჯერ ერთი პროკურატურის პროფესიონალიზმი გააბიაბრუა და მეორეც, ნაცმოძრაობას განუცხადა, არ შეშინდეთ, ჩვენ კვლავ თქვენს სამსახურში ვართო.

საქართველოში ინტენსიურად გროვდება ხელმოწერები დამნაშავე პრეზიდენტის გადასაყენებლად. უკვე რვაასი ათასამდე ხელმოწერა შეგროვდაო, წერენ გაზეთები, მაგრამ პრეზიდენტი, რომ იტყვიან, ყურსაც არ აპარტყუნებს, თითქოსდა ეს ხელმოწერები ნიკარაგუის პრეზიდენტის გადასაყენებლად გროვდებოდეს.

23 დეკემბერს პრეზიდენტმა ნაცმოძრაობის კონფერენცია ჩაატარა. ეს იყო ნაცების ადრე ჩატარებული ყრილობების მსგავსი შეკრება. სახეშეშლილი, მეტყველებამოშლილი, ეგზალტირებული სააკაშვილი მთელი ხმით გაჰყვიროდა, რომ საქართველოში ჭორვილიზაციაა (ბიძინა ივანიშვილის

მშობლიური სიფელი) და ის ცოცხალი თავით არ დაუშვებს ჭორვილიზაციას. მოუწოდებდა თავის მომხრეებს, ყოვლის ღონისძიებით შეეშალათ ხელი იმ „ქვეყნის დამანგრეველი“ ღონისძიებებისთვის, რასაც პრემიერ-მინისტრი ახორციელებს. როგორც შეურაცხადი, წამდაუწუმ ხაზს უსვამდა თავის „სიმაღლეს“ და ნიშნისმოგებით გაჰყვიროდა, ჩემი სიმაღლე მავანს და მავანს მოსვენებას არ აძლევსო.

25 დეკემბერს ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენცია გამართა. ეს იყო მეორე დიდი პრესკონფერენცია მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში. ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ჟურნალისტები. დაახლოვებით 300-მდე ჟურნალისტი. ილაპარაკა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარებაზე. სხვათაშორის თქვა, რა სკეპტიკურადაც არ უნდა უყურებდეს ჩვენს საგარეო პოლიტიკას ოპოზიცია, ჩვენი სტრატეგია ნატოსა და ევროკავშირისკენ სრული კურსით სვლა არ შეიცვლებაო, თუმცა ეს არ გამორიცხავსო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რისი ნიშნებიც უკვე იგრძნობაო. ქართულ პროდუქციას უკვე მოეხსნა ემბარგო რუსეთის ბაზარზეო.

აქვე ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ პირველი იანვრიდან ელეკტროფიკაციის ტარიფი 25%-ით დაიწევს, რასაც შესაბამისად ბენზინის გაიაფება მოჰყვებაო.

გაწბილებული, იმედგაცრუებული ოპოზიციის გამოხმაურებამაც არ დაიგვიანა: ვანო მერაბიშვილმა მეყსეულად განაცხადა, ეს ფაქტი კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ ქართულმა ოცნებამ ამომრჩეველი მოატყუაო. 25% ხომ ფაქტიურად უმნიშვნელო ეკონომიური დახმარებააო, ეს ხომ მშრომელი მასისთვის პირში ჩალის გამოვლებას ნიშნავსო, თქვა „მშრომელ მასაზე მზრუნველი“ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელმა.

27 დეკემბერს ბაქოდან დაბრუნებულმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეარხ „იმედს“ მისცა ინტერვიუ, რომელმაც ლამის ფურორი მოახდინა ე.წ. პოლიტიკური თანაარსებობის მღვრიე მდინარებაში და კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა, რომ



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამჭრიახი პიროვნებაა დინჯი, შორსგამიზნული გათვლებით.

ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ რაკიღა პრეზიდენტი უკვე ღიად უპირისპირდება არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას და მისი მომხრეები მიანიშნებენ იმაზე, რომ სააკაშვილს კონსტიტუციის მიხედვით უფლება აქვ 6 თვის შემდეგ დაითხოვოს პარლამენტი და შესაბამისად მთავრობაც, მე ვურჩიე უსუფაშვილს, რომ ხვალვე დაიწყოს ხელმოწერა ახალ კანონპროექტზე, რომლის ძალითაც სააკაშვილს უფლება მიეცემა, რომ არ დაუცადოს ყბადაღებულ 6 თვეს და დღესვე დაითხოვოს პარლამენტიო. ჯერ ერთი საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაინახავს, რა სულსწრაფი და არაადეკვატურია პრეზიდენტი და მეორეც, საპარლამენტო ვაკუუმის თავიდან ასაცილებლად სწრაფად დაინიშნება ახალი არჩევნები, რაც საბოლოოდ წერტილს დაუსვამს სააკაშვილის პარტიის მოგონილ სიამაყეს და ქართველ ხალხს საშუალებას მისცემს აირჩიოს მისთვის სასურველი ხელისუფლება. ნაცებმა კარგად იციან, რომ მათ ნაცვლად მოგონილი 42 პროცენტისა, 5 პროცენტიც აღარ დაუჭერს მხარს ობიექტურ არჩევნებში.

28 დეკემბერს პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებულ კანონს ამნისტიის შესახებ, ვეტო დაადო. პრეზიდენტმა ჩანს გათვალა, რომ ამნისტიის კანონის ძალით ციხიდან გამოსული 200 პოლიტპატიმარი და უამრავი ასევე უდანაშაულო პატიმარი პირადად მას უჩივლებდა პროკურატურაში, რის უფლებასაც პატიმრის სტატუსი არ იძლეოდა. პარლამენტს, რათა გააბათილოს პრეზიდენტის ვეტო, 89 დეპუტატის ხმა სჭირდება. ამნისტიის კანონის მიღება უნდა დაჩქარდეს, რადგანაც დღეს თავისუფლებას სააკაშვილის ასობით უდანაშაულო პირადი პატიმარი ელოდება.

ამჯერად სწორედ ისე მოხდა, როგორც პარლამენტი ვარაუდობდა. 29 დეკემბერს 91 ხმით 24-ის წინააღმდეგ პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო. ამნისტიის კანონი ძალაში შევიდა. გამძვინვარებულმა სააკაშვილმა იმ

დღესვე ინახულა ერთი დაღუპული პოლიციელის ოჯახი და აცნობა მათ, რომ ამ ოჯახის დაღუპული შვილის მკვლელი პარლამენტმა სრულიად აუხსნელი, გაუმართლებელი მიზეზით წელიწადნახევარში გაათავისუფლა საპატიმროდან. სააკაშვილმა ამ ცნობას მოაყოლა სრულიად დამამცირებელი „ეპითეტები“ პარლამენტის მიმართ.

ამით უფრო და უფრო გაზარდა ის ნაპრალი, რითაც პრეზიდენტი გაემიჯნა ქართველი ერის სულისკვეთებას.

31 დეკემბერს საახალწლო მიმართვაში მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი არაადეკვატურობა. ცისფერ ეკრანზე ჩვეული უტიფრული ღიმილით გამოჩნდა კაცი, რომელიც ერის თვალში როგორც პოლიტიკოსი აბსოლუტურად გაკოტრებულია, რომლის გადასაყენებლადაც მთელს საქართველოში გროვდება ხელმოწერები (უკვე მილიონამდე ხელმოწერა შეგროვდა) და ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნისთვის ახალი წელი მიელოცა და დაშვებული შეცდომებისთვის მიტევება ეთხოვა, ქედმაღლურად, ყოვლისმცოდნის პოზიციით ანათემას უგზავნიდა უმრავლესობას. ლაპარაკობდა ქართული ოცნების მიერ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაზე და იმდენად გათავხედდა, რომ ხუთპუნქტიანი ულტიმატუმი წამოუყენა ივანიშვილის ხელისუფლებას: აქაოდა დაუყოვნებლივ შეწყვიტეთო ნაცმოძრაობის წევრების დაბარება-დაკითხვებიო, აქაოდა, შეეშვით ჩვენს წარსულზე ლაპარაკსო, აქაოდა ხალხმა თავი გაანებოს რეგიონებში საკრებულოების ნაცწევრებისა და ნაცგამგებლების თვითნებობაზე ჩივილს და მათზე ზეწოლასო, აქაოდა პარლამენტმა უყოყმანოდ შეასრულოს ევროკავშირის და ამერიკის ყოველი მითითებაო.

2013 წლის 1 იანვარს ბიძინა ივანიშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა ტელევიზიით. მის განცხადებაში მოთმინებისფიალააღვსილი კაცის ინტონაცია ჟღერდა. ყველამ კარგად ვიცით ნაცმოძრაობას რა დანაშაული მიუძღვის ქვეყნის წინაშე, მაგრამ წინადადებით შემოვდივარ, მოხდეს საყოველთაო შერიგება და შევწყვიტოთ სამართლებრივი დევნა



ნაცისტების წინააღმდეგო. აშკარა იყო, რომ ეს განცხადება ამერიკისა და ევროკავშირის გამუდმებული ზეწოლის შედეგად გაკეთდა. პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამბობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი შეშინდა და უკან დაიხია. თუ ქვეყნის დამქცევ სააკაშვილს და მის ბანდას დანაშაულს აპატიებ, მაშინ რა პირით ჩავსვათ ციხეში წვრილმანი დამნაშავეები – ქათმის ქურდები და მარკეტებში ზომა-წონაში მომტყუებლებიო. მეორენი ფიქრობდნენ – ივანიშვილმა თავისი დაპირებები ვეღარ შეასრულა და მშვიდი ცხოვრება გადაწყვიტაო. ამ წერილის ავტორის აზრით, ბიძინა ივანიშვილის დემარში შეიძლება ზოგიერთს პოლიტიკურ დათმობად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში იგი შორსგამიზნული სვლაა. პრემიერს არავისათვის არაფერი უპატიებია. მან, ამ გამწვავებულ საშინაო და საგარეო ვითარებაში, უბრალოდ დროის მოგება გადაწყვიტა, დაელოდება ადგილობრივ და საპრეზიდენტო არჩევნებს, რომლებიც აშკარად ქართული ოცნების სასარგებლოდ დასრულდება, შემდეგ კი მოკიდებს ყურში ხელს პირველ რიგში იმათ, ვინც სახელმწიფოს წინაშე მიუტევებლი დანაშაული ჩაიდინა.

ე. წ. კოჰაბიტაციის ვითარებაში განსაკუთრებული დავის საგანი გახდა სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის საკითხი. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ირჩევა 5 წლით. სააკაშვილს ხუთწლიანი ვადა გასდის 2013 წლის 5 იანვარს, რაკი მისი ინაუგურაცია ჩატარდა 2008 წლის 20 იანვარს. ესე იგი ყოველგვარი წესით და კანონით 2013 წლის 20 იანვარს მას ეწურება საპრეზიდენტო ვადა და ამის შემდეგ იგი აღარ ითვლება საქართველოს პრეზიდენტად, მაგრამ სააკაშვილი რა სააკაშვილი იქნებოდა რომ თადარიგი არ დაეჭირა და იმაზეც არ ეზრუნა, რომ რაღაც მაქინაციით არ გაეგრძელებინა საპრეზიდენტო ვადა. და აი, სწორედ მაშინ, როცა პარლამენტი იყო სააკაშვილის „ჯიბის პარლამენტი“ და პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციას საკუთარი უბის წიგნაკივით ექცეოდა (რაც უნდოდა, ჩაწერდა და რაც არ უნდოდა, ამოშლიდა)

კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ ოქტომბერში უნდა გაიმართოს, ამით სააკაშვილმა 10 თვით გაიხანგრძლივა პრეზიდენტობა. გაიხანგრძლივა თვითნებურად საერთაშორისო კანონების უარყოფით და გადაბიჯებით. ქართველი ერის დიდი უმრავლესობა მოუწოდებს პრეზიდენტს გადადგეს 2013 წლის 20 იანვრიდან. პრეზიდენტი კი კატეგორიულ უარს აცხადებს და განაგრძობს უმრავლესობის დაცინვას. 2013 წლის დეკემბრამდე ბუზს ვერავინ ამიფრენსო. მე ვარ და ჩემი ნაბადის პოლიტიკა გრძელდება. თავგასული პრეზიდენტის მფარველი დასავლეთი კი დიდსულოვნად დუმს. საპარლამენტო უმცირესობა ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის: რა უბედურებაა, რა ზეწოლაა! პრეზიდენტი იანვარში რომ გადადგეს, ოქტომბრამდე საპრეზიდენტო ვაკუუმში ხომ არ ვიქნებითო. გამოსავალი აქ სრულიად მარტივია: გადადგეს პრეზიდენტი 5 წლის გასვლის შემდეგ (ე.ი. 20 იანვარს) და ჩატარდეს არჩევნები ოქტომბერში. საქართველო როგორმე გაძლებს პრეზიდენტის (და მითუმეტეს ასეთი პრეზიდენტის) გარეშე.

პრეზიდენტის თვითნებობას საზღვარი კვლავინდებურად არა აქვს: 6 იანვარს იგი თავისი ამფსონებით ე. წ. მეგობრული ვიზიტით გაემგზავრა არაბთა საემირატოში. კვლავ გრძელდება უაზრო ხარჯვა ხალხის თანხებისა პრეზიდენტის „დროის სატარებელი“ ვიზიტებისთვის. მიუხედავად პარლამენტის მიერ მიღებული კანონისა, პრეზიდენტის დაცვის ხარჯების შემცირების შესახებ, მიხეილ სააკაშვილი კვლავ გრძელი ექსკორტით გადაადგილდება. მორალურად გაკოტრებული პრეზიდენტის იმ ადამიანების ნერვებზე თამაში, ვინც იგი 2012 წლის 1 ოქტომბერს უარყო, კვლავაც გრძელდება.

12 იანვარს პრეზიდენტმა გამოაცხადა თავისი საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იგი პოლიტპატიმრების შესახებ კანონს ხელს არ მოაწერდა, და კანონი პარლამენტს დაუბრუნა. რაკიღა პარლამენტმა უკვე დაძლია პრეზიდენტის ვეტო, კანონს ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და ამით ციხიდან განთავისუფლდა ორასამდე პოლიტპატიმარი. მიხეილ სააკაშვილი და მისი რაზმი ენერგიული პროტესტით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. ჯერ ერთი ვათავისუფლებთ ადამიანებს, რომელნიც დაზვერვით იყვნენ დაკავებული და ომის დროს მტერს ქართული ჯარის შესახებ ცნობებს აწვდიდნენო, მეორეც ხომ ბავშვიც მიხვდება, რომ ეს კანონი აშკარად რუსეთის შეკვეთით იქნა მიღებულიო. უმცირესობის წკავწკავის მიუხედავად, სააკაშვილის პირადმა პატიმრებმა, რომლებიც სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებით იტანჯებოდნენ ციხეებში, საპატიმრო ადგილები დატოვეს.

2013 წლის იანვარ-თებერვალში უფრო გაღრმავდა კონფრონტაცია სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის. ყოველი გამოსვლის დროს (მიუხედავად იმისა რას ეხებოდა ეს გამოსვლა – პრეზიდენტი დროს იხელთებდა და ქართული ოცნების კოალიციას ანათემას უგზავნიდა. ამბობდა, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ ქვეყნის მშენებლები კი არა, ქვეყნის მნგრეველნი. რომ, თითქოსდა, მსოფლიოს პროგრესული ძალები აღშფოთებულნი არიან საქართველოს ახალი ხელისუფლების საქციელით.

აგონიაში ჩავარდნილმა პრეზიდენტმა თავის ერთგულ კადრებშიც დაიწყო „მოღალატეთა“ ძებნა. ერთი ხელის დაკვრით შეცვალა სამი ნაფიცი გუბერნატორი და მათს ადგილზე ახალი სახეები დანიშნა. ვინ არიან ეს ახალი სახეები? მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორად დანიშნა ყველასათვის ცნობილი ხათუნა ოჩიაური, სამეგრელოს გუბერნატორად – თენგიზ გუნავა, რომლის წინააღმდეგაც პროკურატურამ ერთი თვის წინათ საქმე აღძრა, დააპატიმრა კიდეც, თუმცა შემდეგ სასამართლომ გირაოთი გაათავისუფლა, თუმცა საქმე არ დახურულა და დღე-დღეზე სასამართლო უნდა გაიმართოს, შიდა ქართლის გუბერნატორად სააკაშვილმა დანიშნა ნაცმოძრაობის ცნობილი იდეოლოგი ანდრო ბარნოვი.

13 იანვარს პატრიარქ ილია მეორის დაბადების 80 და აღსაყდრების 35 წლისთავის საიუბილეო მიღებას საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე ესწრებოდნენ. სააკაშვილმა ეს ტრიბუნაც გამოიყენა და

პატრიარქს „დაავალა“, არ დაეშვა საქართველოს დაბრუნება რუსეთის გავლენის სფეროში. ეს „განცხადება“ იმდენად უადგილო იყო, რომ თვით პატრიარქმაც და მის პატივსაცემად ჩამობრძანებულმა მსოფლიოს საეკლესიო მღვდელმთავრებმა მხრები აიჩეჩეს. სააკაშვილმა კი, ვითომც აქ არაფერიო, მობილური ტელეფონი ამოიღო და ზედ თითები აათამაშა. კიდევ კარგი პრეზიდენტის შემდეგ გამოსულმა ბიძინა ივანიშვილმა დინჯად, სიტუაციასთან სრული ადეკვატურობით ილაპარაკა პატრიარქის დიდ დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე და სიამაყით აღნიშნა, რომ ბედნიერია საქართველო, რომელსაც ასეთი სულიერი მამა ჰყავს.

პოლიტპატიმართა სტატუსით გათავისუფლებულნი 15 იანვარს პროკურატურის კარებთან დაჯარდნენ. თითქმის ყველა მათგანი: ვახტანგ მაიასაია, გიორგი დემეტრაძე, მერაბ რატიშვილი, მელორ ვაჩნაძე, აკაკი დარასელია და სხვანი მათი საქმეების ხელახლა გადასინჯვას მოითხოვენ, უჩივიან ნაცისტ დამნაშავეებს მათ მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში და აყენებენ პრეზიდენტის დაუყოვნებლივი იმპიჩმენტის საკითხს. განსაკუთრებით აქტიურობენ ე. წ. „მუხროვანის“ და „ყინწვისის“ „სახელმწიფო შეთქმულების“ 2007 წლის 7 ნოემბრის და 2011 წლის 26 მაისის შეთითხნილი საქმეების მსხვერპლნი.

ორი დღის განმავლობაში სასამართლოსა და პროკურატურაში უდანაშაულოდ დასჯილთა 2000-მდე საქმე შევიდა, რათა ობიექტურად გადაიხედოს ისინი და ყოფილი ხელისუფლების ბნელ საქმეებს ახლა მაინც მოეფინოს ნათელი.

საოცარი ის არის, რომ ვინც ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანას შიშის ზარს სცემდა, ფეხქვეშ თელავდა მოქალაქეთა თავისუფლებას, ახლაც ყელყელაობენ და უტიფრად აცხადებენ, რომ არავითარი პოლიტპატიმრები საქართველოში არ არსებობდნენ და ისინი, ვისაც ციხის კარები გაუღეს, სახელმწიფო დამნაშავეები და ჯაშუშები არიან. გალმა შედავების ეს სავალალო თვისება ერთნაირად ახასიათებს სააკაშვილის დამნაშავე რაზმის თითქმის ყველა წევრს.



შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა დოკუმენტები იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით ცდილობდნენ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები გაეზარდათ მათი მხარდამჭერების რიცხვი, როგორც ირკვევა, ბადეში არაიშვიათად სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებიც კი ხვდებოდნენ. შანტაჟი, შეშინება მისი ორიენტაციის გახმაურებით, ფულის გამოძალვა – ეს იყო ამ უბადრუკ ადამიანებთან ნაცისტი დამნაშავეების ურთიერთობის ენა.

თანდათანობით, სწორედ დოკუმენტურად, დასტურდება, რომ სააკაშვილის ბანდამ საქართველოს თავზე 1937 წელი დაატრიალა.

15 იანვარს სააკაშვილმა ქუთაისელ ახალგაზრდებს შეჰღაღადა: დროა გაიღვიძოთ და პროტესტი გამოთქვათ პარლამენტის თბილისში დაბრუნების მცდელობაზე, რადგანაც პარლამენტის გარეშე ქუთაისი „ჩაკვდება“, ხოლო „ჩამკვდარი ქუთაისი, ჩამკვდარ დასავლეთ საქართველოს ნიშნავსო“. თუ ქუთაისში პარლამენტი არ იქნა, შეჩერდება ჩვენი წინსვლა ევროკავშირისკენ, ინვესტორები კი საბოლოოდ იტყვიან უარს დასავლეთ საქართველოში ნებისმიერი პროექტის განხორციელებაზეო. რა შუაში იყო ქუთაისში პარლამენტის ყოფნა ევროკავშირთან ან ინვესტორებთან. ეს, რა თქმა უნდა პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია.

ასეთია „ქარიზმატული პრეზიდენტის“ დემაგოგიური პროპაგანდა საქმეში ჩაუხედავ, პოლიტიკურად მოუმწიფებელ ახალგაზრდების მიმართ.

მიამიტმა მოზარდებმა წარმოიდგინეს „ჩამკვდარი ქუთაისი“ და თვალზე ცრემლი მოადგათ.

კოჰაბიტაციის რთულ პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა მიმართ კრიჭაში დგომა არნახული მასშტაბით გრძელდება, ნაცებმა პროტესტის ახალი ტალღა ააგორეს, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძის ერთ, სრულიად უმტკივნეულო განცხადებაზე. კერძოდ: მაია ფანჯიკიძემ ლიტვაში ვიზიტის დროს შეკითხვაზე – რა პოზიცია გაქვთ ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ, უპასუხა: ყველა

კონფლიქტი უნიკალურია. არ არსებობს მათი გადაწყვეტის ერთიანი ყველასათვის გამოსადეგი რეცეპტი. საერთოდ კი, ჩვენ მხარს ვუჭერთ როგორც აზერბაიჯანის, ისე სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობასო. „ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა“ ტენდენციურმა ჟურნალისტებმა გაიგეს, როგორც აზერბაიჯანისთვის ყარაბაღის დაბრუნების მხარდაჭერა და აგორდა პოლიტიკური ყაყანი. ნაცმოძრაობის წევრებმა მაიას უმწიფარი საგარეო საქმეთა მინისტრი უწოდეს და მისი სასწრაფო გადადგომა მოითხოვეს.

თბილისის მერმა კიდევ ერთი „კოჰაბიტაციის ხელშემწყობი“ ნაბიჯი გადადგა; მან ქალაქის საკრებულოში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის ახალ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას. ნაცვლად ამჟამად არსებული 5 რაიონისა, იქნება ათი რაიონი. ეს ნიშნავს ქალაქის ბიუჯეტისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას, გაუთვალისწინებელი ხარჯები გაორმაგდება, გამგებლებს და მოადგილეებს თვით მერი დანიშნავს, რასაკვირველია ნაცმოძრაობის წევრებიდან. უნდა გამოინახოს ან აშენდეს გამგეობებისთვის ადმინისტრაციული შენობები, მაშინ, როდესაც სააკაშვილის მიერ აბუჩად აგდებული ლტოლვილებისთვის ქვეყანას თავშესაფრებიც კი არ გააჩნია. უნდა გამოიძებნოს სახსრები ახალი ბიუროკრატიული აპარატის ხელფასისთვის. ეს ყველაფერი ხომ უმძიმეს ტვირთად დააწვება ბიუჯეტს. რა თქმა უნდა ეს კეთდება იმისათვის, რომ შეჩერდეს საქალაქო მშენებლობები, ქამარი შემოიჭირონ უბრალო მოქალაქეებმა, გაიზარდოს ფასები პროდუქტებზე, შეჩერდეს ინვესტიციების მოზიდვა, რათა ბოლოს ეს ყველაფერი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაბრალდეს.

საქართველოში თითქმის ცალსახად გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას ნაცმოძრაობისადმი. რადიო და ტელეგადაცემებში (გარდა „საზოგადოებრივი არხისა“ და „რუსთავი ორისა“) არ წყდება ზარები და მესიჯები მოწოდებით „ნაცებო მოგვშორდით!“, მაგრა, ნაცთა ბელადებს ისეთი სახეები აქვთ მიღებული, თითქოს ეს მოწოდება სხვა პარტიას ეხებოდეს.



16 იანვარს ზუგდიდში გაიმართა პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის გამსვლელი სხდომა. გაფართოებული სხდომის დღის წესრიგში იდგა საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით ორი საკითხის განხილვა: ორივე პრობლემა საკონსტიტუციო ცვლილებას ეხებოდა. 1. ჩამოერთვას უფლება პრეზიდენტს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაითხოვოს მთავრობა. სამაგიეროდ ნება დაერთოს ნებისმიერ დროს დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. 2. გაუქმდეს კონსტიტუციაში გრაფა პარლამენტის სამუშაო ადგილის შესახებ და მიეცეს უფლება პარლამენტს, ხმის უმრავლესობით გადაწყვიტოს, სად იმუშაოს პარლამენტმა. პარლამენტის ნაცისტი წევრების (განსაკუთრებით მინაშვილის და ბობოხიძის) დანახვამ ზუგდიდელები გაანაწყენა. ისმოდა შეძახილები „არ გეყოთ ნაცებო?!“, „ისევ თქვენ უნდა გიყუროთ?!“, „წადით! წადით!“ დარბაზში მყოფთაგან მათთვის არასასურველ პარლამენტარებს ზოგი ლაყე კვერცხითაც გაუმასპინძლდა.

ორი დღის შემდეგ ამ საკითხების განხილვის პროცედურამ ზუგდიდიდან ქუთაისში გადაინაცვლა. პოლიციამ უმრავლესობის თხოვნით საჭირო ზომები მიიღო ნაცუმცირესობის დასაცავად, მაგრამ ეს უკანასკნელნი მოქალაქეთა რისხვას ვერც ქუთაისში აცდნენ. დამსწრენი ერთსულოვნად გამოხატავდნენ პროტესტს, განსაკუთრებით პრეზიდენტის იმ უფლების გამო, რაც მთავრობის დათხოვნას ითვალისწინებს. გამოთქვამდნენ შიშს: პრეზიდენტი, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, არ არის გაწონასწორებული ფსიქიკის პიროვნება, რომ წამოუაროს (ქუთაისური ტერმინია) და ერთ დღეს მთავრობა გარეკოს, ეს გარდაუვალად სამოქალაქო ომს გამოიწვევს და ამ ვითარებაში შეიძლება სააკაშვილს ხელსაც კი აძლევდეს საქართველოში სამოქალაქო ომი და ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფრთხის ქვეშ დაყენებაო.

ამასობაში სააკაშვილი დღითიდღე ღიად უპირისპირდება პარლამენტს და ბიძინა ივანიშვილის მთავრობას. მან დემონსტრაციულად მოუწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-

ერთ თანამშრომელ ქალბატონს სამსახურის დატოვება პოლიტპატიმრების გათავისუფლებისადმი პროტესტის ნიშნად. დააჯილდოვა იგი ღირსების ორდენით და ლამის გმირად გამოაცხადა. ვერ ხვდება პრეზიდენტი, რომ თუ იმ ქალბატონს სამსახურის დატოვებაში სხვებმაც მიბაძეს, ეს იმას ნიშანვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში იქ ღარიბაშვილის კეთილი ნებით ჯერ კიდევ შემორჩენილი მერაბიშვილის კადრების რიცხვი შემცირდება.

17 იანვარს პრეზიდენტმა ჩაატარა ბრიფინგი, რომელზეც განაცხადა, რომ მას სამი კანონპროექტი შეაქვს საქართველოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

საზოგადოებას წარუდგინა სამივე კანონპროექტი საკუთარი კომენტარებითურთ:

I. კანონპროექტი სრული ეკონომიკური ამნისტიის, ანუ ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის შესახებ.

ამითო, განმარტა „კეთილადმოაზროვნე“ პრეზიდენტმა, ბოლო მოეღება მოქალაქეთა წარსულში ქექვას და ყოფილი მაღალჩინოსნების წამდაუწუმ დაბარებას საგამომძიებლო ორგანოებშიო. ხალხი დაღალა გაუთავებელმა ხელის ფათურმა ქონება-საკუთრებაში და დროა მოხდეს საყოველთაო შერიგებაო.

II. კანონპროექტი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

ჩვენაო, რვა წელი ვიყავით ხელისუფლებაში და მტკიცედ ვიცავდითო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. პირადი ცხოვრების გასაჯაროების ვერცერთ ფაქტს ვერ დამისახელებთო. ივანიშვილის ხელისუფლებამ კი სამი თვის განმავლობაში, სამჯერ შეირცხვინა თავი პიროვნების პირადი საიდუმლოს გამომჟღავნებითო. ეს იყო ციხის კადრების ჩვენება, მოსამართლის თანაშემწის პირადი ინტიმური სურათის გადაღება მისი დისკრიმინაციის მიზნით და ახლახანს სექსუალურ უმცირესობათა მაკომპრომენტირებელი კადრების გამოქვეყნებაო. ამით პროკურატურამ ამორალური საქციელი ჩაიდინაო, დასძინა პრეზიდენტმა.



III. კანონპროექტი სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების შესახებ.

დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახს ერთდროული დახმარების გარდა პენსია უნდა დაენიშნოს, დროა გაორმაგდეს სამხედრო მოსამსახურის პენსია, ხოლო საპენსიო ასაკის სამხედრო პირს, მისი სურვილის მიხედვით, ნება დაერთოს განაგრძოს სამხედრო სამსახური და ამავე დროს ისარგებლოს დამსახურებული პენსიითო. ასე მოეფერა სამხედრო მოსამსახურეებს და მათს ოჯახებს საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი.

ახლა ვნახოთ, პრეზიდენტის ამ სამი საკანონმდებლო ინციატივის დროულობა და ჭეშმარიტი არსი.

ნაცმოძრაობის რვაწლიანი ყაჩაღური ბატონობის შედეგად ქვეყანა სრულ ეკონომიკურ კოლაფსში აღმოჩნდა. საქართველოს პროკურატურა ვერ აუდის მოქალაქეთა პირადი ქონების ძალადობრივი წართმევა-მიტაცების შესახებ განცხადებების მიღებას და რეგისტრაციაში გატარებას. ადამიანებს აიძულებდნენ „თავისი ნებით საჩუქრად გადაეცა ქონება „სახელმწიფოსთვის“. დაპატიმრებულ (და მერე სასამართლოს მიერ გირაოთი გაშვებულ) ნაცთა უმეტესობას სწორედ მსგავსი დანაშაულებანი ედება ბრალად და აი, გამოდის მშვიდობის მტრედი სააკაშვილი და აცხადებს, დროა ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია გამოვაცხადოთო. შევრიგდეთ ერთხელ და სამუდამოდ და შეგვარგეთ ჩვენ, ნაცებს რაც უკანონოდ მოვიხვეჭეთო. ამ კანონის მიღება ხომ იმას ნიშნავს, რომ გამწარებულ, ქონებაწართმეულ ადამიანთა იმედებს ცივი წყალი გადაასხა და შეწყვიტო ათასობით ეკონომიკური ძალადობის საქმის გამოძიება. მარტო პრეზიდენტის და მისი ნათესაობის პირადი ქონების შესწავლა გამოავლენს დანაშაულებათა მთელ აკიდოს, საიდანაც გაირკვევა რა სახსრებით და რა პირადი დანაზოგით შეიძინა მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში უზარმაზარი ვენახი და სასახლე, რა სახრებით გახდნენ მისი ოჯახის წევრები სრა-სასახლეთა და მიწის ნაკვეთთა მფლობელნი.

თურმე საქართველოს პროკურატურას ამორალური საქციელი ჩაუდენია, რომ მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც პიროვნებათა ვერამოცნობის ტექნიკური უზრუნველყოფით მაყურებლისთვის მიუნიშნებია იმ მასალებზე, რისი მომზადება და სათანადოდ გამოყენება ხდებოდა სააკაშვილის ციხეებში და საიდუმლო ბინებზე.

რვა წელი ვიყავითო ხელისუფლებაში და არცერთხელ არ ჩავრეულვართ ადამიანის პირად ცხოვრებაშიო, ამაყად განაცხადა პრეზიდენტმა. რატომ ღმერთი არ გაიცინებს. თურმე უტიფრობას და თვალთმაქცობას საზღვარი არა აქვს. განა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა არ იყო, სააკაშვილის ხელისუფლება რომ ყოველ მეორე დღეს აქვეყნებდა მოქალაქეთა სატელეფონო მოსმენებს. ნუთუ ასე მალე დაავიწყდა პრეზიდენტს ნინო ბურჯანაძის, ირაკლი ბათიაშვილის, კოკო გამსახურდიას, შალვა ნათელაშვილის, გია ხუხაშვილის, გოგა ხაინდრავას, ბადრი პატარკაციშვილის (რასაც ეს უკანასკნელი ემსხვერპლა კიდეც) და სხვათა მრავალთა პირადი საუბრების ქურდული ჩანაწერები და ამ ჩანაწერთა მიხედვით ადამიანთა დამნაშავეებად გამოცხადება? პირადი ცხოვრების ხელჰყოფა არ იყო შალვა ნათელაშვილის ან კობა დავითაშვილის საიდუმლო თვალთვალით მოპოვებული მასალების არაერთგზის გამეორება ჩვენი „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიების“ ეკრანებიდან?

რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეებზე და მათ ოჯახებზე ზრუნვას, საოცარზე საოცარია, რომ დაღუპულ სამხედროებზე, ნიანგის ცრემლებს ღვრის და სინანულის თითზე კბენას შედგომია ის პრეზიდენტი, რომელმაც თავისი ინიციატივით შეუწყვიტა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა ოჯახს ყოველგვარი ფინანსური დახმარება თვით საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის უფლებამდეც კი. სამხედროებზე პრეზიდენტის „ზრუნვა“ „მუხროვანის ამბოხის“ გამოგონებას და ამასთან დაკავშირებით უდანაშაულო ოფიცერთა ჩაცხრილვას, მუხათგვერდში საძმო საფლავებთან ყალბი, პათეტიური სიტყვის თქმას და



გულუბრყვილოთა მოსაჩვენებლად ავღანეთში ქართველი მებრძოლების მონახულებას არ გაშორებია. თავის გადასარჩენად გამოგონილ იმ ორ კანონპროექტს, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, სააკაშვილმა ეს მესამე იმიტომ მიაბა, რომ ხალხისთვის თვალში ნაცარი შეყარა აქაოდა, დამინახეთ, რა გულმოწყალე პრეზიდენტი ვარო. ესეც არ იყოს, სამხედრო მოსამსახურეებზე და მათს ოჯახებზე ზრუნვაც სააკაშვილს, ჩანს ირაკლი ალასანიას ამასწინანდელმა ანალოგიურმა განცხადებამ გაახსენა.

იმავე პრესკონფერენციაზე პრეზიდენტი ერთხელ კიდევ დაუპირისპირდა სომხეთში ვიზიტად მყოფ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც განაცხადა აფხაზეთის გავლით რუსეთისკენ რკინიგზის აღდგენაში ცუდს ვერაფერს ვხედავო. ეს როგორ შეიძლებაო!? ეს ხომ საქართველოს ღალატიაო! გაჰყვიროდა სააკაშვილი. ამ განცხადებით ბიძინა ივანიშვილი ძირს უთხრისო საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ რკინიგზის აღდგენით ჩვენ თურქეთს გავანაწყენებთო. რა საჭიროა ამ მოძველებული სარკინიგზო ხაზის აღდგენა, მაშინ, როცა აგერ მშვენიერ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას ვაშენებო. რამდენად ვერ უნდა ერკვეოდე კაცი რთულ ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ საკითხებში კი არა, ელემენტარულ გეოგრაფიაში მაინც, რომ ალთას მიმავალი მოსკოვის რკინიგზა ბალთას მიმავალ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაში აურიო.

აქვე „გაიარა“ პრეზიდენტმა პოლიტპატიმართა ამნისტიის ყბადაღებულ თემაზე. ერთხელო, გურამ დოჩანაშვილმა მითხრაო, საქართველოს მწერალთა კავშირში 400 მწერალია გაერთიანებული, მაშინ როცა 400 მწერალი მთელ მსოფლიოში არ არისო. ასევე ახლა რომ ივანიშვილმა 200 პოლიტპატიმარი გაათავისუფლა, სად მოძებნა 200 პოლიტპატიმარი იმ საქართველოში, სადაც 200 პოლიტიკოსი საერთოდ არ მოიძებნებაო. დასანაია, რომ გურამ დოჩანაშვილს ასეთი სისულელე უთქვამს. საქართველოში 400 მწერალი არის თუ არა ეს გურამ დოჩანაშვილის გასარკვევი არ არის, მითუმეტეს, როცა მთელი თავისი შემოქმედებით სწორედ თვით

სააკაშვილთან დაახლოებული გურამ დოჩანაშვილის მწერლობას შეიძლება დაესვას დიდი კითხვის ნიშანი.

პრეზიდენტი სააკაშვილი თვალებს ისრესს („იქნებ ცრემლი მომივიდესო“ ი.ჭ.) და ცდილობს გული აუჩუყოს ხალხს როცა აცხადებს, მეო, ერთადერთი პრეზიდენტი ვარ დედამიწაზე, რომელსაც არ უხარია ადამიანის ციხეში ჩასმაო. და ამას ამბობს პრეზიდენტი, რომელმაც თითქმის ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვა. საპატიმროებს ტოვებენ ყოფილი ტუსაღები, რომლებიც ერთხმად აცხადებენ; ჩვენ სააკაშვილის პირადი პატიმრები ვიყავით, უმეტესობა ჩვენგანისთვის ბრალი საერთოდ არ წაუყენებიათო. აი, რა „პოლიტიკოსი“ მიაჩნდა და მგონი, ახლაც მიაჩნია დასავლეთს „დემოკრატიის შუქურად“.

ჟურნალისტის კითხვაზე, რა ფუნდამენტური განსხვავებაა თქვენსა და ქართულ ოცნებას შორისო, სააკაშვილი თვალისდაუხამხამებლად პასუხობს: განა თვალნათლივ არ ჩანს? თუნდაც იქედან, რომ პოლიტიკაში თენგიზ გუნავა და ანდრო ბარნოვი მოვიდნენო! (აი, თურმე რა ფუნდამენტური განსხვავება ყოფილა. რ.მ.). ხოლო თუ უფრო კონკრეტულად გაინტერესებთ:

I. ხალხი მალე მიხვდება, რომ ჭორვილიზაცია აბსურდია.

II. თვალების პაჭუნით და კონიაკებით რუსეთთან არაფერი გამოვა.

III. ივანიშვილის „მოძრაობას“ ახალი არაფერი აქვს. ოცნების წარმომადგენლები წარსულის შეცდომებს იმეორებენ, ჩვენ კი მომავლის პარტია ვართ. „ქართული ოცნების“ გაბიაბრუების მცდელობაში სააკაშვილმა უფრო შორს წაიწია:

ჩვენ ილია ჭავჭავაძის კვალს მივყვებით. ჩვენ ილია ჭავჭავაძის პარტია ვართ! ბიძინა კი ერს რუსეთის მონობაში აბრუნებსო, გაფუჭებული გრამაფონივით წამდაუწუმ იმეორებს საქართველოს პრეზიდენტი.

„ვაი სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე“, – ამბობს შექსპირი.

ილია ჭავჭავაძის იდეების ერთგული ვარო, ამბობს სააკაშვილი, რომელმაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის კანონი არ დაამტკიცებინა თავის „ჯიბის პარლამენტს“, რომელმაც ილია ჭავჭავაძის „ქართვლის დედა“ ამოიღო სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და რომელმაც ეროვნება ქართველი წაუშალა ქართველ კაცს საბუთებიდან!

20 იანვარს პრეზიდენტის სასახლესთან ოცდაათამდე არასამთავრობო გაერთიანებამ მოძრაობა „ერთსულოვნების“ ინიციატივით გამართა მიტინგი, რომელსაც ათასობით თბილისელი დაესწრო. მიტინგის თავკაცებმა (მიხეილ კობახიძე, თემურ შაშიაშვილი, გუჯა ბურდული, ჯონდი ბაღათურია, პაატა ცნობილაძე) დამსწრეთ წარუდგინეს მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქის ხელმოწერა მოთხოვნით: გადადგეს პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც 2013 წლის 20 იანვარს ეწურება პრეზიდენტობის ხუთწლიანი ვადა და პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულება დაევალოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს“.

მომიტინგეებმა პრეზიდენტის სასახლის წინ დასცეს კარვები, დააწესეს სადღეღამისო მორიგეობა და პრეზიდენტს გადადგომისთვის მისცეს ათღიანი ვადა.

პრეზიდენტის გადაყენების ეს მცდელობაც (ისე, როგორ მანამდე სხვა მცდელობანი) უშედეგოდ დამთავრდა.

21 იანვარს, მაშინ როცა თბილისში, ზუგდიდში და სხვა ქალაქებში მოქალაქენი სააკაშვილის ფიტულებს წვავდნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ 20 იანვრიდან იგი საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის, სტრასბურგში ევროსაბჭოს ასამბლეაზე სააკაშვილი უკანასკნელად გამოვიდა პრეზიდენტის რანგში და, შეიძლება ითქვას, რომ თავის ქვეყანაზე გაჯავრებულმა ამ ვაიპოლიტიკოსმა კარი გაიჯახუნა.

კარის გაჯახუნებაში ვგულისხმობ პრეზიდენტის გამოსვლის იმ ნაწილს, როცა მან საქართველო აშკარად დაადანაშაულა უკანსვლაში დემოკრატიის და პროგრესის თვალსაზრისით. მეო, ვაფრთხილებდიო ხალხს, მაგრამ სამწუხაროდ, მან წარსულს მისცაო ხმა. საპარლამენტო უმრალესობის საქციელში აშკარად იგრძნობა წყეული კომუნისტური რეჟიმისკენ მიბრუნებაო.

ევროსაბჭოს ანსამბლეაზე ჯერ არ გამოსულა პოლიტიკოსი, რომელიც თავის თავს პრეზიდენტს უწოდებდეს და უმოწყალოდ აკრიტიკებდეს საკუთარ ქვეყანას.

იმდენად დაუბინდა თვალები სააკაშვილს ქართული ოცნების სიძულვილმა, რომ მაღალი ტრიბუნიდან ცილისწამებათა კორიანტელი დააყენა: მაგ. სომხეთის აშკარა მხარდაჭერით ყარაბაღის საკითხში, ივანიშვილმა აზერბაიჯანი მოგვამდურაო (ეს მაშინ, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მხოლოდ ერთი წინადადება თქვა – სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის პრობლემები მშვიდობიანად უნდა გადაიჭრასო. რ. მ.) რუსეთთან ლოიალობით ივანიშვილის ხელისუფლება საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს ღალატობს და ნატოსთან ინტეგრაციას ეჭვქვეშ აყენებსო (?!), საქართველოს პროკურატურა შერჩევითი სამართლის გზას ადგასო, ჩემს ხალხს ხმა არ მიუცია იმ პარლამენტისთვის, რომლის უმრავლესობა ოპოზიციას მიმართავს – „ნუ მაკრიტიკებ, თორემ დაგიჭერო“ (?!), ივანიშვილის მიერ დემოკრატიის ხელყოფის ფაქტად თუნდაც მის მიერ საზოგადოებრივ ტელევიზიასთან დამოკიდებულება გამოდგებაო. პრემიერ-მინისტრი ცდილობს საზოგადოებრივი ტელევიზია თავისი ოჯახის ტელეარხს „მე-9 არხს“ შეუერთოსო (?!), კომუნისტური წარსულისკენ საქართველოს მიბრუნება თუნდაც იმაშიც ჩანს, რომ ძველ პოსტამენტებზე დგამენ სტალინის ძეგლებს და ეს ხდება სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯზეო (?!).

პრეზიდენტის ეს არაადეკვატური გამოსვლა „დამშვენებული“ იყო ასეთი კურიოზებით: „მე პუტინს ერთხელ ვუთხარი, ბოლო ლიდერი ვარ, რომელიც თქვენ რუსულად გელაპარაკებათ-მეთქი. დიახ, მე გაცილებით უკეთესად ვლაპარაკობ რუსულად, ვიდრე ივანიშვილი, რომ აღარაფერი ვთქვა, პოეზიის უკეთ ცოდნაზე“ (?!).

დიდი ფსიქოლოგი არ სჭირდება იმ დასკვნამდე მისვლას, რომ ევროსაბჭოს ანსამბლეაზე საქართველოს სახელით ლაპარაკობდა აშკარად შეურაცხადი კაცი, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ დარბაზში ერთი კაციც არ აღმოჩნდა (მათ შორის ჩვენს დელეგაციაშიც), რომელიც წარმოდგებოდა და გალიფრებულ „პრეზიდენტს“ კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა.

დრო გადის.



დასავლეთის მიერ „შემოთავაზებული“ კოჰაბიტაცია დღითი დღე უფრო გვშორდება მირაჟივით.

და ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობის მიზეზით. არ შეიძლება ნაცებს შეგნებული არ ჰქონდეთ თავიანთი მიუტევებელი დანაშაული ქართველი ერის წინაშე, მაგრამ ახლა გულისამრევი ერთად დგომით და უცოდველის ნიღბით მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მათი საბოლოო ლუსტრაციის ვადამ რაც შეიძლება გადაიწიოს.

ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები (თუკი საერთაშორისო ან საკონსტიტუციო სამართალმა მანამდე არ დაადგინა, რომ პრეზიდენტს ვადა ამოეწურა) ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

*28.I.2013 წ.*

## ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა,

როცა მეკითხებიან, შეძლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ჩვენი იმედების გამართლებას, შეძლებს თუ არა იგი დანაპირების შესრულებას, თამამად ვპასუხობ, მან უკვე გაამართლა ჩვენი იმედები, მან უკვე შეასრულა დანაპირები – შავი ჭირი მოაშორა-მეთქი ქვეყნას.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არა თქვენ, ნაცისტურ რეჟიმს ვერავინ ვერცერთი პარტია თუ გაერთიანება, ვერცერთი ახალგამოჩეკილი თუ წაჯექ-უკუჯექობაში გამობრძმედილი პარტიული „ბელადი“ ვერ დაამხობდა.

მადლობა თქვენ, რომ საშუალება მომეცა დარჩენილ ორი დღის წუთისოფელში ჩემი ძალღონე სრულად დავახარჯო ჩემს ქვეყანას და მშვიდად უდრტვინველად ჩავიდე საფლავში.

რას მიქვიან სულსწრაფობა და პრეტენზიებით შეთამამებული კაცის „ქოშის უკუღმა ჰყრა“, შენ სამების ტაძრის ამ-

შენებელმა და ყველა პატიოსანი ქართველისთვის თავშეწირულმა (ნამდვილად თავშეწირულმა), რადგანაც ნაცებს რომ გაემარჯვათ, ხომ წარმომიდგენია, რა დღეში ჩაგაგდებდნენ მე პირადად, რევაზ მიშველაძეს მარჯვენა რომ მომაჭრა, ერთს არ დავიჩივლებ.

ახლა რასაც გირჩევ, კარგად ვიცი, შენ გასიგრძეგანებული გაქვს და ჩემი შეხსენება არ გჭირდება, მაგრამ სულის შეძვრამდე მაწუხებს სურვილი რაღაცით მაინც შეგეწიო და თანადგომა გამოგიცხადო:

1. დარწმუნებული ვარ, შენ ეროვნული ქართული სახელმწიფოსთვის იღწვი. ჩვენი ეროვნული ფენომენის ცხრაწლიანი ფეხქვეშ გათელვის შემდეგ ამის გაკეთება იოლი არ არის, მაგრამ უმორჩილესად გთხოვ, ცდა არ დააკლო, რათა საქართველოს ქართული იერი დაუბრუნო და დასავლური ცხოვრების წესის ბრმა მიმბაძველობა ააცილო.

2. ეცადე, შენი სამშობლო ფეხქვეშ არცერთ იმპერიულ რეჟიმს არ გაუფინო. ნურც ამერიკის ვასალად დავკრისტალდებით და ნურც რუსეთისა, რადგანაც საქართველოსთვის სულერთია მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ტურა.

3. არ შეგაკრთოს „გარდამავალი პერიოდის“ გულისამრევმა ძიგძიგმა და პოლიტიკური ბაგირის გადაქაჩვ-გადმოქაჩვამ. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა უნდა დამთავრდეს. ერი, რომელმაც შენ წინამძღოლად აგირჩია და ნდობა გამოგიცხადა. დღითიდღე უფრო და უფრო ირაზმება შენს გარშემო და თუ საჭირო გახდა შენს პირველსავე დაძახილზე დაიქუხებს. გაიხსენე ნაცმოძრაობის ძალადობრივი მოსვლა ხელისუფლებაში. პარლამენტის მუჯლუგუნით გარეკვის მეორე დღიდანვე სააკაშვილს ხელისუფლების ყველა რგოლი, ყველა უჯრედი ხელთ ეპყრა და აკონტროლებდა. ახლა კი ნაცები გულისამრევად ყელყელაობენ და ფაქტიურად დაკარგული ხელისუფლების დათმობა ეძნელებათ.

4. ვიცი, რა დიდი ზეწოლაა ნაცისტური რეჟიმის დასავლეთელი თუ შინაური დამქაშების მხრიდან, მაგრამ სიმართლისათვის ბრძოლაში ნახევარი ნაბიჯითაც უკან არ დაიხიო. ხომ გახსოვს, ნაცისტური დაჭერები „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში. არც ნატოს და არც ამერიკას დემოკრატიის შუქურა ვარსკვლავბიჭუნასთვის მაშინ ერთი შენიშვნაც არ მიუციათ; შენ კი აგიკლეს შენიშვნებით და ჭკუის დარიგებით. საკმარისია „მეორეხარისხოვან“ დამნაშავეებს დაერიო და „მთავარ ღლავებს“ თვალი მოარიდო, რომ ეს უკანასკნელნი გამარჯვებულად ჩათვლიან თავს. თანაც ისე ნუ ვიზამთ, რომ ღვინის ქურდი მთხლეს გადავაყოლოთ.

5. დაუგვიანებლად უნდა გამოსწორდეს ე. წ. განათლების რეფორმის ყაჩაღური რეციდივები. აღვადგინოთ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან უსამართლოდ, უაზროდ ამოღებული პატრიოტული ნაწარმოებები. მოვაშოროთ სკამებს სააკაშვილის მიერ დანიშნული (და არა არჩეული) წერა-კითხვის მცირემცოდნე „ნაცრექტორები“ (კვიტაშვილი და თევზაძე) და დავაბრუნოთ განათლების სისტემიდან უბოდიშოდ დათხოვილი პროფესორ-მასწავლებლები (რასაკვირველია, ვისაც ამის სურვილი აქვს). დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინოთ ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სააკაშვილის მითითებით გაუქმებული ილიას, აკაკის, გალაკტიონის, გამსახურდიას... სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტები.

6. საღად შევაფასოთ ლტოლვილთა სავალალო მდგომარეობა. შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებამ ათეული წლების განმავლობაში უნამუსოდ ატყუა ლტოლვილები „ღირსეულად დაბრუნების“ მტკნარი სიცრუით. უნდა განვუმარტოთ ყველას, რომ დაბრუნების პერსპექტივა შორეული მომავლის საქმეა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ლტოლვილთა საიმედოდ დასამკვიდრებლად მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.

7. ვიცი, უაღრესად ძნელი საქმეა, სააკაშვილის ნამუდრეგალის გამოსწორება ბიზნესეკონომიკაში. ისიც ვიცი, რომ ყველანი, ვისაც ქონება „ნებაყოფლობით“ წაართვეს ნაცმა ყაჩაღემბა, ახლა ერთბაშად და სწრაფად ითხოვენ ყველაფრის უკან დაბრუნებას. ამ სფეროში სამართლიანობის აღდგენა ასე იოლი როდია, მაგრამ უმორჩილესად გთხოვ,

ძალისხმევა არ მოაკლო ეკონომიკის გამოცოცხლებას და ამ გზით სამუშაო ადგილების გამრავლებას.

8. ვხედავ, როგორ ცდილობ ტარიფების დაწევას და პენსიების გაზრდას.

მოსახლეობა გულისფაცქალით ელოდება შენი მოსვლით გამოწვეულ სიკეთეებს და ტარიფების თუნდაც რამდენიმე თეთრით დაწევას და პენსიების თუნდაც რამდენიმე ლარით მომატებას იგი დიდად დაგიმადლებს, ოღონდ ეს ყველაფერი მოკლე დროში (თუნდაც ნაახალწლევს) უნდა მოხდეს. ამით ჩალას გამოავლებ პირში ყველა ქვებუდანას და მოქილიკეს შენს მომხრეებში იმედგატეხვის სინდრომს რომ ნერგავს.

9. დასაწყისისთვის თუნდაც ერთ-ორ უმაღლეს სასწავლებელში შემოვიღოთ უფასო სწავლა-განათლება და ექსპერიმენტის სახით ზოგიერთი სამკურნალო დაწესებულებაში დავუშვათ უფასო სამედიცინო მომსახურება.

10. საქართველო სააკაშვილის „დამსახურებით“ დედამიწაზე ერთადერთი უეროვნებო სახელმწიფოა. დაუყოვნებლივ უნდა დავაბრუნოთ ეროვნულობის გრაფა სამოქალაქო პირად საბუთებში (პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა...)

11. საშური საქმეა საპარლამენტო საარჩევნო კანონში ცვლილების შეტანა იმ მიმართულებით, რომ არ შეიძლება პარლამენტის წევრად არჩეულ იქნას მოქალაქე, ვინც არ იცის სახელმწიფო ენა (ქართული). რა კანონშემოქმედებითი მუშაობა უნდა გასწიოს საქართველოს პარლამენტში ქართულის არმცოდნე წევრმა.

12, აღდგენილ იქნას სახელმწიფო კანცელარიაში და მერიაში პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს (1918-1921 წ.წ.) დროს არსებული ქართული ენის კომისიები. თუ ეს კომისია დასტურს არ მისცემს იმის შესახებ, რომ მავანმა იცის ქართული ენა, მისი დანიშვნა საჯარო სამსახურში დაუშვებელია.

13. დიდებულია შენი სწრაფვა სოფლის მეურნეობის აღდგენის მიმართულებით. გარდა შენი კეთილი ნებით გამოყოფილი მილიარდიანი სუბსიდიისა, საჭიროა ხალხის ენერგიული ძალისხმევაც. ყველამ უნდა დავიკაპიწოთ ხელი და ვუშველოთ სოფელს. იქნებ აღვადგინოთ შაბათობების და შაბათ-კვირას ქალაქებიდან სოფლად გასვლის პრაქტიკა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად.

14. კარგად მოგეხსენება ჩვენი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად ხელოვანების თანადგომა აუცილებელია. საჭიროა შემოქმედებითი კავშირების აღდგენა თავის სტატუსში და შემოქმედებითი კავშირების წევრებისთვის თუნდაც სიმბოლური სტიპენდიის დანიშვნა.

15. საჭიროა მიაპყრო შენი კეთილი თვალი შენს მიერ მკვდრეთით აღდგენილ და გადარჩენილ თეატრებს, კინოსტუდიებს, სახელოვნებო სკოლებს, ანსამბლებს...

16. შენი ხელისუფლების ღირსების საქმედ მიმაჩნია, აგრეთვე აღუდგინოთ დაფინანსება ავტორიტეტულ ლიტერატურულ გამოცემებს – „მწერლის გაზეთს“, „ცისკარს“, და „მნათობს“. მოგეხსენებათ, ამ ჟურნალ-გაზეთებმა მთელი თაობები აღზარდეს ჰუმანური სულისკვეთბით, გააღვივეს მათ სულში კეთილი ნება და მრავალმილიონიან მკითხველს აუმაღლეს გემოვნება.

17. კულტურის მინისტრმა შენი ხელდასხმითა და დავალებით პირობა მოგვცა, რომ მწერალთა კავშირს ამ დღეებში დაუბრუნებს 2007 წლის 21 აგვისტოს სააკაშვილის მიერ უმოწყალოდ დარბეულ და ზონდერბრიგადის გამოყენებით ყაჩაღურად წართმეულ სასახლეს, რომელიც მეცენატ სარაჯიშვილის და ქველმოქმედ ხოშტარიას ნებით 1921 წელს რევკომ შალვა ელიავას ბრძანებით მუდმივ სარგებლობაში გადმოეცა მწერალთა კავშირს.

გულწრფელი მადლობა შენ საქართველოს მწერალთა კავშირის 475 წევრის სახელით.

18. ადრეც გთხოვეთ და ახლა მოკრძალებით გაგიმეორებთ, რომ იქნებ მოიცალოთ და როცა ამის საშუალება გექნებათ, ქართულ კულტურისადმი თქვენი გულთბილი ყურადღება დააგვირგვინოთ კიდევ ერთი კეთილი საქმით: რუსთაველის პროსპექტზე გახსნათ „რუსთაველის სახლი“, რომელშიც გან-

თავსდება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა და გაიყიდება რუსთაველის გენიალური პოემა სხვადასხვა ენაზე.

მარად თქვენი დიდი ეროვნული საქმეების მხარდამჭერი

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

*15.XII.2012 წ.*

## სანამ პეტრე მოვიდოდა...

მსოფლიო ჯერ არ მოწესრიგებულა ისე, რომ ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებლად, თავისუფლად არსებობა შეეძლოს და მისთვის სასურველი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის განხორციელების საშუალება ჰქონდეს.

და ალბათ კარგა ხანს არ მოწესრიგდება.

გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ, ე.წ. „პატარა სახელმწიფოები“ დიდ სახელმწიფოთა ნებას უნდა დავემორჩილოთ და ამა თუ იმ მსოფლიო დაჯგუფების უბეში შევყოთ თავი.

ნუთუ გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს?

ბოლო საუკუნეების საქართველოს სვე-ბედიდან გამომდინარე, მე პირადად გადარჩენის სხვა შანსს ვერ ვხედავ.

თეორიულად ხომ მომხიბვლელია ნეიტრალიტეტის იდეა, მაგრამ რომელი სახელმწიფოა დედამიწაზე აბსოლუტურად ნეიტრალური?

იქნებ შვეიცარია?

ხომ დამეთანხმებით, რომ მსოფლიო დღეს ორპოლარულია: ორი სახელმწიფო – პოლიტიკური სამყარო დგას ერთმანეთის პირისპირ: ამერიკა (დასავლეთევროპითურთ) და რუსეთი. ეს ორი ზესახელმწიფო გაუთავებლად არკვევს ერთმანეთში ურთიერთობას ხან იარაღის ჟღარუნით, ხან კი გავლენის სფეროების ჯერ კიდევ მძლავრი ბაგირის გადაქაჩვ-გადმოქაჩვით.



გონების თვალით თუ შევხედავთ, ამ ორი ნაპირიდან რომელ ყურეშია საიმედოდ შეყუჟული „ნეიტრალური შვეიცარიის“ ნავი?

რა თქმა უნდა, არა რუსეთის.

საქართველოს ნეიტრალიტეტის დაჟინების გზაზე შვეიცარიაზე ბევრად უარესი პერსპექტივა აქვს.

დახედეთ ჩვენს ამ ბოლო დროს სავალალოდ დაფლეთილ და შეკრეჭილ-შემოკრეჭილ პოლიტიკურ რუკას.

ნაკლებსავარაუდოა, მაგრამ ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: რუსეთმაც და ამერიკამაც პილატესავით ხელი დაიბანეს საქართველოზე; რა მოხდება?

ის მოხდება, რომ „კავკასიის მარგალიტის“ – საქართველოს ხელში ჩაგდებას ერთდროულად შეეცდება ჩვენი ორი „ნაცადი მეზობელი“ – თურქეთი და სპარსეთი.

თურქეთის და სპარსეთის ცარცის წრეში მოხვედრილ, გასახლეჩად განწირულ საქართველოს ტურებივით დაესევიან ეთნო-რელიგიურად ჩვენგან აბსოლუტურად განსხვავებული, არც თუ მაღალი, კულტურის მქონე ჩრდილოკავკასიელი ტომები და თავის მხრივ ხორცის მსუყე ნაჭრის ხელში ჩაგდებას შეეცდებიან. ჩვეულებრივი დაუნდობლობით დაიწყებენ ქართული სისხლის ხვრეპას ჩვენს მიერ გამოგონილი და ჩვენსავე უბეში გამოზრდილი „საყვარელი სტუმრები“...

და საქართველო ჩვენს თვალწინ ხელდახელ გათავდება.

ყოველგნით ხელაღუპყრობელი რუსთაველის ქვეყანა ყვავ-ყორნების საჯიჯგნად იქცევა.

ამჟამად საკითხი ასე დგას – ამერიკა ან რუსეთი, მაგრამ მაინც რომელი? ვის გვერდით დგომა უფრო მომგებიანია სამომავლოდ საქართველოსთვის?

ცხელგონებიანი დიპლომატ-ექსპერტის კი არა, დინჯი დამკვირვებლის ცივი გონებით განვსჭვრიტოთ ვითარება:

რუსეთმა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაიბარა საქართველოს ბედ-იღბალი.

და რა გააკეთა?

ოციოდე წელიწადში საქართველოში მეფობა გააუქმა, ე.ი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა მოშალა და მფარველობის მომლოდინე ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.

ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და ათასწლოვანი ქართული ეკლესია-მონასტრები ცინიკურად შებღალა, უძველესი ფრესკები კირით შეთითხნა.

მარწუხები შემოაჭდო ქართული ეროვნული ფენომენის ყოველგვარ გამოვლინებას – ქართველებს სახელმწიფო ენად რუსული დაუწესა და „შვილზე“ თუ „ძეზე“ დამთავრებული გვარები რუსული დაბოლოვებით შეუცვალა (მაგ. ბარათაშვილი – ბარათოვი გახდა და ა.შ.).

რაც მთავარია, რუსეთთან დაახლოვების გამო განაწყენებული საქართველოს „ძველი პატრონების“ შემოტევის დროს რუსმა გადამწყვეტ ბრძოლაში არაერთგზის უგანა საქართველოს და გამძვინვარებულ მტერს მუხანათურად შეატოვა.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით რუსის ხმალმა წართმეული ტერიტორიების ნაწილი ფორმალურად დაუბრუნა საქართველოს. „ფორმალურად“ იმიტომ ვთქვი, რომ ბათუმის ოლქი და სამცხე-ჯავახეთის ნახევარი რუსმა საქართველოს კი არა, რუსეთის იმპერიას შეუერთა. საქართველო კი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მაშინ კი არა, მერეც (სსრკ-ის შემადგენლობაში) კარგა ხანს არ არსებობდა. ასე, რომ ღრმად ცდებიან ისინი, ვინც რუს ჩინოვნიკებს და ისტორიკოსებს თავიანთ მონაჩმახში, აქაოდა, საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჩვენ აღვუდგინეთო, კვერს უკრავენ. რუსმა საქართველოს დამოუკიდებლობა კი არ აღუდგინა, არამედ ყაჩაღურად სამჯერ წაართვა: 1801 წელს, 1921 წელს და 1993 წელს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ უკანასკნელ წლებში?

რუსეთი არა და არ ეგუება დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს არსებობას.

შორს რომ არ წავიდეთ, ბოლო ჩვიდმეტი წლის მანძილზე საქართველოს წინააღმდეგ რუსულ აშკარა თუ ფარულ პროვოკაციებს დასასრული არ უჩანს:

ხან საქართველოს საჰაერო საზღვარს არღვევს და საქართველოს ტერიტორიებს ბომბავს (პანკისი, თუშეთი...), ხან საქართველოს მაღალი ძაბვის ბოძებს და გაზსადენებს უფეთქებს, ხან სავიზო მიმოსვლას უწესებს (და ბოლოს იმასაც აუქმებს), ხან რუსეთის ბაზარზე ქართული ნედლეულის შეტანას კრძალავს და ამ ემბარგოთი ქართულ ეკონომიკას ყელში უჭერს ხელს, ხან რუსეთის ტერიტორიაზე ქართველ მოქალაქეებს იჭერს და სრულიად განუსჯელად საბარგო თვითმფრინავებით ნახირივით გზავნის საქართველოში. ამითაც რომ ვერ აჩოქებს ურჩ საქართველოს, 2008 წლის 8 აგვისტოს ომის გამოუცხადებლად მუხანათურად თავს ესხმის და როკის გვირაბით 2000 ტანკი შემოჰყავს, რათა წაღმაუკუღმა გადახნას იგი. საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურების შემდეგაც ვერ იოხებს რუსი თავის მძვინვარე გულს და ტანკებს თბილისისკენ დაძრავს, მაგრამ მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის აქტიური ზემოქმედების შედეგად ტანკებს თბილისიდან 25 კილომეტრში შეაჩერებს და მის მიერ 1993 წელს ოკუპირებულ ტერიტორიებს ამჯერად 160 ქართულ სოფელს ანუ მთელს სამაჩაბლოს, შუა ქართლის ნახევარს და მთლიანად კოდორის ხეობას უმატებს.

ახლაც როცა ეს სტრიქონები იწერება (ანუ 2010 წლის ოქტომბერში) რუსეთი უტიფრად განაგრძობს საქართველოს მცოცავ ანექსიას, თითქმის ყოველდღიურად გადმოაადგილებს საქართველოსკენ ე.წ. „სასაზღვრო ნიშნულებს“ და გამალებით განაგრძობს ოკუპირებულ ქართულ მიწებზე სამხედრო ბაზების მშენებლობას.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პარპაშის ორასზე მეტი წლის მანძილზე ჩვენ რუსული ხიშტისგან არავითარი სიკეთე არ გვახსოვს, ხოლო 1993-2008 წლების სადამსჯელო ექსპედიციებით და ქართველ სამშობლოს დამცველთა უმოწყალოდ დაღვრილი სისხლით რუსეთმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი ნამდვილი მეგობარი და შემწე კიდევ კარგა ხანს ვერ იქნება.

რუსული გავლენის სფეროში ყოფნა საქართველოსთვის დღეს სხვა არაერთი ნიშნითაც გახლავთ წამგებიანი.

ჯერ ერთი ეს ნიშნავს უკან, მოდერნიზებული იმპერიის, ახალი სსრკ-ის წიაღში დაბრუნებას და უნებლიე ხელშეწყობას იმისთვის, რომ რუსეთს კვლავ გაეხსნას მადა ახლო მეზობლების დამონებისთვის.

მეორეც – რუსულ კოალიციაში საქართველოს დაეკარგება ის საერთაშორისო ავტორიტეტი, რაც მან უკანასკნელი წლების განმავლობაში მოიპოვა და რაც მთავარია, დაეკარგება დასავლეთის თანაგრძნობა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსეთი დღეს მიჩნეულია ყველაზე არადემოკრატიულ სახელმწიფოდ და მისი უტიფრული დამოკიდებულება საერთაშორისო კანონებისა თუ საერთაშორისო დიპლომატიური ინსტიტუტებისადმი ზოგჯერ გაოცებას და უფრო ხშირად აღშფოთებას იწვევს კეთილი ნების მსოფლიოს გულში.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკონომიური ფაქტორიც.

შორს რომ არ წავიდე, ერთ თვალსაჩინო მაგალითს დავასახელებ.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ათწლეულში სომხეთი რუსეთის გავლენის სფეროში დარჩა, საქართველომ კი დაბეჯითებით და ღონივრად გაიწია ამერიკისკენ.

რა მიიღო სომხეთმა და რა მიიღო საქართველომ პოლიტიკური ორიენტაციის გზაგასაყარზე?

რაკიღა რუსეთი ამერიკასთან შედარებით საკმაოზე მეტად ღარიბი ქვეყანაა, თანაც რუსეთის ხელისუფლების ტრადიციული სიძუნწე საყოველთაოდაა ცნობილი, რუსეთის ეკონომიური სიდუხჭირე მის დღევანდელ სატელიტზეც აისახა.

შეუიარაღებული თვალიც შეამჩნევს, რომ სომხეთში იმის მეათედი ახალმშენებლობები არ მიმდინარეობს, რაც საქართველოშია. მიუხედავად რუსული ბაზრის კეთილი ნებისა (სომხეთის მიმართ) სომხეთის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა ერთ ადგილზე გაიყინა. სომხეთში მძვინვარებს უმუშევრობა და სიძვირე. თქვენ წარმოიდგინეთ, სავალალო მდგომარეობაშია სომხეთის სატრანსპორტო განვითარება. ავტომანქანების 76% სომხეთში გაზზე მუშაობს, რადგანაც ქვეყანაში ბენზინი არ არის. გზები თითქმის ცარიელია. ქალაქში კანტიკუნტად მოძრაობენ მანქანები და უმეტესობა მათგანი ძველი, საბჭოური წარმოებისაა.



მართალია სომხეთმა პოლიტიკური ორიენტაციის რუსული გადაწყვეტის შედეგად მიიღო ფიზიკური გადარჩენა მისკენ ავად მზირალი აზერბაიჯანულ-თურქული თვალისგან (ყარაბაღის გამო!), მაგრამ სამაგიეროდ რუსული ჩექმა (ყველა თავისი შედეგით) მას ართმევს უფლებას მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების ფერხულში ჩადგეს.

საქართველომ ამერიკისგან და ევროკავშირისგან ამ ბოლო წლებში მილლიარდ-დოლარიანი დახმარება მიიღო. ოფიციალური „დახმარების“ (ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ნახევარზე მეტი სესხის სახით მოგვეცა) გარდა ამისა, ჩვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა საქართველოს მიაწოდეს ახალი ტექნოლოგიები, გზა გაუკვალეს ინვესტიციებს, დაგვეხმარნენ ლტოლვილთა თავშესაფრების აგებასა და გზა-ხიდების მშენებლობაში.

რა დასამალია და საქართველოს ინფრასტრუქტურა ერთბაშად შეიცვალა უკეთესობისკენ.

ახლა იმის თქმის დროც მოვიდა, რომ ამერიკასთან დამეგობრებისა და ნატოსკენ სწრაფვის საფასურად ჩვენ მივიღეთ 2008 წლის 8 აგვისტო.

ავწონ-დავწონოთ ჩვენი ამერიკული ორიენტაციის სიკეთე-სიმრუდენი.

სომხეთს ერთი მტკაველი მიწა არ დაუკარგავს, საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის მესამედი და 40 ათასზე მეტი მოქალაქე, ხოლო ოთხასი ათასი მშვიდობიანი მცხოვრები ლტოლვილად იქცა.

დასკვნისთვის ვარდუა მკითხავთან მისვლა არ დაგვჭირდება.

ვერავითარი გზები და ახალმშენებლობები ვერ გადასწონის საქართველოს დანაკლისს. ვერავითარი მილიარდებით ვერ დაიბრუნებ სამშობლოს დამცველი ბიჭების სიცოცხლეს, ისტორიული მიწის ერთ მტკაველად არ ღირს ამერიკის მიერ გამოწვდილი ფულიან-პროდუქტიანი ხელი.

თუ სომხეთს სხვა გზა არ ჰქონდა, არც ჩვენ დაგვიტოვა „რუსმა ძმამ“ სხვა გზა, გარდა დასავლური ორიენტაციისა, რადგანაც თუ სახელმწიფოებრიობის აღდგენა და დამოუკიდებლობა გვსურდა სწორედ რუსეთისთვის ხელის დაქნევის და დასავლეთისკენ შებრუნების გზა უნდა აგვერჩია.

ამ „არჩევანისთვის“ რუსეთმა დიაღაც რომ გაგვამწარა.

ეს გზა ჩვენთვის გოლგოთის გზა აღმოჩნდა.

ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ორი სამამულო ომი გადავიტანეთ ჩვენს ყოფილ „ძმასთან“. ასმილიონიან მონსტრთან სამმილიონიანი ერის ომი რომ მცირე ერის კატასტროფით დამთავრდებოდა დასაწყისშივე ცხადი იყო.

მიკვირს, საერთოდ როგორ გადავრჩით.

ამ ომებმა დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხა გამოიწვია ქართველ ერში.

ერთის მხრივ ჩვენ ერთბაშად გამოვფხიზლდით, ორასწლიანი თვლემის შემდეგ ხმლის ვადისკენ წავიღეთ ხელი და ქვეყნის დაცვას შევუდექით.

მეორეს მხრივ მოთმენის უნარი შევიძინეთ, თუმცა მოთმენის უნარმა უნაპირო ლოდინში არ უნდა გადაგვიყვანოს.

შეგნება იმისა, რომ თუ სახელმწიფო ხარ, ან სახელმწიფოობას აპირებ, ოკეანისგაღმელი მამიდის იმედად არ უნდა დარჩე და შენს თავს შენ უნდა მიხედო, ცუდი როდია, მაგრამ საქართველოს აქვს უფლება ერთგულების სანაცვლოდ ამერიკისგან დანაპირების შესრულება მოითხოვოს და ეს საქმე შორეული მომავლისთვის არ გადადოს.

რა არის ეს დანაპირები?

ქმედითი ზომების მიღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ამერიკა რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტის როლს შეასრულებდა, ეს შეთანხმება მკაფიო მინიშნებით (და არა პირდაპირ) ჩაიდო პარლამენტის მიერ 2002 წელს მიღებულ კანონში, როცა ქართულმა მხარემ ამერიკელ სამხედრო პირებს საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ და უკონტროლოდ შემოსვლის ნება დართო. უფრო



მეტიც, 2009 წელს ხელი მოეწერა ამერიკა-საქართველოს სამხედრო ურთიერთთანამშრომლობის ქარტიას, სადაც პირდაპირაა მითითებული, რომ მხარეები, თუ საჭირო გახდა, იარაღის ძალითაც დაიცავენ ერთმანეთის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ვერ დავუკარგავ, ამერიკა განცხადება-რეზოლუციების დონეზე მხარს უჭერს საქართველოს და მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას ენერგიულად უსვამს ხაზს.

ბოლო დროის რამდენიმე მაგალითს დავასახელებ:

2010 წლის 24 ივნისს ამერიკაში მედვედევის ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ობამამ ცოტა დრო როდი დაუთმო სტუმრის დარწმუნებას იმაში, რომ საჭირო იყო მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შესრულება და რუსული ჯარის გაყვანა საქართველოდან. ამ მოთხოვნაზე მედვედევმა ობამას სრულიად დაუსაბუთებელი, მაგრამ კატეგორიული, უკმეხი უარით უპასუხა.

მაშინ ობამამ ტაქტიკურად დაიხია უკან და იქნებ ჩვენი მოლაპარაკების თუნდაც მცირე პროგრესს მაინც მივაღწიოთო, მედვედევს უთხრა – კარგი, ჯარის გაყვანის და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი დროებით გადავდოთ, ორ, არც თუ პრობლემურ საკითხზე მაინც შევთანხმდეთ; 2008 წელს გამოდევნილი ლტოლვილები დააბრუნე თავიანთ სახლებში და გაეროს დამკვირვებლები შეუშვი კონფლიქტურ ზონებშიო. მედვედევმა უპასუხა, თუ შეიძლება მოფიქრება-განსჯისთვის შესვენება გამოვაცხადოთო. ორი საათის შემდეგ კი (ალბათ პუტინთან მოლაპარაკების შედეგად) მედვედევმა ამ ორი საკითხის გადაწყვეტაზეც ობამას უარით უპასუხა.

ჩანს, ამ არაკოლეგიალურმა, პოლიტიკურად უტიფრულმა უარმა ფრიად გაანაწყენა ობამა და ცოტა ხნის შემდეგ მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს.

ამერიკის პრეზიდენტის ამ განცხადებამ მსოფლიოს პრესა მოიარა, რუსეთის პრეზიდენტმა კი ყურიც არ შეიბერტყა.

2010 წლის 5 ივლისს საქართველოში ვიზიტის დროს

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გაიმეორა პრეზიდენტ ობამას ნათქვამი და ხაზგასმით წარმოსთქვა ფრაზა: „რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია“.

თითქოს გაუგონარი რამ მოისმინაო, რუსეთის საგარეო სამინისტრო მაშინვე გამოეხმაურა ჰილარი კლინტონის განცხადებას და ამერიკის მხარეს ურჩია რუსეთისთვის „ოკუპანტობის“ დაბრალებისგან თავი შეეკავებინა.

2010 წლის აგვისტოს დასაწყისში გაერომ მიიღო ახალი, 39-ე რეზოლუცია საქართველოს საკითხზე, რომელშიც ამჯერადაც (უკვე მეოთხედ) მიღებულია გადაწყვეტილება ყველა ლტოლვილის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობოდ დაბრუნების შესახებ.

ეს რეზოლუციაც, როგორც გაეროს სხვა რეზოლუციები შეუსრულებლობისთვის განწირული აღმოჩნდა.

2010 წლის 6 ოქტომბერს ამერიკა-საქართველოს „ქარტიის“ ფორმატში საქართველოს პრემიერ მინისტრ გილაურის და ჰილარი კლინტონის კონფიდენციალური შეხვედრის დროს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა კატეგორიულად მოსთხოვა რუსეთს შეეწყვიტა საქართველოს ოკუპაცია და გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან.

...მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებია. საქმე?

საქმე კი ის გახლავთ, რომ რუსეთი მთელ მსოფლიოში ავრცელებს საქართველოს პოლიტიკურ რუკებს, რომელზეც ჩვენს ქვეყანას წაჭრილი აქვს ისტორიული მკვიდრი მიწა – შავი ზღვისპირეთი – აფხაზეთი და ამოჭრილი აქვს გული, შიდა ქართლი – სამაჩაბლო.

რუსეთი ყველა საერთაშორისო შეთანხმების და სუვერენულობის მსოფლიო კანონების აშკარა იგნორირებით ძველებურად განაგრძობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობას და ქართველთა უმოწყალო გენოციდს.

საქართველოს რომ სამხედრო ძალით რუსეთის დამარცხების შანსი არ გააჩნია და ალბათ, არც არასოდეს ექნება, ეს საკამათო არ არის და ძალისმიერი მოქმედებისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი რომ საქართველოს კისრის მოტეხვით და ახალი ტერიტორიების წართმევით დამთავრდება, ესეც ცხადზე ცხადია.



რუსეთისთვის იმპერიული ხელების დასამოკლებლად რჩება ორი გზა. პირველი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობის გაერთიანებული ძალებით რუსეთის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე ელვისებური დარტყმის განხორციელება (ისე რომ მშვიდობიანი მოსახლეობა არ გაიჟლიტოს) და ამ გზით ერთხელ და სამუდამოდ ჭკუის სწავლება რუსეთისათვის. მეორე: ეკონომიური ბლოკირებით თანდათანობითი მოშლა რუსეთის სამრეწველო-სამეურნეო სახსრებისა და მერე საბჭოთა კავშირის მსგავსად რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური დაშლა ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებად.

პირველი გზა თითქმის უტოპიურია და მსოფლიოს ბედისთვის არასასურველი. რუსეთი ატომური და წყალბადის ბომბის მფლობელი გახლავთ. იგი სიკვდილის წინ საშინელი ატომური ამოხველებით, სულ ცოტა, დედამიწის მოსახლეობის მესამედს თან გაიყოლიებს. ეს ამერიკამ და ბებერმა ევროპამ კარგად იციან. რუსეთმაც იცის, რომ ამის შესახებ დასავლეთს კარგად მოეხსენება და ამიტომაც გახლავთ თავგასული. ასე განსაჯეთ, რუსეთმა ხვალვე რომ შეიყვანოს ტანკები პარიზში, აქტიურ სამხედრო წინააღმდეგობას არ წააწყდება. რუსეთისთვის აშშ-ის და ნატოს სამხედრო დაპირისპირება ნიშნავს მსოფლიო ომის დაწყებას. მსოფლიო კი რუსეთის გამოკლებით, საკმაოდ ჭკვიანია იმისათვის, რომ გავეშებულ-გამხეცებულ სკვითს ეიფელის კოშკი, ტაუერი და ნიუ-იორკის ცათამბჯენები არ დაანგრევინოს.

მეორე გზა – რუსეთის ეკონომიკური კოლაფსი უფრო რეალური ჩანს, მაგრამ იგი დროის გრძელ მონაკვეთზე გათვლილი პროცესია და ილაჯგაწყვეტილი საქართველოსთვის დიდი ვერაფერი ნუგეშია. საქართველო ხომ მტაცებელი რუსის „ზრუნვით“ სულს ღაფავს და დღითიდღე შაგრენის ტყავივით პატარავდება. თანაც არავინ იცის მოვლენები როგორ განვითარდება. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. მართალია, დღესდღეობით ამერიკას გააჩნია რუსე-

თის ეკონომიკური დამხობის ბერკეტები, მაგრამ თუ ამერიკა გაუბედაობის პოლიტიკას გააგრძელებს და ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, ხვალ იქნებ გვიან აღმოჩნდეს. ყოველთვის როდი იქნება ამერიკა მსოფლიოს პოლიტიკური და ფინანსური ჰეგემონი. აგერ ახლოს, დევის მართვესავით სწრაფად იზრდება, საეჭვოდ ქშინავს და თავის კანში ძლივს ეტევა ჩინეთი, რუსეთს ამერიკასთან შედარებით სამჯერ მეტი გეოგრაფიული სივრცე და აუთვისებელი წიაღისეული სიმდიდრე აქვს და, თუ ამ ორ გარემოებას დავუმატებთ ამერიკისკენ ზიზღით მიმართულ მრისხანე თვალებს მსოფლიოს არაერთი მუსულმანური ქვეყნისას (სპარსეთის მეთაურობით), დამერწმუნეთ, მომავლის სურათი იქნებ არც თუ სახარბიელო აღმოჩნდეს ამერიკისთვის.

არსებობს თუ არა გამოსავალი ამ თითქმის მოჯადოებული წრიდან?

იქნებ ამერიკას და დასავლეთს აგორებული რუსული კასრის შესაჩერებლად არავითარი საშუალება-ბერკეტები აღარ გააჩნია?

იქნებ განწირულია მსოფლიო პოლიტიკური ხულიგნის – რუსეთის პარპაშისათვის?

იქნებ „გიჟი თავისუფალიას“ იძულებით პოლიტიკას უნდა დაადგეს მსოფლიო თავგასული რუსეთის მიმართ?

საბედნიეროდ, ასე არ არის.

ამერიკას ხელთ უპყრია რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიური დათრგუნვის რეალური ბერკეტები, თუ იგი ამ ბერკეტებს დროულად და გაბედულად გამოიყენებს.

სახელდობრ:

ა) საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება იარაღის გაყიდვა გახლავთ. რუსეთი ყიდის და ყიდის თანამედროვე სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ მოძველებულ იარაღს. თანაც ახალი თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნის ფრიად მოკრძალებული საშუალებები გააჩნია. რუსეთის შეიარაღების თანამედროვე მასშტაბები თავდაცვით ტექნიკის სიახლის თვალსაზრისით ამერიკისას თითქმის 80%-ით ჩამორჩება. ამერიკას ძალუძს თავისი შედარებით ახალი იარაღი შედარებით იაფად შესთავაზოს რუსული იარაღის მუშტრებს და ამ გზით რუსეთი თანდათან გამოაძევოს იარაღის ბაზრიდან. ეს კი უძლიერესი დარტყმა იქნება რუსეთის ეკონომიკაზე.

ბ) ამერიკას შეუძლია რუსეთზე იმოქმედოს მსოფლიო ბანკის საშუალებით. ცნობილია, რომ რუსეთი საკმაოზე მეტადაა მიბმული მსოფლიო ბანკზე. თუ დღესდღეობით ამერიკა საერთაშორისო სესხებით დიდსულოვნად უტოვებს ფინანსურ საჰაეროს რუსეთს, ერთ მშვენიერ დღეს საკმარისია ფინანსურმა ბანკმა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მომიზეზებით ჯიბის დამოკლების პოლიტიკას მიმართოს, რომ მანეთი სწრაფად გაუფასურდება, ხოლო მსოფლიოს ოლიგარქები (რომელთა უმეტესობა რუსეთის მოძულე ებრაელია) თითქოს ნიშანი მისცესო, რუსეთის ფინანსურ სისტემაზე წერტილოვან დარტყმებს განახორციელებენ (როგორც ეს სსრკ-ის უკანასკნელ წლებში გააკეთეს) და მალე რუსეთის ტრაბახა ხელისუფალთ მშრალზე დასვამენ. მე შენ გეტყვი, ოქროს იმდენი მარაგი აქვს რუსეთს რომ მანეთს გამძლე ბალავრად შეუყენებს.

გ) რუსეთის მრეწველობის განვითარების სუსტი წერტილი ახალი ტექნოლოგიების მოპოვება-ათვისებაა. ახალი ტექნოლოგიებით ამერიკა, იაპონია და ევროპა დიდად უსწრებენ რუსეთს. რუსეთი დასავლეთის ტექნოლოგიური ნაფცქვენებით საზრდოობს, ან „ველოსიპედს ხელახლა იგონებს“, დასავლეთი დაუკეტავს რუსეთს ახალი ტექნოლოგიების შედინების ჭიშკარს, რუსეთი ტექნიკური განვითარების ჩიხში აღმოჩნდება და განწირული იქნება რგოლში მოტრიალე ციყვის მდგომარეობისთვის. რაც რუსეთს კავის რუსეთისკენ შეაბრუნებს.

დ) რუსეთიდან „თავების გადინების“ პროცესი კარგა ხნის დაწყებულია. საჭირო მეცნიერული ბაზების – კაბინეტებისა და ლაბორატორიების, რაც მთავარია, ფინანსური სახსრების უქონლობის გამო ცნობილი მეცნიერები რუსეთიდან გარბიან. თუ ამ პროცესს დასავლეთი კიდევ უფრო გააა-

ტიურებს, რუსეთი მეცნიერული გაყინვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ე) ცნობილია, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური რღვევა კარგახნის დაწყებულია. რუსეთი ყოველთვის იყო ხალხთა საპყრობილე, იმპერიულად შემართული, მაგრამ შინაგანად ფუყე სახელმწიფო. სხვადასხვა ერების დაპყრობა-დამონების გზით შეკოწიწებულ რუსეთს ყოველთვის ჰქონდა შინაგანი დისკომფორტი მისი ცალკეული „ნაწილების“ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის გამო. ეს სწრაფვა განსაკუთრებით გააქტიურდა და მიზანმიმართული გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული და მის მიერ იარაღით მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (აფხაზეთი, სამაჩაბლო) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. ამ ვითარებამ სტიმული მისცა ფედერაციის ცალკეულ „სუბიექტებს“ პრეტენზია გამოაცხადონ დამოუკიდებლობაზე და თავი დააღწიონ რუსულ უღელს. ეს პროცესი აღარ შეჩერდება, მაგრამ კარგს იზამს ამერიკა, თუ ჩეჩენი, დაღესტნელი, ყაბარდოელი და სხვა ხალხების კანონიერ მოთხოვნებს უფრო ქმედითად დაუჭერს მხარს.

ვ) ევროპაზე რუსეთის ზემოქმედების ერთადერთი ბერკეტი ენერგომატარებლებზე გადის. ევროკავშირის აუხსნელი პოლიტიკური სიმორცხვის და ნატოს გაუბედაობის (საქართველოს რომ მაპის სათამაშო ბურთს კატასავით ცხვირწინ უგორებს) უმთავრესი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ რუსეთს შეუძლია ევროპას გაზი გადაუკეტოს. თუ დასავლეთი გააასკეცებს ძალებს ევროპისათვის ენერგეტიკული წყაროების მოპოვების მიმართულებით (ნაბუკო, სამხრეთ-აღმოსავლეთის გაზსადენი...) ევროპა უფრო გულმოცემული შეუდგება ევროკავშირის და ევროპარლამენტის ახალი რეზოლუციებით რუსეთის ადგილზე მოსმის პოლიტიკას.

ზ) დასავლეთმა უნდა გააააქტიუროს ჰააგის და სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოები, რათა რუსეთის ხელისუფლებამ პაუხი აგოს მის მიერ უკანასკნელ წლებში კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთათვის.



თ) ამერიკამ არ უნდა მიაჩუმათოს ის სასაზღვრო-სადავო პრობლემები, რაც რუსეთს იაპონიასთან (კურილიის კუნძულები), ჩინეთთან, კორეასთან და ვიეტნამთან გააჩნია.

ი) საკმაოდ ხელსაყრელი საშუალებაა რუსეთთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის მსოფლიოს სავაჭრო ანსამბლეაში რუსეთის მიღების პრობლემა. ცნობილია, რომ რუსეთი თხუთმეტი წელია ისწრაფვის ამ ორგანიზაციაში შესასვლელად, მაგრამ საკითხს საქართველო ბლოკავს და სწორადაც იქცევა. დასავლეთს შეუძლია ამ პრობლემის დადებითად გადასაწყვეტად რუსეთს საქართველოს სასარგებლოდ ზოგი რამ დაათმობინოს, რასაც ამერიკა რატომღაც არ აკეთებს.

კ) დასავლეთს შეუძლია საქართველოს ურჩიოს, რაკიღა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი უსაშველოდ ჭიანურდება, კვლავ გადაკეტოს ლარსის გამშვები სასაზღვრო პუნქტი, რითაც რუსეთს საშუალება წაერთმევა ჰქონდეს სამანქანო გზა სომხეთისკენ. ეს გარემოება კი სომხეთს ეკონომიკურ მარყუჟს შეუქმნის. რუსი იძულებული გახდება სომხეთის მოხრჩობის სანაცვლოდ საქართველოს 2008 წელს წართმეული ტერიტორიები მაინც დაუბრუნოს.

ლ) ამერიკას თავისუფლად შეუძლია რუსეთს გაუაქტიუროს საგარეო ვალები და ამით იძულებული გახადოს მედვედევი ნახევარ ფასად გაყიდოს რუსეთის წიაღისეული. რუსეთის წიაღისეულის ხელში ჩაგდებით დასავლეთი იოლად შეძლებს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დააჩოქოს რუსეთი.

მ) თუ საქართველოს შველის სურვილი აქვს, აშშ არ უნდა დაელოდოს, როდის მოუვა თავში საქართველოს წინააღმდეგ ხელახალი პროვოკაციის წამოწყება რუსეთს (რაც შეიძლება თბილისის მეყვსეული დაბომბვითაც კი დამთავრდეს), იქნებ საქართველოს ფიზიკური შველის საბაბით, როგორც ამას საქართველო-ამერიკის ქარტია ითვალისწინებს, ამერიკამ ორი ბატალიონი მაინც ჩააყენოს დროებით საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების საპირწონედ.

ნ) და ბოლოს, თუ სამხედრო ძალის საქართველოში განლაგება ამერიკას მსოფლიოს თვალში თავის დემოკრატიულ

ჩინ-ტემლაკებს გაუუფერულებს (ავღანეთი?! ერაყი?!) იმას მაინც რა უდგას წინ, რომ თავისი მიწის თვითეული მტკაველისთვის მებრძოლ ქართველებს პარტიზანულ ბრძოლაში მაინც გაუწიოს კულისებს მიღმა დახმარება?

არცერთ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ბერკეტს ამერიკა აქტიურად, ქმედითად არ იყენებს, თორემ მსოფლიო აქამდე გაცილებით უფრო დემოკრატიული გახდებოდა, რუსეთი თავის ადგილზე მოჯდებოდა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც ეშველებოდა.

დრო კი უმოწყალოდ გარბის.

გაჭიანურებული ლოდინის და ხელსაყრელი მომენტის შერჩევის ანუ „თეთრი დათვის ჩაძინების“ პოლიტიკით ამერიკა შეცდომას შეცდომაზე უშვებს:

წინდაუხედაობით და რეალობის გაუთვალისწინებლობით ამერიკამ უკვე დაკარგა უკრაინა, რომელიც თითქმის უკვე უბეში ჰყავდა, დაკარგა ყირგიზეთი და თუ, ახლა მისკენ 180 გრადუსით შეტრიალებული ბელორუსიც დაკარგა, დასავლეთს ძალიან გაუჭირდება ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდება.

იქნებ ჩვენ ვცდებით, ზედმეტად ჩამოვეკიდეთ ამერიკას, ხოლო ამერიკას პოლიტიკურ თავის ატკივებად არ უღირს პატარა საქართველო?

იქნებ ფარული მოლაპარაკება არსებობს რუსეთსა და ამერიკას შორის ნელ-ნელა კვლავ დაუთმოს, დაუკანონოს რუსეთს წითელი იმპერიის ყოფილი ტერიტორიები?

იქნებ სააღდგომო ბატკანივით განწირულია საქართველო?

მაგრამ რის ფასად გვასაღებს კეთილი ძია სემი რუსეთის მონათა ბაზარზე? კოსოვოს, ავღანეთის და ერაყის ფასად?

ვინ იცის...

პოლიტიკა სფინქსის გამოცანასავითაა... ბევრი რამ ფრიად ძნელი ასახსნელია.

ერთი რამ ფაქტია: აშშ საქართველოს ქმედით დახმარებას აგვიანებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას არ ჩქარობს.



თანამედროვე საქართველოს მდგომარეობაზე ზედგამოჭრილია ანდაზა: „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესა“.

*12.X.2010*

## რუსეთ–საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე

მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველოსთან დადებული სამეგობრო ხელშეკრულება „გეორგიევსკის ტრაქტატი“ მუხანათურად დაარღვია, საქართველოს სახელმწიფოებრიობა გააუქმა და ბაგრატიონთა მრავალტანჯული სამეფო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა, იმ დღიდანვე იელვა საქართველოში საპროტესტო მუხტმა და გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში აშკარად თუ ფარულად თითქმის მთელი საქართველო მონაწილეობდა, მაგრამ წარმმართველი ძალა მაინც ინტელიგენცია იყო.

სწორედ ინტელიგენციამ იწვნია 32 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ცარიზმის ულმობელი რისხვა და ოდენ მეტეხის ყაზარმებში კი არა, რუსეთის შორეულ ციხე-კოლონიების პატიმრის ნომრიანი ჩაჩიც კარგა ხანს ეხურა.

ინტელიგენციაშივე გაჩნდა აზრი ორი რუსეთის არსებობის შესახებ და პეტერბურგში სწავლამიღებული ქართველი მოაზროვნენი აშკარად ლაპარკობდნენ, რომ არსებობენ საიმპერიო ძალები მეფის და მისი დამქაშებისა, სხვათა მიწების დაპყრობა და გარუსების პოლიტიკა რომ თვითმიზნად უქცევიათ და არსებობს პროგრესული, კეთილი რუსეთი, დეკაბრისტების კვალზე მავალი რუსეთი – გერცენების, ჩერნიშევსკების, ბელინსკების, პუშკინების და ლერმონტოვებისა.

თითქოსდა სამხრეთიდან მონაბერი თბილი სიო იგრძნესო, რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეთანხმებულებივით დაიძრნენ რუსული ხმლით დაპყრობილი, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუმორჩილებელი კავკასიისკენ. მართალია მათს ჩანაწერებში აქა-იქ გაკრთებოდა ველიკორუსული მედიდურობის (პუშკინი – „არზრუმს მოგზაურობა“) ან ქართველთა მამაცობის ცინიკური მოხსენიების (ლერმონტოვი – „გარბოდნენ მშიშარა ქართველები“) ნიშნები, მაგრამ „სამხრეთის სამოთხის“ და იქ მცხოვრები სტუმართმოყვარე ხალხის პატივისცემაც არაერთგზის გამოჩნდა რუს მოაზროვნეთა ნაწერებში.

რუსული ხიშტის გაელვებათა სერიების კვალდაკვალ რუს პროგრესულ მოღვაწეთა ღარიბი ნათესავისთვის გამეტებული ღიმილისმსგავსი გამოხედვა საკმარისი გახდა დასჯილი საქართველოსთვის, რომ ორი რუსეთის არსებობის აზრს ჩაბღაუჭებოდა და იმპერიის გაყინული გულის გალღობის გზების ძიებას შესდგომოდა.

... და უბედნიერესი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომ მისი უმშვენიერესი 16 წლის ასულის ნინოს ყურადღება შუახნის რუსმა მოხელემ გრიბოედოვმა მიიპყრო. გრიბოედოვი მაშინ რუსული ლიტერატურის კლასიკოსი კი არა, ერთი უბრალო რუსი ჩინოვნიკი გახლდათ, მაგრამ, რაც მთავარია, ხომ რუსი იყო.

...და საზღვარი არ ჰქონდა სიხარულს პეტერბურგს მივლინებული ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლებისას, თუ რუსთხელმწიფე მოიღებდა მოწყალებას და ერთგულ ქართველს პეტერბურგის მახლობლად დასახლების უფლებას მისცემდა.

...და სიამაყით ევსებოდა გული ქართველ ოფიცერს, თუ მას რუსი მეომრის ტიტულით რუსული ხმლის ქნევის უფლებას მისცემდნენ და მითუმეტეს, თუ „დრაგუნთა პოლკში“ ჩარიცხავდნენ.

მცირე ყურადღებაც ჰყოფნიდა ჭკუანასწავლ ოცდათორმეტიანელს. რა ექნა, სული მწარე იყო და სიამოვნებით



იბნევდნენ გულზე გუშინდელი მეამბოხენი რუსის ბოძებულ ჯვრის ორდენებს და ირგებდნენ რუსულ ჩინ-ტემლაკებს.

თუმცა რუსული ზიზილ-პიპილოებით მოსყიდული და გულარხეინობას მიცემული ქართული ელიტა უეცრად მდუღარეგადასხმულივით წამოვარდებოდა, როცა ქართველთმოძულეობის რუსული მანქანა უეცრად ამუშავდებოდა და სენკოვსკის პირით ქართველთ მიმართ სიძულვილის შხამსა და ბალღამს გადმოანთხევდა.

„ბიბლიოთეკა დლია ჩტენიას“ რედაქტორმა სენკოვსკიმ 1838 წელს რუსულენოვანი მკითხველის თაროზე დადო ბროშურა „ეჭვები საქართველოს ისტორიის შესახებ“, რომელშიც მიწასთანაა გასწორებული რუსთაველის ქვეყნის ისტორია.

ავტორი უპირისპირდება მარი ბროსეს აზრს საქართველოს მდიდარი ისტორიულ-კულტურული წარსულის შესახებ და „ამტიცებს“, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართველები თავიანთ ისტორიულ მიწებად მიიჩნევენ, ქართველთა წინაპრებს საერთოდ არ უცხოვრიათ, რომ ქართველები გაურკვეველი ეთნიკური წარმომავლობის მქონე, საიდანღაც შემოხეტებული ხალხია ამიერკავკასიაში, რომ მომთაბარე ქართველებმა მიითვისეს სხვათა კულტურა, შეავიწროვეს და განდევნეს ადგილობრივი მცხოვრებნი, დაეპატრონენ სხვათა ტერიტორიებს და თავს აცხადებენ აბორიგენ, ადგილობრივ ტომებად.

სენკოვსკისა და მისთა ძმათა მსგავსი მონაჩმახი, რომელიც ჭეშმარიტი მეცნიერული აზრისათვის მხოლოდ მწარე ღიმილისმომგვრელი შეიძლება იყოს, ჩვენი ეროვნული ცნობიერების გაღვივება-გაღვიძებისთვის, თქვენ წარმოიდგინეთ, დადებით როლსაც კი ასრულებდა. სახელდობრ აი, როგორ:

ისტორიული წარსულის გამყალბებლის და ნაციონალური თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი აჯანყდებოდა. არაერთი ერის ქომაგი (როგორც ეს სენკოვსკის შემთხვევაში მოხდა) კალამს იშიშვლებდა ეროვნული მტრის წინაშე და ამით არა მარტო მკითხველს აღანთებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინით, არამედ ერს კიდევ ერთხელ მოაგონებდა, რომ ქვეყ-

ნის იდეალური მდგომარეობა მხოლოდ მაშინაა მიღწეული, როცა სახელმწიფოებრიობას დავიბრუნებთ და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“.

ორი რუსეთის – შავრაზმული და პროგრესული, ინტელიგენტური რუსეთის არსებობის თეორია ქართულ საზოგადოებრივ აზრს თერგდალეულთა მოსვლის შემდეგაც შერჩა და არათუ შერჩა, უფრო გამტკიცდა, რაკიღა სამოციანელები სწორედ რომ რუსული ე. წ. „რაზნოჩინული“ ინტელიგენტების მოწაფეები თუ მეგობრები იყვნენ.

ამავე დროს ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მამების ბედთან შემრიგებლური პოზიცია ახლოს არ გაიკარეს სამოციანელებმა. დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსთვის ბრძოლა ილიამ და აკაკიმ (და მათმა რაზმმა) გულის ფიცარზე ამოიტვიფრეს და იმასაც მშვენივრად მიხდვნენ, რომ კეთილი მეფისნაცვლების თუ სტუმრად ჩამოსული ლამაზად მეტყველი რუსი ინტელიგენტების უმეტესობას ერთი მზაკვრული მიზანი ჰქონდა, როგორმე ჩაეძინებინა საქართველო და ნელ-ნელა დაევიწყებინა მისთვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ოცნება.

არისხებდა საქართველოს გაღვიძების ზარებს ილია „მგზავრის წერილებით“ და მთვლემარე ერისთვის გაწნული სილით „ბედნიერი ერი“, ხოლო აკაკი ცხადად ხედავდა რა ლაფში ჩაფლულ თანამედროვეს ყველაზე მრისხანე მკვახე შეძახილსაც არ იშურებდა მისთვის („ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ“).

ვერა და ვერ მოისყიდა რუსმა თვითმპყრობელმა ილია ვერც სათავადაზნაურო ბანკის გახსნის ნებართვის მიცემით და ვერც სახელმწიფო სათათბიროს წევრად არჩევით, „აჩრდილის“ ავტორი საქართველოში რუსული სიკეთეების ჩამომთვლელს მშვიდად პასუხობდა: „რაც კარგი ექნას რუსისა ხიშტსა, ღმერთმა იმ რუსსა უკანვე მისცეს“.

ვერა და ვერ მოისყიდა რუსმა თვითმპყრობელმა აკაკი ვერც ჭიათურის მარგანეცის ევროპაში გატანის ხელშეწყობის დაპირებით და ვერც რუსეთის იმპერიის სხვადასხვა



კუთხეში იუბილის გამართვით, აკაკი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ჩრდილოელს „დამეთხოვე ჩრდილოელოს“ შეძახილს არ აკლებდა და ყველაზე დამშვიდებულ გუნებაზეც კი რუსს „გაიძვერა მოყვარეს“ ეძახდა.

რუს და ქართველ ინტელიგენტთა ურთიერთობას არაერთი სტრიქონი უძღვნეს ქართველმა ავტორებმა (ბოგომოლოვი, მიმინოშვილი...) მაგრამ ვერა და ვერ დაამტკიცეს თანაბარი, თანასწორუფლებიანი კულტურული ურთიერთობის ვითარება. მასალა, რაც ხელთ ჰქონდათ, მხოლოდ ერთი, იმდროინდელი ოფიციალური ხელისუფლებისათვის სასურველი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა.

ძმობის ერთგული ქართული ინტელიგენცია უამრავ მაგალითს დებდა ურთიერთობის განმტკიცების და სწორი-სწორთან დიალოგის პრინციპებისთვის, მაგრამ ეს ყოველივე ცალმხრივ ხასიათს ატარებდა. რუსი ამ ერთგულების ძალიან ცოტა საბუთს იძლეოდა.

და სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ დაბადა თეორია მასწავლებლისა და მოწაფის კულტურული ურთიერთობის შესახებ. მასწავლებელი აუცილებლად რუსეთი უნდა ყოფილიყო, მოწაფე – საქართველო. რომელიმე ფილოსოფიური მიმდინარეობა, ან ლიტერატურული სკოლა ჯერ რუსეთში უნდა დაბადებულიყო, მერე კი რუსეთიდან საქართველოში შემოეღწია. ქართველი განმანათლებლები მხოლოდ და მხოლოდ რუსი განმანათლებლების „მიმდევრები და მოწაფეები“ იყვნენ, ქართული რომანტიზმი თუ კრიტიკული რეალიზმი რუსული რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის „უშუალო მემკვიდრე“ იყო.

საბჭოთა წყობილების პერიოდში, განსაკუთრებით II მსოფლიო ომის წლებში რუსეთისა და განაპირა რეგიონების ხალხთა ურთიერთობაში „უფროსი ძმის“ ცნება გაჩნდა და ამით კიდევ უფრო საცნაური გახდა ის გარემოება, რომ არა და არ სურდა რუსს შენ, ქართველი თუ სომეხი, აზერბაიჯანელი თუ უზბეკი, უკრაინელი თუ ბელარუსი – რუსის ტოლი, თანაბარი, მისი სწორი ყოფილიყავი. „უფროსი ძმის“

თეორია ერთი ერის (რუსი ერის) პრიორიტეტს უსვამდა ხაზს და მეორეს – უმცროს ძმას მასთან უფლებრივად გათანასწორების ფიქრსაც კი გიქარწყლებდა.

მარქსიზმი, როგორც ებრაული თეორიული დოქტრინა, ერთა ათქვეფის და ნაციონალური ნიშან-თვისებების წაშლისკენ იყო მიმართული.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

მარქსიზმის ფუძემდებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ სისტემას ებრაულ სახელმწიფოში (ასეთი სახელმწიფო იმხანად არც არსებობდა) ხორცშესხმა არ ეწერა, იგი უნდა განხორციელებულიყო რომელიმე ერთ ქვეყანაში, ან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად.

რაკიღა რუსეთში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ და ძალაუფლება ხელთ იგდო ფაქტიურად ებრაულმა ელიტამ, საჭირო გახდა სასწარფოდ ეთქვათ უარი რუსულ ნაციონალისტურ ინტერესებზე, რომ ვინმეს „შემთხვევით“ კითხვა არ გასჩენოდა; კი მაგრამ, თქვენ ვინ ხართ, რომელი ერის სულისკვეთებას გამოხატავთო.

აი, სწორედ მაშინ რუსეთის არარუსულმა ხელისუფლებამ ხმარებიდან თითქმის ამოაგდო „რუსი ერის“ ცნება და შექმნა სწორედ რომ ახალი წითელი იმპერია საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის შექმნამდე ებრაელებმა წნეხში გაატარეს ნახევრადებრაელი ლენინის ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის შესახებ.

ყოველ გაღვიძებულ, თვითგამორკვევის მოსურნე ერს პირშივე ჩასჩარეს ნაციონალური ლოზუნგები და განუმარტეს, რომ უკლასო საზოგადოების აშენება ფაქტიურად უეროვნებო საზოგადოების აშენებასაც ნიშნავდა. სწორედ ამ დროს დაიწერა ლენინზე ქართველი პოეტის ეს სარკასტული სტრიქონები:

„ერების თვითგამორკვევა
ლოზუნგად ჰქონდა ქცეული,
მაგრამ მოსრისა, რა ნახა
მან ერი – გამორკვეული“.



სხვა ვითარება შეიქმნა სტალინის მმართველობის პერიოდში. სტალინი სწორედ რომ სტალინური უტყუარი ალღოთი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის გარდა არცერთი სხვა სახელმწიფო უარს არ ამბობდა ეროვნულ კუთვნილებაზე. საბჭოთა ადამიანის, როგორც ახალი ადამიანის შექმნა ჭიანურდებოდა. ადამიანები უარს ვერ ამბობდნენ საუკუნეების მიღმა ჩაკირულ ეროვნულ იერსახეზე. მიხვდა, რომ სახელმწიფოს შექმნის ერთადერთი პრინციპი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა იყო სხვა გზა აუცილებლად იმპერიამდე მიგვიყვანდა.

ესეც არ იყოს, საბჭოთა კავშირის ყველაზე მძლავრი პერსპექტიული მოწინააღმდეგე ჰიტლერი სწორედ რომ ნაციონალური ლოზუნგებით მოდიოდა. ჰიტლერი თუმცა თავს სოციალისტთა მხარდამჭერად თვლიდა, მისი მთავარი ლოზუნგი: „დოიჩლანდ! დოიჩლად! იუბერ ალეს!“ („გერმანია! გერმანია! ყველაზე მაღლა!“) სხვა არა იყო რა, თუ არა ზურგშექცევა მარქსიზმის პრინციპებისადმი და სტალინი საგონებელში ჩავარდა:

ოდენ ბოლშევიკურ-ებრაული ლოზუნგებით იგი ომს ვერ მოიგებდა, თანაც სიონიზმი, რომლის ცენტრშიც „შენიღბული ინტერნაციონალისტი“ ტროცკი იდგა, მას ფაქტიურად უკვე დამარცხებული ჰყავდა და საბჭოთა მთავრობაშიც მხოლოდ აქა-იქ ბჟუტავდნენ შიშისგან გატრუნული ებრაელები და სტალინი „დიდი რუსი ხალხის“ ანუ „უფროსი ძმის“ ლოზუნგს ჩაებღაუჭა.

ღმერთმა იცის, თვითონ სტალინს, დავით აღმაშენებლის შთამომავალს, გულის სიღრმეში სჯეროდა თუ არა, რომ გამართლებული იყო თანასწორ ერთა შორის რომელიმესთვის „დიდი“ დაგერქმია, მაგრამ სტალინს სხვა გზა არ ჰქონდა.

გულუბრყვილოა იგი, ვინც სტალინს „დიდი რუსი ხალხის“ სადღეგრძელოს დალევისათვის აკრიტიკებს, ან იმის გამო გადასცემს ანათემას, რომ ანკეტაში ეროვნებად „ქართველი“, მშობლიურ ენად კი „რუსული“ ჩაწერა.

ვინ იცის, იქნებ ამით სტალინმა ფაშიზმის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი რუსი ერი თავის გარშემო დარაზმა. არც თავისი ეროვნულობა გაატანა ქარს და ხაზი გაუსვა, რომ დი-

აღაც ქართველი იყო, ხოლო საბჭოთა ადამიანის შექმნისთვის ებრაულად მომართულ საბჭოთა კავშირს „დიდი რუსი ხალხის“ თემით ერთბაშად დაუბრუნა ეროვნულობა.

ეს საბჭოთა ქვეყნისთვის რევოლუციური გარდაქნის ტოლფასი იყო.

რაკიღა რუსი ერი არსებობს, ე. ი. ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ, უკრაინელ და სხვა ერებსაც აქვთ არსებობის უფლება – ეს აზრი ნაპერწკალივით გაღვივდა დამონებულ ერთა საბჭოთა საპყრობილეში და ესეც სტალინის დამსახურება იყო.

სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა ლიდერებმა სუსლოვის მეთაურობით სცადეს კვლავ გაეცოცხლებინათ ახალი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის შექმნის ლოზუნგი, მაგრამ დრო აღარ ეყოთ. საბჭოთა კავშირი ცაიტნოტში აღმოჩნდა და იგი მალე დაიშალა არც თუ მარტივ მამრავლებად.

საბჭოთა წყობილების პირობებში მოჩვენებითად ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება ცალკეული რესპუბლიკების კულტურა და ხელოვნება აემაღლებინა, მაგრამ მხოლოდ იმ დონემდე, რომ დარჩენილიყო მოძმე ხალხთა გულებში მადლიერების გრძნობა დიდი რუსი ძმების მიმართ და ყველა კომუნისტურ შეკრებაზე ხაზი ესმებოდა იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკებში კულტურის აყვავება საბჭოთა ძმურ ოჯახში მათი გაერთიანების და განსაკუთრებით მაღალკულტურული რუსი ერის დამსახურება იყო.

ვერ დავმალავთ ამ წლებში კულტურის აღმავლობა მართლაც შეინიშნებოდა. რასაკვირველია ჩვენ ახლა მხოლოდ ირონიული ღიმილით შეიძლება გავიხსენოთ იმ დროს შექმნილი ზოგიერთი გულუბრყვილობის იერდაკრული სპექტაკლი, კინოფილმი თუ ლიტერატურის ნიმუში, სადაც გასაჭირში მყოფ ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენელს უეცრად მხსნელად მოევლინება მეგობარი რუსი, ჩასჭიდებს ხელს და სწორ გზაზე გაიყვანს, მაგრამ თუ ამ კონიუნქტურის ჩენჩოს მოვაცილებთ, საბჭოთა ეპოქაში მართლაც არაერთი ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები შეიქმნა.



ლოზუნგს „ავამაღლოთ მოძმე ერები დიდი რუსული ლიტერატურის დონეზე“, გამოეხმაურნენ ცნობილი რუსი მწერლები: მაქსიმ გორკი, ბრიუსოვი, პასტერნაკი, ტიხონოვი, ტვარდოვსკი, ანტოკოლსკი და სხვანი და 30-იანი წლების ბოლოს პროფესიონალ რუს მწერალთა გასვლამ პერიფერიებში საერთოდ კარგი შედეგი მოიტანა. ითარგმნა ე.წ. ადგილობრივ მწერალთა არაერთი თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოები.

მართალია იმ ვიზიტებს თან ახლდა ერთგვარი საქეიფოდ გასეირნების და ცოტა არ იყოს ველიკორუსული მედიდურობის კვალი, რაზეც მიგვანიშნებს იმდროის ვითარების გამომხატველი ლადო ასათიანის ფუნაგორია: „ყველამ რაღაცა უნდა იღონოს, რომ მოაწონოს თავი ტიხონოვს“, მაგრამ იქვე სამართლიანობის დაცვის სურვილით უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდში ჩასახული პასტერნაკის და ტიციან ტაბიძის, ესენინის და პაოლო იაშვილის მეგობრობა მშვენიერ ფურცლებად შერჩა ლიტერატურის ისტორიას.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ არავითარ ძმობაზე და ერთა თანასწორობაზე, ანუ რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობაზე ფიქრი საბჭოთა პერიოდის ვითარების დახასიათებისას მართალი არ იქნება.

არსებობდა ცენტრი თავისი მკაცრი წესრიგით. არსებობდა საბჭოთა იმპერიის დედაქალაქი მოსკოვი და მისი სურვილის გარეშე რესპუბლიკებში წკირის გადაადგილებაც არ შეეძლოთ ადგილობრივ ხელმძღვანელებს.

წარმოიდგინეთ რა დამოუკიდებლობაზე და ავტონომიურობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი მაშინ, როდესაც ცალკეულ რესპუბლიკებს თუნაც ელემენტარული საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება არ ჰქონდათ. მაშინ, როდესაც დისერტაციები, კინოსცენარები და საგამომცემლო გეგმებიც კი მოსკოვში მტკიცდებოდა, მაშინ, როდესაც საქართველოს მწერალთა კავშირი რუსეთის მწერალთა კავშირის ფილიალი გახლდათ და საზღვარგარეთ რაიმე ლიტერატურულ შეკრებაზე ან სამწერლო ფორუმზე ქართველი მწერლის წასვლა აუცილებლად მოსკოვს უნდა გადაეწყვიტა. მოსკოვში კი იდო უშიშროების

მიერ მიწოდებული სია. მხატვრული ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენლის გვარის გასწვრივ ამ სიაში იყო სავალალო ფრაზა: „ნე ვიეზდნოი“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსაც კი არ შეეძლო ეს მკაცრი განაჩენი დაერღვია და თავისი პასუხისმგებლობით გაეგზავნა ესა თუ ის შემოქმედი საზღვარგარეთ.

როცა სტალინური ეპოქა დამთავრდა და ზოგიერთი პოლიტიკოსის ტერმინი რომ ვიხმაროთ: „დასავლეთის წინაშე დაშვებული რუსული რკინის ფარდა აიზიდა“, ყველას ეგონა, რომ თავისუფლების სიო, რომელმაც მხოლოდ მოჩვენებითად დაჰბერა ე.წ. გარდაქმნის პერიოდში, ოდნავ მაინც შეეხებოდა მხატვრულ ინტელიგენციას, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ მოხდა.

უმკაცრესი ცენზურის, ანუ მთავლიტის მარწუხები თუ რამდენადმე გაცვდა ანუ დაბლაგვდა, სამაგიეროდ კვლავ ძალაში იყო მკაცრი საბჭოური ინერცია, ველიკორუსული ზემოდან ცქერისა. არ დაგავიწყდეს პერიფერიული ხელოვნების წარმომადგენელო, რომ შენი აღმზრდელი დიდი რუსი ხელოვანი კვლავ ისე გიცქერის, როგორც ოსტატი თავის გაჯიუტებულ შეგირდს, რომელმაც რაღაც თვითმყობადობაზე თუ ორიგინალურობაზე ფიქრი დაიწყო.

ამ დროს დაიწერა არაერთი რუსული ნაწარმოები, ე.წ. ქართული თვითნებობის და გათამამებული ქართველი ერის ახირებული თვისებების შესახებ.

მედიდურობის ეს სენი რუსული ლიტერატურის ისეთ ოსტატსაც შეეპარა, როგორიც იყო ვიქტორ ასტაფიევი. მისი ნახევრადმხატვრული მოთხრობა-პასკვილი „ჭიჭყინების ჭერა საქართველოში“ ამგვარი ტენდენციური ლიტერატურის ტიპიური ნიმუში გახლდათ. თურმე ნუ იტყვით, ასტაფიევს არ მოწონებია ქართველთა ის თვისებები (სტუმარ-მასპინძლობა, გულღიაობა, შინაგანი თავისუფლება...), რითაც ადრე საქართველოში ასტაფიევამდე ჩამოსული ყველა რუსი თუ უცხოელი მწერალი აღფრთოვანებული იყო.

ეს პასკვილი ქართულმა ინტელიგეციამ შემოქმედებით მარცხად და უმადურობის გამოვლინებად ჩაუთვალა ვიქტორ ასტაფიევს.



არამარტო მწერალს გაეგზავნა უკმაყოფილო ქართველი მკითხველის არაერთი წერილი, არამედ ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა ცნობილი მწერლის განმაქიქებელი სტატიები.

ასტაფიევს, რა თქმა უნდა ქომაგები და მიმდევრები გამოუჩნდნენ და მწერალთა საკავშირო ყრილობაზეც კი რასპუტინმა და რამდენიმე მწერალმა ქართველ ერს ავადმყოფი ერის განაჩენი გამოუტანა.

ამას მოჰყვა ქართველ მწერალთა დელეგაციის პროტესტი, რაც ყრილობის დატოვებით გამოიხატა.

ეს უკვე აშკარა წინააღმდეგობას ნიშნავდა საბჭოთა მენტალიტეტის განმტკიცებისთვის მებრძოლ იდეოლოგიასა და ქართველ მწერალთა შორის, მითუმეტეს, რომ ყრილობის დარბაზში არაერთი ე.წ. საბჭოთა საზღვარგარეთელი მწერალი იჯდა აშკარად რომ უთანაგრძნეს ქართველ მწერლებს და იმდენად მოიწონეს ქართველ მწერალთა ნაბიჯი, რომ ისინი დარბაზიდან ტაშითაც კი გააცილეს.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მეორე დღესვე არაოფიციალური ბოდიში მოეხადა ქართველი მწერლებისათვის და ეთხოვა მათთვის დარბაზში დაბრუნებულიყვნენ. უაღრესად განაწყენებული ქართველ მწერალთა დელეგაცია ყრილობას შეუერთდა.

ამ ინცინდენტიდან ერთი წლის თავზე ვიქტორ ასტაფიევი და მე ოფიციალური მიწვევით გახლდით იაპონიაში. დელეგაციაში ორი კაცი შევდიოდით. მესამე თარჯიმანი გახლდათ.

თვითმფრინავიდანვე შევატყვე ვიქტორ ასტაფიევს, რომ ჩემთვის რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ მე გულწრფელი ახნაგანმარტების საშუალებას არ ვაძლევდი იმით, რომ „ჭიჭყინებზე ნადირობის“ შესახებ საუბარი არცერთხელ არ წამომიწყია.

ერთად დავდიოდით სხვადასხვა შეხვედრებზე, ვპასუხობდით იაპონელ მწერალთა და მკითხველთა შეკითხვებს, რა თქმა უნდა ასტაფიევი თავის პასუხებში ქართულ მწერლობას და ქართულ კულტურას დიდი პატივისცემით მოიხსენიებდა და ამას ჩემი დახასიათების დროსაც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს.

ერთხელ იაპონელმა მასპინძლებმა კინოთეატრში წაგვიყვანეს და გვიჩვენეს იმ დროს მთელს მსოფლიოში გახმაურებული ტარკოვსკის ფილმი „ნოსტალგია“.

ტარკოვსკი საბჭოთა კავშირიდან ახალი გაქცეული იყო და ნოსტალგიაც სწორედ საზღვარგარეთ, საფრანგეთსა და იტალიაში გადაეღო. ფილმი მართლაც რომ შთამბეჭდავი გახლდათ. საუბარი იყო რუსეთიდან გაქცეულ ახალგაზრდა კაცზე, რომელმაც „დასავლურ სამოთხეში“ დიდად მოსაწონი ვერაფერი ნახა და კვლავ რუსეთისკენ მოუწევს გული.

დამთავრდა ფილმის ჩვენება.

ვიგრძენი ჩვენკენ მოშვერილი ტელეკამერების და იუპიტერების მახვილი თვალი.

ჟურნალისტი მოგვიახლოვდა და გვეკითხება: ბატონო რუსო მწერლებო, როგორ მოგეწონათ ტარკოვსკის ეს ფილმი?

მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ყველა ხელოვანი (და არა მარტო ხელოვანი) იმ დროს სამშობლოს გამყიდველად ითვლებოდა და მის დაცვაზე, ან თუნდაც ოდნავ თანაგრძნობაზე ლაპარაკიც კი სახიფათო იყო.

ვიქტორ ასტაფიევმა თქვა: მე ამ ფილმზე კომენტარს არ გავაკეთებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ჩემი სამშობლოს დაუძინებელი მტრის, მოღალატე ტარკოვსკის მიერ არის გადაღებული, ფილმში ტარკოვსკის მოღალატური ბუნება, მისი გამცემლური, ორჭოფული განწყობილება კარგად არის გადმცემული, მე ამ ფილმს არ ვღებულობ და საერთოდ, რამდენადაც ჩემი გემოვნება კინემატოგრაფის შეფასების საშუალებას მაძლევს, მე თავიდანვე რომ მცოდნოდა რომ ტარკოვსკის ფილმს გვიჩვენებდით, უარს ვიტყოდი ამ დარბაზში შემოსვლაზეო.

ჟურნალისტები აღშფოთდნენ და მეორე ჟურნალისტმა ჰკითხა: ჩემთვის უცნაურია, თქვენ, პროფესიონალი ლიტერატორი, რატომ ლაპარაკობთ ასე თავდაჯერებითო.

მე თქვენთან კამათს არ ვაპირებ – უპასუხა ასტაფიევმა, – და საერთოდ თავი დამანებეთ, მე ბავშვთა სახლში გაზრდილი კაცი ვარ, უმაღლესიც კი არ დამიმთავრებია, თუმცა



ამ ფილმის შეფასებას დიდი ცოდნა არ ჭირდება, მე მგონი ამ აზრის არის ცნობილი ქართველი მწერალი, პროფესორი რევაზ მიშველაძეც, რომელიც აგერ ჩემს გვერდით ზისო.

ახლა მე მომაპყრეს ჟურნალისტებმა ტელემზერა. რა ვქნა, ვიცი რა ძნელია „ოფიციალური აზრის“ წინააღმდეგ წასვლა, მაგრამ ჩემს სინდისს ვერ ვუღალატე და განვაცხადე:

„დავიწყებ იმით, რომ მე არ ვეთანხმები ჩემს მეგობარს ბატონ ვიქტორ ასტაფიევს. მისგან განსხვავებით მე „ნოსტალგია“ ძალიან მომეწონა. ეს არის უაღრესად მართალი კინომოთხრობა კაცზე, რომელმაც ბედის ირონიის გამო სამშობლო დაკარგა, მაგრამ იმდენი ძაფით არის მიბმული თავის ქვეყანაზე, რომ თავისი, თუნდაც ღარიბი და არცთუ დემოკრატიული რეჟიმის მქონე სამშობლო ისევ უკან უხმობს და თავის წიაღში დაბრუნებისკენ ეზიდება. მე ვულოცავ ტარკოვსკის ამ დიდ კინემატოგრაფიულ გამარჯვებას. რა სხვადასხვა პოზიციაზეც არ უნდა ვიდგეთ მე და ტარკოვსკი, მე ვგრძნობ, რომ ის დიდი ხელოვანია, ხოლო ნიჭს, ძვირფასო ვიქტორ პეტროვიჩ, გალანძღვა კი არა, მოფერება და დაყვავება სჭირდება. მე ერთი ქართველი მწერალი ჩემი სამშობლოდან, ალბათ, რა გაუსაძლის პირობებშიც არ უნდა ვიყო გაქცევას ვერ შევძლებ. ტარკოვსკის თავისი სიმართლე აქვს. მე ახლა მის განსჯაში არ შევალ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, ამ ფილმში ჩანს სურვილი იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ბრწყინვალე რუსი რეჟისორი დააკაკუნებს ევროპის რომელიმე საკონსულოს კარზე და უკან, რუსეთში დაბრუნების ნებართვას მოითხოვს.

ჩაქრა იუპიტერები, დამთავრა ინტერვიუ, ჟურნალისტებმა მადლობა გვითხრეს და გაილალნენ.

სასტუმროში ვბრუნდებით სამნი: ასტაფიევი, თარჯიმანი ლუბა (რომელიც რა თქმა უნდა კაგებეს თანამშრომელი იქნებოდა) და მე. ორივენი ხმას არ იღებენ. ბოლოს სიჩუმე ვიქტორ ასტაფიევმა დაარღვია: რეზო, მითხრა მან, მე შენ უფრო ჭკვიანი ყმაწვილი მეგონე, იცი თუ არა, რომ დღეს შენ მთელი შენი მომავალი ცხოვრება გაიფუჭე. რაში გჭირდ-

ებოდა შენ, ქართველ მწერალს, გათახსირებული ტარკოვსკის ქება? ვინ გკითხავდა შენ ამ საქმეს? პარტიის წევრი ხარ?

კი-მეთქი – ვუპასუხე. – მაშინ გამოეთხოვე პარტიის მანდატს, აუცილებლად შეგრაცხავენ არასაიმედო კაცად და თუ პარტიიდან გარიცხვას და საბუთებში „ნე ვიეზდნოის“ ჩაკვრას დაგაჯერეს, მადლობელი იყავი.

შევხედე თარჯიმანს. იქნებ მან მაინც მითხრას რაიმე დამამშვიდებელი, ვიგრძენი წნევამ როგორ ამიწია.

„მეც ზუსტად იმ აზრის ვარ, რა აზრისაც არის ვიქტორ პეტროვიჩი, საერთოდ დღეს თქვენი გამოსვლა უტაქტობა იყო, თქვენ ფაქტიურად საბჭოთა მწერლობა შეარცხვინეთო, ლუბამ.

ნახევრადმკვდარი ავედი ჩემს ნომერში.

ვიცი, რომ ჩემი ბედი გადაწყვეტილია. ჩავრთე ტელევიზორი და უაზროდ შევცქერი.

უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემენ.

ეკრანზე რამდენჯერმე გამოჩნდა ჩემი გამოსახულება და გვერდზე იაპონური იეროგლიფები. მერე დიქტორი სხვა რამეზე გადაერთობა და 15 წუთის შემდეგ ისევ მე ვჩანვარ.

მირეკავს ლუბა.

ჩართეთ ტელევიზორი – მეუბნება.

მე ვპასუხობ – ჩართული მაქვს-მეთქი. დავიღუპე, ვფიქრობ გულში, მე ამათ თვალში სამშობლოს გამყიდველი ვარ.

სავახშმოდაც არ ჩავსულვარ, დანა პირს არ მიხსნიდა.

ღამის 10 საათზე ლუბა მირეკავს: ხვალ დილით საელჩოში ვართ დაბარებული. 9-ზე მზად იყავით.

მივედით საელჩოში. მიგვიღო საელჩოს პირველმა მდივანმა, 30-35-ოდე წლის სათვალიანმა მამაკაცმა. მან ლაპარაკი ასე დაიწყო: მე გიხმეთ ელჩის დავალებით. წუხელის მთელი ღამე უჩვენებდა ტოკიოს ტელევიზია ამხანაგ რევაზ მიშველაძის გამოსვლას. უნდა გითხრათ, რომ აქ ხშირად ჩამოდიან ჩვენი ქვეყნიდან (საბჭოთა კავშირი იგულისხმა) ხელოვნების მოღვაწეები და მეცნიერები და ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებენ თავიანთი რადიკალური და გულუბრყვილო



პოლიტიკური აზროვნებით. არ შეიძლება შემოვივლოთ ჩვენ იდეოლოგიური ზღუდე და ვიაზროვნოთ ძველი სტერეოტიპებით. ახლა სხვა დროა. ელჩმა დამავალა თქვენს წინაშე მთელი საელჩოს და პირადად ელჩის სახელით მადლობა ვუთხრა მწერალ რევაზ მიშველაძეს, რომელმაც ნამდვილი მწერლური კეთილსინდისიერებით გაართვა თავი საკმაოდ ძნელ ამოცანას: შეეფასებინა ტარკოვსკის ფილმი. მიშველაძის პასუხი იყო ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე, გამართული, დასაბუთებული პასუხი და პასუხში ჩანდა ტაქტიანი მინიშნებაც იმაზე, რომ ჩვენ ვერავის წავართმევთ უფლებას ვერც საბჭოთა კავშირის შიგნით, და მითუმეტეს, ვერც საბჭოთა კავშირის გარეთ იქონიოს მოვლენებზე საკუთარი აზრი.

იმ წუთებში ჩემზე ბედნიერი კაცი არ არსებობდა. გადავრჩი – გავიფიქრე გულში. ასტაფიევს და ლუბას გადავხედე, ორივენი თავჩაქინდრულები ისხდნენ. გარეთ რომ გამოვედით ასტაფიევმა ჩაილაპარაკა: „ნავერნო ია პასტარელ“.

ეს არის ტიპიური მაგალითი რუსი და ქართველი ინტელიგენტის ურთიერთობისა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.

60-იან წლებში მე-20 საუკუნისა, რუსული და ქართული მხატვრული ინტელიგენციის დამოკიდებულება უფრო გამრავალფეროვნდა.

საქართველოში ჩამოდიოდნენ რუსი პოეტები: ევტუშენკო, ახმადულინა, ვაზნესენსკი, როჟდესტენსკი და მათ შემოქმედებაში აისახებოდა განსაკუთრებული სიყვარული საქართველოს მიმართ და მადლიერებაც ქართველი ხალხისადმი. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგი აქ დასახელებულ პოეტთაგან საქართველოს თავის პოეტურ სამშობლოდაც კი მიიჩნევდა მათი წინაპარი კლასიკოსების მსგავსად.

მაგრამ ამ ურთიერთობაში ერთი საეჭვო რამ შეინიშნებოდა – საქართველოზე დაწერილ თავიანთ მშვენიერ ლექსებს ზემოხსენებული პოეტები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს რუსულ პრესაში აქვეყნებდნენ. ე.წ. საკავშირო პრესაში საქართველოს სიყვარულის პრობლემა ამ მწერალთა ნაწერებში იშვიათად გაკრთებოდა ხოლმე.

ქართველი გამომცემლები და რედაქტორები, უნდა ვთქვა, სიამოვნებით ბეჭდავდნენ საქართველოს რუსი შვილობილი პოეტების ლექსებს საქართველოზე და დიდი რუსი ხალხის საქართველოსმოყვარე წარმომადგენლებისთვის საკმაოდ სოლიდურ ჰონორარსაც არ იშურებდნენ.

მახსოვს, რა ბედნიერი იყო ოპერის თეატრში თავმოყრილი ქართველობა და რა ტაშის გრიალით შეხვდა იგი ვოზნესენსკის მორიგ ტყუილს იმის შესახებ, რომ მან თითქოსდა აღმოაჩინა, რომ იგი თურმე გვარ-ტომით ქართველია და მისი ნამდვილი მამა რომელიღაც ინკოგნიტო ქართველი გახლდათ. ბელა ახმადულინას საქართველოს უსაზღვრო სიყვარულით განმსჭვალული ლექსების კრებული „სნი ო გრუზიი“ სამჯერ გამოქვეყნდა ცალკე წიგნად საქართველოში და არცერთხელ არ დაბეჭდილა მოსკოვში.

გარდა ამისა მე თვითონ ზოგჯერ წავაწყდებოდი ხოლმე ასეთ ძნელად აღსახსნელ ფაქტს: ზემოხსენებულ რუს პოეტებს და სხვებსაც უსაზღვრო ყოვლისდამტევი პოეტური გული ჰქონდათ და ისევე უყვარდათ სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი და უდმურტეთი, როგორც საქართველო. მათ ლექსებში არ იცვლებოდა ხმა, არ იცვლებოდა ინტონაცია, არ იცვლებოდა მოვლენებისადმი დამოკიდებულება. ეგ იყო მხოლოდ საქართველოს ნაცვლად ლექსში მშვენივრად ჯდებოდა საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა მოძმე რესპუბლიკა.

აი, ეს იყო გამოგონილი ე.წ. საბჭოთა ხალხების „შედუღაბებული მეგობრობა“, და რომ ეს ყალბი იყო, შემდეგი დროის მოვლენებმაც დაადასტურა.

მაშინ, როდესაც საქართველოში საქართველოზე სიზმრებით გაწამებული ევტუშენკო და ახმადულინა კახური ღვინით სავსე ყანწით ხელში მათი პოეტური დედის – საქართველოს სადღეგრძელოს წარმოსთქვამდნენ, მათი კოლეგები, ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსები თავიანთი დამონებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია რუსეთის გულაგებში ისხდნენ, მაგრამ ეს ისე, სხვათაშორის.



განსაკუთრებით შეიცვალა საქართველოსთან რუსული ინტელიგენციის წარმომადგენელთა დიდი რაზმის დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

როგორ თუ დამოუკიდებლობა მოინდომეო, ამუშავდა საქართველოს წინააღმდეგ ველიკორუსული ზიზღის ავბედითი მანქანა.

საქართველოსადმი სიძულვილის ფრქვევაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: კოროტიჩი, ბალაშოვი, ლიმონოვი, შურიგინი, სოკოლკინი, ლეონტიევი, პუშკოვი, შაბანოვი, როგოზინი და სხვები.

ამ ხელმოცარული ჟურნალისტ-პოლიტიკანების ნააზრევის განსჯა-გაქიაქება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ არ ღირს ტვინნაღრძობი ქართველთ მოძულეებისათვის თავის გაყადრება. უმჯობესია ჩვენ რუსული ინტელიგენციის ერთი ნაწილის იმ ქამელეონობას შევეხოთ, რაც სანანებლად გაგვიხდა და რამაც ყველაზე რბილად რომ ვთქვა ჭეშმარიტად გაგვაკვირვა.

რუსულ-მხატვრულ ინტელიგენციაში ახალი თემა დაიბადა: დაეხატათ მებაზრე, უტიფრად მოარშიყე, ზარმაცი, მატყუარა, გაიძვერა, ულვაშიანი ქართველი, რომელიც „ყოველგვარ სიკეთესთან“ ერთად უმადურიც აღმოჩნდა მისი გადამრჩენელი რუსის მიმართ.

ზემოთ გაკვირვებაზე ვლაპარაკობდი; გასაკვირი სწორედ ის იყო, რომ საქართველოს მეგობარ რუს მწერალთა შორის ერთიც არ აღმოჩნდა, რომ ამ ქართველოფობიის ნიაღვრის მიმართ ხმა აემაღლებინა, ეთქვა თავისი კოლეგებისთვის, რომ არ შეიძლებოდა ანგარიშის გასწორება მრავალტანჯულ, უდიდესი კულტურის მქონე ქართველ ერთან.

ჩვენი ახლებური ურთიერთობის კიდევ ერთ ფაქტს მოვუხმობ.

1991 წლის 6 მარტს ზვიად გამსახურდიამ გვიხმო მწერლები: შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, გურამ გვერდწითელი, გოგი გაჩეჩილაძე, მზია ხეთაგური, იგორ ბოგომოლოვი და მე – რევაზ მიშველაძე.

გამოგვიცხადა, რომ ჩვენ ვიყავით ქართველ მწერალთა დელეგაციის წევრები, რომლებიც უნდა ჩავსულიყავით მოსკოვში და ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში (მწერალთა კავშირი, საქართველოს წარმომადგენლობა, ჟურნალისტთა კავშირი, კულტურის ცენტრი „მზიური“, კინემატოგრაფისტთა კავშირი, თეატრალური საზოგადოება, მხატვართა კავშირი და ა. შ.) უნდა ჩაგვეტარებინა შეხვედრები და პრესკონფერენციები, სადაც გამოვაცხადებდით დამოუკიდებელი საქართველოს ნებას შესახებ იმისა, რომ საქართველო აღარ არის რუსეთის ვასალი, არამედ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც სურვილი აქვს რუსეთთან კეთილმეგობრობის და კეთილმეზობლობისა და თავს ვითავისუფლებთ რა რუსეთზე პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან, ჩვენ აქვე ვაცხადებთ, რომ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ პროგრესულ რუსულ კულტურასთან ჩვენი ხალხის ძმობისა და მეგობრობის ახალ ნიადაგზე დაფუძნების მიზნით.

ზვიად გამსახურდიამ იქვე გვითხრა: „გთხოვთ, თქვენი პირადი კონტაქტებით და თუ გნებავთ საქართველოს ხელისუფლების სახელითაც ჩასვლისთანავე გადაურეკოთ საქართველოს მეგობარ ცნობილ რუს მწერლებს და მოიწვიოთ ისინი შეხვედრებზეო.

აქვე აღვნიშნავ, რომ დელეგაციის ხელმძღვანელობა ზვიად გასახურდიამ მე დამავალა.

ჩავედით მოსკოვში. დავნიშნეთ პირველივე პრესკონფერენცია საქართველოს წარმომადგენლობაში. დავიდე წინ ტელეფონების წიგნი და ვურეკავ „საქართველოზე სიზმრებით გაწამებულ“ რუს პოეტებს.

ახმადულინამ მითხრა, რომ იგი ერთი მოხუცი ქალია, საქართველოს პრობლემა უკვე აღარ აინტერესებს და საქართველოს საკითხზე ნუღარასოდეს დამირეკავ მიუხედავად ჩემი პირადი პატივისცემისა თქვენს მიმართო.

ევტუშენკომ მითხრა: სამწუხაროდ, თქვენ, ქართველები არ აღმოჩნდით ის ხალხი, რა წარმოდგენაც თქვენზე მქონდა. მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი უმადურები იყავით რუ-



სეთის მიმართ. რაკი თქვენ რუსეთიდან გასვლა და ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეთ, მე ნუღარ ჩამთვლით თქვენს მეგობრად და ნუღარ დამირეკავთო.

თითქმის ასევე მიპასუხეს ვაზნესენსკიმ და როჟდესტვენსკიმ. ერთადერთი მწერალი, რომელიც დაგვთანხმდა პრესკონფერენციაზე მობრძანებულიყო, ეს გახლდათ ვლადიმერ სოლოუხინი, რომელიც როგორც შემდეგ გაირკვა, მოვიდა იმისთვის, რათა ზვიად გამსახურდია გაელანძღა.

ხუთი წუთის დაწყებული იყო პრესკონფერენცია, როცა სოლოუხინმა ხელი ასწია; განცხადება მაქვსო. სიტყვა მივეცი.

ადგა და თქვა: მე ვერ წარმოვიდგედი, თუ საქართველოს ისეთი უზრდელი პრეზიდენტი ეყოლებოდა, როგორიც ზვიად გამსახურდია აღმოჩნდა. მე მითხრეს, რომ როდესაც პრეზიდენტად აირჩიეს, მას ტელეფონით მიულოცა პრეზიდენტად არჩევა ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ. მაგრამ, თურმე ზვიად გამსახურდიამ არ მიიღო ეს მილოცვა. მე ვფიქრობ, თქვენი პრეზიდენტის უტიფრობა და თავგასულობა უფრო შორს ვერ წავაო.

მე რა თქმა უნდა მაშინვე გავეცი პასუხი სოლოუხინს:

ვუთხარი, რომ თქვენ არ იცით იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდია არის ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, რომ საქართველოს ცეკას პირველ მდივანს – შევარდნაძეს, ერთხელაც არ მოუნახულებია ავადმყოფი კონსტანტინე გამსახურდია, უფრო მეტიც, კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე შევარდნაძემ დააპატიმრა ზვიად გამსახურდია და ყოველივე ამის შემდეგ ჰქონდა თუ არა ზვიად გამსახურდიას მორალური უფლება დაეჭვებულიყო შევარდნაძის მილოცვის გულწრფელობაში-მეთქი.

სოლოუხინი წამოდგა, ბოდიში მოიხადა და თქვა: მაპატიეთ, როგორც ჩანს, მე შემაცდინეს, ეს დეტალები არ ვიცოდიო.

გავიდა ცოტა ხანი და 1993 წელს რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს.

ევტუშენკოს და ახმადულინას სამშობლოს შეიარაღებული ძალები გაშმაგებით უტევდნენ ევტუშენკოს და ახმადულინას პოეტურ სამშობლოს საქართველოს. ხოცავდნენ ქალებს და ბავშვებს, მაგრამ წარმოიდგინეთ არც ზემოთნახსენებ ორ მწერალს და საერთოდ, არც ერთ რუს მწერალს ხმა არ ამოუღია საქართველოს დასაცავად. რუსულ პრესაში, ტელევიზიაზე და რადიოზე რომ არაფერი ვთქვა, არ გაჭაჭანებულა არცერთი საპროტესტო წერილი, რომელშიც თუნდაც გაკვრით იქნებოდა საუბარი იმაზე, რომ საქართველო არ არის ასეთი უმოწყალო დასჯის ღირსი და რუსეთის ხელისუფალნო ჭკუას მოუხმეთო.

მე ვერაფრით ამიხსნია რუსული მხატვრული ინტელიგენციის ასეთი დუმილი.

მართალია რუსეთმა 90-იან წლებში 180 გრადუსით მოუხვია მოჩვენებითი დემოკრატიიდან დესპოტიზმისკენ, მართალია იგი ერთბაშად დაბრუნდა მე-19 საუკუნის დასაწყისის თვითმპყრობელურ რუსეთში, მართალია სულ რაღაც 20 წლის განმავლობაში რუსეთი სასტიკად გაუსწორდა ყველა თავისუფლად მოაზროვნეს (გაიხსენეთ რა ვითარებაში დახოცეს გალინა სტაროვოიტოვა, ანა პოლიტკოვსკაია, დიმიტრი ხოლოდოვი, ტატიანა იუდინა, სერგეი იუშენკოვი, იური შჩეკოჩიხინი და სხვები), მაგრამ თუ რუსი მწერლები პუტინზე უფრო დიდი დესპოტების ვითარებაშიც კი ახერხებდნენ თავისუფალი აზრების გამოთქმას და საქართველოსადმი თავიანთი სიყვარულის არდაფარვას, ახლა რა ღმერთი გაუწყრათ, რატომ შეაქციეს ასე უმოწყალოდ ზურგი გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს.

თუმცა რუსი მწერლის სინანულის თითზე კბენის მაგალითის დასახელებაც შეიძლება;

1995 წელს საქართველოში ჩამოვიდა ევგენი ევტუშენკო. შემოქმედებითი საღამოს გამართვა გრიბოედოვის თეატრში



მოიწადინა. მაინტერესებდა, იმის შემდეგ, რაც მე მან მოსკოვში ტელეფონის ყურმილში მიპასუხა, რას იტყოდა ახლა თბილისში სცენაზე გამოსული. და თეატრში მივედი. თურმე უტიფრობას საზღვარი არა აქვს.

გამოვიდა ევტუშენკო სცენაზე და თქვა: „მე ჩამოვედი მონატრების გამო, ძალიან მომენატრეთ ძვირფასო ქართველებო, უთქვენოთ ჩემს ცხოვრებას აზრი არ აქვს. აქ დარბაზში ლტოლვილებიც სხედან. იცოდეთ, მეც თქვენსავით ლტოლვილი ვარ. მე აფხაზეთში სახლი დავკარგე, მე მოვედი თქვენთან, რათა გითხრათ, რომ მე უკვე გულში გაპატიეთ ის შეცდომა, რაც თქვენ ჩაიდინეთ პატარა ერის, თქვენი ძმების აფხაზების მიმართ. მე ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ქართველები შეეცდებოდით სხვა ერის დამონებას. მე მინდა ეს მივაწერო კოშმარულ სიზმარს, ალბათ ზვიად გამსახურდიამ შეგიყვანათ შეცდომაში, თორემ მე როგორ წარმოვიდგენ, რომ ქართველს შეუძლია ცეცხლით და მახვილით გაილაშქროს თავისი ძმის წინააღმდეგ. მოდით ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს და დღეიდან მე ვიქნები შუამავალი თქვენი შერიგებისა. ჩემს გულში კი მე ყველაფერი გაპატიეთო“.

ტვინში სისხლი კინაღამ ჩამექცა. ეს უტიფარი თურმე იმისთვის ჩამობრძანდა, რომ ჩვენი „შეცდომა“ გვაპატიოს. სცენაზე ავარდნას მოვერიდე. რომ დაამთავრა კულისებში დავხვდი და ვუთხარი: მე ის რევაზ მიშველაძე ვარ, რომელმაც 91 წლის მარტში მოსკოვში დაგირეკეთ და თქვენ მაშინ განაცხადეთ, რომ საბოლოოდ გაწყვიტეთ კავშირი უმადურ საქართველოსთან. ახლა რა მოხდა ისეთი, რომ ჩამოხვედით და სცენიდან ისევ ახალ-ახალ სისულელეებს გვეუბნებითმეთქი. ჩვენ რუსეთი დაგვესხა თავს, რუსეთმა დაგვიხოცა შვილები და რა გვჭირს შენი საპატიებელი, შე ყალბო ლიტერატურულო მაწანწალავ-მეთქი.

ევტუშენკო გაფითრდა, არაფერი უთქვამს, მისმა თბილისელმა დამქაშებმა იგი ალბათ საქეიფოდ წაიყვანეს ძველებურად, საღამოს კი ტელევიზორში გამოვიდა და განაცხადა:

დარბაზი ძველებური ოვაციით და სიყვარულით შემხვდა, იყო პატარა ინციდენტი; ერთი ჩემთვის უცნობი ქართველი მწერალი თავს დამესხა, მაგრამ მერე როცა მითხრეს, რომ მას ერთადერთი შვილი აფხაზეთის ომში დაეღუპა, მე რა თქმა უნდა გავამართლე მისი საქციელი და თუ მისმენს ახლა, მოვუწოდებ იმისკენ, რომ ნერვები დაიოკოს. ევტუშენკო არ არის ის კაცი, რომელსაც შეიძლება დამამცირებელი ეპითეტებით ელაპარაკოსო.

ამ ამბის შემდეგ კიდევ გავიდა რამდენიმე წელი და 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთი მეორედ დაგვესხა თავს. 2000 ტანკი შემოიყვანა მან საქართველოს მიწაზე როკის გვირაბიდან, რუსული ავიაცია ბომბავდა საქართველოს სოფლებს, ამჯერად მტაცებელმა რუსმა საქართველოს წაართვა შუა ქართლის 160 სოფელი და მთელი კოდორის ხეობა.

საქართველოში სისხლის კალო დატრიალდა. მთელი მსოფლიოს თვალწინ რუსეთი ცინიკურად არბევდა ქართულ სოფლებს, სახლ-კარს უწვავდა და ხოცავდა მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას და არც ამ დროს არც ერთმა ჩვენმა მეგობარმა რუსული მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელმა ხმა არ ამოიღო.

მეტსაც გეტყვით: საქართველოს მწერალთა კავშირში გვაქვს რუსული სექცია. მასში გაერთიანებულია 60-მდე მწერალი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ცხოვრობენ რუსულენოვანი ქართველი მწერლები. ისინი დროდადრო მწერალთა კავშირში ატარებენ რუსული ლიტერატურის საღამოებს, ჩვენც, საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები შეძლებისდაგვარად ვეხმარებით და ხელს ვუმართავთ მათ.

ერთხელ როდესაც ვკითხე ჩემს კოლეგა რუს მწერლებს, საქართველოს მწერალთა კავშირის რუსული სექციის წევრებს, რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმა ხომ თქვენზე თავდასხმასაც ნიშნავდა, რატომ ხმა არ ამოიღეთ მეთქი, ძვირფასმა რუსმა მწერლებმა მხრები აიჩეჩეს და ალალი ხბოს თვალებით შემომაჩერდნენ, ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევითო. თურმე



საქართველოს მადლით და სიკეთით ცხოვრება, საქართველოს მზის ქვეშ კარგად ყოფნა სურთ, მაგრამ საქართველოს დასაცავად ხმასაც არ ამოიღებენ, კალამსაც არ დაასველებენ, ისინი ხომ „პოლიტიკაში არ ერევიან“.

არ იფიქროს მკითხველმა, რომ რუსულ-ქართული მხატვრული ინტელიგენციის ურთიერთობა მხოლოდ ასეთი სავალალო ფაქტებით შემოიფარგლება, არა და არა. დღესაც საქართველოში ჩამოდიან რუსი მწერლები და ცოტა არ იყოს შემცბარი ღიმილით და დამორცხვებით, მაგრამ მაინც კეთილმეზობლობის სურვილით ატარებენ საქართველოში ხან მაიაკოვსკის დღეებს, ხან პუშკინის დღეებს, ხან ტოლსტოის დღეებს. შავიზღვისპირეთში ატარებენ ნახევრად სადამსვენებლო ხასიათის მაგრამ მაინც მნიშვნელოვან პროზისა და პოეზიის სემინარებს და უნდა ვთქვა, რომ ჩვენც სიამოვნებით ვმონაწილეობთ ამ ღონისძიებებში, რადგანაც ჩვენ მართლა გვაქვს ნოსტალგია კეთილმოსურნე რუსის მიმართ.

ჩვენის მხრივ რუსეთში ხშირად არიან რეზო ჩხეიძე, ნანი ბრეგვაძე, პაატა ბურჭულაძე და სხვა მსოფლიოში ცნობილი ხელოვანნი. ისინი ხვდებიან რუსეთში თავიანთ ღირსეულ კოლეგებს, ატარებენ შეხვედრებს და საკონცერტო დარბაზებშიც ხშირად ჩანან. ეს სრულიად ბუნებრივია და მე რადიკალურად ვემიჯნები იმათ, რომლებიც ზოგჯერ გაკიცხავენ ხოლმე ქართველ შემოქმედს მოსკოვში ჩასვლის გამო.

ქვეყნებს შორის ნახევრად საომარი ურთიერთობა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დამდურების საბურველი შემოვიხვიოთ და ჩვენი დიდი მეზობლისგან სამუდამოდ იზოლირებულად ვიგრძნოთ თავი. მით უმეტეს, რომ მოსკოვში არაერთი უნიჭიერესი ქართველი მოღვაწეობს: მარტო მსოფლიოში ცნობილი მხატვრის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის ზურაბ წერეთლის ხსენებაც კმარა და იმის ხაზგასმაც, რომ რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ლიტერატურულ ჟურნალს – „დრუჟბა ნაროდოვს“ ქართველი მწერალი ალექსანდრე ებანოიძე რედაქტორობს.

მიუხედავად ქართულ და რუსულ სახელმწიფოებს შორის ბოლო ოცწლეულში სავალალოდ განვითარებული ურთიერთობისა, ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ქართველებს თბილისში ან საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში მცხოვრები რუსი, აფხაზი ან ოსი შეევიწროვებინოს. თუნდაც უბრალოდ კითხვა დაესვას მათთვის: გამაგებინე ერთი, რას გვერჩიან თქვენი თვისტომნი, სიკეთისთვის, უბეში შეფარებისთვის რატომ გვიხდიან სამაგიეროს ასე უმადურადო.

ეს თავსატეხი არ გახლავთ.

ტოლერანტობა ჩვენი ეროვნული თვისებაა.

*25.09.2010*

## რუსეთი ვულკანზე ზის

მსოფლიოს XXI საუკუნეშიც, როგორც ირკვევა, ძალმომრეობის პრინციპი მართავს.

საქართველოს ბედი იმპერიათა ჭიდილშიც ძალმომრეობის მსახვრალი ხელით იყო განპირობებული და ეს ბედი მას არ აცდა XXI საუკუნეშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ საუკუნეს დემოკრატიზაციისა და კომპიუტერიზაციის აყვავების საუკუნედ მოაქვს თავი.

მკითხველს უკანასკნელი ათწლეულების საქართველოს ვითარება კარგად მოეხსენება.

განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთთან ორომგადატანილი პატარა საქართველო ჯერ ისევ ფეთქავს და მსოფლიოს აიძულებს, ყური მიაპყროს მის გასაჭირს.

ეს გასაჭირი კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან მოდის და საქართველოს ტერიტორიების რუსეთისგან მეკობრული მიტაცებით კრისტალდება.



არადა, არ შეეგუა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას.

იმპერიის ცინიზმი იქამდე მივიდა. რომ 1992-93 წლებში რუსეთმა არამარტო თვითონ გამოიყენა ურჩი საქართველოს დასასჯელად ცოცხალი ძალა და ცეცხლი და მახვილი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობლებიც ჩააბა საქართველოს წინააღმდეგ დამსჯელობით ექსპედიციაში.

მაშინ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი მოხდა. საქართველოსთან ისტორიული ბედით დაკავშირებულმა ჩრდილოეთკავკასიელმა ტომებმა თითქოსდა დაივიწყეს მათ წინააღმდეგ ვერაგი რუსეთის მიერ ჩატარებული დამპყრობლური ორგიები, დაივიწყეს შამილის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ცეცხლმოდებულ პატარა კუნძულს, საქართველოს გაუმართეს ბრძოლა იმ იარაღით, რომელიც რუსეთის მიერ სწორედ რამდენიმე წელიწადში მათკენ შებრუნდებოდა.

იმპერიის მიერ გამოგონილმა „კავკასიელ მთიელთა კონფედერაცია“, აქაოდა ჩვენს ძმებს – აფსუებს და ოსებს ვიცავთო, საქართველოს საღვთო ომი გამოუცხადა და ეს ქვეყნა უბედურების ზონად შერაცხა. კბილთა ღრჭიალით წამოვიდა საქართველოკენ არამარტო რუსეთი, არამედ – მთელი ჩრდილოეთ კავკასია ინგუშების ანუ ღლიღვების გარდა.

სულ რაღაც რამდენიმე თვეში საქართველო რუსეთმა მათივე ძმების ხელით დაიპყრო და საქართველოს იმდროინდელი მარიონეტული ხელისუფლების წყალობით ისევ შეათრია მოდერნიზებულ იმპერიაში.

ჯერ კიდევ არ განელებულიყო რუსთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა გულებში სიხარული საქართველოს დაჩოქების გამო, რომ დიდმპყრობელმა იარაღი ახლა გულადი ჩეჩნეთისკენ მიმართა.

მაშინ კი მიხვდა პოლიტიკურად „უაღრესად გაცნობიერე-

ბული“ ჩრდილოეთ კავკასია, რა შეცდომაც დაუშვა, იმის მაგივრად, რომ საქართველოს გარშემო დარაზმულიყვნენ და გაერთიანებული ძალით შეეტიათ რუსეთისათვის, ისინი რუსულ ანკესზე წამოეგნენ და იმპერიული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფნი აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ უმწეო ქალ-ბავშვთ და მოხუცებს აწამებდნენ და გაგრის სტადიონზე ქართველი ბიჭების თავებით ფეხბურთის თამაშის შემაძრწუნებელ ისტორიულ დანაშაულებსაც, ჩადიოდნენ.

როცა რუსეთის ტანკები იჩქერიის ქალაქთა ქუჩებში გამოჩნდნენ და ჰაერში რუსული ბომბდამშენების ზუზუნი ისმოდა. ჩეჩნეთის ბელადებს დუდაევს და მასხადოვს ბოდიშის მოხდა მოუწიათ საქართველოს წინაშე ჩადენილი შეცდომების გამო და ისევ ძველ ძმას, ქართველებს მიმართეს, რათა ჩეჩნეთიდან ოტებულნი პანკისის ხეობაში შემოგვეშვა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ძმურად გავუხსენით ჭიშკარი ჩეჩენ ლტოლვილთ, ლუკმაც გავუნაწილეთ მათ და არც ერთი წუთით არ გვიგრძნობინებია, რომ ჩეჩენ მოხალისეთა ქართულ მიწაზე ჩადენილი დანაშაული კარგად გვახსოვდა.

ქართველ მოხალისეთა გაუწვრთნელი, აშკარად სუსტი ჯარისგან განსხვავებით, რომელმაც რუსთან ბრძოლას აფხაზეთიდან დედლურად გაქცევა ამჯობინა და სამასი ათასი ლტოლვილიც თან გამოიყოლია, რუსეთს ჩეჩნეთის დამარცხება გაუჭირდა.

ოთხმილიონიანმა საქართველომ სრულიად აუხსენელად დათმო პოზიციები, ისე, რომ პარტიზანულ ბრძოლაზეც კი არ უფიქრია, ხოლო ნახევარმილიონიანმა ჩეჩნეთმა რუს დამპყრობელთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იომა.

შეეწირა ამ ომს იჩქერიის ორი პრეზიდენტი – ჯოხარ დუდაევი და ასლან მასხადოვი, მაგრამ სისხლისგან დაწრეტილმა ჩეჩენმა ხალხმა თავისუფლებისათვის ბრძოლის მსოფლიოს ისტორიის დიდ წიგნში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

რუსეთს ეგონა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ვნებები ჩაცხრა, რომ ავტონომიები შეეგუენ თავიანთ ბედს და საქართველოც კარგახანს წელში ვერ გაიმართებოდა, რომ შევარდნაძის საქართველო ძველებურად იქნებოდა რუსეთის ფაქტიური ვასალი და რუსეთსავე სთხოვდა ძალოვანი მინისტრები დაენიშნა მისთვის, მაგრამ 2003 წლის გადატრიალებამ საქართველოს პოლიტიკური ხომალდი დასავლეთისკენ მკვეთრად შეაბრუნა და ჩვენმა ქვეყანამ ამერიკის სახით თითქოსდა უფრო საიმედო მფარველი მოძებნა.

სიტყვა „მფარველი“ მე აქ შემთხვევით არ მიხსენებია, იმიტომ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ საბოლოოდ დაადასტურა ერთი ჩვენთვის ფრიად არასახარბიელო ფაქტი – სანამ მსოფლიოში დიდი გეოპოლიტიკური ძვრები არ მოხდება, სანამ მსოფლიოში ზესახელმწიფოების საზიანოდ ძალთა ვითარება არ შეიცვლება, სულ სხვა სამხედრო წონასწორობა არ დამყარდება. საქართველო კვლავ და კვლავ იძულებული იქნება მსოფლიოს მღელვარე პოლიტიკურ ოკეანეში ახალი ყურეები ეძებოს, ბოროტებათაგან შედარებით ნაკლები ბოროტება აირჩიოს და მას მიადოს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უამრავი შეცდომა დაუშვა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ერთი რამ მკვეთრად გამოიკვეთა: საქართველომ დასავლური კურსი აირჩია და ევროსტრუქტურებში ინტერგრაციისა და ნატოში შესვლის სურვილიც ორაზროვნების გარეშე, ხმამაღლა გამოაცხადა.

ეს მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რუსეთს კოპი შეეკრა და ურჩი საქართველოს ხელმეორედ დასჯა გადაეწყვიტა.

ჯერ კიდევ 2006 წლიდან დაიწყო რუსეთის გაუფორმებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ.

ეს ომი ყოველდღიურად გვაგრძნობინებდა თავს, რუსი „მშვიდობისმყოფელების“ მიერ ქართველი ჯარისკაცების ჩახოცვით. ქართული სოფლების დაბომბვით, საქართველოს საზღვრის წამდაუწუმ დარღვევით, ტყეში შეშის საჭრელად წასული მშვიდობიანი გლეხების გატაცებით და ა. შ.

ასე რომ, ვინც გულმოდგინედ ეძებს თარიღს და საათს

თუ ვინ გაისროლა პირველად 2008 წლის აგვისტოში, უმჯობესია მან იმ დღისა და საათის ძებნა ერთი ორი წლით უკან გადასწიოს. მეტსაც ვიტყვი, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1992 წელს დაწყებული ომი დღემდე არ დამთავრებულა.

და აი, 2008 წლის 7 აგვისტოს როკის გვირაბიდან საქართველოში შემოდის 2 ათასი რუსული ტანკი, მას მოჰყვება 20 ათასამდე ოკუპანტი რუსი ჯარისკაცი, აფეთქებულია ცის დამცველი სარადარო სისტემა და თითქოს ეს არ ეყოფოდა ყოველგნით ხელაღუპყრობელ საქართველოს, რუსეთმა ისევ მიმართა თავის მელურ პოლიტიკას – ჩრდილოეთ კავკასიელებს კვლავ დაუბნელა გონება და მოხალისეთა ახალი რაზმები მომართა საქართველოს წინააღმდეგ.

რა მალე დაივიწყეს ძვირფასმა ჩეჩნებმა ქართველთა ძმობა, რა მალე დაივიწყეს პანკისი და ჩეჩნისთვის გაყოფილი ქართული ლუკმა და როკის გვირაბის გავლით წვერმოშვებული და თავგადაპარსული „ჩეჩენი ძმები“ ცხინვალში ქართველი პატრიოტი ბიჭების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ამჯერადაც იძლია კორუმპირებული გენერლების მიერ გაწვრთნილი მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე სუსტი ქართული ჯარი.

მსოფლიოს საინფორმაციო ორგანოებს სასაცილოდ და საირონიოდ დიდხანს შერჩებათ კადრები, თუ როგორ გამორბოდნენ „მამაცი“ ქართველი მეომრები ცხინვალიდან და გზადაგზა ღობეებისკენ მოისროდნენ ავტომატებსა და ჯავშანჟილეტებს. გავა დრო და ამ დედლურ დემარშს ჩვენი ზოგიერთი „გენიოსი“ სამხედრო პოლიტიკოსი იმით ახსნის, რომ ქართველებმა ჭკუა ვიხმარეთ, რომ გავუწექით რა რუსულ სამხედრო მანქანას, არ მივეცით საშუალება პირსისხლიან რუს გენერლებს, საქართველო წაღმა-უკუმა გადაეხნათ.

სინამდვილეში აი, რა მოხდა. ჩვენი გამოუცდელი პოლიტიკური ელიტა იმდენად იყო ეიფორიას მიცემული ევროპული პოლიტიკური ტრიბუნების „დალაშქვრის დროს“ ატეხილი ტაშისგან, რომ ეგონა მსოფლიო არ მისცემდა უფლებას



დამპყრობელ რუსს საქართველოს წინააღმდეგ მრისხანე რუსული იარაღი გამოეყენებინა.

დამარცხებული ქართველები შიშით შევცქეროდით ტელევიზორს, სადაც საქართველოს დაბნეული პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხან შოკირებული თითებს იკვნეტდა, ხან სასოწარკვეთილი ტელეფონით შველას ითხოვდა ამერიკისა და ევროპისგან.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ბოლოს და ბოლოს, ეს შველაც გამოჩნდა.

მაშინ, როდესაც საქართველო უკვე დამარცხებული და მისი სამხედრო ინფრასტრუქტურა თითქმის იავარქმნილი იყო, მსოფლიოს სამშვიდობო ცაზე გამოჩნდა ნიკოლა სარკოზი თავისი ექვსპუნქტიანი შეთახნმებით და ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც რამდენჯერმე ჩამოფრინდა თბილისში, რომ გასაქცევად გამზადებული ჩვენი მთავრობა ცოტათი მაინც დაეშოშმინებინა.

ვერ ვიტყვი, სამართალმა პური ჭამა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის და არა ევროპის ძალისხმევით რუსებმა თბილისს მომდგარი ტანკები შეატრიალეს და საქართველოს სახელმწიფოებრიობა ამჯერად შენარჩუნებულ იქნა.

რუსს ეგონა, რომ ამით ჭკუა ასწავლა საქართველოს და აწ და მარადის მის მიერ სამაგალითოდ დასჯილი საქართველოს ხელისუფლება რუს ძმასთან მიმართებაში დამჯერი და სიტყვარბილი იქნებოდა.

საბედნიეროდ ასე არ მოხდა. ჩვენ გავითვალისწინეთ რა, რუსის ვერაგობათა ორასწლოვანი ჯაჭვის სიმძიმე, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვით რუსეთთან ენის მოჩლექით ლაპარაკზე და გადავწყვიტეთ არ დაგვემალა მსოფლიოსათვის ის, რაც მსოფლიომ მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს ყველაზე საშიში ისტორიული მტერი რუსეთი იყო და იგი მიუხედავად მსოფლიოს პოლიტიკურ უწყებათა არაერთგზისი მითითებისა, არ აპირებდა, საქართველოსთვის 1992 წელს წართმეული ტერიტორიები დაებრუნებინა.

როგორ მოიქცა რუსი? აქაოდა, ჩემი სივერაგე კავკასიაში მსოფლიოსთვის ისედაც ცხადი გახდაო, რაც სირცხვილი მაქვს ნაჭამი და სახელი მაქვს გატეხილი კავკასიაში მეტ სირცხვილს რაღას ვჭამო, და 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს კიდევ წაართვა შიდა ქართლის 160 სოფელი, ახალგორის რაიონი და მთელი კოდორის ხეობა.

ასე რომ, დღეს რუსეთს მიტაცებული აქვს საქართველოს არა მხოლოდ 20 პროცენტი, როგორც ჩვენი „ყოვლისმცოდნე“ ზოგი პარლამენტარი გაჰყვირის, არამედ 25 პროცენტი და საქართველოს იურისდიქცია დღეს ვრცელდება ნაცვლად 1992 წლამდე 69000 კვადრატული კილომეტრისა, მხოლოდ 44 ათას კვადრატულ კილომეტრზე.

გავიდა სრული სამი წელი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან.

ამ ხნის განმავლობაში საქართველო ამაოდ ითხოვს შველას მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსგან.

საქართველოს წარმომადგენელი რუსეთს საქართველოს ოკუპაციაში ამხელს ნებისმიერი პოლიტიკური ტრიბუნიდან, გაერო იქნება ეს თუ ევროკავშირის სამიტი, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე წინ არ მიდის გაერო, ევროკავშირი და ევროპარლამენტი რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაბედულად იყენებენ თავიანთ შეუსრულებელ დადგენილებებში რუსეთის მიერ სიტყვა „ოკუპაციას“, მაგრამ ერთი წუთითაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ თუ მსოფლიოს რაიმე სამართლებრივი უწყება ან კეთილი ნება მართავს, ოკუპანტს სანქციები უნდა დაუწესონ, რათა გაათავისუფლოს გაეროს წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მის მიერ მიტაცებული ტერიტორია.

2011 წლის ნოემბერში რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი წინააღმდეგ ყველა იმ სკეპტიკოსისა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ 2008 წელს რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო, მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: საქართველოს წინააღმდეგ ომი დიახაც რომ ჩემი ბრძანებით დაიწყოო. ამით საქართველოსთან ერთად გაეროსაც ვაგრძნობინეთ, რომ ნატოს გაფართოების მადა დაეოკებინაო. ამაზე ნატომ ყური მოიყრუა და რასმუსენმა განცხადებაც კი არ გააკეთა, მედვედევმა ნატოს ჭკუის სწავლებას თავი დაანებოს და თავის საქმეს მიხედოსო.



მედვედევის ამ განცხადების შემდეგ კვლავ რუსეთის პრეზიდენტობის სტარტზე შემდგარმა პუტინმა გამოაცხადა, რომ იგი აპირებს შექმნას აღმოსავლეთის ეკონომიური ზონა ე. წ. „ევრაზიის კავშირი“ – ახალი პოლიტიკური გაერთინაება, რომელშიც შევლენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკელები.

რა თქმა უნდა, ამ ახალ „სტრუქტურაში“ რამდენჯერმე ჭკუანასწავლი საქართველო თავს არ შეყოფს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პუტინის ეს ახალი ჩანაფიქრი სხვა არა არის, თუ არა ახალი ესენგეს მსგავსი გაერთიანების შექმნა, რომელიც რუსეთის პოლიტიკური მესვეურების აზრით, ვინ იცის, იქნებ, ოდესმე ახალ საბჭოთა კავშირად ჩამოყალიბდეს.

ხომ საყოველთაოდ ცნობილია, პუტინის აზრი ბოროტების იმპერიის დაშლაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლას პუტინმა XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო კატასტროფა უწოდა და ისიც არაა დასამალი, რომ რევანშისტული რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს საბჭოეთის რეამინაციისათვის.

როგორ დგას ის მხარე, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს რუსეთს თავისი ავი ზრახვების განხორციელებაში?

სანამ გოლიათი ჩინეთი მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ მოთამაშედ ჩამოყალიბდებოდეს, რუსეთის შემკავებლის ფუნქცია ამერიკამ და ევროპამ უნდა იკისროს.

სამწუხაროდ, კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში ამერიკა და ევროპა საქართველოს მშველელის ისტორიულ ფუნქციას არა და ვერ ასრულებს.

მთელი მსოფლიო კარგად ხედავს, რომ გაეროს თუ ევროკავშირის რეზოლუციები მეათიათასე მითითებების შემცველი, იმისათვის, რათა რუსეთმა საქართველოს მიმართ 2008 წელს აღებული ვალდებულება შეასრულოს, მიზანს ვერ აღწევს.

მსოფლიოს აუხსნელი სიჩუმით გულმიცემული რუსი ძალოვნები იარაღს აჟღარუნებენ და მთელი მსოფლიოს თვალწინ უტიფრად აცხადებენ, რომ ისინი ე. წ. თავიანთ მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც დაიცავენ და იმ სხვა სახელმწიფოებისთვის, სადაც რუსეთის მოქალაქეების ინტერესები ირღვევა, ცეცხლის გახსნასაც არ მოერიდებიან. არადა, ვინ არიან ეს ე. წ. რუსეთის მოქალაქეები? ისინი, ვისთვისაც 1999 წლიდან რუსეთმა რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო. მაშინ ევროპამ და ამერიკამ პირში წყალი ჩაიგუბეს და შენიშვნაც კი არ ჰკადრეს რუსეთს საქართველოს მიწაზე საქართველოს მოქალაქეებს ე. წ. აფსუებს და ოსებს რუსულ პასპორტებს რომ ურიგებ, რა კანონის ძალით სჩადიხარ ამასო.

ამ ნელთბილმა პოლიტიკამ და ამერიკულ-ევროპულმა მოცდა-დაყოვნების პრაქტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ რუსეთმა აშკარად ამოსწია ევროპის საზღვართან რაკეტები და ევროპისკენ მიმართა.

მაშინ კი ცოტა არ იყოს შეშფოთდა ევროპა და ერთიორჯერ წამოიკნავლა ისევ და ისევ მკვდრადშობილი რეზოლუციებით, მაგრამ ამასობაში მოახლოვდა ზამთარი და ევროპამ, აქაოდა, რუსეთმა გაზი არ გამითიშოსო, ენა გადაყლაპა.

ძაღლი ჰყეფს, მაგრამ რუსეთის რევანშისტული მანქანა გზას განაგრძობს.

სულ მალე რუსეთს ახალი პრეზიდენტი ეყოლება და მსოფლიო ახალი საფრთხის წინაშე დადგება.

თუ მედვედევში ზოგჯერ გაკრთებოდა ხოლმე დემოკრატიისკენ თუნდაც მოჩვენებითად მიმსწრაფი პოლიტიკოსი, პუტინის ნაჯახურ პოლიტიკაში გულჩვილობის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენთ.

განსაკუთრებული ზიზღი რუსეთის ძიუდოს ყოფილ და მომავალ პრეზიდენტს საქართველოს მიმართ აქვს.

სისულელეზე სისულელეა ზოგი გულუბრყვილო ქართველი პოლიტიკოსის აზრი იმის შესახებ, რომ პუტინის საქართველოსადმი ზიზღი საქართველოს პრეზიდენტის რუსეთის მიმართ რადიკალურმა პოლიტიკამ გამოიწვია.



ეს ასე არ არის.

რუსულ პოლიტიკაში კარგა ხანია გამომუშავდა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

რუსულ ელიტას ცრემლების კარგა ხანია არ სჯერა და მან კარგად იცის, რომ მოაზროვნე საქართველოს იგი ველარასოდეს შეაბრუნებს რუსული კაკანათისკენ.

სწორედ რომ მოაზროვნე საქართველოს კარგად ახსოვს დამპყრობელი რუსეთის ორასწლოვანი ვერაგობები და მხოლოდ და მხოლოდ თითო-ოროლა ქართველსღა თუ დარჩა თეთრთმიანი რუსი „ქალიშვილების“ და ფეშენებლური მოსკოვური სასტუმროების ნოსტალგია.

საქართველოს გააჩნდა ერთი არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ბერკეტი რუსეთთან სავაჭროდ, რათა მას თავისი ტერიტორიული მთლიანობა ნაწილობრივ მაინც აღედგინა.

ეს გახლდათ საქართველოს ხმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად.

ჩვენი მძიმე ისტორიული ხვედრის გამო, ჩვენ ხომ, ქართველებს დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელების უფლება კარგა ხანია წართმეული გვაქვს და ამერიკისვე ზეგავლენით ჩვენ ეს ბერკეტიც დავთმეთ.

ხმა მივეცით რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ნაცვლად ამისა, მივიღეთ ფრიად სუმბურული დაპირება – საქართველოს პრობლემურ საზღვრებთან, ფსოუზე და როკის გვირაბთან, რუს მესაზღვრეებთან ერთად საერთაშორისო დამკვირვებლებიც დადგებიან, რათა საქართველოში შემოსატანი ტვირთი ერთად გააკონტროლონო.

საკითხი მანდარინის ან თხილის გატან-გამოტანას კი არ შეეხება, არამედ რუსეთის მიერ აფხაზეთში, ცხინვალსა და სომხეთში რუსული იარაღის შეტანას.

ეს ხელშეკრულება რომ თავიდანვე კაბალური იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ხელშეკრულებაში უნდა ჩაწერილიყო: საზღვარს რუსეთთან ერთად ქართველებიც გააკონტროლებენო,

მაგრამ მრისხანე რუსეთმა როკთან და ფსოუზე მასპინძელი ქართველების რუსეთის გვერდით დადგომა არ ისურვა და კიდევ ერთხელ გახუნდა ყბადაღებული ფრაზა „ევროპელი მშვიდობიმსყოფელებისა“

ჯერჯერობით გაურკვეველია ვინ იქნებიან ევროპელი სამშვიდობო დამკვირვებლები – ფრანგები, ინგლისელები თუ ჰოლანდიელები. შიში მაქვს, რომ ე. წ. ევროპელებიც რუსეთის ხელდასხმითა და შერჩევით დადგებიან (თუ საერთოდ დადგნენ) საზღვრების მებაჟე გამკონტროლებლებად და ესეც შენი სიკეთე საქართველოსთვის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე დასტურისგან მიღებული.

ზემოთ ახალ ისტორიულ ვითარებაზე მოგახსენებდით და, რა თქმა უნდა, ამაში რუსეთის ჩატარებული თუ მოახლოებული არჩევნები იგულისხმეობდა.

კადიროვისთანა მარჯვე ბიჭების „ნათელი პოლიტიკური გონებით“ ვითომ და დამშვიდებული რუსი და მის მიერ ახალი ე. წ. სახელმწიფოების ე. წ. აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ცრუპრეზიდენტების საქმიანობით გაყოყოჩებული რუსული მხარე სიხარულს ვერ მალავდა. მან ხომ, როგორც იქნა, მიაღწია საქართველოს მახლობლად დამოუკიდებელ აფხაზეთში და დამოუკიდებებლ სამხრეთ ოსეთში სწორედ რომ ქართულ მიწაზე ორი დიდი სამხედრო ბაზის აშენებას.

ახლა შეიძლება ამოვისუნთქო და მედვედევ-პუტინის მეფობის კიდევ ერთი ათწლეულით განახლებაზე ვიზრუნოო, – ფიქრობდა რუსი.

და სწორედ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რაზეც, როგორც ჩანს, რუსული „ნაჯახური“ პოლიტიკა ჯერ არ დაფიქრებულა, მაგრამ რომ გააანალიზებს თანდათან მიხვდება, რომ კავკასიაში საქმე არც ისე მშვიდადაა, როგორც მას ჰგონია.

ყოფილი მოჭიდავე კოკოითი, როგორც ჩანს, მოსწყინდა რუსეთს.

ამას თან დაერთო კოკოითის მიერ რუსული „საძმო დახმარების“ უმოწყალო თქვლეფა და რუსეთმა კოკოითის შეცვლა გადაწყვიტა.



საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთმა კოკოითის შემცვლელად ვინმე ანატოლი ბიბილოვი შეარჩია, ხოლო ცხინვალის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მომავალ პრეზიდენტად კოკოითის მთავრობის განათლების ყოფილი მინისტრი ჯიოევა დაასახელა.

„სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ ერთგულებაში დარწმუნებულმა რუსმა წამით ჩათვლიმა არჩევნების დღეს – 27 ნოემბერს, რადგან ღრმად სჯეროდა, რომ ხალხი არჩევანს სწორედ მის მიერ ხელდასხმულ ანატოლი ბიბილოვზე შეაჩერებდა.

მაგრამ რუსი მწარედ მოტყუვდა.

კვლავ იჩინა თავი იმ გარემოებამ რომ რუსეთი, მიუხედავად მთელი თავისი ფლიდური პოლიტიკური წრიალისა, კარგად არ იცნობს კავკასიელი კაცის ბუნებას. დათვალეს ბიულეტინები და გაირკვა, რომ პრეზიდენტის სავარძელი ალა ჯიოევას ერგო.

შეცბუნებული რუსეთის ხელმძღვანელობა „სამხრეთ ოსეთის“ ღალატს არა და არ ელოდა. მას ხომ პირობა ჰქონდა მიცემული ბიბილოვისთვის, შენ გაგაპრეზიდენტებთ, და კოკოითის მიერ აღმართული რუსეთთან ერთგულების დროშა ძირს არ უნდა დახაროო. რუსეთი რისი რუსეთია, რომ ამ მარცხს შეგუებოდა და ორი დღის შემდეგ ცხინვალის უზანაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგი გააუქმა.

მერე მოხდა, რაც მოხდა.

ცხინვალის ქუჩები ალა ჯიოევას მომხრეებით გაივსო და საპროტესტო გამოსვლები ზოგჯერ ძალოვანებთან აშკარა შეტაკებაშიც გადაიზარდა.

ეს გარემოება რუსეთის ხელმძღვანელობას დამშვიდების საბაბს არადა არ აძლევს.

იმპერიულ რუსეთს პატარა ცხინვალის პროტესტმა ძილი გაუკრთო.

როგორ, ახალგამომცხვარ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“, რომელსაც დამოუკიდებლობა მე თვითონ გამოვუგონე და ახალგორთან დიდი სამხედრო ბაზითაც გავამაგრე მისი

დამოუკიდებლობა, ვინ მისცა იმის გამბედაობა, რომ ჩემს მიერ წარდგენილ საპრეზიდენტო კანდიდატზე უარი ეთქვაო.

მე შორსა ვარ იმ გულუბრყვილო თვითდაჯერებისგან, რასაც მოუცავს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის გონება – აქაოდა, ჯიოევა აშკარად ქართული ორიენტაციის პრეზიდენტი იქნებაო. ჯერ ერთი, ჯიოევას მიმართ იმედი და სიმპათია ჩვენ გულშიც არ უნდა გავივლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“, შიდა ქართლი ანუ ისტორიული ძირძველი ქართული მიწაა და იქ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ქართველი ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა. მით უმეტეს, არალეგიტიმური და თავსმოხვეულია პრეზიდენტის არჩევნები სამხრეთ ოსეთში.

მახსოვს, რამდენიმე ცრუპოლიტიკოსი, თავის დროზე, ბაღაფშის გაპრეზიდენტებასაც იმედის თვალით უყურებდა, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ბაღაფში არძინბაზე არანაკლებ ვერაგი პრეზიდენტი აღმოჩნდა და საქართველოს მიმართ ზიზღი არაერთგზის გამოამჟღავნა.

ასე რომ, ილუზიები ქართული მხარისთვის ალა ჯიოევას სიმპათიურობის შესახებ მითია, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახლავთ – „სამხრეთ ოსეთმა“ ანუ ცხინვალის რეგიონმა 27 ნოემბრის არჩევნებით რუსეთის მიმართ აშკარა პროტესტი გამოხატა.

ხალხი დარწმუნდა მრავალგზის მოტყუებულ კავკასიაში, რას ნიშნავს რუსის მიერ ბოძებული დამოუკიდებლობა და ამ სამი წლის განმავლობაში იმასაც ყველა მიხვდა, რომ ცხინვალის რეგიონის აყვავება და ეკონომიკური სიუხვის მოჩვენებითი რომანტიკა თვითგამოცხადებული „ოსური სახელმწიფოს“ ფაქტიური სულთათანა იყო. მით უმეტეს, რომ რუსეთმა ოსები თავის ისტორიულ ძმებს – ქართველებს ვერაგულად მოაშორა და მათს ძირძველ ძმობაში ავტომატიანი რუსი ჯარისკაცის შემაძრწუნებელი ფიგურა აღმართა.

დეკემბრის პირვე რიცხვებში რუსეთს თურმე ახალი სიურპრიზი ელოდა.

პუტინმა და მედვედევმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სრულყოფილი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა.



ისინი იმედოვნებენ, რომ დემოკრატია ჩაწიხლული და თავისუფალ სიტყვაზე ტლანქი სახელმწიფოებრივი მანქანით გადავლილი რუსეთი დუმის არჩევნების გაყალბებასაც შეეგუებოდა ჩვეულებრივი რუსულ-მუჟიკური შეგუებით:

„ასე იყო და ასე იქნება“.

„რამდენიც არ უნდა ვიხტუნოთ, თავს ზევით ვერ ავხტებით“.

როგორც კი გამოცხადდა ეგზიტპოლის შედეგები, რომ თითქოსდა, ხმათა უმრავლესობით „ედინაია რასიამ“ გაიმარჯვა დუმის არჩევნებში, რაც უკვე იყო იმის უვერტიურა, რომ სულ მალე ძიუდოისტი პუტინიც დაიდგამდა პრეზიდენტის გვირგვინს, 25- გრადუსიან ყინვაში მთელი რუსეთი გარეთ გამოვიდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა და ევროპის პოლიტიკურმა სტრუქტურებმაც ერთხმად დაგმეს არჩევნების შედეგები.

რუსეთი ელიტის ორი უტიფარი პოლიტიკური გნომი ამჯერად ამ გამოსვლებს ვერა და ვერ წაუყრუებს.

მიუხედავად ოპოზიციის ყველა ლიდერის დაპატიმრებისა, კრემლის კედლებს მოახლოებული რევოლუციის ყრუ გუგუნი აწყდება.

რუსეთი ვულკანზე ზის.

*2011 წ.*

## თუ კანონმა ხელი არ გამოიღო

ყველაზე მთავარი უკვე გაკეთდა. ქართველმა ერმა გამოამჟღავნა დიდი ისტორიული ცხოველმყოფელობა. ზოგს რომ ეგონა, თითქოს ერი სამუდამოდ დააჩმორა, დაადედლა

და პირქვე დაამხო სააკაშვილის დესპოტურმა და ჩაგრულმა მმართველობამ, ამ დროს, როგორც ჩვენს ისტორიას ახასიათებს, ქართველმა ხალხმა ძალა მოიკრიბა, მისთვის საძულველი, არაეროვნული ხელისუფლება დაამხო.

ეს გაკეთდა ბრწყინვალედ, ისე, რომ რეაქციულ ძალებს უკვე ძალა აღარ შესწევდათ არჩევნები გაეყალბებინათ. ამაში მე ვხედავ „ქართული ოცნების“ დიდ გამარჯვებას. ეს არის მარტყოფის და დიდგორის ბრძოლის მოგების ტოლფასი დღე, საქართველო გადარჩა.

ძალიან მიჭირს გამოვყო პირველი რიგის და მეორე რიგის საკითხები. ახალ ხელისუფლებას წარმოუდგენელი სამუშაო დაუგროვდა. სახელმწიფო თითქმის თავიდან არის ასაშენებელი. ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩაბარებული გამოცდის მჯერა.

ეს კაცი, როგორც კი შეიძლებოდა მაქსიმალურად აწამეს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა თუ არ შეიძლებოდა პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ, ყველაფერი დამართეს და აკიდეს, მოქალაქეობის წართმევიდან დაწყებული აშკარა დაყაჩაღებებით და დამცირებით დამთავრებული.

თუ კანონმა ხელი არ გამოიღო, შეიძლება ქვეყანაში უმართავი პროცესები განვითარდეს და ამის ნიშნები უკვე არის. ხალხი თვითონ აჩენს სამართალს, წარმთეულ ქონებას უკან იბრუნებს, სრულიად სამართლიანად მოითხოვენ ციხიდან უდანაშაულო პატიმრების გათავისუფლებას, ამდენი ხნის განმავლობაში ყურადღებამიუქცეველი ლტოლვილები შენობებს იკავებენ.

ამ ვითარებაში ივანიშვილმა პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას და კანონის უზენაესობა გაამყაროს. ეს კი მხოლოდ ერთი საშუალებით დამყარდება – სამართლიანობის აღდგენით. სასამართლო პოლიტიკური ზეწოლისგან უნდა გაათავისუფლოს, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც მოსამართლეთა 100% დღესაც სააკაშვილის მხარეა, ამ მოსამართლეებით საქართველოში სამართალი პურს ვერ ჭამს.

პირველ რიგში საჭიროა მთავრობამ აიღოს ცხრილი და ის მოსამართლეები, ვისი სიმართლისკენ და კანონისკენ მობრუნების იმედი არ არსებობს, სახლებში გაისტუმროს.



როცა დაუბრუნდება საქართველოს მოსახლეობას სასამართლოსადმი რწმენა, მერე შეიძლება ყველაფერი გაკეთდეს და მართლა დამკვიდრდეს ქვეყანაზე კანონის უზენაესობა. ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩასხმით ეს ვერ გაკეთდება. პარლამენტმა უნდა გამოძებნოს ამის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომ მოსამართლეთა კორპუსის 80% მაინც შეცვალოს.

სააკაშვილი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ქარიზმა, თავისი არტისტული მოქმედებებით, 9 წლის განმავლობაში ხალხს ატყუებდა. ეუბნებოდა, რომ წართმეულ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთო. ამ დროს კი არ დაიბრუნა, პირიქით, უფრო მეტი დაკარგა. დაკარგა 200-მდე სოფელი ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და ამისთვის მას პასუხს არავინ სთხოვს.

ბიძინა ივანიშვილს ვურჩევ, რომ ანგარიშმიუცემელი და ნაუცბათევი დაპირებები არ გასცეს. არ შეუქმნას ქვეყანას ილუზია, რომ თითქოს სულ ცოტა დარჩა წართმეული ტერიტორიების დაბრუნებამდე. ეს ათწლეულების ამბებია, ხოლო იქ დაბრუნების მექანიზმი ამ წუთში არც ბიძინამ იცის და არც ქართველმა ფილოსოფოსებმა და პოლიტიკოსებმა. ისინი მხოლოდ ვარაუდების დონეზე ლაპარაკობენ.

ზოგი ბავშვურად და გულუბრყვილოდ ამბობს, რომ მთავარი სახალხო დიპლომატიაა. გამოდის, რომ თუ ქართველი პარიკმახერი აფხაზ პარიკმახერს დაელაპარაკება და გაუგებს, ტერიტორიებს დავიბრუნებთ. თურმე აფხაზეთი დათმობს მისთვის საზიზღარ, გულისამრევ დამოუკიდებლობას და მაშინვე საქართველოს შემოუერთდება ერთ-ერთ მხარედ. ეს არ მოხდება.

დარჩა ერთადერთი, საქართველომ უნდა გააგრძელოს გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ყველაზე სწორია ისტორიამ და მსოფლიო დიპლომატიამ იმუშოს და დასავლეთმა და ამერიკამ ნელ-ნელა რუსეთს გამოგლიჯოს საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიები.

ფეხქვეშაც რომ გავეგოთ რუსეთს და 180 გრადუსით შევტრიალდეთ მისკენ, უარი ვთქვათ ნატოში და ევროკავშირში შესვლაზე, წართმეულ ტერიტორიებს მაინც არ დაგვიბრუნებს.

ამერიკამ და დასავლეთმა საბჭოთა კავშირი დაშალეს, რასაც არავინ ელოდა, ასევე უნდა ვიქონიოთ მოთმინება, რომ ნელ-ნელა ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და სხვა აქციებით რუსეთს დაათმობინონ მის მიერ მიტაცებული ტერიტორიები.

ახალმა ხელისუფლებამ პატარა თითქმის უმნიშვნელო, შიშნარევი მინიშნება გააკეთა, რომ მას შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, ეს ძალიან კარგი საქმეა.

არ შეიძლება, თუნდაც გალიაში მყოფი დათვი ჯოხის ჩუჩხურით და ენის გამოყოფით გააღიზიანო, რასაც სააკაშვილი აკეთებდა. მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დალაგდეს. საომარი მდგომარეობა მასთან კარგს არაფერს მოგვიტანს.

ჩვენი არც თავდაცვისუნარიანობა იქნება, როგორც მიამიტ სააკაშვილს ჰგონია ისეთი ძლიერი, რომ თუნდაც 500 წლის შემდეგ რუსეთს კუდით ქვა ვასროლინოთ. ჩვენთვის მთავარია, როგორმე დაყვავებით და არა მოტყუებით, ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულებით რუსეთი დავარწმუნოთ იმაში, რომ საომარი და საბრძოლო პატარა საქართველოს დიდ რუსეთთან არაფერი აქვს.

რუსეთს ახალი დიპლომატიის, ახალი პოლიტიკის, თანაცხოვრების და თანამეზობლობის მაგალითები უნდა ვაჩვენოთ. რისი გაკეთებაც ახლა შეიძლება.

თუმცა, საქართველო ვერავითარ შემთხვევაში ვერ უარყოფს ნატოს და ევროკავშირს რუსეთის გულისთვის, თუ ამ საკითხს რუსეთი მის წინაშე დააყენებს. ეს უკვე სამუდამოდ დაგვიანებულია. მაგრამ ნატოსაც უნდა შევახსენოთ, ბოლოს და ბოლოს თუ რამედ ვუღირვართ, ერთი ნაბიჯი მაინც შეგვადგემევინოს ევროატლანტიკურ ალიანსში.



ყველაზე დიდი შეცდომა სააკაშვილის ხელისუფლებისა არის ის, რომ არაეროვნული ხელისუფლება იყო. ერთხელ ბიძინა ივანიშვილის გასაგონად ვთქვი, რომ შეიძლება ქართველმა კაცმა აიტანოს შიმშილი, ავადმყოფობა, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუება ეროვნული ფენომენის გაქრობას და სულიერების წინააღმდეგ ბრძოლას, ქართველობის, როგორც ერის, დამცირებას და მის თავზე დამოკლეს მახვილივით ეროვნული გაქრობის და გადაგვარების საშიშროების დაკიდებას. დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი მისი წინამორბედის ამ საბედისწერო შეცდომებს გამოასწორებს.

## ბეწვის ხიდზე გავდივართ...

დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ე. წ. კოჰაბიტაცია ანუ მშვიდობიანი თანაარსებობა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო შეუძლებელი და სასაცილო ხდება.

ნაცმოძრაობას კოჰაბიტაციის სურვილი სრულებითაც არ ეტყობა. ისინი ვერ ეგუებიან ხელისუფლების პერსპექტიულ დაკარგვას.

„პერსპექტიულს“ იმიტომ ვამბობ, რომ ჯერჯერობით ძალაუფლება კვლავ ნაცების ხელშია. აქ, არავითარი ორხელისუფლებიანობა არ არსებობს. ეს ერთხელისუფლებიანობაა.

პრეზიდენტი აკონტროლებს სასამართლოს, პრეზიდენტის მომხრეებით გავსებულია ძალოვანი სტრუქტურები. ამ სტრუქტურებში მერაბიშვილისეული კადრების ძველ ადგილზე დატოვებამ და მათი „ოცნებურად“ აღზრდის მცდელობამ, შედეგი ვერ გამოიღო.

ყოველ ნორმალურ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნებს მაშინვე უნდა მოჰყვეს ადგილობრივი არჩევნები. ჩვენთან კი საკრებულოების გადახალისება მუჯლუგუნების იმედზე დავტოვეთ.

ისე დიდია ზიზღი მთელ საქართველოში ნაცნოძრაობის მიმართ, რომ ვერსად, ვერც ერთ კუთხეში, თუნდაც 2-3 ნაციონალი ვერ შევა ადგილობრივ მმართველობაში (თუ, რასაკვირველია, ობიექტური არჩევნები ჩატარდება).

ვერ გამიგია, რატომ უშლიან ხალხს ნერვებს?

ვინ წარმოიდგენდა, რომ თუ ეროვნული პარტია „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, სინამდვილეში ყველგან ნაცმოძრაობის მმართველობა დარჩებოდა. რაც შეეხება ინცინდენტს ბიბლიოთეკასთან, 8 თებერვალს ნაცებმა ის მიიღეს, რაც 9 წლის განმავლობაში დაიმსახურეს.

ნაცმოძრაობის სათავეში არ ჩანს არც ერთი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი. პარლამენტშიც და სხვაგანაც, მე ვხედავ მხოლოდ პრეზიდენტის უთავმოყვარეო მონებს, რომლებიც ყოველის ღონისძიებით ცდილობენ შეუნარჩუნონ მათ გაუწონასწორებელ პრეზიდენტს, განუზომელი ძალაუფლება.

რა უფლება აქვს ვადაგასულ, ხალხის სიძულვილით გარემოცულ პრეზიდენტს თავისთან დაიბაროს გამარჯვებული პარტიის „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა. ამით ხომ იგი მხოლოდ თავის პირველობას უსვამს ხაზს. კიდევ და კიდევ ვიმეორებ: ნაცმოძრაობას სძულს ქართველი ერი და არაა საჭირო დამნაშავეებან მოჩვენებითი შერიგებობანას თამაში.

აბსოლუტურად ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილის სურვილს: საქართველომ არ შეიცვალოს ევროკავშირისკენ და ნატოსკენ აღებული კურსი და თან იპოვოს გზები რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს.

პუტინისთვის ენის გამოყოფამ სააკაშვილს 2008 წელი და ასფალტზე ხოხვა მოუტანა.

მართალია, ჯერ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა სავაჭრო და კულტურულ სფეროს არ შორდება, მაგრამ ესეც რომ საქმეა? ესეც არ იყოს, სანამ ვიკვებოთ ტყუილებით? ევროკავშირში და ნატოში ჩვენ, როგორც ჩანს, უახლოეს ათწლეულებში არ მიგვიღებენ.



50 წელი იხვეწება თურქეთი ევროკავშირში მიღებას და უარს ეუბნებიან.

რუსეთს ჩვენ არავინ გამოგვიცვლის მეზობლის რანგში.

როგორ ფიქრობთ, მეზობელთან მუდმივი ჩხუბის მდგომარეობას კეთილმეზობლობა არ სჯობს? ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ საქართველოს ორი მოჭრილი ძუძუ – აფხაზეთი და სამაჩაბლო და, მიუხედავად იმისა, ესიამოვნება თუ არა რუსეთს, მას ოკუპანტის საპატიო ტიტული არ უნდა ჩამოვაშოროთ.

რვა თებერვლის ინცინდენტს გულდასმითი გამოძიება და დინჯი, გონივრული შეფასება სჭირდება.

ნაჩქარევად მიმაჩნია „ოცნების“ ხელისუფლების მიერ ამ ფაქტის გამო თავზე ნაცრის წაყრა და დანაშაულის აღიარება. ასევე ნაჩქარევი იყო შეხლა-შემოხლის ეპიცენტრში მოხვედრილი ქართული ოცნების მხარდამჭერთა დაპატიმრება. ჯოხის ცალ მხარეზე გადაღუნვამ ნაცებს საშუალება მისცა მსოფლიო მასშტაბით განგაში აეტეხათ: არიქა, გვიშველეთ! არჩევნებიდან მეასე დღეს ხელისუფლებამ ჩვენი სისხლი დაღვარაო.

მე ვფიქრობ, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ნაჩქარევობამ და არაპროფესიონალიზმმა დაგვრია ხელი.

უცხოელ დიპლომატთა თანდასწრებით შენელებულ-შეჩერებული კადრებით კიდევ ერთხელ უნდა გაგვევლო ინცინდენტის მსვლელობა თავიდან ბოლომდე. თუ ამას გავაკეთებდით, სრულიად სხვა სურათს მივიღებდით, დაახლოებით ასეთს:

რაკი პარლამენტში გამოსვლა მიხეილ სააკაშვილს სრულიად სამართლიანად გადაუდეს (და არა „აუკრძალეს“, როგორც ამას თვით პრეზიდენტი და ზოგი მისი მონა-პოლიტიკოსი ამტკიცებდა), ეგზალტირებულმა, ფათერაკების მაძიებელმა „დონკიხოტმა“ (სააკაშვილზე მაქვს ლაპარაკი, რ. მ.) გადაწყვიტა ეროვნული ბიბლიოთეკის ტრიბუნიდან მიემართა ქართველი ერისთვის.

რას იტყოდა?

მეო, თქვენს საყვარელ პრეზიდენტს, პარლამენტში გამოსვლის ნება არ მომცესო. „არ მომცეს“ იმიტომ, რომ სიმარ-

თლეს ვიტყოდი და შეეშინდათო. გამოიღვიძეთ, ქართველებო (არა, „ქართველებო“-ს არ იტყოდა, ამ მისთვის არასასურველ სიტყვას იგი იშვიათზე იშვიათად ხმარობს. რ. მ.), თორემ ვიღუპებით, ივანიშვილი კომუნისტურ წარსულში გვაბრუნებსო.

ეთქვა, არც ამით დაშავდებოდა რაიმე. ვადაგასული პრეზიდენტის რატრატს საქართველო კარგა ხანია ყურს აღარ უგდებს. რაც შეეხება პარლამენტში გამოსვლის გადადებას, უმრავლესობამ გადაწყვიტა, კონფრონტაციის კიდევ უფრო გაღრმავების თავიდან ასაცილებლად ჯერ საპარლამენტო დებატებით გარკვეულიყო „ნაცების“ დამოკიდებულება თანამედროვე საქართველოს უმთავრესი პრობლემის მიმართ. ჩამოერთმიათ პრეზიდენტისთვის პარლამენტთან შეუთანხმებლად მთავრობის ერთი ხელის მოსმით დათხოვნისა და ახალი მთავრობის დანიშვნის უფლება.

რატომ დადგა დღის წესრიგში ასე მწვავედ ეს პრობლემა? ისევ და ისევ მიხეილ სააკაშვილის იმპულსური, გაუწონასწორებელი ხასიათის გამო. პრეზიდენტი ისე ენერგიულად უპირისპირდება პარლამენტის და მთავრობის თითქმის ყოველ გადაწყვეტილებას, ისე უტიფრად ლანძღავს საკუთარ ქვეყანას საქართველოშიც და საერთაშორისო ტრიბუნიდანაც, ისე გამეტებულად, შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან ნაცისტი დამნაშავეები, რომლებიც დღითიდღე ჰკარგავენ თავისუფალი, განუსჯელი და დაუსჯელი პარპაშის ასპარეზს, რომ არავის გაუკვირდება, ნაცების ერთ-ერთ შუაღამის „სხადნიაკზე“ მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მთავრობის გაუქმების და პარლამენტის გარეკვის შესახებ.

მართალია, ამ გადაწყვეტილებით ნაცმოძრაობა თავის თავს გამოუტანს საბოლოო განაჩენს. იგი მთელ მსოფლიოში დამნაშავე პარტიად გამოცხადდება, აქედან გამომდინარე შედეგებით. ასეც არ იყოს, ხალხი პირველივე დღეს ჭეშმარიტი სახალხო რევოლუციით (და არა „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი სოროსული გადატრიალებით. რ. მ.) დაამხობს ნაცმოძრაობის უბადრუკ ნარჩენებს თავის თვითმარქვია პრეზიდენტიანად, მაგრამ ერთი მითხარით, გეგულებათ ნაცლიდერებს შორის თუნდაც ერთი კაცი, რომელიც მოსალოდნელ საშიშროებას გაითვალისწინებს? მათ ხომ ოცნების“ ზიზღმა (და მგონი ქართველი ხალხის ზიზღმაც, აქაოდა არჩევნებით პანღური რატომ ამოგვკრესო) ისე აუბა თვალები, რომ რევანშის აღების და კიდევ ერთი გამარჯვების ეიფორიული დაფდაფების გარდა ვერაფერს ხედავენ.



ისევ ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელს დავუბრუნდეთ.

პრეზიდენტს სურდა ბიბლიოთეკაში კიდევ ერთი მისთვის ჩვეული შოუ დაედგა. იგი ხომ ცხრა წლის განმავლობაში მასთან მოქალაქეების ყოველ შეხვედრას პრეზიდენტის და მასის სიყვარულის ზეიმად აქცევდა ხოლმე.

ამას სულ ადვილად ახერხებდა.

გადახურულ დარბაზებში კი არა, თვით სტადიონზეც არ უშვებდნენ სხვაგვარად მოაზროვნეებს. კომუნისტურ წარსულში დაბრუნება სწორედ ეს იყო, თუ იყო. ოღონდ გაცილებით უფრო მახინჯი და პომპეზური ფორმით. გადათეთრებული, გადაწილთებული ამფითეატრი სახეგაბრწყინებული ახალგაზრდებით თუ ძველგაზრდებით სავსე, ხმის ჩახლეჩამდე „მიშა! მიშას!“ გაჰყვიროდა. სააკაშვილს, ჩანს, მოენატრა მსგავსი შეხვედრები და მისმა გარემოცვამაც ყოველგვარი ზომა მიიღო, რომ ბიბლიოთეკაში „ოცნების“ არც ერთი წევრი არ „შეპარულიყო“. თქვენ წარმოიდგინეთ, „ოცნება“ კი არა, შეხვედრაზე არც არასამთავრობოები და არც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულნი.

სამართალდამცველმა ნანა კაკაბაძემ თავის ჩვენებაში განმარტა, რომ შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მან სთხოვა პრეზიდენტის პრესმდივანს მანჯგალაძეს ნაცმოძრაობის არაწევრი 10 მოქალაქე მაინც შეეშვათ დარბაზში და სიაც გადასცა. მანჯგალაძემ თავი დაუქნია, სია გამოართვა და გაუჩინარდა.

გავიდა ერთი საათი, ორი... პრეზიდენტი არ ჩანს. ნანა კაკაბაძის სიამ, როგორც ჩანს, შოკში ჩააგდო შეხვედრის ორგანიზატორები. არც უარს ამბობენ 10 კაცის შეშვებაზე

და არც თანხმობას. ვაითუ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისეთი შეკითხვა დაუსვას ათეულმა ძვირფას პრეზიდენტს, რომ ზეიმი ჩააშხამოსო.

ამასობაში ნაცუმცირესობა ნიშნისმოგებითი სახეებით და გამომწვევი ღიმილით, აქაოდა მე ვარ და ჩემი ნაბადიო, მათი ახოვანი ლიდერის – გიგი უგულავას წინამძღოლობით მოიწევს ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელისკენ. უგულავა ხელებს არლეკინივით იქნევს და ხალხს აღიზიანებს.

როგორც გაირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დილიდანვე გააფრთხილეს ნაცები, ბიბლიოთეკასთან აღელვებული მოქალაქეები დგანან და უმჯობესია, სათადარიგო შესასვლელით შეხვიდეთ ბიბლიოთეკაშიო. მაგრამ „უშიშარმა ნაცებმა“ ქოში უკუღმა ჰყარეს. ღმერთო კი მომკალი, რა გვჭირს დასამალავიო. აბა გაბედოს ვინმემ და წინ გადაგვიდგესო.

ვერ გათვალეს ვერც პრეზიდენტმა და ვერც ნაცბოსებმა, რომ სხვა დრო დადგა, რომ ცხრა წლის განმავლობაში მათ მიერ დატანჯულ საქართველოს შეიძლება თვით პრეზიდენტისთვის არასასიამოვნო შეკითხვების დასმის სურვილი გასჩენოდათ.

ასეთ ვითარებაში მოხდა ბიბლიოთეკის პარმაღზე შეხლა-შემოხლა. მოქალაქეები გაჰყვიროდნენ: სანამ ჩვენ მიერ ამორჩეულ 10 კაცს არ შეუშვებთ, აღარც თქვენ გაგატარებთო. მაგრამ როდის დაუხევიათ უკან ნაცებს, ახლა რომ დაეხიათ?

როგორ გაბედეთ წინ გადაგომაო და გაიმართა მუშტიკრივი.

თურმე რა გაბრაზება სცოდნიათ იმათ, ვინც ცხრა წლის განმავლობაში საპარლამენტო ტრიბუნიდან ინტელიგენტებად გვაჩვენებდნენ თავს. როგორ წიხლ-ბუქნაობდნენ ქალიან-კაციანად, რა უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ... ვის ხელში ვყოფილვართ ცხრა წლის განმავლობაში?! კიდევ კარგად გადავრჩენილვართ.

შემზარავი სანახავი იყო ქართველების ერთმანეთზე მიწევ-მოწევა. თვისტომთა ესოდენ თავგანწირული კვეთებაგამეტება, მაგრამ თუ საკითხს დავსვამთ: ვინ იყო ამ ვაკხანალიის ინიციატორი და ინსპირატორი, პასუხი ცალსახაა – რასაკვირველია, ნაცუმცირესობა და, პირველ რიგში, გიგი უგულავა.

ხომ ხედავ, შე ცხრა წლის განმავლობაში გალაღებულ-გაქსუებულო ნაცმოძრაობის წარმომადგენელო, რომ შენს წინ შენს მიერვე უსამართლოდ გაწამებული ყოფილი პოლიტპატიმარი დგას. აუარე გვერდი და შედი დარბაზში სათადარიგო შესასვლელით. მაგრამ შენ ხომ ეს არა გსურს. შენ გინდა კიდევ ერთხელ დასცინო ციხეში ტყუილუბრალოდ ნაჯდომ, გაწამებულ კაცს წინ ჩაუარო და ქოქოლა დააყარო. ეს იყო სულ.

რაკი ინიციატორი გავარკვიეთ, ახლა ის ვნახოთ, გაღმა-გამოღმა ვინ უფრო მეტი გაილახა ამ ჯგლეთა-გრიალში:

სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ იმ შეხლა-შემოხლის მონაწილენი ყველანი უკლებლივ გამოცხადდნენ თავიანთ ბელადთან ავლაბრის სასახლეში და გამეტებული ნაცემობა არც-ერთ „ნაცს“ არ ეტყობოდა. თვით ჩიორა თაქთაქიშვილიც კი, რომელსაც განსაკუთრებული არც თუ კდემამოსილი აქტიურობის გამო შემთხვევით მოხვდა მამაკაცის ხელი (რაც იმ მამაკაცისგან დიაღაც სამარცხვინოა და ათასი ბოდიში უნდა მოუხადოს პატარა, ნაზ გოგონას – ჩიორას) ღმერთმა კარგად მიმყოფოს, მშვენივრად გამოიყურებოდა.

როგორია ამ ცემა-ტყეპის სამართლებრივი შედეგი? დაჯარიმებული ქართული ოცნების მხოლოდ რამდენიმე მხარდამჭერი და არც ერთი დაპატიმრებული და დაჯარიმებული ნაცმოძრაობის მხრიდან. რით უნდა აიხსნას ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების ესოდენი თვითგვემა და გულჩვილობა? „რაო? აღარ დადგა ჩვენი დრო? ისევ ნაცმოძრაობის დამცველების ხელში ვართ?“ – კითხულობდნენ გაწბილებული მოქალაქენი, როცა სასამართლოს დარბაზს ტოვებდნენ.

დროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ, ბატონო ხელისუფალნო, ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ შერჩევით სამართალს და განუკითხობას.

იბარებენ დაკითხვაზე პარლამენტარს, თუ ქალაქის მერს და მაღალჩინოსანნი თავს ნებას აძლევენ, არ გამოცხადდნენ პროკურატურაში, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ეს უკანასკნელნი ამის გამო ერთს წაიტელეტრაბახებენ, თუ არ მოვლენ, ძალით მოვიყვანთო, მაგრამ იმ საღამოსვე ენაზე იკბენენ და უკან დაიხევენ; კარგი, ჯანდაბას, რაკი თვითონ არ მოდიან, ჩვენ თვითონვე ვეახლებით და დაკითხვა-გასაუბრებას საკუთარ კაბინეტში ჩავუტარებთო.

რა არის ეს? ნუთუ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ამით სამართალდამცავთ ავტორიტეტი ეცემა?

მართალია, აცხადებს იუსტიციის მინისტრი: სასამართლოს ტენდენციურობის გამო ყველა დამნაშავე გირაოთი გაათავისუფლესო, მართალია, აცხადებს პარლამენტარი თინა ხიდაშელი; თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს პროკურორს და იუსტიციის მინისტრს პარლამენტში დავიბარებო, მაგრამ „ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის“.

სამართალდამცავთა მოჩვენებითი ფუსფუსი კუკუდამალობანას თამაშს დაემსგავსა. იცინის ხალხი ყოფილ ხელისუფალთა წამდაუწუმ დაბარება-გამოშვებებზე.

ჯერ შესვლის დროს გალანძღავს დაკითხვაზე დაბარებული ბიძინა ივანიშვილს და ოთხსაათიანი დაკითხვიდან რომ გამოვა, ახლა მეორედ გალანძღავს. რა ენაღვლება, პასუხს არავინ თხოვს.

მოქალაქენი ამას ყოველივე ისმენენ და მათს გულებში ნელ-ნელა იბუდებს ეჭვი ხელისუფლების უნიათობის შესახებ.

სანამ გაგრძელდება დაჭერობანა-გამოშვებობანას თამაშები?

თუ არაა დამნაშავე, გაანებე თავი და თუ დამნაშავეა, რა ხელის კანკალი და მოკრძალება დაგჩემდათ იმათ მიმართ, ვინც ცხრა წლის განმავლობაში გააჩანაგა ქვეყანა და ნერვები დააწყვიტა ხალხს?

ფაქტები არა გვაქვს, რომ სამართალში მივცეთო, – თავს იმართლებენ გამომძიებლები და დამნაშავეთა წამდაუწუმი დაკითხვის უმტკივნეულო პრაქტიკას განაგრძობენ. თურმე



ნაცმოძრაობას 21 ათასი მკვდარი სული ჰყოლია „სამსახურებში“ გაფორმებული და ისინი თურმე მხოლოდ და მხოლოდ ნაცმოძრაობის მხარდაჭერისთვის იღებდნენ ხელფასს. მათი მთავარი ფუნქცია იყო ხუთიანმიხატული მაისურები ჩაეცვათ და ნაცთა მიტინგებზე „მიშა! მიშა!“ ეყვირათ. ამაში იღებდნენ ხელფასს.

მეტი ფაქტი რაღა გინდათ, ამხანაგო სამართალდამცველნო?

აი, რატომ ამბობენ, მორიგი დაკითხვიდან გამოსულნი „ჩვენ მიერ აშენებულ შენობებში სხვებთან ერთად ჩვენი ძველი (მშობლიური) კადრებიც სხედანო.

იმათ იმედზე ხომ არ მიაბიჯებენ ასე თამამი და გამართული ნაბიჯებით დაკითხვაზე ნაცისტი დამნაშავენი?

10 თებერვალს ავლაბრის რეზიდენციაში სააკაშვილი, უსუფაშვილი და ბაქრაძე შეხვდნენ ერთმანეთს.

სააკაშვილი ერთი შეშმუშვნა, რა თქმა უნდა, შეიშმუშნა, ბიძინა ივანიშვილი რომ არ ეახლა, მაგრამ რაღას იზამდა, დათანხმდა მოლაპარაკების დაწყებას, რომელზეც 4 წინასწარგანწირული საკითხი უნდა განეხილათ:

პრეზიდენტის საკონსტიტუციო ძალაუფლების შეზღუდვა, კერძოდ, მისთვის მთავრობის დათხოვნის და დანიშვნის უფლების ჩამორთმევა;

პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადატანა;

საგარეო პრიორიტეტების დაფიქსირება კონსტიტუციაში;

პრეზიდენტის არჩევითობის პრობლემა (პირდაპირი, საყოველთო არჩევნებით თუ პარლამენტის გზით).

რასაკვირველია, სააკაშვილის და ბაქრაძის შეუვალი ნებით ეს „დებატებიც“ უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ უსუფაშვილმა წინდახედულება გამოიჩინა და მაინც განაცხადა, ეს მოლაპარაკება უპერსპექტივოდ არ მესახებაო.

ყველასგან მოულოდნელად პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა „აფრა აუშვა“ და ისევ და ისევ ხელისუფლების შეცდომებზე და 8 თებერვალს ბიბლიოთეკის წინ შეკრებილ კრიმინალებზე ჩამოაგდო სიტყვა. გაშრნენ უსუფაშვილი

და ბაქრაძე. მოლაპარაკების და საერთო ენის გამონახვის მსურველი ამ სისულელეს იტყოდა?

უსუფაშვილმა არ აპატია პრეზიდენტს და იქვე შეაჩერა – აქ ტელედებატებისთვის არ მოვსულვართო.

კიდევ რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა, რომ მის არაადეკვატურობაში დარწმუნდეთ?

შეშფოთებული ვარ იმით, რაც დღეს საქართველოში ხდება. საქართველო არ იყო მზად იმ ისტორიული პროცესებისთვის, რაც ამ ბოლო პერიოდში მოხდა.

ეროვნული მსოფლმხედველობის პარტიის მიერ, იმ პარტიის მიერ, რომელსაც ჰქვია „ქართული ოცნება“, როგორც იქნა, ჩანაცვლებულ იქნა ნაცისტური პარტია.

ამის შემდეგ ყველაფერი უნდა განვითარებულიყო ქართველი ერის სურვილისა და ინტერესების შესაბამისად, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო რამ, თავს მოგვახვიეს ე. წ. კოჰაბიტაციის პროცესი, ანუ ორი სისტემის, ორი პარტიის, ორი მიმართულების მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესი.

ასეთი პროცესი საქართველოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ განუცდია და ამიტომ არის ეს ჩვენთვის უჩვეულო.

მე პირადად, როგორც ერთ კაცს, რევაზ მიშველაძეს, მიმაჩნია, რომ კოჰაბიტაცია შესაძლებელია ზედემოკრატიულ სახელმწიფოში, როდესაც ორ მმართველ პარტიას შორის შეხედულებათა სხვადასხვაობაა ყოფით საკითხებზე, ან, ვთქვათ, ეკონომიკის, ან სოფლის მეურნეობის საკითხებზე, თუ გნებავთ, მსოფლმხედველობრივ საკითხებზეც კი, მაგრამ როდესაც თავს გვახვევენ მშვიდობიან თანაარსებობას, ერთი მხრივ, დამნაშავე პარტიასა, რომელმაც ქართული ეროვნული ფენომენი გაანადგურა, რომელიც დაუპირისპირდა ყველაფერს ტრადიციულს, ქართულს, რაშიც ქართველი ერის სახე უნდა გამოხატულიყო და განვითარებულიყო, და მეორე მხრივ, ახალფეხადგმულ, ეროვნულ პარტიასთან, რომელსაც



ქართველმა ერმა მხარი დაუჭირა, ასეთი სახის მშვიდობიანი თანაარსებობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდება, რადგან ეს იქნება ხელოვნური, უნაყოფო შეჯვარება.

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს ოსტატურად მოაგვაროს ურთიერთობა ერთი მხრივ, აშშ-სა და ევროკავშირთან, მეორე მხრივ, ისეთ ავ და ჭირვეულ ქვეყანასთან, როგორიც გახლავთ რუსეთი.

დათბობა რუსეთთან აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ისეთი სახის დათმობებით, როგორიცაა დაკარგულ ტერიტორიებთან შეგუება.

ეს ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის, მაგრამ თუ რუსეთისგან აღებული იქნება მცირეოდენი პოლიტიკური თამასუქი იმისა, რომ კიდევ ერთხელ არ გასრისოს საქართველო, როგორც ეს არაერთგზის გაუკეთებია, ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ასეთი გარანტია ჩვენ გვჭირდება, რადგან ასეთ შემთხვევებში ჩვენს პატრონად არავინ გამოჩენილა.

თუკი ივანიშვილი ამგვარი გარანტიის მოპოვებას შეძლებს, ეს პატარა საქმეა?

ამ ბოლო დროს აქა-იქ საყვედურები გაისმის ბიძინა ივანიშვილის მისამართით. ამბობენ, რომ ის ვერ ახერხებს ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას... ეს საყვედურები უსაფუძვლოა.

ერთი უცნაური ამბავი შეინიშნება. ზოგიერთებმა ათი წლის გაფუჭებული საქმის ერთბაშად გამოსწორება მოინდომეს და მოითხოვეს, როდესაც ათი წელიწადი ანგრევდნენ ქვეყანას, ძარცვავდნენ ბიზნესმენებს, აჩანაგებდნენ აკადემიას, უნივერსიტეტს, განათლებასა და ჯანდაცვის სისტემას, ქართულ კულტურას და სულიერებას, მწერალთა კავშირს ასახლებდნენ შენობიდან, ხელს აწერდნენ უამრავ საძაგლობას, მაშინ ჩვენ ამას ვითმენდით. ეს მოთმინება შეიძლება შიშისგანაც მოდიოდა, მაგრამ ახლა რა მოუთმენლობამ შეგვიპყრო, ათასობით საქმე რომ არის პროკურატურაში შესული, გინდა თუ არა, პირველად ჩემი საქმე განიხილეთო, რომ გაიძახიან, ხომ ხედავთ, რა ვითარებაა შექმნილი, დაი-

ბარებენ რომელიმე „ჭ“ კლასის ჩინოვნიკს პროკურატურაში და დასავლეთი იმ წუთშივე განგაშს ტეხს. „ნაცმოძრაობის“ პროვოკატორ-ინფორმატორები აწვდიან ცნობებს, რომ თითქოს საქართველოში 1937 წელი დაბრუნდა, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, საწინააღმდეგო ამბები ხდება.

როგორ შეიძლება ვიღაც ახალგამომცხვარმა ნაცისტმა პოლიტიკოსმა კათალიკოს-პატრიარქს უყიჟინოს, პუტინს როგორ შეხვდი და ხელი როგორ ჩამოართვიო, ქართული ეკლესიის ამ კეთილმა მისიამ შესაძლებელია ოდნავ მაინც გაალღოს ჩრდილოელი მეზობლის გაყინული გული. საქართველო ვერავის შეაშინებს. ჩვენ ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობები უნდა გავარკვიოთ და უნდა ვითანამშრომლოთ მათთან.

ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლის შენდეგ გასულ სამიოდ თვეში უკვე გამოჩნდა პირველი ნაყოფი. ის, რომ რუსეთის ბაზარზე, სადაც შესვლას მთელი მსოფლიო ნატრობს, უკვე შედის ქართული პროდუქცია, ეს ხომ ამ ახალი ხელისუფლების გამარჯვებაა! ყველაფერს დრო სჭირდება, ყველაფერი თავის დროზე იქნება. ამიტომ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, არ აჰყვეთ პროვოკატორებს, რომლებიც დღე და ღამე ჩაგჩიჩინებენ, – ვერ გაამართლა, ვერ შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დანაპირებიო. ბიძინა ივანიშვილი, ყოველგვარი ისტერიკებისა და ფიურერივით შუბლზე თმის ჩამოშლის გარეშე, სადაც კი გამოდის, ევროსაბჭოში, დავოსში, სომხეთსა თუ აზერბაიჯანში, ამბობს მოზომილ, ინტელიგენტურ სიტყვას.

პრემიერ-მინისტრის სიდინჯე, გამჭრიახობა და გაწონასწორებული ხასიათი იმის გარანტიაა, რომ საქართველო გადარჩება.

*15.II.2013.*



# მსოფლიო პოლიტიკა და საქართველო

საქართველო თავისი ისტორიის ურთულეს მოსახვევს გადის.

რა თქმა უნდა, ძნელია იმის დამტკიცება, რომ ქვეყანას უფრო მძიმე დღე არასოდეს დასდგომია. ჩვენ ათწლეულები კი არა, საუკუნეები გვქონდა ისეთი, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა აბსოლუტურად მოშლილი იყო, საზღვრები იავარქმნილი და მოსახლეობის რაოდენობა 750.000-საც არ აღემატებოდა, მაგრამ გასულა დრო, ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალებულა და საქართველო ფენიქსისებრ აღმდგარა, აღორძინებულა.

ახლა წრეგადასული სკეპტიციზმის, აბსოლუტური უიმედობის საფუძველი თითქმის არ არსებობს. თვითმყოფი სახელმწიფოს არაერთი ნიშანი გაგვაჩნია და, რაც მთავარია, საქართველო მსოფლიოში აღიარებული ქვეყანაა; გაეროს და ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი და ნატოს და ევროკავშირის პარმაღთან მდგარი.

და მაინც, საკმარისია თუ არა საზღვარგარეთის დიპლომატიურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ეს აღიარება, რომ ქვეყანამ დაცულად იგრძნოს თავი?

არა, არ არის.

ჩვენი ისტორიული ბედის თუ გეოპოლიტიკური ვითარების გადამკიდე, ჩვენ ისევ ვრჩებით ორი ზესახელმწიფოს (ამერიკა, რუსეთი) ინტერესთა გადაკვეთის წერტილად.

საქართველო დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე წითლადაა განათებული როგორც ერთ-ერთი ცხელი წერტილი ავღანეთთან, ერაყთან და ისრაელთან ერთად.

თუ გადავხედავთ საქართველოს ძნელბედ ისტორიას, შეიძლება დავასკვნათ, რომ საუკუნეთა მიღმა მიმდინარე პროცესები თითქმის მეორდება. რაკიღა საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო საუკუნეების განმავლობაში ყველა მხრიდან ესხმოდნენ თავს იმპერიები, ქვეყნის ხელისუფალთა წინაშე ყოველთვის იდგა ორიენტა-

ციის საკითხი. თუ რომელიმე იმპერიის უღლის ქვეშ მგმინავი ქვეყანა ამოსუნთქვას შეძლებდა, ისევ და ისევ იმპერიის ტორტმანის გამო, მას დამიზნებული ჰქონდა იმპერიათა გამჭოლი მზერა. ქართველი მეფეები ცდილობდნენ ურთულეს ვითარებაში მცირე გამოსავალი მაინც ეპოვათ.

საქართველოს ერთადერთი ხელისუფალი ბრძნულად ჭვრეტდა რა ქვეყნის მომავალს, უტყუარი გუმანით ახერხებდა ზურგი შეექცია იმ იმპერიისათვის, რომელიც უკვე სუსტდებოდა და ისტორიის წინაშე ფარხმალს ყრიდა. მაგრამ მოგეხსენებათ, დანგრევის პირას მისული იმპერია უფრო გააფთრებით შეუტევდა ხოლმე თავის ყოფილ ვასალს და გამძვინვარებული მეხთატეხას დაატეხდა თავს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ გვჭირდება; დაიდო თუ არა გეორგიევსკის ტრაქტატი, რითაც საქართველომ ქვეყნის ბედი რუსეთს დაუკავშირა, საქართველოს მალევე შემოესია აღამახმად ხანი, დაამარცხა ერეკლეს ლაშქარი და თბილისი მიწასთან გაასწორა.

თითქმის იგივე სიტუაცია მეორდება დღეს. გავლენის სფეროთა მოპოვება არ მთავრდება, თუმცა მსოფლიომ თითქმის კოლონიალიზმის უღელი გადაიგდო და სიტყვები „კოლონია“ და „დომინიონი“ დღეს მსოფლიო დიპლომატთა ლექსიკონში თითქმის აღარ იხმარება, მაგრამ ფარულად ისევ არსებობენ არაოფიციალური კოლონიები და დომინიონები და ორი ზესახელმწიფო ამერიკა და რუსეთი ერთმანეთთან ლამის გამოუცხადებელ ომს აწარმოებენ გავლენის სფეროებისათვის.

საკმარისი იყო წითელი იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილი გამოეთქვა, რომ რუსეთი, რომელსაც საქართველოს დასჯის ძალა ჯერ კიდევ გააჩნია და, ალბათ, კიდევ დიდხანს ექნება, 1993 წელს უთანასწორო ომში ითრევს ქვეყანას ეგრეთ წოდებული აფხაზეთის ომის ნიღბით. მალე რუსეთმა ფაქტობრივად ოკუპირება მოახდინა აფხაზეთის და სამაჩაბლოსი და საქართველოს ჩამოაჭრა თითქმის 22 ათასი კვ. კმ. ტერიტორია.



ასეთია საქართველოს თანამედროვე სავალალო ვითარება. რუსეთი მცოცავი სასაზღვრო პოლიტიკით წინ მოიწევს, ზღაპრის ფასკუნჯივით ყლაპავს საქართველოს მიწებს, აფხაზეთს და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთს“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აცხადებს და შუა საქართველოში ბერლინის კედელს აშენებს ნიშნად იმისა, რომ თუ მსოფლიოში რაღაც დიდი ისტორიული კატაკლიზმები არ დატრიალდა, საქართველო წართმეულ ისტორიულ მიწებს კიდევ დიდხანს ვერ დაიბრუნებს.

ცნება „ისტორიული მიწა“ მე შემთხვევით არ მიხსენებია. ეს საერთაშორისოდ აღიარებული ტერმინი გახლავთ და მსოფლიოს ამა თუ იმ მონაკვეთზე მცხოვრები ავტოქტონური ერის უფლებას გამოხატავს. თუმცა ისტორიული მიწის ხსენებისას არაერთ ბეც პოლიტიკოსს მსოფლიოში მრავალმნიშვნელოვნად ეღიმება.

ათწლეულები გადის და საქართველოს იარა არ რჩება. მისი ტერიტორიული მთლიანობის აღგენას საშველი არ ადგება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მსოფლიო იმაზე უფრო მოუწსერიგებელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ძალის პოლიტიკა 21-ე საუკუნეშიც თავის სიტყვას ამბობს.

დღეს მსოფლიოში არ არსებობს რომელიმე საერთაშორისო დიპლომატიური ინსტიტუტი, რომლის გადაწყვეტილებასაც ყველა ქვეყანა დაემორჩილებოდა. მეტსაც ვიტყვი: არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც უფლება ექნებოდა დაესაჯა აგრესორი და სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და ჰარმონიულობის პრინციპები დაემკვიდრებინა.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში გაერომ და ევროკავშირმა უამრავი დადგენილება მიიღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სასარგებლოდ, მაგრამ ის უმთავრესი მონსტრი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელჰყო, ჯიუტად არ ასრულებს არც ერთ დადგენილებას, იგი არად დაგიდევთ გაეროს და

ევროკავშირის შეშფოთებულ რეზოლუციებს და შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ამით დასცინის კიდეც გაეროსაც და ევროკავშირსაც. ამასწინათ გაერომ მიიღო დადგენილება საქართველოში ყველა ლტოლვილის თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უპირობოდ დაბრუნების შესახებ, მაგრამ არც ამ დადგენილებაზე შეიბერტყა რუსეთმა ყური. ხოლო, როდესაც ევროკავშირში დადგა საკითხი ევროკავშირის რეზოლუციების გამო რუსეთისათვის ხმის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რუსმა დიპლომატებმა ცინიკურად განაცხადეს, თუ ხმის უფლებას ჩამოგვართმევთ, საერთოდ გავალთ ევროკავშირიდან, ევროპას სჭირდება რუსეთი, თორემ რუსეთს ევროპა არაფერში სჭირდებაო.

აშკარაა, რომ რუსეთი ენერგეტიკის თემით სპეკულირებს, მაგრამ შემაძრწუნებელი ის არის, რომ თუ რუსეთს შეუძლია შუა ზამთარში ევროპას გაზი გადაუკეტოს, სამწუხაროდ, ისე ჩანს, რომ ევროპას თავის მხრივ მწუხარე რეზოლუციების გარდა რუსეთზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი არ გააჩნია. ხოლო მარტოოდენ სიტყვებით და ქაღალდებით რუსეთისათვის ცრემლის მოგვრა ევროპას რომ არ ძალუძს ეს იქედანაც ჩანს, რომ მსოფლიო დაიღალა საქართველოს თემაზე ჟენევის თუ სტრასბურგის გაუთავებელი კონსულტაციებით, რომელთა შედეგი თითქმის ნულის ტოლია.

საქართველოს მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ ამ ბოლო დროს თვით ბენლადენის განსასჯელიც კი გახდა ჩვენი ბედი. მსოფლიოს ნომერ პირველმა ტერორისტმა განაცხადა, 2008 წლის ომში ამერიკამ „საქართველო გადააგდო“ და გავეშებულ თეთრ დათვს ხელში შეატოვაო.

რა თქმა უნდა, ეს ბოლომდე მართალი არ არის, ამერიკის კრეისერების შემოსვლამ შავ ზღვაში და მისმა ქმედითმა ფინანსურმა დახმარებამ საქართველოს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ძია სემის ცოტა არ იყოს შეყოვნებულმა დახმარებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ერთი ანდაზისა არ იყოს, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს კინაღამ ტყავი გააძვრეს.



როცა ვამბობ, უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებით გამძაფრდა-მეთქი საქართველოს მდგომარეობა, მხედველობაში ის გარემოება მაქვს, რომ შევარდნაძე შეეცადა ეგრეთ წოდებული ბალანსირების პოლიტიკა ეწარმოებინა, იგი ღარიბი ნათესავივით ორივე მხარეს უღიმოდა, რუსეთსაც და ამერიკასაც. ბოლოს იმ პატარძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა, მთაზე თავისთვის მარტო რომ ცეკვავდა და არც იქეთა მხარე უმადლოდა და არც აქეთა. შევარდნაძის პოლიტიკის შედეგად რუსეთმა მაინც თავისი გაიტანა და ორჭოფობის და გაშუალედებული ანუ ნელთბილი პოლიტიკის გამო არც ამერიკამ დაგვისვა თავზე ხელი.

მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც ორი გამზრდელის ხელში დაჩაგრული ქვეყნის მემკვიდრეობა ჩაიბარა, გადაწყვეტს უფრო ხისტი და პირდაპირი პოლიტიკა აწარმოოს. იგი ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ირჩევს დასავლურ ორიენტაციას და საქართველოს უპირველეს მეგობრად და თანამდგომად ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევს. მე ვფიქრობ, ისტორიის წინაში კარტების გახსნა უფრო წაადგება საქართველოს, ვიდრე შევარდნაძესავით რუსეთის დაკრულზე როკვა და მერე სრულიად არადიპლომატიური თავის მართლება ყბადაღებული ფრაზებით: „მე მომატყუეს“.

ზოგიერთი ახლომხედველი პოლიტიკოსი სააკაშვილის პროამერიკანულ პოლიტიკას არ ეთანმხება და ამბობს, ისტორიის ამ ეტაპზე იქნება დაბალანსების პოლიტიკამ აჯობოს, ხომ ხედავთ სააკაშვილის პოლიტიკამ ახალი ტერიტორიები დაგვაკარგვინაო.

ამის მთქმელს ვიწრო ისტორიული მეხსიერება აქვს.

სააკაშვილის პოლიტიკამ დაგვაკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო? აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთმა 1993 წელს წაგვართვა და წაგვართვა ისეთი მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ სრულიად უდანაშაულო ლტოლვილებიც კი არ დააბრუნა თავის სახლებში.

ასევე გულუბრყვილოა მსჯელობა იმის შესახებ, რომ შევარდნაძე რომ ყოფილიყო, რუსი აფხაზეთს და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას არ გამოაცხადებდაო.

როცა ოკუპაცია ხორციელდება, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რა სტატუსს მისცემს ოკუპანტი დაპყრობილ ტერიტორიას. ჩვენთვის, ქართველისთვის აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დამოკიდებულებაში არაფერი შეცვლილა. ადამიანები თავიანთ დამწვარ სახლებში ვერ ბრუნდებიან უკვე 16 წელია და, ვინ იცის, ასე როდემდე გაგრძელდება.

უკანასკნელი პერიოდის საგულისხმო ისტორიული მოვლენა ტალიავინის კომისიის დასკვნა გახლავთ.

საქმე ისეთ კურიოზამდე მიდის, რომ ამ უკვე გამოქვეყნებულ და ინტერნეტსაიტებზე სიტყვა-სიტყვით დადებულ დასკვნას მავანნი და მავანნი სხვადასხვანაირად კითხულობენ. ერთნი ამტკიცებენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ანუ პირველმა საქართველომ გაისროლაო, ასე წერია დასკვნაშიო, ხოლო მეორენი ამტკიცებენ – არავითარი მსგავსი ტალიავინის კომისიაში არ წერია და ეს კომისია ომის დაწყებაში ცალსახად ადანაშაულებსო რუსეთს.

რამდენიც არ უნდა ვაფაროთ ხელი ტალიავინის კომისიის დასკვნის ზოგიერთ აბზაცს, გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ იქ პირდაპირაა აღნიშნული საქართველომ პირველმა გაისროლაო. რა თქმა უნდა. ეს სიტყვები უკანასკნელ ისტორიულ ჭეშმარიტებად არ მიიჩნევა და ზოგიერთ „გახარებულ დიპლომატს“ უნდა ვუთხრა, რომ სრულიადაც არ არის საკმარისი სააკაშვილის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოს დასაინტერესებლად, მაგრამ იქნებ საჭირო იყოს თვით ტალიავინის კომისიის ამ „აღმოჩენასაც“ გავუსინჯოთ კბილი.

რას ქვია პირველმა გაისროლა?

მე თუ მკითხავთ, იმ სახელოვან ომებში, რაც ჩვენი ისტორიისათვის, ცნობილია, საქართველომ ყოველთვის „პირველმა გაისროლა“. „პირველად გასროლაში“ მტერზე იერიშის მიტანას ვგულისხმობ.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ქართველებმა პირველებმა არ მიიტანეს იერიში ბახტრიონის ციხეზე? დავით აღმაშენებლი თავისი მამაცი მხედრობით პირველი არ ეკვეთა მტერს დიდგორის ველზე? განა ჩვენი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი



ამ ბოლო წლების განმავლობაში ერთხმად არ ვიძახდით; წართმეულ ტერიტორიებს ისტორიულად მხოლოდ ძალით იბრუნებენო?

რუსი, ფაქტობრივად, 16 წლის წინ შემოვიდა საქართველოში (ვგულისხმობ ორი უკანასკნელი ათწლეულის პერიპეტიებს, თორემ სინამდვილეში რუსი საქართველოში 200 წლის შემოსულია).

16 წლის წინათ დაიკავა რუსის ჯარმა საქართველოს ქალაქები, 16 წლის განმავლობაში სრულიად ამაო აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკურ-დიპლომარიური ინსტიტუტების ძალისხმევა რუსეთს გაეყვანა ჯარი საქართველოდან, ისეთი ზიზღი დათესა რუსეთმა ქართველებსა და აფხაზ თუ ოს სეპარატისტებს შორის, რომ სოფლად ერთმანეთის ახლომახლო ნახირსაც ვერ ვაძოვებდით და უმშვენიერეს ქართულ ქალაქებში – სოხუმსა და ცხინვალში ექსკურსიაზეც კი ვერ შევდიოდით.

ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს ეროვნული თავმოყვარეობა, სანამ უნდა ვყოფილიყავით რუსული ჩექმის შიშის ქვეშ და სანამ უნდა გვეყურებინა, თუ როგორ ივიწყებდნენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები სამაჩაბლოს და აფხაზეთს, საქართველოს ძირძველ მიწებს.

მე თუ მკითხავთ, საქართველომ კიდევ დიდხანს ითმინა.

ხომ ფაქტია, რომ გვირაბის იქით სინათლე არ ჩანდა და არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა იმისა, რომ რუსი დათმობდა მეკობრულად წაგვრილ ტერიტორიებს.

საქართველო ცოტა მოღონიერდა, იარაღი გამოჭედა, ხმალი ჩაბღუჯა და ძალით წართმეული მიწის ძალითვე დაბრუნება გადაწყვიტა.

არ არის სააკაშვილი მთლად ისეთი სულელი პოლიტიკოსი, რომ არ სცოდნოდა შედეგი მისი პირველი გასროლისა, მაგრამ სამაჩაბლოსკენ ქართული ჯარის წაწევა კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად და მერე უთანასწორო ომში საქართველოს დამარცხება იმის სინდისზე იყოს, ვინც ამერიკელ ძმათაგან სააკაშვილი შეაგულიანა: „მიდი, მოვდივართო“,

ხოლო საქართველოს ისტორიულმა მტერმა რუსეთმა, ერთი ციცქნა საქართველოს დასასჯელად როკის გვირაბიდან 2000 ტანკი გამოიყვანა და საქართველოს წაღმა-უკუღმა გადაუარა.

ახლა, როცა კოდორი, ახალგორი და პერევიც წართმეულია, ძალიან ადვილია ყოვლისმცოდნის პოზაში დგომა და ნიშნისმოგებით ღაღადისი, თითქოსდა ბუში და კონდოლიზა რაისი წამდაუწუმ ურეკავდნენ სააკაშვილს: არ გაბედო და ცხინვალში არ შეხვიდეო.

ასევე ადვილია კონდოლიზა რაისის და ბუშის პოზა – გინდა თუ არა, შეძლებ თუ არა უნდა მოითმინოო. მოთმენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა რუსეთი თავის საზღვრებშია და მის ჯარს საქართველოს ტერიტორია არ გადმოულახავს. რა მოითმინოს საქართველომ დამსჯელობითი ექსპედიცია? რამდენხანს შეიძლებოდა ეყურებინა დავით აღმაშენებელს ქართულ მიწაზე შემოსული თურქულ-სელჯუკთა 300.000-იანი მარბიელი ჯარისთვის? მოითმინა ამერიკამ როცა ცათამბჯენები აუფეთქეს? მოითმინა კი არა, ავღანეთს და ერაყს დაესხა თავს, აქაოდა ტერორიზმს ვებრძვიო და ბენლადენის ასავლ-დასავალს უნდა მივაკვლიოო. სინამდვილეში კი რატომ დაიპყრო ამერიკამ ერაყი და ავღანეთი, ან რუსეთმა რატომ მიიტაცა საქართველოს ტერიტორიის ორი მესამედი, მთელმა მსოფლიომ კარგად იცის.

და მაინც, მოლაპარაკებები და მხოლოდ მოლაპარაკებები, მაინც დაჯდომა მოლაპარაკებათა მოსაწყენ მაგიდებთან და შუბლზე ხელის მიდებით ბრძნული ღაღადისი იმაზე, რომ სხვისი მიწების მიტაცება არ შეიძლება.

ხომ ფაქტია, რომ „არ შეიძლებას“ იქეთ მსოფლიოს არცერთი კომისიის დასკვნა და დიპლომატთა მრავალსერიანი მოლაპარაკებები არ მიდის.

ნუთუ საშველი არ არის? ახლა მთავარია, საქართველომ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო ფუნქცია შეასრულოს, როგორც ენერგოგამტარმა სახელმწიფომ. საქართველოს ბოლომდე ვერმოსპობის გზა ბაქო-ჯეიჰანის, ნაბუკოს და იმ ახალ პროექტებზე გადის, რითაც საქართველო ესოდენ



საჭირო გახდება ენერგოშიმშილის საფრთხის წინაშე მდგარი ევროპისათვის. ამ ახალი ენერგოგამტარებით ევროპა რუსეთზე დამოკიდებული აღარ იქნება და იგი თავის სიამაყეს და ენერგოდამოკიდებულებას დაიბრუნებს.

მეორე, რაც საქართველოსათვის მთავარია, ისტორიის ამ ეტაპზე ის გახლავთ, რომ ჩვენ ჩვენი თვითმყოფადი კულტურა უნდა შევინარჩუნოთ და ეროვნული ფენომენი გავაძლიეროთ.

რაკი ისე წავიდა საქმე, რომ ჩვენ ჩვენს გეოპოლიტიკურ ბედს თითქმის ვერ განვაგებთ, ახლა საჭიროა მსოფლიოს დავანახოთ, რომ ჩვენ მარტოოდენ ის ქვეყანა როდი ვართ, რომელიც წარსული დიდებით ცხოვრობს ან დაკარგულ ტერიტორიებს მისტირის, არამედ უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ჩვენ ვართ უძველესი, ფრიად მაღალი კულტურის სახელმწიფო და ცივილიზებული მსოფლიოსაგან ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაცვა ხმამაღლა უნდა მოვითხოვოთ. მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ გვაქვს თანამედროვეობის შესატყვისი, უაღრესად ორიგინალური მწერლობა, კინო, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, გვყავს მსოფლიო დონის მეცნიერები და საქართველო კარგა ხანია დამკვიდრდა მსოფლიოს მაღალგანთარებული ქვენების წიაღში.

*იანვარი, 2010*

## ჩვენს გულში ჩავიხედოთ

უპირველესად სააღდგომოდ ჩემს ერს მინდა ვუსურვო ქრისტეს მცნებათა შესრულება და პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს გულის ფიცარზე დაწერა, რადგანაც სწორედ ქრისტეს გზა მიმაჩნია ჩვენი ეროვნული ფენომენის გაძლიერებისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ერთადერთ გზად.

ამ ბოლო დროს, რაც უფრო მეტს ვფიქრობ ჩემი ერის მძიმე ხვედრზე, უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ საქართველოს ძნელებედობის მიზეზს თითქმის ყველანი შეთანხმებულებივით საქართველოს გარეთ ვეძებთ და ჩვენს არსებაში ჩაღრმავებისათვის ვერ მოვიცალეთ.

მართალია, საქართველოს სახიფათო გეოსტრატეგიული ვითარება, იმპერიათა მუდმივი სწრაფვა „ამ კავკასიის მარგალიტის“ ხელში ჩასაგდებად, მუდმივად გვაყენებდა ისტორიის დარტყმის ქვეშ, მაგრამ განსხვავებით მსოფლიოს არაერთი ხალხისაგან, ჩვენში არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც ერის უბედურების მიზეზს მარტოოდენ დამპყრობლის ხმალს კი არა, თვით ჩვენს ეროვნულ ხასიათსაც დააბრალებდა.

რა მოხდა, შუასაუკუნური ზამთრის ძილისაგან დღემდე რატომ ვერ გამოვფხიზლდით?

დემოკრატიულობისაკენ, პლურალიზმისაკენ, პარლამენტარზმისაკენ ევროპის დაუცხრომელმა მოძრაობამ განზე ხომ არ ჩაგვიარა?

მაშ, საიდან მოვიდა ჩვენს ხასიათში ორი უკიდურესობა; ერთი მხრივ, ჯანყისაკენ, რევოლუციისკენ გამუდმებული სრბოლის ნიჭი და მეორე მხრივ, მპყრობელისადმი მონური მორჩილების ძველაღმოსავლური თვისება.

ჩვენ პრეზიდენტად რა გაწონასწორებული კაციც უნდა ავირჩიოთ მისგან ბოლოს მაინც სააკაშვილს გავაკეთებთ.

უპირველესად მლიქვნელები შემოესევიან. მლიქვნელის მოვალეობა მოგეხსენებათ ის გახლავთ, რომ ადამიანს თავის თავზე ისედაც დიდი წარმოდგენა კიდევ უფრო გაუზარდოს და თავის დევურ ძალაში დაარწმუნოს.

მლიქვნელი არ ფიქრობს იმაზე, რომ ამით პატრონს დათვურ სამსახურს უწევს.

მლიქვნელთან ერთად ერთმმართველთან კავშირს ამყარებს ოპოზიცია, რომელიც არანაკლებად ირჯება ხელმძღვანელის მცდარ გზაზე დაყენებისათვის.

ოპოზიციას როდი სურს, რომ პირველ კაცს თავის შეცდომებზე მიუთითოს და ამ შეცდომების გამოსწორების გზები უკარნახოს.



ოპოზიცია მხოლოდ ერთადერთი სურვილით არის გამსჭვალული – ყოველდღიური საძრახისი ეპითეტებით წონასწორობიდან გამოიყვანოს განქიქების ობიექტი და ყოველივე იღონოს ქვეყნის გადასარჩენად კი არა, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ პრეზიდენტის სკამს წაეპოტინოს.

დაბნეული ერთმმთარველი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მისთვის არასასურველ პერსონებს ხედავს და ისღა დარჩენია, რომ პათოლოგიური, გონებაბრმობილი პერსონები დაიახლოვოს, რადგან ბლუეებისგან ნაკლები პრობლემები შეექმნება ხოლმე.

აი, ასე იხარშება საქართველო მორჩილებისა და აჯანყებების სააჯაბსანდალო ქვაბში.

და სწორედ ამ დროს, ქვეყანაში არსებობს ჭეშმარიტად მოაზროვნე ეროვნულ ინტელიტენტთა მცირე რაზმი.

იგი ქვეყნის შველაზეა ორიენტირებული. ქვეყნის წარსულში თანამედროვე პოლიტიკასა თუ დიპლომატიაშიც რიგინად ერკვევა, მაგრამ რაკიღა საერთო საზოგადოებრივი დაკვეთა ჯანსაღი შეხედულებებისა არ არსებობს, და რაკი ქვეყაში ეროვნულობის დეფიციტია, იგი ჩუმად არის.

გითხრათ სიმართლე მე ეს სიჩუმე ვერ ამიხსნია, რას და ვის ელოდებიან ისინი ჩემთვის მთლად გასაგები არ არის.

ნელა ივსება ზემოთ ხსენებულ ინტელიგენტთათვის განკუთვნილი ადგილები, ამ ადგილებს პოლიტიკურად ანგაჟირებული, მავანსა და მავანზე გაბრაზებული ელემენტები იკავებენ და არის ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში საგინებელი სიტყვების გაცვლა-გამოცვლა, დამცირება, დედ-მამის სულის ხსენება, თითქოსდა ორივენი იმისთვის არიან მოწოდებულნი, რომ ერთმანეთს წონასწორობა დააკარგვინონ.

და მაინც, ერის იმედს და სინდისს ინტელიგენციას გათითოკაცების მძიმე სენი შეჰყრია.

ეს სენი არახალია. ინტელიგენციის დადედლებას ათეული წლების განამვლობაში მთელი სახელმწიფო მანქანა ემსახურებოდა და ემსახურება.

შედეგი?

როგორც კი მწყერივით ააფრენენ რომელიმე ინტელიგენტს

და იმ მწყერს სამიზნეზე ერთბაშად დაისვამს ხელისუფლების ყველა ძალოვანი ორგანო, დანარჩენი ინტელიგენტები მაშინვე ბნელ ყურეებს მოძებნიან, თავიანთ შუშაბანდებში შეძვრებიან და იმწამსვე ივიწყებენ, რომ არსებობს საერთო ბოროტების დაძლევის ერთი ნაცადი ხერხი – დაჩაგრულის გამოქომაგება.

მახსოვს, ამ სამიოდე წლის წინათ, ავანტიურისტმა ლომაიამ ჩემ თვალწინ გამოდევნა უმაღლესი სასწავლებლებიდან და მეცნიერებათა აკადემიებიდან ერის მიერ ფრიად პატივსაცემი ეროვნული ინტელიგენცია.

ქვეყნის წინაშე ამაგდარი ადამიანები შიმშილის, სიკვდილის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ.

სანამ მე პირადად არ შემხებია, აუტკივარი თავი რაზე ავიტკიოო, გაიფიქრეს მათმა კოლეგა ინტელიგენტებმა და საქვეყნო საწუხარზე ხმის ამოღება მხოლოდ მასმედიას, თავდადებულ ჟუნალისტებს მიანდვეს.

ერთი კოლექტიური წერილი, ერთი გამოსაქომაგებელი სტატია არ შეუქმნიათ იმათ, ვისგანაც ამაგდარი მეცნიერი მხარდაჭერას და გამხნევებას ელოდა.

გნებავთ ინტელიგენციის დადედლების სხვა მაგალითი?

როცა დავით აღმაშენებლის ძეგლის და ილია ჭავჭავაძის ძეგლის ბავშვურ აჩემებულ დემონტაჟს აკეთებდნენ, ეროვნული საქართველო თავისი ფანჯრებიდან შესცქეროდა ამ სურათს. არც დიდების მემორიალის აფეთქებას მოჰყოლია ხალხის ქუჩაში გამოსვლა.

ეს ყოველივე მსოფლიოს უქმნის აზრს, რომ საქართველოში განსაკუთრებული არაფერი ხდება, ხელისუფლებით უკმაყოფილო მცირე ჯგუფები მშიერ საქართველოში კი არა, ეკონომიკურად თითქმის უზრუნველყოფილ ქვეყნებშიც არსებობენ.

პოლიტიზირებულია მთელი ქვეყანაო – დაიჩივლებენ ზოგჯერ ჩინოვნიკები.

ნუ შეეშინდებათ ხელისუფლების გვამში საიმედოდ მოყუჩებულ კაცებს, არ დაიჯეროთ, რომ ქვეყანა პოლიტიზირებულია.



ეგ არის, მხოლოდ, სწორედ ხელისუფლების მცდელობით რამდენიმე სახელოვანი, ნიჭიერი ხელოვანი თავის მთავარ საქმეს ჩამოაშორეს.

თითქოსდა მთელი ერის გულზე გასახეთქად სამთავრობო ტელევიზიები ყოველღამე უჩვენებენ პოლიტიკური ოპოზიციის შერცხვენილ მაგიდასთან მიმსხდარ ყოფილ რეჟისორებს, ყოფილ მსახიობებს, ყოფილ მხატვრებს, ყოფილ მუსიკოსებს...

რა საშინელი სიტყვაა „ყოფილი“.

მე ბოდიშს ვიხდი ამ ეპითეტისათვის ყველა მათგანის წინაშე, მაგრამ ეს „ყოფილი“ მათსავე გასაღიზიანებლად წამომცდა.

როგორ შეიძლება პოლიტიკურმა ბრძოლამ შენი მთავარი გზიდან განზე გადაგახვევინოს.

დაგავიწყოს, რომ სპექტაკლი გაქვს შესაქმნელი და როლი შესასრულებელი.

განა ხელოვნება პატარა ასპარეზია შენი პოლიტიკური შეხედულების გამოსახატავად? განა რობერტ სტურუა და გიგა ლორთქიფანიძე თავიანთი ბრწყინვალე რეჟისორული საქმიანობით სხვაზე ნაკლებ საქმეს აკეთებენ ერის გამოსაღვიძებლად?

დღევანდელ საქართველოს რომ ვადარებ ისტორიის ფოლიანტებში შენახულ საქართველოს, ასე მგონია, ვიღაც მოგვყვებოდა ოცდაათი საუკუნის განმავლობაში და ძალით გვალამაზებდა.

ისტორიის წიგნებში სხვა რამ სწერია, გამოხვალ გარეთ და სხვა სინამდვილეს იხილავ: ღალატი, შური, ჩასაფრება, ძმის ძმაზე მიწევა, ეროვნული ფენომენისადმი წარმოუდგენელი უპატივცემულობა, სამშობლოს სიყვარულის გრძნობის ამოშანთვა ახალგაზრდობაში...

მაშინ, როდესაც ჩვენმა სტუდენტობამ ხვალ საქართველოს ბედი უნდა გაიდოს მხარზე, მაშინ, როცა მათი გულის და გონების სასიკეთოდ მობილიზებისათვის უნდა ვიზრუნოთ, ამ დროს უნივერსიტეტის რექტორი ხუბუა უნივერსიტეტში შეჯიბრს აწყობს ქაღალდის გასაფრენი თვითმფრინავების პირველობაზე.

თურმე ნუ იტყვით, დიდად გასართობი რამ ყოფილა საზოგადოების ყველაზე რევოლუციური მასისათვის – სტუდენტობისათვის, თუ ვისი ქაღალდის თვითმფრინავი უნივერსიტეტის ახალგარემონტებულ დერეფანში უფრო შორს გაფრინდება.

ვაი ასეთ რექტორს და ვაი ასეთ უმაღლეს სასწავლებელს.

ასე ახერხებს ავანტიურისტი ხუბუა ეროვნული ნერვი გაუხმოს ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას.

კიდევ ერთ პრობლემაზე უნდა დაფიქრდეს სააღდგომოდ სრულიად საქართველო:

ჩვენი ვალდებულნი ვართ გავისიგრძეგანოთ ეპოქის რეალობა და ხელისუფლება ვაიძულოთ იფიქროს იმაზე, რომ ახლა სხვა დროა. რომ 2003 წლის ნოემბერს საკმაოზე მეტად დავშორდით და თუ ეპოქის შეცნობის ნერვი მოგვიბლაგვდა, ფეხს ვერ ავუწყობთ თანამედროვეობას.

ჩვენმა ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ახალი მსოფლიო მოვიდა. ისტორიის მსახვრალი ხელი და გლობალიზაციის დაუნდობელი ვეშაპი პატარა სახელმწიფოებს გაქრობისკენ ერეკება.

ისტორიისათვის მართლაც რომ საშინელი დროა.

რამდენი პატარა ქვეყანა გაიჭყლიტა ჩვენ თვალწინ.

სახელმწიფოები ქრება, ერები ქრება, გეოგრაფიული რუკები თითქმის ყოველ ათწლეულში იცვლება, ჩვენ კი ერთმანეთის ჭამის ნაცადი ისტორიული გზიდან ვერა და ვერ გადაგვიხვევია.

საქართველო დღეს იმაზე მეტადაა ოკუპირებული რუსი დამპყრობლის მიერ, ვიდრე მთელი XIX და XX საუკუნის განმავლობაში.

რუსეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აბუჩად გვიგდებს.

არ ცნობს იგი არა მარტო ჩვენს ხელისუფლებას, არამედ ჩვენს სახელმწიფოებრიობასაც კი.

და მაშინ, როცა ჩვენი მეზობელი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან თავიანთი



ეროვნული მეობის შენარჩუნებისთვის, ჩვენ რა სიკვდილი დაგვემართა, რამ დაგვაავადა ასე ერთნაირად მონობასთან შეგუების სენით?

ყოველდღიურ პარტიზანულ ნაბიჯებს რომ თავი დავანებოთ, გინახავთ სადმე 2008 წლის შემდეგ ან ცხინვალში, ან ახალგორში, ან გალში და ან კოდორში წარწერა: „დამპყრობელო რუსო, წაეთრიე აქედან!“

რაო, ჩვენ ინტელიგენტური ქვეყანა ვართ და დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებას მხოლოდ გაერო-ევროკავშირის სულელური დადგენილებებით და ჟენევის მოლაპარაკებებით ველით? დროა ეს ბავშვური იმედები კეთილი თოვლის პაპის მოსვლის შესახებ თავიდან გამოვიბერტყოთ და სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ.

თუ წინამასწარობაში არ ჩამომერთმევა, ამ სააღდგომოდ მინდა ვაუწყო მკითხველს, რომ გუშინწინ დავუსვი წერტილი ჩვენს თანამედროვეობაზე შექმნილ, რომან-ეპოპეას „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“.

თანამედროვე ისტორიის მძაფრ დღეებზე გვიამბობს ეს წიგნი. მე მასში ჩემი სული და გული ჩავაქსოვე და ბედნიერი ვიქნები, თუ „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ ჩვენი ერის საღათას ძალისგან გაღვიძებას მოემსახურება.

ყველაფერი გაკეთდა ამ უკანასკნელ წლებში იმისათვის, რომ მწერალი დაემცირებინათ, იმისათვის რომ მწერლისთვის ხელიდან გაეგდებინებინათ ეროვნული დროშა, რომ მწერალი არ ყოფილიყო თავისი ხალხის ერთგული, ბრძენი მრჩეველი და მას ისტორიის წინაშე თავისი ღვთიური ვალი ვერ შეესრულებინა, მაგრამ ვერ შეძლეს.

სკეპტიკოსთა გასაგონად ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ყოველი ჭეშმარიტი მწერალი თავისი ერისთვის გაცილებით უფრო დიდი კაცია, ვიდრე რომელიც გნებავთ მმართველი დროის მიერ მაღალ სკამზე შესკუპული; პირველი მისმა გონებამ ასწია მაღლა, მეორე კი სიტუაციამ, გარემოებამ ამოატივტივა.

და მაინც, ამ სააღდგომოდ წუწუნს ვერ მოვყვები; მარ-

თალია, ბევრი გვაჯანჯღარა ამ ბოლო ოცწლეულში ჩვენმა ისტორიამ, ბევრი სულელური ექსპერიმენტის მსხვერპლი გაგვხადა, მაგრამ ცოტა რამ კარგიც ხომ გაკეთდა. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ხომ გვასწავლა, რომ როცა ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი დადგება, პრეზიდენტობის კანდიდატს უსათუოდ ჯანმრთელობის ცნობაც უნდა მოვთხოვოთ სხვა საბუთებთან ერთად.

სხვა მხრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და მინდა ჩვენი დიდებული მკითხველი დავპატიჟო პანტომიმის თეატრში ჩემი სცენარით და ამირან შალიკაშვილის რეჟისორობით განხორციელებულ სპექტაკლზე – „ქრისტე“.

ეს არის მაცხოვრისადმი ჩვენი მოწიწების და თაყვანისცემისა სააღდგომო გამოხატულება.

*მარტი, 2010*

## საქართველოს რევოლუციები არ უკვირს

ჩვენი საპატრონო-გადასარჩენი, ჩვენი ცრემლისა და ურვის მიზეზი, ჩვენი ტანძელქვა კერპი, ჩვენი საქართველოა.

2003 წელი უკვე ისტორიის კუთვნილებაა.

წარსულად იქცა შევარდნაძის ოცდაათწლიანი ეპოქა. ლამის ფუჭად დახარჯული წლები საქართველოსთვის.

შევარდნაძის რეჟიმმა შვება ვერ მოჰგვარა კომუნისტური იმპერიისაგან ძლივსგამოღწეულ ჩვენს ქვეყანას. დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, გაიყინა ეკონომიკა, მოქალაქეებს ააღლიტეს ანაბრები და ხელთ თაგვის ვერსამყოფი სამომხმარებლო კალათა შეაჩეჩეს.

და ეს ყველაფერი იმ გაუმჭვირვალე, რებუსური პოლიტიკის ბრალია, რომელსაც აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი ატარებდა. შევარდნაძისთვის მთავარი იყო საკუთარი სკამის გადარჩენა მის მიერ გაფოფინებული კლანების ინტერესების დასაცავად, ხოლო ქვეყნის თუნდაც უღიმღამო არსებობა მხოლოდ საპრეზიდენტო მუნდირის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა.



დამშეული, სასოწარკვეთილი ხალხის განწყობილებას შევარდნაძის გამოზრდილმა ენერგიულმა პოლიტიკოსებმა ამერიკელ ინსტრუქტორთა რჩევა-დარიგებით (მგონი ფულითაც) ამბოხების სადინარი მისცეს და 23 ნოემბერს საქართველო ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის ფაქტის მოწმე გახდა.

ჩვენს ხალხს რევოლუციები არ უკვეირს.

მეოცე საუკუნეში რუსეთის იმპერიაში (რომლის ორგანულ ნაწილსაც დაპყრობილი საქართველო წარმოადგენდა) ძალადობისა თუ შეთქმულების წყალობით ბარე შვიდჯერ შეიცვალა ხელისუფლება, დამოუკიდებელ საქართველოში კი სულსწრაფმა და ტემპერამენტიანმა ქართველებმა ბოლო ათ წელიწადში ორჯერ შევაზანზარეთ მსოფლიო შინა ომით, ყაჩაღ-თულურად ხელისუფლებაზე თავდასხმის „ქართული ხელოვნებით“.

ჩვენ, დავით აღმაშენებლის შთამომავლები, სამარცხვინოდ გამოვრბივართ აფხაზეთიდან და მის დასაბრუნებლად თითს თითზე არ ვაკარებთ, ჩვენ, ცოტნე დადიანის ჩამომავალნი, დიდსულოვნად ვდუმვართ გადამთიელი ოსი რომ ჩვენი ცხინვალიდან გამოგვაპანღურებს, მაგრამ ო, რა მშვენიერნი, რა დარაზმულნი, რა ერთსულოვანნი ვართ საკუთარ პარლამენტზე შეტევის დროს, რა ომახიანნი და შინაგანი ცეცხლით სახეგანათებულნი ვეძგერებით ხოლმე საკუთარ ბასტიონს – სახელმწიფო კანცელარიას, რათა ყველას დავანახოთ, რომ სახელმწიფოებრიობის იმ ძლივსმფეთქავი ინსტიტუტების შენარჩუნებაც არ ძალგვიძს გარემოებამ რომ მწიფე მსხალივით ჩამოგვიგდო.

საჭირო იყო თუ არა შევარდნაძის გადაყენება?

იმათ გასაგონად, ვინც გაიძახის „წელიწად-ნახევარიც ეცლიათო“, უნდა განვაცხადო, რომ საჭიროც იყო და დროულიც, რაკიღა წელიწად-ნახევრის შემდეგ არჩევნების გაყალბების გენიოსი შევარდნაძე ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რათა ქვეყანა კვლავ მის დამქაშებს დარჩენოდათ და მისივე გზით მისივე მეთოდებით ემართათ.

ყველა, ყველა და ეს შესანიშნავად იცოდა „რევოლუციურმა სამეულმა“. განა მათ – მოქალაქეთა კავშირის ლიდერებს და შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ ყოჩაღ პოლიტიკურ ბავშვებს ცოტა წილი მიუძღოდათ იმ უკანონობათა დაკანონებაში შევარდნაძის რეჟიმმა რომ მოიტანა და დაამკვიდრა?

... და შევარდნაძის ნახირის თამამმა ბოჩოლებმა საკუთარ გამზრდელს ურქინეს.

შედეგი?

სრულიად ტიპიური და ბუნებრივი – კლასიკური რევოლუციების შემდგომ პერიოდს რომ ახასიათებს: „გამარჯვებულთა“ ეიფორია, კრიმინალთა თარეში და შეშინებული ხალხი.

ეიფორია ჩაცხრება, კრიმინალებს მოევლება... მე შეშინებული ხალხი მადარდებს მხოლოდ.

აქვს თუ არა ჩვენი ბრძენი ხალხის შიშსა და სიფრთხილეს მიზეზი? („ბრძენი ხალხის“ ხსენებაზე არ გაგეცინოს მკითხველო. ბრძენთა და ჭკუადამჯდართა შორის, რასაკვირველია, იმ მოტყუებულ ყმაწვილებს არ ვგულისხმობ, ყიჟინით რომ შეცვივდნენ დოყლაპია დამცველთა მიერ „დაცულ“ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებში, პრეზიდენტის ჭიქიდან ხარხარით სვამდნენ ჩაის და ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტის წევრებს ქუჩაში პანღურისკვრით ერეკებოდნენ. ჩვენი ხალხი სულის სიღრმეში და ინტელექტუალურ გამონათებაში მართლაც რომ ბრძენია), რასაკვირველია აქვს.

პრეზიდენტობის კანდიდატმა მიხეილ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ხელისუფლების დაუფლების ის ფორმა, რასაც მან 23 ნოემბერს მიმართა, სისხლის სამართლის დანაშაულს შეიცავს და ამიტომაც აშკარად ცრუობს თავის საპროგრამო სიტყვაში (10 დეკ.). პარლამენტში იმიტომ შევცვივდით, რომ იქ 30 ავტომატიანი ბანდიტი (მათ შორის პარლამენტის წევრებიც) იჯდა და ნინო ბურჯანაძეს გამოსვლის საშუალებას არ მისცემდნენო.

არ გეკადრება შენი საპრეზიდენტო კარიერის ტყუილებით დაწყება, მიშიკო.



არც მაჯის საათზე დიქტატორული დროის დანიშვნა გეკადრება ამპარტავნული შეძახილით; „ან ცქიტიშვილი მოშორდება იქიდან, ან ჭანკოტაძე აღმოჩდება ციხეში!“ არც ის გეკადრება, რომ ჩქარობ და სანამ გაპრეზიდენტდებოდე, უკრაინაში ჩადიხარ და უკრაინის პრეზიდენტს შენ, კერძო პირი შეხვედრას სთხოვ. ჩქარობ, ჩქარობ, ჩემო მიხეილ და ვინძლო ე მანდ შენს პოლიტიკურ ყვანცალზე ფეხი შენვე არ წაიტეხო, საქართველო საპრეზიდენტო საცდელი-სასწავლო პოლიგონი არ არის. ჩვენ პრეზიდენტად დინჯი, გაწონასწორებული პიროვნება გვჭირდება.

იცოდე, რა საქმეს ჰკიდებ ხელს და ვინძლო ქვეყნა არ გააცინო.

სად ისწავლე სამი ათეული წლის ყმაწვილმა თითის ქნევა და თვალების ბრიალი.

თუ რაიმეს გიწუნებ, ისევ შენსავე სასიკეთოდ ქვეყნის გადასარჩენად, თორემ მე, აჩიკო მიშველაძის დამკარგავს, შიშით შენი კი არა, მამალი მგლის არ მეშინია.

ამ სამიოდე კვირის მანძილზე შენ მიერ დაშვებული უტაქტობათა ჩანჩქერიდან ერთს გამოვყოფ:

იცი შენ, რას ნიშნავს აჭარა საქართველოსათვის და რაოდენი სიფრთხილეა საჭირო ამ ერთადერთ ავტონომიაზე საუბრის დროს?

ათი წელია ასლან აბაშიძე აჭარას ხელმძღვანელობს და ჩვენი გაზეთის ყველა გვერდი არ ეყოფა მის მიერ გაკეთებული საქვეყნო საქმეების ჩამოთვლას. გაგახსენო? უზარმაზარი სატვირთო ბორანი, ასამდე ხიდი, უნივერსიტეტის ბრწყინვალე შენობა, 25 ეკლესია, საბავშვო ოპერა, კინოსტუდია, ნავსადგურის მთლიანი რეკონსტრუქცია, 300 კაციანი კაპელა, გრანდიოზული სიმფონიური ორკესტრი, საშენ მასალათა ორი ახალი ქარხანა, ქორეოგრაფიული სტუდია, დამშრალ-განახლებული ტბა-ჭაობი, 15 სკოლის შენობა და 9 საბავშვო ბაღი, ბათუმ-ქობულეთის საგზაო გვირაბი..

ეს არაფერი არ არის, მიშიკო?

ეკუთვნის შენგან მამის ტოლა კაცს თავხედური შეძახილი

„აჭარა უასლანაბაშიძეოდ“, ან გამზადებულ ოთხ კედელზე მინიშნება იმ აღმშენებლობისათვის, რასაც შევარდნაძის მიერ ათასგზის მოტყუებულმა და ბიუჯეტისგან აბსოლუტურად იგნორირებულმა აჭარის მეთაურმა მიაღწია?

შენ მაინც იცი, რომ ათი წლის მანძილზე შევარდნაძის (და შევარდნაძე ამას თქვენზე ერთგულ თანამებრძოლებზე დაყრდნობით აკეთებდა) მეცადინეობით ერთი კაპიკი არ მიუღია აჭარას, ერთი კადრიც არ დანიშნულა ცენტრში აჭარიდან თუნდაც მინისტრის მოადგილედ, აჭარის დეპუტატის მიერ მომზადებული ერთი კანონიც არ მიუღია საქართველოს პარლამენტს.

არ ჰქვია ამას იგნორირება?

მაშინ, როდესაც ნინო ბურჯანაძე ასლან აბაშიძესთან ექვსაათიან დიალოგს მართავს, შენ აჭარის ლიდერს მანქანზე დაჯდომას და საქართველოდან გაქცევას ურჩევ, შე კაცო?

ესაა შენი პოლიტიკური გამჭრიახობა?

რაო, სრულიადაც არ განაღვლებს, მოგცემს თუ არ ხმას აჭარა შენს ტრიუმფალურ საპრეზიდენტო მარათონში?

არა ხარ მართალი, ღრმად ცდები, მიშიკო.

ნერვებს ნუ აყვები. არა მგონია, არ იცოდე, რომ აჭარასთან ურთიერთობას პარლამენტში შევარდნაძის მეთოდებით ვერ მოაგვარებ. აჭარაში შევარდნა შენი კარიერის სამარცხივნო დასასრული და საქართველოს წარმოუდგენელი უბედურება იქნება, იცოდე.

კარგა ხანია ჩემს თავს დავუსახე მიზნად ცენტრსა და აჭარას შორის ურთიერთობის დარეგულირების ურთულესი მისია.

ახალი ხელისუფლება მოხვედით და შევარდნაძეზე უარესად იქცევით? ცეცხლზე ნავთს ასხამთ, მიშიკო?

ღმერთმა ნუ წარმომადგენინოს საქართველო აჭარის გარეშე. ნინომ, ზურამ და გიგიმ კარგად იციან, რას ნიშნავს აჭარასთან კონფრონტაცია და ყველაფერს აკეთებენ დედასამშობლოსგან აჭარის გარიყვის მავნე, გულისამრევი ტრადიცია გააქარწყლონ, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწორონ. შენ კი, რა ღმერთი გაგიწყრა, პირადმა განაწყენებამ თუ ამპარტავნობამ როგორ



დაგაბრმავა, რომ ცდილობ შენივე თავი დაარწმუნო, თითქოს აჭარის მოსახლეობა ცალკე იყოს ასლან აბაშიძე ცალკე.

ღმერთი, რჯული, არ არის ასე. აჭარის მოსახლეობა გვერდით უდგას მის მეთაურს და უდგას სწორედ მის მიერ გაკეთებული დიდი ეროვნული საქმეების გამო.

გავა დრო. შენ დაღვინდები (თუ დაღვინება გიწერია საერთოდ), მაგრამ ყმაწვილ-პრეზიდენტობაში დაშვებული შეცომები ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და სიბერემდე გაგყვება სანანებლად.

2004 წლის მანძილზე დარწმუნდები შენც და ქართველი ხალხიც, რომ მართვის შენეული მეთოდებით ვერც აფხაზეთს-სამაჩაბლოს დაიბრუნებ, ვერც ხელფას-პენსიებს გაახუთმაგებ და ერის სიყვარულის ის ცისფერი მანტიაც შემოგაცვდება ტანზე, რითაც ახლა ყელყელაობ.

ჯერჯერობით შენ მხოლოდ სიტყვა ხარ, დაპირება ხარ და სხვა არაფერი.

თუ ჩემს რჩევას ისულგულებ, ჭკუის დარიგებას არც სხვა დროს მოგაკლებ, თუ ქოშს უკუღმა ჰყრი და განაცხადებ, მე ვარ კანონიც და სამართალიცო, სავალალო დღეში აღმოჩნდები და შენი „პოლიტიკის“ წინააღმდეგ მოწყობილ მიტინგებსაც მალე იხილავ.

არ გეწყინოს რომ საახალწლო სიტყვა, ცოტა არ იყოს, მკვახე შეძახილით შემიფერადდა.

პოლიტიკაში ჩემს მთავარ საქმეს საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლას, ამ ბოლო დროს შენი აღზრდა-გამოსწორების ფუნქციაც დაემატა, მაგრამ ოღონდ მამულს ეშველოს და ტვირთის სიმძიმეს როდის გავქცევივარ, რომ ახლა გავექცე.

ახალ წელს ვულოცავ კეთილგონიერ საქართველოს! ხოლო მე პირადად ერთი ქართველი მწერალი ჩემი ამჟამინდელი განწყობილების გამო საახალწლო ზეიმ-ბრაციბრუცში აქტიურ მონაწილეობას ვერ მივიღებ.

შთაგონება მეწვია და გატაცებით ვწერ ახალ ნოველას ჩვიდმეტი წლის მოტყუებულ ბიჭზე, რომელიც რევოლუციის „პაიკად“

გამოიყენეს, პარლამენტ-კანცელარიაში ათარეშეს, მერე განზე გასწიეს და მიივიწყეს. ახლა კი სახეჩამოღვენთილი ზის შუშაბანდში და შიშით გაჰყურებს ქუჩას, ქუჩას, სადაც გუშინ რევოლუციის ხანძარ-ხარხარი ენთო, დღეს კი ცივი და მოწყენილია.

*დეკემბერი, 2004*

## შეცდომებს ნუ გავიმეორებთ

ჩვენი სახელმწიფო ჭეშმარიტად დემოკრატიულ გზას ჯერჯერობით ვერ დაადგა, სიძნელეები თავს ყოველდღე იჩენს. იმასაც ხედავთ, რომ ვარდების რევოლუციის გმირებშიც სერიოზული განხეთქილებაა და კობა დავითაშვილი, ძიძიგური და ასეთი ძალები მიიჩნევენ, რომ სწორი გზით არ მივდივართ...

ეს ხელისუფლება არადემოკრატიული გზით მოვიდა, მაგრამ საქართველო დღეს ამაზე დუმს. თუ რევოლუცია გაამართლებს და ქვეყანას მართლა გამარჯვებას მოუტანს, შეიძლება პოლიტიკური დასკვნა აღარ გაკეთდეს, რომ ეს ვარდების კი არა, „წიხლების რევოლუცია“ იყო და თუ ისტორია ამ რევოლუციას გაამართლებს, ხმას, რა თქმა უნდა, არც მე ამოვიღებ, თორემ იცოდეთ, რომ ეს იყო პარლამენტის გარეკვა პარლამენტში შევარდნილი ბრბოს საშუალებით.

ათასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ შევარდნაძის მმართველობა, გაუთავებელი ტყუილები და პოლიტიკაში მისი ბეცი ნაბიჯები, უნდა დამთავრებულიყო. ისიც შევარდნაძის ბრალია, რომ საქართველომ ტერიტორიები დაკარგა, მაგრამ ლაპარაკი რად უნდა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება იყო?!

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის ცოცხალი მოწმე ვარ, საქართველო მთლიანობისათვის ბრძოლას ერთადერთი შვილი შევწირე და აჭარის დაკარგვა ჩემთვის მომაკვდინებელი იქნებოდა. პოლიტიკაში რუსი ვერაგობითაა ცნობილი და ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ერთმანეთზე დავით გურამიშვილის მამლებივით წაგვაქეზებდა, მერე ჩოლოქთან ტანკს დააყენებდა და იტყოდა – აი, ძმებს შორის ომს არ დავუშვებო და ჩვენთვის აჭარა ამით დამთავრდებოდა, მაგრამ უსინდისო კაცი უნდა ვიყო, რომ არ ვაღიარო...

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს მართვის ბევრ მეთოდში არ ვეთანხმები და ბოლომდე არც ჭიაბერაშვილის მიერ ჩატარებული არჩევნების მჯერა, ვაღიარებ, რომ მასების განწყობის შეცნობაში მიხეილ სააკაშვილს უფრო უკეთესი გუმანი აღმოაჩნდა და მე, 63 წლის რეზო მიშველაძეს, მაჯობა! მეგონა, რომ აჭარას აუცილებლად დავკარგავდით და ჩემი ინტერესი ის კი არ იყო, რომ როგორმე ასლან აბაშიძე შენარჩუნებულიყო. მას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს და უარყოფითიც, მაგრამ 10 წელიწადში დგება დრო, როცა შენ ხალხს სწყინდები და ლამაზად წასვლა უნდა შეგეძლოს.

სხვათა შორის, 30 წლის წინათ ფრიდონ ხალვაშმა მწერალთა კავშირში განაცხადა – ჩვენ ხომ სხვა ხალხი არ ვართ და რა საჭიროა აჭარაში ავტონომიაო. მაშინვე ვთქვი, რომ ბატონი ფრიდონი მართალს ბრძანებდა და ეს მწერალთა კავშირის ოქმებში უეჭველად იქნება ჩადებული. მერეც არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში არც ერთი და, მათ შორის, აჭარის ავტონომიაც არ უნდა იყოს და მის გაუქმებას ხელსაც მოვაწერ!

მასზე სალანძღავი სიტყვა არასოდეს მითქვამს. სააკაშვილი ჩემი შვილის ტოლი კაცია, ოთხი წელი პარლამენტში გვერდიგვერდ ვისხედით და აჭარაში გატარებულ პოლიტიკას არ ვეთანხმებოდი, მაგრამ გეტყვით, ახლა ტაშს რასაც ვუკრავ: ამერიკა, თურმე, უფრო მეტადაა საქართველოსათვის მოწადინებული, ვიდრე ადრე იყო და რუსებს საოკუპაციო ნაბიჯი მხოლოდ მან არ გადაადგმევინა.

სააკაშვილმა მე პოლიტიკურ გამოანგარიშებაში მაჯობა, ვენაცვალე სულში! თუ ხვალ და ზეგ ასე ვაჟკაცურად, სისხლის დაუღვრელად და სააკაშვილის წინააღმდეგობით აფხა-

ზეთსა და სამაჩაბლოსაც დავიბრუნებთ, ჩათვალეთ, რომ მე, სამოცს გადაშორებული კაცი, რომელიც მთლად დაძაბუნებული არ ვარ, თუმცა არც იმხელა ვაჟკაცი ვარ, რომ სირბილში სააკაშვილს გავასწრო, მის გვერდით, უფრო სწორად, იმ უკან მიმყოლთა შორის ვიქნები, ვისაც საქართველოს გამთლიანება უნდათ. სააკაშვილს ერთ რამესაც ვეტყვი: თუ აფხაზეთში ათასი ან ორი ათასი კაცი შევათ, აუცილებლად გვესვრიან, მაგრამ თუ 20 და 30 ათასი შევალთ, ერთი ტყვია არ გავარდება და სანამ თონე ცხელია, მან ისტორიაში შესასვლელი საქმე უნდა გააკეთოს! რაც აჭარაში მოხდა, იმედს მაძლევს, რომ ის საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებას შეძლებს! მერე კი თუნდაც ბალახი ვცოხნოთ, საქართველო უბედნიერესი ქვეყანა იქნება.

მე პირადად, იმ დონის მწერალი ვარ, რომ სააკაშვილი, ათასი წელი, არაფერში დამჭირდება. მან ქვეყანას მოუაროს, თორემ რეზო მიშველაძე რამე თანამდებობას არ ელის და ჩემი კეთილგანწყობა, შეიძლება უფრო მას სჭირდებოდეს, მაგრამ როგორ არ ვთქვა, რომ ამ კაცმა მართლა გაიმარჯვა, ჩოლოქთან ბარიერებიც მართლა ასაღები იყო და ლაპარაკი არც იმას უნდა, რომ აჭარაში საქართველო იურისდიქცია ბოლომდე უნდა გავრცელებულიყო, თუმცა სააკაშვილი ცოტა ნაჩქარევი პოლიტიკური ნაბიჯებით ხალხს აღიზიანებს. ერთხელ ზვიად გამსახურდიამ ამერიკელებს წერილი მისწერა – ასეთი კარგი ხალხი ხართ და ბუში პრეზიდენტობიდან გადააგდეთო. ვინ გვკითხავს ჩვენ შვიმერის მოხსნას?! ეს ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს ჰგავს...

სანამ ამერიკას არ უღიარებია სააკაშვილი მსოფლიოს ერთპიროვნულ ხელმძღვანელად, ყველაზე დიდ და გამოცდილ პოლიტიკოსად, ცოტა მოითმინოს.

მე იმისთვის ვიბრძოდი, რომ რუსის მიერ აჭარის წართმევა არ დამეშვა და ასლან აბაშიძის მიერ გადადგმულ ყველა პოზიტიურ ნაბიჯსაც პარლამენტში მხარს ამიტომ ვუჭერდი. ჩემი საპარლამენტო გამოსვლები წიგნად მაქვს გამოცემული და აბაშიძის მიმართ ერთ მომლიქვნელებას ვერ ნახავთ.



ყოველთვის ვამბობდი: არ შეიძლება, რომ აჭარას მუდმივად ვაღიზიანებდეთ და ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის დათმობის მომხრე ვარ-მეთქი, მაგრამ იცოდეთ, ჩემი და ასლან აბაშიძის პირადი შეხვედრა ამ ოთხი წლის განმავლობაში, ალბათ, 4-5-ჯერ იყო და ყოველთვის გამოუხატავს, რომ თავისი მრწამსით, როგორც მემედ აბაშიძის მემკვიდრე, ერთიანი და ძლიერი საქართველოს მომხრეა. ისე, იცოდეთ, რომ მას თურქეთიდანაც ძალიან ბევრი ცდუნება ჰქონდა.

თურქეთს აჭარა ჯერ კიდევ თავის ტერიტორიად მიაჩნია და მას შეეძლო, რომ კარი გაეღო. რუსეთი კი უფრო მეტი ჭიშკრის გაღებას სთავაზობდა, მაგრამ ასლან აბაშიძე ყოველთვის დაჟინებით ამბობდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ უნდა დაირღვეს.

ხელზე ნურც რუსეთში წასვლას დავიხვევთ. ის ძალა მოდიოდა, რომელმაც ასლან აბაშიძის სკამი მემედ აბაშიძის ფეხებზე დაწვა, შევარდებოდნენ კაბინეტში და ახლა, ასლანი არ არის იმხელა ყარამან ყანთელი, რომ ამ რევოლუციური ძალას გამკლავებოდა და რუსულ თვითმფრინავსაც თავის გადასარჩენად გაჰყვა. სხვათა შორის, როგორც მითხრეს, ეს თვითმფრინავი ცარიელი იყო და მაგულის ბეჭდებიც შინ დარჩა, არადა, ასლან აბაშიძეს ყველაფრის წაღება შეეძლო... ასლან აბაშიძის ნაკლი ის იყო, რომ თანდათანობით ხალხს მოსწყდა და ჩათვალა, რაკი მემედ აბაშიძის მემკვიდრე იყო, აჭარა მემკვიდრეობით ჰქონდა გადაცემული. უბრალო მთხოვნელებს კი არა, რუსთაველის სახელმწიფო და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატს პარლამენტის წევრს დაცვა მუჯლუგუნით მაგდებდა, მიუხედავად იმისა, რომ ვეუბნებოდი: ბიჭებო, ასლან აბაშიძის დაბარებული ვარ-მეთქი. თანაშემწე კი მპასუხობდა: წაბრძანდით სასტუმროში და როცა მეთაური მოიცლის, ჩვენ თვითონ დაგირეკავთო. გავიდოდა ერთი დღე, მეორე, მერე მე თვითონ ვრეკავდი და ვეუბნებოდი: გადაეცით ასლან აბაშიძეს, რომ მეტი ცდა არ შემიძლია, მან თვითონ დამიბარა, მაგრამ რაკი ვერ მიმიღო, ხვალ დილას თბილისში მივდივარ-მეთქი. ღამის სამ საათზე

დამირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: მობრძანდით მეთაური გელოდებათო. კი, ბატონო, დაკავებული იყო, მაგრამ, ამას მე დაცინვად ვიღებდი. ეს ამპარტავნული თვისებები ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად პატრიოტულად განწყობილი კაცი იყო.

როცა ინებებდა და მიგვიღებდა, ვეუბნებოდი – ბატონო ასლან, დროის ყადრი არ იცი-მეთქი. ღიმილით მისმენდა, მერე მეუბნებოდა: რა არის, კაცო, მარტო შენ ხარ „ბუნტოვშიკი“ ამ ჩემს დეპუტატებშიო. ჩემი მკვდარი შვილის სულს გეფიცებით, მისი ბაგიდან ჩემი მისამართით ასეთი სიტყვებიც ამოსულა და მკვდარ შვილს ასლან აბაშიძისა და მიხეილ სააკაშვილისათვის კი არა, არავის გულისთვის არ დავიფიცებ! ის კაცი არ ვარ, რომ ვინმეს რამე დავუმალო და ყალბად მოვეფერო, ახლა სააკაშვილის მისამართით ერთიორი კარგი სიტყვა რომ წამომცდა, ეს შინაგანად მომდინარეობს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ არ შეიძლება, ბრბო შევარდეს ასლან აბაშიძის სახლში, გამოიტანოს მისი პირადი ნივთები და ამაზე იხარხარონ, თითქოს საქართველოს დიდი ჭირი მოშორდა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ბევრი პარლამენტარი, ვინც სააკაშვილის გვერდით დგას, მის ნაკლს ვერ გრძნობს? მაგრამ ამას საზოგადოებას ვერ ეტყვი, რადგან ფიქრობ, რომ ამ კაცში ეროვნული უფრო სჭარბობს, ვიდრე ერთი ნაკლი, რომელზეც ყვირილი თანამებრძოლს და, მით უმეტეს, პარლამენტში აჭარის წარმომადგენელს, არ ეკადრება!

„კრიტიკის“ რედაქტორი რომ ვიყავი, შევარდნაძეს ტელეფონით დავლაპარაკებივარ, მაგრამ ასლან აბაშიძე ტელეფონს არასოდეს იღებდა და თბილისიდან მას, ალბათ, მხოლოდ ჯემალ გოგიტიძე ელაპარაკებოდა...

ჩემი საპარლამენტო გამოსვლები ყოველთვის იმას ეხებოდა, რომ საქართველოს ეროვნული ცნობიერება არ დაეკარგა, ხელისუფლებას ეროვნული საქმეები ეკეთებინა და ამიტომაც არ ვფიქრობ, რომ პარლამენტში ჩემი მისია არ შევასრულე, თუმცა ზოგიერთები, ვინც პარლამენტში ამინდს



დღესაც ქმნიან, კატეგორიულად მებრძოდნენ – რა საჭიროა ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებაო. სანამ ხელში კალამი მიკავია, მე პოლიტიკოსი ვარ, რადგან პილიტიკა და ლიტერატურა ცალკე არ არსებობს და ყველა ასეა, ვისაც სამშობლოზე გული შესტკივა!

*13. V. 2004*

## ზოგჯერ რჩევაც ისულგულე

„ვარდების რევოლუციას“ არ ვგულშემატკივრობდი და, შესაბამისად, არც „ვარდოსნების“ ნავში ვზივარ. თუმცა მე კეთილი ოპოზიციონერი ვარ. ჰოდა, ამას წინათ პრეზიდენტს საჯაროდ ოცი რჩევაც მივეცი. შეცდომებისა გამო უკან დახევა ისწავლე, მომჭირნე, ყაირათიანი მლმობიერი და მიმტევებელი იყავი, მილიონთა გაჭირვება ფეხზე არ დაიკიდო და თითოეული მოქალაქის გამოკვებაზე იზრუნე – მეთქი.

ჯერჯერობით ყველა რჩევას უკუღმა ასრულებს. ვიცი, მგლის თავზე სახარებას კითხვა არ ღირს, მაგრამ ჩემი ცხოვრების სტილს არ ვღალატობ და რაც მეწერება, ვწერ... „ვარდების რევოლუციამ“ ჩემი იმედები ვერ გაამართლა. ჩემს ნაწერებში მჟავანაძის, შევარდნაძისა თუ ზვიად გამსახურდიას დროს ოპოზიციონერის ხმა ისმოდა და ახლაც ასეა, რადგან იმ მწერალთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც ხელისუფლების ნავში ხტება. ჩემი აზრით, მწერლის ფუნქცია კეთილი ოპოზიციონერობაა... ახლახან ერთი წიგნი გამოვაქვეყნე, „ოცი რჩევა პრეზიდენტს“, რომელიც, ტრაბახით არ ვამბობ და, იმაზე მეტად გახმაურდა, ვიდრე ველოდი. უამრავმა ადამიანმა დამირეკა, თუმცა ზარები სხვადასხვანაირი იყო. არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ 65 წლის რეზო მიშველაძემ ჩავთვალე, რომ ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელსაც გამოცდილებაც აკლია და ბევრი რამის

ცოდნაც, სიმართლე ვუთხრა და ოცი რჩევაც ამიტომ მივეცი. როგორც გითხარით, უამრავმა ადამიანმა დამირეკა, 99 პროცენტმა შემაქო, ერთმა პროცენტმა კი მითხრა, შენიშვნებს ძალიან რბილად აძლევ და უფრო მეტ ძაგებას იმსახურებსო. სიმართლე გითხრათ, ხელის ქნევასა და ჰაი-ჰუის შეძახებაზე ადვილი არაფერია, მაგრამ როცა შენ, მწერალი, სახელმწიფოს პირველ პირს ეტყვი, ხალხის მტერი ხარო, პირველივე წინადადების მერე აღარ მოგისმენს. ჰოდა, მეც ჯერ ვუთხარი, შენს საქციელსა და ნამოქმედარში კარგი მიზერულია, უფრო მეტი ნაკლი გაქვს-მეთქი და ეს ნაკლი ჩამოვუთვალე.

რასაკვირველია, თავიდანვე არ მქონდა იმედი, რომ „ვარდების რევოლუცია“ გაამართლებდა, რადგან საზოგადოების წინსვლის ბერკეტად არანაირი რევოლუცია არ მიმაჩნია, მაგრამ საზოგადოებას შევარდნაძე ისე მოსწყინდა, რომ მზად იყო, სააკაშვილისათვის ხელისუფლებაში სოროსის ფრთებით მოვარდნა ეპატიებინა... მე ხალხში ვტრიალებ და, სამწუხაროდ, საქართველოში უკმაყოფილო ხალხის საშიში და ყრუ გუგუნი ისმის. სხვათა შორის, ეს გუგუნი შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებშიც გაისმოდა და, თუ გახსოვთ, ამის შესახებ მაშინაც ვლაპარაკობდი.

კატასტროფულად ხანმოკლე დროში, ჩემდა სამწუხაროდ, ხელისუფლების იმიჯმა ძირს დაწევა გიგანტური ნაბიჯებით დაიწყო. დიახ, ცუდი წინათგრძნობა მაქვს...

პრეზიდენტი, უპირველეს ყოვლისა, თავის ოფიციალურ გამოსვლებში მშობლიურ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს და ამის შესახებ „ოც რჩევაშიც“ დავწერე.

საგარეო საქმეთა მინისტრი მშობლიურ ენაზე ძალიან ცუდად ლაპარაკობს, თან არც კი ვიცი, მისი მშობლიური ენა რომელია. ჰოდა, თუ მაინცდამაინც წამაქეზებთ, ხუთ რჩევას საგარეო საქმეთა მინისტრისთვისაც გავიმეტებ, მაგრამ მე რჩევების სპეციალისტი და დიდაქტიკოსი ვერ გავხდები, იმდენი ჭკუა არა მაქვს, სხვას ჭკუა დავარიგო, მაგრამ მე პრეზიდენტის დახმარების სურვილი მქონდა და ოცი რჩევაც ამიტომ მივეცი. ვუთხარი, არ შეიძლება, ჩემო ძვირფასო, რომ ბენდუქიძესა და კომპანიას ყველაფრის გაყიდვის უფლება მისცეთ. არც ის შეიძლება, ენერგეტიკის ბერკეტი ხელში იმ სახელმწიფოს ჩავუგდოთ, რომელმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა, საქართველოში განათლების სისტემა „ურარეფორმით“ არ უნდა დაამსხვრიო და ისეთი უვიცი კულტურის მინისტრი არ უნდა გყავდეს, რომელსაც კულტურისა არაფერი გაეგება და გიგა ლორთქიფანიძეს ეტყვის, შენ გარედან მოსული კაცი ხარ და ქართული კულტურისთვის რა გაგიკეთებიაო.

სხვათა შორის, სახელმწიფო კანცელარიის მოხელეთაგან რამდენიმეს შევხვდი და ამ თემაზე საუბარი თვითონვე დაიწყეს. ზოგმა მითხრა, პრეზიდენტს ეწყინა, შენიშვნები ასე რომ დაულაგეო და თქვა, ბატონ რეზოს შეეძლო, მოსულიყო და ეს შენიშვნები პირადად ეთქვაო.

პრეზიდენტს ძალიან კარგად ვიცნობ, ოთხი წელი პარლამენტში თითქმის გვერდიგვერდ ვისხედით და, რასაკვირველია, შემეძლო, მივსულიყავი და მეთქვა, ბატონო მიხეილ ესა და ეს არ მომწონს-მეთქი და შეიძლება, რაღაც უხერხულობებიც აეცილებინა. ერთი უხერხულობა, სხვათა შორის, ის იყო, რომ იტალიაში ჩასულმა ლაპარაკი თავისი დამტვრეული ინგლისურით დაიწყო და იტალიის პრეზიდენტმა უთხრა, მშობლიურ ენაზე ილაპარაკეთო.

შეიძლება, მე და თქვენ გვეჩვენება, რომ კარგი ინგლისური იცის, მაგრამ სპეციალისტები ასე არ ფიქრობენ. საერთოდ, არ შეიძლება, ადამიანმა მშობლიურ ენაზე უკეთესად სხვა ენა იცოდეს, თან დიპლომატიის სახელმძღვანელოში წერია, რომ ოფიციალური შეხვედრების დროს პრეზიდენტი მშობლიურ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს...

საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვარ და მხოლოდ მე კი არა, საქართველოს შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეებმა კოლექტიური დეპეშა შვიდჯერ გავუგზავნეთ, ხელოვნება ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, ჩვენთვის ერთი საათი გამოყავით, მიგვიღეთ და მოგვისმინეთო, მაგრამ შვიდივე დეპეშა უპასუხოდ დარჩა და, წარმოიდგინეთ, რა განწყობაზე დავდგებოდით.

თუ დეპეშები არ შეაქვთ, კარგად ყოფილა მისი საქმე!.. სხვათა შორის, წერილი პირადადაც მივწერე. მოგეხსენებათ, ყაჩაღები კულტურის სამინისტროდან მწერალთა კავშირის შენობას გვართმევდნენ და მწერლები იძულებულნი ვიყავით, ზამთარში ღამეები გვეთენებინა და შენობა ფიზიკურად დაგვეცვა. მოკლედ, ამ საკითხების გარკვევა მინდოდა და ჩვენმა პრეზიდენტმა, სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მიმართ საოცრად ყურადღებიანმა, აბსოლუტურად იგნორირება გაგვიკეთა და ამ საქციელს მთლად კეთილგონივრებას ვერ ვარქმევ... ქართული ეროვნული ცნობიერებისადმი ჩვენი პრეზიდენტის დამოკიდებულებით, ბოლო დროს, ისინიც, ვინც პრეზიდენტმა თავის დროზე გულში ჩაიხუტა და უმწიფარი ლექსი ჰიმნად უქცია, უკმაყოფილონი არიან. ეს მათი გამოსვლებიდანაც იგრძნობა... დათო მაღრაძე, დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე და თვით კოტე ყუბანეიშვილიც კი ნელ-ნელა სააკაშვილის ოპოზიციაში გადადიან. თუ პრეზიდენტი დასკვნას არ გააკეთებს, რატომ განუდგნენ ყოფილი მეგობრები და ასე უმოწყალოდ რატომ აკრიტიკებენ, მეშინია, სააკაშვილის ეიფორიული პრეზიდენტობა კიდევ ერთი რევოლუციით არ დასრულდეს. თუმცა სააკაშვილი „გონიერი“ ყმაწვილია და სახელმწიფო კანცელარიასთან მოზღვავებულ ხალხს ტყვიას არ ესვრის, მაგრამ ჩემი ქვეყანა, რომელსაც მშვიდი ცხოვრება უნდა, ამდენ რევოლუციას ველარ აიტანს, რადგან რევოლუცია მხოლოდ ხელისუფლების აღება არაა, ამას ქვეყნის ნგრევა მოჰყვება...

ინტელიგენციას სიმართლის თქმისა თუ ქვეყნის გარდაქმნის სურვილი ჰქონდა, მაგრამ მათი ვარაუდი რამდენჯერმე არ გამართლდა და დაიღალნენ. ინტელიგანციის რამდენიმე წარმომადგენელი დიდი აქტიურობით არც ადრე გამოირჩეოდა, მაგრამ არსებობს ინტელიგენციის ფრთა, რომელსაც ვერაფერი გააჩუმებს. არ შეიძლება, რეზო მიშველაძეს, მანანა არჩვაძეს, თამაზ წივწივაძეს, ელიზბარ ჯაველიძეს, სოსო სიგუას, ლაშა ნადარეიშვილს, დიტო ჩუბინიძეს, ანზორ აბრალავას... თუ მწერალთა კავშირის ახალგაზრდა ხელმძღვანელს: მაყვალა გონაშვილს ალიკაპი ამოსდო. ამას წინათ



პრეზიდენტმა უნივერსიტეტში თქვა, ამ ხალხის აზრი არ მაინტერესებსო, მაგრამ სახეზე ეხატა, რომ დიდად კმაყოფილი არ იყო. ისე, დამირეკეს და მითხრეს, ალბათ, ჩემი მისამართით თქვა, ზოგიერთი ერის მამა ჭკუას რომ გვარიგებს, აბა, ჩვენს ადგილზე თვითონ იყოსო. სხვათა შორის, ჩვენი პრეზიდენტის ეს გაცხარება მომეწონა, რადგან არ შეიძლება, 65 წლის კაცი 36 წლის ბავშვს კრიჭაში ვედგე და თუ ჩემი ოცი რჩევიდან ორს მაინც გაითვალისწინებს, ჩემი მისია შესრულებული მექნება. ამ „ოც რჩევაში“ დავუწერე, არ შეიძლება, მიშა, შენს კაბინეტში შეიყუჟო და თეატრებსა თუ სტიქიური უბედურების ადგილებში არ მიხვიდე-მეთქი.

მეუბნებიან, რეზო შენმა ოცმა რჩევამ, მგონი, გაჭრა, რუსთაველის თეატრში მივიდაო. ისიც ვნახე, პრეზიდენტი წყალში რომ მიტოპავდა, თუმცა ძალიან უხერხულად მოდიოდა და აქეთ-იქიდან დაცვას გაკავებული ჰყავდა, ტყლაპოში ფეხი არ დაუსხლტესო.

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა თუ არა, 450 მწერალს დაფინანსება შეუწყვიტა.

შევარდნაძე ამ მწერლებს 22-22 ლარს აძლევდა და ეს შეწყვიტა. მწერლობისადმი დიდი სიყვარულის გამოვლინება, ალბათ, არც ისაა, რომ გოკა გაბაშვილის მსუბუქი ხელით საქართველოში ორი ტრადიციული ერისთვის საყვარელი ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“ და „ცისკარი“ გაუქმდა. კულტურის მინისტრი ამას პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე ვერ გაბედავდა. აქედან დასკვნა გააკეთეთ, არის თუ არა ეს მწერლობის იგნორირება და მწერლის მართალ სიტყვაზე გაბრაზება?

„ოც რჩევაში“ დავწერე, საპატრულო პოლიციის გამოჩენა, პენსიების გაორმაგება და ასფალტის დაგება კარგია. რასაკვირველია, ისიც მომწონს, რომ ქართველი ერის ორასწლოვანი ოცნება შერულდება და რუსული სამხედრო ბაზები საქართველოდან გავა, მაგრამ შე კაი კაცო, ქართულ მწერლობას, რომლის როლიც ჩვენი ერის ცხოვრებაში განუზომელია, სასიცოცხლო არტერია არ უნდა გადაუჭრა. მწერალთა კავშრიში შემოქმედებითი საკითხები და იუბილეების მოწყო-

ბა მეხება. ჰოდა, კანცელარიაში გაგზავნილი მაქვს წერილი, რომ პრეზიდენტის ეგიდითა და დახმარეთი ოპერაში ფრიდონ ხალვაშის 80 წლის იუბილე ჩავატაროთ. ეს ღონისძიება პოლიტიკური მნიშვნელობითაც ძალიან საყურადღებო იქნება, რადგან აჭარიდან კულტურის მუშაკთა დიდი დელეგაცია ჩამოვა და ქვეყანას ვეტყვით, აი, აჭარაში მცხოვრებ მწერალს იუბილეს დედაქალაქი უხდისო, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს ამ იუბილის მნიშვნელობა, ალბათ, არ ესმის.

ეს წერილი კანცელარიაში 20 დღის წინ გავაგზავნე, მაგრამ ჯერ არავითარი პასუხი არ მიგვიღია.

შეიძლება, პრეზიდენტს რომელიმე გამოსვლაში ისიც წამოსცდეს, რომ მე არ ვიცოდი და „მნათობისა“ და „ცისკრის“ დახურვა როგორ გაბედეთო. სხვათა შორის, ერთხელ პრეზიდენტმა თქვა, მწერლებს შენობას ვინ ართმევსო და გაგვიხარდა, მაგრამ გოკა გაბაშვილი და კახა ლომაია, რბილად რომ ვთქვათ, სააკაშვილს ან აბუჩად იგდებენ, ან სულელად თვლიან. პრეზიდენტმა რომ თქვა, მწერლებს შენობას ვინ ართმევსო, ზუსტად ერთი კვირის მერე გოკა გაბაშვილის მოადგილის ხელმოწერილი წერილი მივიღეთ, მწერლებმა ეს შენობა დაცალეთო. პრეზიდენტმა მეცნიერებიც დაიბარა და ჰკითხა, რეფორმის მიმართ რა შენიშვნები გაქვთ. მეცნიერთა შენიშვნები ყურადღებით მოისმინა და კახა ლომაიას მაშინვე დაავალა, ეს შენიშვნები აუცილებლად გაითვალისწინეო. ლომაიამ თავი დაუქნია, მაგრამ არც ერთი შენიშვნა არ გაითვალისწინა. ახლა, თქვენ ფიქრობთ, რომ არ იცის მარჯვენამ, რას აკეთებს მარცხენა, თუ რა უბედურება ხდება?

ძალიან მინდა, რომ სააკაშვილმა კულტურისთვისაც მოიცალოს და ამ ორი უმწიფარი მინისტრის საქციელს ცოტა კრიტიკულად შეხედოს, დაუძახოს და ყური აახიოს, როგორ დაუშვით მწერლებისათვის 22-22 ლარის წართმევაო. ისე, გოკა გაბაშვილმა მე და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მაყვალა გონაშვილს გვკითხა, მწერალთა კავშირი სად არისო... სამაგიეროდ, გოკა გაბაშვილი ისეთ ჟურნალ-გაზეთებს აფინანსებს, რომლებიც სავსეა არამამაკაცური და უწმაწური სიტყვებით.

ზოგს „ალტერნატივა“ ჰქვია, ზოგს – „წიგნები“ და ა. შ.



გოკა გაბაშვილი თავის პირად მეგობრებს აფინანსებს, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ რამდენიმე კაცმა, რომლებიც წვიმის რევოლუციას მოჰყვა, ბოლო დროს ხელისუფლების მიმართ სწორი პოზიცია დაიკავა. ასე რომ, მამაჩემს აქვს ცხონება, ხელისუფლების წარმომადგენლები ნუ იგროვებენ უკმაყოფილო ინტელიგენციას და ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ნუ ჰგონიათ, თორემ რასაც დასთესენ, იმასვე მოიმკიან.

უიმედოდ ჩემი მტერი იყოს!.. იმედი მაშინაც კი არ დამიკარგავს, როცა ჩემს ცხოვრებაში უმძიმესი წუთები მქონდა. ამიტომ მგონია, ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდა, ცოტა ავანტიურისტული რაზმი, მათ ცხოვრება ნელ-ნელა წკნელს მოსცხებს და მოჭკვიანდებიან. სააკაშვილი უნიჭო კაცი არაა და მისგან შეიძლება, კარგი პრეზიდენტი დადგეს, მაგრამ მის ირგვლივ რამდენიმე კაცია, ვინც პირდაპირ ციხეშია გასაგზავნი.

*მაისი, 2005*

## პარლამენტში შევარდნა ჯერ კიდევ არაა რევოლუცია

სიმართლე გითხრათ, მომბეზრდა უკვე „ვარდების“ ან „ხავერდოვანი“ რევოლუციის ხსნება. „ვარდების“ რომ არ იყო ეს რევოლუცია, მეორე დღესვე გახდა ნათელი და დღეს ხომ ცხადზე ცხადია, დედამიწაზე არასოდეს არავითარი „ვარდების“ და „ხავერდოვანი“ რევოლუცია არ მომხდარა. ეს არის ლირიკულ განწყობაზე დამდგარი პოლიტიკოსების მიერ მოგონილი, მოვლენის ჭეშმარიტი არსის დასაფარავად. რევოლუცია ყოველთვის ძალადობრივია და არც ეს იყო გამონაკლისი. ახლაც მოხდა საქართველოს ძველი ხელისუფლების ძალით გადაგდება ისე, როგორც 1992 წელს. ეს კი იყო უცხოეთის, კერძოდ ამერიკის და სოროსის ფონდის მიერ ინსპირირებული რევოლუცია, საქართველოში შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული. ამისათვის დაიხარ-

ჯა უამრავი ფული, ამაში ჩაერთო უამრავი აგენტი და... მოხდა „რევოლუცია“. ახლა მკითხაობენ, ბჭობენ, ეს ყველაფერი შევარდნაძის თანხმობით მოხდა, თუ მან არაფერი იცოდა. მე კი მოგახსენებთ, რომ ამერიკამ და ვინ იცის, ამ რევოლუციაში მისმა მოკავშირე რუსეთმაც, შევარდნაძე დააყენეს ფაქტის წინაშე: უთხრეს, რომ ძალაუფლება აღარ აქვს, ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას, ვერც ერთი დაპირება ხალხს ვერ შეუსრულა და უმჯობესია იქნება ხელისუფლებას თუ ოპოზიციას გადააბარებს და მერე ოპოზიციამ აგოს პასუხი ქვეყნის გაუბედურებაზეო. შევარდნაძე იძულებული რომ არ ყოფილიყო და მისთვის ხელშეუხებლობის პირობა რომ არ მიეცათ ამერიკასა და ოპოზიციას, ის არ წავიდოდა. თუმცა შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ თუ რევოლუციას არ გაითამაშებდნენ, იგი თავისი გარემოცვის ტყვე იყო, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან გაჭირდებოდა. ფაქტია, რომ შევარდნაძეს მოღალატედ თვლის ყველა, ვინც მის გარშემო იყო; მან უღალატა ყველას, თავის მეგობრებს, ნათესავებს, მის მიერვე გაჯეჯილებულ ეკონომიკურ ბანდებს, რომლებსაც ახლა დასდევს სააკაშვილი და იჭერს; მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, „გადააგდო“ ყველანი და ახლა თავს მშვიდად გრძნობს. მაგრამ საეჭვოა, რომ შევარდნაძემ, ამხელა გამოცდილების მქონე ადამიანმა არ იცოდეს, რომ პოლიტიკაში დაპირება არ არსებობს, პოლიტიკაში პატიოსანი სიტყვა არ არსებობს. ასე რომ, მალე შევარდნაძესაც მიაკითხავენ და ისიც იმავე დღეში ჩავარდება, რა დღეშიც არიან ის ადამიანები, ვინც ქვეყანა გააღატაკა და შიმშილის ზღვარზე მიიყვანა. აი, ეს არის ამ რევოლუციის ანი და ჰოე, ხოლო გულუბრყვილო ხალხს რომ ატყუებენ, თითქოს ხალხი აჯანყდა და მათ ჩააბარეს ხელისუფლება რევოლუციურ სამეულს, ეს მტკნარი სიცრუეა, საქართველოში ცხოვრობს 4 მილიონი კაცი, ხოლო აქ კი დაქირავებული 30000-მდე ადამიანი იდგა. მართლა ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ სააკაშვილი ამ ხალხით შეძლებდა პარლამენტის აღებას და ხელისუფლების განადგურებას? აბა, ერთი ეთქვა შევარდნაძეს, არ შემოუშვათო, თუ შემოვიდოდნენ? სად გაგონილა, XXI საუკუნეში,



პარლამენტში შეცვივდეს ხალხი და არსად არ იყოს არც სახელმწიფო დაცვა, არც სპეცნაზი, გვარდია, პოლიცია და ა. შ.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მორალური შეფასების უფლება ყველას არა აქვს, რადგან თვითონ არის მონაწილე ამ ყაჩაღობებისა და ყაჩაღს რომ შეეკითხო, როგორ მოგწონს ეს დაპატიმრებებიო, ის რა თქმა უნდა, აღშფოთებას გამოთქვამს და იტყვის, რომ ეს დემოკრატიის ხელყოფაა... მე კი გეტყვი, რომ ამ საჩვენებელ დაპატიმრებებს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს; ამბობენ: რა საჭიროა ეს ნიღბოსნები, მაგრამ ამის საშუალებით ისინი აფრთხილებენ სხვებს, რომ თუ პატიოსნად არ მოიქცევიან, მათაც ეს დღე დაადგებათ. თუმცა მე არ მინდა დავიჯერო, რომ მერაბ ადეიშვილი დამნაშავეა, რადგან ამ ადამიანს ყოველთვის პატიოსან და საქმიან კაცად ვთვლიდი და გული მტკივა, რომ დავინახე, როგორ მიყავდათ ქეჩოში ხელწავლებული... მაგრამ ზოგის დაპატიმრება კი, ვფიქრობ, სამართლიანად მოხდა.

არის მეორე საკითხიც, ჩვენი ახალი ხელისუფლება ბევრ შეცდომას უშვებს, ახალგაზრდები არიან და ალბათ იმიტომ, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ მათ ხელი დააფარონ თავიანთ ახლობლებს და მათი დანაშაულებები გულთან ახლოს არ მიიტანონ. საქართველო ძალიან პატარაა, აქ ყველამ ყველაფერი იცის და არავის არ გამორჩება მათი მეგობრებისა თუ ნათესავების საქმიანობები; თუმცა, შესაძლოა, რევოლუციური სამეულის წევრები ისეთი „გულუბრყვილონი“ არიან, რომ ვერც ხედავენ იმ ადამიანების მაქინაციებს, რომლებიც მათთან სულ ახლოს, მათ ირგვლივ ტრიალებენ.

„ომეგა“ რა გზით შოულობს ფულს, ეს მე არ ვიცი და არც ვკითხულობ. ზოგიერთი არამკითხე ადვოკატივით ვერ გამოვალ და ვერც დავიწყებ მათ დაცვას და მტკიცებას იმისას, რომ ზაზა ოქუაშვილი და ნატო ჩხეიძე უპატიოსნესი ადამიანები არიან... მათი დანაშაულის შესახებ, ანუ, რასაც იურიდული მხარე ჰქვია, მე ვერაფერს ვერ ვიტყვი და ვერც ვერავის შევედავები ვერაფერში. მე ორი რამის შესახებ ვიტყვი გულახდილად ჩემს აზრს. თავდაპირველად დავიწყებ იმით, რომ არ არის საჭირო ხაზგასმა, თითქოს სპეცნაზი საბრძოლო-გმირულ ოპერაციას

ატარებდეს. როგორ შეიძლება, უბრალო მუშა დგას ჭიშკართან, ქალებიც იქვე არიან და ესენი სროლას იწყებენ.

როგორ გგონიათ ეს სპეცნაზი შევარდნაძის დროს არ იყო? ასე უნდა ესროლათ ბურჯანიძისათვის, სააკაშვილისა და ჟვანიასთვის?

როგორც კი ოქუაშვილი და ჩხეიძე კანცელარიასთან მივიდნენ, მაშინვე სპეცნაზი გადაუდგათ წინ, თითქოს ეს ორი ადამიანი კანცელარიის აღებას აპირებდა, მათთან ჩამოსვლა და დალაპარაკებაც კი არ იკადრა ვინმემ... გარდა ამისა, არის მეორე საკითხიც: საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ფირმა, არც ერთი სხვა ფინანსურად შეძლებული ადამიანი, რომლებსაც იმდენი რამ გაეკეთებინოთ ქართული კულტურისათვის, რამდენსაც ნატო ჩხეიძე და ზაზა ოქუაშვილი აკეთებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ჩემი მეგობრები არ არიან, მიუხედავად იმისა, რომ არც ჟურნალი „ომეგა“ და არც „ახალი ეპოქა“ და არც „იბერია“ არ დაინტერესებულა, რატომ გამრიცხეს მე, რუსთაველის პრემიის ლაურატი მწერალთა კავშირიდან და მერე რატომღა დამაბრუნეს. არასოდეს არც ერთ მათგანში ჩემი გვარი არ ხსენებულა, ვიმეორებ, მიუხედავად ამისა, ჩემი ობიექტურობა მავალებს ვთქვა, რომ დიდ საქმეს აკეთებდნენ ისინი ქართული კულტურისათვის.

ვფიქრობ, რომ ყველა ამ ორგანოს არსებობის შეწყვეტა ქართული კულტურის ისტორიაში სამარცხვინო შემთხვევა იქნება.

*თებერვალი, 2004*

## ასწიეთ თავები!

არ იქნა და არ დალაგდა ქვეყანა.

სამოქალაქო ომებს ისტორიულად სამოქალაქო შერიგებანი მოჰყვება ხოლმე, მაგრამ საქართველოს ერთ მუშტად შეკვრამდე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი.



საყოველთაო შერიგებას ამბიციური, გაბღენძილი პოლიტიკოსები უშლიან ხელს. ხელისუფლების მიერ გაცხადებული „დროა შევრიგდეთ“ მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში მინისტრობას ვინღა ჩივის, ეროვნული მოძრაობის არცერთი წარმომადგენელი არ გააჭაჭანეს, მინისტრის მოადგილედაც.

მაშ, რა შერიგებაზეა ლაპარაკი?

დაიწყო წინასაარჩევნო მარათონი და კიდევ უფრო აიმღვრა ჩვენი პოლიტიკური მდინარე. გასაქანი მიეცა თითლიბაზობას, პირმოთნეობას, თვალთმაქცობას, „ყველაფრის კადრებას“.

„აბა ჰე, ვიჩქაროთ, მოვასწროთ, ერთმანეთის გვამებზე გადაბიჯებით მივიდეთ საარჩევნო ფინიშამდე და მერე ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ ჩვენს ამომრჩევლებს“, – ასეთია დღეს პოლიტიკანთა დიდი ნაწილის გაუცხადებელი გულისხმა.

მომრავლდნენ „მჩხავანა კატები“, ფრჩხილიკვნეტია, ავსული პოლიტიკოსები, რომელთაც დიდ გაბედულებად მიაჩნიათ, „მოწინააღმდეგე ბანაკს“ კოლექტიურად და ცალ-ცალკე დედას თუ შეაგინებენ.

არაინტელიგენტური ყიყინი პოლიტიკოსობა არ არის, პოლიტიკოსმა ნელა, დინჯად, ფაქტების მოხმობით უნდა დაუმტკიცოს პრეზიდენტს, რომ არასწორად მართავს ქვეყანას.

უკანასკნელ წლებში ჩვენ თვალწინ ჩაქრა, დაქუცმაცდა და მიინავლა ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა.

პარლამენტის წინ ხუთთვიანი ეროვნული მიტინგი მაგნიტოფონზე ჩაწერილ მჭექარე მოწოდებებს და კიბეებზე ჩამომსხდარ 147 მომიტინგე-მოქადაგეს ვერ გავაშორეთ.

ადამინათა მეტამორფოზას კი დასასრული არა აქვს. ეროვნული მოძრაობის ალამდარობას დღეს ზოგი ისეთი „პოლიტიკოსი“ იჩემებს, რომელიც კომპარტიის ცეკას პლენუმზე საჯაროდ ურჩევდა ცეკას მდივანს – „ზვიად გამსახურდია ფიზიკურად უნდა განადგურდესო“ დღეს ის „მეცნიერ-პოლიტიკოსი“ თავგადაკლული ზვიადისტია.

რომელ ეროვნულ შერიგებაზეა ლაპარაკი, როცა მერაბ კოსტავას დედის პანაშვიდზე მისულთა საიმედოობას

ცხრილში ატარებენ აღგზნებული ქალები, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას სახლის ეზოში მანანა არჩვაძის გვერდით ურცხვად დგანან ისინი, ვინც პირველმა ესროლა ქვა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მთელი ათი წლის განმავლობაში ზვიად გამსახურდიას ლანძღვის მეტი არაფერი უკეთებია და პირველმა მოაწერა ხელი ზვიადის სამართლებრივი რეაბილიტაციის საწინააღმდეგო განცხადებას.

რომელ საღ აზრზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არაერთი კალმოსანი გაყიდულ მცხეთაში გალიფრებული საქმოსნების გვერდით ჯდება და საღამოს კი ტელევიზიის ეკრანიდან ხავის: როგორ უნდა გადავაქციოთ ქალაქი კაფეშტანტების და შოუ-კაზინოების გრანდიოზულ ცენტრად.

როცა წაშლილია ზღვარი პატიოსნებასა და ანგარებას შორის, ნიჭიერებასა და უნიჭობას შორის, როცა ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს, ადვილია ხალხს თვალში ნაცარი შეაყარო და მომავალი პარლამენტიც იმგვარად „დააკომპლექტო“, რომ ოთხი წლის განმავლობაში არცერთ ეროვნულ კანონს არ მიეცეს მწვანე გზა.

გამოიღეთ ბამბა ყურებიდან, ძვირფასო პარლამენტარებო, და დარჩენილ ხუთიოდე თვეში მაინც დაფიქრდით იმაზე, როგორ მოახერხა ფაქტობრივმა მმართველობამ თქვენი გამასხარავება.

საქართველო ისევ უეროვნებო ქვეყანაა.

საქართველოში კვლავ მიუღებელია კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

კვლავ დაუცველია მართლმადიდებლური რელიგია.

კვლავ დაუბრუნებელია ხალხისათვის უნამუსოდ წართმეული ანაბრები.

კვლავ დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა.

კვლავ იღრინებიან ხელისუფალნი, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ რომ ჩამოუგდებ სიტყვას.

კვლავ უსიამოდ აჟრჟოლებთ ტანში, თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონის მიღებაზე რომ მიდგება საქმე.

„არიქა ქართველი ერი მინიმალურადაც არ დაკმაყოფილდეს. არიქა, ორიოდე გროში არ მოიგდოს ხელთ, თორემ დავიღუპებით. მათხოვრის მდგომარეობიდან გამოსულ კაცს ადამიანური ყოფის სხვა მოთხოვნილებებიც გაუჩნდება და უფრო ძნელი სამართავი გახდება. მერე შენს გემოზე ვეღარ შეაბრუნებ-შემოაბრუნებ“.

როცა ხელისუფლებას საქართველო მეწველ ფურად უქცევია, ქვეყნის გადარჩენის მირაჟი ჰორიზონტზე უფრო და უფრო გვშორდება.

საქართველოს მწერალთა დარბაზი დღენიადაგ არისხებს ერის გამოფხიზლების ზარებს. ყოველ ხუთშაბათს „მწერლის გაზეთის“ საშუალებით თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ხოლმე, ძვირფასო მკითხველებო, არსებულ ვითარებას და სამომავლო გზებზეც შეძლებისდაგვარად მიგანიშნებთ.

ჩვენ არ დავიღლებით იმის ქადაგებით, რომ საქართველოს დღეს, როგორც არასდროს, ერთიან ეროვნულ პოზიციაზე, ილიას გზაზე დგომა სჭირდება.

ყურს ნუ დაუგდებთ დამსმენთ და ცილისმწამებელთ, განდიდების მანიით შეპყრობილ ცრუ ბელადთ და ნეხვიჭამია პოლიტიკურ ხარაბუზებს... ასწიეთ თავები და სიკეთის შუქს მიაპყარით მზერა.

ერთმანეთის თვალებში ნდობა და სიყვარული ეძებეთ.

*მარტი, 2003*

## ნუ გავაჯეჯილებთ ანტიეროვნულობას

უნდა გითხრათ, რომ 2004 წელი უმძიმესი იყო, როგორც საქართველოსათვის, ისე ქართული მწერლობისა და მწერალთა კავშირისათვის. ეროვნულ ცნობიერებაზე გამწყრალი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს ქვეყნის სულიერი ცხოვრების დასამხობად. მე ამას გულისტკივილით მოგახსენებთ... ხშირად ჩემს ნაფიქრალსა და ნააზრევს გარედან ვუყურებ, ყოველთვის ეჭვით ვლაპარაკობ – ხომ არ ვცდები, ყოველივე ბებერი კაცის წუწუნი ხომ არ არის, იქნებ ცხოვრე-

ბას ჩამოვრჩი? ქვეყნის სათავეში ახალგაზრდები მოვიდნენ, ვინ იცის, იქნებ მათ მიერ არჩეული გზა უფრო უკეთესია-მეთქი, მაგრამ ჩვენი ყოველდღიურობა ამტკიცებს, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს საქართველომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. არავითარი რევოლუცია არ მომხდარა, შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაიჭირა თადარიგი სიბერის უზრუნველსაყოფად და ხელისუფლება თავის გაზრდილებს გადააბარა. თვალზე ცრემლმომდგარნი რომ გამოვიდნენ კრწანისის საპრეზიდენტო რეზიდენციიდან ჟვანია და სააკაშვილი, მაშინვე მივხვდი, მამასა და შვილებს შორის ხელისუფლების გაყოფის ფარსი დამთავრდა და საქართველოში დაიწყო კეთება იმის, რასაც შევარდნაძე ვერ ბედავდა. ამათ გაბედეს, რადგან უფრო თამამი და აგრესიული ახალგაზრდები არიან. სოროსისა თუ მასონური ლოჟის გადაწყვეტილებაა, რომ მცირერიცხოვანი ერების ცნობიერება წაშალონ და ყველაფერი ფართომასშტაბიან გლობალიზაციას დაუქვემდებარონ. შევარდნაძე ამას შენელებული ტემპით აკეთებდა, მე მასთან საათობით მისაუბრია, მართალია, ვერაფერს ვაგებინებდი, მაგრამ ვგრძნობდი, ხანდახან იმაზე მაინც წუხდა, რომ ქვეყანას შავი დღე ადგა. ესენი არც კი წუხდებიან.

რა დღეშიც ქვეყანაა, იმ დღეშია მწერალთა კავშირიც როდესაც იღებენ დრაკონულ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, როდესაც აუქმებენ ენის, პალატას, როდესაც სატვირთო მანქანით ეკლესიის კარს ამტვრევენ, იეღოველებს აჯეჯილებენ და უწმინდესის წინააღმდეგ ხლართებს ქსოვენ, სრულიად ბუნებრივია, რომ ეროვნული ღირებულებების დამცველი ქართული მწერლობა ნიშანში ამოიღეს. ყოველგვარი დაფინანსება შეგვიწყვიტეს, ასი წლის ჟურნალ-გაზეთებს რომ თანხას არ მისცემს, იმ ხელისუფლებას ჭკუა აქვს? რევოლუციის შემდეგ არაერთი მწერალი გარდაიცვალა, არც ერთის დაკრძალვაზე ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე არ მოსულან, ასევე მოიქცნენ ანა კალანდაძის იუბილეზე, განა ასეთი ქალბატონები ბევრი გვყავს?

ანა კალანდაძის იუბილეზე შევარდნაძე იყო. ამათ საკუთარი მწერლობა რატომ შეიზიზღეს, არ ვიცი.



ბოლომდე ქვეყნის დანგრევას ესენი ვერ შეძლებენ, მაგრამ ქართველ ერს კიდევ დიდხანს გაამწარებენ. საქართველო რევოლუციებით დაიღალა. მაგალითად, მე ქუჩაში აღარ გამოვალ, რადგან ჩვენ კიდევ ერთ რევოლუციას ვეღარ გადავიტანთ. ამას ფული სჭირდება... საამისოდ კი თემურ შაშიაშვილს, მიხეილ ქურდიანსა და ირაკლი ბათიაშვილს არავინ დააფინანსებს, მეორე სოროსი დედამიწის ზურგზე არ არსებობს. ჟვანიას, სააკაშვილსა და ბურჯანაძეს ფული დაუდეს, ეს რევოლუცია კი არა, ილაჯგაწყვტილი, უღარიბესი ფენის თბილისში ჩამოყვანა და ხულიგნური გზით სახელმწიფო გადატრიალების ინსცენირება გახლდათ. ყველაფერი საქართველოს მოსატყუებლად გაითამაშეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მხარეს იყო ჯარი, ამერიკა, სოროსი, რიჩარდ მაილსი, მაინც შემკრთალნი იყვნენ, ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება. ახლა ჩვენი ვალია, ამ დაბნეულ ახალგაზრდებს ხელი მოვკიდოთ, შევანჯღრიოთ და სასიკეთო საქმეების საკეთებლად შემოვატრიალოთ. მე ყოველთვის ვიქნები კეთილი ოპოზიციონერი, მე უკვე დავიღალე და სურვილი არ მაქვს, ჟვანია-სააკაშვილს ქვები ვესროლო. ჯერ ერთი, ეგენი ჩემს თვალში ძალიან პატარები ჩანან თავიანთი სიჩქარით, არაქართული აქცენტით, ეიფორიით... თან ყელყელაობენ, ამას რას ვეღირსეთო, თან ხალხისა ეშინიათ. მათი აღზრდის იმედი მე არ დამიკარგავს, როგორმე სინდისში უნდა ჩავახედოთ და სააკაშვილის გარშემო თავმოყრილი არაქართველები უმაღლეს ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ.

სააკაშვილის ქართველობაში უკვე ეჭვი მეპარება.

არა, მე ნაციონალიზმსა და ფაშიზმს არ ვქადაგებ, უბრალოდ, არაქართველი „დედა ენას“ არ ჩაიხუტებს, „ვეფხისტყაოსანს“ არ გაუფრთხილდება, ჩვენი ქვეყანა პატარაა. გავა დრო და, ალბათ, ჩემი ნათქვამი ყველას სასაცილოდ მოეჩვენება, საუკუნეების გასვლის შემდეგ ქართველი იტყვის, რა მნიშვნელობა აქვს, საქართველოს პრეზიდენტი რა ეროვნებისა იქნებაო, მაგრამ ახლა, როცა ქვეყანა დანაწევრებული და საზღვრებმორღვეულია, სათავეში ქართული მენტალიტეტის მქონე კაცი უნდა იყოს. რეზო მიშველაძე ისეთი

პატარა კაცი არ არის, იმის ქექვა დაიწყოს, ვის რა ეროვნების ბებია ჰყავდა. მე ის მაწუხებს, რომ ხელისუფლებაში ბევრს ქართული საქციელი არა აქვს. მიხეილ სააკაშვილი ნიჭიერი ყმაწვილია და მისი აღზრდა შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს წააგებს. სააკაშვილს ერთ წელიწადში ამდენი შეცდომა არ უნდა დაეშვა. იგი ნელ-ნელა იმასაც მიხვდა, რომ მწერალთა კავშირთან დაჯახება კარგს არფერ მოუტანს და იმ პატარა ბიჭისთვის, გოკა გაბაშვილისთვის უთქვამს, მწერლებს თავი დაანებე, შენობას ვერ წავართმევთო.

ჩვენ მწერალთა კავშირში 25 ახალგაზრდა მივიღეთ, ძალიან ნიჭიერი ბავშვები არინ. მე საქართველოს ვუსურვებ, რომ ნორმალური გოგო-ბიჭების იმედი ჰქონდეს და არა მანიაკალური ჩვევების მქონე სულელებისა, რომლებიც საკუთარ თავს მწერლებს უწოდებენ.

*იანვარი, 2005*

## ვერავის ნავში ვერ ჩავჯდები

რადგან მწერალთა კავშირი აღარ არის ხელისუფლებისათვის ტაშის დამკვრელი და მის დუდუკზე მოცეკვავე, ისიც სრულ გულგრილობას იჩენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ უარი გვითხრეს დაფინანსებაზე. ჩვენ კი მწერლებისთვის გასაცემი გვაქვს სტიპენდია (22 ლარის ოდენობით), დასაფინანსებელია სხვადასხვა ორგანო – „ცისკარი“ „მნათობი“... სტიპენდიებზე უარის თქმამ უკმაყოფილება გამოიწვია (მოგეხსენებათ, მწერალთა დიდი ნაწილი არსად მუშაობს, ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა). ამიტომ ახლა ხელმძღვანელობა ვცდილობთ, ავიკიდოთ დიდი ხურჯინი და კარდაკარ ჩამოვუაროთ ბიზნესმენებს, რომ გრანტის, სესხის ან ჰუმანიტარული დახმარების საშუალებით როგორღაც მოვახერხოთ და მწერლებს ის სტიპენდია ისევ ვაძლიოთ. მოგეხსენებათ, მწერლები საკმაოდ



ამაყი ხალხი ვართ და რადგან ერთხელ უარი ვთქვით ხელისუფლებასთან მონურ დამოკიდებულებაზე, ათჯერ მეტიც რომ შემოგვთავაზონ, ვერავის ამქარში ვეღარ შევალთ და ვერავის ნავში ვეღარ ჩავჯდებით. მწერალი უნდა იყოს თავისი ერის მამა, წინამძღოლი, კეთილი და გონიერი მრჩეველი.

პარლმანტის წევრი გახლდით და ოთხი წლის განმავლობაში მე და ჩემი თანამოაზრეები (მათ შორის გურამ შარაძე) ვიბრძოდით, რომ პარლამენტში სამი კანონი მიგვეღო (ჩვენი ეროვნული ცნობიერების შემანარჩუნებელი): კანონი ქართული ენის შესახებ, კანონი ეროვნული რეკვიზიტის შესახე, კანონი რელიგიის შესახებ.

სამი ადამიანი გვებრძოდა გააფთრებით, რომ ეს კანონები არ მიგვეღო, ერთი იყო მიხეილ სააკაშვილი, მეორე – ზურაბა ჟვანია და მესამე – ნინო ბურჯანაძე. სამივენი ახლა „ვარდების რევოლუციის“ ავტორები არიან და საქართველოს ხელისუფლების სათავეში დგანან. ხომ ავირჩიეთ ახალი ხელისუფლება ახალი პარლამენტი – გაძლევთ პირობას, რომ ეს სამი კანონი ისევ მიუღებელი დარჩება. საბუთებში „ქართველი“ ისევ არ ჩაიწერება, მართლმადიდებლობა ისევ არ იქნება სახელმწიფო რელიგია. პირიქით, ესენი თავზე ხელს უსვამენ იეღოველებს და სხვებს. და ქართული ენა არ იქნება სახელმწოფო ენა. ამ სამი კანონის გარეშე საქართველო არ შემდგარი სახელმწიფოა.

საქმე მარტო ის კი არ არის, გამოხვიდე, 30 ათასი კაცი აყვირო და პრეზიდენტი ჩამოაგდო, მერე ჩოლოქთან წახვიდე და იქაც ყვირილით შეცვალო მთავრობა... ახლა სამივენი შეჩერდნენ, ჩამოსაგდები აღარავინ არის, დიდი-დიდი ქუთაისის გუბერნატორი ჩამოაგდონ. იმისი თავი არ აქვთ, რომ სოხუმში ჩავიდნენ და 30-ათასკაციანი „ვარდების რევოლუცია“ იქ ჩაატარონ ან ცხინვალში. იმიტომ, რომ იციან, მაშინ რუსეთი ყურში ხელს ჩაავლებს. აჭარაში ხელისუფლების შეცვლას ნუ ეძახიან ესენი აჭარის დაბრუნებას, ამაზე სიცილით კვდებიან აჭარლები. შენ აბაშიძე გადააგდე, თორემ აჭარა სად იყო წასული? აი, ქართველი მწერლის ერთი გულისტკივილი –

ასე ფიქრობს რეზო მიშველაძე და ასე ფიქრობს ქართველ მწერალთა 90 პროცენტი.

ახლა, ამ წუთებში, დაბლა, დარბაზში მიმდინარეობს ქართველი მწერლის მუსტაფა შელიას გახსენების საღამო. მეგობარმა გაყიდა და გაქცეულს ზურგში ტყვია დაადევნეს, რომ ჩახვალთ, ნახეთ, როგორი პათოსით მიმდინარეობს ეს შეხვედრა. ვაპირებთ, გავმართოთ დისპუტი თემებზე – როგორ ვუფრთხილდებით ჩვენს ენას, ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება, ქართული ეროვნული სკოლის შესახებ. ასე რომ, გაძლევთ პირობას, არ შეგარცხვენთ.

ოპონენტებსაც მოვიწვევთ, ყველას დავუძახებთ – მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძეს, ზურაბ ჟვანიას (თუ მოვლენ) და ვეტყვი აქედან, რატომ აკეთებ შენ, ძვირფასო მიშიკო, რომ ქართველს საბუთში „ქართველი“ არ უწერია. როგორ ეგუები შენ, სააკაშვილი, დედაშენის, შენი წინაპრების პატრონი, რომ შენს შვილს (რომელიც ქართველია ნახევრად მაინც) საბუთში ქართველი არ უწერია? ვკითხავ, აბა, არ ვკითხავ? ყველაფერს ვაპატიებ ხელისუფლებას, ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლის გარდა.

1999-2004 წლებში პარლამენტში ვიყავი და ჩემს დროს ასეთი კანონპროექტი არ გაჭაჭანებულა. რომ ყოფილიყო, პირველი მე და გურამ შარაძე გავიბრძოლებდით მის წინააღმდეგ. ეს არის ყოველმხრივ ავადმყოფური (სამედიცინო თვალსაზრისითაც) აზროვნების შედეგი, რამდენადაც ვიცი, რამდენიმე ერში და რელიგიაში ასეთი რამ დაშვებულია, მაგრამ ქართული მენტალიტეტი, ქრისტიანული სარწმუნოება და ქართული ტრადიციები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და, ბუნებრივია, მეც წინააღმდეგი ვარ.

მწერალთა კავშირის ქონება საკმაოდ მწირი იყო: სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძევი სახლი (ამ კაბინეტში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, აკაკი წერეთელი ათევდა ღამეს. აქ იწვნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, როდესაც ეს შენობა მწერლებს გადმოეცა). გვქონდა დასასვენებელი სახლი გაგრაში, გვაქვს ქვიშხეთში და გვაქვს ზვიად გამსახურდიას მიერ გადმოცემული ე. წ. ბერიას სახლი. ეს არის ახლა ჩვენი ქონება, რომელიც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ სხვადასხვა დროს გააქირავა, ზოგს, რომ არ დაგიმალოთ, პრივატიზება გაუკეთდა, მაგალითად „მერანს“. ახლა შექმნილი გვაქვს კომისიები და ვცდილობთ, დავიბრუნოთ (ნაწილი მაინც) გასხვისებული ქონება. მაგრამ ეს ძალიან ძნელია, რადგან სასამართლო, მხარს არ გვიჭერს. გვეუბნებიან, თქვენ რომ „მერანი“ დაგიბრუნოთ, მაშინ მთელ საქართველოში დაიწყება მსგავსი პროცესებიო; რაც შევარდნაძემ გაასხვისა და პრივატიზაცია გაუკეთდა, ნელ-ნელა გადავა ხალხის ხელში და დაიწყება გაუთავებელი სასამართლოებიო. ამიტომ ვცდილობთ, კოლეგიური ზემოქმედებით ვთხოვოთ „მერანის“ მეპაიეებს: რეზო ჭეიშვილს, თამაზ წივწივაძეს, დავით მჭედლურს, დათო მაღრაძეს, რომ დაგვიბრუნონ ეს ქონება, მაგრამ ეს ჩვენი ლაპარაკი რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ეტყობა, მესაკუთრული ინსტიქტი მათში უფრო მეტია, ვიდრე მწერალთა კავშირისა და საკუთარი კოლეგებისადმი სიბრალული.

*მაისი, 2004*

## შეფასება ჯერ ნაადრევია

საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები შთამბეჭდაობით უდავოდ რომ გამოირჩეოდა, ამის შესახებ არაერთგზის თქმულა. ემოციური სიმძაფრით აღბეჭდილი პროცესები თანამონაცვლეობენ – თუკი ადრე ეს საზოგადოებრიობის უმეტესი ნაწილის ერთსულოვანი თვალსაზრისის გამოხატულება იყო, დღეს ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად მებრძოლ გმირებს შორის, ერთგვარ კონფლიქტად გადაიქცა. პოსტრევოლუციური ეპოქა კრიტიკულ-ოპოზიციური განწყობით დაიტვირთა...

სიმართლე გითხრათ, სააკაშვილის შეფასების დრო, ჯერ-

ჯერობით, არ არის დამდგარი. ამიტომ მეშინია, წინ არ გავუსწრო მოვლენებს და ჩემმა ნაჩქარევმა დასკვნამ ხელი არ შეუშალოს იმას, რაც ყველა ქართველს უნდა – საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება. როგორც არ უნდა მოგწონდეს სააკაშვილი, როგორც არ უნდა გაღიზიანებდეს მისი მუდმივი ღიმილი სახეზე, ან პოლიტიკურ საუბარში ხანდახან ნაჩქარევი ტონი და მოუზომავი სიტყვა, ფაქტი ერთია – მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანა გამოაცოცხლა. შემთხვევითი არ არის, რომ მას ტაშის კვრით ხვდებიან და თავ-პირს ილეწავენ, რომ როგორმე ახლოს მივიდნენ და ხელი ჩამოართვან. ამ ახალგაზრდა კაცს, მის მგზნებარებას, ერი მხარს უჭერს და მე, ერთ ქართველ მწერალს, რა უფლება მაქვს, რომ ჩემი ხალხის ამ გულისთქმას პატივი არ ვცე? სააკაშვილმა ისტორიის ბეწვის ხიდზე ორჯერ გაიარა და თანაც ისეთ სახიფათო მოსახვევებზე, რომ ბევრისთვის შეიძლება ნერვებსაც ეღალატა. ერთხელ მაშინ გაიარა ამ ხიდზე, როდესაც სრულიად უკანონოდ ისარგებლა მასების ეიფორიული განწყობილებით და ამერიკის დირიჟორობით დაამხო შევარდნაძის ხელისუფლება, რასაც შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა, მეორე კი მაშინ, როდესაც მან აჭარა მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გაათავისუფლა, მაგრამ ჩემი სიტყვებით რომ გითხრათ – აჭარაში ერთი ხელის დაკვრით შეცვალა მმართველობა.

ცოდვა გამხელილი სჯობს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში აღორძინების დეპუტატი ვიყავი, რასაკვირველია, ცენტრთან აჭარა მართალი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ასლან აბაშიძე ბევრ ეროვნულ საქმეს აკეთებდა და მისი გაკეთებული საქმეები ამას თავადვე ღაღადებენ, იგი აშკარად ადგა ცენტრთან კონფრონტაციის გზას. მე მასთან არაერთგზის მილაპარაკია. ვერ ვიტყვი, რომ პარლამეტის ყველა წევრი, ვინც ასლანს ხვდებოდა, მასთან კრიტიკულ საუბარს ახერხებდა, აბაშიძეს მზედ აცხადებდნენ. მისი თითოეული სიტყვა სიბრძნედ და ჭეშმარიტებად იყო მიღებული. მაგრამ მე ვეუბნებოდი: ბატონო ასლან, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ის ცვლილებები, რომლებსაც შენ, რაკი ეს აჭარა



შენ წილად შემოიღობე, ატარებ აჭარის პარლამენტში ე. წ. კონსტიტუციის გასანაპირებლად საქართველოს საერთო კონსტიტუციიდან-მეთქი. არ შეიძლება, რომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ უცებ შენ თავს მეთაური და მთავარსარდალი დაარქვი და არ არის სწორი, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხებს რომ არ რიცხავ და ერთპიროვნულად აკონტროლებ ბათუმის პორტსა და საბაჟოს. მთავარი კი, რაც ყველაზე მიუტევებელია, ბატონო ასლან, არ არის სწორი, რომ ამ 14 წლის განმავლობაში არცერთხელ არ ჩამოხვედი თბილისში-მეთქი. მითხარით, მე, ქართველ მწერალს და პოლიტიკოსს, რა პასუხი უნდა გამეცა ჟურნალისტებისათვის, როცა ასლან აბაშიძის თბილისში ჩამოუსვლელობის მიზეზს მეკითხებოდნენ მე კი ვიწყებდი გაუგებარ ლუღლუღს, მერე რაღაც ხავსს ვებღაუჭებოდი, ჰაერში ვეძებდი ხელჩასაჭიდ მიზეზებს ასლან აბაშიძის გასამართლებლად. რა თქმა უნდა, ამას ვერ ვახერხებდი, რადგანაც მე თვითონ არ მწამდა, რასაც ზოგჯერ ვიტყოდი ხოლმე, ბოლო საუბრისას ბატონ ასლანს ვუთხარი: თბილისში ინაუგურაციაზე უნდა ჩამობრძანდეთ-მეთქი. ამაზე ისეთი თვალით შემომხედა, სამუდამოდ მივხვდი, რომ მიხეილ სააკაშვილის სახელი ხსენებაც არ სურდა. ამის გამო გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი მასთან.

ეს პროცესი დააჩქარა მისმა წარმოუდგენლად უგუნურმა ნაბიჯმა. უამრავი პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ასლანი დღესაც აჭარაში ყოფილიყო მმართველად, ოღონდ ცოტა მეტი გულისყური ჩაედო, დაეთრგუნა თავისი ამპარტავნობა, ჩამოსულიყო ინაუგურაციაზე და შეხვედროდა პრეზიდენტს, როგორც ერთი რეგიონის ხელმძღვანელი. მან კი ხიდები ააფეთქა, აჭარაში მცხოვრებმა მრავალტანჯულმა ქართველებმა თქვეს: ერიჰა, ამან ძალიან გაუტია, ჩვენ სამასი წელი იმიტომ ვიყავით თურქეთის ბატონობის ქვეშ, რომ ასლან აბაშიძეს ხიდები აეფეთქებინა და საქართველოდან ჩვენი იზოლირება გაეკეთებინა? ეს ისეთი ფაქტი იყო, რომელიც მისმა ყველაზე ვიწრო გარემოცვამაც არ აპატია ასლან აბაშიძეს. ასლანი ქართული პოლიტიკისათვის გაჭრილი კარტია, იგი დაისაჯა

თავისი შეცდომებისათვის და დაისაჯა სწორად. თბილისში ჩაუსვლელობა და ხიდების აფეთქება საკმარისი იყო, რათა იგი საქართველოდან წასულიყო.

მე ვფიქრობ, სააკაშვილი სწორად იქცევა, როცა ხალხისთვის წართმეულს ისევ ხალხს უბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, სიტყვიერად ასე ამბობს. თუ მართლა ხალხს უბრუნებს და მილიონები არ ილექება ერთ ადგილზე ბანკში, რომ მერე ამ ხელისუფლებამ საზღვარგარეთ ვოიაჟებისათვის გამოიყენოს, მაშინ, რა თქმა უნდა, მივესალმები ამ ნაბიჯს.

რაც შეეხება რევოლუციას, ყველა რევოლუციის დროს ასე გაკეთდა. ბრბო შევარდა ასლან აბაშიძის ბინაში, კაბინეტში. გამოიტანეს ასლანის სკამი, დაამსხვრიეს და მემედ აბაშიძის ძეგლთან დაწვეს. ეს ხომ მემედ აბაშიძეზე ცეცხლის წაკიდებას ნიშნავდა, არადა, მემედ აბაშიძე ის კაცი გახლდათ, რომელმაც აჭარა საქართველოს შემოუმტიკცა. არ უნდა გამოიტანო ასლან აბაშიძის პერანგები, კოსტიუმები და არ უნდა ახარხარო ხალხი ამაზე. რა უფლება გაქვს შენ, რომ აბაშიძის ოთხოთახიან ბინაში შევარდი? რას ელოდი, ოქროს ზოდები დაგხვდებოდა თუ დოლარებით გატენილი სახლი? ასლან აბაშიძემ თუ რაიმე იშოვა, ის, ალბათ, გაუყენა გზას. ნუ გეშინიათ, მშიერი არ მოკვდება. მაგრამ რაღაც ცუდი ხმები ისმის ამ საქმესთან დაკავშირებითაც. მას არაფერი წაუღია ბინიდან, მისი პირადი ნივთებიც კი.

სიმართლე გითხრათ, ცრემლი მომადგა, როცა ასლან აბაშიძის გოგონა ტელევიზორში დავინახე. დიანა გამბედავია, იგი იმ ქალაქში ჩამოვიდა, სადაც ფაქტობრივად მამის ხელისუფლება აკრძალეს. არ მიმაჩნია რაინდულ საქციელად შავებში ჩაცმული არაპოლიტოკოსი გოგო დედამისის საფლავიდან დაკითხვაზე წაიყვანო. არ არის ეს ვაჟკაცური საქციელი, რა შუაშია დიანა აბაშიძე, მან თვითონ არც კი იცის, მის სახელზე რაიმე ფირმა თუ გააფორმა მამამისმა.

გიორგიც უნდა ჩამოვიდეს აჭარაში. იგი უჭკვიანესი ბიჭია, ინტელიგენტი, წყნარი, ზრდილობიანი. ჩემთან საუბარში ზღვარს არასოდეს გადასულა, არ მოუხვევია ის შეხედულება, რომ



ბათუმის მერი და ასლან აბაშიძის შვილი ვარო. დრო რომ გავა, ასლან აბაშიძეც უნდა ჩამოვიდეს. მისი ეპოქა არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ თუ გონივრულად აწონ-დაწონის ვინმე ასლან აბაშიძის მიერ გაკეთებულ უარყოფით თუ დადებით საქმეებს, შეუძლებელია, არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ასლანი ბათუმელი რიგითი მოქალაქე იყოს, საღამოს ბულვარში სასეირნოდ გამოდიოდეს, 500 ძაღლი კი არა, ერთი ჰყავდეს.. ეს ჩვენმა ხელისუფლებამ არ უნდა აუკრძალოს აბაშიძეს.

ვერ ვიტყვი, რომ აჭარაში ახლა სიმშვიდეა, არჩევნებზე ერთმანეთს ძალიან უბრაგუნებდნენ თავში ნაციონალები და რესპუბლიკელები. ამ სანახაობამ შემზარა.

არ შეიძლება, მე ამჯერად სააკაშვილის პოლიტიკის შემფასებელი ვიყო, რადგან ეს პოლიტიკა ჯერ არ გაკეთებულა. მაგრამ სააკაშვილმა რომ გაიმარჯვა 23 ნოემბერს და 6 მაისს, ამას მე ვაღიარებ. ამ გამარჯვების მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული. ახლა სააკაშვილი თავისი დიდი ნაბიჯებით ისტორიის უსიერ ტყეში მიაბიჯებს, გაუკვალავ გზაზე მიდის. მან თვითონ არ იცის, რა მოჰყვება მის შემდგომ ნაბიჯებს საქართველოს გასამთლიანებლად და არაკაცობა იქნება ჩემი მხრიდან, რომ კრიჭაში ჩავუდგე ამ ახალგაზრდა კაცს. იქნებ სიკვდილამდე, მე საქართველოს მთლიანობისათვის შეწირულ ერთადერთი შვილის მამას განმაცდევინებს იმას, რაც ანდერძად უნდა დამეტოვებინა ჩვენი შვილებისათვის – როგორმე ერთ მუშტად შეკარით საქართველო, ერთ საზღვრებში მოაქციეთ-მეთქი.

რა თქმა უნდა, რეზო მიშველაძე არ არის გულუბრყვილო კაცი, რომ ასე ადვილად დაიჯეროს, თითქოს სასუქის შეტანითა და პენსიების დარიგებით სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იხუვლებს ოსობა და ერთი მუჭა აფსუობა და დაიძახებს: უი, როგორ დავკარგეთ ეს 12 წელი. ახლავე დავამხობთ ჩვენს ხელისუფლებას. აღარ გვინდა დამოუკიდებლობაო, ეს ტყუილია. ერთი წუთითაც ვერ გალღვა უნდობლობის ყინული აფსუებსა და ქართველებს შორის, ოსებსა და ქართველებს შორის. ეს კი შევარდნაძის ბეცი პოლიტიკის მიერაა დათესი-

ლი, ასევე იმპერიის მიერ, რომელიც სპეციალურად მუშაობდა ოსებსა და აფსუების ქართველებთან გადასაკიდებლად. ეს იარა არ შეხორცებულა. შეიძლება, უფრო გაღრმავდა. ქართული წიგნი, ქართული ტელევიზია, სადაც ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები, ისტორიკოსები და პოლიტიკოსები ღაღადებენ, რომ არ არსებობს საქართველოში არავითარი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, მათი სახელმწიფოებრიობისათვის განკუთვნილი ტერიტორია, რომ ჩვენი უბის ქვეშ სტუმრად შევიფარეთ, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსები და აფსუები, დღეს კი მათ ჩვენი სახლიდან გამოგვრეკეს – ეს ინფორმაციები მათ არ მიაწოდეს. ეს წიგნები არ წააკითხეს, პირიქით, სკოლებში მოსპეს ქართული ენა, ქართული ლიტერატურის სწავლება და ის, ვინც დაიბადა იქ ამ ბოლო 12 წლის განმავლობაში, საქართველოს შორეულ ქვეყნად მიიჩნევს. არ კი იციან, რომ ისინი საქართველოში, ქართულ მიწაზე ცხოვრობენ.

გამთლიანებისაკენ გზა გასასვლელია, ამ გზაზე გავლა კი სააკაშვილმა დაიწყო. სააკაშვილი ჰაერში მოფარფატე პოლიტიკოსი არ გეგონოთ, იგი საკმაოდ პრაქტიკული კაცია, არ შეიძლება მან არ იცოდეს, რომ კოკოითი იქ ჩატანილი სასუქით ვერ მორჯულდება. კოკოითი რუსეთმა უნდა გამოიწვიოს. ჩვენ რუსეთმა უნდა დაგვიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო, რუსეთი კი თავისი კეთილი ნებით არასდროს ჩაგაბარებს იმას, რაც მოიპოვა სრულიად უსამართლოდ. მიხეილ სააკაშვილი არ ცრუობს, როცა ამბობს, რომ იგი პუტინს ელაპარაკება და ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მომხრეა. მაგრამ პუტინს იმდენი ოპოზიცია ჰყავს შიგნით, რომ ამის გაკეთება ადვილი არ იქნება. ისევ და ისევ ჩვენი მხსნელი და პატრონი ამერიკაა. მის ინტერესში შედის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაკარგული ტერიტორიების აღდგენა. რაღაცის დათმობა ამისათვის დაგჭირდება. შეიძლება, ცოტა მეტ ხანს იყოს რუსეთის ბაზები საქართველოში. მთავარია, ქართველების დაცვედნებისა და დადედლების შევარდნაძისეული ეპოქა ისტორიას ჩაბარდა და ცოტა გავიმართეთ წელში. იმედი თანდათანობით უფრო მიძლიერდება, რაშიც



მოწონების ხელს ვურტყამ მიხეილ სააკაშვილს მხარზე.

მე არა მაქვს უფლება, დავმალო ჩვენი ახალი ხელისუფლების უამრავი შეცდომა, თუმცა ვამბობ, რომ ახლა არ არის ამის ჩამოთვლის დრო-მეთქი. თორემ შეცდომა არ არის, როცა სრულიად არასამართლებრივად აპატიმრებენ ადამიანებს, მიატანინებენ სამ მილიონს და მეორე დღეს გაუშვებენ? ეს ვერცერთი იურიუდული კოდექსში ვერ ჯდება. შეცდომა არ არის ის გარემოება, რომ უმწიფარი მინისტრები დანიშნა? მართალია, მათი უმეტესობა წესიერია, ფრიადოსანი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ უწყების ხელმძღვანელობის მასშტაბები არ აქვს. განა შეიძლება მინისტრმა თავის კაბინეტში მუშტი-კრივი გამართოს, როგორც ეს კახა ლომაიამ გააკეთა? ან შეიძლება იგი მინისტრი იყოს, როცა არ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ძველი ქართველი მწერლობის სწავლებას მოზარდის ეროვნულად აღზრდაში? ჩვენი სკოლის მთავარი ნაკლი არის არაეროვნულობა. მინისტრების საკადრო პოლიტიკაა ძალიან სუსტი. გამეღიმა იმ ფაქტზე, როდესაც პრეზიდენტმა მინისტრებს ადგილი შეუცვალა. ვერცერთი ვერ გაიმეტა მოსაცილებლად. ფაქტობრივად სააკაშვილმა ისინი დასაჯა – თქვენ დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევთო, მაგრამ რაკი მისი ამხანაგები იყვნენ, ზოგი ნიუ-იორკში შეხვედრია, ზოგი აქეთ, ზოგიც იქეთ, ვეღარ გაიმეტა. არ შეიძლება, საკადრო პოლიტიკის ამოსავლად გქონდეს ის გარემოება, რომ მავანს და მავანს, რომელიღაც კოლეჯში შეხვედრიხარ უცხოეთში და მასთან ერთი საათი გაგიტარებია. კაცს, რომელსაც მინისტრად ნიშნავ, საქართველო უნდა იცნობდეს. ასევე ნაჩქარევად მიმაჩნია რეფორმები, რომლებიც ეკონომიკის სფეროში დატრიალდა. დიდ პატივს ვცემ „რუსეთუმე“ მძიმე წონოსან ბენდუქიძეს, მაგრამ როგორ შეიძლება იგი აცხადებდეს: გამაგებინეთ, რა არის სტრატეგიული ობიექტი? საქართველოში ყველაფრის გაყიდვა შეიძლებაო. შენ, ჩემო კახა, ორი კაპიკი გიშოვია (ღმერთმა მოგცეს), მაგრამ უნდა იცოდე, რომ შენი სამშობლო ეროვნულად გაუბედურებული ქვეყანაა. წარმოიდგინეთ, გაიყიდა საქართველოს ჰიდრორესურსები, გაიყიდა საქართ-

ველოს გაზი (ფაქტობრივად უკვე გაყიდულია), რა გრჩება ხელში, ჩემო კარგო, საქართველოს მაცლი ხელიდან?

მე და გურამ შარაძე ყელს ვიღადრავდით იმისათვის, რომ ჩვენს პარლამენტს მიეღო სამი ეროვნული კანონი: ენის შესახებ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ და რელიგიის შესახებ. იმდენი ქნა წინა პარლამენტის სპიკერმა, რომ დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით პირველი მოსმენით მიიღო. მომავალ პარლამენტში ვუყრით კენჭსო, ასე გვითხრეს. დევს ახლა ეს სამი ეროვნული კანონი, არავინ ჩქარობს პარლამენტში მის მიღებას. ეს კი ნიშნავს იმას. რომ ჩვენი პარლამენტი არ ადგას ეროვნულ გზას. ძალიან კარგად ვუყურებ ნინო ბურჯანაძეს. ქუთაისში ჩემ გვერდით გაზრდილი გოგოა, მაგრამ მან თუ ასე მიაფუჩეჩა ეროვნული კანონები, მისი მადლიერი ვერ დავრჩები. ნაკლს მე სიყვარულით ვამბობ.

არ მაქვს უფლება სააკაშვილი რომ წაიფორთხიალებს რამეზე, ქოქოლა დავაყარო, როგორც ამას სხვები აკეთებენ. რეზო მიშველაძეს ეს არ ეკადრება. მწერალმა უფრო მშვიდად და წყნარად უნდა ილაპარაკოს. არ არის სწორი, რომ შევარდნაძის ოჯახის წევრების დაპატიმრებას მივყოთ ხელი. შევარდნაძის დასჯის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. როცა მე კალამს ხელი მოვკიდე, ჰუმანიზმი ჩემთან ერთად დაიბადა. მე ადამიანის გაწირვა არ შემიძლია.

*ივნისი, 2004*

## ფრთხილად ქართველებო!

ხელისუფლების სათავეში „ვარდებით მოსულმა“ „მიშისტებმა“ დედა უნივერსიტეტი ქართული სულის სასაფლაოდ აქციეს!!! ლაზარეთში, სადაც ვაჟა-ფშაველამ 90 წლის წინათ დალია სული, „სტუმარ-მასპინძლის“ ავტორი ხელმეორედ მოკლეს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი შანიძისა და სხვა ჭეშმარიტ მამულიშვილთა სახელობის კაბინეტები გაუქმებულია! როგორც ჩანს, ლომაია და ძმანი მისნი არაფრით ჩამოუვარდებიან წიწამურთან ჩასაფრებულ ილიას მკვლელებს! „რეფორმატორმა განმანთლებლებმა“ „ჩააწყვეს რიგში ცამეტი ტყვია“ და თვალის დაუხამხამებლად დაახალეს შოთა რუსთაველს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს და ყველა ჭეშმარიტ ქართველს. ერისთვის სულში ჩაფურთხებისა და ქართული გენიის გამასხარავების მცდელობისათვის ბატონი განათლების მინისტრი და მისი დამქაშები ჯორჯ სოროსისგან, ალბათ, სარფიან გასამრჯელოს მიიღებენ... დაკვეთა შესრულებულია... ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღეს თამამდ შეგვიძლია ვუწოდოთ წიწამური! კახა ლომაიას და რუსუდან ლორთქიფანიძეს კი – ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის მკვლელები! ნათელია, რომ სოროსის ხელდასხმული რევოლუციური ხელისუფლება ილიას გზით სიარულს ნამვილად არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მავანს ჭავჭავაძის პორტრეტი უმშვენებს კაბინეტს, რაც ხელისუფალთა მორიგი თვალთმაქცობა და ცინიზმია!

ხელისუფლებამ კბილებამდე შეიარაღებული „სპეცნაზი“ გამოიყვანა მხოლოდ იმისათვის, რომ ხალხი მორალურად გაეტეხა. მათი ლოზუნგი ასეთია – „დედას გიტირებთ!“ ამაზრზენი იყო ის, რაც რუსთაველზე მოხდა, თუმცა, ხელისუფლებამ მადლობა გადაუხადა პოლიციას ხალხის დარბევისათვის. მეორე დღეს კი, თავისი შესახედაობით „ჯღანაზე“ ბევრად ნაკლები ბოკერია მთელი დღე დასცინოდა ოპოზიციას, – „ჯღანას“ იცავდითო... საზოგადოებისადმი ასეთი დამოკიდებულებით ეს ხელისუფლება მალე მოიტეხს კისერს! რაც შეეხება უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს, ჩვენი ძვირფასი ხელისუფლების თავხედობა ამ შემთხვევაშიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება! როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს სძულს უნივერსიტეტი, სძულს კერა, სადაც მან ვერ ისწავლა. მას რომ პროფესორ-მასწავლებლების ოდნავი პატივისცემა ჰქონოდა, იტალიაში „მოღვაწე“ მშვენიერ ბი-

ზნესმენს, მეცნიერებასთან და ახალგაზრდობის აღზრდასთან ძალიან საეჭვო კავშირის მქონე ლორთქიფანიძეს არ დაგვისვამდა რექტორად. პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, უნივერსიტეტში ყველა მმართველობითი ორგანო გაუქმდეს და დამყარდეს ერთპიროვნული მმართველობაო. გაუქმდეს მეცნიერთა დიდი საბჭო, რომელიც თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა დააარსა... შემდეგ სააკაშვილის მეორე ბრძანება „შემოგვაშველეს“ – 22 ფაკულტეტის ნაცვლად 6 ფაკულტეტი დარჩესო. ამაზეც ავტეხეთ განგაში, მაგრამ უნივერსიტეტში ერთპიროვნული დიქტატურაა და პროფესორ-მასწავლებელთა აზრი, მაპატიეთ და ფეხებზე ჰკიდია ხელუსფლებას. ახლახან კი გამოაკრეს სია, სადაც გარკვევით წერია, რომელი კაბინეტი დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. განსაცვიფრებელი რა არის, იცით? გაუქმდა შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი შანიძის და სხვათა და სხვათა კაბინეტები. რვაასი მეცნიერი თანამშრომელი უმუშევარი დარჩა, თუმცა დღეს ამაზე საუბარი, ალბათ, აღარც ღირს, რადგან ხელისუფლება, რომელიც ხელმეორედ კლავს რუსთაველს, ილიას, ვაჟას, აკაკის და გალაკტიონს, ცოცხალ მეცნიერ თანამშრომლებს თუ მიიყვანს თვითმკვლელობამდე და ფანჯრიდან გადახტომაში შეუწყობს ხელს, ვფიქრობ, გასაკვირი ნამდვილად აღარ არის. ეს დანაშაულია და ამ ბრძანების დამწერი ციხეში უნდა ჩაჯდეს!

დემაგოგი ლომაია ამბობს: რა უფლება მქონდა, ასეთი ბრძანება დამეწერაო... ეს ჩვენი ქალბატონი დიასახლისი კი აცხადებს: ეს ბრძანება სამინისტოდან მოვიდა. მე კარგად წაკითხვაც ვერ მოვასწარიო... პირადად, მე ქუჩაში დგომის და მიკროფონში ბღავილის არც ნერვები მაქვს და არც ჯანმრთელობა, მაგრამ როდესაც ასეთ დღეში მყოფი ჩემი 800 თანამშრომელი ვნახე, მიტინზეც გავედი და ქუჩის გადაკეტვაშიც მივიღე მონაწილეობა. იმავე საღამოს პატარა კაცმა ლომაიამ განაცხადა: მთელი უნივერსიტეტი გაგებით შეხვდა ჩვენს გადაწყვეტილებას, ქუჩაში რამდენიმე დემაგოგი



გამოვიდა. ვინც აქტიურობს, მისაღები გამოცდების უნივერსიტეტიდან გატანის გამო არიან განაწყენებულნიო. მეტი კონკრეტულობისათვის მინისტრმა ისიც დასძინა: მიშველაძე და კირთაძე უნივერსიტეტის რომელი სახეები არიანო... ქალბატონი ნესტანის დაცვას არ დავიწყებ, რადგან ის ჩემზე უკეთესად მოახერხებს ამას, მაგრამ, როგორც ჩანს, ლომაიას დღემდე არ სმენია, რომ კირთაძე ბრწყინვალე ისტორიკოსია. პირადად მე 45 წელია, უნივერსიტეტში ვმუშაობ და სულ სამჯერ ვიყავი მისაღებ გამოცდებზე...

იცით, ამ დღეებში უნივერსიტეტში საშინელი ვანდალიზმი მოხდა – დაამსხვრიეს აკაკი წერეთლის კაბინეტის აბრა! ხვალ შოთა რუსთაველს მისდგებიან, მერე – გალაკტიონს, გამსახურდიას და ბოლოს ილიას წიწამურთან (დღეს წიწამური დედა უნივერსიტეტია) კიდევ ერთხელ დაახლიან ტყვიას! ვერ გავიგე, რა დაუშავა ქართველმა ერმა ასეთი ლომაიას, ასეთ სისაძაგლეებს რომ სჩადის?! ერთ-ერთი პირველი კაბინეტი, რომელიც შეიქმნა ვაჟას სახელობის იყო, რომელსაც წლების განმავლობაში ჯუმბერ ჭუმბურიძე ხელმძღვანელობდა. 85 წლის რეპრესირებული ოჯახის შვილი ტიროდა, ამას თუ მოვესწრეობდი, არ მეგონაო... რაც სააკაშვილის ქვეშევრდომებმა ლომაიამ და ლორთქიფანიძემ ჩაიდინეს, ჩვენი ბრწყინვალე მწერლების ხელმეორედ სიკვდილის ტოლფასია როგორც ჩანს, სოროსის ვირთხა ლომაიამ და დიასახლისმა არ იციან, რომ ვაჟა ამ შენობაში გარდაიცვალა და მაშინ აქ ლაზარეთი იყო. ნუთუ უნდა წაიშალოს ამ ბუმბერაზი მწერლის კვალი ჯერ უნივერსიტეტში და მერე, ალბათ, სკოლებშიც?! იქნებ, აგვიხსნას სოროსის გრანტებზე გაყიდულმა განათლების მინისტრმა, რა არის უნივერსიტეტის მოვალეობა, თუ არა შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის სიწმინდეების მოფრთხილება?!

სადაც შოთა რუსთაველის კაბინეტი გააუქმეს, ფიქრობთ, რომ ილიას დაინდობენ?! ჯერ ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული გამოცდებია ჩასატრებელი და ოქტომბერში მასაც დახურავენ, იმდენად უსინდისოები არიან, ყველა რეფორმას

ილია ჭავჭავაძის სახელს არქმევენ და ამით დასცინიან მას. მისი სახელით ამხობენ ქართულ ცნობიერებას, რის განმტკიცებასაც მთელი სიცოცხლე შესწირა ილია ჭავჭავაძემ. ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ უნივერსიტეტი არ იყოს მეცნიერული კერა და ეროვნული აზრი არ ღვივდებოდეს! ქართული სულისა და ცნობიერების მოკვდინება მაშინ დაიწყო, როდესაც შევარდნაძემ საკუთარ უბეში გამოზრდილი ლეკვები გამოიყვანა ასპარეზზე. სააკაშვილის ხელისუფლება კომუნისტების გზას დაადგა, თუმცა, ის შავბნელი ძალაც გაცილებით ნელი ტემპით ებრძოდა ყველაფერ ეროვნულს, ესენი კი ერთი ხელის მოსმით ანადგურებენ ჩვენს მომავალს.

სააკაშვილის ხელისუფლებამ პირველი დარტყმა მწერალთა კავშირს მიაყენა. ჯერ დაფინანსება შეგვიწყვიტეს, მერე თავზე წამოგვასვეს პატარ-პატარა ლიტერატურული მაწანწალები და ეს იმიტომ გააკეთეს, ვთქვათ, საქართველოში თანამედროვე მწერლობა არ არსებობსო! იფიქრეს, არც ეს არისო საკმარისიო და აქტიურად შეუტიეს შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს და სხვა ჩვენს სახელოვან მწერლებს. მკითხველს ახსოვს, რამდენჯერ მოუხდა „ასავალ-დასავალს“ რუსთაველის დაცვა, ვინმე შემთხვევითი კაცისაგან კი არა, ისეთი ცნობილი რეჟისორისგან, როგორიც რობერტ სტურუაა. ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდებოდა, რათა ნიადაგი კარგად მომზადებულიყო. გაგვიუქმეს ლიტერატურული ჟურნალები. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ლაშა ნადარეიშვილს იმისთვის, რომ დღეს 153-წლოვანი „ცისკარი“ ისევ გამოდის. ახლა, 6 ივლისს, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საბოლოოდ დაკანონდება მწერლებისათვის მწერალთა კავშირის სახლის წართმევა. ეროვნული ნიღბით მოსული ხელისუფლება გვართმევს შენობას, სადაც ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი“ წაიკითხა, სადაც აკაკი წერეთელი ორი თვე ცხოვრობდა...

კახა ლომაიას, გოკა გაბაშვილსა და რუსუდან ლორთქიფანიძის სახით სააკაშვილს დაუძინებელი მტერი ჰყავს! დიახ, ეს ადამიანები უბედური ხელმწიფის წინააღმდეგ მთელ საქართველოს ამხედრებენ!



როგორც დავინახეთ, ერთადერთი გზა საქართველოს ხელისუფლების ქართულ ინტელიგენციასთან დამოკიდებულებისა არის სიცრუე, სიცრუე და არაფერი სიცრუის გარდა. მათ შეუძლიათ უნივერსიტეტიდან განდევნონ ივანე ჯავახიშვილი ბრალდებით: კომპიუტერი არ იცი, მენშევიკებს თანაუგრძნობდი და ასაკს გადაშორებული ხარო. მათ შეუძლიათ დაავალონ ახალშექმნილ „გესტაპოს“, რომ ქვეყანას მოსდოს ილია ჭავჭავაძის ბრალეულობა, მთელ ქვეყანას თვალში ნაცარი შეაყაროს და უთხრას: ილია ჭავჭავაძე „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორი „ივერიის“ შემქმნელი, ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის მებრძოლი, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე კი არ არის, არამედ ერთი ჩვეულებრივი მემამულეა, რომელიც სათავადაზნაურო ბანკით გამდიდრდა და საგურამოელი გლეხების ყვლეფის მეტს არაფერს აკეთებს. რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რომ სოროსელი ჩინოვნიკების გადასაწყვეტია, იარსებოს თუ არა უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის კაბინეტმა. ფეხზე ადგომით პატივს უნდა სცემდნენ თუ არა თანამედროვე სტუდენტები ვაჟას, აკაკის, გალაკტიონს, გამსახურდიას და ყველა ერისკაცის ნათელ ხსოვნას?!

ფრთხილად, ქართველებო, „გესტაპო“ მოდის!

*ივლისი, 2005*

## ცხრა მთავრობის გამყიდველი

„ქართული ანდაზა – „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“, ზუსტად კოტე გაბაშვილზეა ზედგამოჭრილი. მე მქონდა შემთხვევა, ღია წერილით მიმემართა მისი უმწიფარი შვილისათვის, რომელსაც გურამ შარაძემ სამართლიანად დაარქვა „კულტურის უკულტურო მინისტრი“. იმ წერილში ვამბობდი: გოკა შენს თავხედობას არ აქვს საზღ-

ვარი, რადგან ქართული კულტურის განვითარების სპეციფიკაზე, ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე შენ არც წარმოდგენა გაქვს და კულტურის მინისტრის სავარძელშიც არ უნდა იჯდე, რადგან „მამაიანად“ გოკა, არ ხართ თქვენ ის ხალხი, რომ საქართველო გენდოთ და ქართული კულტურის ბედი ჩაგაბაროთ-მეთქი. ტერმინს „მამაიანად“ საინტერესო ისტორია აქვს. როცა „რამაიანას“ თარგმნიდნენ, რაჟდენ გვეტაძეს უთხრა ერთმა: შვილიან-მამიანად პურს გვაჭმევს „რამაიანა“... წერილში ჩემს უბედურებაზე ვამბობდი: მახსოვს, როცა მამაშენმა, კოტე გაბაშვილმა ჩემს შვილს სოხუმისაკენ სასიკვდილოდ დაულოცა გზა, იქვე, იმავე აეროპორტიდან, შენ დოლარებით ჯიბეში და გიტარით მხარზე გერმანიაში გაგაფრინა-მეთქი. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და ღმერთმა კარგად ამყოფოს, ამ ჩემს ნათქვამში ერთი წუთითაც არ ჩამიდვია ფიქრი იმის შესახებ, შენც ჩემს შვილთან რატომ არ დაიღუპე და სამშობლოს დასაცავად რატომ არ წახვედი-მეთქი. სხვათა შორის, საქართველოსთვის, დღეს თუ არა ხვალ მაინც, ჩემი მკვდარი შვილი ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე მამის უბეში სამარცხვინოდ დამალული გოკა გაბაშვილი, მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა, მე ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ! ამჯერად ჩვენი კოტე გაბაშვილის მოუზომავ ნათქვამთან მაქვს საქმე. კოტე გაბაშვილის პოლიტიკური ფიზიონომია თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ამ კაცს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, პოლიტიკოსის გარდა... კოტე გაბაშვილი უნივერსიტეტში მუშაობდა, მან ვერაფერი გააკეთა ქართულ მეცნიერებაში, მაგრამ ის ყოველთვის იყო შეპყრობილი სრულიად აუხსნელი განდიდების მანიით და კარიერიზმით. ამიტომ აუმხედრდა ზვიად გამსახურდიას, ყოველგვარი შავბნელი მეთოდებით იბრძოლა მის წინააღმდეგ. ზვიად გამსახურდია დაამხეს. კოტე გაბაშვილს შევარდნაძემ, რასაკვირველია, თავზე ხელი გადაუსვა და ქალაქის მერის პოსტი უბოძა. მაშინდელი პრესა მერი გაბაშვილის მომხვეჭელობის, უვიცობისა და არაპროფესიონალიზმის მამხილებელი ფაქტებით გახლავთ გაჯერებული. და როდესაც



აუტანელი გახდა გაბაშვილის მერობა, შევარდნაძემ, ნაცად ხერხს მიმართა და კოტე გაბაშვილი შორეული ყურეებისაკენ მოისროლა – გერმანიაში გაუშვა ელჩად. ერთდროულად ორი თუ სამი ქვეყნის ელჩობა დაავალეს კაცს, რომელსაც არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ ჰქონდა. მერე ჩვენ პარლამენტში გვიწევდა ლაპარაკი, რომ კოტე გაბაშვილი არ იყო პროფესიონალი, ვიღებდით ცნობებს გერმანიაში მისი არცთუ ჯანსაღი საქმიანობის შესახებ, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, არ ვკადრულობდი კოტე გაბაშვილი დონეზე დასვლას და საჭიროდ არ ვთვლიდი ხმის ამოღებას, თუნდაც იმიტომ, რომ საგარეო საქმეთა კომეტეტის საქმეებში ჩემს ჩარევას ზედმეტად მივიჩნევდი. როდესაც შევარდნაძის სკამმა საეჭვოდ დაიწყო ქანაობა, გერმანიაში კოტე გაბაშვილი აწრიალდა!.. საქმე ის გახლავთ, რომ გაბაშვილს, როგორც ელჩს და დიპლომატს, ყოველნაირი ვადა გასდიოდა გერმანიაში; ერთხელ მან სრულიად უკანონოდ დაიტოვა ელჩად თავი, გაუტკბა ელჩობა, მაგრამ აი, მოვიდა სოროსი, „ვარდების რევოლუციის“ გუგუნი ისმის და ყველა ხელისუფლების ღალატში გამოცდილი კოტე გაბაშვილი ვირთხასავით დარბის აქეთ-იქით, რომ როგორმე თავი გადაირჩინოს და რაიმე თანამდებობას გამოჰკრას ხელი. უნივერსიტეტში მოსასვლელი პირი მას არ აქვს, მეცნიერი ის არ არის, რადგან თავიდანვე არ ყოფილა... ლექციის წაკითხვის და სხვებისთვის საგნის სწავლების სურვილი არ აქვს, – ეს მეტად არასარფიანი საქმეა!.. რა ქნას, რა ქნას და... ასპარეზზე შვილი გამოიყვანა, რომლის თვალების პარპალსაც რომ დააკვირდე კაცი, მთლად ჯანსაღი ფსიქიკის არ უნდა იყოს, მაგრამ იმ ფონზე, უარესი თვალის მოპარპალეები რომ ჰყავს სააკაშვილს იქ ბოკერიასა და სხვათა სახით, ცოტათი, ასე თუ ისე, ასატანად გამოიყურებოდა გოკა და კოტეს ვაჟი გაგვიპოლიტიკოსდა!.. იგი არის ზურაბ ჟვანიას მარჯვენა ხელი, იგი არის პარტიის გენერალური მდივანი და იბრძვის შევარდნაძის წინააღმდეგ... აი, ხომ ხედავთ, როგორი დემოკრატია გოკა გაბაშვილი, არადემოკრატ ედუარდ შევარდნაძეს ებრძვის! ხშირად

ვფიქრობდი, ოჯახში მამა-შვილი გაბაშვილი რომ შეიკრიბებიან და დაილაპარაკებენ, ერთი ის დიალოგი მომასმენია-მეთქი! – ბიჭო, მე შევარდნაძის მარჯვენა ხელი ვარ, შევარდნაძემ ელჩად გამიშვა, იქ ვადა გამითავდა და მაინც დამტოვა და შენ შევარდნაძის დახრჩობას აპირებ? მაშინ მამასა და შვილს შორის „ბრძნული“ ალიანსი მოხდა, – თუ ჩამოვაგდებთ შევარდნაძეს, მამა, შენ ხომ ჩემთან იქნები, მე რაღაცას უეჭველად გადმომიგდებენ, რადგან ჟვანიასა და სააკაშვილის მხარდამხარ ვიბრძვი, ხოლო თუ დავმარცხდებით, აგერ არ ხარ შენ? ხელს ჩამავლებ და გადამარჩენ, დაიწყებ ტირილს, მიხვალ შევარდნაძესთან, ჩაუვარდები მუხლებში და ეტყვი: გამიბრიყვეს ბოვში, დავილუპე, ჩემი ანგელოზი გოკა, ჩაითრიეს რევოლუციაში ამ გათახსირებულმა სააკაშვილმა და ჟვანიამ!.. გამიფუჭეს ბოვში და, თქვენი ჭირიმე, როგორმე გამოუშვით ციხიდან, ნუ მოუსპობთ განვითარების ყლორტს გოკა გაბაშვილსო!.. აი, ეს სცენარი ჰქონდათ ჩაფიქრებული... „ვარდების რევოლუციამ“ გაიმარჯვა, მათ ეჭვი არ ეპარებოდათ გამარჯვებაში, რადგან მათ უკან იდგა ჩვენი ძვირფასი სტუმარი, მაისში რომ ჩამოვა – ბუში და სოროსი თავისი მილიონებით. ახლა ნამდვილად არ შევუდგები იმის განსჯას, შევარდნაძე მართლა დაამარცხეს თუ სპექტაკლი გათამაშდა, საქართველომ ყველაფერი კარგად იცის. გოკა გაბაშვილმა თავისი მინისტრობა იმით დაიწყო, რომ მწერალთა კავშირს დაუპირსპირდა და როცა მივედით მაყვალა გონაშვილი და მე ერთხელ გოკასთან და ვკითხეთ, რატომ არ გვაძლევ იმ დაფინანსებას, თუნდაც მცირედს, რაც ბიუჯეტით მწერალთა კავშირისათვის არის გამოყოფილი, გოკა გაბაშვილმა გვიპასუხა: მწერალთა კავშირი კომუნისტური გადმონაშთია და ამიტომ მწერალთა კავშირის შენობა მწერლებმა უნდა დატოვოთო. ჩვენ ვუპასუხეთ: გადმონაშთი როგორ არის, როცა სანამ კომუნისტები შემოვიდოდნენ საქართველოში, და თუ გნებავთ, სანამ დამოუკიდებელი საქართველო შეიქმნებოდა 1918 წელს, მანამდე, 1917 წელს, კოტე მაყაშვილს და კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით შეიქმნა საქართველოს



მწერალთა კავშირი-მეთქი! – მე ეს ისტორია არ ვიცი და სულ არ მაინტერესებს; ახლა მე თქვენ ვერავითარ დაფინანსებას ვერ მოგცემთ, შეიძლება 75 წელს გადაცილებული მწერლები დავაფინანსოო! – დაგვმოძღვრა გოკამ. ერთი სიტყვით, რევოლუციას ადევნებული ექვსიოდე უწმაწური სიტყვების მწერალი, რომელთა წიგნებს ხელში არ აიღებ, რომლებიც გულში ჰყავს ჩახუტებული გოკა გაბაშვილს და მის კაბინეტში გადიგამოდიან, დაგვიპირისპირა „კულტურის უკულტურო მინისტრმა“. ამ ჯგუფს „პენ-მარათონელთა“ ჯგუფი ჰქვია, სასაცილო, სამარცხვინო, გულისამრევ „მხატვრულ“ ნაწარმოებებს რომ წერენ. აი, ამათ უნდა დაიკავონ მწერალთა კავშირი და თქვენ გარეთ გამოდითო!.. ამ ისტორიას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ გოკას კაბინეტიდან რომ გამოვედით, გვკითხა, მწერალთა კავშირის შენობა სად არისო (?!) ... ე. ი. ისე გაუზრდია მამამისს – კოტე გაბაშვილს, კულტურის მინისტრმა არ იცოდა, საქართველოს მწერალთა კავშირი რომ მაჩაბლის ქუჩაზეა. ამის შემდეგ ხან ჟვანია, ხან ბენდუქიძე, ხან გოკა გაბაშვილი წერილს წერილზე გვიგზავნიდნენ, სასწრაფოდ დაცალეთ მწერალთა კავშირის შენობაო. ჩვენ გაზეთში, – „მწერლის გაზეთში“, რომელიც საქართველოს მწერალთა გაზეთის ორგანოა, რამდენჯერმე დავბეჭდეთ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირში, ამ შენობაში არსებობს საქართველოს მწერალთა ფედერაცია, სადაც მწერალთა 36 სხვადასხვა ასოციაცია არის გაერთიანებული, თუ ძალიან უნდა „პენ-მარათონელთა“ ჯგუფს, მოვიდეს, შემოგვიერთდეს... ჩვენ მალე მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობაში – მაჩაბლის №11-ში და №13-ში – ვაპირებთ, გავხსნათ რუსთაველის მუზეუმი, ლიტერატურული თეატრი, ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიების მემორიალური ნივთების მუზეუმი, ქართველ ხელოვანთა ნაწარმოებების მუდმივმოქმედი გამოფენა, რაც უკვე გავაკეთეთ. ზუსტად 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გოკა გაბაშვილის ხელდასმით რუსთაველის პროსპექტზე, თეატრალურ სარდაფში ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა... პრეზენტაციის მოსაწვევ ბარათზე

დაბეჭდილი იყო ერთ-ერთი ხალხური ლექსი, რომელიც, როგორც შედევრი, ისე ჰქონდა გამოფენილი ვახუშტი კოტეტიშვილს თავის წიგნშიც! სტრიქონები ამ ლექსისა ასე ჟღერს:

... პატარძალი მოიყვანეს, ტრაკი უგავს ღელესაო“...

ჰა, ხომ კარგია! ... მთელი წიგნი ასეთი უწმაწური ლექსებით არის სავსე კაცო, ღმერთმა ხელი მოუმართოთ თავიანთი გაუკუღმართებული ფსიქოლოგიით და ლიტერატურული გემოვნებით, ბეჭდონ ეს უწმაწური ლექსები, მაგრამ რაღა 14 აპრილს, ქართული ენის დღეს დაამთხვიეს ყველაფერი? ამავე დღეს ჩვენ მწერალთა კავშირში ქართველი მხატვრების, ჭედური ხელოვნების ოსტატების საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა და ქართული ენის დაცვისადმი მიძღვნილი მიტინგი გავმართეთ, სადაც ქართველ მწერალთა საუკეთესო ძალები მონაწილეობდნენ!..

ახლა რაც შეეხება კოტე გაბაშვილის ყრანტალს. ეტყობა, მე რევაზ მიშველაძე, მას ვეშლები თავის თავში და თავისსავე ბიზნესმენ მეგობრებში, რომელებიც მის ირგვლივ ტრიალებენ და ახლა იმაზე ფიქრობენ, როგორ მოითბონ ხელი, როგორ იშოვონ ერთი-ორი კაპიკი. მარტო ამაზეც არ ფიქრობს ეს ხალხი. ამჩნევენ, სააკაშვილს რაღაც ვერ უდგას თბილი ამინდი და სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაბარგებაზეც ლაპარაკობენ, ალბათ, რადგან სამ ხელისუფლებას რომ გაყიდის კაცი, ის მეოთხე ხელისუფლებასაც ძალიან ადვილად უღალატებს. მე ის რეზო მიშველაძე ვარ, რომელმაც ერთადერთი შვილი საქართველოს შევწირე! მე ის რეზო მიშველაძე ვარ, რომლის სახელზეც თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ ჯიხურს, ვერცერთ კაპიკს, ჩემი ხელფასისა და პენსიის გარდა ჩემს ოჯახში შემოსულს. თუ მე რაიმე სხვა შემოსავალი მქონდეს, რაიმე ბიზნესში ვიყო, რაიმე ფირმა მქონდეს, ჩემი მკვდარი შვილის, ჩემი აჩიკოს სულს გეფიცებით. რომელსაც ტყუილად არ დავიფიცებ ისეთი ნაძირალებისთვის, როგორიც გახლავთ კოტე გაბაშვილი, რომელიც ჩემი შვილისთვის საფლავს არ მაძლევდა საბურთალოს სასაფლაოზე, როცა თბილისის მერი იყო. მას რომ განუცხადებია, გოკა გაბაშვილი მიშველაძეს რესტორანს არ ახსნევინებს



მწერალთა კავშირში და მიტომ არის მიშველაძე მასზე გადაკიდებულიო, თუ სადმე ან გაცხადებულს, ან განცხადებას ამ საკითხზე დაწერილს, ან, თუნდაც, პირად საუბარში ვინმესთან ნათქვამს, რომ მწერალთა კავშირში ჩვენ რესტორნის გახსნა გვინდა და ამის დამამტკიცებელს რაიმეს მოიპოვებს კოტე გაბაშვილი, მთელ საქართველოს ვაძლევ პირობას, რომ თავისუფლების მოედანზე საჯაროდ დავიწვავ თავს, თუ არადა ამ ნაძირალამ, ამ ცხრა მთავრობის გამყიდველმა, ამ ყველაფრის მკადრებელმა კაცმა პასუხი აგოს!..

*აპრილი, 2005*

## ღვთის რისხვის გეშინოდეთ!

მიუხედავად უნივერსიტეტის პროფესურის დიდი წინააღმდეგობისა, ლომაიამ და ხუბუამ საათი მაინც ჩართეს და უნივერსიტეტის საბოლოო „ფერიცვალებამდე“ (რბილად რომ ვთქვათ) ოცდახუთიოდე დღე დარჩა. მე კონკურსში ვმონაწილეობ. ხომ არ ნიშნავს ჩემი ეს ნაბიჯი დაზავებას იმ ძალებთან, ვისაც ასე ენერგიულად ვებრძოდი და ვებრძვი?

არამც და არამც. ჯერჯერობით მე ვრჩები უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოსა და ალტერნატიული საბჭოს წევრად და ყველაფერს გავაკეთებ უნივერსიტეტის გადასარჩენად.

თუ საჭიროა, კონკრეტულად დავასაბუთებ, რა მიზნით ვმონაწილეობ ყბადაღებულ საუნივერსიტეტო კონკურსში მაშინ, როცა მეც და ჩემი კოლეგებიც – ათიდან შვიდი მეცნიერი შემცირების საფრთხის წინაშე ვდგავართ.

რაკი საკონკურსო საბუთები შევიტანე, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კონკურსის პირობებს ვაღიარებ. ათასჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ეს კონკურსი უნივერსიტეტის ბოლომდე დასაშლელადაა მოგონილი, კონკურსში მონაწ-

ილეობას არ მივიღებდი, რომ არ დამენახა, როგორ დადგა დილეტანტების გრძელი რიგი ჩემი ადგილის დასაკავებლად. მე შენ გეტყვი: შემცვლელს ვერ იშოვნიან.

რაც მთავარი იყო უნივერსიტეტის ხერხემალში გადასატეხად, უკვე გაკეთებულია. ის უნივერსიტეტი უკვე აღარ არსებობს ჩვენ რომ დავამთავრეთ. გაუქმდა ფაკულტეტები, კათედრები, დაიხურა სამეცნიერო კაბინეტები, აღარ არსებობს ასპირანტურა, გარეკეს საფაკულტეტო საბჭოები. უნივერსიტეტს ორი კაცი მართავს. ჯერ კიდევ ფეთქავს ერთადერთი წარმომადგენლობითი, არჩევითი ორგანო დიდი სამეცნიერო საბჭო, მაგრამ მას ლომაიას მიერ დანიშნული უნივერსიტეტის დროებით მარიონეტი ხელისუფლება წარმოუდგენელი ცინიზმით ეპყრობა. უნივერსიტეტში საალყო წესებია. საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლად ყველა სართულზე პოლიციელები (გადაცმულიც და გადაუცმელიც) დგანან. პროფესორთა მშვიდობიანი აქცია ორჯერ დაარბიეს და განმკითხავი არავინ არის. პრეზიდენტს ჩვენთვის არ სცალია (ან, რაც უფრო საფიქრებელია, ყურს იყრუებს). ასეთ დროს მე მივიჩნიე რომ ქუდის დახურვა და პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტიდან წასვლა ჩემგან გაუმართლებელი იქნებოდა მითუმეტეს იმ ფონზე რომ ხელისუფლებამ დააბნია სტუდენტობა, ტვინი გამოურეცხა ახალგაზრდებს.

როცა ჩაფიქრებულია, უნივერსიტეტში (თუმცა ის „რაღაც“ უკვე უნივერსიტეტი აღარ იქნება) 3700 თანამშრომლის ნაცვლად დატოვონ მხოლოდ 800, ხოლო იმ რვაასიდან 30% გარედან მოსული უნდა იყოს, კონკურსში ჩემი და ჩემისთანების არმონაწილეობა უნივერსიტეტის დამაქცევართა წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასია. მათაც ხომ ეს სურთ. ჩემი უხმაუროდ წასვლით პრობლემები არ შევუქმნა.

ჩემს ბიოგრაფიას მე გაცილებით უფრო ვუფრთხილდები, ვიდრე ზოგიერთ ენაჭარტალას ჰგონია. გინახავთ ჩემი ნაჯექ-უკუჯექობა? გახსოვთ, მე ერთ დღეს ერთი მეთქვას და მეორე დღეს მეორე?

ნუთუ ერთი წამით მაინც წარმოიდგენს ვინმე, რომ ამ ბოლო დროს ისე გავგიჟდები – ლომაიას და ხუბუას მხარეს



გადავალ? განა მე, მარტო კაცმა არ ჩავატარე საუნივერსიტეტო რეფერენდუმი? იოლი საქმეა ჩამოუარო 750 პროფესორ-მასწავლებელს? რეფერენდუმის მოთხოვნა ხომ თქვენ გამოაქვეყნეთ გონიერი უნივერსიტეტის (და საქართველოს) მტრებს ისე ვერ ვასიამოვნებდი, რომ კონკურსის შემდეგ ნიშნის მოგებით ეთქვათ ჩემთვის: შენ თვითონ წახვედი, გენაცვალე, შენ თვითონ უღალატე შენს კათედრას, შენს სტუდენტებს, შენს ასპირანტებს. კონკურსის შეგეშინდა, გაიქეცი და ახლა ჩვენ რას გვემართლებიო.

არავის ეგონოს, თავს ვადარებდე: მე ვინ ოხერი ვარ, მაგრამ ივანე ჯავახიშვილს მაშინვე შეეძლო წასვლა უნივერსიტეტიდან, როცა 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკები შემომუდრეგდნენ. იცით, რომ წითლები გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ მანამ არ წავიდა, სანამ ვაირეფორმატორები აუდიტორიასთან არ დახვდნენ და არ გააძევეს, ხედავთ? ისტორიას სხვა ფაქტები სჭირდება, თანაც...

მაგრამ ის ივანე ჯავახიშვილი იყო.

მეც მანდა ვარ. ჩემი პროტესტი ხომ მითუმეტეს შეუმჩნეველი დარჩებოდა. ამაზე ჩვენი „გამარჯვებული ტელევიზია“ იზრუნებდა – „მიშველაძეს შეეშინდა“.

იმ რაინდი მონღოლის არ იყოს, იქეთ მხარს ხომ უნდა გეგულებოდეს ვინმე შენი პროტესტის გამგები და დამფასებელი. ხომ ნახეთ მინისტრმა იმ აბიტურიენტებს შეგვადარა, მისაღები გამოცდების ჩაბარება რომ არ უნდოდათო.

კონკურსისგან სასიკეთოს არაფერს ველით.

წარმოიდგინეთ რა ხდება. კონკურსს კანონიერი დიდი საბჭო კი არ ჩაატარებს, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილიდან დღემდე ხდებოდა, არამედ ხუბუას და ლომაიას მიერ შერჩეული საკონკურსო კომისია. მერე და რომელ ცხრაკაციან კომისიას შეუძლია შეაფასოს უნივერსიტეტის პროფესორი? იქედან ხომ ამა თუ იმ მეცნიერების სპეციალისტი მხოლოდ ერთი იქნება? შეიძლება ღირსების არითმეტიკული დათვლა? ესეც არ იყოს, ვინ გაარკვევს, როგორ ლექციას კითხულობს რევაზ მიშველაძე? როგორი დიქცია-მეტყველება აქვს? ჩვენ ხომ ლექციაზე არავინ

გვესწრება. ამ კონკურსს უკვე მოჰყვა ერთი კურიოზი.

არიქა გიორგი გოგოლაშვილს, ავთანდილ არაბულს, რევაზ მიშველაძეს, ლადო მინაშვილს, იუზა ევგენიძეს, ელგუჯა ხინთიბიძეს, ჯუმბერ ჭუმბურიძეს... უნივერსიტეტიდან ერეკებიანო, დაჯარდა, თუ ვინმე ხელმოცარული მეცნიერი იყო ლიტერატურის და ენათმეცნიერების ინსტიტუტში და უნივერსიტეტს მოაწყდა, იქნებ სხვების გვამებზე გადავლით პროფესორობას გამოვკრათ ხელიო. აი, როგორ დაგვაპირისპირა, გადაგვკიდა ხელისუფლებამ ერთმანეთს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კვლევით ინსტიტუტებში მოფუსფუსე ჩვენი კოლეგები მთელი ცხოვრება კოჭებში გვიყურებდნენ, როდის წავიქცეოდით, რათა ჩვენი ადგილი დაეკავებინათ. სახელდახელო კონკურსი რომ კრეტინიზმია, აქედანაც ჩანს.

ყველა თავისთვის ცდილობს, მაგრამ განა უკეთესი ანკეტური მონაცემები (რამდენიმე წლით რომ უმცროსია) ან თუ გნებავთ მეცნიერული ნიჭიერება იმის გარანტიას იძლევა, რომ მავანი უკეთესი ლექტორი იქნება? ლექციის წაკითხვა ხომ სულ სხვა ხელოვნებაა? იქნებ დაინტერესებულიყო საკონკურსო კომისია: ეს პატივცემული „გარედან შემოსული“ ლექტორი გამოდგება და ძველი არა? ამიტომაც, მამაჩემს აქვს ცხონება უნივერსიტეტში ჯერ გამოცდილი, გამობრძმედილი, უნივერსიტეტელები უნდა დატოვონ და მერე, თუ ადგილი დარჩება, სახელის მაძიებელი დერვიში.

არა, გარწმუნებთ, რომ უნივერსიტეტის გაუკეთესება არა აქვთ მიზნად ლომაიას და კამპანიას. საკონკურსო კომისიის წევრსაც იმ მიზნით უხმობენ უნივერსიტეტში, რა მიზნითაც პოლიციას უხმეს – პროფესორ-მასწავლებელთა დასარბევად. ამიტომაც თავმოყვარე კაცმა უარი უნდა თქვას საკონკურსო კომისიის წევრობაზე, არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ძმათა კვლაში, თუმცა...

რა და საკონკურსო კომისიის ბედშავ წევრს რა უნდა მოვთხოვო, როცა უწმინდესი და უნეტარესი ბატონი ილია მეორე არა მარტო გამოექომაგა, თავისი წმინდა მანტიით გადაეფარა უნივერსიტეტს, ლოცვაც კი აღავლინა უნივერსიტეტის გადასარჩენად (მეტი რა ჰქნას ერის მწყემსმა), მაგრამ, ღმერთო შემინდე, სოროსის ბიჭებმა ლომაიამ და ხუბუამ ღვთის მოციქულის ქადაგებაზე ყურიც არ შეიბერტყეს.

ღვით რისხვის გეშინოდეთ ქართველთა ეროვნული ღირსების – ჩვენი თეთრი ტაძრის გათელვის მსურველნო!

*2006*

## სად არიან „ქველმოქმედი“ მილიარდერები?

მეკითხებიან: ბატონო რეზო, თუ გითხრეს, ვისგან იცავენ ასე მედგრად ეს ბიჭები მწერალთა კავშირი შენობას?

– ჩვენგან მწერლებისგან! ჩემს კაბინეტში ერთი წუთით, თქვენი მეთვალყურეობით შემიშვით, პირად ნივთებს და „მწერლის გაზეთის“ მასალებს გამოვიტან-მეთქი, – ვთხოვე. ცივი უარი მტკიცეს. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა: მწერალთა კავშირი კვლავ იარსებებს და სურთ თუ არა მავანთ, ქართველი მწერალი თავის ღვთიურ მისიას მაინც შეასრულებს. ეს მძიმე დღეები კი ისტორიის და ლიტერატურის თემად იქცევა, როგორც თანამედროვეობის ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი.

50 წელი გავატარე ამ შენობაში და ჩემთვის მისი ყოველი მტკაველი უძვირფასესია. ამათ კი უმოწყალოდ დაარბიეს და ქარს გაატანეს მწერალთა ავტოგრაფებიანი უნიკალური ბიბლიოთეკა, გაურკვეველი მიმართულებით წაიღეს სავარძელი, რომელზედაც კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა ჯდომა, ასფალტზე დაანარცხეს კარადა, რომელიც გალაკტიონმა მწერალთა კავშირში საკუთარი ზურგით მოიტანა, გადაყარეს მწერალთა უნიკალური არქივი. ეს უბრალო შენობა კი არა, ისტორიული მუზეუმია, მემორიალური შენობაა ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, გამსახურდიას, ჯავახიშვილის,

ტიციანის, ირაკლი აბაშიძის, თვით პრეზიდენტის ბაბუის – გრიგოლ აბაშიძის ხსოვნას რომ ინახავს.

როგორც ჩანს, ჩემ მიერ ჩამოთვლილი, ქართველი ერისთვის ძვირფასი სახელი ჩვენს ხელისუფლებას არაფერს ეუბნება. როგოც თავად ამბობენ, შენობა იმიტომ დაგატოვებინეს, რომ უკანონოდ გქონდათ დაკავებულიო

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ეს შენობა დავით სარაჯიშვილმა ქართველ მწერლებს 1912 წელს უანდერძა. 1918 წელს სარაჯიშვილის ფინანსურმა მემკვიდრემ დავით ხოშტარიამ აღასრულა სარაჯიშვილის ანდერძი, ხოლო 1921 წლის 11 მარტს, როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ, შალვა ელიავამ, სპეციალური დეკრეტით, ეს შენობა საქართველოს მწერალთა კავშირს ოფიციალურად დაუმტკიცა. თითქმის 100 წელია, ამ შენობაში მწერალთა კავშირი არსებობს და მისი ასე უმოწყალოდ დარბევა დღემდე აზრად არავის მოსვლია!

უკანონოსთან ერთად, ამ შენობას და მწერალთა კავშირს კომუნისტური გადმონაშთიც უწოდეს.

მწერალთა კავშირი 1917 წლი აპრილში შეიქმნა, ოქტომბრის რევოლუციამდე 6 თვით ადრე, ასე რომ ზოგი ჭკუანაღრძობი რომ ამბობს, ეს კავშირი კომუნისტური გადმონაშთიაო, სად იყვნენ მაშინ კომუნისტები?

შარშან მეცნიერებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, გარწმუნებთ, სანამ მე აქ ვარ, მწერლებს შენობას ვერავინ წაართმევსო. მეც ასე მეგონა და ამიტომაც, ახლახან ეკონომიკის სამინისტროდან წერილი რომ მივიღეთ, შენობა სასწრაფოდ დაცალეთო, ხუმრობა მეგონა, ვიფიქრე, ალბათ, გვაშინებენ, რომ ჭკუით ვიყოთ-მეთქი. 30 წელია მე და ქალბატონი გიული ალასანია, ჩვენი პრეზიდენტის დედა, უნივერსიტეტში ერთად ვმუშაობდით. 21 აგვისტოს, როდესაც მწერალთა კავშირს თავს დაესხნენ, ქალბატონ გიულის დავურეკე და ვკითხე: ქალბატონო გიული, ნუთუ პრეზიდენტის სურვილით და თანაგრძნობით მოხდა მწერალთა დარბევა-მეთქი. მიპასუხა: ბატონო რეზო, მიშა აქ არ არის, პატრიოტთა ბანაკშია და დარწმუნებული ვარ, რაც მოხდა,



ამის შესახებ არაფერი იცის, ლამის ვიფიქრო, რომ ჩემს შვილს ასეთ სცენებს სპეციალურად უწყობენ, რომ ხალხს შეაძულონ!

რა ვქნა, ვერა ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომ ეს ისტორიული დანაშაული, მწერალთა დარბევა მხოლოდ ვან ბაიბურთის შვილს – გრიშა ბაიბურთს დავაბრალო. აღდგომა და ხვალეო; თუ ეს ასეა, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პატრიოტთა ბანაკიდან დაბრუნებული ბატონი მიშა, დღეს თუ ხვალ, ჩვენს დამწიოკებელს ყურს აახევს – ეს რა იდიოტობა ჩაგიდენიათო და ჩვენ, მწერლებს, ციმციმ შეგვასახლებს ისევ მწერალთა სასახლეში. თუმცა...

ზოგჯერ ავი ფიქრი გამიელვებს ხოლმე თავში, ვაითუ შენობა არაფერ შუაშია და ეს ყველაფერი თვით მწერალთა კავშირის წინააღმდეგ იყოს მიმართული-მეთქი.

რატომ უნდა სძულდეს ხელისუფლებას ის მწერლები, რომლებიც დღეს მწერალთა კავშირში არიან: ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი, მარიკა ბარათაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ გაბრიაძე...

ქართველი მწერლებისთვის ტრიბუნის წართმევით, ანუ ენის ამოგლეჯით თვით ქართულ ცნობიერებას ებრძვიან. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დღეებში მწერალთა კავშირის წინააღმდეგ სამი მომწერლო მოქალაქე გამოაძვრინეს, ერთი მათგანი კინოფილმ „ავარას“ პერსონაჟს – ჯაგას ჰგავს. იჯდა ჭიპამდე კვართგახსნილი და ასეთ სიბრძნეს აფრქვევდა: რატომ უნდა იყოს მწერლობა სახელმწიფოს კმაყოფაზეო. სიმწრით გამეღიმა. ვაჟა გიგაშვილი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ჩარჩენილა. არ იცის, რომ ათი წელია, მთავრობას მწერალთა კავშირისათვის ერთი გახვრეტილი კაპიკიანიც არ მიუცია. მეორე, მწერალთა კავშირის ლანძღვით სახელგანთქმული ზაალ სამადაშვილი გახლავთ, რომელიც სკოლის დირექტორთა კონკურსზე ჩაიჭრა, თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა და ტელევიზიით საჯაროდ განაცხადა: რად მინდოდა დირექტორობა, ოქრო ხელობა მაქვს და მწერლობას დავუბრუნდებიო. ნეტავ, დირექტორად გასულიყო. სხვათა

შორის, ზაალ სამადაშვილს ამასწინათ, „მწერლის გაზეთში“ ორგვერდიანი სტატია მივუძღვენი სათაურით: „ზაალ, შენ მწერალი არ ხარ!“ მწერალთა კავშირის მესამე მგმობელად ანა კორძაია-სამადაშვილი მოგვევლინა. ის ჩემს სადარბაზოში, ჩემს მეზობლად გაზრდილი გოგონაა და ბავშვობაში ძალიან მიყვარდა.

არქიტექტორთა კავშირი მესმის, ეს მაინც კოლექტიური საქმიანობაა და არსებობის უფლება აქვს, მაგრამ, მწერალთა კავშირი რაღა უბედურებაა, მწერლობა ხომ კოლექტიურ მუშაობას არ ექვემდებარებაო, – განაცხადა ქალბატონმა ანამ. მინდა მივმართო მას: ასეთი სისულელე რამ გათქმევინა, შვილო, ანა. შენ გგონია, დილით მოდიან მწერლები მწერალთა კავშირში, სხდებიან მაგიდასთან და კოლექტიურად წერენ ლექსებს და მოთხრობებს? ხოლო ჩვენ, მწერალთა კავშირის მდივნები, მაგიდებს შორის დინჯად დავაბიჯებთ და თუ რომელიმე მწერალს ფრაზა ან აზრი „გაეჭედება“, დიდსულოვნად ხელს წავუკრავთ ხოლმე? რამოდენა გაზრდილხარ, ანა. შენი წიგნი წავიკითხე და სირცხვილით დავიწვი. გავიფიქრე, საიდან ისწავლა ჩემს ხელში გაზრდილმა გოგონამ ეს სკაბრეზული სითამამე-მეთქი... ასე რომ, რაც მალე გაგათხოვებენ შენი კარგი მშობლები, მით უკეთესია.

აქ უკვე საკომენტაროდ ენა არ მომიბრუნდება, ავუხსნა ახლა მავანს, რა ფუნქცია აქვს მწერალთა კავშირს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შენობაში მივაგეთ უკანასკნელი პატივი თითქმის ყველა აწ გარდაცვლილ სახელოვან მწერალს. თუნდაც მხოლოდ ამის გამო, არის თუ არა მწერალთა კავშირი საჭირო? ბატონო მიხეილ, აი, რა შენობა დაარბიეთ უდიერად და ქურდულად შენ და შენმა ამფსონებმა.

ნეტავ, როგორ ხასიათზე დადგები, ერთ დღეს „სპეცნაზი“ რომ შემოგივარდეს და სასახლე, რომელიც ხალხისთვის წართმეული მილიონებით ააშენე, დაარბიოს და იქიდან გამოგაპანღუროს?

ახლა რას ვაპირებთ მწერლები – „დამწვარ სუდში“ ჩივილს. თუ არაფერი გამოვა, ისევ სიტყვით, კალმით ვიბრძოლებთ. ტრაგიკულია დღეს მწერლის ბედი. როგორ უნდა წერო ლექსები და მოთხრობები სიყვარულზე, სათნოებაზე, როცა იცი, რომ სძულხარ და საკუთარი სახლიდან გერეკებიან. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰქვიათ მწერალთა სახელები, ჯერ კიდევ ლაპარაკობს ქართველი ერი მწერლის ციტატებით, ჯერ კიდევ უსმენს ქვეყანა მწერალს, დრო არ ჩერდება. იგი საღი აზრის სასარგებლოდაც მუშაობს. იცით, ამ წუთში გული განსაკუთრებით ორ რამეზე მწყდება: რა ბანგი გასვეს ასეთი, ჩემო ერო, რომ მიწის პირიდან ქართველი ერის ალაგმვას თითქმის შეურიგდი და ყურთბალიშზე თავმიდებულს ტკბილად გძინავს? მეორეც: სად, რომელი მამიდის იმაში შეძვრნენ ჩვენი „ქველმოქმედი“ მილიარდერები? არ უნდა იკითხონ, რა პირობებში აგრძელებს სიცოცხლეს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ ან რომელი ხის ქვეშ დაიბუდა ერის უპირველესმა მეზარემ – საქართველოს მწერალთა კავშირმა?

*აგვისტო, 2007*

## გონს მოვეგოთ!

2007 წლის 7 ნოემბერი საქართველოს ისტორიას კიდევ ერთ ცრემლიან თარიღად შერჩება.

ამ დღეს თბილისის მყუდროება არც აღა-მაჰმად-ხანის ველურ ყიჟინას დაურღვევია და არც ალესილი ნიჩბებით შეიარაღებული დამპყრობელი რუსის ჯარი იდგა რუსთაველის პროსპექტზე.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარ ხალხს საგანგებოდ გაწვრთნილი სპეცნაზი მიუსია.

ნიღბიანი დამსჯელები პარლამენტის წინ შეკრებილ მშვიდობიან მომიტინგეებს დაერივნენ.

დაუნდობლად სცემდნენ ყველას; არც ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ინდობდნენ...

ქაშუეთის და სამების ტაძარშიც შევარდნენ და მლოცველებს ცრემლსადენი ყუმბარებით გაუმასპინძლდნენ.

გაქცეულ მომიტინგეებს რიყემდე მისდიეს. გავეშებული პოლიციელები ვისაც კი მისწვდნენ, თავ-ზურგი რეზინის ხელკეტებით აუჭრელეს და ცხვირიდან ძმარი ადინეს.

იმავე დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ცინიკური ღიმილით ელაპარკებოდნენ ხალხს – ე. წ. საზღვარგარეთული ინტერვენციის მოგერიებაზე და საკუთარ სადისტურ დამსჯელობით ექსპედიციაზე ისე საუბრობდნენ, თითქოსდა დიდგორის ომი მოეგოთ.

600 გალახულ-შეურაცხყოფილი მშვიდობიანი მომიტინგე იმ ღამით საავადმყოფოებში სიკვდილს ებრძოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო ბოღმის კერიასთან მიმჯდარიყო და წყევლა-კრულვას უთვლიდა 2003 წლის 23 ნოემბერს, როცა სოროსელ „პოლიტიკოსთა“ რაზმმა საქართველოს პარლამენტი იერიშით აიღო და ამ ანტიკონსტიტუციურ თავდასხმას ვარდების რევოლუცია უწოდა.

მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი აღაშფოთა 7 ნოემბერის ვანდალიზმმა და ხელისუფლების უტიფრობამ.

ჩანს, დამნაშავე სააკაშვილს მისმა ოკეანისგაღმელმა პატრონებმაც აუწიეს ყური და პრეზიდენტმა გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მაოხრებელი მკვდარივით ვადაზე ადრე დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ქვეყანას ისევ თავისი კანდიდატურა მოახვია თავს.

და არა მარტო მეორე ვადით მოინდომა საქართველოს თავზე წამოსკუპება; ჩემი მეორე ინაუგურაცია – გელათში უნდა გავმართოო, დასცინა გალახულ, დაჩოქებულ, დამშეულ, შეურაცხყოფილ ხალხს.

რა აზრის არის ამაზე საქართველო. 2008 წლის 5 იანვარს გამოჩნდება (თუ არჩევნები კვლავ უსინდისოდ არ გააყალბეს), ხოლო თუ რა აზრის არის ქართული მწერლობა ქვემოთ წაიკითხავთ.



***

რა გამტკნარებული სახით, რა ყალბი ღიმილით ესაუბრება და რა უტიფარი ტყუილებით კვებავს პრეზიდენტი მასთან სიით მიყვანილ ოციოდე გულუბრყვილო მოქალაქეს.

თითქოსდა მისი ხელდასმით არ გაყიდულა საქართველო ციანმიწიანად.

თითქოს არ დაენგრიოთ ეკლესიები, არ დაემხოთ ჯვრები და ყოველმხრივ არ შეევიწროებინოთ ქრისტიანული სარწმუნოება.

თითქოს არ გაერყვნათ ახალგაზრდების სული ნაცისტური ბანაკებით.

თითქოს პანღურის კვრით არ გამოერეკათ ორმოცგადაცილებული ყველა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სამსახურიდან.

თითქოს სახალხოდ ქუჩაში არ დაეხვრიტათ უდანაშაულო ადამიანები.

თითქოს თავ-პირი არ დაელეწათ გაუსაძლისი მდგომარეობის გამო ქუჩაში გამოსული ათასებისათვის და ღამის სამუდამო უფსკრული არ გაეჩინათ სიმართლის მაძიებლებსა და პოლიციას შორის.

თითქოს არ დაერბიოთ უნივერსიტეტი, მწერალთა კავშირი, თავისუფალი მასმედია.

... და ამის შემდეგ იმის ნაცვლად, რომ ერის სამსჯავროზე პასუხი აგოს, სითამამე ჰყოფნის შერცხვენილი თავი კვლავ პრეზიდენტად წამოაყენოს.

მისივე ლექსიკით უნდა ვუპასუხოთ: „ვერ მოგართვეს, არ გამოვა“.

დაიწყოს ახალი ქართული ფენომენის მეზღაპრემ: როდის იყო, თქვე გათახსირებულებო, საქართველოში 15 კაცი ერთს ურტყამდაო. სად გაიზარდეთ, ხომ ხედავთ, რა დაგმართათ უნამუსო არქიფო სეთურმაო.

დიახ. პატრიოტთა ბანაკებში ასეთი რაინდები გამოზარდა პრეზიდენტმა.

პატრიოტთა ბანაკზე გამახსენდა; ორი დღის შემდეგ რუსმა სამართალდამცავმა ისე ამოიდო ფეხქვეშ, განაიარაღა და სცემა ჩვენი შვიდი მამაცი პოლიციელ-ნაციონალისტი, რომ თვალიც არ დაახამხამა.

სირცხვილით ვიწვოდი იმ კადრების შემხედვარე. თითო რუს სალდათს თითო ჩვენი ღიპოსანი პოლიციელი რომ ჰყავდა ლაჯებში ამოდებული, ზედ ქორივით აჯდა და უმოწყალოდ სცემდა.

მერე მოიტანეს გაკოჭილი პოლიციელები, მორებივით დაალაგეს განმუხურის პატრიოტთა ბანაკის ჭიშკართან და წავიდნენ.

იმ პოლიციელებსაც უნდა გავუგოთ:

დაღლილები იყვნენ ბიჭები. ბეჟან გუნავას თავში ბარტყუნმა ცოტა ენერგია როდი წაართვა მამაც ნაცძირალებს.

***

30 ოქომბერს რუსმა „მშვიდობიდმყოფელებმა“ განმუხურში ჩვენი მამაცი პოლიციელები რომ გაკოჭეს, ჩანს იფიქრეს, ამათი წაყვანა არ ღირს, ტყვეებში ჩაგვეთვლება, ეწყონ აქ და, ალბათ, პატრონი გამოუჩნდებათო.

პატრონიც მალე გამოჩნდა.

რუსებმა მათკენ გამწყრალი მზერით, ჯიქურ წამოსული პრეზიდენტი და მისი ამალა რომ დაინახეს, შეშინდნენ; როგორც ეტყობა, ალყა გვაქვს შემორტყმული, პრეზიდენტთა მსოფლიო დაცვის ქვემეხები და ნატოს ავიაგამანადგურებლების რადარები ჩვენსკენაა მოშვერილი, თორემ ასე თამამად დღისით მზისით მოჩხუბარი ბავშვების გამზავებელი პიონერხელმძღვანელივით თვით პრეზიდენტი, ჩვენზე, უპასუხისმგებლო თოფიან ყაჩაღებზე, როგორ წამოვიდოდაო.

... და შემკრთალმა რუსებმა უკან დაიხიეს.

უკანსვლით მიმავალ „სამშვიდობოებს“ პრეზიდენტი და მისი ამალა „დუხით აწვებოდნენ“ როგორც „გამარჯვებული“ ყმაწვილები – აქაოდა გადადით თქვენს ეზოში, არ გვინდა თქვენთან თამაშიო.



შერცხვენილი მშვიდობისმყოფელები ჩვენმა არწივებმა „საზღვრამდე“ მიდენეს და თავი გაანებეს.

არა და პრეზიდენტს და მის ამალას წყალში ფეხის დასველება რომ არ დაზარებოდათ, ისე ჰყავდათ აყვანილი რუსი მეკობრეები, რომ სოხუმამდე დაახევინებდნენ და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პრობლემაც გადაწყვეტილი იქნებოდა.

ოჰ, ეს სიზარმაცე, სიზარმაცე.

***

როგორც შემოწმებული წყაროებით დასტურდება, უცნობია სამშვიდობო ჯარების სარდლის გენერალ ჩობანის ადგილსამყოფელი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

იმის შემდეგ, რაც განმუხურში საქართველოს პრეზიდენტმა შეზარხოშებულ რუს მაიორს კატეგორიულად უბრძანა, არ დავინახო გენერალი ჩობანი საქართველოს ტერიტორიაზეო (სხვათა შორის იქვე დასძინა: სოხუმიც საქართველოს ტერიტორიააო), უფლებააყრილი ჩობანი ასპარეზიდან გაქრა.

ერთნი ამბობენ, პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულება რომ აუწყეს, ჩობანი კარგა ხანს ელდაცემულივით დუმდა, მერე სამხრეები ჩამოიგლიჯა და ცრემლიანი თვალები მოავლო ირგვლივ მყოფთ – რატომ გამიკეთა ეს საჯაყი საქმე, რატომ გამწირა ასე სააკაშვილმა, რატომ ამომიღო გულიდან, თქვენ ხომ იქ იყავით, რატომ არ ჩაუვარდით მუხლებში, რატომ არ შეაცოდეთ ჩემი თავიო, რა ფასი აქვს აწი ჩემს ცხოვრებასო.

ეს თქვა თურმე ჩობანმა, მერე თავის საგენერლო ბლინდაჟში შევიდა და პუტინის ნაჩუქარი რევოლვერით თავი მოიკლა.

მეორენი ამბობენ; თავი არ მოუკლავს, სააკაშვილის მრისხანე განაჩენი რომ შეიტყო, სამხედრო მუნდირი ცეცხლს მისცა, ჯვალოს ჩოხა გადაიცვა და რიაზანის წმინდა სიმონ კანანელის ეკლესიაში ბერად შედგაო.

* * *

2 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო დიდი საშემოდგომო სახალხო სეირნობა-მიტინგი, რომელიც 2007 წლის მოსავლის დაბინავებას და სამუშაო ადგილების მოპოვების კომპანიის წარმატებით დაგვირგვინებას ეძღვნებოდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგი „ბნელი“ მომიტინგის მიერ შიგადაშიგ პრეზიდენტის გადადგომის „უადგილო“ მოთხოვნას, უნდა ითქვას, რომ აქცია ძირითადად ბედნიერი, გალაღებული ხალხის საზეიმო კონცერტის თანხლებით მიმდინარეობს.

როცა ასი ათასი ქართველი ცეკვა-თამაშითა და ბრაციბრუცით დაიღლება, კონცერტის ორგანიზატორები მორიგი სიმღერის გამოცხადებამდე ისეთ უმტკივნეულო მოთხოვნებს წაუყენებენ ხელისუფლებას, როგორიცაა არჩევნების დეკემბრის ნაცვლად აპრილში (?!) ჩატარება, ან საარჩევნო კოდექსის გადახედვა.

როგორც ჩანს, კონცერტის ორგანიზატორებს ჰგონიათ, ეს მილეთის ხალხი იმიტომ შეიკრიბა, როგორმე დროზე ადრე იხილონ პარლამენტში კონცერტმაისტერები, რომლებმაც 2 ნოემბერს მიკროფონის გამართვასაც ვერ მოაბეს თავი.

გრანდიოზულ მიტინგზე რომ მთავარი ნივთი მიკროფონია, ეს მაინც არ უნდა იცოდნენ მეკონცერტე რევოლუციონერებმა?

ნუთუ ასე ძნელი იყო, ბადრის შემწეობიდან ორიოდე ლარიც გამოეყოთ და სათადარიგო მიკროფონი ეყიდათ?

როგორც სამიკროფონო ხავილიდან ისმის, უმიკროფონო ყვირილის გამო ხმა დაკარგეს გია თორთლაძემ და ჯონდი ბაღათურიამ. არც შალვა ნათელაშვილის ყელის იოგებს ადგას კარგი დღე.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის, უამრავი სახეანთებული მომიტინგე (რომელსაც კარგად ახსოვს 2003 წლის 23 ნოემბერი) ლამის მკერდით შეაკავო; კანცელარიისკენ და პარლამენტის შენობისკენ ფეხი არ გაადგათ, ესენი ყველაფრის მკადრებლები არიანო.



თურმე რევოლუციებში გამობრძმედილ ბელადებს გადაუწყვეტიათ – ცეკვა-სიმღერით უნდა ვებრძოლოთ ძალმომრეობას, თორემ ამ ხელისუფლების შეცდომას ხომ არ გავიმეორებთო.

„მე ხომ არაფერი მომივას“ პოლიტიკას მტკიცედ ადგანან ჩვენი მშიშარა ბელადები. არ უნდათ ნამინისტრალი თავების ატკივება, რადგანაც ოქრუაშვილს მიუნხენში გამგზავრების წინ უთქვამს მათთვის: – ციხეში ცუდი პირობებია, ხალხი შეიყოლიეთ და ძაღთაპირებს თავი არ დააჭერინოთო.

მოსწყინდებათ და დაიშლებიანო, თვალმოჭუტვით ამბობენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ფართო, წითელ ტუჩებს ტორეადორის დროშასავით უტრიალებენ თვალწინ ნერვებმოშლილ ხალხს.

* * *

ქართული მწერლობა ყოველთვის თავისი ხალხის გვერდით იდგა და, რასაკვირველია, 2 ნოემბერს თითქმის ერის გულშემატკივარ ყველა მწერალთან ერთად ბრძოლის ველზე მე და სოსო სიგუაც გამოვცხადდით.

სანამ მიტინგი დაიწყებოდა, ტელეარხ „იმედის“ წარმომადგენელმა, სიმპათიურმა გოგონამ – ნათიამ ინტერვიუ მთხოვა. სიტყვასიტყვით ასე ვთქვი:

„ასი ათასი კაცი პარლამენტის წინ მხოლოდ იმიტომ კი არ შეიკრიბა, ოპოზიციის რამდენიმე ბელადი პარლამეტში იხილოს, შეურაცხყოფილი, დამშეული, აბუჩად აგდებული საქართველო აქ იმისთვის მოვიდა, რომ მისი უბედურების თავი და თავი – პრეზიდენტი გადააყენოს. მე პირადად, ერთ ქართველ მწერალს, უსუსურ მოთხოვნად მიმაჩნია დღევანდელი მიტინგის მთავარ ამოცანად საარჩევნო ვადის აპრილში გადმოწევა. ეს საქმეს არ უშველის. ჩემი პროგრამაა: პირველი, პრეზიდენტი გადადგეს! მეორე, შეიქმნას კოალიციური მთავრობა ცხრა-ცხრაზე და მესამე, ორივე მხარის მიერ შექმნილი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნები ჩატარდეს აპრილში.

კი მაგრამ, ოპოზიცია რომ ჯერჯერობით პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნას არ აყენებსო? მკითხა შემკრთალმა

ნათიამ. მივხვდი, რომ ჩემი ინტერვიუ ეთერში არ გავიდოდა და ასეც მოხდა.

მეორე დღეს ბურჯანაძე-ბოკერიას (მერე პრეზიდენტის) ცინიზმით გაგიჟებულმა ოპოზიციამ მთავარ მოთხოვნად პრეზიდენტის გადაყენება გამოაცხადა.

ხომ ვყოფილვარ მართალი...

ასე რომ, მთლად დემოკრატიული, ჩემდა სამწუხაროდ, არც „იმედი“ აღმოჩნდა.

თუმცა, რაც 7 ნოემბერს „იმედი“ დაარბიეს, ჩემთვისაც, როგორც ყველა ქართველისთვისაც, აღმაშფოთებელია.

***

ეს ყველაფერი თურმე „ჟურნალი“ იყო, კინო 7 ნოემბერს ვნახეთ.

ჯერ იყო და დილის 8 საათზე „გაასუფთავა“ მერიამ პარლამენტის მოედანი.

მართალია გასუფთავების დროს ოცდაათი მოშიმშილე და მათ შორის მძიმეწონიანები ლევან გაჩეჩილაძე და კობა დავითაშვილი შემოელახათ, მაგრამ 12 საათზე ოპოზიციამ ისევ დაიკავა სასტარტო მდგომარეობა.

ოპოზიციის ლიდერები, რომლებსაც პირობა ჰქონდათ მიცემული თავიანთი ოკეანისგაღმელი პატრონებისთვის, მტკიცედ იცავდნენ სახელმწიფო კანცელარიის და პარლამენტის შესასვლელებს, რომ მომიტინგეთაგან ვინმე „პროვოკაციაზე არ წასულიყო“ და ვარდების რევოლუციის ნაცადი მეთოდით ხელისუფლების გადაყენება არ ეცადა.

მოთმინების ფიალა თვით პრეზიდენტს აევსო.

ესენი, ეს უნიათოები, ძალაუფლების ასაღებად იერიშზე გადმომსვლელნი არ არიან, დარბევის საბაბს არ მაძლევენ, არა და კოვზი ნაცარში მივარდება, მაშ, რისთვის მყავს მზადყოფნაში კბილებამდე შეიარაღებული პოლიცია, ხომ უნდა ვაჩვენო ამ გათავხედებულ ქართველ ხალხს ჩემი ძალაო.

მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო და მომიტინგეთა მიერ მოძრაობის შეჩერების უმტკივნეულო მცდელობისას (არა და



გადაკეტილი არ იყო 4 დღის განმავლობაში?) პრეზიდენტმა თავის ერთგულ პოლიციას უბრძანა: „იმოქმედეთ!“

რისი 9 აპრილი, რომელი ცხრა აპრილი, 9 აპრილს რუსი ჯარისკაცების სისასტიკე მონაგონი იყო იმ სისასტიკესთან შედარებით მშობლიური პოლიცია რომ მშობელ ერს გაუსწორდა.

ქაშუეთის ტაძარშიც კი შესდიეს ღვთის სახლს თავშეფარებულ ქალებს და მოხუცებს. ტაძარშიც შეაგდეს მომწამვლელი ყუმბარა.

გალახულ, დაჩოქებულ, ოტებულ ხალხს ხელისუფლების წარმომადგენლები ისე ნიშნის მოგებით ელაპარაკებოდნენ, თითქოს დიდგორის ომი მოეგოთ.

მეორე დღეს ამერიკელმა ძიებმა სააკაშვილს უსაყვედურეს – ეს რა ჰქენიო.

ხომ თქვენ მასწავლეთ? დემოკრატიის ნორმებით იმოქმედეო, აკი ვიმოქმედე კიდეცო, შეჰღიმილა პატრონებს სააკაშვილმა.

ამერიკელებმა ერთმანეთს გადახედეს, შევცდით თავიდანვე რომ ფსიქიატრიული შემოწმება არ ჩავუტარეთო და „კანონიერ პრეზიდენტს“ „ურჩიეს“ ახლავე დანიშნე საპრეზიდენტო არჩევნები, დაუყოვნებლივ გადადექი და საპარლამენტო არჩევნების თარიღისთვის პლებისციტი (გამოკითხვა) ჩაატარეო.

სააკაშვილი ასეც მოიქცა.

ძალაუფლებისაკენ მიმსწრაფელმა ოპოზიციამ ამოკვნესითაც არ ამოიკვნესა; რა დროს არჩევნებია, პრეზიდენტი დამნაშავეა და 7 ნოემბრის გამო პასუხი უნდა აგოსო.

თქვენც არ მომიკვდეთ, ფეხქვეშ მოგდებული, გათელილი, შეურაცხყოფილი ხალხი არავის გახსენებია.

ერთ დღეში „აპატიეს“ პრეზიდენტს დანაშაული და საპრეზიდენტო მარათონი გაიმართა.

ნაწვიმარზე სოკოებივით ამოვიდნენ პრეზიდენტობის კანდიდატები.

ვერც კი ხვდებიან ეს გულუბრყვილონი (ძალიან რბილად ვამბობ) რომ საპრეზიდენტო არჩევნებს კვლავ მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, მოქმედი პარლამენტი ჩაატარე-

ბენ და ესენი კი ისე დაოსტატდნენ არჩევნების გაყალბებაში, რომ აქ კი არა უკრაინაში იგებენ არჩევნებს.

აბა ჰე, საპრეზიდენტო სკამისთვის „ძიძგი ძიძგი მამალო, ძიძგი ძიძგი მამალო, ძიძგი, ძიძგი მამალო“...

* * *

ოცდახუთ ნოემბერს პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციაზე ოცდაათჯერ უფრო მეტი კაცი მოვიდა, ვიდრე 7 ნოემბერს იდგა რუსთაველის პროსპექტზე.

გადამდგარი, მაგრამ კაბინეტიდან ჯერ არგასული და შევარდნაძესავით ჯერ „სახლში არწასული“ პრეზიდენტი ფანჯრიდან ნაღვლიანი სახით შესცქეროდა მომიტინგეთა ტრიუმფალურ სვლას რიყიდან რუსთაველის პროსპექტამდე.

„ნამუ ჩუნეს?“ – ფიქრობდა იგი – რაც მე ესენი ვცემე და ვგვემე, კიდევ გაბედეს სახლიდან გამოსვლა? კარგი, ცემამ არ გაჭრა. რაც მე ამათ ტყუილები ვაფრქვიე და ბროლის კოშკებს დავპირდი, ნახევარიც არ დაიჯერეს? რა არის ბოლოს და ბოლოს, ასე უნდა გამწირონ კაკალი კაცი? რა უნდათ მეტი „ნაძირალა“ (თვითონ დაარქვეს) ლომაია ხომ მოვაშორე მის მიერ გაპარტახებულ განათლებას და მეცნიერებას, არც ეს დამიფასეს?“

იმ საღამოსვე ყოფილი პრეზიდენტი ინგა გრიგოლიას დაუსკუპდა ღია ეთერში.

ინგა ალთას ეკითხებოდა, სააკაშვილი ბალთას პასუხობდა, მაგრამ საყვარელ ინგას არ უთქვამს პრეზიდენტისთვის, „რა ხდება, ბატონო პრეზიდენტყოფილო, მე თქვენ ალთას გეკითხებვით, თქვენ კი ბალთას მპასუხობთო.

„მეო, დემოკრატიული გზით მოვედი ხელისუფლებაში და დემოკრატიის გზას, თავში რეზინის კეტიც რომ მირტყან, არ გადავუხვევო“, – უტიფრად ამბობდა პრეზიდენტი და ჰოი, საკვირველებავ, ინგა თავს უქნევდა.

„კარგი რა, ბატონო მიშა, განა დემოკრატიული გზაა 475 მწერლის კუთვნილი შენობიდან „დუბინკებით“ გამოყრა, ან „სამშობლოდან“ ოპოზიციური „გაზეთების წიხლებით გამოდევნა, სად ისწავლე ასეთი დემოკრატიაო“. – უნდა ეკითხა ინგას, მაგრამ არ ჰკითხა

სამაგიეროდ, სამჯერ ჰკითხა, „იმედი“ როდის გაიხსნებაო და პრეზიდენტისაგან „იმედის“ გახსნის იმედიც მიიღო.

რას ვიზამთ, „იმედს“ ბევრი პატრონი ჰყავს ოკეანის გაღმაც და ოკეანის გამოღმაც, მხოლოდ მწერალთა კავშირი და „ასავალ-დასავალია“ უპატრონო, საყვარელო ინგა და... მთელი საქართველო.

*ოქტომბერ-ნოემბერი, 2007*

## ოპოზიცია არაკორექტულად იქცევა

არჩევნების დანიშვნა 5 იანვარს მიმაჩნია ქართველი ამომრჩევლის მორიგ მოტყუებად.

არ ხდება არსად, რომ არჩევნებამდე ორი თვე მაინც არ იყოს დარჩენილი და არჩევნები ინიშნებოდეს დაჩქარებული ტემპით მაშინ, როდესაც ვერც ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი ვერ მოასწრებს თავისი საარჩევნო კამპანიის ჩატარებას, ვერ მოასწრებს საქართველოს არათუ სოფლების, არამედ ქალაქების შემოვლასაც კი, რომ საპრეზიდენტო პროგრამა გააცნოს. ეს არის ცალმხრივი წამგებიანი მიდგომა. რაც შეეხება პრეზიდენტს, მან უკვე დაიწყო თავისი წინა საარჩევნო კამპანია. ჯერ შეხვდა ბიზნესმენებს, მერე – მასწავლებლებს. საქართველოს პრეზიდენტი, თითქოს დიდგორის ომი მოეგოს, ისე ხვდება თავის მომავალ ამომრჩევლებს. მერე საზოგადოების სხვა ფენებს შეხვდება და ისე ეცდება ხმების მოგროვებას. მაშინ, როდესაც განადგურებულია საქართველოს განათლების სისტემა; პირქვეა დამხობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ყველა ეროვნული დაწესებულება. 475 მწერალს უტიფრად წაართვა პრეზიდენტმა მისი კუთვნილი შენობა, რომელიც სარაჯიშვი-

ლის მიერ საჩუქრად იყო გადმოცემული. შეიძლება ისიც კი გაბედოს და შეკრიბოს ქართველი მწერლები, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ მან ეს შეძლოს. მოსაჩვენებლად მოუხმობენ ცხრა მწერალს. მეტი ერთგული მწერალი ჩვენს პრეზიდენტს არ დარჩა. უნივერსიტეტში რომ შეიკრიბებიან მეცნიერები, ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი იქ უნიჭო მწერალი ზაალ სამადაშვილია. თუ ცალკე მწერლობა შეიკრიბება, იქაც წამყვანი ქართველი მწერალი ზაალ სამადაშვილია. პედაგოგები შეიკრიბებიან, იქაც ზაალ სამადაშვილია. მე ვინც ვიცი, ნამდვილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, ოტია იოსელიანი, მერაბ ელიოზიშვილი, მე, მაყვალა გონაშვილი, მურმან ჯგუბურია, სოსო სიგუა, არც ერთი ამ მწერლებიდან, ვისაც ქართველი ერი მწერალს ეძახის, რა თქმა უნდა, იმ შეხვედრაზე არ მივა, მაგრამ იმ შეხვედრაზე მივლენ ზაალ სამადაშვილი, ვაჟა გიგაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ზაზა ბურჭულაძე – ასეთი მომწერლოები.

მათი არც ერს არ სჯერა და არც პრეზიდენტს არ უყვარს. პრეზიდენტს საერთოდ მწერლობა არ უყვარს. კალმის კაცი არ უყვარს. როგორც ჩანს, სააკაშვილს, ცოტა არ იყოს, მკაცრი წერილი მოსწერა კონდოლიზა რაისმა, რის გამოც ის კიდევ ერთხელ გაბრაზდა, ნუთუ საქართველოს ისტორიული მეხსიერება დაივიწყებს ამ ყველაფერს, ამ საშინელებას. ჩემ თვალწინ არის მშვიდობიანი მომიტინგეების აწეული ხელები. ამ ხალხს მარტო წყლის ჭავლი არ დაშლიდა? რა საჭირო იყო გაზი? ჩემს ფსიქიკაში, სიმართლე გითხრათ, რევოლუცია მოხდა. მოხუცებს, ბავშვებს, გაქცეულებს ყველას სცემდნენ და მისდევდნენ.

ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ეროვნული საბჭო მთლად კორექტულად არც 2 ნოემბრამდე იქცეოდა და არც 7 ნოემბრის მერე იქცევა.

იმიტომ, რომ მათ მიტინგი ლამაზი სიტყვების და ლექსების თქმაში გაატარეს, მოთხოვნები კი ვეგეტარიანული იყო.

*დეკემბერი, 2007*



# დავწვი, შენი სამართალი

სააკაშვილის ხელისუფლების ოთხი წელიწადი სავსებით საკმარისი გახდა იმისათვის, რომ მოსახლეობის 98 პროცენტს ჩვენი თინეიჯერული ხელისუფლებისადმი ნდობა დაეკარგა. აღარ გვინდა რიტორიკა და პირდაპირ ფაქტებით ვილაპარაკოთ. სააკაშვილის ხელისუფლებამ საშინაო პოლიტიკაში სრული კრახი განიცადა... დამღუპველი ინფლაცია დევის ნაბიჯებით გვიახლოვდება, ფასები ელვის სისწრაფით იზრდება და დღეს საქართველოში ხორბლის სამი თვის მარაგიღა დაგვრჩა. ერთ სულზე სამომხმარებლო კალათა 150 ლარია, სააკაშვილი კი საქართველოს სამ-ნახევარი მილიონ მცხოვრებთაგან ზუსტად ერთ მილიონს 48 ლარიან პენსიას აძლევს. ყველაფერი გაიყიდა... საქართველოს გაყიდვით შევსებული ბიუჯეტი რამდენ ხანს გაწვდება ილაჯგაწყვეტილ ქვეყანას? წაიკითხავდით ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილ ოტია იოსელიანი ლექსს... მწერალი სულმნათ ნიკო ლორთქიფანიძეს მიმართავს – შენს დროს, ალბათ, რაღაც იყო გასაყიდი, ჩვენ კი ყველაფერი გავყიდეთ და პერანგი და პერანგის ამხანაგიც აღარ შეგვრჩა!.. მე არ ვიცი, პოლიტიკური მიზნით მოხდა თუ არა, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში გლეხებს უკანასკნელი ლუკმაც გამოაცალეს პირიდან. დარბოდნენ სოფლად აქტივისტები და მიჯრით ხოცავდნენ ქათმებს, ღორებსა და ძროხებს... ახლაც ცრემლი მადგება თვალზე, რომ გამახსენდება, თუ როგორ კრიახებდნენ ტომარაში ჩატენილი ცოცხალი ქათმები და როგორ ყრიდნენ საერთო საფლავში უჯანმრთელეს ღორებს, რომლებიც დინგს მაღლა სწევდნენ სამარხიდან ამოსასვლელად. კახელმა გლეხმა ვაზის აჩეხვა იმიტომ დაიწყო, რომ ამ ხელისუფლებამ მწარედ მოატყუა... დაჰპირდნენ – კილოგრამ ყურძენს ლარნახევრად ჩავიბარებთო და რთველი რომ დაიწყო, გამოაცხადეს – თუ გინდათ, 20 თეთრს მოგაშავებთ, თუ არადა კისრები გიტეხიათ და ზედ კინჩხიც მიგიყოლებიათო!.. თქვენ ნახეთ, ალბათ, როგორ დასცინა ალალ მევენახეს პრეზიდენტმა – ფული

აიღო და ეს სპექტაკლი გაითამაშაო!.. ქვეყანაში საშინელი შიმშილი მძვინვარებს! ამასწინათ ერთ გაზეთში წავაწყდი სტატისტიკურ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში მცხოვრები 60 პროცენტი საზღვარგარეთ აპირებს წასვლას, ე. ი. მთელი საქართველო ქვეყნიდან გარბის!..

ახლახან საჩხერეში აკაკი წერეთლის იუბილეზე გახლდით და უნდა გენახათ ჩემი გაოცება, როცა ერთმა საჩხერელმა მითხრა – რა ხდება, ბატონო რეზო, ბოლო ხანს პრეზიდენტი სამჯერ იყო საჩხერეში, მაგრამ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმისკენ არც გამოუხედავსო!.. პრეზიდენტი არ დადის თეატრში, არ კითხულობს გაზეთებს, ზიზღს ამჟღავნებს ქართული მწერლობის მიმართ, იქამდეც კი, რომ მისი განკარგულებით 475 მწერალი გამოაძევეს მწერალთა სახლიდან და იავარდ ჰყვეს 100 წლის ნალოლიავები მწერალთა მემორიალური ნივთები. კარზე მომდგარი ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 და გარდაცვალების 100 წლისთავი, მაგრამ თუ დააკვირდებით, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ ილია ჭავჭავაძის სახელს არ ახსენებს, ანდა რა პირით უნდა ახსენოს, როდესაც ხელისუფლების მიერ აბსოლუტურად იგნორირებულია ილია მართლი „ენა, მამული, სარწმუნოება“, ხოლო „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ გულისამრევი გაუკუღმართებული სექსუალური სიმახინჯით – „ჯეობარით“ რეცხავს ჩვენი ახალგაზრდობის ტვინს და მთავარ სადისკუსიო თემად ის გაუხდია, ჩატარდეს თუ არა თბილისში „გეების პარადი“. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება ზრუნავს ჩვენი ეროვნული კულტურისათვის?

აგაშენათ ღმერთმა!.. დავყვეთ ვაკის სასაფლაოდან... მარჯვნივ ფეხბურთის ფედერაციაა. თქვენ კარგად გახსოვთ, გაზულუქებულმა ხელისუფლებამ თუ რა „დემოკრატიული მეთოდებით“ ჩაწიხლა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პოლიტიკა უფრო შორს ვერ წავა... კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს – ნემსაძეს, სულის მოთქმაც არ დააცალეს, ისე გამოაცალეს პრეზიდენტის სავარძელი. სხვა საკითხია ნემსაძის შეშინებული



ჩურჩული – ჩემი ნებით გადავდექიო!.. მაგრამ ხომ ფაქტია, როგორ გაწირეს მთელი სპორტული სამყაროს წინაშე ეს ახალგაზრდა, უდანაშაულო კაცი. აი, რა დემოკრატები ბრძანდებიან ვარდები იარლიყით მოსულნი. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ასევე სამარცხვინო იყო ბადრი პატარკაციშვილის გაძევება ოლიმპიურ კომიტეტიდან. მთელ კომიტეტში ორი უშიშარი პიროვნება აღმოჩნდა – ნონა გაფრინდაშილი და ლერი ხაბელოვი! დანარჩენებმა პირში წყალი ჩაიგუბეს და „აუტკივარი თავის პოლიტიკას “ დაადგნენ. დარწმუნებული ვარ, დრო რომ გავა, ისინი ბადრი პატარკაციშვილს მოუბოდიშებენ – რა გვექნა, ძმაო, მუქარას ვერ გავუძელით, ესენი ყველაფრის მკადრებლები არიანო!.. გავაგრძელოთ ჭავჭავაძის პროსპექტზე გზა – ფეხბურთის ფედერაციის ქვემოთ სპორტის აკადემია იყო. რა საშინელებაა, რომ ამ სახელოვან დაწესებულებაზე წარსულ დროში მიხდება ლაპარაკი. როგორ უნდა სძულდეს სპორტი ორ გაურკვეველი ეროვნული პოზიციის ჩინოვნიკს – ლომაიასა და თევზაძეს, რომ გააუქმოს დიდი ტრადიციების მქონე სპორტული აკადემია და გზა დაუხშოს ქართული სპორტის მომავალს, რომელსაც აწი ბადრი პატარკაციშვილის ფულიც ვეღარ ააღორძინებს. მივადექით ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტს თავის მშვენიერი პროფილი ჰქონდა, მაგრამ ყოვლის შემძლე კახა ლომაიამ, რომელიც პასუხს არაფერზე აგებს, უცხო ენათა ინსტიტუტი სეკვესტრში მოაყოლა და ისიც გიგი თევზაძეს დაუქვემდებარა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება გიგი თევზაძის „ნუცას სკოლაში“, რომელიც, ფაქტობრივად, სამ ტრადიციულ უნივერსიტეტს აერთიანებს. ჩაშლილია სასწავლო პროცესი, სტუდენტთა გამოსვლებმა ლამის წალეკოს განათლების მამათა მყუდრო კაბინეტები, ხელისუფლება კი ჯიუტად არ იხევს უკან – ასე გვინდა და ასე იქნება, მორჩა და გათავდაო!

მოგეხსენებათ, ჭავჭავაძის პირველ ნომერში საქართველოს უპირველესი უნივერსიტეტი იყო!.. დიახ, იყო, რადგანაც დღეს ის აღარ არსებობს!..

„წამოვედი“ ძალიან რბილი სიტყვაა... კი არ წამოვედი, გამომაგდეს და მე ვინა ვარ, როცა უნივერსიტეტიდან დაითხოვეს 99 პროცენტი ჩვენი სახელოვანი მეცნიერებისა. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ რაკი მეკითხებით, ორიოდე სიტყვას ჩემს თავზე მოგახსენებთ: 50 წელი ვკითხულობდი უნივერსიტეტში ლექციებს. აქედან 30 წელი კათედრის გამგე გახლდთი. ვარ 250 სამეცნიერო ნაშრომის, 67 წიგნისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი. საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ვინც კი თანამედროვე ლიტერატურას კითხულობს, ყველა ჩემი ყოფილი ასპირანტი ან ხელდასმულია. 2005 წელს, როდესაც ლომაიამ უნივერსიტეტიდან განდევნა სააკაშვილის მიერ დანიშნული „ურჩი რექტორი“ – რუსუდან ლორთქიფანიძე, ერთპიროვნულად, ერთბაშად გაგვათავისუფლეს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი, გააუქმეს ყველა კათედრა და სამეცნიერო ლაბორატორია, გააუქმეს ასპირანტურა და გააუქმეს ყველა სამეცნიერო-პედაგოგიური უჯრედი. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრებმა პროტესტი გამოვთქვით, ამ უზნეობის წინააღმდეგ და ჩავატარეთ საუნივერსიტეტო რეფერენდუმი, ფაქტობრივად, გაუქმებული უნივერსიტეტის აღსადგენად. რეფერენდუმის მოთხოვნებს ხელი მოაწერა უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორმა და დოცენტმა, ორი პროფესორის გარდა!.. ესენი იყვნენ:

– ელგუჯა ხინთიბიძე და როსმაგ გორდეზიანი!

ჩვენს პროტესტს, მოგეხსენებათ, ხელისუფლებამ უნივერსიტეტის დარბევით უპასუხა. ამაოდ ჰგონია კახა ლომაიას, რომ საქართველო დაივიწყებს მის მიერ უნივერსიტეტში ხუთასი პოლიციელის შემოყვანას!.. უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, ოკუპირებულია... დიდი საბჭოს წევრები კლუბში შევიკრიბეთ და საოცარი ამბავი მოხდა – კახა ლომაიას ეყო უტიფრობა, პოლიციელებისთვის დავალება მიეცა – დაუკეტეთ კლუბის კარი გარედან და არ გამოუშვათო!.. ხომ ხედავ, უკვე ჩასარეცხად ვყავდით გაწირული „ვარდების ხელისუფლებას“. მერე ის იყო, რომ გამოცხადდა კონკურსი ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად. კონკურსში მე და



არაერთმა პროფესორმა მონაწილეობა იმისთვის მივიღეთ, რომ მერე კახა ლომაიას ჩვენთვის არ დაებრალებია – თქვენ თვითონ წახვედით უნივერსიტეტიდანო!.. უნდა გენახათ ჩემი მოლოდინის ასრულება, როცა გაირკვა, რომ სრული პროფესორობისათვის „ქულები არ მეყო“ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი კვირის თავზე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში გია ხუბუამ განაცხადა – მიშველაძის მიმართ დასანანი შეცდომა მოგვივიდა, ახლა დამატებით კონკურსს გამოვაცხადებთ და ყველაფერი გამოსწორდებაო!.. გამოცხადდა დამატებით კონკურსი... ორ კვირაში განათლების მინისტრის მოადგილემ – ბელა წიფურიამ მიხმო და თავის კაბინეტში სიტყვასიტყვით მითხრა, – ბატონო რეზო, არ გეწყინოთ, თქვენი ოპოზიციური განწყობის გამო კახა ლომაია თქვენზე პირადად არის გაბრაზებული და გთხოვთ, სწორად გამიგოთ, იქნება გაიტანოთ კონკურსიდან თქვენი საბუთები, რათა ხელშეკრულება გაგიფორმოთ და ასე ითანამშრომლო უნივერსიტეტთანო!.. ბელა წიფურია ჩემი ყოფილი ასპირანტია („აკაკის გამზრდელი“ გაიხსენე, მკითხველო, – რ. მიშველაძე). მის თხოვნა-წინადადებაზე გამეცინა და მივუგე – ბელა, უნივერსიტეტი კახა ლომაიას კერძო დუქანი არ არის, მე შემიძლია, ჩემი მეცნიერული და პედაგოგიური დამსახურებით ნებისმიერ ჩემს კონკურსანტს წინასწარ მივცე 200 ქულა, იქნებ ვიმარჯვებ კონკურსში, მით უმეტეს, რომ ხუბუამ ინტერვიუში ხაზგასმით მთხოვა კონკურსში მონაწილეობა-მეთქი! – არ ვიცი, ბატონო რეზო, ჩემი ვალია, გაგაფრთხილოთო! – მიპასუხა ბელამ. ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, აშკარა გახდა, რომ ბელაც პაწაწინა მარიონეტი იყო ვეშაპ კახა ლომაიას წინაშე. მეორე დღესვე ავდექი და უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას ეს განცხადება წარვუდგინე, რომლის თანახმადაც ვწყვეტდი კონკურსში მონაწილეობას და ვთანხმდებოდი ხელშეკრულებით შემოთავაზებულ წინადადებაზე.

სწორედ ეგ არის შემაძრწუნებელი!.. თურმე, კაცთმოძულე ლომაიამ თავისი მოადგილე – ბელა წიფურიაც მოატყუა...

გავიდა ნოემბერი, დეკემბერი... ხუბუას მიმართეს მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განცხადებით, რომ რექტორს დაუყოვნებლივ გაეფორმებინა ჩემთვის ხელშკრულება. ხუბუას სხვა გზა აღარ დარჩა და 2007 წლის თებერვლის ბოლოს დამიდო ხელშეკრულება. ავიღე მხოლოდ მარტის ხელფასი... აპრილის დასაწყისში ხუბუამ მიხმო არავითარ შემთხვევაში არ გეტყოდით ამას, რომ არ მენახა ამ ახალგაზრდა კაცის გაფითრებული სახე, – ბატონო რეზო, თქვენ ყველაფერს მიხვდებით, მე ბავშვობიდან თქვენს ნოველებზე ვიზრდებოდი, თქვენი სახელმძღვანელოებიც წაკითხული მაქვს და ისიც ვიცი, რომ ერთადერთი შვილი შესწირეთ ქვეყანას, მაგრამ იმედია, სწორედ გამიგებთ და მიხვდებით, რომ ეს ჩემი სურვილით არ მომხდარა... მეტს ვერაფერს გეტყვით და ხელშეკრულება უნდა გაგიუქმოთო!.. მე შემეცოდა ხუბუა, იგი შინაგანად ინტელიგენტი კაცია... რა ვქნა... განსჯა ადვილია... თუ ხელშეკრულებას არ გამიუქმებდა, ხუბუას იმ საათშივე გაანთავისუფლებდა ლომაია... – კარგი, ჩემო გია-მეთქი! – ვუთხარი და წამოვედი. ამჟამად თანამედროვე ქართული ლიტერატურის კათედრა, რომელიც მე ავაღორძინე და სული ჩავუდგი, აღარ არსებობს. გაუქმებულია გალაკტიონ ტაბიძის კაბინეტი. ჩემი კათედრის 27 წევრიდან კახა ლომაიამ უნივერსიტეტში მხოლოდ ორი დატოვა, – პაიჭაძე და ნიშნიანიძე. ორივე საშუალოზე ნაკლები ნიჭიერებისა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ მორჩილი პედაგოგები არიან. ისეთი სულსწრაფები აღმოჩნდნენ ეს ჩემი ახალგაზრდა კოლეგები, თავიანთი პირადი დაქალობის მიხედვით ანაწილებენ საათებს, არად დაგიდევენ ნიჭიერებას, პერსპექტიულობას და ცდილობენ უახლესი ლიტერატურის ახალი ლექტორები თავიანთ დონეს გაუთანაბრონ, ხოლო თუ როგორი მეცნიერები არიან ისინი, ამას სულ მალე თქვენი გაზეთის სხვა ნომრებში იხილავთ... რაც შეეხება ჩემს დატვირთვას, მყავს თერთმეტი დოქტორანტი, ხუთი მაძიებელი და ექვსი ასპირანტი. ამავე დროს ვხელმძღვანელობ ორ მაგისტრანტს და ამას ვაკეთებ უკვე ორი წელია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. კვირაში ორჯერ მოდიან ჩემი ასპირანტები ჩემთან კონსულტაციის მისაღებად და ხომ ვერ ვეტყვი მათ – ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი კახა ლომაიასა და გია ხუბუას გაუბედაობით ჩემს კუთვნილ საათებს არ მინაზღაურებს-მეთქი? სენტიმენტალური საუბარი არ მიყვარს, მაგრამ მაპატიებს თქვენი მკითხველი ერთ ლირიკულ გადახვევას: როდესაც უნივერსიტეტიდან გაძევებული, ჩემი წიგნებით ხელში კიბეზე ჩავდიდოდი, ერთადერთი ჩემი ასპირანტიდან, ვის თვალზეც ცრემლი შევნიშნე, კახა ლორია იყო.



ვიცი, ქართველი ერი არ აპატიებს ნაძირალა ლომაიას თბილისის უნივერსიტეტის დაქცევას. მე და ჩემი კოლეგა პროფესორები ერთიმეორის მიყოლებით ინსულტ-ინფარქტის მსხვერპლნი ვხდებით, ხოლო თუ იმ დღეს მოვესწარი, რომ ჩემ მიერ დაარსებულ კათედრაზე თუნდაც კონსულტანტად დავბრუნდი, ორ „ძე შეცდომილს“ – პაიჭაძესა და ნიშნიანიძეს მგლური მადით მიტაცებულ ჩემს საათებს არ წავართმევ; თუნდა იმით დავსჯი, რომ ისინიც მოესწრონ იმ წუთს, როცა მათ წინაშეც აღიმართება ახალი დროის ფუღუ – ახალი ლომაია, რომელიც კარისკენ უბოდიშოდ მიუთითებს მათ!..

სხვა მემორიალურ შენობებზე მოკლე მოგახსენებთ. პრეზიდენტმა რამდენჯერმე ცინიკურად განაცხადა – პრესას არ ვკითხულობო! არ აქვს იმდენი სიდინჯე, ერთი საათით მაინც ჩაუჯდეს ჩვენს ოპოზიციურ გაზეთებს; მხოლოდ საგაზეთო სათაურებს თუ ჩაკრავს თვალს და ათასში ერთხელ მისი პრესთანაშემწეები თუ ჩასძახებენ სააკაშვილს – ამა და ამ გათახსირებულმა გაზეთმა თქვენზე ესა და ეს დაწერაო! მაგრამ თავისი პრეზიდენტობის ადრეულ ასაკში მოუსწრია სააკაშვილს მთელი ბეჭდვითი მედიის შეძულება. ნუთუ, ისტორია აპატიებს მას, რომ გამომცემლობა „სამშოლოდან“ გამოდევნა სიმართლის მთქმელი გაზეთები. ვინ იცის, რა მშვიდად ეძინა იმ ღამეს – „ასავალ-დასავალი“ დავარბიე, ტელეარხი „კავკასია“ დავარბიე, „საქართველო რესპუბლიკა“ დავარბიე და ქუჩაში გამოყრილები აწი წელში ვეღარ გაიმართებიანო!.. მაგრამ ჰოი, საოცრებავ, სააკაშვილს მესამე დღესვე მოახსენეს – „კავკასია“

ისევ გავიდა ეთერში, ხოლო „ასავალ-დასავალი“ ახალი ენერგიით გამოცოცხლდა და ტირაჟიც კიდევ უფრო მოემატაო!.. სასოწარკვეთილმა სააკაშვილმა ურჩი მასმედიის დასათრგუნავად ახალ ხერხს მიმართა, ჭავჭავაძისა და რუსთაველის პროსპექტზე საგაზეთო ჯიხურები გააუქმა, ანუ ფაქტობრივად, გაზეთების გაყიდვა აკრძალა! ელემენტარული დესპოტური თეორიაა – „არ არის გაზეთი, არ არის პრობლემა!“

მარცხნივ პანტომიმის თეატრია... ეს გახლავთ განსაცვიფრებლად ცოცხალი და უაღრესად წარმატებული თეატრი, რომელსაც ამირან შალიკაშვილი ხელმძღვანელობს. ჩემს გასამტყუნებლად შეიხედეთ ამ თეატრში და ნახავთ სავალალო სურათს – ნახევრად დანგრეულ კედლებში, მტვერში მუშაობენ მსახიობები და ამირან შალიკაშვილმა მის საოცარ, მსოფლიოში ცნობილ თეატრში კულტურის მინისტრის ვერც ერთი თანამშრომელი დღემდე ვერ შეიტყუა. მარჯვნივ მეცნიერებათა აკადემიაა... ლომაია უმოწყალოდ გაუსწორდა მეცნიერებათა აკადემიას... სად ისწავლა მან ასეთი ზიზღი მამისტოლა ადამიანების მიმართ... გაუქმდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, გაუქმდა სამეცნიერო მივლინებათა და საექსპერიმენტო ხარჯები, აკადემიისაგან მხოლოდ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტებიღა დარჩა. რა ქნას მსოფლიო სახელის მეცნიერმა – თამაზ გამყრელიძემ? „თქვენ ილია ჭავჭავაძეს ხელმეორედ მოკლავდითო“! – დაუწერა მან „რეფორმისტების საქართველოს“, მაგრამ რომ ვერას გახდა, გაჩუმდა, გაჩუმდა უკეთესი დროის მოლოდინში!.. გაიყიდა ქართული გამომცემლობებისა და ჟურნალ-გაზეთების კიდევ ერთი ფუძე, ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ შენობა... ე. წ. „სათავადაზნაურო ბანკიდან“, შემდგომში იუნკერთა კორპუსიდან, გამოაძევეს „რუსთაველის საზოგადოება“, ხოლო ოპერის წინ 125 წლის წიგნების მაღაზია „საუნჯე“ უსირცხვილოდ გაყიდეს და ჩვენ, მწერლებსა და მეცნიერებს ჩვენი წიგნები ვერსად გაგვიყიდია, თუმცა, ღრმად უწიგნური კახა ლომაია ხომ მოძღვრავს ახალგაზრდებს – წიგნის დრო წავიდაო! არ წასულა წიგნის დრო და ამაში



თვით ლომაია მალე დარწმუნდება, როცა ქართული მეცნიერებისა და განათლების დანგრევაში მისი წვლილის შესწავლა-გაანალიზებით მართლმსაჯულება დაინტერესდება...

სამარცხვინოა პარლამენტის ბოლო წლების საქმიანობა. პარლამენტი არაფერს წყვეტს, პარლამენტში ოპოზიციის მხოლოდ რამდენიმე წევრია ე. წ. ცნობადი და ნათელი სახე, დანარჩენები მხოლოდ სკამებს ათბობენ და მინისტრთა კაბინეტის ტანზე მორგებულ კანონებს ერთხმად ამტკიცებენ. ერთ ფაქტს მოგახსენებთ: მთელ დედამიწაზე მხოლოდ საქართველოა, სადაც პიროვნების დამადასტურებელ არცერ საბუთში მოქალაქეს ეროვნება არ უწერია. პარლამენტში ეროვნებათა საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გახლდით და გახსოვთ, ალბათ, როგორ ვიბრძოდით ცხონებული გურამ შარაძე და მე, რათა რომელიმე საბუთში მაინც აღგვედგინა ეროვნება. სამი პიროვნება იყო თავგადაკლული მოწინააღმდეგე იმისა, რომ საქართველოში ქართველს ქართველი რქმეოდა. ესენი იყვნენ: ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი, თანაც სამივენი შევარდნაძეს სდებდნენ ბრალს და ძალიან რომ ავყვირდებოდი, მეუბნებოდნენ – ჩვენ რა შუაში ვართ, ამ კანონპროექტს შევარდნაძე ბლოკავსო!.. 2001 წლის 7 სექტემბერს ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, მიხეილ სააკაშვილი და მე ედუარდ შევარდნაძესთან მივედით. გითხრათ სიმართლე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, მართლა შევარდანაძე იყო თუ არა ეროვნება „ქართველის“ მტერი. ჟვანიამ დაიწყო: მეო, ევროპული მოდელის მომხრე ვარო, ოღონდ ფრანგულ პასპორტში ეროვნება „ფრანგული“ წერია და იქნება ჩვენს ეროვნება „ქართული“ ჩავწეროთო! – თქვენ რა აზრის ხართო – ნინოს და მიშას ჰკითხა შევარდნაძემ. – ორივე მოდელი (ტრადიციულიც და არატრადიციულიც) საქარველოსთვის ნაადრევია და საჭირო არ არისო! – ხაზგასმით აღნიშნა ორივემ. – რას ჰქვია ნაადრევიო! – გაბრაზდა შევარდნაძე. – სანამ უნდა მლანძღოს თქვენ გამო საქართველომ, თქვენ გადამკიდეთ რეზო მიშველაძე და გურამ შარაძე ... შევჩერდეთ ან ერთ მოდელზე და ან მეორეზე,

ბოლოს და ბოლოს!.. შევარდნაძე მერე მე მომიბრუნდა – ერთი, თუ კაცი ხარ, დაწვრილებით გამაგებინე, როგორ არის ეს საქმე სხვა ქვეყნებში და რა ვარიანტები არსებობსო!.. – ორი ელემენტარული გადაწყვეტა არსებობს ამ საკითხის, სულ ორი მოდელია, ერთი „ტრადიციული“, როცა მოქალაქეს საბუთებში კონკრეტულად თავისი ეროვნება უწერია და მეორე – „ევროპული“, როცა სახელმწიფოში ყველა მოქალაქეს ავტოქტონური ერის მოქალაქეობა უწერია-მეთქი! – ახლა ჩემი საბოლოო სიტყვა მოისმინეთო, – შევარდნაძემ ბრძანა – აღარ გადადოთ ეს საკითხი, ხვალვე კენჭი უყარეთ ორივე პროექტს და რომელიც გავა, ის მივიღოთო!.. ისე არ გეტკინათ არაფერი, ძვირფასო მკითხველო, როგორც რევოლუციურმა სამეულმა საბუთებში ეროვნების შეტანა დააკანონა. ამის შემდეგ წლები გავიდა... თუ შევარდნაძე იყო ეროვნების მტერი, რატომ დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გაიტანა ეს პროექტი პარლამენტის სხდომაზე? ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ 2001 წელს აღარ უჯერებდა მოწაფეების მამაცი რაზმი ედუარდ შევარდნაძეს. პარლამენტის უმრავლესობაში დღეს წერა-კითხვის მცოდნე მხოლოდ ნოდარ გრიგალაშვილია, ნოდარს კი, ალბათ, დრო არა აქვს, ყველა კანონპროექტი წაიკითხოს გაგეცინებათ, იმდენი ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და აზრობრივი შეცდომაა ყოველ კანონში.

პარლამენტის გვერდით მეფისნაცვლის, ანუ დღევანდელი მოსწავლეთა სასახლეა!

ჭირს წაუღია ყველა მეფისნაცვალი!.. ეს ისტორიული, ეროვნული შენობა გახლავთ, სადაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის ქარტიას მოეწერა ხელი. თუ გახსოვთ, რამდენჯერ მიიტანეს მოსწავლთა სასახლეზე იერიში ამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ახლა მითხრეს – ბიუჯეტი გაგვინახევრეს, რათა ჩვენი ნებით შევამციროთ წრეები და თანამშრომლების ორი მესამედი დავითხოვოთ!.. მივადექი 130 წლის ისტორიულ აფთიაქს... ეს, დიახაც, აფთიაქ-მუზეუმი გახლდათ და ასე უწოდებს მას მისი ყოფილი დირექტორი, გამოჩენილი წამალთმცოდნე – სოკრატ სალუქვაძე. დახეთ, ხელისუფლების ცინიზმს, აფთიაქი, რომელშიც აკაკი წერეთელი ყიდულობდა წამალს, გააუქმეს, – კონკურენციას ვერ უძლებსო!.. რა კონკურენციას უნდა გაუძლოს ამ მგლურ, ბაზრულ ეპოქაში ისტრიულმა მუზეუმ-აფთიაქმა?

საშინაო პოლიტიკაში რაც გვჭირს, გასაგებია, მაგრამ იქნებ საგარეო პოლიტიკა აქვს სააკაშვილს საათივით აწყობილი?

არ დაიჯეროთ! დააკვირდით, თუნდაც ერთი ნაბიჯით წავიწიეთ საქართველოს ნომერ პირველი პრობლემის გადაწყვეტაში, – წართმეული ტერიტორიების დაბრუნებაში? ნუთუ ჩვენი საგარეო პოლიტიკის კრახი არ არის ის ამბავი, რომ რუსეთი აფხაზურ ღვინოს ყიდულობს და ქართულ ღვინოს, ხილს, ჩაის ემბარგოს უწევს? დავკარგეთ უზარმაზარი რუსული ბაზარი, მიხეილი კი შევარდება საკონცერტო, სახელდახელო სცენაზე და კონცერტზე მიტყუებულ სტუდენტს შუბლზე თმაჩამოშლილი ეგზალტურად უცხადებს – რუსეთმა ემბარგო დაგვიწესა, მაგრამ ხომ ვერ გაგვტეხაო? რა ჰქვია, „ვერ გაგვტეხა“, მიხეილ? შენ რომ არ გშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ მილიონ იმ მოქალაქესაც არ შია, ვისაც 48 ლარი აქვს პენსია? ჩვენს პრეზიდენტს, როგორც ვატყობ, მსოფლიო პოლიტიკა სერიოზულად უკვე აღარ აღიქვამს, მას აღარც თავისი მინისტრების საქმიანობა აინტერესებს, თამაშობს პრეზიდენტობანას და ბოლომდე უნდა დატკბეს თავისი პრეზიდენტობით. მიშა ოდნავ შენიშვნასაც ვერ იტანს და სახე მოემგელება ხოლმე, როცა გაბედული ჟურნალისტები შენიშვნას შეჰკადრებენ!.. როცა ლოტოტრონის სამარცხვინო კომპანიამ საშინელი კრახი განიცადა და სკოლებში წარმოუდგენელი ქაოსია, პრეზიდენტს ყური არ უნდა აეხია სანტექნიკოს ლომაიასათვის? იციან რა, ჩვენმა მეზობლებმა, რომ საქართველო ავტორიტეტიანი ქომაგი და პატრონი არ ჰყავს, ხომ ხედავთ, როგორ გამოიღეს ხელი. ხომ ნახეთ, თვალები რომ დათხარეს დავით-გარეჯის ფრესკებს, ხომ ნახეთ, საინგილოში, ძირძველ საქართველოში, როგორ აკრძალეს ქრისტიანული წირვა-ლოცვა ქურმუხის მონასტერში, – თბილისში რაც ეკლესიებია, ნახევარი სომხურიაო!

– უტიფრად აცხადებენ ჩვენი სომეხი ძმები, ჩვენი პრეზიდენტი კი უაზროდ იღიმება და თითქოს არაფერი მოხდარიყოს, ქვეყნის დიდი ჭირისუფალივით უდგას გვერდით უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს თავისი აღსაყდრების ოცდამეათე წლისთავზე. არ მოგეჩვენოთ დიდ გაბედულებად ჩემი ეს აღსარება და ჩვენი დიალოგი, მე ახალი თითქმის არაფერი მითქვამს, რაც მთელი ქვეყნისთვის ცნობილი არ არის და ისევ თქვენს პირველ კითხვას მივუბრუნდები... ითმინა, ითმინა ძალმომრეობა, ტყუილები, აბუჩად აგდება საქართველომ და მეტს აღარ მოითმენს. სხვათა შორის, არ მომწონს ლოზუნგი – „არ მეშინია“! როგორ შეიძლება, გიორგი სააკაძის ქვეყანაში, ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეს ხელში ეჭიროს ტრანსპარანტი წარწერით –„არ მეშინია“? ასე როგორ უნდა დააშინო შენი ამომრჩეველი, საკუთარი ხალხი, რომ „არ მეშინია“! შეგკადროს? როგორ შეიძლება პრეზიდენტი მთხოვნელებს არ იღებდეს? შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებმა შარშან სამჯერ გავუგზავნეთ დეპეშა მიხეილ სააკაშვილს და მიღება ვთხოვეთ, მაგრამ პრეზიდენტმა პასუხის ღირსიც არ გაგვხადა, სამაგიეროდ, მიშა შემთხვევას არ უშვებს, რომ ღვაწლმოსილი ადამიანები არ დაამციროს!.. მან ორად გახლიჩა ქართველი ერი – უასაკოებად და ასკოვნებად, ანუ ჩასარეცხებად. ამასწინათ გიგა ლორთქიფანიძის იუბილეზე 80 წლის გიგა ლორთქიფანიძეს ჯანსუღ ჩარკვიანმა უთხრა – მაგრა იყავი, გიგა, ნუ გეშინია, ჩვენ ვერ ჩაგვრეცხავენო!.. ტაშით დაინგრა დარბაზი... ორ ნოემბერს ვნახოთ, ვინ ვის ჩარეცხავს!.. ისტორია სასტიკია, მიხეილ, მასზე ძალდატანება არ შეიძლება! ქართველ ერთან ბოროტი და უკუღმართი თამაში არ გამოვა!.. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მე ჯერ არც ერთ ქართულ ოჯახში არ შევსულვარ, რომ იქ ბუხრის თავზე ან თაროზე ჩემი წიგნი არ მენახოს, შენ და შენს საეჭვო ეროვნების ამალასაც კარგი დღე არ გადგათ და ამაში დამნაშავე თქვენ ხართ. 28 სექტემბერმა დაამტკიცა თქვენი უაზრო და ერისთვის საზიანო ფაფხურისადმი ხალხის დამოკიდებულება და უფრო მწარე გაკვეთილს 2 ნოემბერს მოგცემთ.



2 ნოემბერს მიტინგზე მივდივარ როგორც შეურაცხყოფილი მწერალი მწერალთა სასახლის უმოწყალოდ დარბევის გამო და 2 ნოემბერს მიტინგზე მე მივდივარ, როგორც შეურაცხყოფილი პროფესორი ჩემი სათაყვანებელი უნივერსიტეტის დამხობის გამო, რომელიც სააკშვილისა და ლომაიას ტლანქმა ხელებმა მოინელეს! მე ახლაც ყურში ჩამესმის 2 ნოემბრის მიტინგის გუგუნი...

*ოქტომბერი, 2007*

## ვილუპებით

21 სექტემბერს მწერალთა კავშირს ეწვია საქართველოს პირველი ლედი, რომელმაც ქართველ მწერალთა გასაჭირის მოსმენის შემდეგ ბრძანა: მე ვერ წარმომიდგენია, ვინმე სერიოზულად აპირებდეს, მწერალთა კავშირს წაართვას შენობა. ამის შესახებ, დარწმუნებული ვარ, მიშამ არაფერი იცის. ამ განცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთადერთ ლიტერატურულ გაზეთს – „მწერლის გაზეთს“ კულტურის სამინისტრომ დაფინანსებაზე თვითნებურად უთხრა უარი და ამით იგი დასახურავად გაწირა. გთავზობთ „მწერლის გაზეთში“ მეორე დღესვე დაბეჭდილ ელვა დეპეშას:

„მიუხედავად სანდრა რულოვსის კეთილგანწყობისა საქართველოს მწერალთა კავშირის მიმართ, კულტურის სამინისტრომ „მწერლის გაზეთს“ დაფინანსებაზე უარი უთხრა.

აი, სია იმ პირებისა, ვისი ხელითაც გოკა გაბაშვილმა და მისმა მოადგილემ თათა ქვარიანმა 400 ქართველ მწერალს ანგარიში გაუსწორეს:

მალხაზ ხარბედია, ლაშა ბუღაძე, ბაკურ სულაკაური, ემზარ კვიტაიშვილი, ზაალ სამადაშვილი, ტარიელ ჭანტურია, ვაჟა გიგაშვილი.

როგორც ხედავთ, ამ სიაში მწერალი მხოლოდ ტარიელ

ჭანტურიაა (როგორც გვითხრეს, მან ერთადერთმა დაუჭირა მხარი „მწერლის გაზეთის“ დაფინანსებას) დანარჩენები მწერალთა კავშირზე სხვადასხვა მიზეზით დაბოღმილი პირები არიან სპეციალურად შერჩეულნი.

რაც შეეხება მათს მორალურ თუ შემოქმედებით ფიზიონომიას, „მწერლის გაზეთის“ მომდევნო ნომრებში გაეცნობით.

ვაი, იმ საქართველოს, სადაც გოკა გაბაშვილი და თათა ქვარიანის გადასაწყვეტია, იარსებოს თუ არა მწერალთა კავშირის გაზეთმა.

და მაინც „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“!

ქალბატონო სანდრა, აკი ბრძანეთ, პრეზიდენტამდე მივიტან მწერალთა გასაჭირსო. რა ხდება? იქნებ ჩვენი მაღალინტელექტუალური კულტურის მინისტრი გადაუდგა მიხეილ სააკაშვილს? რაო? – მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა?

დიახ, კულტურის სამინისტრომ და მწერალთა ერთმა ჯგუფმა „მწერლის გაზეთს“ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და დაფინანსებაზე უარი უთხრეს!.. ეს მხოლოდ დასაწყისია. მალე კიდევ ერთი ისტორიული განაჩენის გამოტანა მოუწევს ვარდებით მოსულ ხელისუფლებას. 1917 წელს კონსტანტინე გამსახურდიასა და კოტე მაყაშვილის თაოსნობით დაფუძნებული მწერალთა კავშირი შესაძლოა, კუთვნილი ისტორიული შენობიდან გამოასახლონ და ამით ერთი დიდი ეპოქაც დასრულდეს, რომელიც, ავად თუ კარგად, დიდი რუდუნებით ინახავდა ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა სახელებს...

იმას რაც დღეს მწერალთა კავშირში ხდება, მტერსაც არ ვუსურვებ! მას შემდეგ, რაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა, არაერთხელ მდგარან მწერლები განსაცდელის წინაშე, ზოგჯერ პირდაპირ, დაუფარავად ამბობდნენ თავიანთ სათქმელს, რისთვისაც ხერხემალში ურტყამდნენ, ხშირად ნიღბის გაკთებაც უწევდათ, მაგრამ, საერთო ჯამში, ყველანი საქართველოსათვის იბრძოდნენ და მწერლისა და შემოქმედის მოვალეობას არ ღალატობდნენ. დღეს მწერალთა კავ-



შირს ისე უჭირს, როგორც არასდროს. ასეთი დამცირებული და შეურაცხყოფილი მწერლობა კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა. მწერლებისათვის შენობის ჩამორთმევა თავში აზრად არც ნოე ჟორდანიას მოსვლია, არც სერგო ორჯონიკიძეს და არც „სისხლისმსმელად“ აღიარებულ ლავრენტი ბერიას. ახლა კი ნამდვილად ვიღუპებით და იცით, ვისგან? – ნაციონალისტთა ნიღბით მოსული მგლებისაგან.

კულტურის სამინისტრო თვლის, რომ ამ ორგანიზაციამ თავისი დრო მოჭამა, მისი ჭკუით, იგი კომუნისტური სისტემის გადმონაშთია...

ასე კულტურის უკულტურო მინისტრი გოკა გაბაშვილი და დღევანდელი ხელისუფლება ფიქრობენ. რეალურად, ეს არის სასახლე, რომელიც ქართველ მწერლებს მემკვიდრეობით დავით სარაჯიშვილმა დაუტოვა... სიმართლე გითხრათ, ამ ხელისუფლებისაგან დიდ ხეირს არც მოველოდი, მაგრამ თუ ე. წ. ნაციონალისტები მოსვლის დღიდანვე ღია ბრძოლას გამოუცხადებდნენ ქართულ მწერლობასა და შემოქმედებით ინტელიგენციას, ეს უკვე აღარ მეგონა! კარგით, მწერალთა კავშირი არ არის ეროვნული ორგანიზაცია და კომუნისტური გადმონაშთია, დამისახელეთ, ვინ არიან ნამდვილი მწერლები? იქნებ „რუსთავი-2“-ის ლაზღანდარა ლიტერატორები, ყოველ კვირას შოუ ფესტივალებს რომ აწყობენ და 24 საათში რომანსა და ნოველებს წერენ?! ნამდვილი მწერლისათვის უფრო დიდი დაცინვა და შეურაცხყოფა არ არსებობს!

მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირში ახალმა სიომ დაჰბერა, იგი ლიტერატურული ორგანოს გარეშე დარჩა, რადგან „ლიტერატურულ საქართველოს“ პრივატიზაცია გაუკეთდა. ამის შემდეგ მწერალთა კავშირის ერთადერთ გაზეთად „მწერლის გაზეთი“ გამოცხადდა, რომელსაც ხელისუფლება აფინანსებდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის მეორე დღესვე მათ ბოღმა გადმოანთხიეს და გაზეთს დაფინანსება შეუწყვიტეს, თუმცა, პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტიდან მწერალთა კავშირის დასაფინანსებლად უკვე გამოყოფილი იყო 400000 ლარი, როდესაც ამის თაობაზე კულტურის მინისტრს

მივმართეთ, მან გვითხრა, – ჩავატარებთ კომისიის სხდომას, გამოვაცხადებთ კონკურსს და თქვენს გაზეთს მხოლოდ ამის შემდეგ დავაფინანსებთო. ალბათ, ესეც წამების ერთ-ერთი მეთოდია. სპეციალურად გაიყვანეს დრო, ხოლო დღეს უკვე ოფიციალურად განგვიცხადეს, რომ გაზეთს აღარ დააფინანსებდნენ. ეს გადაწყვეტილება 7-კაციანმა კომისიამ გამოიტანა, რომელთა შორის მწერალი მხოლოდ ტარიელ ჭანტურიაა (მან ერთადერთმა დაუჭირა მხარი გაზეთის დაფინანსებას) პრაქტიკულად, ამ ადამიანებმა ნიჭიერ, ნამდვილ მწერლებს ანგარიში გაუსწორეს... ის 400 ათასი ლარი კი, რომელიც ბიუჯეტიდან მწერალთა გაზეთისათვის მწერალთა სტიპენდიებისათვის და ლიტერატურული ღონისძიებებისათვის იყო გამოყოფილი, კულტურის სამინისტროს შემოეჭამა, უფრო სწორად, რამდენიმე „საინტერესო“ პროექტი დააფინანსეს, როგორიცაა გონიოს „შოუ კონკურსი“ (24 საათში რომ რომანი უნდა დაგეწერა), „შოუ პახმელია“, „შოუ თევზაობა“ და ა. შ. ბატონებო, ჰემინგუეი რომ თევზაობდა, მას „მოხუცი და ზღვა“ უკვე დაწერილი ჰქონდა!.. უნიჭო და უსახურმა მწერლებმა – დათო მაღრაძემ, ლაშა ბუღაძემ, კოტე ყუბანეიშვილმა, ზაალ სამადაშვილმა და სხვებმა ამ ფულით ჟურნალ-გაზეთები გამოსცეს, რომლებიც სავსეა უხარისხო, უმწიფარი და გამოუმცხვარი ლიტერატურული მასალებით.

მწერლებისადმი ასეთი ცინიკური დამოკიდებულება სწორედ ხელისუფლების ბრალია, ეს ყვალფერი იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენი ერის სიამაყე წელში გადატეხონ, ქვეყანა სამომსხმარებლო, ეროვნული ღირსებებისაგან დაცლილ ნახირად აქციონ... როცა ხელისუფლება მუხრან მაჭავარიანს, ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს ტრიბუნას ართმევს და ამ ფულით უნიჭო, უვიც მწერლებს აფინანსებს, რომლებიც თამარ მეფის საწოლში იქექებიან, ჰიმნის უგერგილო ტექსტს წერენ (რომელსაც ტაშისკვრით ამტკიცებს პარლამენტი). ეს ერის სიკვდილს ნიშნავს! იქ, სადაც გალაკტიონ ტაბიძის სული ტრიალებს, ლაშა ბუღაძე, კოტე ყუბანეიშვილს, მალხაზ ხარბედიას და მისთანებს უფლება არ აქვთ, იბოგინონ!



საქართველოში მწერლის სიმრავლემ არ უნდა გაგვაკვირვოს. ქურდი და ყაჩაღი ნუ იქნება ბევრი. თავს დავდებ, რომ 450-ვე წევრი საუკეთესო მწერალია და თითოეულ მათგანში ქართული სისხლი ჩქეფს... ზურაბ ჟვანიამ, მიხეილ სააკაშვილმა და ჩვენმა კულტურის მინისტრმა არც კი იციან, ვინ არიან ეს მწერლები და რა აქვთ დაწერილი! მათი წიგნები ხელშიც კი არ აუღიათ. მეტსაც გეტყვით, ჟვანია ან გაბაშვილი ქუჩაში რომ გააჩერო და გალაკტიონის სამი ლექსის სათაური ჰკითხო, ვერ გეტყვიან.

მწერლებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და ეროვნული ინტერესების დათრგუნვა იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უჭირს. ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი ერთ დიდ კოცონად აგიზგიზდება და მასში ვარდები ისე ჩაიფერფლება, რომ ხელისუფალნი გონზე მოსვლასაც ვერ მოასწრებენ.

როგორც მწერალი, როგორც რიგითი მოქალაქე და ქვეყნის გულშემატკივარი ვურჩევ, იქნება ჯობდეს, მწერალთა კავშირის ქონებასთან მეკობრულ ქიჩმაჩს თავი ანებოს და ქართველ მწერალთა წიგნები იკითხოს ვარდებით გათამამებულმა ხელისუფლებამ. ვარწმუნებ მას, რომ ჩვენს წიგნებში არაერთ რჩევას იპოვის გონივრული სიბეცისაგან, ბეჰემოტური მადისაგან და თვალების ინბეცილური პარპალისაგან განსაკურნებლად.

გაფრთხილებთ, ისტორიას ნუ ეთამაშებით!

*ოქტომბერი, 2004*

## ამხანაგო ხელისუფლებავ

მწერალთა სასახლე კვლავ ოკუპირებულია ხელისუფლების მიერ. საბედისწერო 21 აგვისტოს შემდეგ არაფერი შეცვლილა. ხუთი ავტომატიანი პოლიციელი დღედაღამ დარაჯობს მწერალთა სასახლეს. შენობიდან გამოძევებულია

საქართველოს მწერალთა კავშირი, აფხაზეთის მწერალთა რეგიონალური ორგანიზაცია, „მწერლის გაზეთის“ რედაქცია, მწერალთა ისტორიული არქივი, ჟურნალების – „რიწას“, „იალქნის“ და „აფრას“ რედაქციები, მწერალთა ავტოგრაფებიანი უმდიდრესი ბიბლიოთეკა სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაციები...

ამაოდ დავეძებ მწერალთა სასახლეში დაცულ უნიკალურ მემორიალურ ნივთებს. ბევრი მათგანი დავით სარაჯიშვილის მიერაა ნაანდერძევი, ზოგი ან გარდაცვლილი სახელოვანი მწერლების ოჯახებმა შემოსწირეს მწერალთა კავშირს.

ერთნი გვპასუხობენ, რომ მემორიალური ნივთების (ნახატები, ხელნაწერები, სავარძლები, სკამები, მაგიდები, კარადები...) ერთი ნაწილი დიდუბის ნაგავსაყარზეა გადაყრილი, მეორენი ამბობენ, რომ სადღაც ვანის ქუჩაზე მიიტანეს და მიტაცებული ნივთების საიდუმლო საწყობში იატაკზე დაყარეს.

არ არის არავითრი აღრიცხვა.

პოლიციელები ამბობენ, რომ არ ვიცით, რას ვდარაჯობთ, ჩვენთვის კონკრეტულად არაფერი ჩაუბარებიათ. ასე რომ, წარმოდგენა არა გვაქვს, რა ნივთებია მწერალთა კავშირის შენობაშიო.

ეს იმას ნიშნავს, რომ 21 აგვისტოს სასახლე გაიქურდა. ყველაფერი განადგურდა, ყველაფერი განიავდა.

* * *

7 აგვისტოს გლდანის რაიონის საქალაქო სასამართლოში მწერალთა კავშირის სარჩელის განხილვა დაიწყო.

მწერალთა კავშირის კანონიერ საჩივარს იმის შესახებ, რომ მწერალთა სასახლე, ყველა საბუთებით (დაწყებული 1921 წლის 28 თებერვალს რევკომ შალვა ელიავას განკარულებით...) მწერალთა კავშირს ეკუთვნის და „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში იგი უსაფუძვლოდ ზურაბ ჟვანიას მხარდაჭერით, ფარულად მიითვისა ეკონომიკის სამინისტრომ, დაემატა 21 აგვისტოს დილის 4 საათზე მწერალთა კავშირის დარბევის ფაქტი.

სასამართლოზე ასამდე გამოჩენილი მწერალი მოვიდა.



უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე გიორგი გვენეტაძემ ობიექტურად, ორივე მხარისადმი გულისყურიანი დამოკიდებულებით დაიწყო პროცესი.

მხარეთა მოსმენის შემდეგ მან პირველი კერძო განჩინება გამოიტანა: უარყოფილ იქნეს, როგორც უსაფუძვლო, ეკონომიკის სამინისტორს მოთხოვნა პროცესის შეწყვეტის შესახებ და არასამართლებრივად იქნეს ცნობილი 21 აგვისტოს სპეცნაზის მიერ მწერალთა კავშირის დარბევა (ლაპარაკია შენობის დაკავების ფორმაზე, მეთოდზე...). დაევალოს ეკონომიკის სამინისტროს, წარმოადგინოს საბუთები იმის შესახებ, თუ რა იურიდიული საფუძვლები ედო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მწერალთა კავშირის შენობის ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილებად გამოცხადებას.

* * *

მწერალთა კავშირის კუთვნილი სასახლის დარბევამ და ოკუპირებამ საქართველო ხელისუფლების მიერ მსოფლიო რეზონანსი გამოიწვია.

თავი რომ დავანებოთ მწერალთა კავშირის მისამართით გამოგზავნილ თანაგრძნობის დეპეშებსა და სატელეფონო გამოხმაურებებს, რითაც მსოფლიოს ცნობილი მწერლები თანადგომას გვიცხადებდნენ. მსოფლიოს არაერთმა ტელევიზიამ უჩვენა საქართველოში პოლიტიკური მიზნით მწერალთა კავშირის დარბევის სამარცხვინო ფაქტი.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად დასცა ჩვენი დემოკრატიული ხელისუფლების იმიჯი მსოფლიოს თვალში.

* * *

29 აგვისტოს ერევნიდან მწერალთა დელეგაცია ჩამოვიდა და ოკუპანტებმა იმის ნებაც არ დაგვრთეს, რომ სომეხ კოლეგებთან ერთად მწერალთა სასახლის ბაღში მაინც ჩამოვმჯდარიყავით და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

სომეხი მწერლები, რომლებიც გაგიკ დავითიანი ხელმძღვანელობით გვეწვივნენ, რათა მათ მიერ უანგაროდ თარგმ-

ნილი ქართული პოეზიის ანთოლოგიის მაკეტი ეჩვენებინათ, გაოგნებულნი დარჩნენ.

ოქტომბერში გეგმის მიხედვით ბერძენ მწერალთა დელეგაცია გვეწვია, სად მივიღოთ,. სად წავიყვანოთ „ამხანაგო ხელისუფლებავ?“

* * *

გახსენებაზე, როგორ ხასიათზე ხართ „სახელოვანო ქართველო მწერლებო“ – ზაალ სამადაშვილო, მამუკა ხერხეულიძევ, ვაჟა გიგაშვილო, ანა კორძაია-სამადაშვილო?

რაო, მიაღწიეთ თქვენსას?

გამოდევნეთ რუსთაველის და გალაკტიონის აჩრდილები საქართველოს მწერალთა სასახლიდან?

რა პირით შეხვალთ და დაიკავებთ იმ ისტორიულ სასახლეში ჭაბუა ამირეჯიბის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის და სხვათა ადგილებს?

არ შეგრცხვებათ?

ძალიან ცოტანი და ძალიან პატარანი ხომ არ ხართ იმისათვის, რომ ხელისუფლების მხარდაჭერით მოპოვებულ ამ სავანეში „გაშალოთ ფრთები?“

სად მიუდიხართ ცოდოს, ან იმ წყევლას სად დაემალებით, რითაც დაგწყევლით მთელი გონიერი საქართველო და ასი წლის პოეტი – დედა მარიკა ბარათაშვილი?

იქნებ გგონიათ, რომ თქვენ მიერ უსინდისოდ მოპოვებულ „პოსტებზე გვერდით მოგიჯდებიან ლაშა ბუღაძე, ნუგზარ შატაიძე, როსტომ ჩხეიძე, დათო მაღრაძე, აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი?..

რა მწარედ შეცდით, ძვირფასებო.

მწერალთა სასახლის მწერალთაგან დამცველმა ერთმა პოლიციელმა „მწერლის გაზეთის“ თანამშრომელს ამასწინათ უთხრა;

„მე ვმონაწილეობდი 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე მწერალთა კავშირის აღებაში. ღამის 12 საათზე შეგვკრიბეს სპეცრაზმელები და გამოგვიცხადეს – მწერალთა სასახლეში ამ სამი დღის წინათ ლტოლვილები და ვიღაც უცნობი მოქალაქეები შეიჭრნენ და დაუყოვნებლივ უნდა გავუთავისუფლოთ ქართველ მწერლებს შენობაო. მეგონა, პატრიოტულ საქმეზე მივდიოდი.



შეიარაღებული წინააღმდეგობა რომ არავინ გაგვიწია, სასახლეში რომ შეჭრილები ვერ აღმოვაჩინეთ და ერთი კაბინეტის კარებზე „რევაზ მიშველაძე“ რომ ამოვიკითხე, მივხვდი, რაც ჩაგვადენინეს, მაგრამ უკვე გვიან იყო“...

* * *

მორცხვად სდუმან ჩვენი „ქველმოქმედი“ მილიარდერები.

ისინი პრეზიდენტის თითის ქნევით დააფინანსებენ ყოველგვარ შოუ-სისულელეს, მაგრამ იმას როგორ გაბედავენ, მწერალთა კავშირს ამ ძნელბედობის დროს თუნდაც პატარა, სამოთახიანი ბინა შეუძინონ, რათა დარბეული კავშირი ერის სახელოვან შვილთა, იმ პაწაწიკინტელა ნავსაყუდელს დროებით მაინც შეეფაროს.

ყოჩაღ, ფხიზელო მილონერებო. ასე უნდა ხელისუფლების მხარდაჭერა.

რაკი პრეზიდენტს მწერლები სძულს, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც უნდა გძულდეთ.

ნუთუ ისე გაგეყინათ სული, რომ არც ერთ თქვენგანს აღარა აქვს ფეშენებლურ ბინაში რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გამსახურდიას, ჭაბუას, ანა კალანდაძის წიგნები?

* * *

ყველაზე გასაკვირი ის გახლავთ, რომ როცა მწერალთა კავშირის დარბევაზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, საქართველოს პრეზიდენტი კრინტსაც არ სძრავს.

ერთსიტყვიან კომენტარსაც არ აკეთებს.

თქვი, არ ვიცოდი-თქო, მე გრიგოლ აბაშიძის შვილიშვილი, და ქართველი დემოკრატიის მამა მწერალთა კავშირი დარბევის ბრძანებას როგორ გავცემდი-თქო.

თავის მართლება მაინც სცადე, რამე მაინც თქვი, შე კაი კაცო!

*ოქტომბერი, 2007*

# აუცილებელია თუ არა...

როგორც იქნა, დაამტკიცა ახალი საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა.

რაღა თქმა უნდა, კოდექსს უამრავი ნაკლი აქვს.

ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხელიდან არ გაუშვეს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა; თავი მოიკლეს და არ დათანხმდნენ არჩევნების ელექტრონულ-კომპიუტერული წესით ჩატარებაზე, რაც გაყალბებას მინიმუმამდე შეამცირებდა.

აქაოდა, ჩვენ კომპიუტერიზებული ქვეყანა ჯერ კიდევ არა ვართო.

აქაოდა, ან ნახევრადპაპუასურ საქართველოში როგორ შეიძლება ელექტრონული არჩევნების ჩატარება, როცა თბილისის გარდა (სადაც 1 სექტემბრიდან დენზე „მცოცავი“ გრაფიკია) მთელი საქართველო ჩაბნელებულიაო.

გამოსავალი ის იპოვეს, რომ მარკირების წესი შემოიღეს და ამომრჩეველს ფერმის გოჭებივით დადაღავენ.

სრულ უკონტროლობასთან შედარებით ეს წინგადადგმული ნაბიჯია.

„გენიალური გამყალბებლები“ კარუსელს მაინც ვერ დაატრიალებენ.

დაცხრა ვნებები ბეიკერის უბადლო აღმოჩენის 9+5+1-ის შესახებ.

ორივე მხარე – ოპოზიციაც და პოზიციაც ღაღადებს: სწორედ რომ ბეიკერის ვარიანტი დავამტკიცეთო.

ბოროტი ენები კი ამბობენ, ქართული პოლიტიკა ბეიკერის ჩამოსვლის დროს უკვე ქანაობდა რუსეთისკენ შესაბრუნებლად და ბეიკერის „პროგრამა“ მაინცდამაინც არ ეხამუშა პრეზიდენტსო.

განაწილდა ადგილები ცსკო-ში. არაერთი პარტია გულდაწყვეტილი დარჩა ამ განაწილებით. ყოველ შემთხვევაში მგელი და კრავი ცსკოს შიგნით თუ გაერთიანდებიან, მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი სახელისუფლებო ტოტალური გაყალბების მიღწევა.



მგლის და კრავის ერთად ძოვა კი ნაკლებად მოსალოდნელია.

... და მაინც ერთი მიუტევებელი ნაკლი აქვს ახალ საარჩევნო კოდექსს:

კოდექსის თანახმად, პარლამენტის წევრობის კანდიდატისთვის აუცილებელია სახელმწიფო ენის (ქართული ენის, ცოდნა), ოღონდ იქვეა მიწერილი – ეს მუხლი ძალაში შევიდეს 2005 წლიდანო.

საპარლამენტო არჩევნები, როგორც მოგეხსენებათ, ტარდება 2003 წლის 2 ნოემბერს.

ესე იგი ახალი საარჩევნო კოდექსის თანახმად, ამ არჩევნების ჩატარების დროს პარლამენტის მომავალი წევრისათვის ქართული ენის ცოდნა აუცილებელი არ არის.

ჯერჯერობით, სურთ თუ არა ეს საქართველოს მტრებს, საქართველოს პარლამენტი მხოლოდ ქართული ენაზე ატარებს პლენარულ სხდომებს.

ამის მიუხედავად, დღეს პარლამენტში 5-6 ისეთი არაქართველი პარლამენტარია, ქართული ინჩი-ბინჩი რომ არ ეყურება.

სად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში დაუშვებენ, რომ პარლამენტის წევრმა სახელმწიფო ენა არ იცოდეს?

რა ამბავი უნდა მიუტანოს ამომრჩეველს იმ პარლამენტარმა სხდომაზე ყურ-მუნჯივით რომ ზის, ან რა კანონშემოქმედებით საქმიანობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა?

საარჩევნო კოდექსის „დიდოსტატმა“ ვ. ხმალაძემ ეს „მსოფლიო გამონაკლისი“ იმით ახსნა, რომ 2005 წლამდე მივცეთ ვადა პარლამენტის წევრს ქართული ისწავლოსო.

განა ეს სასაცილოზე სასცილო არ არის?

2003 წელს ავირჩევთ ქართულის უცოდინარ პარლამენტის წევრს პარლამენტის წევრად. ორი წლის განმავლობაში იგი ბაიბურში (ბაიბურთში არ აგერიოთ) არ იქნება, რა ხდება პარლამენტში, ორი წლის შემდეგ კი მოწაფე-პარლამენტარი ან ისწავლის ქართულ ენას ან არა.

სახელმწიფო ენას მაშინ ისწავლის უცხოტომელი მოქალაქე, როცა ეცოდინება, რომ მას სახელმწიფო ორგანოში არ აირჩევენ ამ ენის ცოდნის გარეშე.

წესიერ სახელმწიფოში პარლამენტის წევრად აგირჩევენ კი არა დამლაგებლად არ დაგნიშნავენ, თუ სახელმწიფო ენა არ იცი.

გამონაკლისების ასპარეზი მარტო უნაპირო ინტერნაციონალიზმის ქვეყანა – პოლიეთნიკური საქართველოა.

ამ უპატრონო საქართველოშია ყველაფერი დასაშვები.

ორი წლის მერე რომ გვითხრას პარლამენტში ავანსად არჩეულმა არაქართველმა, ვერ მოვასწარი, ამ ორ წელიწადში ქართულის შესწავლა და ვადა კიდევ ორი წლით გამიგრძელეთო?

რას ვიზამთ მაშინ?

რას ვიზამთ და შევიტანთ ცვლილებას საარჩევნო კოდექსში: პარლამენტის წევრისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა 2007 წლიდან იყოს აუცილებელიო.

კანონი ჩვენს ხელთ არ არის?

ქოთანს ყურს საითაც გვინდა, იქეთ გამოვაბამთ.

*2003*

## „გაიმარჯვეს“...

ოთხი წლის განმვალობაში ცდილობდნენ პარლამენტის ეროვნული ძალები (ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის თანმიმდევრული მებრძოლი პარლამენტის 235 წევრიდან ათიოდე თუ იქნება) წინა პარლამენტის მიერ საქართველოში გაუქმებული ეროვნების აღდგენას, მაგრამ ამაოდ.

ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ყოველ პლენარულ სხდომაზე შევახსენებდი საკანონმდებლო ხელისუფლებას – სირცხვილია ილია ჭავჭავაძის ქვეყნის მოქალაქეს რომ არცერთ საბუთში ეროვნება არ უწერია-მეთქი;.

ოთხი წლის განმავლობაში თერთმეტჯერ ვიყავი ქვეყნის პრეზიდენტთან ეროვნების აღდგენის პრობლემასთან დაკავშირებით და როდესაც შეთნხმება მიღწეულ იქნა, ერთბაშად გაირკვა ფრიად სავალალო რამ:



პრეზიდენტი მომხრეა მოქალაქეს საბუთებში ეროვნება ჩაეწეროს, მაგრამ უძლური აღმოჩნდა გადაელახა პარლამენტის იმ ძალების წინააღმდეგობა, რომლებსაც „ეროვნება – ქართველის“ გაგონებაც კი არ სურდათ.

მსოფლიოში ვერ მოძებნით მეორე ქვეყანას, სადაც მოქალაქეს პასპორტში ნაციონალობა (ეროვნება) არ უწერია – მეთქი, ვუმტკიცებდი პარლამენტს, მაგრამ ყური არავინ მათხოვა.

ბოლოს შეღონებულმა შეთანხმების ხერხს მივმართე:

კარგი ბატონო, რაკი პასპორტში ცვლილების შეტანა არ გსურთ, პირადობის მოწმობაში მაინც შევიტანოთ ეროვნება-მეთქი.

უარი მითხრეს.

კარგი ბატონო, რაკი პირადობის მოწმობაში არ გამოდის, იქნებ დაბადების მოწმობაში მაინც შეგვეტანა ეროვნების გრაფა-მეთქი.

უარი მითხრეს.

კარგი ბატონო, რაკი „ევროპელები“ ვართ, იქნებ ისე გავაკეთოთ როგორც ევროპულ ქვეყნებშია; ყველა მოქალაქეს ავტოქტონური ერის ეროვნება ჩავუწეროთ საბუთებში-მეთქი.

ამაზეც უარი მივიღე.

ბოლოს ხავს ჩავებღაუჭე: იქნებ პირველად სარეგისტრაციო აქტში მაინც შევიტანოთ ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა-მეთქი.

ამაზე პარლამენტის ხელმძღვანელობა გარეგნულად დამთანხმდა, მაგრამ მესამე მოსმენაზე ამ ბოლო ცვლილების გარეშე დააყენეს საკითხი კენჭის საყრელად, ისე რომ ჩემთან კანონპროექტის ავტორთან არ შეუთნხმებიათ.

გამარჯვება იზეიმა პარლამენტის ურაკოსმოპოლიტურმა ნაწილმა.

გაიმრჯვეს იმ ძალებმა, ვისაც დიდი სურვილი აქვს „ქართველი“ აღარ ჭაჭანებდეს საქართველოში, რაკიღა თვითონ, ეთნიკური წარმომავლობის გადამკიდეთ, ამ პუნქტში საკმაოზე მეტად უჭირთ.

კიდევ კარგი პრეზიდენტმა ვეტო დაადო პარლამენტის მიერ მიღებულ ამ დრაკონულ კანონს.

2 ნოემბერს მოვა ახალი პარლამენტი და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

*აპრილი, 2003*

## სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება

ხელისუფლების გმობა უკვე ყელში ამოუვიდა მკითხველს. ახალს თითქმის ვეღარაფერს იტყვი, მოდით, ოპოზიციაზე ვისაუბროთ.

პარლამენტში ოპოზიცია მიიღებს ნანატრ ადგილებს. დიახ, ოპოზიციის დღევანელ „ბელადებს“ სააკაშვილი პარლამენტში საიმედოდ დააბინავებს. ასე რომ ისინი სულ ამაოდ შფოთავენ და ამაოდ ამტვრევენ ერთი ადგილით კაკალს.

მერე, ლიდერები პარლამენტის ტრიბუნიდან გააგრძელებენ ცეცხლოვან გამოსვლებს, საქართველო კი ძველებურად დარჩება შიმშილის, ძალმომრეობის, კირთების ქვეშ.

და თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალი არჩევნების, ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ყველაფერი იქითიკენ მიდის.

ხომ ხედავთ, როგორ დაერია სააკაშვილი იმ რაიონების გუბერნატორებს და პოლიცმეისტერებს, სადაც არჩევნები წააგო? ყველგან თავის ხალხს დასვამს და მომავალ საარჩევნო გაყალბებას საფუძველს გაუმაგრებს.

მსოფლიოში არ არსებობს უფრო სამარცხვინო ინსტიტუტი, როგორიცაა უცხოელი დამკვირვებლების და ეგზიტ-პოლების ინსტიტური, ორივემ ისე შეირცხვინა საპრეზიდენტო არჩევნებზე თავი, რომ მე მგონი, ორივე „სამსახურზე“ უარი უნდა ვთქვათ.

ოპოზიციას დავუბრუნდეთ, ისინი ამბობენ, რომ შეთანხმებული, თანამიმდევრული ბრძოლით შეძლეს სააკაშვილი



გაეტეხათ და მისთვის ხალხისთვის სასარგებლო ზოგი დათმობა ხელიდან გამოეგლიჯათ. ეს ხომ ტრაბახია.

იქნებ სულის შემხუთავი გადასახადები გააუქმებინეს, ან სამუშაო ადგილები დაიყარა, ან ინფლაცია შეჩერდა და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით თუნდაც ერთი ღონიერი ნაბიჯი გადაიდგა? სააკაშვილი ის სააკაშვილი აღარ არისო, რაზე ეტყობაო. იქნება მწერლებს კუთვნილი სასახლე დაუბრუნა. ან უსამართლოდ ოტებული ჟურნალისტები შეასახლა მათსავე „სამშობლოში“, ან ლომაიასაგან იავარქმნილი, დილეტანტების და უნიჭო „რეფორმატორების“ ხელში ჩავარდნილი უნივერსიტეტი აღადგინა? დააბრუნა უმაღლეს სასწავლებლებში მისი შნო და ჯავარი – სახელოვანი პროფესურა?

პოლიტიკაში, სიტყვა „აპირებს“ არ მუშაობს. როცა გააკეთებს, მაშინ ვილაპარაკოთ. ჯერჯერობით ის ჩანს, რომ ხალხისთვის საძულველი მინისტერები ლომაია, გაბაშვილი და არველძე მოაშორა სკამებს, მაგრამ მათ მიერ გაოხრებული საქმეები იგივე დარჩა. პირიქით, მტაცებელი მინისტრის მემკვიდრენი ამაყად აცხადებენ. დაწყებულ რეფორმებს გავაგრძელებთო. ნუთუ ის ფაქტიც არას გეუბნებათ, რომ ჩვენი ტრდიციული განათლების სისტემის დამქცევი, ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის დაუძინებელი მტერი, კახა ლომაია ჯერ კიდევ სახელმწიფო თანამდებობაზეა და ზოგჯერ მისგან გაუბედურებული ადამიანების ნერვებზე მოსაშლელი ტელევიზიიდანაც კი გვმოძღვრავს, თითქოსდა ამ საკადრო ცვლილებებს სააკაშვილი მასთან ათანხმებდეს – ასეთი რიხით გველაპარაკება.

დაიწყო დიალოგიო ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის. სწორედ ეგ დიალოგია ქართველი ერის ოცნებების ჩაძირვისკენ მიმართული. სააკაშვილმა ოპოზიციას სალაყბო მოუწყო. გინახავთ, თუნდაც ერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა ნინო ბურჯანაძის მიერ გადაწყვეტილი? ახლა კი არა, თუნდაც მაშინ, როცა იგი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო?

დიალოგის რამდენიმე რაუნდი უკვე ჩატარდა.

აი, სწორედ ეგ „რაუნდებია“ თავისი შედეგებით სასაცილოზე სასაცილო. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება იმას დაუშვებს, რომ საარჩევნო კომისიაში ყბადაღებული ექვსი-შვიდზე ოპოზიციის სასარგებლოდ იყოს? რამდენიმე ვეგეტარიანულ მოთხოვნას დაუკმაყოფილებენ ოპოზიციას და ჩაძირავენ კმაყოფილების ნირვანაში, რათა არჩევნების შემდეგ ქართველ ხალხს სულთათანა უმღერონ.

საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს მოგება ხომ შევძელითო, გაჰყვირიან.

რას აკეთებდა წინა სამეთვალყურეო საბჭო? არაფერს. ასეთი „საბჭო“ იქნება ახლაც. როგორ ფიქრობთ, რამდენჯერაც შალვა ნათელაშვილი ტელევიზიით გამოსვლას მოისურვებს, იმდენჯერ შეიკრიბება სამეთვალყურეო საბჭო – დავრთოთ ნება თუ არაო? არ დაიჯეროთ. მთავარია ტელევიზიის დირექტორი იყო ნეიტრალური, გაწონასწორებული, ეროვნული კაცი, რომელიც ოპერატიულად წარმართავს ტელევიზიის მუშაობას. ასეთი კაცის დანიშვნას კი ხელისუფლება ცოცხალი თავით არ დაუშვებს. ისე რომ „საზოგადოებრივი ტელევიზია“ ჭეშმარიტად საზოგადოებრივი არასოდეს იქნება. არადა სწორედ ეს მოთხოვნაა ძირითადი ოპოზიციის 17-პუნქტიან მემორანდუმში. მე რომ მკითხოს კაცმა, საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობას მშვენივრად გაართმევდა თავს მაყვალა გონაშვილი.

მწერალთა კავშირის განცხადებაში წერია: სააკაშვილი ქართველ ერს არ აურჩევია, მისი პრეზიდენტობა ძირითადად ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო უბნებში აღებულ ხმათა 90%-ით გადაწყდა.

მიზეზიც და საფუძველიც გახლავთ ის, რაზეც ქართველი მწერლები ერს ყელის გაგლეჯამდე ვაფრთხილებდით, არიქა! დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვდგავართო. დღეს საქართველოში ქართველთა რაოდენობა 45%-ია. გამრავლების ტემპი უფრო სავალალო შედეგს გვიქადის. ასი წლის შემდეგ საქართველოში ქართველები 34 პროცენტი ვიქნებით. ე. ი. საქართველო როგორც ეროვნული სახელმწიფო აღარ იარსებებს.



მიუხედავად გლობალიზაციის შემოტევისა, მთელი მსოფლიო ეროვნულ სახელმწიფოებრიობის შექმნისკენ ისწრაფვის. გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა. მხოლოდ საქართველოში სურს ამერიკას ააშენოს არაეროვნული, ექსპერიმენტული სახელმწიფო და ამიტომაც გააუქმა სააკაშვილმა ეროვნება „ქართველი“.

ამერიკა რომ უჭერს მხარს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ეგეც შორს გამიზნული ნაბიჯია, ჯერ ერთი კოსოვოში ამერიკამ უზარმაზარი სამხედრო ბაზა გამართა, რითაც მთელს ევროპას შიშის ქარი ჩაუყენა მუხლებში. მეორეც, კოსოვოს დამოუკიდებლობა ამერიკას პირველ რიგში რუსეთის დასაშლელად (და იქნებ საქართველოს დასაშლელადაც) სჭირდება. ჩვენ ვერ ვხვდებით, თორემ რუსეთი ამას ძალიან კარგად ხვდება.

საქმე შეიძლება ისე წავიდეს, რომ ერთ დღეს საქართველოში პრეზიდენტის არჩევა ქართველ ხალხს აღარ ეკითხებოდეს?

ეს, სამწუხაროდ, ზოგს რომ შორეული პერსპექტივა ეგონა, უკვე მოხდა 2008 წლის 5 იანვარს.

გთხოვთ სწორად გამიგოთ. ქართული ტოლერანტობა მეც ძვალ რბილში მაქვს გამჯდარი დავით აღმაშენებლის ნაანდერძევი. ჩემი წიგნები აზერბაიჯანშიც და სომხეთშიც არაერთგზის გამოსულა და ბევრი სტრიქონი მიმიძღვნია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ძმობისთვის. ასე რომ ე. წ. ეროვნულ უმცირესობათა სიყვარულს მე ვერავინ მასწავლის. მაგრამ, როგორც ხედავთ, ეროვნული უმცირესობა უკვე აღარ არის ეროვნული უმცირესობა და ჩვენ ახალ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ჯერჯერობით ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები არ აქტიურობენ საარჩევნო მარათონში. ქართველების ქვეყანაა და ქართველს ვინც უნდათ, ის აირჩიონ პრეზიდენტადო. ამათი უმეტესობა არჩევნების დროს სახლიდანაც არ გამოდის. ამით სარგებლობენ „სახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ ბნელი ჩინოვნიკები და საარჩევნო ყუთებში ხმებს ჰყრიან.

აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მარნეულში ერთი ამომრჩევლის ხმის მიცემას მხოლოდ 12 წამი სჭირდებოდა?

ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ საქმეს. განა ბევრი აღმოჩნდება „მოძმე ერების“ წარმომადგენელთაგან ისეთი, რომელიც თავს დასდებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დაზუსტებაზე, ილიას იდეების ხორცშესხმაზე, საქართველოში ქართული ფენომენის დომინანტობაზე... თავს ნუ მოვიტყუებთ, მხოლოდ ქართველი თუ დაიძახებს; ქართულმა თეატრმა რაც შეიძლება მეტი ქართული პიესა დადგასო. ეს სრულიად ბუნებრივი რამ არის. ეროვნული გენი ათასწლეულებს უძლებს (ებრაელთა მაგალითი გაიხსენეთ). ასე რომ 1000 წლის შემდეგაც ასე იქნება. ამიტომაც მამაჩემსა აქვს ცხონება, საქართველოში ქართველთა გამრავლებაზე ვიზრუნოთ, თორემ უქართველო საქართველოში ყველაფერი გვიან იქნება.

შეუძლია თუ არა ოპოზიციის ლიდერებს წერტილი დაუსვან საქართველოში ნაციონალისტთა ავბედით პარპაშს. იხსნან ქვეყანა ყავისფერი ჭირისაგან?

შეძლებენ, თუ სწორი გზით ივლიან, თუ წამდაუწუმ არ აფეთქდებიან ხელისუფლების მიერ ყოველ ნაბიჯზე ჩადებულ ნაღმზე. ვგულისხმობ პატარკაციშვილ-გელბახიანის აფეთქებასაც.

გელბახიანს კარგად ვიცნობ, უნიჭიერესი იურისტია. 5 წელი ერთად ვიყავით პარლამენტში. კანონის წერისას იურიდიულ მხარეზე რომ წავიფორხილებდით, ვალერისკენ გავრბოდით. ყველა მუხლი ზეპირად ახსოვდა, ბადრიც გაწონასწორებული და ჭკვიანი კაცი მგონია. უჭკუო კაცი მილიარდებს ვერ დააგროვებდა. მისი ერთადერთი შეცდომა, ალბათ, ის იყო, ვარდების რევოლუციას რომ დაუდგა გვერდით. არ შეიძლება უმადურობა. რამდენ უპოვარს და დავრდომილს შეეწია, სპორტი წელში გამართა – ეს ყველაფერი წყალში უნდა გადავუყაროთ? რაც შეეხება „სასწაულებრივ“ ჩანაწერებს, მე კომენტარს ვერ გავუკეთებ. ვფიქრობ, ობიექტური გამოძიება ბევრს რასმე მოჰფენს ნათელს. თუ გახსოვთ, სანთელივით კაცს კოკო გამსახურდიასაც დასწამეს რუსეთის ჯაშუშობა



და „მოკლემეტრაჟიანი ფილმების“ ჩვენების მეორე დღეს – ბევრი გაიძახოდა: ზვიადის შვილისაგან ამას არ მოველოდითო. დასკვნის გაკეთებას ნუ იჩქარებთ – მეთქი, ვყვიროდი. მალე გაირკვა, რომ კოკოს მთელი „ჯაშუშობა“ იმით დაიწყო და იმით დამთავრდა, რომ ზვიადის გადმოსვენების საკითხზე მასთან სტუმრად რუსეთის საელჩოს რომელიღაც თანამშრომელი მივიდა. ეს იყო სულ.

ოპოზიციის ლიდერების ავტორიტეტი სასწორზე დევს. ყველა მათგანი ახლა მხოლოდ იმიტომ ყელყელაობს, რომ უკან სააკაშვილის უგერგილო მმართველობით გაწამებული ორას ათასიანი დემონსტრანტი და თითქმის მთელი საქართველო უდგას. მაგრამ ეს ლაშქარი მუდმივად როდი შეაჩერდება ოპოზიციურ ეროვნულ კომიტეტს.

იყო 2 ნოემბერი, 7 ნოემბერი, 13 იანვარი და 20იანვარი... ზღვა ხალხი იმიტომ კი არ გამოვიდა ქუჩაში, რომ ბელადების საყვარელი სახეები დაენახა და მათი „ცეცხლოვანი“ გამოსვლები მოესმინა. როცა შენ ჩაასეირნებ ამხელა ლაშქარს და ყოველგვარი შედეგის გარეშე შინ გაუშვებ, მეშვიდე დაძახილზე ის ხალხი განახევრდება, ხოლო მერვე დაძახილზე სხვა ლიდერს მოძებნის, ან თავის საქმეს თვითონ მიხედავს.

ათასი ქმედითი ფორმა არსებობს ხელისუფლებაზე პრაქტიკული ზემოქმედების – გავაჩერებდი პარლამენტის წინ მრავალათასიან დემონსტრაციას, ავირჩევდი 9-კაციან დელეგაციას და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს დაუყოვნებლივ მოვთხოვდი გაყალბებული არჩევნების II ტურის დანიშვნას, ან ხმების ხელახლა გადათვლას. ზემოქმედების სხვა ფორმებიც არსებობს: საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადება. ხელჩაკიდებულ დემონსტრანტთა დადგომა პარლამენტის და სახელმწიფო კანცელარიის კარებთან, მასობრივი შიმშილობის დაწყება კანცელარიის მოედანზე და ა. შ. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ პარლამენტში შევარდნით ძალაუფლების ხელში აღებას და პარლამენტარების პანღურის ცემით გამოყრას, რაც სააკაშვილმა 2003 წლის 23 ნოემბერს გააკეთა.

ასე რომ ოპოზიციის პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა ზღაპარი და ქიმერაა.

სააკაშვილი პარლამენტს არამც და არამც არ დათმობს. არჩევნები კვლავ გაყალბდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ფინასურ-ადმინისტრაციული რესურსი ხელისუფლების ხელშია.

მერე რა მოხდება?

რაც თავში მოგახსენეთ. ოპოზიციის ლიდერები მოხვდებიან პარლამენტში და იქედან დაგვმოძღვრავევნ – რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არ არისო. ბევრი ვეცადეთ თქვენთვის, მაგრამ ძლივს მოვახერხერთ ჩვენთვისო. გაძლევთ პირობას, რომ პარლამენტში მუხლჩაუხრელად ვიბრძოლებთ, თქვენ კი წაბრძანდით შინა და ხუთი წლის შემდეგ რომ პრეზიდენტობის არჩევნები ჩატარდება, იმ არჩევნებისთვის მოემზადეთო.

აი, ამას კი ილაჯგაწყვეტილი საქართველო აღარ მოუთმენს არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას.

აღდგომა და ხვალეო...

*2008*

## „ვირთხები“ უკვე გარბიან

რა არის თანამედროვე საქართველოს უმთავრესი პრობლემა?

სამი რამ: 1. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება, 2. ეკონომიკური აღორძინება; 3. ეროვნულიო ფენომენის გაძლიერება, უმთავრესი მაინც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაა.

როგორ წყვეტს დღევანდელი ხელისუფლება ამ სამი პრობლემის გადაჭრის საკითხს?

არა თუ ვერ წყვეტს – არც ცდილობს ჩვენი მატყუარა ხელისუფლება. რუსმა უკვე დაამთავრა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსია და ესენი ამბობენ, მალე დავიბრუნებთო. არ მუშაობს არც ერთი სახელმწიფო ეკონომიკური თუ სამრეწველო უწყება. კერძო ფირმები რაღაცას ჩირთიფირთობენ... მირბენს სააკაშვილი სხვის აწყობილ საწარმოში, მაკრატელს მოიმარჯვებს და ბავშვივით უხარია. არა და რა შუაშია პრეზიდენტი? ფირმის პრეზიდენტები უარს არ ეუბნებიან – უხარია ბავშვს და გაერთოს, გაჭრას ლენტიო. გაყიდულია მთელი საქართველო ციანმიწიანად და ბოლოს ასეთი არაეროვნული ხელისუფლება მსოფლიოს ისტორიის მთელს მანძილზე არცერთ სახემწიფოს არ ჰყოლია. სააკაშვილის ხელისუფლებამ გააუქმა ეროვნება „ქართველი“, გაანადგურა მწერალთა კავშირი, დაარბია რედაქციები, მიწასთან გაასწორა ტელეარხი „იმედი“, ფაქტობრივად გააუქმა მეცნიერებათა აკადემია, გააცამტვერა უნივერსიტეტი, მოშალა განათლების სისტემა, ფეხით გათელა ქართული თეატრი და კინო... სხვა რაღა გნებავთ? იქნება ყურით დაჭერილი სასამართლო სისტემა და შარშანდელი 7 ნოემბერიც გაგახსენოთ?

ნინო ბურჯანაძის სახით ამ სულგაყიდულ, სოროსელ ხელისუფლებას დიდი ბურჯი გამოეცალა. ფაქტობრივად ნაციონალისტთა მონოლითური რაზმი დაიშალა. იმდენად იყო სააკაშვილი გაბრაზებული, რომ ისღა მოახერხა – ბურჯანაძე პატრიოტიაო. თუ პატრიოტია, გაგზავნოს პატრიოტთა ბანაკში.

ნინო უნდა გადამდგარიყო შარშან, 7 ნოემბერს, ან მარტის შიმშილობების პერიოდში. ახლა მისი გადადგომა ისე უსახელოდ წასვლაა, როგორც უსახელო იყო მთელი მისი მოღვაწეობა ქართულ პოლიტიკაში. ნინოს იმის გამბედაობაც არ ეყო, პირდაპირ ეთქვა: არ მომწონს სააკაშვილის პოლიტიკა და ამიტომ მივდივარო. საარჩევნო სიასთან შეუთანხმებლობის მომიზეზებით ნინომ კიდევ უფრო დაიპატარავა თავი, რომ იტყვიან, ღვინის ქურდი მთხლეს გადააყოლეს.

როცა ქვეყანა იღუპება და ჯერ კიდევ მუხლები მერჩის, გადავწყვიტე ბოლომდე ვიბრძოლო. ახლა განზე განდგომა ღალატის ტოლფასია. თუ ამირჩიეს, პირველ რიგში ეროვნებას დავუბრუნებ საქართველოს. ჩვენს ეროვნულ ფენომენს მივხედავ: აკადემიის, უნივერსიტეტის, შემოქმედებითი კავშირის, თეატრის, კინოს, თავისუფალი ჟურნალისტიკის აღდგენისთვის ვიბრძოლებ... წართმეული ტერიტორიების დაბრუნების, სასამართლოს გათავისუფლებისა და ეკონომიკის

აღდგენისთვის ვიღვაწებ, რაც შემეძლება. სულმა და გულმა ლეიბორისტებისკენ იმიტომ გამიწია, რომ იგი სწორედ რომ ეროვნული პარტიაა. შალვა ნათელაშვილი შეურცხვენელი, შეუპოვარი, მდგრადი შეხედულებების კაცია, სწორედ მასზე დაყრდნობა და მისი მიყოლა მართებს საქართველოს.

როგოც მოველოდით, სააკაშვილმა წინასაარჩევნო პიარად გაავრცელებინა თავის ლაქია ტელევიზიას ხმა – მწერლებს შენობას ვუბრუნებო, მაგრამ იმდენად დიდია მის გულში ზიზღი ქართველი მწერლების მიმართ, რომ ნინო ბურჯანაძეს უბრძანა, არ გაეტანა პლენარულ სხდომაზე ნოდარ გრიაგალაშვილის მიერ შედგენილი პროექტი ქართველ მწერალთათვის (ზოგადად) მწერალთა ისტორიული სასახლის დაბრუნების შესახებ. ამით ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ ჩამოიხსნა ნიღაბი და დაამტკიცა, რომ ჭირივით სძულს ყოველივე ეროვნული.

რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ფაქტობრივად იგი უკვე აღარ არსებობს. სანტექნიკოსმა კახა ლომაიამ იგი აქცია პოლიტიკურ კოლეჯად. სადაც, უმცირესი გამონაკლისის გარდა, ნაციონალებისა და სოროსის ერთგული „პროფესორები“ დააბიჯებენ. სააკაშვილის დასტურით ლომაიამ და ხუბუამ უნივერსიტეტიდან განდევნეს ეროვნულად მოაზროვნე ყველა მეცნიერი. არავითარი კონკურსი უნივერსიტეტში არ ჩატარებულა. არც მეცნიერული შრომები მიუღიათ მხედველობაში, არც ლექციის ხარისხი და არც ეროვნული ავტორიტეტი. სოროსელმა ლომაიამ ჩამოწერა სია, ვინ უნდა დარჩენილიყო უნივერსიტეტში და ვინ არა. ეს სია ბელა წიფურიამ აახლა ლომაიას ყურმოჭრილ მონას – გია ხუბუას და ასე „გაიწმინდა“ უნივერსიტეტი.

მე უნივერსიტეტში აღარა ვარ.

რა თქმა უნდა. როცა ქვეყანა ინგრევა, ჩემი უბედურება რა მოსატანია, მაგრამ უნდა გითხრათ: დღეს ფილოლოგიის ფაკულტეტზე სამი სრული პროფესორია, სამი საეჭვო დონის მეცნიერი – ელგუჯა ხინთიბიძე, რისმაგ გორდეზიანი და ირმა რატიანი (ეს უკანასკნელი ამავე დროს ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორიცაა, როგორც შეუცვლელი). სამივეს ერთად რომ შეეკრიბა მეცნიერული შრომების რაოდენობა (თუნდაც ხარისხი) და ასპირანტ-დოქტორანტების რიცხვი ქულების რაოდენობით მაინც კოჭებამდე ვერ მომწვდებოდნენ, მაგრამ ჩემთან შედარებით ერთი „უპირატესობა“ ჰქონდათ, სააკაშვილის ერთგულ პირთა სიაში მოიაზრებოდნენ. მათ ხომ ხელი არ მოაწერეს უნივერსიტეტის დანგრევის საწინააღმდეგო რეფერენდუმს.



აღარ ფუნქციონირებს გალაკტიონისა და გამსახურდიას კაბინეტები! აღარ არსებობს კათედრა! – უნივერსიტეტში ყველა კათედრა გააუქმეს. აღარ არის ასპირანტურა. გაუქმდა სამეცნიერო საბჭოები, ჩემი 11 ასპირანტი ძველი ინერციით სახლში დადის ჩემთან და კონსულტაციებს ღებულობს. ჩემ მიერ დაარსებულ თანამედროვე ლიტერატურის ყოფილ კათედრაზე დღეს ორი წერა-კითხვის მცირე მცოდნე პარპაშებს – თამუნა პაიჭაძე და რუსიკო ნიშნიანიძე. გეუბნებათ რამეს ეს სახელები? ამათ რა უნდა ასწავლონ სტუდენტებს? სოროსელებმა: ლომაიამ და წიფურიამ სწორედ ისინი შეარჩიეს კოლეგებისადმი დაუნდობლობის, ნიჭისა და დაბალი მეცნიერული დონის გამო (რომ უფრო მეტად დაემცირებინათ უნივერსიტეტი). ორივე სასაცილო და ამბიციური პიროვნებაა. როცა უნივერსიტეტმა ლომაიას ჯალათური ნებით, ტორტმანი დაიწყო, შემომიჩნდნენ: ბატონო რეზო, სადოქტორო უნდა დაგვაცვევინოთო. ვაღიარებ ჩემს გულჩვილობას და უნდა გითხრათ, რომ თანამხმა ვიყავი, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა დისერტაცია ვერ წარმოადგინა. პაიჭაძეს დაწერილი აქვს რამდენიმე სუსტი სტატია და „გამოკვლევა“ – ვის რომელი ქალი უყვარდა ქართველ პოეტთა შორის, რუსუდანს კი – ორი წიგნი, გურამ შარაძის მიერ ჩამოტანილი არქივის მიმოხილვისა, რომელშიც ¾ ციტატებია და ¼ რუსიკოს ლირიკული წიაღსვლები (მათს მეცნიერულ დონეზე ცალკე გვექნება საუბარი). მეორე მიზეზი თამუნასა და რუსიკოს მეცნიერული წინსვლის „შეფერხებისა“, ის იყო, რომ ელგუჯა ხინთიბიძე კატეგორიული წინააღმდეგი იყო მათი „შრომების“ აპრობაციისა. ხინთიბიძე იმიზეზებდა: საბჭოს არდადეგები დაეწყო და არ შეიძლებაო, თურმე რუსიკოსა და თამუნას

ცალკე მოძღვრავდა – მიშველაძე ამბობს უარს, თორემ მე თქვენი ვარო.

როცა ჩემს ამ ორ, არც თუ ნორჩ კოლეგას (რუსიკოს და თამუნას) განვუცხადე, სექტემბერში მოიტანეთ დისერტაციები და მსვლელობა მივცეთ-მეთქი, ორივემ შეთანხმებულივით გამომიცხადა – სექტემბერში, ბატონო რეზო, თქვენ აქ არ იქნებითო. თურმე კახა ლომაიასა და ბელა წიფურიასთან საიდუმლო სერობებით სოროსელებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი ბედი. ესაა სიმართლე. თუმცა არა უშავს. საქმე ის მიდის, რომ ამ მედროვეებს უნივერსიტეტში ძალიან ცოტა დრო დარჩათ და დედა უნივერსიტეტი ისევ აღდგება.

ყველაზე მეტად გია ხუბუა მეცოდება. იგი ამ უბედურებაში შემთხვევითაა მოხვედრილი. გია მხოლოდ და მხოლოდა რექტორის სკამს ათბობს, იგი არაფერს წყვეტს. ფაქტობრივად უნივერსიტეტს (თუ საერთოდ განათლების სისტემას არა) დღესაც კახა ლომაია მართავს. გია ხუბუას ჩემთვის არ დაუმალავს, რომ გამოჩენილი პროფესორების უნივერსიტეტიდან ჩამოშორება კახა ლომაიას დამსახურებაა. ეს ის კახა ლომაია გახლავთ, რომელმაც დაანგრია საქართველოს მეცნიერული და საგანმანათლებლო სისტემა. დამნაშავე ლომაია, რომელიც ახლა ციხეში უნდა იჯდეს, სააკაშვილს გულში ჰყავს ჩახუტებული და უშიშროების საბჭოს თბილ სკამზე უზის.

სააკაშვილის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ისეთი კრახი განიცადა, რომ უარესს მტერიც ვერ ინატრებდა. ჩასაძირავად განწირული ხომალდიდან „ვირთხები“ უკვე გარბიან. ჯერ არ შემხვედრია არცერთი ნორმალურად მოაზროვნე ქართველი, რომელიც ამბობს, „ნაციონალებს“ მივცემ ხმასო. თუ ხმები სინდისიერად დაითვალა, „ნაცინალური მოძრაობა“ 5-პროცენტიან ბარიერსაც ვერ გადალახავს. თუ ხმები კვლავ ტოტალურად გააყალბეს, მერე რაც მოხდება, სააკაშვილმა თავის თავს დააბრალოს. მას ვეღარც ბუში დაიფარავს და ვერც ბეცი „დამკვირვებლები“. დიახ, „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.

*მაისი, 2008*



# რას გიპირებენ, საქართველო?

რამ განაპირობა ჩემი არჩევანი, პარლამენტის წევრობაზე მეყარა კენჭი?

საქართველოს გაუსაძლისმა ვითარებამ! ახლა დუმილი და უმოქმედობა ღალატის ტოლფასია. ჰოდა, სანამ ფეხზე დგომა შემიძლია, ბრძოლის ველიდან გასვლას არ ვაპირებ!

მაგრამ ეს ხომ თქვენი მთავარი მოწოდებისათვის – მწერლობისათვის დროის წართმევის ხარჯზე ხდება? მეკითხებიან.

მაგრამ რას ვიზამ. ოდითგანვე ასე იყო. ჩვენში მწერალი ერის გუშაგს და მის სამსახურში ჩამდგარ კაცს ნიშნავდა ყოველთვის. პროფესიონალი მწერალი არც ახლა ჰქვია იმ ლიტერატორს, შუშაბანდიდან რომ შეცქერის, როგორ ინგრევა მისი ქვეყნა.

რატომ შევაჩერე არჩევანი მაინცდამაინც ლეიბორისტულ პარტიაზე?

ეროვნული პარტიაა, მდგრადი, თავგანწირული ადამიანებისაგან შემდგარი. დააკვირდით შალვა ნათელაშვილს – გაუბზარავი რწმენის კაცია, პატიოსანი, ნიადაგ ერის საქმაგოდ შემართული, მტკიცე ნებისყოფის მქონე, მოკლედ ლიდერის ყველა თვისებით აღჭურვილი.

პარტია, უპირველესად საქმით უნდა დაფასდეს და არა ბრტყელ-ბრტყელი ლაი-ლაით ან წინასწარ გაყიდულ მიტინგებზე მჯიღის ცემით.

პირველმა ვინ შესძახა ქვეყანას ამ ოთხი წლის წინათ: ხელისუფლება სოროსის გაწვრთნილმა ტურებმა ჩაიგდეს ხელში და მიზნად საქართველოს დაღუპვა აქვთო? – ლეიბორისტულმა პარტიამ!

პირველმა ვინ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ხელისუფლების მიერ ენერგორესურესების გასხვისების წინააღმდეგ? – ლეიბორისტულმა პარტიამ!

პირველმა ვინ ამხილა ხელისუფლება გაზისა და ელექტროდენის ტარიფების უმოწყალოდ გაზრდის გამო? – ლეიბორისტულმა პარტიამ!

პირველმა ვინ ჩამოხადა ნიღაბი საქართველოს დაუძინებელ მტერს კახა ლომაიას საქართველო განათლების სისტემის ხერხემალში გადატეხვის გამო? – ლეიბორისტულმა პარტიამ!

პირველი ვინ დაუდგა გვერდით ფაშისტი ხელისუფლების მიერ ქუჩაში გამოყრილ მწერლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს? – ლეიბორისტული პარტია!

და ბოლოს, ახლახან ვინ ატეხა განგაში თბილისის, მცხეთის, არაგვის წყალრესურსების გაყიდვის გამო? – ლეიბორისტულმა პარტიამ!

ა, რატომ ვდგავარ ამ პარტიის გვერდით.

მე პარტიის სიით – მეთხუთმეტე და ამავე დროს ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვარ.

ჩუღურეთი – თბილისის ისტორიული უბანი – ფიროსმანის და ტერენტი გრანელის საცხოვრისი (სხვათა შორის, ტერენტი გრანელის პატარა ოთახი მე აღმოვაჩინე ამ სამიოდე წლის წინ და მემორიალურ დაფაც საკუთარი ინიციატივით და ხარჯით გავაკარი იმ სახლს) დედაქალაქში ლამის მიტოვებულ და მივიწყებულ კუნძულს წარმოადგენს. მოქალაქენი კვლავ ძველებურად, გასული საუკუნის დასაწყისში აშენებულ კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობენ. აღარ ჩამოვთვლი სიდუხჭირის იმ ვრცელ სიას, ამომრჩევლები ყველა შეხვედრაზე რომ ჩამომითვლიან ხოლმე. რას ვპირდები? ვიბრძოლებ იმისთვის, რომ მოჩვენებითი კი არა, ნადვილი, მუდმივი სამუშაო ადგილები შევუქმნა ყველა შრომისუნარიანს, საცხოვრებელი პირობები იქვე აშენებულ სახლში გავუუმჯობესო და არა მაინცდამაინც ქალაქგარეთ გადასახლებით, რაც მთავარია, დავამკვიდრო ყველა თაობის პიროვნებისადმი პატივისცემა...

გარდა ამისა, სრულიად საქართველოში დაუცხრომლად ვიბრძოლო „ნაცმოძრაობის“ მიერ დანგრეული ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის: საბუთებში აღვადგინო ეროვნულობის გრაფა, აღვადგინო აკადემია და მედროვეთ მიერ წალეკილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ფიზკულტურის და უცხო ენათა ინსტიტუტები. კუთვნილ ისტორიულ შენობებში დავაბრუნო მწერალთა კავშირი და ჟურნალ-გაზეთები. მივხედო შემოქმედებით ინტელიგენციას, თეატრს კინოს...



რაც შეეხება შანსს; მიუხედავად ეუთო-ს ამასწინანდელი მკაცრი გაფთხილების, სახელისუფლებო ჯგუფის მიერ არჩევნები ტოტალური გაყალბების პროცესი წამითაც არ შეფერხებულა, ჩვენ საარჩევნო შტაბში ყოველდღიურად ასობით ყალბი, არარსებული ამომრჩევლების გვარები მოაქვთ კოორდინატორებს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ამომრჩევლის კეთილგანწყობისა და გამყალბებელთა წინააღმდეგ მათი ერთსულოვანი პროტესტის იმედზეღა ვარ. კიდევ ერთი: ლეიბორისტული პარტია ამომრჩეველს ჰპირდება, რომ გამარჯვების შემთხვევაში, გაუქმდება უკანონო გასხვისების დოკუმენტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ქვეყნისათვის საარსებო ობიექტებისა. მოხდება საყოველთაო ნაციონალიზაცია და საქართველოს მიწა, წყალი და წიაღისეული... ისევ საქართველოს დაუბრუნდება.

ხალხში ნაციონალთა იმიჯის მკვეთრი დაცემა გამოიწვია საგარეო და საშინაო პოლიტიკის სრულმა კრახმა. „ნაციონალი“ ვარდოსნები ჩვენ თვალწინ დაბერდნენ. მათ ფეხი ვერ აუწყვეს ახალ მსოფლიო წესრიგს, ახალ რეალობას. ხომ ხედავთ, ამერიკამ ვერც მაპ-ი მოგვცა და ვერც რუსეთის აგრესიისაგან გვიხსნა. მე, რასაკვირველია, დასავლური ორიენტაციის კაცი ვარ, მაგრამ რადიკალურმა ნაბიჯებმა და მარტოოდენ ამერიკის იმედზე ყოფნით რუსეთისადმი გამაღიზიანებელი პოლიტიკის გატარებამ აფხაზეთი და სამაჩაბლო, თითქმის, სამუდამოდ დაგვაკარგვინა, „ბებერი და კეთილი ევროპა ჩვენ მიმართ კეთილი არ აღმოჩნდა. სწორედ გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და ესპანეთმა გადაგვიკეტეს გზა ნატო-სკენ, რატომ? მსოფლიოს დღეს ის მართავს, ვის ხელშიც ენერგორესურსები და ენერგომატარებლებია. ამერიკამ, ფაქტობრივად, მოგვატყუა. იგი ღარიბი ნათესავივით გვიცქერის და ჩვენს ბედზე ლამის ხელი დაიბანოს. ამერიკის „ფილიალად“ ქცევამ მესამედი აზია მოგვამდურა. რატომ? რის ნაცვლად?

7 ნოემბრის „გმირზე“, მწერლის და ჟურნალისტების მოძულე პრეზიდენტზე ვამბობ ამას. დააკვირდი ამათ ყრილობებს; რა დაფა-ზურნით, რა ზარ-ზეიმით აიკლეს „ყოველგნით ხელაღუპრობელი“ საქართველო. ხომ ხედავთ, დამარცხებულებს „გამარჯვებულის“ კმაყოფილი იერი დასთამაშებთ სახეზე. ძროხა წამართვეს, მიშველეთო, ყვირის გალელი ქართველი და ესენი ეუბნებიან: არაუშავს, სამაგიეროდ, ევროპა დარწმუნდა რუსთა უსინდისობაშიო! არადა, ძროხის წართმევა იმ კაცისთვის ქვეყნის დაქცევას, შიმშილით სიკვდილს ნიშნავს. ვერ გაიგო სააკაშვილმა, რომ გავეშებულ პუტინს ჰოლანდიის და დანიის (განსაკუთრებით – დანიის) აზრი ფეხებზე ჰკიდა?!

ერთ პატარა მაგალითს გეტყვი; „ფაინენშელ თაიმსის“ კორესპონდენტი გიდეონ რახმანი მიიღო ორიოდე დღის წინ სააკაშვილმა. პრეზიდენტის ახალმა შუშის გუმბათიანმა რეზიდენციამ სტუმარს ბერლინის რაისხტაგი მოაგონა. „მაშინ, როცა საქართველო ღარიბი ქვეყნაა, ამდენი თანხის დახარჯვა რეზიდენციაზე ნამეტანი ხომ არ არისო“, – ეკითხება რახმანი პრეზიდენტს.

როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა პრეზიდენტმა? „თუ ჩინოვნიკი იმუშავებს ნორმალურ ოფისში, დიდი შანსია, იგი მოიქცევა როგორც ნორმალური ადამიანი“ (ერთხელ კიდევ გადაიკითხეთ ეს პასუხი, მკითხველო, და მიხვდები, რაც გვჭირს).

ინგლისელი ჟურნალისტის მეორე კითხვაზე – რას გააკეთებთ, პრეზიდენტობის ვადა რომ ამოგეწურებათო, სააკაშვილმა უპასუხა: „ალბათ, მასწავლებლად წავალ კოლუმბიის (ნიუ-იორკში, რ. მ.) უნივერსიტეტშიო“.

როგორ, მიხეილ დემოკრატიის სამოთხეს, უბედნიერეს ქვეყანას ვაშენებო, და შენ თვითონ აღარ აპირებ ცხოვრებას ამ, შენ მიერ „გაბედნიერებულ“ საქართველოში? ჩვენ... ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ რას გვიპირებ, ჩვენ სად გვტოვებ, მიშიკო?

*მაისი, 2008*



# „უკუდო მელიებს ჰგვანან“

დღევანდელ ყოფას ჰქვია სიჩუმე ქარიშხლის წინ. ასეთი პერიოდები საქართველოს არაერთგზის ჰქონია. 1921 წელს, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, როდესაც ძალადობამ მწვერვალს მიაღწია, ქართველი ერი სამი წლის განმავლობაში დუმდა, მაგრამ როგორი იყო ეს დუმილი, 1924 წლის აჯანყებით გამოჩნდა ბოლშევიკებს რომ შევადაროთ, ეს დღევანდელი ხელისუფლების სასარგებლოდ ნამდვილად არ ილაპარაკებს. ბოლშევიკები იდეების ერთგული მაინც იყვნენ. ახლა კი საქართველოს მიზანმიმართული, დაგეგმილი დამხობა მიმდინარეობს. გლობალიზაციის შეტევას საქართველოს წინააღმდეგ ერთი მიმართულება აქვს, – საქართველო მსოფლიოს რუკიდან უნდა წაიშალოს როგორც ცივილიზებული, დიდი კულტურის სახელმწიფო და გადაკეთდეს სამომხმარებლო ქვეყნად, რომელსაც მსოფლიო ცივილიზაციაში წვლილის შეტანაზე პრეტენზიაც არ ექნება. ამისათვის იღვწვის ის ხელისუფლება, რომლის ჩექმასაც ყელზე ვგრძნობთ. ამ ხელისუფლების საქმიანობა ეროვნებისა და მამის სახელის გაუქმებით დაიწყო, ქართველს საკუთარ მიწაზე ხმა რომ არ ამოეღო. დედამიწაზე არსად არსებობს სახელმწიფო, სადაც მოქალაქეს ერთ საბუთში მაინც არ ეწერება ეროვნება. ამას მოჰყვა იერიში მწერალთა კავშირზე – ღამის 4 საათზე დაარბიეს როგორც ბანდიტების ბუდე. იმის საშუალებაც არ მოგვცეს, ნივთები შეგვეკრიბა. ქუჩაში ყრიდნენ გალაკტიონ ტაბიძის კარადას, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელსა და სხვა სახელოვანი ქართველი მწერლების პირად ნივთებს. დაანგრიეს უნივერსიტეტიც. ამ ყველაფერში კავშირს ვერ ვხედავთ? ყველა ეროვნული წისქვილი დაარბია ხელისუფლებამ.

ხელისუფლების უმაღლესი პირი საოცრად დამტკბარი ჩანდა ტელევიზიით გამოსვლისას არჩევნებამდე. როგორი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე, – ჩემო საყვარელო ხალხო, თქვენ რომ მოგხვდათ 7 ნოემბერს, ის კეტი მეც მომხვდა. როგორც თქვენ გინდათ, ისე მოვიქცევი. ბაზარში ვაჭრო-

ბა არ გინდათ? კი ბატონო, ქუჩაში ივაჭრეთ, ვინ გიშლითო და თავისი ხელისუფლების წევრები გააკრიტიკა. ისიც თქვა, რას ჰქვია, მწერლებს შენობას ვინ ართმევსო? ქართველი კაცი ბუნებით მიმნდობია და იფიქრა საზოგადოების ერთმა ნაწილმა, – ორმოცი წლის კაცია, შეიძლება დასერიოზულდეს, ჭკუაზე მოვიდეს და პრეზიდენტად მართლა ჩამოყალიბდეს, რაღაზე ავრიოთ ქვეყანა, ხომ ვხედავთ, კაცი თვითონვე ასწორებს დაშვებულ შეცდომებსო. მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ თვალთმაქცობდა.

კატასტროფული მდგომარეობაა ქართულ ჟურნალისტიკასა და ტელევიზიაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ტელეკომპანია ოპოზიციურობით არ გამოირჩევა, მაინც შეავიწროეს, რათა ინფორმაცია აღარ გავიდეს „საზიზღარ ოპოზიციაზე“. საქართველოში ორი სახელისუფლებო არხი დატოვეს და ფიცში ჩასაყოლებლად ჯერ კიდევ ფეთქავს „კავკასია“, მაგრამ შეადარეთ ერთი თვის წინანდელი „კავკასია“ და დღევანდელი. ნელ-ნელა უახლოვდება ქირურგის მაკრატელი „კავკასიას“. ამის შემდეგ დარჩება ხმაჩახრინწული, ტკბილად მოუბარი „კავკასია“. ეტყობა, გაფრთხილება და დაშინება „კავკასიაზეც “ ჭრის. გაზეთების რედაქციები ხომ გამოყარეს გამომცემლობა „სამშობლოდან“ და საშინელი ამბავი დაატეხეს. მაინც გამოდის რამდენიმე გაზეთი. ისევ გამოდის ეს ურჩი გაზეთებიო და, ქუჩებში მოსპეს საგაზეთო ჯიხურები და მიწისქვეშ გადასასვლელებში ჩაიტანეს, სადაც კაცი არ ჩავა.

ეს ხელისუფლება ქვეყნის მტრების სამსახურში კი არ არის, თვითონ იქცა ქვეყნის მტრად. გლობალისტებმა გადაწყვიტეს, ურჩი საქართველო, რომელიც მწერლობითა და მაღალი ხელოვნებით ყელყელაობს, უნდა გაისრისოსო. ღმერთმა დიდხან აცოცხლოს, მაგრამ რომ წავლენ ამ ქვეყნის ეროვნულად მოაზროვნე რეჟისორები, ამით დამთავრდება ყივილი ქართული ხელოვნებისა ჩვენი ეროვნულობის შესანარჩუნებლად. სააკაშვილის ირგვლივ მორიალე ხელოვან მორიელებს ეროვნულობის დაცვის სურვილი არ აქვთ. მათ ეცინებათ კიდეც ჩვენ რომ



გამოხუნებული ტანსაცმლით გამოვდგებით და ეროვნულობაზე ვბღავით. ქართული მიწის გაყიდვაც გლობალისტთა გეგმის ნაწილია. ქართული მიწა ქართველებს არ უნდა ეკუთვნოდეთ. ამიტომ ყველაფერი უნდა გაიყიდოს. ქართველი ჰაერში უნდა იყოს გამოკიდებული, ქართველს არ უნდა ჰქონდეს ქართულ მიწაზე ყოფნის პრეტენზია. ჩვენი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომელთაც ეროვნულობაში უჭირთ, უკუდო მელიებს ჰგვანან, – რაკი ჩვენ არა გვაქვს კუდი, სხვამაც მოიწყვიტოს! საზოგადოებაში რომ ეიფორია შექმნან, მუდმივად გაიძახიან, შევარდნაძის დროს ამდენი იყო ბიუჯეტი და დღეს ამდენიაო. კი მაგრამ, საიდან არის ის ფული შემოსული? ორი გზით – საქართველოს გაყიდვითა და ქონების ექსპროპრიაციით. კაცს 10 მილიონს რომ წაართმევდნენ, 1 მილიონს ბიუჯეტში შეიტანდნენ და 9 მილიონით თვითონ ბაირამობდნენ. ახლაც გაიძახიან, – გავყიდოთ ყველაფერიო. თუ ვინმემ იყიდა, ეგენი სვეტიცხოველსა და „ვეფხისტყაოსანსაც“ გაყიდიან. იცით, რა იქნება ბოლოს? გამოილევა ფული, ამათი ხელისუფლებაშიც ყოფნაც დასრულდება და ქართველი ხალხი მშრალზე დარჩება – უმიწოდ, უეროვნებოდ, უკულტუროდ, უგანათლებისკეროდ.

ოპოზიციის ზოგიერთი ბელადი ბრალს სდებს ქართველ ერს და თუ დაიჯერებთ, ჩვენს ოპოზიციას არ აღმოაჩნდა მასების მართვის ცოდნა, რევოლუციური სიტუაციის სათანადოდ შესწავლის უნარი და გაბედულება.

მწერლები ქართველ ერს აფრთხილებდნენ, ყველაფერი დამთავრებულია, თუ ხმების სადარაჯოზე არ დავდექით, სააკაშვილს ყველაფერი აქვს გაკეთებული, რომ არჩევნები მოიგოსო. საპრეზიდენტო არჩევნებზე თბილისში 99%-ით რომ წააგო და ორი თვის შემდეგ 99%-ით მოიგო, განა ამისთანა რა ოქროს სარაიები აუშენა სააკაშვილმა საქართველოს? ასეთი რა მოხდა? ის მოხდა, რომ არჩევნების გაყალბების საშუალებები დაიხვეწა. ჩაიკეტა ყველა კარი, საიდანაც კი შეიძლებოდა, თავისუფალ, დემოკრატიულ არჩევნებს გამოეღწია. ამ დროს ოპოზიცია რიტორიკული განცხადებების გაკეთების

მეტს არაფერს აკეთებდა. როდესაც ოპოზიციონერებმა არაერთი მიტინგის დროს შეირცხვინეს თავი, ხელისუფლების ფარული მითითებით 200 ათასი კაცი რუსთაველზე ჩაასეირნეს და სახლებში გაუშვეს. მაშინ უკვე გამარჯვებას ზეიმობდა სააკაშვილი. არ გაჭრა არც ნინო ბურჯანაძის კართან და არც პარლამენტის წინ შიმშილობამ, სანამ ოპოზიცია არ შეეხვეწა პატრიარქს, არიქა, გვიშველეო, მათი საშველი არ იყო. პატრიარქმა არ გაწირა. თორემ ხელისუფლებას უკვე განწირული ჰყავდა ოპოზიციის ბელადები.

ერთი ფიქრობდა, 5 წუთი მაკლია გაპრეზიდენტებამდეო, მეორეს ეროვნული მოძრაობის ბელადი ერქვა, მესამე – ახალ პარლამენტს ქმნიდა. არაფერი გაკეთებულა, ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ხმების დასაცავად. რიტორიკული განცხადებებით არჩევნების მოგება არ შეიძლება. არჩევნები მაშინ დამთავრდა, როდესაც ჩვენი რევოლუციური კომიტეტი ცესკოს თავმჯდომარედ თარხნიშვილის დატოვებას შეეგუა. თუ არჩევნების მოგება გინდა, თარხნიშვილზე ხარ თანახმა? გაბრაზებული ხალხის მიტინგებზე არტისტებისა და გამოჩენილი მოღვაწეების გულზე ხელის ბრაგუნს სააკაშვილის შეცვლა შეუძლია? როგორც უნდა ეგუგუნა მიტინგებზე არტისტებისა და გამოჩენილი მოღვაწეების გულზე ხელის ბრაგუნს სააკაშვილის შეცვლა შეუძლია? როგორც უნდა ეგუგუნა მიტინზე ოთარ მეღვინეთუხუცესს, მისი გამოსვლები მხოლოდ ეპიზოდი იყო.

იცით, რომ ოპოზიციას ეუბნებოდნენ, ნუ გეშინიათ, 45-50%-ით მოხვალთ პარლამენტშიო და მოატყუეს. რას აბრალებენ ახლა მშიერ საცოდავ ხალხს, რომელსაც ხელისუფლებამ 50 ლარი მისცა? საკუთარ დედლობას, უნიათობას, „მე ხომ არაფერი მამივას“ დააბრალოს ოპოზიციამ ყველაფერი და ტყუილად ნუ იბღვირებიან. მდინარე უკვე ჩავლილია და მათი სიმღერაც უკვე ნამღერია. ქართველი ერი მეორეჯერ მათ თავს აღარ მოატყუებინებს.

არავის ვასამართლებ, მაგრამ თუ ოპოზიცია შეურიგებელი იყო, ასეთადვე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ თუ ნახევრად



ოპოზიცია ხარ და ნახევრად – არა, ქართველი ხალხისთვის ისიც უნდა გეთქვა. თავიდანვე ვატყობდი ჯონდი ბაღათურიას, რომ თავის დამდები კაცი არ იყო. ახლა რომ აღშფოთებული არიან გაჩეჩილაძე და გამყრელიძე ბაღათურიაზე, არ იცოდნენ, რას იზამდა? ან გია თორთლაძესა და გია ცაგარეიშვილზე პატიოსნები არიან?! გგონიათ, არ გაუხარდათ გულში თორთლაძისა და ცაგარეიშვილის პარლამენტში შესვლა?

ჯერ ერთი, სათქმელი მიეცათ ნახეთ, ჩვენ რა კარგები ვართო, მეორე – დაძაბულობა შენელდა მათი პარლამენტში შესვლით. ფიქრობენ, ხელისუფლება დაცხრა, ახლა ჩვენს მილიონებს მივხედავთ და ნელ-ნელა გავიცურცლებით რევოლუციის ბელადების სავარძლებიდანო. თუ ასე არ მოხდა, მოვა სექტემბერი და ნახავთ. ოპოზიციას წინა რიგებში არც გაჩეჩილაძე იქნება და არც გამყრელიძე. ჩემდა სამწუხაროდ, ძიძიგურიც კი კასტრირებული ოპოზიციონერია. ოპოზიციონერებს ერთმანეთი სძულთ. როდესაც შიმშილობდნენ, რამდენჯერმე გავიარე პარლამენტთან და მოვისმინე მათი ლაპარაკი, – ბატონო რეზო, ვის ესმის ჩვენი, ვინ გვიჯერებსო. ეროვნულ საბჭოში ვისაც ხელმძღვანელობა ეჭირა ხელში, გადამწყვეტ მომენტში უკან ქაჩავდნენ თორთლაძეს, ცაგარეიშვილსა და ძიძიგურს.

მე მწერალი ვარ და როგორ მენდომება სააკაშვილის დამხობა და ის, რომ მას ოპოზიცია წიხლებით შეადგეს. ვინც პრეზიდენტს წიხლებით შეადგება, მასზე უკეთესი არ იქნება. იქნებ ჭკუაზე მოხვიდე, ბიჭო (ამას სააკაშვილს ვეუბნები), და შენი შეცდომები იქნებ თვითონვე გამოსწორო. მიშა, ლევან გაჩეჩილაძე ტელევიზიით ხუთჯერაც რომ გამოვიდეს, შენზე უკეთესად ვერც ინგლისურად ილაპარაკებს და ვერც ქართულს. ჰოდა, ალაპარაკე ის კაცი, მიეცი ცოტა თავისუფლება. ხალხს ამოსუთქვის საშუალება მაინც მიეცი. გახსოვდეთ, ქართველი ერი ილია ჭავჭავაძის მიმდევარი ერია და მადლობა ღმერთს, კიდევ ფეთქავს.

*ივლისი, 2008*

# მამულიშვილნო

საქართველო დღეს იმ მატარებელს ჰგავს, რომელიც ჩიხში შეაყენეს, მიატოვეს და ახლა ნელ-ნელა, უმოწყალოდ იძარცვება.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ დუნაიზე არ არსებობს „ზესახელმწიფო“ საქართველოსათვის რომ თავს გამოიდებს და უანგაროდ გაუწვდის დახმარების ხელს.

ამერიკას თურმე აღმოსავლეთის დასაპყრობ პლაცდარმად ვჭირდებით. ამიტომაც არად ანაღვლებს მას ქვეყნის ეროვნულ-ინტელექტუალური და ეკონომიკური განვითარების საკითხები. ჩაწიხლა, გააცამტვერა ყოველგვარი დემოკრატიული რესურსი და დავით აღმაშენებლის ქვეყანა ნაციონალური გრძნობებისაგან დაცლილ, წერა-კითხვის მცირე მცოდნე თავის ოცდაათიოდე ჭკუაბეც მარიონეტს დაუმონა. ჩვენმა „ნაცადმა ძმამ“ – რუსეთმა ამასობაში დრო იხელთა, ჯერ საბაზრო ემბარგოთი წაგვიჭირა ყელში ხელი და მერე საქართველოს მესამედი ტერიტორიის (აფხაზეთი, სამაჩაბლო) ანექსია საბოლოოდ მოამთავრა.

ახლა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მიწის პირისაგან საბოლოოდ წაშლის ოპერაციას წარმატებით ახორციელებს სააკაშვილის გამყიდველი ხელისუფლება. გაყინულია სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სახსრებში გადამტვრეულა განათლების სისტემა, დარბეულ-გაცამტვერებულია ეროვნული მწერლობა და ჟურნალისტიკა, პირქვეა დამხობილი ხელოვნება, შეჩერებულია მეცნიერების განვითარება.

ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ საქართველო გახდა დედამიწაზე ერთადერთი, ექსპერიმენტული, გლობალიზაციის მიმდევართა სათარეშო, უთვისტომო და უეროვნო სახელმწიფო.

სააკაშვილმა ისიც მოახერხა, რომ საპატრიარქოში შეგზავნა რამდენიმე თავისი ერთგული „სამღვდელო პირი“, რომელთა მოვალეობაა ქართულ ეროვნულ ხელოვნებას დაუპირისპირდნენ და ამით საპატრიარქოს სახელი გაუტეხონ.



საქართველოში სააკაშვილის ტერორი მძვინვარებს.

აქოჩრილი საპროტესტო ტალღის ზეობის ჟამს სააკაშვილი ცოტა შეკრთა. ქუჩაში გამოსულ ხალხს გადემოკრატების პირობა მისცა. თავისი რაზმიდან რამდენიმე პირაქაფებული სოროსელი კულისებში მიმალა, ხოლო როცა ამერიკის დახმარებით საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გააყალბა, ხალხს თვალში ნაცარი შეაყარა, ძალაუფლება ხელთ იგდო, ეროვნული ინტელიგენციისათვის ყველაზე მეტად საძულველი სამი სოროსელი მოქალაქე ჩრდილიდან გამოაძვრინა და დააწინაურა კიდეც (ლომაია ეროვნული საბჭო მდივნად დანიშნა, გაბაშვილი – პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო ბოკერია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ).

საქართველოს უბედურების მეტი რა ახსოვს და ქვეყნის განწირული სულისკვეთება ამერიკის მიერ თავსვმოხვეული დროებითი ძაუფლების პარპაშს როგორმე გაუძლებდა, ოპოზიციასაც რომ არ შეერცხვინა თავი.

ჩვენს ეროვნულ სულს ბზარი სწორედ ოპოზიციის უნიათობის გამო გაუჩნდა.

გამართლდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი სააკაშვილის მიერ ხელდასმულ, ფსევდო ოპოზიციას წარმოადგენდა ოპოზიციის „მგზნებარე“ რიგებში რევოლუციური მუხტის ჩასაქრობად, არევდარევის შესატანად იყო შეგზავნილი.

რა მალე ჩამოიხადეს ნიღაბი, როგორ შემწკრივდნენ პარლამენტში ერთ დროს ცეცხლივით ანთებული, მუშტშემართული „ოპოზიციონერები“. სილაჩრეაღბეჭდილი, მორცხვი სახეებით დააბიჯებენ ახლა ისინი პარლამენტის დერეფნებში და საღამოთი თავზე ქუდჩამოფხატულნი ტოვებენ რუსთაველის 12-ს, რომ მოტყუებულმა, თავლაფდასხმულმა ამომრჩეველმა არ იცნოს და „შემთხვევით“ პანღური არ ამოჰკრას.

მოგიკვდა ჩვენი თავი, შენ, მამაცო და წარბშეკრულო ქართველო.

პირველივე საპროტესტო დემონსტრაცია რომ გაასეირნა რუსთაველზე „ეროვნულმა კომიტეტმა“, აკი გაფრთხილებდნენ ქართველი მწერლები: სააკაშვილის ამქრის ყოფილი წევრებისაგან ხეირს ნუ ელოდებითო. ოდენ ლეიბორისტული პარტია და თითო-ოროლა ჭეშმარიტი ოპოზიციონერი შერჩა დღეს მოქმედ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, დანარჩენებმა ნაადრევად გაიცილეს თავი პოლიტიკურ პენსიაზე.

... და მაინც ზვიად გამსახურდიას მიერ დანთებული ეროვნული კოცონი კვლავაც გიზგიზებს ქართველის სულში.

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

შორს ჩვენგან სულით დაცემა და სასოწარკვეთა.

საქართველო კვლავ მალე დაიქუხებს.

*ივლისი, 2008*

## უნივერსიტეტი დაანგრიეს

ერის წინამძღოლობა, ერის მრჩევლის მოვალეობის შესრულება, ქართულ მწერლობას ტრადიციულად მოსდგამს. ჩვენ გვყავდნენ მეფეები, რომელთა თითქმის აბსოლუტური უმეტესობა ამავე დროს ლიტერატურით იყო დაკავებული. ისინი წერდნენ ლექსებს, თარგმნიდნენ, რადგანაც ადამიანის სიბრძნის უპირველესი გამომხატველი მაინც ლიტერატურაა, ამიტომ თუ ან ლიტერატურას არ მისდევდი, ან მწერლის და, საერთოდ, მწერლობის მფარველი, დამფასებელი არ იყავი, ბევრს კარგავდი ხალხის თვალში. საქართველო ლიტერატურის ქვეყანაა, მოგეხსენებათ, ჩვენ გვქონდა და გვაქვს უმდიდრესი ლიტერატურული ფოლკლორი. ზოგი ქართული ხალხური ლექსი, უფრო ადრეა დაბადებული, ვიდრე საქართველოში ანბანს შემოიღებდნენ, ხოლო შემდეგ V საუკუნეში უკვე პირველი ქართული რომანი გვქონდა. ამ დროისათვის ევროპის ცივილიზაცია ის-ის იყო ახელდა თვალს და რაც



შეეხება ამერიკას და სხვა დასავლურ სახელმწიფოებს, ისინი, როგორც ცივილიზებული სახელმწიფოები, არც კი მოიაზრებოდნენ მსოფლიოს არეალში. ერთი მეორეს მძივივით მოეწყო უბრწყინვალესი ქართველი მწერლების შემოქმედება და დღეს ხელთა გვაქვს ქართული ლიტერატურის სწორუპოვარი მტევანი, ყველაზე დიდი ღირსება და სიამაყე ქართველი ერისა – „ვეფხისტყაოსანი“. ქართველმა მწერალმა თავისი ნაწარმოებებით თაობები აღზარდა და ის იყო უპირველესი მიმცემი ზნეობრივი ტონის ქართველი ერისათვის. აი, ამიტომ ქართველ კაცს საუკუნეთა განმავლობაში მწერალი მიაჩნდა თავის უპირველეს სულიერ წინაძღოლად. მართლმადიდებლური, ქრისტიანული, სამოციქულო ეკლესია და ქართული მწერლობა, აი ეს ორი გიგანტი მიუძღოდა ქართველ ერს სულიერ ბელადად საუკუნეების განმავლობაში და დღემდე გააძლებინა. დღეს უფრო სხვა მდგომარეობაა, პრაქტიციზმმა, საბაზრო ეკონომიკამ ნაციონალური კულტურის ჩაწიხვლამ, განსაკუთრებით საქართველოში, მოიტანა ის, რომ მწერლის როლი დაკნინდა და ხელისუფლება ვერაფერს მოახერხებდა, რომ თვითონ მკითხველი არ გაგულგრილებულიყო ლიტერატურის მიმართ. ჩემთვის უაღრესად სამწუხარო ამბავი ხდება, სააკაშვილი, რომელიც შეიძლება დიდად არ სწყალობდეს ეროვნულ კულტურას, ვერაფერს შეძლებდა, რომ ქართველი კაცის ფსიქიკაში იყოს ის შეგნება, რაც თუნდაც, საუკუნეები რომ არ შევაწუხოთ, აი, 30-50 წლის წინათ იყო ქართველი კაცის ფსიქიკაში, პერანგს გაიხდიდა ქართველი და ახალ წიგნს შეიძენდა, ახალ ხელნაწერს მოიპოვებდა. ახლა კი გაბრუებული ნარკოტიკით, ყოველდღიური ყოფითი პრაქტიციზმით, ჩვენი მოქალაქე გულგრილად ჩაუვლის წიგნის თაროზე ჩვენს კლასიკოსთა წიგნებს. ეს კი მომაკვდინებელია ერის ეროვნული თვითშეგნებისათვის. აი, ეს არის მიზეზი იმისა რომ რამდენადმე შესუსტდა მწერლის, როგორც ერის ბელადისა და სულიერ წინამძღოლის როლი.

სამწუხარო ფაქტი გახლავთ ის, რომ თაობათა შორის განსხვავება, უპირველესად, ეროვნულ ფენომენთან დამოკიდე-

ბულებაში წარმოჩინდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა, მე არ დავაკონკრეტებ იმ სამეულის გვარებს, ვისი ინიციატივითაც ეს გაკეთდა. საქართველოს მოქალაქეს, პიროვნების დამადასტურებელ საბუთებში ეროვნულობა წაუშალა, გურამ შარაძე და მე თავგანწირულად აღვსდექით ამ სიმახინჯის წინააღმდეგ, გურამ შარაძე შეეწირა ამ ამბავს, მე ჯერჯერობით ცოცხალი ვარ, როცა საქართველოში ვხედავ ბავშვებს, რომელთაც დაბადების მოწმობაშიც კი არ უწერიათ, რომ ისინი ქართველები არიან და რომლებიც ვერასოდეს ვერ დაამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნის ავტოქტონური ერის წარმომადგენლები არიან. ეს კი სერიოზული პრობლემაა. მალე, როცა საქართველოში ჩვენ ვიქნებით ეროვნული უმცირესობა, ადვილად შეიძლება გაქრეს ქართული ფენომენი, გაქრეს ქართული მწერლობა, პატრონი აღარ ჰყავდეს „ვეფხისტყაოსანს“, ჩვენს მატერიალურ სიძველეებს და საქართველო, როგორც ეთნოსი, ამოიძირკვოს პირისაგან მიწისა, უფრო სწორად, შეერიოს, შეერწყას იმ საშინელ მასკულტურას, რომელსაც ამერიკა გვახვევს თავზე. მე ყოველთვის ჩემს ნაწერებშიც და ახლაც, როგორც პრაქტიკოსი პროფესორი, ჩემს პირველ ლექციას, როცა შევდივარ აუდიტორიაში, სწორედ ამით ვიწყებ. აი, ეს განსხვავებაა, თორემ სხვა განსხვავება ინტელექტუალურ სფეროში, ძალიან ცოტაა ან შეიძლება თანამედროვე ახალგაზრდების სასარგებლოდაც კი იყოს, რადგან ჩვენ გვყავს ძლიერი ტექნიკური ინტელიგენცია, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდობა კომპიუტერს დაეუფლა, მისი ცოდნის დონე და არეალი უფრო ფართო გახდა, ვიდრე წინა თაობებისა იყო, მაგრამ მე არ მჭირდება კაცი – მანქანა, რომელსაც თავისი წარსული დავიწყებული აქვს და თავის რუსთაველს პატივს არ სცემს.

რა თქმა უნდა, ლექტორი, ჯერ, უპირველეს ყოვლისა, თავისი ლექციით უნდა იქცევდეს ყურადღებას, რადგანაც რა საინტერესო საგანზეც არ უნდა მოუთხრობდეს იგი სტუდენტებს, მისი საუბარი უნდა იყოს დინჯი, მასალის გადაცემის მანერა – მისაწვდომი სტუდენტებისათვის, თუ იგი ლაპარაკობს, ან დამახინჯებული ლექსიკით, ან მეტყველება არ უვარგა ან ლაპარაკობს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული ცნებებით, მისი ლექცია საინტერესო არასოდეს იქნება. ლექტორობა ეს ერთგვარი ნიჭიც არის, ჩვენ გვყავდნენ ძალიან დიდი მეცნიერები, რომლებიც ლექტორებად არ ვარგოდნენ, იმიტომ რომ გადაცემის უნარი არ ჰქონდათ და სტუდენტამდე ვერ მიჰქონდათ თავიანთი შესაშნინავი აზრი. ახლა რაც შეეხება ლექტორის პირად თვისებებს, რა თქმა უნდა, ჯერ, უპირველეს ყოვლისა, ლექტორი უნდა იყოს მაგალითი მამულიშვილობისა, ლექტორი უნდა იყოს მაგალითი საზოგადო მოღვაწეობის. 50 წელია თითქმის ლექციებს ვკითხულობ. მე, არ დაიჯერებთ, თუ რაღაც ძალიან დიდი უბედურება არ იყო ჩემს თავს და, ასეთები არ მაკლდა, ლექცია არ გამიცდენია. ერთადერთი შვილი დავკარგე აფხაზეთში, დავასაფლავეთ და ერთი კვირის შემდეგ მე უკვე კათედრაზე ვიდექი და ლექციას ვკითხულობდი უნივერსიტეტში. სტუდენტმა უნდა იგრძნოს, რომ შენ იგი გიყვარს, შენ მისი ცხოვრება გაინტერესებს, არასოდეს უფსკრული არ უნდა იყოს ლექტორსა და სტუდენტს შორის. სამწუხაროდ, სტუდენტი რომ შენ უცხოდ დაგიგულებს, იმასაც აძლევს სტიმულს, რომ სტუდენტი შენი საგნის მიმართაც გაუცხოვდება. კიდევ ერთი უნდა გითხრათ, ლომაიამ, რომელიც აბსოლუტურად გაურკვეველი იყო განათლების სფეროში, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს თავს მოახვია, სხვა დამღუპველ ხერხებთან ერთად, კიდევ ერთი რეფორმა – ლექტორ-მეცნიერთა ხელოვნური გაახალგაზრდავება. მან ხელაღებით დაითხოვა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოჩენილი მეცნიერები, პროფესორები 40-ს და, განსაკუთრებით 50-ს გადაშორებული ლექტორები, მე ვფიქრობ, ეს ქართული უმაღლესი სკოლისათვის ტრაგედიაა. ლომაია ამ რეფორმის გამო შერისხული უნდა იყოს ქართველი ერისაგან, რადგანაც მან ქართული უმაღლესი სასწავლებლები და, განსაკუთრებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაანგრია ერთი ხელის მოსმით. როდესაც სტუდენტი ვიყავი, უნივერსიტეტში

ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ: კორნელი კეკელიძე, შალვა ნუ-
ცუბიძე, აკაკი შანიძე. აი, ამ ხნის კაცი ვარ და ის ნათელი
სახეები ჩემს გონებაში დღესაც ჩარჩენილია. დღევანდელ
უნივერსიტეტში ეს ყველაფერი წაშლილია, უნივერსიტეტის
უვიცმა რექტორმა, ესე იგი ლოტოს კოჭივით დაყენებულმა
კაცმა, ხუბუამ უნივერსიტეტში არ დატოვა არცერთი სახ-
ელოვანი, ცნობილი მეცნიერი, რა თქმა უნდა, კახა ლომაიას
მითითებით და დღეს, აი, იმ საგანს, იმ კათედრას, რომელსაც
მე ჩავუყარე საფუძველი უნივერსიტეტში, დავაარსე გალაკ-
ტიონისა და გამსახურდიას კაბინეტები, მეურვეობენ და ბა-
ტონკაცური იერით დააბიჯებენ სრულიად უვიცი, ეგრეთ წო-
დებული ახალგაზრდა დოცენტები. მე შემიძლია ორი გვარიც
დაგისახელოთ. ნიშნიანიძე და პაიჭაძე. მე მათ არ ვანდობდი
ლექციაზე შესვლასაც კი. მარტო პრაქტიკულ სამუშაოზე მყ-
ავდა ისინი დაკავებული, რადგანაც მხარი დამეჭირა მათი
ჯიუტი სურვილისათვის მაინც და მაინც უნივერსიტეტში
ყოფილიყვნენ და უნივერსიტეტში ემსახურათ. დღეს მოდი-
ან ჩემთანაც სტუდენტები და საქვეყნოდ აცხადებენ, რომ
მათ აბსოლუტურად არაფერი ესმით რუსიკო ნიშნიანიძისა
და თამარ პაიჭაძის მიერ წაკითხული ლექციებიდან. ჩემთან
მოდიან სახლში ასპირანტები, რომლებიც მეუბნებიან: ნუთუ
რაიმე პერსპექტივა არ უნდა არსებობდეს იმისა, რომ ჩვენ
დისერტაცია დავიცვათ?

მე ლიტერატურაში იოლი ჟანრი არ ვიცი, როცა ჟანრის
მიმართ არასწორი დამოკიდებულება აქვთ, მაშინ ზოგი ჟანრი
ზოგთა ხელში იოლდება, ჩემთვის, მაგალითად, ყველა ჟანრი
აბსოლუტურად ძნელია. აი, ლექსის წერა ისეა გაიოლებული
ზოგიერთისასთვის, რომ დღეში შეუძლია 30-ლექსი დაწე-
როს, მაგრამ რამდენა შეიძლება ეწოდოთ მათ ლექსები, ეს
სხვა საკითხია, ასევე დევალვაციას განიცდის რომანის ჟან-
რი. რომანი ზოგიერთს გონია გავსებული რვეულების გროვა
და მრავალგვერდიანი ნაწარმოები, სინამდვილეში საქართ-
ველოში დღესაც იწერება, აი, ასეთი, სრულიად შეუკვრელი,
ყოველგვარი სიუჟეტის კომპოზიციისა და პერსონაჟების გა-



რეშე დღიურების გაგრძელებული წერა, გრაფომანობა ჰქვია
ამას, როცა შენ წერტილის დასმა და დროზე შეჩერება არ
შეგიძლია. მე ხშირად მეკითხებიან: რატომ რომანებს არ
წერო და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, ჩეხოვის ნათქვამით
ვპასუხობ: „მთავარია ნოველა წერო, თორემ რომანს დღეს
ყველა წერსო“... ნოველაში აკუმულირებულია ერთი ეპიზოდი
ცხოვრებისა, საინტერესო ეპიზოდი და ვერ უნდა მიხვდეს
მკითხველი ნახევარზე მეტი ნოველაც რომ წაიკითხოს, რო-
გორ დამთავრდება იგი. მოულოდნელი მოხვევა სიუჟეტის,
ეს არის ნოველის უპირველესი თვისება და ეტყობა მწერ-
ლებს დაბადებიდან დაჰყვება ამ ჟანრისადმი მიდრეკლება,
შენ უნდა დაიბადო ნოველისტად. ზოგჯერ მეუბნებიან, შენს
ზოგიერთ ნოველაზე შეიძლება რომანი დაიწეროსო, მე ისე
მეშინია იმ ჟანრის, რომლის კლასიკური ნიმუშები შექმნეს
ტოლსტოიმ და ჰიუგომ, რომ ხუთ გვერდს დავწერ თუ არა,
უცებ შიში მიპყრობს, მკითხველის ყურადღებით ბოროტად
ხომ არ ვსარგებლობ-მეთქი, ძალიან ხომ არ გავუტიე-მეთქი
და იმ წუთში ფინალისკენ მივდივარ. რომანისტებს ეტყო-
ბა, ეს გრძნობა არ აქვთ, ისინი წერენ, გაუთავებლად ძა-
ლიან ხშირად, ჩემდა სამწუხაროდ, მოსაწყენად. ისე კი უნდა
გითხრა, რომ XX-XXI საუკუნის პროზაული ჟანრი, ალბათ,
უფრო მეტად ნოველაა. ადამიანს დღეს დრო არ აქვს, ბევრი
იკითხოს, დრო არ აქვს გაგრძელებული რომანების კითხვის.
ახლახან მე გამოვეცი „დოკუმენტური ნოველები“, რომელიც
დაიტაცეს, ეს წიგნი, უნდა გითხრათ, რომ ყველგან, სადაც
იყო გაიყიდა, რატომ იცი? დოკუმენტური ნოველა უფრო მო-
ერგო ადამიანის ფსიქიკას, ეს ახალი ჟანრია, იმიტომ, რომ
უკვე მოგონილი ფაქტები მკითხველს აღარ აინტერესებს.

ჩემს ნოველებს ძალიან იშვიათად ჰყავთ პროტოტიპები, მე
ხშირად მეუბნებიან სხვათა შორის: აი, ამაში ამას გულისხ-
მობდი, აი, ამ პერსონაჟში ამას გულისხმობდი, ამ ნოველაში
ამ პოლიტიკურ მოღვაწეს გულისხმობდიო. ზუსტი ასლი არა-
სოდეს არ არის, რაღაც შეიძლება დაემთხვეს, მაგრამ ის, რომ
მე ნატურიდან გადავხატო ცხოვრება, ამას არასოდეს ვაკეთებ.

სხვათა შორის, ხშირად ამბობენ, სათაური ნახევარი ნაწარმოებიაო, ხოდა მე ძალიან ბევრს არ ვმუშაობ ნოველის სათაურზე, სათაურს ნოველის დამთავრების შემდეგ ვარქმევ ხოლმე. მაგრამ ამ წიგნის სათაური, მე უცებ ამომიტივტივდა გონებაში, სარჩევს რომ გადავხედე, იმ წიგნში სწორედ ჩემი ცრემლი და ჩემი სიყვარული იყო. აი ეს, ცრემლით და სიყვარულით სავსე ნოველები ჩავდე სწორედ იმ წიგნში, რომელიც საზღვარგარეთ დაიბეჭდა და დიდი ნაწილი საქართველოს გარეთ გაიყიდა. რა ვიცი, მწერალს ორი რამ ამოძრავებს, არა მარტო მწერლობაში, ცხოვრებაშიც – ცრემლი და სიყვარული. ცრემლი არის სევდა. მწერალი სევდის გარეშე არ არსებობს, თუ შენ ლირიკა არა გაქვს, თუ შენ არ შეგიძლია ადამიანს გადასცე სევდა, სასიხარულოს ეს ჩვენი ცხოვრება ძალიან ცოტას გვაძლევს. და მეორე, სიყვარული – თუ სიყვარული არ გამოძრავებს, თუ შენი გული სიყვარულით არ არის გამთბარი, თუ შენ ადამიანი არ გიყვარს, კაპიკია შენი ფასი.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ნოველის ყველა გმირი გამოირჩევა სათნოებითა და პატიოსნებით. მე არასოდეს არ ვყოფ ჩემს პერსონაჟებს დადებით და უარყოფით პერსონაჟებად. ეს თეორია ერთი პერიოდი იყო საბჭოთა ლიტერატურაში. ადამიანში ორივე საწყისი – კეთილიც და ბოროტიც თანაცხოვრობს, თანაარსებობს.

მაშინ, როდესაც უბედური უფრო მეტია ადამიანთა შორის, ვიდრე ბედნიერი. პატარა მაგალითს გეტყვი, ქართველთა უნაპირო სიკეთე, სტუმარ-მასპინძლობაში გამოხატული, მსოფლიოს ბევრი მოქალაქისთვის და არაერთი ჩვენი სტუმრისათვის, ქართველთ გულუბრყვილობად კი არა უფრო მეტად რაღაც ფუქსავატურად იქნა ჩათვლილი და უამრავი სტუმარი წასული საქართველოდან, პირველ ნაკლად სწორედ იმას გვითვლის, რომ რა საჭიროა ასეთი ფუქსავატობა, რა საჭიროა ასეთი თანგადაყოლა. არადა რომ მოაკლო ცოტა ყურადღება სტუმარს, მერე ის დაბოღმილი რჩება, რომ ყურადღება მოაკლეს. ამიტომ ზომიერება ყველაფერში უნდა შევინარჩუნოთ და განსაკუთრებით სიკეთის კეთებაში.



ქუთაისში დავამთავრე სკოლა. იქ ვიცხოვრე 15 წელი. ქუთაისში მე შეგნებული ადამიანის ცხოვრებით მიცხოვრია, ალბათ, 8-9 წელი. ამ წლებმა ჩემს ფსიქიკაზე, ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაზე, ჩემს შეხედულებებზე გავლენა მოახდინა და ანაბეჭდი დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ თბილისში ვცხოვრობა 50 წელი, აქ იყო ჩემი უმაღლესის დამთავრებაც, პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებაც. დღეს 65 წიგნის ავტორი ვარ. ჩემს თავს დღესაც ძირძველ, რომ იტყვიან ქუთაისელს ვეძახი. ფულს ქუთაისურად ვთვლი. ასე რომ ყველაფერს თურმე ადამიანი, გონებაში ძერწავს თავისი ახალგაზრდობის წლებიდან, აი, ასე მოეწყო ჩემი ცხოვრება, ქუთაისი ჩემი სიყრმის ქალაქია, ჩემი უსაყვარლესი ქალაქია, უამრავი წიგნი ქუთაისზე მაქვს დაწერილი, სწორედ ქუთაისის საპატიო მოქალაქე ვარ.

ჩემი სამაგიდო წიგნი არის „ვეფხისტყაოსანი“. მე ყოველ საღამოს, დაწოლის წინ, ვკითხულობ და ჩემზე საოცარ გავლენას ახდენს. ჯერ ერთი რწმენა მემატება, ქართული სიბრძნისა, ქართული ჯიშის მიმართ, მერე მწერლობაზე სწორი წარმოდგენა მეძლევა და მეშინია, მე რომ ჩემს თავს მწერალს ვეძახი. შევიკეცავ საბანს და მოვიკუნტები, ესეც მწერალი იყო და მეც მწერალი ვარ-მეთქი?! – ვეუბნები ჩემს თავს. ამიტომ ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლები ვწერო. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცის ხასიათს განსაზღვრავს, თუ რაიმე დადებითი გვაქვს ხასიათში, სიკეთე, ეს ყველაფერი „ვეფხისტყაოსნიდან“ მოდის და თუ რაიმე ნაკლი გვაქვს ხასიათში, ეს ჩვენმა უბედრუმა უკანასკნელმა ორმა საუკუნემ გვასწავლა, მე-20 და 21-მ. აი, ამიტომ მე სხვა წიგნებს აღარ დავასახელებ, თავსასთუმალთან დადებული წიგნი „ვეფხისტყაოსანია“.

*ივნისი, 2008*

# გაიხსენე 7 ნოემბერი

რაც უფრო ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, მიხეილ სააკაშვილი უფრო და უფრო გულუხვი ხდება საზოგადოების მიმართ, მათ შორის „ჩარეცხილი“ ინტელიგენციის მიმართაც.

სააკაშვილის „გულუხვობის“ გამო ოპოზიცია ერთ შეკითხვას სვამს: რასაც წინასაარჩევნოდ არიგებთ, თუ კი ეს ყველაფერი ხალხს ეკუთვნოდა, აქამდე სად იყავითო? მგონი, ეს გულუბრყვილო შეკითხვაა. კითხვა უნდა დაისვას ასე: ვის ხარჯზე ხარ ასეთი კეთილი, ჩემო ძვირფასო მიხეილ? ოპოზიციამ გამოიანგარიშა და გაირკვა, რომ მთელი ის თანხა, რაც ახლა სააკაშვილის ჩუქებების ჩანჩქერით დაეფრქვევა თავზე ქვეყანას, ჩვენი ბიუჯეტის ნახევარია. ეს გამოიწვევს საშინელ ინფლაციას, ქვეყნის ბიუჯეტის გაცამტვერებას. ასე რომ, სააკაშვილის ამ გულკეთილობას ნურც ერთი ქართველი სერიოზულად ნუ მიიღებს.

ოთხი წლის განმავლობაში სააკაშვილმა საქართველოს ვერ შესძინა ვერცერთი ისეთი სიკეთე, რომლის მიხედვითად შეგვეძლო მისი, როგორც გონიერი მმართველის მოღვაწეობაზე საუბარი.

უნდა ვთქვათ, რომ თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში, როგორც მთხრელები. ძირი გამოუთხარეს შევარდნაძეს და ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს. ყველა პოლიტიკოსი აქაც და საზღვარგარეთაც აღიარებდა, რომ ეს იყო სახელმწიფო კარის გადატრიალება და ამას „ვარდების რევოლუციას“ დაუძახებ თუ „ზამბახების რევოლუციას“, რა აზრი აქვს. კადრები ღაღადებენ, როგორ შემოიჭრნენ კვართის შიგნით რომ სკაფანდრები ეცვათ, ისეთი ბიჭები სააკაშვილის ხელმძღვანელობით პარლამენტში.

ინტელიგენცია ერის გონებად და სინდისად არის აღიარებული. ინტელიგენციის მცირე ნაწილი ყოველთვის იყო მალემრწმენი და ქარში ლერწამივით იქით-აქეთ მოქანავე. ასეთები დღესაც არიან და ზოგიერთი მჩატე ინტელიგენტი 2 ნოემბრის მიტინგზე გალობდა!



სხვათა შორის, გალობით და სიმღერით მიტინგის ჩატარების მომხრე არ ვიყავი და ის მიტინგიც გავაკრიტიკე, რადგანაც უსუსურად უხელმძღვანელა ოპოზიციამ აქციებს. პირველ რიგში, სწორედ ინტელიგენცია გახლავთ ერის ბედზე პასუხისმგებელი და, მაქვს პატივი, ჩემი თავიც ამ ინტელიგენტთა რიგში მოვიხსენიო. ჰოდა, ინტელიგენცია არც ისე ჭრელი და უნებისყოფოა, როგორც ეს ხელისუფლებას ჰგონია. არ ვლაპარაკობ ზუმბასა და ლექს-ენზე, ჭეშმარიტ ინტელიგენციაზე მოგახსენებთ! ერის ჭირისუფალი ინტელიგენცია აბსოლუტურად ერთიანია და ამბობს: სააკაშვილო, ვერავითარი შენი მოჩვენებითი გაღიმება, „გულუხვობა“ და ორკვირიანი სიკეთე ვერ გადასწონის იმას, რა დანაშაულიც ქართველი ერის წინაშე ჩაიდინე!

ეს დანაშაული ძალიან დიდია. აღარ ვლაპარაკობ ქართული ეკლესიის შევიწროებაზე, ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის წართმევაზე, არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ მხოლოდ საქართველოა დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანა, სადაც ადამიანს საბუთში ეროვნება არ უწერია. არ ვლაპარაკობ მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული უნივერსიტეტის დამხობაზე და ა. შ. და ა. შ. ვლაპარკობ იმაზე, თუ როგორ გაუსწორდა 7 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლება თავის ერსა და ქვეყანას.

მქონდა საშუალება, მიტინგებზე ვყოფილიყავი და ვისაც კი თვალით მივწვდი, ყველას სახე დამენახა. იქ იდგნენ ფიქრით და ტკივილით მოსული ადამიანები. იქ არ იდგა ხალხი, ვისაც შეიძლება ფული დაურიგო, ფქვილი მიუტანაო სახლში, თავზე წითელი ნაჭერი შემოახვიო, ავტობუსით შენთან შეხვედრაზე წაიყვანო და ტაში აკვრევინო. იქ იდგა მოუსყიდველი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც იდგა რუსთაველზე მაშინაც, როცა ჩვენ ენას გვართმევდნენ, მაშინაც, როცა იყო 9 აპრილი, იმპერია ემხობოდა და საქართველოს თავისუფლების ბედი წყდებოდა.

მოდით, ისევ სააკაშვილის „გულუხვობას“ მივუბრუნდეთ. ადამიანებს წართმეული ბინები დაუბრუნეს, კერძო საკუთრე-

ბა დაუკანონეს. მწერალთა კავშირის შენობიდან გამოყრილ მწერლებსა და გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოძევებულ ჟურნალისტებს კი მაინც არ გვწყალობენ, როგორ ფიქრობთ, რატომ?

დღეს კარგ ქართულ გაზეთს, მშვენიერ, გაბედულ „ასავალ-დასავალს“ თავშესაფარი არ გააჩნია და აფერუმ მათს ვაჟკაცობას, რომ მაინც ახერხებენ, ერს მიაწოდონთ მართალი სიტყვა. მწერალთა კავშირის 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე თავს დაესხა სპეცრაზმი და ნიღბიანი ბიჭები შეცვივდნენ შენობაში, როცა იქ არავინ იყო. მე თვითონ მითხრა ერთერთმა პოლიციელმა, რომელიც ახლაც მწერალთა კავშირში ზის და მწერალთა კავშირს მწერლებისგან იცავს, რომ, ჩვენ ღამის 2 საათზე დაგვიბარეს და გვითხრესო, მწერალთა კავშირში შეცვივდნენ ლტოლვილები და უცხო ადამიანები და გავუთავისუფლოთ მწერლებს შენობაო. შიგნით რომ შევედით, იქ არავინ იყოო, რომ ავედი მეორე სართულზე და კაბინეტის კარზე ეწერა „მაყვალა გონაშვილი“ და „რევაზ მიშველაძე“, მაშინ კი მივხვდით, რა ჩაგვადენინესო.

არც ერთხელ თავის შეხვედრაზე ინტელიგენციასთან თუ სხვა პროფესიის ადამიანებთან სააკაშვილს გაკვრითაც კი არ უხსენებია ეს ფაქტი, იმდენად სძულს მას მართალი ჟურნალისტები და ქართველი მწერლები, რომ პასუხისმგებლად არ თვლის თავს ამ ადამიანების წინაშე. თუ სააკაშვილს ჰგონია, რომ წინასწარ ეგზალტირებულ მიტინგზე გამოვა და იტყვის: ჩემო ხალხო, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ, ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადაში სიღარიბეს სამუდამოდ განვდევნი საქართველოდანო და ამით ხალხს თავისკენ შემოაბრუნებს, ძალიან ცდება!

ღმერთმა ნუ ქნას სააკაშვილის მეორედ გაპრეზიდენტება, მაგრამ, როგორ განდევნის სიღარიბეს, როცა ინფლაცია ამ წუთშიც დევის ნაბიჯით იზრდება, როცა უმუშევრობა კატასტროფულად მატულობს. აი, რა გააკეთეს უმუშევრობის წინააღმდეგ, დიდ აქციას ჩავატარებთო. 80 პროცენტი საქართველოში დაუსაქმებელია. მოაწყდა ხალხი, გაიმართა ზედახორა



და ამ ხელისუფლების დანაშაულს კიდევ დანაშაული დაემატა. ქალი დაიღუპა და რა დიდი ნუგეშია იქ, რიგში, ჭყლეტაში დაღუპული ქალისათვის, რომელიც დასასაქმებლად მივიდა, მის ოჯახში დარეკვა, რა სიტყვებით ელაპარაკა სააკაშვილი დაღუპულის მეუღლეს, ძალიან მაინტერესებს. რა უთხრა? ჩემო ძვირფასო, მართალია, შენი მეუღლე დაიღუპა ამ რიგში, ამ ჭყლეტაში, მაგრამ არა უშავს, რას იზამ, ძმაო ხდებაო?

თუმცა, ფაქტია, რომ სააკაშვილმა ბევრი რამ დათმო, ბევრ რამეზე უკან დაიხია. მაგრამ ეს შეშინებული კაცის უკან დახევაა. ოღონდ პრეზიდენტად ამირჩიეთ და ყველაფერზე თანახმა ვარო. გარაჟებს რომ გინგრევდით, თურმე, მართალი არ ვყოფილვარ და ააშენეთ ისევო, სახლებს რომ გინგრევდით და კერძო საკუთრებას გართმევდით, თურმე, არ ვყოფილვარ მართალი და ჰა, გიკანონებთ არა მარტო თქვენს საკუთარ სახლებს, არამედ მიწის ნაკვეთსაც კი, რომელიც მიტაცებული გაქვთო. ხალხი რომ დაიღუპა? ხალხს რომ აბუჩად იგდებდნენ? ხალხი რომ თავიანთი სახლებიდან გამოჰყავდათ ქეჩოში ხელწავლებული, მკლავ გადატრიალებული, რომ მიარბენინებდნენ ციხეში და ფულს სძალავდნენ? რატომ ჰგონია სააკაშვილს, რომ ერთი მისი გამოსვლით: – შეგვეშალა, სულ ტყუილად გაგვილახიხართ, სულ ტყუილად გაგვითელიხართ მიწაზე, სულ ტყუილად დაგვინგრევია ფერიის მთაზე ეკლესია, სულ ტყუილად დაგვიმხია ჯვრები, სულ ტყუილად დაგვინგრევია უნივერსიტეტი, შეგვეშალა, ტყუილად დაგვიმხია აკადემიაო, – ყველა ცოდვას გამოისყიდის? ამას აპატიებს მას ვინმე? თუ ილია ჭავჭავაძის იუბილეს, რომელიც ჩვენ მწერლებმა შევახსენეთ, ჩაატარებს ყვარელში, იქ ეგზალტირებული სიტყვით გამოვა და ამასაც თავისი კანდიდატურის პროპაგანდისთვის გამოიყენებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამით ის გაამართლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ილია ჭავჭავაძის კაბინეტის გაუქმებას? რა პირით უკიდია ამის შემდეგ მას ილია ჭავჭავაძის სურათი თავის კაბინეტში?

„იმედს“ რაც დამართეს, გადაღებულია და ისტორიას დარჩება. შეიძლებოდა, მოსჩვენებოდა ავადმყოფ ხელისუ-

ფლებას, რომ „იმედი მოუწოდებდა ქვეყანას ხელისუფლების დამხობისაკენ და თავის გადასარჩენად ამ არაკანონიერ გზას მიმართა, გამორთო საეთერო ქსელიდან „იმედი“, მაგრამ ეს გამორთვა იყო? ხომ ნახეთ, როგორ შევარდნენ, როგორ სცემდნენ ჟურნალისტებს, რა გავეშებული და გაავებული იყვნენ პოლიციელები, რომლებიც ზუსტად სცნობდნენ, ვისთვის უნდა დაერტყათ ხელი. სააკაშვილზე მსოფლიო პოლიტიკასთან გაერთიანებული ზეწოლის შემდეგ შენობაში რომ შევიდნენ „იმედის“ ჟურნალისტები, რა დახვდათ? დარბეული, დანგრეული, მოპარული მონიტორები. მადლობა ღმერთს, რომ „იმედს“ ფულიანი პატრონები ჰყავს, მაგრამ მწერლათა კავშირიდან რომ გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას და მიხეილ ჯავახიშვილის პირადი ნივთები გაიტაცეს, ამაზე პასუხსაც კი არ აგებენ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენზე თავი არ გამოიდო, არც გაერომ და არც ევროსაბჭომ. თუმცა, მწერალთა კავშირში ჩვენ გვაქვს 40 დეპეშა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მწერალთა კავშირებიდან მიღებული, რომლებიც გვითანაგრძნობენ. მსოფლიოს 15 ქვეყნის, მათ შორის ჩინეთის, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის, აშშ-ის ხელმოწერით, სააკაშვილს მოუვიდა წერილი: დაუყოვნებლივ დაუბრუნე მწერალთა სასახლე მწერლებსო, ნული პასუხი!

ვინ აუნაზღაურებს „ასავალ-დასავალს“, კომპიუტერები რომ დაალეწეს თავზე, საკუთარი დანაზოგით გარემონტებული შენობა რომ ჩამოაფშვნეს? ეს იცით, რა ოპერაცია იყო? არ გაცოცხლდე არასოდესო. როგორც ქვეწარმავალს, თავს გისრესთ, რომ არასოდეს გაცოცხლდეო!

სააკაშვილი ყველას მიმართ კეთილი და გულუხვია, მოჩვენებითად. ისე ატყუებს ხალხს, რომ ასეთი ტყუილი ფანტაზიაშიც კი ვერ წარმომიდგენია. მან დააბრალა საცოდავ კახელ გლეხს, რომ შენ ფული მოგცეს და იმიტომ აჩეხე ვენახიო. მისცეს აბა ფული თვითონ, თუ ვინმე აჩეხავს კახეთში ვენახს.

„იმედის“ თემას მინდა დავუბრუნდე. გაცოცხლდა „იმედი“ და ყველა მივუჯექით ტელევიზორებს: არ არის მართალი, რაც „იმედის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ეთერში გასვლისთანავე განაცხადა. ერთადერთი ფანჯარა იყო „იმედი“, საიდანაც მართალი სიტყვა ისმოდაო. არ არის ასე. ჩემო ძვირფასო, მდიდარო „იმედო“, არ უნდა დაგავიწყდეს შენი ღარიბი ძმა – „კავკასია“.



რაც „ასავალ-დასავალმა“ იმედს გაუკეთა, ეს იყო უპრეცედენტო სოლიდარობა და მხარდაჭერა. ლაშა ნადარეიშვილმა გააკეთა საოცარი რამ, მან გაზეთის წამყვანი გვერდები დაუთმო „იმედს“ და უთხრა: აი, ძვირფასო „იმედის “ ჟურნალისტებო, აგერ ტრიბუნა და უთხარით ხალხს ყველაფერი, რისი თქმაც თქვენი ტელემაყურებლისთვის გინდათო. ეს უპრეცედენტო ამბავია.

როცა აღდგა „იმედი“, არ შეიძლებოდა ერთი სიტყვით ეთქვათ? – მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ისევ ეთერში ვართ, მაგრამ, გვინდა შევახსენოთ ჩვენ ხელისუფლებას და ტელემაყურებელს, რომ ისევ დამხობილია, გაზეთი „ასავალ-დასავალი“ და სხვა ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთებიო? ისევ ფეხი-ფეხზე გადადებული პოლიციელები სხედან საქართველოს მწერალთა კავშირშიო? ეს აუცილებად უნდა ეთქვათ.

სააკაშვილს არა აქვს არჩევნებში გამარჯვების შანსი.

არანაირი შანსი არა აქვს და ამიტომაცაა, რომ გრძელდება საქართველოს მოსახლეობის იდიოტად გამოცხადების პროცესი. აქვეყნებენ სხვადასხვა რეიტინგებს, სადაც სააკაშვილს აქვს 64 თუ 70 პროცენტი მხარდაჭერა. ამით ხალხს აჩევენ იმას, რომ თითქოს სააკაშვილს მოსახლეობაში რეიტინგი აქვს და რომ მისი გამარჯვება გარდაუვალია, თუმცა, ამით ხალხს კი არ ადუნებენ, უფრო აგულიანებენ.

სააკაშვილს უპირისპირდება სახელოვანი რაზმი ქართველი ხელოვანებისა, რომლებიც ამბობენ, რომ სააკაშვილის მატარებელი წასულია და ქართველო ერო, ნუ გადაგეკვრება ლიბრი თვალზე, გაიხსენე არამარტო 7 ნომბერი, როცა სიმართლისათვის ბრძოლაში სააკაშვილმა ზურგი აგიჭრელა, გაიხსენე მთელი ოთხი წელი, როცა შენი გული გასიებული იყო და გახეთქვამდე მისული ცრუ დაპირებების შეუსრულებლობის გამო.

*დეკემბერი, 2007*

# განზე არ გაცუროთ

არც გუმბარიძისა და არც შევარდნაძის დროს ხალხი ისე უარყოფითად არ ყოფილა განწყობილი ხელისუფლებისადმი, როგორც 2007 წელს. 2003 წელს სააკაშვილს სულ 20-30 ათასი კაცი თუ ჰყავდა, როცა ის პარლამენტში შევარდა, ხოლო 2007 და 2008 წლებში, თბილისის ქუჩებში თუ იპოდრომზე, იმდენი კაცი გამოვიდა, რამდენიც არასოდეს გამოსულა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ახლა, „გრეჩიხას“ მგზნებარე შეძახილებს, – „მიშა მოვედი!“ ანდა დავით გამყრელიძის რაფინირებულმა ლაპარაკმა გამოგვიყვანა ხალხი ქუჩაში? არ დაიჯეროთ!.. ქართველი ხალხი, უპირველესად, ეროვნული სახელმწიფოს რღვევის დანახვამ შეაწუხა, სააკაშვილმა ჩვენს ეროვნულ წისქვილებს შეუტია. ქართული მიწის, წყლის და ტყის უცხოელებზე გაყიდვას ქართელი კაცი ვერ ეგუებოდა, თუმცა მაინც ფიქრობდა, – რაღაც დროით გაყიდეს ეს ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს, სამუშაო ადგილები შეიქმნებაო!.. მაგრამ როცა სააკაშვილმა ჩვენ ეროვნულ ფესვებს დაუწყო თხრა და გაუთოება, აი, ამან გამოიყვანა ხალხი ქუჩაში. სააკაშვილის უპირველესი და უდიდესი დანაშაული პიროვნების დამადასტურებელი საბუთებიდან ეროვნება „ქართველის“ და მამის სახელის ამოშანთვა იყო. ინტერვიუდან ინტერვიუში ვიმეორებ ამას გაფუჭებული გრამაფონივით, – მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, სადაც მოქალაქეს ერთ საბუთში მაინც არ ეწეროს ეროვნება. აი, იქ დაარტყა სააკაშვილმა ქართველ კაცს ყველაზე მეტად, სადაც ჩვენ ჩვენი ავტოქტონობის დამტკიცება და იმის თქმა გვიწევდა – მართალია, შეიძლება, ისე ვერ ვმრავლდებით, როგორც ჩემი სტუმარი ერები, მაგრამ მე ეს სახელმწიფო დავითმა და თამარმა ხმლით შემომიხაზეს და მე ქართველი ვარ!.. ილია ჭავჭავაძეს თავის პუბლიცისტურ წერილებში ყველაზე ხშირად ნახსენები აქვს „ქართველი“ და „მამული“... აი, ეს „ქართველი“ მოსპო სააკაშვილმა და ამან გამოიყვანა ხალხი ქუჩაში. სააკაშვილო, ილია ჭავჭავაძის სურათი რომ გიკიდია კედელზე და ილია ჭავჭავაძის დაუძინებელი მტერი რომ ხარ, ეს შეიძლება? ხალხი ქუჩაში გამოიყვანა მწერალთა კავშირის განადგურებამ!.. შარშან, 21 აგვისტოს, მწერალთა სასახლეს ღამის 4 საათზე თავს დაესხა ნიღბიანი ასეული... 8 ავტომატიანი კაცი, ჩაცუცქული, ოპერაციის უსაფრთხოებას იცავდა. ვინ, კაცო, ვის დაესხი თავს, ანა კალანდაძეს? ოტია იოსელიანს? ჭაბუა ამირეჯიბს? ოთარ ჭილაძეს? მერაბ ელიოზიშვილს? რეზო მიშველაძეს? ქურდების „სხადნიაკი“ რომ აიყვანეს ახლა მოსკოვში, იქ არ ჩაუტარებიათ ასეთი ოპერაცია, გადააბეს ერთმანეთს და თხებივით წაიყვანეს... რომ მოკიდეს ხელი გალაკტიონის მხრებით მოტანილ კარადას, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელს, ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, გიორგი შატბერაშვილის, სიმონ ჩიქოვანის ავტოკალმებს, პირად ნივთებს, მწერალთა კავშირისათვის ნაჩუქარ წიგნებს, მწერალთა უნიკალურ არქივს, როგორც ბანდა, ისე გაანადგურეს ყველაფერი.

... ამ ბოლო დროს სააკაშვილიო რაღაც-რაღაცეებში უკან იხევს, რა იდიოტობებიც აკეთა, იმას ასწორებს, ჭკუაზე მოდის. თუმცა მე ძალიან კი მეპარება ეჭვის, რომ მიშა ჭკუაზე მოვიდეს!

მაგალითად, რუსთაველის პრემია რომ აღადგინა, მომეწონა; ხათუნა იოსელიანს წართმეული ბინა რომ დაუბრუნა, მომეწონა, მაგრამ ტყუილებს ესენი ვერ მოიშლიან, – საპატრიარქოს მიწები რომ დაუბრუნეს ვითომ, ის მიწები, თურმე გაუყიდიათ!..

ახლა ოპოზიციის იმ საბედისწერო შეცდომაზე ვისაუბროთ, რამაც დღევანდელ დღეში ჩაგვყარა!..

„გრეჩიხას“ და გამყრელიძეს ხალხი ქუჩაში არ გამოუყვანია-მეთქი. სააკაშვილს ისე ეზიზღება თავისი ბაბუა – გრიგოლ აბაშიძე – რომ მწერალთა კავშირს ამ წართმეულ შენობას არ უბრუნებს და რა ხდება, იცით?.. ერთი წელია, ღამურები და პოლიციელები არიან მხოლოდ შენობაში, ლპება მწერალთა კავშირი, ობი გაუჩნდა ყველაფერს, ერთი წელია შენობაში დამლაგებელი არ შესულა... ხალხი ქუჩაში გამოიყვანა იმან, რომ ლომაიას სულელური რეფორმის წყალობით ივანე ჯა-

ვახიშვილის უნივერსიტეტი იავარქმნილია და მისი რექტორ-პედაგოგების შემადგენლობა სასაცილოა. უნივერსიტეტში 27 კათედრის გამგიდან 2 დატოვეს მხოლოდ – ნიშნიანიძე და პაიჭაძე, რომლებსაც ორ ბატს ვერ მიაბარებ... მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ასე უხასიათოდ არ ვყოფილვარ, ასეთი უპერსპექტივობის მწვავე გრძნობა არასოდეს მქონია. ამ ოპოზიციამ აქოჩრილი ხალხი, სიმართლისათვის შემართებული ხალხი, უფრო რევოლუციურად აღტყინებული ხალხი, ვიდრე ჩვენ ამას 2003 წელს ვხედავდით, გააუთოვა, დაადედლა, ქვეყანა 40 წლით უკან დახია!.. ხალხის მოთხოვნა საბოლოოდ ერთ მიზნად ჩამოყალიბდა, – პარლამენტისა და მთავრობის პიკეტირება, რომელმაც ესტონეთში და უკრაინაში ხელისუფლება შეცვალა. ჩვენმა ოპოზიციის ბელადებმა, რომლებსაც ახლა თავი არ აქვთ გამოსაყოფი, საათნახევარიც კი ვერ მოახერხეს პარლამენტისა და კანცელარიის პიკეტირება, საათნახევარში მიატოვეს ხალხი და ზოგი თავის მამიდის უკანალში შეძვრა, ხოლო ზოგი ტელევიზიით გამოგვეცხადა და ბრძნული აზრების ღაღადი დაიწყო!.

ამასწინათ „გრეჩიხას“ ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობდა, – ბოლო დროს, სააკაშვილს ორჯერ შევხვდი, ერთხელ 12 იანვარს, ხოლო მეორედ ინაგურაციის წინა დღესო!. ეს ხომ უკვე იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი გაყიდული იყო, რომ ის „მიშა მოვედი!“ იყო ყალბი, თეატრალური შეძახილი. ესენი სააკაშვილის ჩამომგდებები რომ არ იყვნენ, თავშივე უნდა გვცოდნოდა, რადგან ოპოზიციის ლიდერები, თითქმის სულ სააკაშვილის ნაპარლამენტარი და ნამინისტრალი ხალხი იყო. ქართველ ერს რომ ეგონა, ესენი ჩემი ინტერესების გამომხატველები არიანო, არც გამყრელიძე, არც გოგა ხაინდრავა და არც სალომე ზურაბიშვილი, ჩემსავით და შენსავით, გაღლეტილები კი არ არიან და პურის ფულს კი არ დაეძებენ, ღმერთმა მისცეთ და უზრუნველყოფილები არიან თავიდან ბოლომდე. ამიტომ გარემოვაჭრე, შიმშილით მკვდარი კაცი, მათი საზრუნავის საგანი არ გახდება.

ზოგჯერ ოპოზიციის საბედისწერო შეცდომაზე მეკითხებიან. საბედისწერო შეცდომა კი არა, ეს ოპოზიცია თავიდანვე ხელჩაკიდებული იყო ხელისუფლებასთან. ოპოზიციამ შეგნებულად გაყიდა ქართველი ერის ინტერესები და საბედისწერო შეცდომა კი არა, ეს იყო დანაშაული.

ვისაც გავამართლებდი, ოპოზიციიდან რომ გამოვიდა, ეს არის კოკო გამსახურდია. კოკო გამსახურდია პატიოსანი, სწორედ გაზრდილი კაცია, მან დაინახა, რომ ესენი არიან საქართველო საჭესთან დამდგომი ხალხი და წავიდა. სხვა რომ იყოს სააკაშვილის ადგილზე და ისეთივე სისულელეებს სჩადიოდეს, როგორსაც სააკაშვილი სჩადის, ესენი, შეიძლება, მისი მტრები არ გამხდარიყვნენ, მაგრამ სააკაშვილზე გაბრაზებულები არიან, რადგან მიშამ ესენი გამოყარა. უპერსპექტივოდ დაშლილია ოპოზიციაა. ...კახა კუკავა არის იქ ახლა ერთადერთი პატრუქივით დანთებული ბიჭი, რომელიც ახალგაზრდაა, გამოუცდელია, სურვილი კი კეთლშობილური აქვს, მაგრამ კახამ არ იცის, რომ იმ ნავს, რომელშიც ზის, არც კომპასი აქვს, არც იალქანი და არსად აღარ მიდის!..

დანარჩენი?.. უბედნიერესი ადამიანები იქნებიან გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე, თუ ამ ტლაპოდან განზე გაცურავენ... თქვენ დაინახავთ, სექტემბერ-ოქტომბერში ისინი ერთს გაფართხალდებიან და მერე იტყვიან, – „მოგსრიათ პატრონიო!“ ზოგმა ახლა თავიანთი უნიათობისა და დედლობის გადაბრალება ქართველ ხალხზე დაიწყო... სხვათა შორის, სააკაშვილი ჟილეტით გიჟივით რომ შევარდა პარლამენტში, იმასაც ელოდა, რომ შევარდანაძე დაიჭერდა. მაგრამ სააკაშვილს იმ წუთებში გიჟის ვაჟკაცობა მაინც ეყო, ხოლო ესენი ვინ არიან? ლაჩრები, მშიშრები, საცოდავები!. ხალხს ლახვარი ჩასცეს ამათ, რევოლუციური განწყობილება ერთი ხელის მოსმით მოსპეს და ქვეყანაში სრული უიმედობაა გამეფებული. გული მერევა ტელევიზორს, რომ ჩავრთავ და ჯონდი ბაღათურიას, გიორგი თარგამაძეს, გია თორთლაძეს, გია ცაგარეიშვილს ვუყურებ... ტელევიზიაც როგორი ეშმაკია, – ისე ხშირად უმრავლესობას არ აჩვენებენ, როგორც ამათ და ყველაფერს ამათ ეკითხებიან. ეს არის უდიდესი

დაცინვა. გამოდის სერიოზული, დაყენებული, დიქტორული ხმით გიორგი თარგამაძე, რომელიც მთელმა საქართველომ შეიძულა და ლაპარაკობს სისულელეებს. რისი თავი გაქვთ? სხვა სიტყვა კინაღამ წამომცდა... როგორ შეიძლება, ამდენი ფული ჰქონდეს ორი თვის შექმნილ პარტიას? აი, ქართველო ერო, შენი ხსნა ახლა დაიწყო, – თარგამაძე, თორთლაძე, ბაღათურია – პარლამენტში შევიდნენ! ბურჯანაძემ და სააკაშვილმა სასიკვდილოდ რომ გასწირეს მოშიმშილეები, მე იქ დავდიოდი და თორთლაძისა და ცაგარეიშვილის კარავში შევდიოდი, ძიძიგურიც გვერდზე იყო. ეს სამი ბიჭი მესიმპათიურებოდა ძალიან. ვეკითხებოდი, – რა იყო, ბიჭო, ამ შიმშილობით კი აღადგინეთ ეს შელახული რეპუტაცია, მაგრამ ეს 300-300 ათასი კაცი სამჯერ რომ მიაბრუნეთ უკან ეს რა უბედურებაა-მეთქი? სამივეს პასუხი იყო ასეთი: – ბატონო რეზო, გაყიდულები ვართ, სულ მალე ყველაფერს გაიგებთ, ვინ გვეკითხება ჩვენ რამეს? აი, ისინი ვინც ხელმძღვანელები არიან, ვერ წარმოიდგენთ, რას აკეთებენ, როგორ „აჩმორებენ“ ქართველ ხალხს, როგორ გვექაჩებიან უკან!.. აი, ამას მეუბნებოდნენ... თორთლაძეს, ცაგარეიშვილსა და ძიძიგურს ვერ ვწირავ, თორემ დანარჩენი მეჯავრება!..

თორთლაძემ და ცაგარეიშვილმა დაინახეს ოპოზიციის უპერსპექტივობა, მაგრამ სულმა წასძლიათ და პარლამენტში შევიდნენ!.. რატომ შალვა ნათელაშვილი არ შევიდა პარლამენტში, რაღაცას რომ უჩხიკინებენ, განცხადება არ დაწერაო?.. ნათელაშვილს ესენი ასწავლიან განცხადების დაწერას? მაგრამ კაცი გეუბნებათ, – არ ვცნობ ამ პარლამენტს და წერილში ამ პარლამენტის ლეგიტიმურობას არ ვაღიარებო!.

ეს „გაერთიანებული ოპოზიცია“ უნდა დაინგრეს... იქ, ფაქტობრივად, აღარავინ აღარ არის... იქ კახა კუკავა არის სანთელივით კაცი და ჩემი ლევანის შვილი – გუბაზ სანიკიძე, უგანათლებულესი კაცი, მაგრამ გუბაზი რევოლუციონერი არ არის და მისი ბოლო ინტერვიუები ძალიან მაღიზიანებს, ქართველ ხალხს რომ აბრალებს ყველაფერს!..

ამათ ხმები არ დაუთვლიათ, სააკაშვილს არჩევნები არ ჩაუტარებია საერთოდ ქართველი ერი არაფერ შუაშია!.. თვენახევრის წინათ 97 პროცენტით წააგო სააკაშვილმა თბილისში არჩევნები და თვენახევრის შემდეგ რა ოქროს „სარაია“ ააშენა ისეთი, რომ ამდენი პროცენტი მიიღო? არ ყოფილა არჩევნები, და ამიტომ. საცოდავ ქართველ ერს ნურც ერთი ხელმოცარული რევოლუციონერი ნურაფერს დააბრალებს!..

ლიდერის პრობლემა უდგას ოპოზიციას, ვინ იქნება ლიდერი?

მკითხაობას არ დავიწყებ... ეს გაკოტრებული „გაერთიანებული“ ოპოზიცია“ უნდა წავიდეს პოლიტიკური არენიდან. დღეს რომ სააკაშვილი ძლიერია და ქართველ ხალხს დასცინის, ეს ამ ოპოზიციის ბრალია. არ შეიძლება ყოველ შემოსახვევში ბღავილი, – უნდა დაგამხო, უნდა გაგსრისო!.

ესენი იქ რომ სხედან და ამას ისმენენ, როგორ ფიქრობთ, თავისი ფეხით ციხეში წავლენ? მით უმეტეს, არაფრის გამსრესი არ ხარ და იმის ვაჟკაცობაც არ გაქვს, ერთი კვირით ჩაჯდე ციხეში. მე ხომ წარმომიდგენია, რევოლუციის დღეებში რა ლაპარაკები იქნებოდა დათო გამყრელიძის, „გრეჩიხას“ და რამდენიმე ბობოლა „რევოლუციონერების“ ოჯახში... როგორ ფიქრობთ, ახლა ჯანრი კაშია, ძალიან მომხრე იქნებოდა, რომ მისი ცოლი ციხეში ჩაესვათ? ანდა არ იქნებოდა ლევან გაჩეჩილაძის ოჯახში ასეთი ლაპარაკი? – „ლევან, რას გვიშვრები, გვღუპავ? ძლივს, ავაწყვეთ ბიზნესი, რაღაც ორი კაპიკის მოხერხება გვაქვს და შენ ახლა ისედაც ვერ ხარ ჯანმრთელად და ციხეში ჩაჯდომა გინდა? – „დათო, შენ ნუ წახვალ, მაინცდამაინც, წინ, ეგ ცხვრები გაუშვი, ფრთხილად იყავი, კეტი არ მოგხვდესო!..“ ანდა, კიდევ, გოგა ხაინდრავაზე რა უნდა გითხრათ, რომელიც ტელევიზიით ბღაოდა, – დამთავრებულია სააკაშვილიო!. ეგ ის გოგა ხაინდრავა არ არის, რომელიც ხალხთან ერთად ხელჩაკიდებული დადგა კანცელარიის წინ, ნახევარი საათის მერე თვითონ გამოვიდა ცოცხალი ჯაჭვიდან, აქეთ-იქით მყოფებს უთხრა, კარგად ჩასჭიდეთ ერთმანეთს ხელებიო და თვითონ გავარდა, „პლეტი“ იყიდა!. ამიტომ გეუბნებით, ქვეყანას ამათი არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს.

თავისი უკიდეგანო გამბედაობის წყალობით, ოღონდ ზედმეტად რადიკალური მოწოდებებისაგან თავს თუ შეიკავებს, ავტორიტეტი ოპოზიციური პარტიებიდან ჯერ კიდევ შერჩე-

ნილი აქვს შალვა ნათელაშვილსა და მის პარტიას. შალვა ჯერ კიდევ დარჩა მოუსყიდველ კაცად, რომელსაც მართლაც უნდოდა სააკაშვილის შეცვლა ახლა რევოლუციონერობა თავის გადადებას ნიშნავს და თავის გადადების თავი თუ არა გაქვს, მაშინ ამ საქმეს უნდა მოეშვა, რადგან შენ წინაშე 80 წელს გადაცილებული შევარდნაძე კი არა, არამედ სააკაშვილი დგას, რომელმაც „მწერალთა კავშირს“ „ზასადა“ მოუწყო!.

ოპოზიციის სამოქმედო გეგმა ასე კი არ უნდა ჟღერდეს, – „მე შენ უნდა დაგამხო!“ არამედ ოპოზიციამ უნდა იმოქმედოს პრინციპით, – „გამოასწორე, შე იდიოტო, ეს შეცდომები?“ რაც შეეხება ბატონ ბიძინას, რაც ხდება, ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ აბსოლუტურად დადებითია. დიახ, საქართველოში ბიძინა ივანიშვილის გამო, თითზე ჩამოსათვლელი გაზეთები ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდნენ. ბიძინა ივანიშვილი არის ის მებრძოლი, რომელსაც თქვენისთანა ნიჭიერი ჟურნალისტები გვერდით უნდა დაუდგნენ. გულახდილად გეუბნებით, დღეს რომ არის მასმედია, ასეთ დღეში არასოდეს ყოფილა. რაც „იმედს“ და პატარკაციშვილის ოჯახს დამართეს, ყოვლად წამოუდგენელია. ამ ტელევიზიებისა და მასმედიის როგორ ეშინია სააკაშვილს ასე, კაცო? თუ ბიძინა ივანიშვილმა სამების ტაძარი ააშენა, ეს იმას ნიშნავს, ძმაო, რომ გელათი და სვეტიცხოველი ააშენო და ამისთვის უღრმესი მადლობა ბატონ ბიძინას; როგორადაც არ უნდა დამალოს მან თავისი თავი, უკვდავება განაღდებული აქვს. მახსოვს, რომ შევდიოდი რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, შენობები ინგრეოდა და ბიძინა ივანიშვილი გამოუჩნდა მას მშველელად. ჩემს ყურამდე მოდის ხმები, თუ როგორ ააშენა მან მშობლიური საჩხერე, როგორ დაუნიშნა ათას-ათასი დოლარი მწერლებს და მსახიობებს. აქ გემოვნებიანი და ნიჭიერი მრჩევლები უნდა ჰყავდეს ბიძინას. ამ თავმდაბალ, სულით ხორცამდე პატრიოტ და მართლაც რომ ქველმოქმედ კაცს დიდი მომავალი აქვს და ვფიქრობ, მხოლოდ ის ერთადერთი შეიძლება გახდეს სააკაშვილის პოლიტიკური მესაფლავე.

მე ოცი წელიწადია ვიბრძვი, რომ რუსთაველის პროსპექტზე გაიხსნას რუსთაველის სახლი. თუ საბერძნეთში არის



ჰომეროსის სახლი, ხოლო იტალიაში – დანტე ალეგიერის სახლი, ხომ შეიძლება, თბილისში იყოს უპირველესი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის სახლი? რუსთაველის სახლის გახსნა სააკაშვილის მწირ გონებაში არ დაიბადება, ეს ჩემს გონებაში დაიბადა. რუსთაველის სახლი წარმომიდგენია სამგანყოფილებიან შენობად, პირველ განყოფილებაში იქნება „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე, რომელსაც ტურისტები შეიძენენ, მეორე განყოფილებაში განთავსდება რუსთაველის მუზეუმი, იქნება გამოფენები, „ვეფხისტყაოსანი“ უძველესი ნიმუშები, ხოლო მესამეში განთავსდება ოთახი, სამკითხველო. საქართველოში უცხოელი რომ ჩამოდის, „გელათის“ შეკერილი ჯინსით და არტელ „უსინათლოს“ შეკერილი პერანგით კი არა, „ვეფხისტყაოსნით უნდა მოხიბლოს იგი და ამიტომ მინდა რუსთაველზე რუსთაველის სახლის გახსნა. ამასწინათ ბიძინას ოფიციალურად გავუგზავნე წერილი და ჩემი იდეა გავუზიარე, – რუსთაველის სახლი თბილისს ძალიან დაამშვენებდა, იქნებ, რუსთაველზე შენობა შეგვიძინოთ-მეთქი!.. მოვაწერე ხელი მთელი ჩემი რეგალიებით და ა.შ. გავიდა ორი თვე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. როგორც ჩანს, ან წერილი არ გადასცეს, ან წასაკითხად ვერ მოიცალა, თორემ დარწმუნებული ვარ, რუსთაველის სახლს გულთან მიიტანდა. საერთოდ კი თუ ოპოზიციონერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ამით ქვეყნის საქმე გაფუჭდება და მოგიწოდებთ, შეწყვიტოთ ეს დაპირისპირება... მე პირადად ბიძინა მიყვარს. დარწმუნებული ვარ, ბიძინამდე ჩემმა თხოვნამ ვერ მიაღწია. და საერთოდ, როგორ შეიძლება ამ ერთადერთი ეროვნული ქველმოქმედის ლანძღვა?

თავისი უგუნური პოლიტიკით, სააკაშვილმა ინტელიგენცია ორად გახლიჩა. მე, მაგალითად, თვალს რატომ ვერ უნდა ვუსწორებდე ჩემთვის უსაყვარლეს, უნიჭიერეს და სათნო კაცს – ანზორ ერქომაიშვილს? თეორიულადაც რატომ უნდა დავუშვა გონებაში ის, რომ მე და ანზორ ერქომაიშვილი სხვადასხვა ნაპირზე ვდგავართ?.. არის გიგა ლორთქიფანიძე და მეორე მხარეს არის სააკაშვილის ყურადღებით გალაღებული ვარსიმაშვილი თუ ახალ-ახალი ვიღაც რეჟისორები, რომლებიც სადღაც

სარდაფებში სისულელეებს დგამენ და სექსუალურ ორგიებს აწყობენ სცენაზე. არის ერთ მხარეს ქეთი დოლიძე და მეორე მხარეს, ქეთი დოლიძის დაუძინებელი მტრები... ატარებს ქალი ფესტივალ „საჩუქარს“ და სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუწყოს? ინტელიგენციის უმეტესი და უფრო ნიჭიერი ნაწილი, არ მრცხვენია ამის თქმა. სააკაშვილის მოწინააღმდეგეა!.. სააკაშვილს უნდა რცხვენოდეს, რომ მისი მომხრე ე. წ. ინტელიგენტები არიან ზვიო და ოთარ კობერიძე, რომელიც გაფუჭებული გრამაფონივით ერთსა და იმავეს იმეორებს, – მიშა სააკაშვილი ზვიად გამსახურდიაა თუ დავით აღმაშენებელი არა! ლელა წურწუმიას, დუტას და კიდევ სხვების დასახელება აღარ მინდა, რომ გადახედო, „ნაციონალების“ საპარლამენტო სიის პირველ ათეულს, შეგეცოდება სააკაშვილი, – ვაი, შე უბედურო, მიშა, რამდენი გაქვს ნაწვალები მაგ სიაზე, როგორ არ გყოლია ირგვლივ არავინ, ვისთვისაც ორი ბატის ჩაბარება შეიძლებოდა, თორემ, პირველ ათეულში ამათ როგორ ჩაწერდი, კაცო?!. წარმოგიდგენიათ, რამდენი უწვალია, რამდენი ფანქარი უღეჭვას სააკაშვილს, რომ ეს სია შეედგინა?..

*ივლისი, 2008*

## სააკაშვილის ომი ახლა იწყება

ამოვიდა უკვე კისერში ერთი და იმავეს ლაპარაკი, რომ „საქართველო ოკუპირებულია!“ რომ მსოფლიო „შეშფოთებულია“. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ ჩვენი წართმეული ტერიტორიების დასაბრუნებლად ომის დაწყება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილისგან 5 წელია, სულ ის გვესმოდა: „ეს პროვოკაციაა, ჩვენ ომში ვერ ჩაგვითრევენ!“ ომში ჩაგვითრიეს კი არა, სულ კისრულით წამოგვიღეს. სულ ტყუილი ყოფილა ის გაერო, ევროკავშირი, საერთაშორისო ორგანიზაციები. ვნახე, თუ როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს პატრიოტული სიტყვის წარმოთქმაში მაღალი და დაბალი პრეზიდენტები, როგორ მოუხშირეს მათ საქართველოში სიარულს და დავრწმუნდი, რომ მათ ყველას თავისი მუცლის გვრემა ჰქონდა, რადგან რუსის ტანკს საქართველოს შემდეგ ისინი თავიანთ ქვეყნებში მოელიან. ვნახე პოლიტიკოსების ბჭობა, ზუსტად ისეთი, ბაბუაჩემის წისქვილში რომ ბჭობდნენ გლეხკაცები და მათი ლაპარაკი ლაყბობას რომ არ გასცილებია... დედამაწაზე სულ ტყუილი და პირმოთნეობა გამეფებულა, წინ არ წასულა კაცობრიობა.

სხვათა შორის, ომი ამ ხელისუფლებისათვის ახლა იწყება!..

ჯერ ერთი სააკაშვილმა უნდა უპასუხოს უამრავ სამართლიან ბრალდებას მის მიერ ჩადენილ უამრავ შეცდომაზე (კინაღამ დანაშაული წამომცდა) და მეორე, სააკაშვილმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღადგინოს წელში გატეხილი ქვეყანა. თუ ქართველმა ნება მისცა მას, ხელი მოჰკიდოს სახელმწიფოს ფენიქსისებრ აღდგენის საქმეს. ახლა ტრიუმფატორის პოზაში ნუ ჩადგებიან და გამარჯვების ეიფორიას ნუ მიეცემიან... როგორი საშინელი შეცდომაც იყო ჩადენილი 12 აგვისტოს, როცა ქართველი ბიჭების გვამებით იყო მოფენილი შიდა ქართლი და ზოგ-ზოგიერთები, პარლამენტის შენობის წინ ბრაციბრუცობდნენ, ასეთივე საშინელი იქნება კიდევ ახალი ტაშ-ფანდურის გამართვა და თავის „გამარჯვებულად“ გამოცხადება. ჩვენ ამ ომში არ გაგვიმარჯვია და საერთოდ, რუსეთის წინააღმდეგ ომში გამარჯვებაზე ფიქრსაც კი სამუდამოდ შევეშვათ. გაიმარჯვეს ამერიკამ და დასავლეთმა... მათი კატეგორიულობა თავიდანვე რომ ყოფილიყო ასეთი, ცხადი და აშკარა და დასავლეთის სამხედრო ხომალდები მაშინვე რომ დაძრულიყვნენ საქართველოსაკენ, ამოდენა უბედურება თავს არ დაგვატყდებოდა. ამდენი საშინელება არ მოხდებოდა, ამერიკის სამხედრო თვითმფრინავს, თუნდაც ერთს ისე, ყასიდად რომ გადაეფრინა საქართველოს თავზე... საქართველოს ახლა მართებს დაფიქრება ყველაფერზე და განსაკუთრებით იმ მიზეზებზე, რის გამოც თავს ამხელა ცეცხლი და მახვილი დაგვატყდა. აღარაფერს ვამბობ 1801 წელზე, როცა ჩვენი სახელმწიფოებრიობა გააუქმეს რუსებმა,

არც ამ აჯანყებებზე ვძრავ კრინტს, რუსეთის პარპაშს რომ მოჰყვა საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეში მე-19 საუკუნეში და არც 1921 წელზე ვიღებ ხმას. აგერ ახლა, ჩვენს თვალწინ ორი ომი მოუგო რუსეთმა საქართველოს – 1993 და 2008 წელს და თუკი ჩვენ პოლიტიკოსები გვყავს, ამ უტყუარმა ფაქტებმა მათ რაიმე დასკვნის გაკეთების საფუძველი არ უნდა მისცეს? ჩვენ გვყავს მეზობელი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაგვინდობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომის თვითნებურად, ზოგიერთი პოლიტიკოსის მამლაყინწობით გაჩაღება ერის დაღუპვაა, სხვა არაფერი!.. ამათ იფიქრეს, - მოდი, ძია სემის წინაშე თავს გამოვიჩენთო და ქვეყანას საშინელი აღსასრული მოუმზადეს.

მეზობლად რუსს არავინ გამოგვიცვლის და ამიტომ გაცეცხლება და გაბრაზებით ლაპარაკი არავითარ შემთხვევაში არ გამოგვადგება. არაფრით არ შეიძლება, ხაზი გადავუსვათ იმ მეგობრულ, კულტურულ ურთიერთობებს, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის რუსეთის ბაზარი აუცილებელია. არ შეიძლება ახლა ყვირილის დაწყება, – აი, ხომ ხედავთ, ბლოკადა გამოგვიცხადა, მაგრამ ფეხებიც ვერ მოგვჭამა, ვერაფერი დაგვაკლოო!.. ზოგიერთი სულიერად გაუწონასწორებელი პოლიტიკოსი, ალბათ, ახლაც დაიწყებს გულში მჯიღის ცემას, – აი, ვინ ვყოფილვართ ქართველებიო!..

ევროპამ გადაირჩინა თავი, ამერიკამ არ დათმო პირველობა მსოფლოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპარეზზე, თორემ ჩვენ რა ჩემს ფეხებს მივაღწევდით (იმას, რომ რუსი აქედან გასულიყო), ამასაც კარგად ვნახავდით!.. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ შეიძლება სისულელეები ვიძახოთ და ქართველ ხალხს თვალში ნაცარი შევაყაროთ, – არიქა, გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთო! – მაგრამ, აბა ვკითხოთ ერთი თამარაშენში, კეხვში, ქურთასა და უამრავ ქართულ სოფელში სახლგადამწვარ, შვილმკვდარ და გაუბედურებულ ხალხს... აბა, ჰკითხეთ იმ პატარა ანგელოზ ბავშვს, რომელსაც დაფლეთილი ჰქონდა ზურგი, – გავიმარჯვეთ? აბა, ერთი ჰკითხეთ,



ათი დღეა თბილისში მშივრები რომ არიან ჩვენი დევნილი ძმები, – გავიმარჯვეთ? ვაი, ჩვენს დღეს, ვაი, ამ საქართველოს!.. აი, ამ დროს ვის ატყუებ, შე უსინდისო, – ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვაო?.. მილიონები და მილიარდები რომ ჩავყარეთ ჯარის მომზადებასა და რეზერვისტებში, სად იყვნენ ოფიცრები, ჯარიკაცებსა და მშვიდობიან მოსახლეობას რომ გამოასწრეს შიდა ქართლიდან? რატომ აზეიმე შენ ის წვრილთვალება ბაღაფში, რომელსაც თურმე ზემო აფხაზეთი დაუბრუნებია?.. ძრწოდეს ბაღაფში და იცოდეს, რომ ჩვენმა ჯარმა, ყურებზე რომც დაიწყოს ხელები (კინაღამ ყვ..ები წამომცდა), იქ, კოდორის ხეობაში ჩვენი უმამაცესი სვანები სისხლს გაუშრობენ მოთრეულს და თავიანთ კერაზე არავითარ შემთხვევაში არ გაახარებენ აფსუას. ეს ბაღაფშმა კარგად იცოდეს და დაიმახსოვროს!.. ეს ასე იქნება!..

რუსული ინტელიგენციის დუმილი ჩემთვის სრულებითაც მოულოდნელი არ იყო და მაგასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ... ცხონებულმა ზვიად გამსახურდიამ, ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ქართველ მწერლებს: შოთა ნიშნიანიძეს, მურმან ლებანიძეს... და თქვენს მონა-მორჩილს დაგვავალა, მოსკოვში ჩავსულიყავით და რუსეთის ინტელიგენციისათვის პრესკონფერენციები, შეხვედრები გაგვემართა და აგვეხსნა, რომ საქართველო აპირებდა თავისუფლების გზაზე სიარულს, თუმცა რუსეთთან კულტურული და ეკონომიკური კავშირის შენარჩუნებაზე უარს არ ამბობდა... დელეგაციის ხელმძღვანელობა ზვიადმა მე ჩამაბარა. ჩავედით მოსკოვში და პირველ რიგში დავიწყე რეკვა საქართველოს მეგობარ მწერლებთან: ევტუშენკოსთან, ვოზნესენსკისთან, ბელა ახმადულინასთან და სხვა. ეს ის ხალხია, ვისაც წელიწადში ათჯერ მაინც ვხვდებოდი რუსთაველის პროსპექტზე და მწერალთა კავშირში, რომლებიც გაჰკიოდნენ „გრუზია მაია რადნაია!“ „გრუზია მოი პოეტიჩესკი კოლიბელ!..“ ვურეკავ ევტუშენკოს და ევტუშენკო მპასუხობს: „საქართველო აღმოჩნდა სამწუხაროდ, პატარა იმპერია, საქართველომ მცირე, პატარა ერის – აფხაზეთის დაპყრობა დაიწყო და მე აღარ დამირეკოთ,

საქართველოსთან ყოველგვარ ურთიერთობას ვწყვეტ“, ევ-
ტუშენკო აფხაზეთის ხელმძღვანელობისაგან დავალებული
იყო, მას უფასოდ აუშენეს უზარმაზარი სახლი გულრიფშში...
ვურეკავ ბელა ახმადულინას და ბელა მპასუხობს: „ზნაეტე
ჩტო, ია სტარაია, ბალნაია ჟენშინა ი ასტავტე პოჟალუსტა
მენია ვპაკოე, გრუზინსკი ვოპროს, მნე უჟე ნე ინტერესუ-
ეტ!..„ საქართველო ცოტა ფეხზე რომ დადგა და აფხაზეთში
ომი დამთავრდა, ევტუშენკო მაშინვე თბილისში ჩამოვიდა,
რომელსაც გრიბოედოვის თეატრში უზარმაზარი შეხვედრა
გაუმართეს... მე მივედი მაშინ იმ შეხვედრაზე, გავიხმე ევ-
ტუშენკო განზე და ვკითხე, – კი მაგრამ, შენ რომ მაშინ
მითხარი, საქართველოს პრობლემა აღარ მაინტერესებსო და
თქვენ აფხაზებს ჩაგრავთ, იმპერია ყოფილხართო, ახლა რას
იტყვი-მეთქი?.. – ვერ ხედავ? რაკი ჩამოვედი, ეს იმას ნიშ-
ნავს, რომ მე საქართველოს ვაპატიე აფხაზეთის წინაშე ჩა-
დენილი შეცდომა! – მიპასუხა ევტუშენკომ, და გაოგნებული
დამტოვა. ამის მომსწრე და მნახველი, ცხადია, რუსული ინ-
ტელიგენციისაგან სამძიმრის დეპეშებსა და მხარდაჭერას არ
ველოდი. არც არავის დაურეკავს და არც არავინ შემხმიან-
ებია... ერთადერთი ის იყო, რომ ევროპაში მცხოვრებმა რამ-
დენიმე მწერალმა გამოხატა პროტესტი საქართველოს ოკუ-
პაციის წინააღმდეგ, მათ შორის, სამი რუსიც აწერს ხელს...

სააკაშვილს არავითარი მორალური უფლება არ ჰქონდა,
ქართველი ერისგან ერთგულება და მისი ხელისუფლების ირ-
გვლივ შემჭიდროება მოეთხოვა. შენ, შე კაი კაცო, ქართველი
ერისგან თანადგომასა და თანაგრძნობას თუ ითხოვდი, მაშინ
7 ნოემბერს წარღვნა არ უნდა მოგეწყო შენი ერისთვის...
არადა, როგორი მაგრები იყვნენ, მიშა, მაშინ შენი ჩაფრე-
ბი, ახლა რომ მშვიდობიან მოსახლეობას გამოასწრეს, ისე
მიატოვეს ყველაფერი შიდა ქართლში... როგორი მაგრები
იყვნენ, მიშა, შენი ჯარისკაცები, როცა ტელეკომპანია „იმე-
დი“, „მწერალთა კავშირი“, გამომცემლობა „სამშობლო“ და
„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია „გაათავისუ-
ფლეს“, როცა წერა-კითხვის უცოდინარ ლომაიასთან ერთად,



უნივერსიტეტში შემოვარდნენ და პროფესორ-მასწავლებლე-
ბი ოთახში ჩაკეტეს.

ამ უბედურების ჟამს ყველამ ენა გადაყლაპა, პოლიტიკოსე-
ბზე რომ არაფერი ვთქვათ, ინტელიგენციაც გაყუჩდა!..

რაც შეეხება ჩვენს ინტელიგენციას... მე უნიჭო დეკლამ-
ატორ-მომღერლებსა და 12 აგვისტოს პარლამენტის წინ
მოტინგიცე ჩვენს მხცოვან მსახიობებზე არაფერს ვამბობ,
მე ჭკვიან ქართველ ინტელიგენციაზე ვლაპარაკობ. – ხომ
ყოფილა საჭირო პატრიოტული ლექსები, სიმღერები და
ფილმები? ხომ ყოფილა საჭირო ეროვნება „ქართველი“ და
ეროვნული სულის გაღვივება? ჩვენ რომ ენა გაგვიშრეს და
ინფარქტები აგვკიდა სააკაშვილმა თავისი დაცინვით, ყველა
ქართველ მწერალსა და ხელოვანს დაგავიწყდათ? დაგავიწყ-
დათ, „ჩასარეცხებს“ რომ გვეძახდა?.. არ ყოფილა საჭირო
გიორგი ბრწყინვალეს, ცოტნე დადიანისა და გიორგი სააკა-
ძის სახელები? გული მერეოდა, სააკაშვილს რომ ვუყურებდი
მაშინ, როცა ჩვენი პრეზიდენტი გარბოდა გორში, არიქა, ქვა
არ მომხვდეს ზურგშიო!.. რა უფლება ჰქონდა, ასეთ კაცს,
ჩვენი დიდი გმირების – დავით აღმაშენებლისა და ცოტნე
დადიანის სახელის ხსენების?

თუკი სააკაშვილს გონიერება შერჩა, თუ მას უნდა უღიმ-
ღამოდ ცოტა ხანს კიდევ იარსებოს ამ ქვეყანაზე (არადა მე
თავს ვერ დავდებ, რომ ქართველი ერი და ოპოზიცია მას არ
გაასამართლებს), მამაჩემს აქვს ცხონება, მიშა ცოტა ჭკუაზე
მოვიდეს, აღადგინოს მწერალთა კავშირი, აღადგინოს მეცნ-
ერებათა აკადემია, აღადგინოს უნივერსიტეტი, რომლის
ხუთკუთხა სახის მქონე რექტორი – გია ხუბუა არის ყოვ-
ლად სამარცხვინო პიროვნება, რომელსაც ღამის მეხრე რომ
ვიყო, წინ არ გავიძღოლებდი. სააკაშვილი თავის ყურმოჭრილ
მონებს, თავისი კაბინეტის ვირთხებს კი ნუ დაეყრდნობა, არ-
ამედ იკითხოს ოპოზიციური გაზეთები, ყური დაუგდოს ქა-
რთული მწერლობის ხმას... ომი სააკაშვილისათვის აწი იწ-
ყება!.. სააკაშვილს მოუწევს პასუხისგება და თუ მან ვერ
შეძლო, პასუხი გასცეს გაუბედურებულ ქართველ დედებს,
თუ მან ხმა ვერ ამოიღო, 18-19 წლის ბიჭების ცხედრების

წინაშე, მაშინ უნდა დაიხუროს ქუდი და უნდა წავიდეს იქ-ითკენ, საიდანაც გოდრით მოიყვანეს და თავს მოახვიეს საქართველოს პრეზიდენტად... მან თავის მიერ გაკეთებული სისულელეებიდან თუ გაკვეთილი ვერ გამოიტანა, ე. ი. ის უიმედო ავადმყოფია, ხოლო თუ იგი ვითარებას გაისიგრძე-განებს, მაშინ თავის ერზე მზრუნველ, მაგრამ დამარცხებულ სააკაშვილს ქართველი ერი მიიღებს, რადგან ჩვენი ხალხი დიდი მიმტევებელია და როგორც ახლა გაუჩუმდა და ოპოზი-ციამ საპროტესტო მიტინგებით არ გაავსო საქართველო, აი, ასე ნელ-ნელა ხალხი შეიძლება ისევ შემობრუნდეს მისკენ. ეს გამარჯვება დასავლეთის გამარჯვებაა!.. სააკაშვილმა ეს გამარჯვება თავის თავზე არ მიიწეროს, მამლაყინწობა არ დაიწყოს და ყოველთვის ახსოვდეს, ყველაზე მეტად რუსეთ-თან არის ურთიერთობა დასალაგებელი და რუსეთზე გამარ-ჯვებულად ნუ გამოაცხადებს თავს; ჯერ არ ყოფილა შემთხ-ვევა, პატარა თაგვი სპილოს მორეოდეს!.. არავინ იფიქროს, რომ რუსეთმა ჩვენ ბოლომდე შეგვიშვა ბრჭყალები... მე ცუ-დად მენიშნა, რუსი გენერლის განცხადება, – უსაფრთხოების მიზნით საქართველოში ბლოკპოსტები რამდენიმე ადგილას ისევ დარჩებაო, მაგალითად, სენაკშიო!.. საქართველოს გა-რეთ თუ გაიყვანდა რუსი თავის ჯარს, აი, მაშინ ვრჩებოდით ჩვენ, ასე თუ ისე, მოგებულ მდგომარეობაში, თორემ რუსები ისევ საქართველოში არიან – აფხაზეთში, დალის ხეობაში, შიდა ქართლში და თუ ჩვენ ხელს გავწევთ იმ ტერიტორი-ისკენ მაინც, რაც ორი კვირის წინ ჩვენი იყო (დალის ხეობას ვგულისხმობ), რუსეთისგან ისევ მივიღებთ ცეცხლს; ამიტომ კატა-თაგვობანას თამაში აქ საჭირო არ არის და არც გაჩუმე-ბაა საჭირო, ახლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ საქმე...

სააკაშვილმა არ უნდა მოასვენოს დასავლეთი და გაერო, რათა უეჭველად დაფიქსირდეს და გაირკვეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში... თუ ახლა ამ საკითხმა ჩაირბინა, რომ გავიღვიძებთ და ამ პრობ-ლემებს მივუბრუნდებით, 22-ე საუკუნე იქნება!..

*25 აგვისტო, 2008*



# საქართველოს გამთლიანების დრო დაუდგა

უამრავი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ დღევან-დელ ხელისუფლებას უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. იმპე-რიის დამხობის შემდეგ მოსულ ეროვნულ ხელისუფლებას ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის, ქვეყნის სოციალ-ურ-სამეურნეო გაძღოლის ელემენტარული ცოდნაც არ გააჩნდა. მერე მოვიდა შევარდნაძე, ოღონდ ის შევარდანძე კი არა, სამოცდაათიან წლებში კორუფციას რომ თავგამეტებით ებრძოდა, მოსკოვმა დაგვიბრუნა დაღლილი, გამოფიტული, მაფიოზურ კლანებთან დაზავებული პოლიტიკური მატყუარა. ვერც ახლა ვხედავ ხელისუფლებას და პარლამენტში დიდად განსწავლულ, ჭკუადამდგარ პიროვნებებს. მინისტრად დან-იშვნისთვის საყმაწვილო ასაკი და ის გარემოება, რომ ეს წეს-იერი გოგო (ან ბიჭი) ჩვენს პრეზიდენტს სტუდენტობის დროს სადღაც „ჰაიდ-პარკში“ შეხვედრია, არ გამოდგება.

მნიშვნელოვან სისტემურ ცვლილებებს უახლოეს პერი-ოდში თუ ვერ არა მივაღწიეთ, თუ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დღესვე, ამ წუთიდანვე ჩვენი ზრუნვის უპირველეს საგნად არ ვაქციეთ, ქვეყანას არ ეშველება. დააკვირდით, ახლა ბიუჯეტის შევსების მხოლოდ და მხოლოდ სამი რეალ-ური გზა არსებობს: 1. ყოფილი თანამდებობის პირებისთვის სახელმწიფო რეკეტის შედეგად წართმეული ფული, 2. სა-ბაჟო შემოსავალი, 3. საგადასახადო შემოსავალი. პირველი მალე ამოიწურება, რადგანაც იგი ხაზინის შევსების საეჭვო და არასამართლებრივი გზაა. ბოლოს და ბოლოს ხომ გამოილევა ეს ფულიანი „ყოფილი ოტელოები“, ხოლო მებაჟის და გადამხ-დელის ხელშემყურე სახელმწიფო, სახელმწიფო არ არის.

შევარდანაძე გაწონასწორებული ხასიათის, განსხვავე-ბული და ფრიად გამოცდილი კაცია. მე მასთან საათობით მილაპარაკია და არავითარი ცმუკვა, უყურადღებობა, ან

უტაქტობა არ შემიმჩნევია. მაგრამ იგი ზედმეტად ფრთხილი და სკამის დაკარგვის შიშით შეპყრობილი მმართველი გახდა სიბერეში. იოტისოდენა რისკის (რაც სააკაშვილს ძალუმად ახასიათებს) თავიც არ ჰქონდა. ორივე მხარეს უღიმოდა ღარიბი ნათესავივით. ამერიკის ეშინოდა და არც რუსეთის დაკარგვა სურდა. საბოლოოდ ვერცერთი ვერ მოიმადლიერა. საბოლოოდ ორივე ზესახელმწიფომ გაწირა. ხალხი? ხალხი იმიტომ დაუდგა გვერდით სოროსის მიერ მოწყობილ რევოლუციას, რომ ადამიანებს მოსწყინდა შევარდნაძის ტყუილები. დაიღალა საქართველო ცრუ დაპირებებით. საერთოდ ყველა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს ერთი რამ: მაქსიმუმ ათი წლის შემდეგ დგება მომენტი, როცა შენ ხალხს მოსწყინდები, ამიტომ ლამაზად წასვლა უნდა შეგეძლოს. შენი თავი პირველივე დღიდან უნდა შეამზადო იმისათვის, რომ, ადრე თუ გვიან, ამ სავარძლის დატოვება მოგიწევს.

ახალ მთავრობას დიდად ვერ ვატყობ, რომ მათ სურვილი ჰქონდეთ რჩევისთვის მიმართონ მამათა თაობის რომელიმე წარმომადგენელს და მითუმეტეს შევარდნაძეს. კაცმა რომ თქვას, რა უნდა ასწავლოს შევარდნაძემ სააკაშვილს? იქნებ ახლა სწორედ რისკის დროა, რისკისა, რომელსაც მიხეილი ადგას და, რა დასამალია, იმარჯვებს კიდეც.

უნდა გასამართლდეს თუ არა იგი?

შევარდნაძე უკვე გასამართლებულია. იგი დაამხვეს მისივე გაზრდილებმა. იგი დაამხო რუსეთ-ამერიკის შეთანხმებულმა მოქმედებამ და ხალხმა განაჩენი იმით გამოუტანა, რომ შევარდანძის მხარდამჭერთა ოცკაციანი მიტინგიც არ გამართულა. რაც შეეხება შევარდნაძის ციხეში ჩასმას, არა მგონია, საჭირო იყოს ოთხმოცს მიტანებული შევარდნაძე ციხეში გვყავდეს. ამას არც ისინი ჩაიდენენ, ვინც შევარდნაძემ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა.

ვფიქრობ, შევარდნაძეს ისტორია არ გაამართლებს. მას არაერთგზის ჰქონდა საშუალება გმირად ქცეულიყო (კომუნისტების დროსაც და შემდეგაც), მაგრამ შესაძლებლობანი არ გამოიყენა. მისმა ორჭოფულმა, გაუმჭვირვალე პოლიტიკამ ლამის დაღუპა ქვეყანა. სწორედ მან დაგვაკარგვინა საქართველოს მესამედი ტერიტორია და თითი-თითზე არ დააკარა რუსეთის მიერ წართმეული აფხაზეთის და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად.



ახლა მწერლობაზეც ორიოდე სიტყვა:

მწერლობაზე როგორც კოლექტიურ ფენომენზე ლაპარაკი არასწორია. მწერალთა შორის, ზოგი ჭეშმარიტად ეროვნული მწერალია, ზოგი, სამწუხაროდ, ხელმწიფის კარის პოეტი და მედროვე. ასე რომ ზოგმა პირნათლად მოიხადა თავისი საქვეყნო ვალი, ზოგს – არც უცდია. საერთოდ კი საქართველო ლიტერატურული ქვეყანაა და ჩვენ უნიჭიერესი მწერლები გვყავს. თუმცა ჰიმნის ტექსტით აშკარად უკმაყოფილო ვარ და ვფიქრობ კონკურსი უნდა გაგრძელდეს ჭეშმარიტ პოეტთა მონაწილეობით.

ყველა თაობას თავისი ინტერესები, თავის ხელწერა აქვს და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. მაგრამ შეხედულებათა ჭიდილი, რასაც თქვენ „თაობათა ბრძოლას“ არქმევთ, უტიფრობასა და უხამსობაში არ უნდა გადაიზარდოს.

მე, საერთოდ, ოპტიმისტი ვარ. გასული წლის 23 ნოემბრიდან საქართველოში მართლაც დაიწყო ახალი ერა. ღმერთმა ჰქნას, გვეშველოს. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დამარწმუნა, რომ საქართველო გადარჩება, აღსდგება, გამთლიანდება. სულ მეშინოდა, რომ აჭარას რუსი წაგვართმევდა, ისე როგორც აფხაზეთი და სამაჩაბლო წაგვართვა. ამიტომაც მოვუწოდებდი ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს, არ გაეშიშვლებინა ვნებები, არ გაეღიზიანებინა და მოეზომა ყოველი ფრაზა აჭარის მისამართით თქმული. მაგრამ სააკაშვილმა აიღო და გაბედა. გადახტა მღვრიე მორევში და გაცურა. ჩანს, ისე ძლიერია საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერა, რომ რუსეთმა ვეღარ გადადგა მისთვის ჩვეული დიდმპყრობელური ნაბიჯი, რასაც მან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმართა. სააკაშვილის ალღო ამ შემთხვევაში ჩემს პოლიტიკურ ალღოზე უფრო ძლიერი (და უფრო სწორი) აღმოჩნდა. უნამუსო უნდა ვიყო, ეს რომ არ ვაღიარო.

ახლა მთავარია, არ გავაციოთ თონე. არ ჩავაქროთ ხალხის ენთუზიაზმი და შემართება. ვფიქრობ, ასეთივე წარმატებით შეგვიძლია შევიდეთ აფხაზეთშიც და ცხინვალშიც. თუ ათასი კაცი შევა, აფსუა (ალბათ, მის ზურგს ამოფარებული რუსიც) გვესვრის, თუ ოციათასი დემონსტრანტი შევა, ერთი თოფიც არ გავარდება. ასე რომ მიდი მიშიკო და მოგყვები! ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ერთი ქართველი მწერალი – რევაზ მიშველაძე.

უკანასკნელ 15 წელიწადში წარმოუდგენელი ზიანი მივაყენეთ ჩვენს ფლორას და ფაუნას. უშეშობით გამწარებულმა ჩვენმა მოქალაქეებმა ფეხებზე დაიკიდეს პატრიოტიზმი და „ტყე შეუნახე შვილებსა“.

ზოგჯერ მეკითხებიან, ძველებურად თუ მოგდევთ მუხლი და სიტყვაო. „ყარამანი“ არც ახალგაზრდობაში ვყოფილვარ. ჩვეულებრივი ინტელიგენტის ცხოვრების წესს მივსდევ (არ ვეწევი, ვსვამ ცოტას და იშვიათად) ამიტომაც მუხლის დაძაბუნებას ჯერჯერობით არ ვუჩივი, რაც შეეხება „სიტყვას“ ჩემმა მკითხველებმა განსაჯოს. აგერ მაგიდაზე მიდევს ჯერ დაუსტამბავი, ბოლო ორი თვის მანძილზე დაწერილი ათიოდე ნოველა.

მე დიდად პრეტენზიული კაცი არ გახლავართ და დიდიხანია შევეგუე და შევეჩვიე სიღარიბეს. სტუდენტობის მერე ერთი დღეც არ მქონია, არ მემსახუროს. ვცხოვრობდი და ვცხოვრობ ხელფასიდან ხელფასამდე. „დანაზოგი“ არ გამაჩნია. ახლა, როცა მალე დავბერდები და გრძელი ავადმყოფობების დრო დამეწყება, არ ვიცი, რა მომელის. ქვეყნის სამსახურში უკან არასოდეს დამიხევია. იმპერიის დროს იმპერიას ვებრძოდი, არც მერე შემიწყვეტია მხილება იმისა, რაც არ მომწონდა მჯერა, რომ მწერალი ოპოზიციონერი უნდა იყოს და ასე ჩამოვყალიბდი „ქრონიკულ ოპოზიციონერად“. არც სხვას დავჩაგრავ და არც იოლად დავეჩაგვრინები.

ადამიანის თვისებებიდან მომწონს – პირდაპირობა, სიკეთე და იუმორის გრძნობა. ამასწინათ ჟურნალისტმა შალვა მუმლაძემ რამდენიმე შეკითხვა დამისვა. თუ მკითხველისთვის მოსაწყენი არ იქნება იმ შეკითხვებს და ჩემს პასუხებს ამოვწერ.



– რა საქმეს აკეთებთ ხალისით?

– ვწერ და ტრიბუნიდან ვამბობ ჩემს სათქმელს. ეს ორი არენა: საწერი მაგიდა და მიკროფონი არის ჩემი ყველაზე სასურველი ნავსაყუდელი. მსიამოვნებს ქართულ სუფრაზე ყოფნაც, ოღონდ ჰა, ჰა ორი საათის განმავლობაში. მერე მწყინდება. საერთოდ წრეგადასულ ქეიფს ვერ ვიტანი.

– რა მიგაჩნიათ ადამიანის ბედნიერებად?

– სიყვარული. და კიდევ როცა თავის მოწოდებას ემსახურება, როცა თავისუფალი ქვეყნის შვილია და დედა რომ ცოცხალი ჰყავს.

– რა არის ყველაზე დიდი უბედურება?

– შვილის სიკვდილი, სამშობლოს დაცემა.

– ქართველი მწერლებიდან რომელია უპირველესი?

– შოთა რუსთაველი.

– პოეზიაში, პროზაში?

– პოეზიაში რუსთაველი, პროზაში – კონსტანტინე გამსახურდია.

– მეფეებიდან?

– დავით აღმაშენებელი.

– პრეზიდენტებიდან?

– ჯერჯერობით მხოლოდ სამი პრეზიდენტი გვყავდა. პირველმა – ზვიად გამსახურდიამ ეროვნული თავისუფლება მოგვიპოვა, მაგრამ გამოუცდელობის გამო ხელისუფლება ვერ შეინარჩუნა, მეორის ბედი უკვე გადაწყვეტილია, მესამეს პრეზიდენტისთვის აუცილებელი სიდინჯე და კეთილსიტყვაობა ჯერჯერობით არ გააჩნია. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვაჩვენებს. დრო – უმკაცრესი მსაჯული. ჯერ შედარება-დასკვნები ნაადრევია.

– რა იწვევს თქვენში სიძულვილს?

– ლაჩრობა. რაც, სამწუხაროდ, ჩემი ხელობის ადამიანებსაც ახასიათებს, რა გასაკვირიც უნდა იყოს, მეცოდებიან ისინი, ვინც სხვადასვა დროს სახელოვანი ქართველი მწერლების მწერალთა კავშირიდან გარიცხვას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

– რა მიგაჩნიათ მწერლის უმთავრეს მოვალეობად?

– წეროს სიმართლე. მაგალითს აძლევდეს ყველას როგორც შემოქმედი და როგორც მოქალაქე. მწერალიც ისე უნდა ცხოვრობდეს, როგორც მისი ქვეყანა ცხოვრობს. არავის აპატიოს სამშობლოს ღალატი.

– თვეში 20-ლარიან პენსიონერებს აქვთ თუ არა მისჯილი შიმშილით სიკვდილი?

– რა თქმა უნდა. ამიტომაც თვალთმაქცობად მიმაჩნია პენსიონერთათვის 3 ლარის მომატება, მაშინ, როცა ფასები ლამის გასამმაგდა. რასაც შარშან 14 ლარად შეიძენდი, დღეს 40 ლარადაც ვერ იყიდი.

– უნდა დაისაჯოს თუ არა პიროვნება, რომელიც უკან დააბრუნებს მთავრობისაგან მიტაცებულ ქონებას?

– ჩემთვის ეს ყბადაღებული პრობლემა სფინქსის გამოცანა სრულიადაც არ არის. აპატიმრებენ ყოფილ კორუმპირებულს, სამიოდე თვეში მას თავისი თავისთვის გამოაქვს საზოგადოებრივი განაჩენი და იცით რით? უყოყმანოდ იხდის 3 მილიონ (ზოგჯერ მეტსაც) დოლარს. ამით ხომ მან მთელ ქვეყანას განუცხადა, რომ ქურდია. სხვა საკითხია ის გარემოება, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს მისი ბრალეულობა და მიუსაჯოს ქონების კონფისკაცია. პატიმრისთვის ფული წართმევა ხომ ქურდობის ლეგალიზებას ნიშნავს. მოვიპარავ, თუ დამიჭირეს, დავაბრუნებ, თუ არა და შემრჩება ხახვივით.

– სიკვდილის დასჯა უნდა აღდგეს თუ არა?

– არა. მკვლელისთვის სამუდამო პატიმრობა უფრო დიდი სასჯელია, ვიდრე დახვრეტა. ადამიანისთვის ღვთით ბოძებული სიცოცხლის წართმევის უფლება კი კაცთაგანს არავისა აქვს.

– გაამართლებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ხალხის ნდობას და იმედებს.

– ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თუ შეეცდება, გაამართლებს. მე მინდა გაამართლოს, თუმცა დაეჭვებული ვარ. გასული საუკუნის 30-იანი წლები უფრო დრამატულია. 90-იან წლებში კი სამშობლოს გაქრობის პრობლემა დადგა.



ისე, ჩვენს შორის დარჩეს, საქართველოს ყველაზე მძიმე ჟამი ახლა უდგას.

– ადამიანისათვის რა არის ყველაზე ძნელი?

– შიშის დაძლევა.

– ხართ თუ არა მიმტევებელი?

– მიუტევებლად მიმტევებელი ვარ. ჩემმა უნაპირო შებრალებამ და „მლმობელობამ“ არაერთგზის კინაღამ დამღუპა. მეგობრის ღალატიც არაერთგზის ვიწვნიე.

– ხართ თუა პირდაპირი?

– ვცდილობ ყოველ შემთხვევაში.

– წყენას თუ იტოვებთ გულში?

– თითქმის არა.

– სპორტს თუ მისდევთ?

– რაც თავი მოხსოვს სპორტის გარეშე ერთი დღეც არ მიცხოვრია. შეიძლება ითქვას, ვაღმერთებ სპორტს – იგი სილამაზე და ჯანმრთელობაა.

– ხართ თუ არა მიღწეულით კმაყოფილი?

– რომ გითხრათ არა – მეთქი, ზედმეტი თავმდაბლობა იქნება. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ პასუხობენ: მეტის და უკეთესის გაკეთება შემეძლო. მე ამას ვერ ვიტყვი, როგორც შემეძლო, ისე გავაკეთე.

– თქვენს ჯანმრთელობაზე რას იტყვით?

– ჯერჯერობით არ ვუჩივი.

– არის თუა ნარკომანი თამბაქოს მწეველი?

– გარკვეული თვალსაზრისით არის.

– იცავთ თუ არა მამა-პაპურ ტრადიციებს?

– დიახ.

– როგორ მოგწონთ ახალი თაობა?

– მთელი სიცოცხლე ახალგაზრდების აღზრდას შევალიე. არა მხოლოდ მომწონს, მიყვარს კიდეც. ვისაც ახალგაზრდობის არა სჯერა, ის ცოცხალი-მკვდარია.

– სწორია თუ არა, პრეზიდენტს რომ პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს?

– არავითარ შემთხვევაში. იქ სადაც პარლამენტს პრეზიდენტისა ეშინია, სრულფასოვანი პარლამენტი არ შეიქმნება.

– როგორ აფასებთ ახალი პარლამენტარების კომპეტენტურობას და პროფესიონალიზმს?

– პარლამენტი ეს ესა შეუდგა მუშაობას. სამწუხაროდ, იგი ძალიან წააგავს ერთპარტიულ პარლამენტს. სპიკერებისთვის იგი სამართავად ადვილია, მოსასმენად კი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი თითქოსდა ექსპერიმენტალური პარლამენტია. ვინც ვარდებს და წიხლებს იქნევდა შარშან, ნოემბერში პარლამენტის წევრობით დააჯილდოვეს. მე, თუ მკითხავთ, პარლამენტი ბევრი მათგანისთვის სასჯელი უფროა. რა უნდა რისი მაქნისია, რომელი კანონმდებელი ეგ არის, ორ ბატს ვერ ჩააბარებ. სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს, არაპროფესიონალიზმის, იმედების ვერგამართლების გამო პარლამენტიდან გაწვევის კანონი. თორემ ერთ წელიწადში ამ პარლამენტართაგან ნახევარი არ დარჩებოდა.

– ბიზნესმენთა გადეპუტატება არის თუ არა სწორი?

– თუ გაჩეჩილაძისთანა, ლეკიშვილისთანა ან ხაზარაძისთანა („ბორჯომი“) ბიზნესმენია კი. ნიჭიერებაზე მოგახსნებთ.

– რა სახის საჩუქრები გიყვართ?

– ავტოკალამი და კვართი („საროჩკას“ რომ ვეძახით).

– როგორ აფასებთ სტალინს?

– ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელს, ცეზარს, ნაპოლეონს, პეტრე პირველს... იგი მსოფლიო ფიგურაა. მისი სიდიდის შეცნობა დღემდე ვერავინ მოახერხა.

– როგორც ქართველს?

– იგი ჭეშმარიტი ქართველი იყო თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებითაც. ბევრს ფიქრობდა თავის პატარა სამშობლოზე და ბევრიც გააკეთა მისთვის. ამაზე არაერთგზის დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება.

– თქვენთვის ცნობილი პარტიებიდან რომელია ყვალზე ეროვნული, მებრძოლი და სამართლიანი?

– ის პარტია, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს. 40 წელია ვიბრძვი ეროვნული ცნობიერების დასაცავად. უნაპირო ინტერნაციონალიზმის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ არ გასულიყო პარლამენტში ეროვნული რეკვიზიტის, სახელმწიფო ენის და რელიგიის კანონები. ვინც ენერგიულად მებრძოდა, კვლავ ისინი ჰქმნიან პარლამენტში ამინდს. ასე რომ მათგან ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისკენ სწრაფვის დიდი იმედი არა მაქვს. ვფიქრობ, ეროვნული პარტიებია „ლეიბორისტები“ და „თავისუფლება“.



– ბოლო ხანებში თქვენ მძაფრად აკრიტიკებთ მიხეილ სააკაშვილს..

– მიხეილ სააკაშვილი ჩემი შვილის ტოლა ყმაწვილია და მასთან „ომზე“ არასოდეს მიფიქრია. ოთხი წელი ერთად ვიყავით პარლამენტში და ჩვენი პირადული ურთიერთობა არასოდეს ამღვრეულა. არ დავმალავ, არ ვეთანხმებოდი რევოლუციის გზით პარლამენტის გარეკვას (23 ნოემბერი), რაც სამართლებრივად არაკანონიერია. არც 28 მარტის არჩევნების დემოკრატიულობით აღვფრთოვანებულვარ. როცა აჭარასთან ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, მე იმათ მხარეზე დავდექი, ვინც მშვიდობიან მოლაპარაკებას, ურთიერთდათმობას მოითხოვდა. ჩემი შიში კარგად უნდა გამიგოთ. მე ხომ აფხაზეთის და ცხინვალის დაკარგვის ცოცხალი მოწმე ვარ. მე ხომ არაერთგზის საკუთარ ქედზე ვიწვნიე რუსული პოლიტიკის ვერაგობა. აქვე იმასაც დავსძენ, რომ ასლან აბაშიძის ღვაწლის იგნორირებაც არ გვეკადრება. მან ბევრი რამ ღირსახსოვარი შესძინა საქართველოს. თუმცა შეიძლება, ცოტა არ იყოს, მოუბლაგვდა ის გრძნობა, რაზეც ადრე მოგახსენეთ, თავის თავს არ ამზადებდა იმისათვის, რომ ადრე თუ გვიან წასულიყო. აჭარის მოვლენებმა ქართველი ხალხის ერთსულოვნებამ მაიძულა მეფიქრა, რომ შეიძლება მართლაც ახალი წესრიგია მსოფლიოში და იქნებ დაგლეჯილ-დაფლეთილი საქართველოს გამთლიანების დრო დადგა? როგორ ფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში სად დავდგები მე თუ არა აფხაზეთ-სამაჩაბლოს დამბრუნებელი მშვიდობიანი ლაშქრის პირველ რიგებში? საერთოდ კი უნდა დავსძინო, რომ აჭარა რუსმა დათმო, თურქეთის და ამერიკის ზეწოლით, აფხაზეთს და სამაჩაბლოს კი ვერაგი რუსი ასე იოლად არ დათმობს.

*21.V.04*

# შეშფოთებული ვარ

უაღრესად შეშფოთებული ვარ, რადგან თითქმის ყველაფერი ისეთივე სცენარით მიმდინარეობს, როგორც 15 წლის წინათ, აფხაზეთის ომის დროს, როკის გვირაბიდან ჩრდილოკავკასიელი ე. წ. მოხალისეების შემოსვლა მაფიქრებინებს, რომ ეს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ კარგად დაგეგმილი ოპერაციაა. ქარელის, გორის, სენაკის, ფოთის დაბომბვაც სწორედ ამის ნიშანია. შინაგადან ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსეთი ძალით წართმეულ ტერიტორიებს მოლაპარაკების გზით არ დაგვიბრუნებდა. საომარი ოპერაციის პირველმა დღეებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ჯარს შეძლებია ოპერატიული რეაგირება, წვრთნაც საკმარისად მიგვიღია და როგორც ჩანს, არც შეიარაღება გვაკლია.

როგორ შეიძლება განვითარდეს ყველაფერი? როგორ მესახება აფხაზეთის, სამაჩაბლოს და მთლიანად საქართველოს მომავალი ასეთი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების შემდეგ?

სწორედ მომავლის გამო ვარ მე შეშფოთებული. გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი არ დაუჭირა რუსეთის მოთხოვნას საქართველოს მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ბევრს ეს ჩვენს სასარგებლო გადაწყვეტილებად ეჩვენება, მე კი მგონია, რომ გაერო-მ პილატესავით ხელები დაიბანა. ჩვენ ერთხელ უკვე შევწყვიტეთ საომარი ოპერაციები აფხაზეთში და რუსეთმა ჩვენი განიარაღებული არმია თავისუფლად დაამარცხა. თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო მიიღებდა რუსეთის რეზოლუციას, ახლაც ასეთი რამ დაგვემართებოდა – რუსეთი ორ დღეში დაგვამარცხებდა.

სწორი იყო თუ არა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება სეპარატისტებისათვის საპასუხო ცეცხლის გახსნის შესახებ?

რა თქმა უნდა, სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება ჭკუას მოკლებული ნამდვილად არ იყო. მის მოწოდებას, შეეწყვიტათ ცეცხლი სეპარატისტებს, ოსეთი, ანუ იგივე რუსეთი ცეცხლით და მახვილით გამოეხმურა და ჩვენ ასეთ გულხელდაკრებილი ვერ ვიქნებოდით. შინაგანად ამ შეტევის მომხრე თუნდაც იმიტომ ვარ, რომ მითი ჩვენი არამეომრული ბუნებისა და ზედმეტი ტოლერანტობის შესახებ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინგრეს. მიუხედავად ამისა, მე – ერთ ქართველ მწერალს რევაზ მიშველაძეს – ძალიან მეშინია მოვლენების შემდგომი განვითარებისა მთელი რიგი მიზეზების გამო. თუ ამერიკა, ევროკავშირი და, საერთოდ, დასავლეთი ხმამაღალ სიტყვას არ იტყვის საქართველოს დასაცავად, ჩავთვალოთ, რომ განწირულები ვართ. თუ რუსეთს ამერიკისა და დასავლეთისაგან რეალური სანქციები არ დაუწესდება და ხელ-ფეხი ექნება გახსნილი, აუცილებლად გაგვიხსნის მეორე ფრონტს ზუგდიდთან. ჩვენ, ალბათ, ორ ფრონტზე ბრძოლა გაგვიჭირდება!

როგორც ხელისუფლება და ქართული ტელევიზიები იტყობინებიან, ჩვენი სამთავრობო შენაერთები მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს.

ცხინვალის გაკონტროლება, ვაითუ, დროებითი აღმოჩნდეს. თავის დროზე სოხუმშიც შეუშვეს ქართული ჯარი, ცოტა ხანს გამარჯვების ეიფორიაში ამყოფეს, ხოლო შემდეგ რუსებმა მასირებული შეტევა განახორციელეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ დასავლეთმა და ამერიკამ ამ ომში რუსეთს შეგვატოვა, ანუ თუ კიდევ ერთხელ გვიღალატა ამერიკამ და დასავლეთმა, საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა ეჭვის ქვეშ დადგება!

ერთადერთ იმედად მრჩება ის, რომ შეუძლებელია, სააკაშვილი თავის ნაბიჯებს არ ათანხმებდეს აშშ-თან. ჩვენთვის ცხინვალის დროებითი დაკავება არავითარი შეღავათი არ იქნება. ამას აუცილებლად უნდა მოჰყვეს საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლივი დადგენილება რუსეთის სამშვიდობოების დაუყოვნებლივ მოშორების შესახებ სამაჩაბლოს რეგიონიდან და მათი ჩანაცვლება გაერო-ს, ნატო-ს სამშვიდობო ნაწილებით. თუ ეს არ მოხდა, მაშინ მარტო სააკაშვილის ხელისუფლება კი არა არის განწირული, არამედ ეს იქნება საქართველოს დასასრული!

*აგვისტო, 2008*

# ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ

„ახლები“, „რესპუბლიკელები“, „ალასანიას ალიანსი“ სააკაშვილისაგან რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს.

მიშამ რომც დანიშნოს რეფერენდუმი ან საპრეზიდენტო და საპარლამენტნო არჩევნები, აუცილებლად გააყალბებს, რადგან ზუსტად ისეთი მდგომარეობაა, ილია ჭავჭავაძე რომ ამბობდა: „ხმები კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოსო“.

სააკაშვილი ქართველ ხალხს, არ აურჩევია და არც ახლა ირჩევს, მაგრამ ის მიიღებს ხმებს და იცით რატომ? მიუხედავად იმისა, რომ მიშამ თბილისში პირწმინდად წააგო არჩევნები, მან ხმების 98% მარნეულის აზერბაიჯანული ამომრჩევლისაგან და ახალქალაქის რაიონის სომეხი ამომრჩევლისაგან მიიღო. ახლაც ასე მოხდება. აი, მათი პრეზიდენტია მიშა და არა ქართველი ხალხისა.

აქვე გეტყვით ერთ რამეს: სააკაშვილი რომც გადადგეს, არჩევნები დაუშვებელია, რადგან 100%-ით გაყალბდება.

საქართველო გაუბედურებული და გაღლეტილია. ნახეთ, რა ააშენა სააკაშვილმა – 4-მილიარდიანი რაიხსტაგი სამების ტაძრის გვერდით! ბაგრატიონია, თუ ვინ ოხერია, კაცო?

ოპოზიცია კბილებს ილესავს, გაზაფხულზე სააკაშვილის მმართველობას დავამთავრებთო.

თუ „ლეიბორისტები“, ეროვნული ფორუმი და ირაკლი წერეთლის პარტია არ დაიქსაქსებიან, შეძლებენ. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, კოჭებში ვატყობ, რომ მიშას გადადგომა არ უნდათ. ზოგს სურვილი გაუჩნდა საზღვარგარეთ წასვლისა იმ იმედით, რომ იქიდან ვინმეს დაარეკვინებს მიშასთან და ათქმევინებს, გადადექიო. ეს ცოტა გულუბრყვილო ჩანაფიქრია. მიშას ვინც არ უნდა უთხრას დღეს, თვითონ ობამამაც რომ დაურეკოს და უთხრას, წადიო, არ წავა. მიშა ვირთაგვასავით თუ არ გამოიყვანე და კედელთან პანღური არ ამოჰკარი, არსად წავა. სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონდეს, აქამდე წავიდოდა, თუმცა, მიშას ჰგონია, ქართველი ერი ისეთი ბრიყვია, რომ სამების ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის



გვერდით თუ გამოჩნდება და, შემინდეთო, იტყვის, ქართველი ერი გადაწყვეტს: „მოითხოვა ბავშვმა, შემეშალა, შემინდეთო და შევუნდოთ, კაცო, რა მოხდაო“.

ბოლო დროს ხელისუფლება კვლავ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ახალ სამხედრო დაპირისპირებაზე საუბრობს. ეს განაცხადა რუსმა ექსპერტებმა ფელგენგაუერმა.

ამ ბოლო ორი საუკუნის განმვალობაში რუსეთი ჩვენი ტრადიციული მტერია. მასთან არავითარი სიკეთე არ გაგვივიდა. რომ დაადო ტორი კავკასიას. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს, ხანგამოშვებით ატარებს საქართველოსთვის ჭკუის სწავლების ოპერაციას. ამ სადამსჯელო ღონისძიებებს თავიდან ავიცილებთ, თუ ვაღიარებთ კავკასიაში რუსეთის განუსაზღვრელ ბატონობას. ამ შემთხვევაში ფიზიკურად გადავრჩებით, მაგრამ, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობა დაკარგული გვექნება.

რაც შეეხება მოსალოდნელ საფრთხეს, ის არსებობს. ომი მოსალოდნელია, თავი არავინ მოიტყუოს. რუსეთი იმდენად გაცოფდა საქართველოს სურვილზე, დამოუკიდებელი ყოფილიყო, რომ ბოლო 20 წელიწადში ომი ორჯერ გამოგვიცხადა.

რუსეთი კატეგორიულად გვთხოვს, მიშა გადააყენეთ და საქართველოსთან სადავო აღარაფერი მექნებაო. ეს თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი, სად იყო მიშა 92-93 წლებში, რუსეთი რომ დაგვესხა თავს?

საქართველოში იმიტომ კი არ სუფევს ანარქია, რუსს რომ ებრძოდა და ებრძვის მიშა, არამედ მისი უჭკუობის გამო. მიშა ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. გინახავთ, რომ საგიჟეთში ავადმყოფზე ამბობდნენ, ამ ვაჟმა შეცდომა დაუშვაო? რა შეცდომებზეა ლაპარაკი, გიჟს მკურნალობა სჭირდება. იდგა პატრიარქის გვერდით პირველ მარტს და საქართველოს შენდობას სთხოვდა. კარგი შენდობაა, თქვენმა მზემ, საქართველოს შვილები მოუკლა, ტერიტორია და მიწა-წყალი გაუყიდა და მიტევებას ითხოვს? ე. ი. ბოდიშს ვიხდი, სულ ტყუილად გადამივლია შენთვის, საქართველოო. მიშას დარჩენა ხელისუფლებაში ერთი საათითაც არ შეიძლება.

ზოგიერთი სულსწრაფ პოლიტიკოსს ტერიტორების დაბრუნება ოცნებად გადაექცა. „ნუ შეშინდებით, ხალხო, აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნოთო“, – ეუბნებიან ხალხს.

ზუსტად ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც უზარმაზარი ტერიტორია – ტაო-კლარჯეთი დავკარგეთ. დავიბრუნეთ? დავიბრუნეთ კი არა, ამაზე საუბარიც აღარ არის. ყალბი პოლიტიკოსების გადმოგდებული სატყუარაა ფრაზები: „რუსეთი დაშლის პირასაა, ნანობს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა რომ აღიარა. რუსეთი ეკონომიკურად როგორც არ უნდა დასუსტდეს, შენი გასრესის ძალა ყოველთვის ექნება და შენ გამო თავს არავინ შეიწუხებს. რუსეთი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებას არ გააუქმებს და არასოდეს იტყვის, ვაღიარებ შეცდომა მომივიდაო. ამის ილუზია ნურავის ექნება.

სააკაშვილის ბანდამ გაუგონარი დანაშაული ჩაიდინა მწერალთა კავშირის წართმევით, კულტურის მინისტრმა გვითხრა, მწერლის სახლი ერქმევა, მწერალთა კავშირი არ იქნება ეს შენობაო. 27 ოთახია მწერალთა კავშირის შენობაში და აქედან 3 ოთახი მოვთხოვეთ. წერილობით მოვთხოვეთ, რომ დაფიქსირდეს, მერე პირი არ გვიშალოთო, გვითხრეს. 3 დღეში დაგიძახებთ და ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთო, დაგვპირდა რურუა. თუმცა, 3 კი არა, 10 დღე გავიდა და არ გვეძახის. რას ნიშნავას ეს, იცით? თათბირობს გაუთავებლად მიშასთან. მიშა კი ისეთი შემაძრწუნებელი ზიზღით არის განმსჭვალული მწერალთა კავშირის მიმართ, რომ არა და არ სურს, მისი პრეზიდენტობის დროს, რომლის ირგვლივ ნელ-ნელა ბნელდება და საათები რჩება, დაუშვას ეს. სურს, საშვილიშვილოდ დარჩეს მის გვარს დანაშაულად მწერალთა კავშირის იავარქმნა. ამხელა კომპრომისზე წავედით და ამასაც არ გვაძლევ, შე ბანდიტო? ჩვენ ვაპირებთ მიტინგების სერიის დაწყებას. აბა, მიდი ერთი, დაგვიდექი წინ!

არავითარი ყურადღება ხელისუფლების მხრიდან თეატრს და კინოს არ ექცევა. კინოსტუდია აღარ არსებობს; პანტომიმის თეატრის იატაკი კი აყრილია და კედლები – ჩამონგრეული.



არაერთი მიმართვის მერეც კულტურის მინისტრმა თეატრში მოსასვლელად დრო ვერ გამონახა, თუმცა მიშა არ დადის თეატრში და, რა თქმა უნდა, არც მისი გარემოცვა ივლის.

აქვე მინდა მივმართო ინტელიგენციას: ნუ დადედლდით, თავს ნუ იმასხარავებთ, ნუ გინდათ სხვისი ხელით ნარის კრეფა. ელიზბარ ჯაველიძე სულელი ხომ არ გგონიათ, ყოველდღე ნიღაბს რომ ხდის მიშას და მის ხროვას? მინდა, რომ იგი მაგალითი იყოს თქვენთვის. როცა უნივერსიტეტის წინ აქციებს ვმართავდით, ჯერ კიდევ მაშინ დაიმალნენ ჩირგვებში ხუბუას და ლომაიას მიერ პანღურმორტყმული პროფესორები. ახლაც უნივერსიტეტი გაუქმებულია და მხოლოდ რამდენიმე პროფესორი იბრძვის მისი აღდგენისთვის. სად არიან დანარჩენები? აი, რა ღუპავს საქართველოს აი, საიდან იწყება ჩვენი დადედლება. როგორ მაკლია ამ ბრძოლაში დიდი ქართველი, ეროვნული მოღვაწე გურამ შარაძე. გურამი რომ მოკლეს, ჩემთან შინ ვიღაცამ დარეკა და ჩემს მეუღლეს უთხრა: გადაეცით თქვენს ქმარს, რომ მალე მისი რიგიც დადგება, ეროვნულ ფაშისტებს დედა უნდა ვუტიროთო. მე არ ვიყავი სახლში, თორემ ვეტყოდი: შე გარეწარო, შე მათხოვარო, მიშას კუდო, მესროლე-მეთქი.

რა მოხდება 9 აპირლს?

ქართველი ერი ქუჩაში უნდა გამოვიდეს. მთელ საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობა უნდა დაიწყოს და სააკაშვილის რეჟიმი ორ დღეში დასრულდება.

ნუ დაგვანგრევინებ მიშა ქართველ ხალხს პარლამენტს, კანცელარიას, დაიხურე ქუდი და გადადექი! სააკაშვილი ვერ დაამთავრებს თავის საპრეზიდენტო ვადას, მან ჭკუა უნდა იხმაროს და როგორც დამარცხებულმა პრეზიდენტმა, ბოდიშს რომ იხდის მომიტევეთო, იმ წუთში უნდა გადადგეს, თორემ, – მომიტევეთ, ოღონდ მე ისევ ვიქნები, რათა ახალი შეცდომები დავუშვაო, – ამას ვინ ჭამს!

*მარტი, 2009*

# მსოფლიოში ერთადერთი უეროვნებო ქვეყანა

„ასავალ-დასავალმა“ წინა ნომერში გამოაქვეყნა ინფორმაცია, ხალხის დაჟინებული მოთხოვნით როგორ დააბრუნა ყაზახეთის ხელისუფლებამ ახალ ბიომეტრულ პასპორტებში გრაფა „ნაციონალობა“, „რატომ გვაჯობეს ყაზახებმა?“ –

საქართველო ისეთ დღეშია, ყაზახებმა რომ გვაჯობონ, რა გასაკვირია?!

მსოფლიოში არსებობს ორი მოდელი, რომლითაც განისაზღვრება პასპორტში ეროვნების გრაფა. ერთია – ტრადიციული მოდელი, მეორე – ევროპული. ტრადიციული მოდელით, პასპორტში ეროვნების გრაფა იმის გათვალისწინებით ივსება, რომელი ნაციაა ამ თუ იმ ქვეყანაში ავტოქთონური, ანუ ძირძველი. ევროპული მოდელით კი, საპასპორტო გრაფაში იწერება „მოქალაქეობა“. მაგალითად, საფრანგეთში მოქალაქეობის გასწვრივ იწერება „ფრანგული“ (ფრანგი). როდესაც 1975 წელს საფრანგეთში ჩატარდა გამოკვლევა, ხელისუფლებამ ნახა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტი იყო ძირძველი ფრანგი. ამიტომ, ადგნენ და საფრანგეთის ყველა მოქალაქეს პასპორტში მოქალაქეობის გასწვრივ ჩაუწერეს – „ფრანგი“.

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, არცთუ შორეულ მომავალში ქართველებსაც ეროვნულ უმცირესობად გადაქცევა გვემუქრება...

დარწმუნებული ვარ, თუ სააკაშვილის ხელისუფლებას დასცალდა, საქართველოში ქართველი აღარ დარჩება! ჩვენ ან შიმშილით ამოგვხდიან სულს, ანდა უცხოეთში გადაგვხვეწენ ლუკმაპურის საშოვნელად!..

რატომ ვერ მოვახერხეთ ქართულ პასპორტებში ეროვნულობის გრაფის აღდგენა?

1999 წლის მოწვევის პარლამენტში ნეტარხსენებულ გურამ შარაძეს, ელიზბარ ჯაველიძესა და თქვენს მონა-მორჩილს ერთი დიდი ომი გადაგვხდა საიმისოდ, რომ პასპორტებში ეროვნულობის გრაფა აღგვედგინა. მაგრამ ჟვანიამ, ბურჯანაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართველ კაცს პასპორტში არ ჩაეწერა თავისი ეროვნება! დაგვპირდებოდნენ, აუცილებლად განვიხილავთ თქვენს კანონპროექტსო, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირა – კვირას, თვე – თვეს და მაინც არ აყენებდნენ საქმეს საშველს...

ბოლოს, როდესაც მიუხედავად არაერთგზის დაპირებისა, მაინც არ ჩასვეს პარლამენტის დღის წესრიგში ეს საკითხი, იძულებული გავხდი, დავმუქრებოდი, გამოვალ პარლამენტის სხდომაზე და ყველას, ვინც ხელს უშლის ქართველის ქართველობას, ერის მოღალატედ გამოვაცხადებ-მეთქი!..

მაშინ ნინო ბურჯანაძემ მითხრა, პარლამენტის ხელმძღვანელობას რას ემართლები, ედუარდ შევარდნაძეა ქართულ პასპორტში ამ გრაფის არსებობის წინააღმდეგიო!

შევხვდი შევარდნაძეს, ავუხსენი ყველაფერი და დავრწმუნდი, რომ ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ცრუობდა. საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა პირდაპირ მითხრა, მე ტრადიციული მოდელის მომხრე ვარ, თუმცა, არც ევროპულია ურიგო და რასაც პარლამენტი გადაწყვეტს, იმას მოვაწერ ხელს, ოღონდ ქართულ პასპორტში აუცილებლად იყოს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფაო...

კიდევ კარგა ხანს აბურთავა „შესანიშნავმა სამეულმა“ – ჟვანიამ, ბურჯანაძემ და სააკაშვილმა – ეს საკითხი... ბოლოს, იმდენი მოვახერხე, რომ მათთან ერთად შევხვდი შევარდნაძეს, რომელმაც კიდევ ერთხელ, მათი თანდასწრებით თქვა, აუცილებლად გადაწყვიტეთ ეს საკითხი, ხალხი ისედაც თქვენს გამო მე მაგინებსო!

გაჭრა შევარდნაძის შეგონებამ?

თქვენც არ მომიკვდეთ! ამ სამეულმა მაინც თავისი გაიტანა და ცოცხალი თავით, დღის წესრიგში არ დააყენა პასპორტში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის აღდგენის საკითხი!

არ მინდა დავიჯერო, რომ შევარდნაძე ჩემთან თვალთმაქცობდა და ამ სამეულის თამაშს თამაშობდა. ისე, ისიც უნდა ვთქვა, რომ იმ დროს (ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ ორი წლით ადრე) შევარდნაძე უკვე აღარ გახლდათ ის მრისხანე

ცეკას მდივანი. მაშინ შევარდნაძე, როგორც კარგად თქვა თავისი აღსაზრდელების შესაჭმელად გამზადებული ბებერი მგელი ტოტია იყო!..

რატომ არ აღადგინეს ეროვნების გრაფა პასპორტში?

იმიტომ, რომ მათთვის საქართველო არ არის სამშობლო და არც ქართველი კაცია – თანამოძმე!

სოროსულ-გლობალისტური გაგებით, ამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების საქართველოში ქართველს თავი არ უნდა ეგრძნო ქართველად და დიდი წინაპრების შთამომავლად!..

უნდა გენახათ, ამ სოროსელებს რამდენი ეგრეთ წოდებული უცხოელი ექსპერტი ჩამოჰყავდათ ჩვენს გასანათლებლად და ჭეშმარიტ გზაზე მოსაქცევად!..

ისინი გვარწმუნებდნენ ცივილიზებულ სახელმწიფოში სირცხვილია ეროვნულობაზე აქცენტის გაკეთებაო! მოკლედ, ყველა ის სისულელე, რასაც ჩვენი ეგრეთ წოდებული „ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოება“ და „თავისუფლების ინსტიტუტი“ დღემდე ჩმახავს, სწორედ იმ უცხოელი ექსპერტისგან მოვისმინე...

ზვიად გამსახურდია ამბობდა, ეროვნება არ აქვს მხოლოდ ცხოველსო...

ცხოველებად ჩვენს გადაქცევაზე რომ ოცნებობენ ეს ოჯახდაქცეულები, განა, ამას წყალი გაუვა?

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც უეროვნებო ბავშვები იბადებიან! არცერთ დოკუმენტში – არც პასპორტში, არც პირადობის მოწმობაში, არც დაბადების მოწმობაში არ წერია, რა ეროვნებისაა მათი პატრონი!..

უეროვნებო ცხოველებად გადაქცევას რომ გვიპირებენ, ამიტომაც გაგვიუქმეს მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, მწერლობა...

ნახეთ, კვლევითი ინსტიტუტების გარეშე როგორ დატოვეს მეცნიერებათა აკადემია!..

ნახეთ, როგორ დააქციეს ჯავახიშვილის უნივერსიტეტი!..

ნახეთ, როგორ იცავენ სადღეღამისო მორიგეობით პოლიციელები მწერლებისგან მწერალთა სახლს!..



ცხოველებად ჩვენი გადაქცევა რომ არ სდომებოდათ, თქვენს პატრიოტულ გაზეთს „ასავალ-დასავალსა“ და სხვა ათობით რედაქციას გამოაძავებდნენ გამომცემლობა „სამშობლოდან“?!

რა უნდა გავაკეთო, რომ ყაზახებმაც არ გვაჯობონ?

სააკაშვილის ხელისუფლება მოსახლეობის 90 პროცენტს სძულს. ოპოზიცია – 60 პროცენტს!

საქართველო რომ გადავარჩინოთ, ოთხპუნქტიანი გეგმა უნდა შესრულდეს:

1. უნდა შეიკრიბოს ორი, ძალით დამხობილი პარლამენტი; ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭო და 2003 წლის 2 ნოემბერს არჩეული პარლამენტი, რომელიც „ვარდების რევოლუციით“ დაამხეს;

2. ამ ლეგიტიმურმა ორგანოებმა ერთად უნდა მიიღონ ახალი, დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი;

3. ამ ლეგიტიმურმა ორგანოებმა უნდა დანიშნონ დროებითი მთავრობა;

4. ამ ლეგიტიმურმა ორგანოებმა უნდა დანიშნონ ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები...

ამ გეგმით უნდა იმოქმედოს ერმა და ბერმა თუ ჭეშმარიტად გვსურს, უეროვნობო, ცხოველებად არ გადავიქცეთ და „სოროსის ლაბორატორიის“ ნაცვლად, ქართული სახელმწიფო ავაშენო!..

*თებერვალი, 2009*

## ოპოზიცია პოლიტიკურ კულისებში

დღეს რამდენიც არ უნდა ეძახოს ოპოზიციამ სააკაშვილს, – გვამი ხარ, გვამი ხარო, – ის გვამი მაინც არ გახდება, შეძახილით ხე მხოლოდ ანდაზაში ხმება. რაც შეეხება სააკაშვილის გარემოცვას, არც ისეთი სულელები არიან, როგორებიც ჩვენ გვგონია. დაუკვირდით, როგორ გახლიჩეს საზოგადოება

და როგორ შეაგზავნეს ოპოზიციაში თავიანთი ემისრები?.. საზოგადოება ახლა დაბნეულია, ასეთი რამ არასოდეს მინახავს.

საზოგადოების „დაჩმორება“, დაშინება და დადედლება გეგმაზომიერი, ძალიან სერიოზული მუშაობის შედეგია იმ ურჩუხულისა, რომელიც ჩვენ წინაშე დგას.

ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება, არც აგვისტოს ომი იყო შემთხვევითი და არც ის, რომ სააკაშვილის ნავი მისმა აქტიურმა თანამებრძოლებმა დატოვეს და თითქოს ოპოზიციაში გადმობარგდნენ. ერთნი ამბობენ, – რეფერენდუმიო, მეორენი ამბობენ, – ჩვენ უნდა ვაიძულოთ სააკაშვილი, დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებიო, უფრო ჭკვიანები კი გაიძახიან, – ჩვენ მოვითხოვთ პრეზიდენტის უპირობო გადადგომასო. არადა, ეს ყველაფერი ერთი მტევნის სხვადასხვა მარცვლებია... იცოდეთ, ამით არაფერი შეიცვლება, დანიშნავს თუ არა სააკაშვილი არჩევნებს ან რეფერენდუმს, ისე გააყალბებს, კაბინეტიდან საერთოდ არ გამოვა. ხომ გადადგა ერთხელ, ერთი წუთი მაინც ჩამოვიდა თავისი ამერიკული ესკორტიდან? არ დაიჯეროთ, ეგ ადამიანი ისევ თვითონ უხელმძღვანელებს „პარადს“ და ისევ თვითონ იქნება პრეზიდენტი. დღეს ბევრი ამბობს, სააკაშვილს ეშინიაო... ამაოდ ეშინია, საქართველოში საქმე ისე წავიდა, ეროვნული არჩევნების ჩატარების არავითარი პირობა აღარ არსებობს, საკუთარ თავსაც რომ აღარ ვენდოთ და დამთვლელებად ჩინელები ჩამოვიყვანოთ, გარწმუნებთ, მაინც სააკაშვილი გაიმარჯვებს, იცით რატომ? გასაცოდავებული საქართველოს სამი მილიონი მოსახლეობიდან მილიონნახევარი უკვე უცხოეთშია გაქცეული და სხვა ქვეყნებიდან ხმები როგორ ჩამოაქვთ, ეს ძალიან კარგად იცით. არავითარი არჩევნები საზღვარგარეთი ქვეყნებში არ ტარდება, პირდაპირ ოქმს შეადგენენ. 98 პროცენტს მიშას დაუწერენ და მორჩა, მეორე – საქართველოში დარჩენილია, სადღაც, მილიონ ორასი ათასი კაცი, აქედან „ნაცმოძრაობას“, ანუ სააკაშვილს ხმას მისცემს ყველა ეთნიკური უმცირესობა.



რეფერენდუმიც და არჩევნებიც სააკაშვილის პროექტია. ამ შემთხვევაში ღალატს კი არ აქვს ადგილი, მიშას გადადგომა ყველა ოპოზიციონერს უნდა, მაგრამ ხელის განძრევა ეზარებოდათ, თავის შეწუხებას ერიდებიან. ამ ოპოზიციაში განწირული სულისკვეთებით მებრძოლ მხოლოდ სამ რაზმს ვხედავ, ერთი შალვა ნათელაშვილის რაზმი, – მეორე ირაკლი წერეთლის რაზმი და მესამე – გოგა ხაინდრავა, რომელიც მარტოხელა მგელივით დარბის. დანარჩენი, ანუ ბურჯანაძე, გამყრელიძე, გაჩეჩილაძე, ესენი სააკაშვილთან შეთანხმებული ოპოზიციონერები არიან. მიშამ ჭკუა იხმარა და პოლიტიკურ პარტიებს დაფინანსება მისცა, თუ ბოლო დროს მათ ოფისებში ყოფილხართ, შეამჩნევდით, რომ ხელმძღვანელები უკვე პატარ-პატარა ცეკას მდივნებივით თამაშობენ, ჰყავთ დაცვა, მდივნები, თანაშემწეები და ასე შემდეგ. შენ ჟურნალისტი რომ მიხვალ, რომელიც, ფაქტობრივად, ოპოზიციონერად მიიჩნევდი, მოსაცდელში გაყურყუტებენ, სიმართლე გითხრათ, ჩემ მიერ დასახელებული სამი პარტიისაც ძალიან მეშინია, შეიძლება, მათ დიდი ვაჟკაცობა და სიმამაცე აქვთ, მაგრამ ვაითუ, ეს სიმამაცე ერთ კვირაზე მეტ ხანს არ გაგრძელდეს?

როგორც კი ისინი დაინახავენ, რომ სააკაშვილს ვერაფერი დააკლეს, თვითონვე გაიწოვებიან კულისებში და მერე დაიწყებენ, – რა ვქნათ, გენაცვალე, ხალხი არ აგვყვაო. ასეთი შემთხვევა უკვე იყო. 2007 წლის ნოემბრის დასაწყისში გოგა ხაინდრავა ერთ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა და პარლამენტს ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყა. გავიდა ორი საათი და ხაინდრავა მარტო დარჩა, დანარჩენი სახლებში გაილალა. გოგა წავიდა, „კავკასიის“ ეთერში ბევრი ილაპარაკა, მაგრამ აქცია ვეღარ განაახლა. იცოდეთ, ახლა საჭიროა ძალა, თავგანწირვა და ნებისყოფა, ზოგიერთი იმისთვისაც კი უნდა იყოს მზად, რომ ცოტა ხნით ციხეში ჩაჯდომა მოუწევს. ახლა ვუსმენდი ძალიან საყვარელ ადამიანებს – გუბაზ სანიკიძეს და კახა შარტავას, რომელთა მამებიც ჩემი მეგობრები იყვნენ, მაგრამ სიმართლე მაინც უნდ ვთქვა: კახა შარტავას ლაპარაკიდან გავარკვიე, რომ ესენი სააკაშვილის ჩამოგდებას ხუთი წლის მერე გეგ-

მავენ. ჯერ რაიონებში გავიდეთო, ადგილობრივი პროპაგანდა ვაწარმოოთო, ხალხი ჩვენს სიმართლეში დავარწმუნოთო, შევქმნათ ადგილობრივი რაზმეულებიო, უჯრედებიო, შემდეგ ყველაფერი გავაცნობიეროთ, ფული ვიშოვოთ, ხალხი დავრაზმოთ და მერე... კი შემოგვადნა ხელში საქართველო. ნეტა, ვცდებოდე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბიჭებიც ძალიან ფრთხილობენ, ამ ეტაპზე დამკვრელ ძალად ნამდვილად ვერ მივიჩნევ. ერთადერთი საშუალება სააკაშვილის გადაგდებისა არის მხოლოდ რევოლუცია. დანარჩენი – ამათი ინტელიგენტური დარწმუნება და არჩევნების გზით ჩამოშორება – ზღაპარია. ოპოზიციას ეშინია, ესენი იმ ფინიას ემსგავსებიან, რომელიც თან ყეფს, თან კუდს აქიცინებს. დაუკვირდით, გამოდიან, ყვირიან: სააკაშვილი უნდა გადადგეს, სააკაშვილი უნდა დაემხოსო და ბოლოს დააყოლებენ, კანონიერი, ანუ დემოკრატიული გზითო. გამაგებინეთ, კანონერი და დემოკრატიული გზა იყო, მიხეილი პარლამენტში რომ შემოვარდა? რასაც ახლა ვიტყვი, ძალიან გთხოვთ, არ ამომიღოთ... ჩემი აზრით, რაკი ჩვენს ბიჭებს რევოლუციაში ფართხალი არ უყვართ, ნამეტანი თეთრი ხელთათმანებით იბრძივან, უნდა აღდგეს ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭო და 2003 წლის 23 ნოემბერს სააკაშვილის მიერ ხულიგნურად გარეკილი პარლამენტი. ეს ორი ლეგიტიმური ორგანო დანიშნავს საპრეზიდენტო არჩევნებს. ახლა, როგორ ფიქრობთ, გურამ შარაძე, ელიზბარ ჯაველიძე, მუხრან მაჭავარიანი და მე პარლამენტში ფულით ვიყავით შესულები?

ჰოო, მეც სწორედ მანდ ვარ... მაჟორიტარები დატოვეს და დანარჩენი ნინო ბურჯანაძემ, ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა კინწისკვრით გამოგვყარეს. ვინაიდან მე ოპოზიციის ლიდერებს ვერ ვატყობ კოჭებში, რომ მიშას გაუშვებენ, ეს გზა ყველაზე რეალურად მეჩვენება. სხვათა შორის ვერც ინტელიგენციას ვატყობ საქმის კეთების სურვილს, ადამიანები ძალიან ადვილად ტყუვდებიან. ერთ რამეს ვხედავ, კაცო, ბურჯანაძესა და ნოღაიდელის პარტიების პრეზენტაციებზე დარბაზები იყო გადატენილი, ეს შემაძრწუნებელია. მე არ



გამოვრიცხავ, უახლეს ხანში ჩვენი რამდენიმე სახელოვანი აკადემიკოსი ბურჯანაძის რაზმში ვიხილო... პირდაპირ შევცბი, როცა მასთან მისული გივი ბერიკაშვილი და რეზო ჩხეიძე დავინახე, ესენი ჩემი მეგობრები არიან, ამათი მჯეროდა, მაგრამ ჟურნალისტებთან თავის მართლება დაიწყეს, ჩვენ მრჩევლების რანგში მივედით, თუ ვინმეს ჩვენი რჩევა დასჭირდება ყველასთან მივალთო. ერთი მითხარით, რომელი პოლიტიკური მრჩეველი მყავს ან ერთი ამ მეორე.

გურამ საღარაძის საქციელი ცალკე საუბრის თემაა. არ ვიცი, მე რა კოჭი უნდა გამიგორონ ბურჯანაძემ და ნოღაიდელმა, მაგათთან რომ მივიდე? ახლა მეუბნებიან, საქართველო ორიენტაციის გარკვევის პროცესშიაო. რა ორიენტაცია, ხალხო, ამერიკა მშვიდობის რა მტრედიც ბრძანდება, ხომ ვნახეთ? სანამ რუსებმა ჩვენი ქვეყანა არ მოითარეშეს, მანამდე შავ ზღვაში გემები არ შემოიყვანეს.

ესეც თეატრალური წარმოდგენა იყო. რაც შენ ერაყსა და ავღანეთში ჩაიდინე, მსოფლიოს თვალებში როგორღა უყურებ? რუსმა ძალიან კარგად იცის, რომ ამერიკელი საჩვენოდ მხოლოდ ცალყბად ლაპარაკობს და ამიტომაც აკეთებს თავის საქმეს მშვიდად. ევროპული და ამერიკელი დიპლომატები ზრდილობის გულისთვის წამოიკნავლებენ ხოლმე. ჩვენ კი, კაცო, თქვენს სუვერენიტეტს მხარს ვუჭერთო, ყირგიზეთიდან რომ ამერიკელებს კუდი ამოაძუებინეს, თქვენ ეს ამბავი არაფერს გეუბნებათ? რუსები 200 წლის განმავლობაში გვებრძვიან, მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, მაგრამ სააკაშვილი რომ ყოველ ნაბიჯზე ცრუობს, ამას რა ვუყოთ? აგერ, ყურები გამოგვიჭედა, – დემოკრატიის ახალ ტალღას ვიწყებო. ამ მხრივ ერთი დაპირება მაინც შეასრულა, ან ერთი ნაბიჯი მაინც გადადგა?

გამოდის ეს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი კაცი და მიმტკიცებს, ფიზკულტურის აკადემია საჭირო არ არისო, სპორტმენები სხვადასხვა უნივერსიტეტებში მოეწყობიანო. ამას ჭკუათმყოფელი ადამიანი იტყვის? ეს აკადემია მარტო სპორტსმენებს კი არა, მასწავლებლებსა და მწვრთნელებსაც

ზრდიდა. მიხეილ, ეს სფერო შენ საერთოდ დახურე! ახლა ავდგე და შენს ლიტერატურულ გამოვნებაზე ვილაპარაკო? ჩვენ, ქართველმა მწერლებმა სააკაშვილს მიმვართეთ: კარგი, ბატონო, მწერალთა სასახლე წაგვართვი, სადაც 27 ოთახია, მხოლოდ 3 მოგვეცი, როგორმე გავიჭირვებთ და საქმეს გავაკეთებთ. თქვენც არ მომიკვდეთ, მისი ჩინოვნიკები ამაზეც უხერხულად იშმუშნებიან, ოხრავენ და არიან ერთ ამბავში – მწერალთა კავშირზე გაბრაზებულ შვიდ მწერალს აქეთ-იქით დააპროწიალებენ და ისეთ დღეში აყენებენ, ყველა შეგეცოდებათ. მათ შორის ერთ-ერთმა, გურამ დოჩანაშვილმა, უკვე თქვა, – მე მწერალთა კავშირის წევრი ვარ, რაღაცებს ნუ მაიმუნობთ, თავი დამანებეთო, რაც სააკაშვილმა ნიკო ცხვედაძისა და ილია ჭავჭავაძის მიერ აშენებულ უნივერსიტეტს გაუკეთა, ეს გამოუსწორებელი დანაშაულია.

თქვენ იცით, რომ უნივერსიტეტში ლექციები საერთოდ არ ტარდება და იქ მხოლოდ გია ხუბუა ზის ჭოტივით?

აღარც ლექციებია, აღარც საბჭოს სხდომებია, აღარც ასპირანტურაა... დამთავრდა ჩვენი უნივერსიტეტი, მორჩა! ქართული კინო რომ გაუქმებულია, ამაზე სააკაშვილს უფიქრია? გამოდის უსირცხვილოდ და აცხადებს, საქართველოში კორუფცია აღარ არსებობსო. არ დაიჯეროთ... მართალია, პოლიციელები ქუჩაში ფულს აღარ ითხოვენ, სამაგიეროდ, 20-25 წლის ბიჭები მილიარდებს შოულობენ. ახლა ფული კეთდება საინვესტიციო გარიგებებზე, პრივატიზაციებზე, აუქციონებსა და გზების მშენებლობაზე. ამით საუკეთესო ცხოვრება მოიწყვეს, შენ თუ რაღაცას წერ, რაღაცას ჯღაბნი და ქართველ ხალხს ეროვნულ ნერვზე უღიტინებ, ზედაც არ გიყურებენ. სააკაშვილს, ამ უთოფო ყაჩაღს, ჩვენს არსებობაზეც კი ეცინება, სიცილით კვდება და ზემოდან დაგვყურებს. ამიტომ ვაცხადებ: რის არჩევნები? რა რეფერენდუმი? საქართველოში უნდა მოხდეს ისეთივე რევოლუცია, როგორიც სააკაშვილმა მოაწყო, ეს ადამიანი ქვეყნიდან არის გასაძევებელი!

*მარტი, 2009*



# მსოფლიოში გონიერი პოლიტიკის დეფიციტია

მიხეილ სააკაშვილს, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, უამრავი დანაშაული მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. მისი პრეზიდენტობიდან უკვე 5 წელი სრულდება და ყველა მივხვდით, რომ ამ კაცს ანალიზის უნარი საერთოდ არ ჰქონია. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ქვეყნის სათავეში უმწიფარი პოლიტიკოსი მოვიდა, რომელსაც სახელმწიფოს მართვის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და არც იმის ჭკუა ეყო, გამოცდილი და ჭკვიანი ხალხისთვის დაეჯერებინა. მას ჯანმრთელობის მხრივაც სერიოზული პრობლემები აქვს და კარგი იქნებოდა, ფსიქიატრებს ხშირად სტუმრობდეს... ერთხელ ირაკლი აბაშიძემ მითხრა, მართვის მოწმობის ასაღებად ჩემს მძღოლს „ფსიქო“ მოსთხოვეს, ხალხს პრეზიდენტად და პრემიერ-მინისტრად რომ ირჩევენ, რატომ არ სთხოვენ მათაც იმავე ცნობას, იქნება ჩუმი გიჟიაო... მართალია, ყველანაირ უბედურებას მას აბრალებენ, მაგრამ როგორც ქართველ მწერალს, ობიექტურობა მავალებს ვთქვა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის სააკაშვილისთვის დაბრალება არ შეიძლება. ისე როგორც 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომი არ შეიძლება, შევარდნაძეს დაბრალდეს.

რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოს მმართველზე, ერთ პიროვნებაზე დამოკიდებული არასოდეს ყოფილა. მას მხოლოდ შეეძლო, ცოტა ხნით გადაევადებინა ომი ან ეს ყველაფერი უფრო ნაკლები მსხვერპლის ხარჯზე მომხდარიყო. რუსი იმაზე დიდი აგრესორია, ვიდრე თავის დროზე ფაშისტური გერმანია იყო და ამის შელამაზებას ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ტყუილად ცდილობს. როცა პოლიტიკოსებს და ე. წ. სახელმწიფო მოღვაწეებს ვხვდები, ხშირად ამბობენ, – კიდევ დაგვინდო, თორემ უარესის გაკეთება შეეძლო... მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა, კაცო, მიგვანგრ-მოგვანგრია და ისედაც მათხოვრები, კიდევ უფრო გაგვამათხოვრა...

ბოლო დროს მარტო საქართველოსა და რუსეთში კი არა, დანარჩენ მსოფლიოშიც გონიერი მმართველობის დეფიციტია. ნიჭიერ, გაწონასწორებულ და ჭკვიან პოლიტიკოსს ან ზოგადად დიპლომატს ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ ვხედავ. რაც შეეხება სუპერსახელმწიფოს, სამწუხაროდ, რუსეთსა და ამერიკას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კეთილ ნების მმართველი არ ღირსებიათ. გასულ კვირას ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინაუგურაციას ვუყურე. მასზე ამბობენ, დემოკრატიის გასაოცარი გამოვლინებაა და პრეზიდენტის იდეალური თვისებები აქვსო, მაგრამ ვერ დავეთანხმები, მისი გამოსვლა მხოლოდ რიტორიკული იყო, საკუთარ ინაუგურაციაზე რებუსებით არ უნდა ელაპარაკა. ამერიკამ მილიტარისტულ ოკეანეში ძალიან შეტოპა. არ ღირს მსოფლიო სახელმწიფოების რისხვის დამსახურება ერაყისა და ავღანეთისნაირი პატარა ქვეყნების დამორჩილების გამო. არც ისაა გამართლებული, პატარა სახელმწიფოებში თავისი გავლენის სფეროების გაფართოებით ამერიკამ ეკონომიკური სარგებელი რომ იპოვა. ეს ეკონომიკური სარგებელი მას ეკონომიკური კრიზისის სახით მიუბრუნდა და ყველაზე უარესი, მისმა პოლიტიკამ მუსლიმანური სამყარო გააღიზიანა. ისინი უკვე ემუქრებიან ამერიკას, ისრაელსაც და არც ისე კეთილგანწყობილი არიან საქართველოს მიმართაც, რადგან ჩვენ ამერიკის ფავორიტი ვართ.

ფაქტია, რომ უტვინო ბუშის რევოლუციებმა ვერ გაამართლა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ნავი საით წაგვიყვანს, რომელი ყურეებისკენ, ჯერჯერობით გაურკვეველია... ჩვენდა სამწუხაროდ, ლაპარაკი ყველამ ისწავლა. ტელეკომპანია „კავკასიამ“ გრძელენიანი ოპოზიციონერები „დაბადა“, რომელთაც რეალურად არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, მაგრამ სხედან და ლაპარაკობენ. მე მათ მოლაყბე პოლიტიკოსებს ვეძახი.

რუსეთს ათასნაირი გზებით, ხვალვე შეუძლია, სააკაშვილს კუდით ქვა ასროლინოს, ისე, რომ კისერზე ირტყამდეს წიხლებს, თავისი პოლიტიკური მამისკენ, აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტისკენ გარბოდეს, მაგრამ არ უნდა. მიუხედავად



იმისა, რომ რუსეთს სააკაშვილის გარდაქმნაც შეუძლია მის მიმართ კეთილგანწყობილ ქვეშევრდომად, არც ეს უნდა... ასეთი ქვეყანა უფრო აწყობთ, დაცურებული, დაბეჩავებული და სახელგატეხილი. მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ომში შვილი დამელუპა, შევარდნაძესთან მივედი და ვუთხარი, თუ საქართველოს დსთ-ში შეყვანას აპირებდი, ჩვენი შვილების მსხვერპლი რაღა საჭირო იყო-მეთქი?!. – რეზო, მე შენ მართლა პრეზიდენტი ხომ არ გგონივარ, ეს რომ არ გამეკეთებინა, საქართველოსგან აღარაფერი დარჩება, რუსები უკვე ქუთაისში მოდიოდნენო, ჩვენ ჯერჯერობით სახელმწიფო და მით უმეტეს, საზღვრებში არ გვაქვსო, – მითხრა. ეს იყო 1993 წელი. როგორც გაირკვა, არც 2008 წელს, სააკაშვილის დაუსრულებელი ტრაბახის მიუხედავად, არ გვქონია სახელმწიფო და საზღვრები და არც ჯარი გვყოლია. ხომ ნახეთ, პენსიაზე გასული რუსი მფრინავები როგორ დანებივრობდნენ საქართველოს ცაზე და რაც მოესურვებოდათ, იმას ბომბავდნენ. ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ჩვენი სანაქებო ჯარი კი კისრისტეხით გამორბოდა ბრძოლის ველიდან. მათ ერთი დღეც ვერ შეძლეს მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ცალკეულ ეპიზოდებში ბიჭებმა მედგრად იომეს. გენერალიტეტი კი მცხეთის სახინკლეებსა და სალობიეში ქეიფობდა. ღმერთმა ნუ ქნას, ქართველ ბიჭებს სამშობლო არ უყვარდეთ და დედლებად აღიზარდონ, მაგრამ, საერთო ჯამში, ჯარი არ გვყოლია. არმიაში სამხედრო-პარტიული აღზრდა მოშლილი იყო. შეიძლება რუსეთს ომი ვერ მოუგო, მაგრამ სახლებში კი არ უნდა გამოქცეულიყვნენ, ათეულებად და ოცეულებად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, და პარტიზანული ბრძოლები გაეგრძელებინათ... ამის ნაცვლად სააკაშვილმა ხელები ასწია და ისე გამოძუნძულდა. მანამდე კი რეზერვისტები და პატრიოტთა ბანაკები, მაპატიეთ და, გარყვნილების ბუდედ გადააქცია. ხანდახან ღამეს კარავში გაათევდა, თავდაცვის მინისტრთან ერთად დარბოდა, საღამოს კი ხინკალს ჩაუსხდებოდნენ. ჩვენს პრეზიდენტს სახელმწიფოს შენება სახლობანას თამაში ჰგონია. მე ჩემს ნოველებში ჩემი ქვეყნისა და ხალხის

მატიანეს ვწერ და სად გავამხილო, რომ ჩემი ქვეყნის ჯარმა, რომლის შენებაშიც ასეთი კოლოსალური თანხები იხარჯება, ერთი დღეც ვერ გაუწია მტერს წინააღმდეგობა. ამიტომ, როცა ომის თავი არ გვაქვს (შეგნებულად არ ვამბობ სხეულის სხვა ნაწილს), კეთილი უნდა ვინებოთ და დიპლომატიაში არსებულ იძულებითი დაზავების გზას უნდა მივმართოთ.

რუსეთი საქართველოს დაუძინებელი მტერია და ქართველი ხალხის ისტორიული მეხსიერება მის შეყვარებასა და 2008 წლის აგვისტოს პატიებას ვერ შეძლებს, მაგრამ ეროვნული ინტელიგენციის დამოკიდებულება ასეთი უნდა იყოს – თეთრ დათვს ხანდახან უნდა მოეფერო და საკვებიც გადაუგდო, რომ არ შეგჭამოს. მასთან დამდურება ისევ ჩვენ დაგვაზარალებს. ქართველმა დიპლომატებმა უნდა იცოდნენ, რომ რუსეთი ჩვენს დაპყრობაზე ოცნებობს, რა თქმა უნდა, რუს ხალხსა და მწერლებს არ ვგულისხმობ, მაგრამ სახელმწიფოებრივი გაგებით, ჩვენ მას ვძულვართ და არასოდეს შევუყვარდებით, ამის თქმის საფუძველს მათთან ურთიერთობის 200-წლიანი და კიდევ მეტი გამოცდილება მაძლევს... ერეკლე მეფეს რუსების ღალატი საფლავში ჩაჰყვა. რუსეთს ჩვენი კეთილგანწყობის მოპოვება რომ უნდოდეს, ერთ დღეში გააუქმებდა ეკონომიკურ ემბარგოს, სავიზო რეჟიმს და საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადებდა.

მას საქართველოს სამი სუბიექტით – აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საკუთრივ საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოდ აღიარებაც გაუჭირდება... ეს რომ რუსეთმა გააკეთოს, საქართველოს მოსახლეობას ვერავითარი მილიარდები და ნაყიდი სააკაშვილი ვერ შეაბრუნებდა ამერიკისკენ. ჩვენ რუსეთთან ბევრი საერთო გვაქვს, რწმენის, მეზობლობის, ისტორიისა და ადამიანური ურთიერთობის რესურსი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. ასე რომ, დიდი რუსეთის ორ პატარა მმართველს საქართველოს კეთილგანწყობის მოპოვება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ამის ნაცვლად უზარმაზარი სახელმწიფო პატარა, გაღლეტილ, ათასგზის დამცირებულ და შარვალშემოხეულ საქართველოს ეჯიბრება – ყოველდღე გვიხოცავს ბიჭებს და მიწებს გვართმევს.



და ბოლოს, მწერალთა კავშირის შენობის ბედიც კიდევ გაურკვეველია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტელევიზიები წარამარა იტყუებიან, მწერალთა კავშირს შენობა დაუბრუნესო, ისევ ქუჩაში ვართ... საკადრო ცვლილების შემდეგ, ჩვენს პრობლემასთან დაკავშირებით კულტურის მინისტრს შევხვდით, შეგვპირდა ყველაფერს მოგიგვარებთო, შინ დაბრუნებული მწერლები უკვე ერთმანეთს ვულოცავდით, რომ როგორღაც გვეღირსა საკუთარი ჭერი და იმავე საღამოს კულტურის მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს!.. იცით, რა მინდა გითხრათ, მწერალთა კავშირში ერისთვის მნიშვნელოვანი ხალხია გაერთიანებული და ქართველი ხალხი სააკაშვილს ნებისმიერი მწერლის ქუჩაში დაღამებულ დღეზე პასუხს მოსთხოვს. დრო, ისტორიის ყველაზე კარგი მსაჯული, განსჯის, ვინ შემორჩება ქართველი ხალხის მეხსიერებას, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო მიშველაძე, ოთარ ჭილაძე და სხვა დანარჩენი მწერლები, თუ ის არაეროვნული კუპლეტისტები, რომლებიც სექსუალურ ნაწარმოებებს წერენ.

*თებერვალი, 2009.*

## ვაითუ პოლიგონად ვიქცეთ

ვისაც ჰგონია, რომ ამ ომში გავიმარჯვეთ, ფსიქიკური მდგომარეობა მთლად დაწყობილი არა აქვს.

ახალი წელი მოგვადგა კარს, ხალხი დაბნეული და შეშინებულია, რუსეთმა ომი არ დაგვიწყოსო... ხელისუფლება კი საახალწლოდ თბილისს ალამაზებს და გვამშვიდებს, ყველაფერი კარგად იქნებაო...

აი, ასე უღიმღამოდ, ასე უიმედოდ, ასე დამარცხებულად და პირქვედამხობილად ქართველობა ახალ წელს ათასი წელი არ შეხვედრია.

ეს ფოიერვერკები, რომელსაც ხელისუფლება აწყობს,

თვალში ნაცრის შეყრაა. შეიძლება ის სიბრჭყვიალე, ქუჩებში რომ არის, უცბად თვალს გაუხარდეს, მაგრამ შინდაბრუნებულ რიგით თბილისელს რა დახვდება – შიმშილი, უილაჯობა, უსამსახურობა...

სულ რაღაც ოთხი თვის წინ წავაგეთ ომი. საქართველოს მთავრობა კი იმაზე ფიქრობს, როგორ აღნიშნოს ახალი წელი. დღეს მოვისმინე ტელევიზიით, რომ პირველად საქართველოში ევროპულად ვიზეიმებთ ახალ წელს. პირველად გაუთენდება საქართველოს ევროპული ახალი წელი. თურმე ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკიდან და ინგლისიდან ჩამოიყვანენ მომღერლებს... იქ ვიღაც პენსიაზე გასული ჭ-კლასის მომღერალი რომ ჩამოგვყავს, მილიონი უნდა მისცე. მომღერლები და მოცეკვავეები აკლია საქართველოს? საქართველოს მეომრები არ ჰყავს, თორემ მომღერლები და მოცეკვავეები – იცოცხლე.

რუსები ბევრნი იყვნენ და ჩვენი მეომრები იძულებულები გახდნენ გამოქცეულიყვნენ, თუმცა არ იომა ქართველმა კაცმა სააკაშვილის ლაშქარში. მეორე დღესვე მტერს ზურგი უჩვენა. დავითაიას კომისია ჩხავის – ზურგსა და ფრონტს შორის არ იყო შეთანხმებაო, მობილურებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთსო, ჯარისკაცები მიატოვეს ომში და გამოიქცნენო... ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ – ჯარისკაცების გაზრდა რეზერვისტთა და პატრიოტთა ბანაკებში „ტანციმანცებით“ არ ხდება.

პენტაგონმა გამოაქვეყნა დასკვნა ჩვენი შეიარაღებული ძალების შესახებ, სადაც წერია, რომ ეს ყველაფერი ყოფილა მოჩვენებითი, მეთაურთა შემადგენლობა საქართველოს არ ჰყოლია და არც მთავარსარდლობა. ამიტომ ძვრება ხელისუფლება ნემსის ყუნწში. ხალხს დაავიწყოს, რომ სამარცხვინოდ დავმარცხდით 2008 წლის 7-12 აგვისტოს.

მთელი ამ წლების მანძილზე ხელისუფლება საზოგადოებას ამზადებდა იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებდით, გვპირდებოდნენ, რომ ეს მშვენიერი დღე ძალიან მალე იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გათვალეს სწორად...



კლიპებს რომ უშვებდნენ – „კოკოითი ფანდარასტ“, „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ – ბევრს მართლა სჯეროდა, რომ ეს კლიპები დაგვაბრუნებდა აფხაზეთში და ცხინვალში. მთავრობა მაშინაც აბრიყვებდა ხალხს და ახლაც აბრიყვებს.

მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ხელის ჩაქნევა არ შეიძლება. მომავალზე ოპტიმისტურად ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ, იქნებ არის ამის საფუძველი?

საქართველოში დემოკრატიის ახალი ტალღაა – გამოგვიცხადა სააკაშვილმა. რა გაკეთდა დემოკრატიის ახალი ტალღით?! იქნებ 450 მწერლის დარბევისა და შენობიდან გამოგდების გამო ბოდიში მოგვიხადა და დაგვაბრუნა მწერალთა სახლში. სამადლოდ ვართ შეფარებული ომბუდსმენის ოფისს.

იქნებ უნივერსიტეტი აღადგინა?! უნივერსიტეტში, ფაქტობრივად, ლექციები არ ტარდება. აღარ არის ფაკულტეტები, შვიდი ფაკულტეტი გააერთიანა და უწოდა ჰუმანიტარული ფაკულტეტი. ფიზკულტურის აკადემია მოისპო, ქართული ენის პალატა გააუქმა. საქართველოს სამეცნიერო აკადემია, ფაქტობრივად, მიწასთანაა გასწორებული. კვლევითი ინსტიტუტები დახურა...

სულ ერთი კვირის წინ გამოაცხადეს – დღეს ფრონტის ერთ-ერთი მთავარი ხაზი ქართულ კულტურაზე გადისო. ჩვენ რომ ვყვიროდით, არ შეიძლება მწერლობის იგნორირება, ახლა გამოაცხადეს, რომ თურმე საჭირო ყოფილა ქართული კულტურა და ხელოვნება.

წარმომადგენელიც იყო თავდაცვის სამინისტროდან, რომელმაც გვითხრა: ძალიან ცუდად გვაქვს სამხედრო ნაწილებში მხატვრული ლიტერატურის საქმე და ძალიან გთხოვთ, წიგნები მოგვაწოდეთ, ჯარისკაცებმა რომ წაიკითხონო. თუ ესეც ტყუილი არ არის...

როდესაც ვაშაძე დანიშნეს კულტურის მინისტრად, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები მიგვიწვიეს. სააკაშვილის ბატონობის ხუთი წლის მანძილზე პირველად დაგვიძახა მინისტრმა. გოკასა და, საერთოდ, თვალებბრიალა გაბაშვილებს არასოდეს გავხსენებივართ და არც ნიკა ვაჩეიშვილს.

სამი საათი ვიყავით ბატონ ვაშაძესთან, ბრწყინვალე პიროვნებაა, ნამდვილი ქართველი, ბევრი ვისაუბრეთ, ვიკამათეთ და შევთანხმდით, რომ მწერალთა სახლში შევიდეს სხვადასხვა ლიტერატურული ასოციაციები, განთავსდეს სხვადასხვა რედაქციები და ჩატარდეს ლიტერატურული საღამოები, იუბილეები და სხვ. დაიწერა ეს შეთანხმება, გადავკოცნეთ, ერთამანეთს ვულოცავდით. მივედი საღამოთი შინ და ტელევიზია აცხადებს – ვაშაძე გადაყვანილ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრად.

მეორე დღეს დავურეკე, მივულოცე, რა თქმა უნდა, ვკითხე ხელშეკრულების თაობაზე. ყველაფერი ძალაშიაო, საახალწლოდ მწერალთა კავშირში შეხვალთო. მე გაძლევთ ამის გარანტიასო, პრეზიდენტსაც კი დაველაპარაკები, თუ ამის საჭიროება გახდაო.

როგორც ჩანს, ზიზღი ქართული მწერლობისადმი უფრო ძლიერია, ვიდრე ვაშაძის შესაძლებლობები. შეიძლება ვაშაძე ამის გამოც კი გადაიყვანეს ასე სწრაფად საგარეო საქმეთა მინისტრად და მოიყვანეს ახალი მინისტრი, რომელსაც არც გავხსენებივართ.

ყური მოვკარით, რომ მწერალთა ერთი პატარა ჯგუფი – შვიდი კაცი დაიბარეს, მწერალთა კავშირის წევრები არ არიან, სამადაშვილს მიუყვანია პრეზიდენტთან. ხომ დაგაბრუნეთ მწერალთა სახლში, ხომ აღვადგინე რუსთაველის პრემიებიო, – უთქვამს პრეზიდენტს. იმ შვიდი კაციდან, რომლებიც პრეზიდენტმა დაიბარა, ხუთი მოძმე ერის წარმომადგენლები, ეთნიკურად არაქართველები იყვნენ. ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი და დამცველები იქნებიან ისინი?!"

იმ შვიდიდან, ერთ, ეთნიკურად ქართველ მწერალს უთქვამს: მწერალთა კავშირიდან რამდენიმე ნიჭიერი კაცი გარეთ დარჩაო. ვინო? – უკითხავს პრეზიდენტს. ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე, მერაბ ელიოზიშვილიო... – ჩამოუთვლია ამ მწერალს.

450 კაციდან ხუთი გავხსენებივართ. გადაიკისკისა თურმე პრეზიდენტმა და თქვა: ეგენი რა მწერლები არიან... თქვენ ხართ ნამდვილი მწერლებიო და ასე პირზე კოცნით გამოისტუმრა თურმე.



საქართველოს მდგომარეობა თითქმის უიმედოა, რუსეთი უკვე შემოსულია საქართველოში. რუსი ჯარისკაცი ჭიშკართან დგას. ახლა ამერიკასთან ხელშეკრულება საქართველოსათვის თავდაცვის გარანტიის მომტანი არ იქნება. დავუშვათ, რომ ჩაწერონ – თავდასხმის შემთხვევაში ამერიკა უნდა დაეხმაროს საქართველოს ცოცხალი ძალით და იარაღითო, ესეც ბლეფი ხელშეკრულება იქნება, იმიტომ, რომ სინამდვილეში ამერიკა არ დაეხმარება საქართველოს. ამერიკა საქართველოს გამო რუსეთთან არ იომებს.

აგვისტოში ვიწვნიეთ რაც მოხდა, ექვსი დღე აცალა ამერიკამ რუსულ ტანკებს. ამერიკამ ცოტა დაგვინდო, თორემ რუსული ტანკები მოასწორებდა საქართველოს და თბილისშიც შემოვიდოდა, მართლა შეეშინდათ რუსებს და იმიტომ გადაუხვიეს იგოეთიდან.

თუ საქართველო რუსულ-ამერიკული ომის პოლიგონად იქცა, სამ დღეში საქართველოში ერთი სახლიც აღარ დარჩება. გვინდა ჩვენ ეს?! ჩვენ პატარა, კოპწია, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა ვართ. ორი აქლემის შერკინებაში პატარა კოზაკივით გავიჭყლიტებით.

ერთი კაცია პარლამენტში, წვეროსანი კაცი, დარჩიაშვილი... მახსოვს, ამბობდა – არაფერი მინდა, ოღონდ რუსეთმა ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, ეს იქნება ჩვენი პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, მეორე დღესვე ნახავთ, რუსეთს რა დაემართებაო.

ჩემო საყვარელო დარჩიაშვილო, პერევში, ზუგდიდში და ახალგორშია შემოსული რუსის ტანკები... თქვენ გგონიათ, ძალიან ნანობს რუსი საქართველოში რომ შემოვიდა და მოითარეშა? ვისაც ჰგონია, რომ ამ ომში გავიმარჯვეთ, ფსიქიკური მდგომარეობა მთლად დაწყობილი არა აქვს. ასე შაგრენის ტყავივით დაპატარავდება საქართველო, დავით აღმაშენებლის დროინდელი რუკის მიხედვით კი არა, 1921 წლის დროინდელი რუკიდან მეოთხედი ტერიტორია დაგვრჩა.

როგორ შეიძლება სერიოზულმა კაცმა ამაზე იმსჯელოს?! ამერიკა თურმე მათზე დებს ფსონს და ამ სამში ერთი უნდა ავირჩიოთ. თვითონ აირჩიონ სამში ერთი. მე ვიცი, ეს

ყველაფერი ფარული შეთანხმებაა სააკაშვილთან – მძიმე მდგომარეობაა, შენ, როგორ პოლიტიკოსი, გაკოტრდიო. თუ ჩვენგან რომელიმე პრეზიდენტად გავიდა, ტკბილი სიბერე გარანტირებული გექნებაო.

ბატონო რეზო, თქვენ ოცი რჩევა მიეცით სააკაშვილს მისი გაპრეზიდენტებიდან ექვსი თვის თავზე, რომელიც „ჯორჯიან თაიმსში“ დაიბეჭდა. დღეს კი აშკარად უპირისპირდებით, მეკითხებიან.

მე ოცი რჩევა მივეცი მას, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი! სააკაშვილს თავს ისე როგორ გავუყადრებ, რომ მტრობა გამოვუცხადო და ქვებით გამოვეკიდო... ან ჩავუსაფრდე იქ, თავის აღმართში, თავის რაიხსტაგთან და „რაგატკა“ ვესროლო? კიდევ ერთხელ ვეუბნები მას: მიშიკო, ქართველი ერი ბრიყვი ნუ გგონია, წერა-კითხვის უცოდინრად ნუ მიიჩნევ. ნუ ასულელებ ქართველ ერს, რადგან ხანდახან სისულელეც გადამდებია.

*დეკემბერი, 2008*

## ნემსის ყუნწში...

ბოლო დროს სააკაშვილი ნემსის ყუნწში ძვრება, რომ თითქმის ნოლამდე დასული მისი პოლიტიკური იმიჯი ოდნავ მაინც გამოასწოროს.

ამის დასტური გახლავთ „საახალწლო ინდაურის ეპოპეა“, რესტორან „ფაეტონში“ ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეკრება-ღრეობა და ოპოზიციონერი ექსპერტების სტუმრობა პრეზიდენტის „რაიხსტაგში“.

ვაფრთხილებ პრეზიდენტის „გონს მოსვლის“ იმედით შეეჭვებულ ყველა ჭეშმარიტ ინტელიგენტს.

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ თქვენი მოსყიდვის მცდელობით წყალწაღებული პრეზიდენტი ხავსს ეჭიდება. გადმოაგდო საახალწლო ინდაურის „სატყუარა“ და ამით დასცინა ქართველ ხალხს: აა, ესაა თქვენი ქებული ოპოზიციური ინტელიგენციაო.



იქნებ ერთი ნამუდრეგალი მაინც გამოასწორა პრეზიდენტმა, იქნებ თქვენი ერთი რჩევა მაინც ისულგულა? რაო, დაუბრუნა შემოქმედებით კავშირებს წართმეული შენობები? აღადგინა მეცნიერებათა აკადემია? აღადგინა ფიზკულტურის აკადემია? იქნებ ეროვნება ან მამის სახელი დაუბრუნა საქართველოს მოქალაქეს? იქნებ იავარქმნილ უნივერსიტეტში დააბრუნა უსამართლოდ გარეკილი დამსახურებული ეროვნული მეცნიერები?

ნუ ტყუვდებით, კარგად დაფიქრდით, სანამ პრეზიდენტის მაგიდას მიუსხდებით, ძვირფასებო.

*იანვარი, 2009 წ.*

## ისევ დაბნეულობა

ქართველი საზოგადოების პოლიტიკურ დაბნეულობას ბოლო არ უჩანს.

ეს ჟამკარარევა გამოწვეულია, ერთი მხრივ, ხელისუფლების დემაგოგიური პოლიტიკისა და მეორე მხრივ, ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი ცრუოპოზიციონერების მცდელობის შედეგად.

ერთნი პრეზიდენტისგან არჩევნების დანიშნვას მოითხოვენ, მეორენი პრეზიდენტის უპირობო გადადგომას, რაკიღა მშვენივრად იციან, რომ ახლანდელი ხელისუფლების დანიშნულ-ჩატარებული არჩევნები უსათუოდ გაყალბდება.

ვურჩევ ყველა გონიერ პოლიტიკოსს და ქვეყნის გადარჩენის მოსურნეს:

შეიკრიბოს ორი კანონიერი პარლამენტი – ორივე უკანონოდ გარეკილ-რეპრესირებული დაქირავებული აგენტების და იმპერიული ძალების მიერ, 1. ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭო და 2. 2003 წლის 23 ნოემბრის სააკაშვილის მიერ წიხლისკვრით გარეკილი კანონიერი პარლამენტი. ამ ორი არჩეული ორგანოს გაერთიანებულმა სხდომამ: ა) განახორციელოს პრე-

ზიდენტის უპირობო იმპიჩმენტი, ბ) დანიშნოს პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები, გ) დაამტკიცოს შერეული დროებითი მთავრობა, რომელიც არჩევნების პერიოდში გაუძღვება ქვეყანას, დ) დაამტკიცოს ახალი, დემოკრატიული საარჩევნო კანონი.

*იანვარი, 2009 წ.*

## დღეს რატომ არის უკანონო

საერთოდ, სახელმწიფო მშენებლობის ერთადერთი პრინციპი არის ეროვნული სახელმწიფო. სხვა პრინციპით შექმნილი სხელმწიფო არის იმპერია, ან კოლონია. საქართველოში ამერიკამ იმძლავრა და შემოგზავნა თავისი ემისარი, რომელსაც უნდა შეეჩერებინა ქვეყნის განვითარება ეროვნული სახელმწიფოსკენ, ქვეყანა ექცია ამერიკის არასრულუფლებიან დანამატად კოლონიურ დონეზე. ამერიკა სიტყვა კოლონიას არ ხმარობს, მაგრამ რუსეთზე არანაკლებ დამპყრობელი და იმპერიალისტია. აი, ქართველმა ერმა გაიღვიძა და ისევ ცდილობს ქვეყანა დააბრუნოს ეროვნული სახელმწიფოს ჩარჩოებში. ამისთვის საჭიროა ამერიკის ქვეშევრდომი, „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება დაუყოვნებლივ დაემხოს.

მე თვითონ ჩემს თავს მოვიაზრებ ოპოზიციის რიგებში. სამჯერ გამოვედი მიტინგზე და ჩვენს საკანშიც, რომელსაც „მწერალი“ აწერია, ხშირად ვზივარ, მაგრამ 9 აპრილს მივხვდი, რომ ოპოზიცია უნიათოა და მას მის ხელთ არსებული მეთოდებით გაუჭირდება სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟი.

ოპოზიციური სპექტრი ანუ ლიდერები, სხვადასხვა წარმოშობისანი არიან. ზოგი სააკაშვილის ნეკნიდანაა გამოსული. მეორე არის ბიზნესიდან მოსულ ადამიანთა კოჰორტა, რომელთა ბიზნესაც შეეხო სააკაშვილი. ზესახელმწიფო ყაჩაღობა ანუ სახელმწიფო რეკეტი საქართველოში რომაა



დაშვებული, ისე არც ერთ ყველაზე ჩამორჩენილ აფრიკის სახელმწიფოშიც არ არის. აქ ჯუნგლის კანონი მოქმედებს, მეკობრეობაა, მოგერიე-შეგჭამ. ოპოზიციის მესამე ნაწილი არის ინტელიგენტთა ოჯახის წიაღიდან, ანუ ეროვნული მოძრაობიდან მოსული ლიდერები – შალვა ნათელაშვილი, გუბაზ სანიკიძე, კახა შარტავა, კონსტანტინე გამსახურდია და ზვიად ძიძიგური. ჩემი სიმპათია ამ ლიდერებს ეკუთვნით, მაგრამ მე აშკარად ვხედავ, რომ ჩემ მიერ ჩამოთვლილი ხუთეული ვერ ფლობს რევოლუციის კანონებს, როგორც საჭიროა. სალომე ზურაბიშვილი იძახის, მეო, საერთაშორისო დიპლომატიური მაქვს დამთავრებულიო და კარგად ვიციო, როგორ კეთდება რევოლუციებიო. მაგრამ ამ ბოლო დროს ვატყობ, რომ მასაც ბევრი არაფერი გაეგება ამ საკითხში. რევოლუციის უძრაობამ ერთადერთხელ გადალახა ლექციური პროპაგანდის მდგომარეობა და პირველმა ექსპერიმენტმა, 6 მაისი მაქვს მხედველობაში, დადებითი შედეგი გამოიღო. სამი პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა ოპოზიციამ, ერთი კანონიერი და კონსტიტუციური შეტევით პოლიციის სამმართველოზე. აი, წერტილოვანი დარტყმები მიგვაღწევინებს მიზანს. მე კი გეუბნებით, როგორც პარლამენტის ყოფილი წევრი, ქართველი მწერალი, რომ ვერავინ მაძლევს პასუხს კითხვაზე: თუ 2003 წლის 22 ნოემბერს, სააკაშვილის და მისი ხროვის ხულიგნური შევარდნა პარლამენტში და პარლამენტის პანღურის ცემით გარეკვა კანონიერი იყო, დღეს იმავეს გაკეთება რატომ არის უკანონო-მეთი? ოპოზიციის დღევანდელი ლიდერები ამ კითხვაზე გაუგებარ ლუღლუღს იწყებენ და ხელებს ასავსავებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინიც ხვალ და ზეგ შერიგების გზას დაადგებიან. ეს გზა კი რევოლუციისთვის დამღუპველია. თვით ყველაზე მგზნებარე რევოლუციონერების, ძმები გაჩეჩილაძეების პოლიტიკური იმიჯი განახევრდა, როცა ოთხეული სააკაშვილთან მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა. სააკაშვილთან მოლაპარაკება ღალატია სახალხო რევოლუციისა. ეს ნიშნავს დროის მოგებას სააკაშვილის მხრიდან, გახანგრძლივებას თავისი პრეზიდენტობისა, რათა მან სული მოითქვას და ახალი ძალით შეუტიოს ოპოზი-

ციას. ეს უკვე ჩანს: მანქანას ართმევენ „ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერს დათო გამყრელიძეს, ხელებს უწრიახებენ, სცემენ, ქუჩაში აჯარიმებენ და მანქანის წართმევას უპირებენ ნინო ბურჯანაძის შვილს. ასე რომ, ფართო შეტევა ოპოზიციონერებზე უკვე დაიწყო, საქართველო არ არის ის ქვეყანა თავისი ეროვნული მენტალიტეტით და წონაწორობით, რომ შენ ერთი თვის განმავლობაში დააყენო ქუჩაში ხალხი და ერთი ნაბიჯით წინ არ წაიწიო. ესენი, რევოლუციის ლიდერები, ჩემსავით ჯიბეში არ იყოფენ ხელს ლუკმა-პურის საშოვნელად, მშვენივრად დადიან ჯიპებით და დაცვით. გაიკეთებენ ქალბატონები მაკიაჟს, კარგად გამოიძინებენ, 6 საათზე მოვლენ პარლამენტთან და ორთაჭალიდან, ნაძალადევიდან, ვარკეთილიდან თუ გლდანიდან მოსულ საცოდავ მასას ატყუებენ ახალ-ახალი ტყუილებით და დაპირებებით. რამდენჯერ უნდა აუხსნან ხალხს, რომ სააკაშვილი უვარგისი პრეზიდენტია? გავიგეთ ეს, ბატონო, მერე?

ხელისუფლებაში ის ხდება, რასაც ველოდი. პირველად, 9 აპრილს და მის მომდევნო 3 დღეს ხელისუფლება დაბნეულად გამოიყურებოდა. საკნების ელვისებურად შეტევამ, რადგანაც ეს სიახლე იყო მსოფლიო რევოლუციების ისტორიაში, ხელისუფლება დააბნია. ახლა ისინი ნელ-ნელა გონს მოეგნენ, არც ისე სულელია სააკაშვილი და მისი გარემოცვა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. მათ გამოიყენეს ყველა გზა და საშუალება ოპოზიციაში ბზარის შესატანად. ეს გარღვევა უკვე აშკარაა: ზოგი პლებისციტის მომხრეა, ზოგი – საყოველთაო რეფერენდუმის, ზოგი დიალოგის დაწყების და გაგრძელების. მშვენიერი მდგომარეობაა, არა? აი, ერთ მხარეს ზის მამაცი ოპოზიცია, მეორე მხარეს კი – სააკაშვილი. ესენი ხან უღიმიან, ხან უბღვერენ ერთმანეთს, მაგრამ საბოლოოდ, ნელ-ნელა „სულთათანას“ უმღერის ორივე მხარე გაუბედურებულ საქართველოს. როცა დასავლეთის გაუნათლებელი დიპლომატები, რა ჰქენიო, ჰკითხავენ სააკაშვილს, ის პასუხობს: როგორც იქნა, მივაღწიე, მაგიდასთან დავსვი ოპოზიციონერებიო. ეს სააკაშვილის ძალიან დიდი გამარჯვებაა. რაღა ჰქენითო, როცა ხალხი ეკითხება ოპოზიციის ლიდერებს, ესენი უპასუხებენ:



გვაცალეთ, ბატონო, ჯერ მოლაპარაკების მაგიდას ვუზივართო. ასე ურთიერთმოლაპარაკებით დადგება 2013 წელი, მანამდე კი ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი.

პოზიცია იძახის, 26 მაისს დავთვალოთ ხალხიო. ხალხის დათვლა, სტადიონზე რომ არ მიიყვანო, და სკამებზე რომ არ დასვა, ისედაც შეიძლება. ერთ კვ.მ-ზე 4 კაცი ეტევა. ჩვენ არ გვაქვს იმხელა სტადიონი, რომელზეც 60 ათას კაცზე მეტი დაეტევა. 9 აპრილს 250 ათასი ადამიანი იყო მოსული. თუ მოვიდა ამდენი ხალხი, იმას როგორღა დათვლი? ანეკდოტი რომაა ცნობილი: მატარებლით მიდიოდა ილია ვეკუა და ცხვრის ფარა დაინახა.

– რამდენი ცხვარი იქნება? – ჰკითხა თანამგზავრმა.

– 2127-ია – უპასუხა ვეკუამ.

– როგორ, კაცო, გაქანებული მატარებლიდან ითვლით ამ ცხვრებს?

– არა ცხვრების ფეხებს ვითვლი და ოთხზე ვყოფ, – განაცხადა მათემატიკოსმა.

ასე ხომ არ უნდა, სტადიონის გარეთ დარჩენილი ხალხის ფეხები დაითვალონ და მერე ორზე გაყონ? ვთქვათ, 47 ათასი მივიდა. რა მოგება აქვთ ამით „გრეჩიხას“, თუნდაც გუბაზ სანიკიძეს ან კახა შარტავას? მაშინ უნდა ჩაატარო ეროვნული ყრილობა სტადიონზე, კენჭი უნდა უყარო სააკაშვილის გადაყენებას, რისი თავიც ჩვენს ოპოზიციას არ აქვს...

*ივნისი, 2009*

## წინა დღის გაყიდულები ვყოფილვართ

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტება როგორ იმოქმედებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?

ობამას გაპრეზიდენტება, რასაც ასე იმედით ელის მთელი მსოფლიო, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც ნიშანდობლივია. ჩემი აზრით, იგი შეეცდება, რომ მსოფლიოს

პოლიტიკაში ვნებები დააწყნაროს. მისი უმთავრესი ამოცანა სწორედ ომის კერების ჩაქრობა და ახალი მსოფლიო ომის წამოწყებისთვის ხელის შეშლაა.

ვფიქრობ, რომ ამ ფუნქციას ობამა ბუშზე გაცილებით უკეთ შეასრულებს. ამერიკელი ხალხი არ ცდება, როცა ბუშის პოლიტიკას უგუნურების დემონსტრაციად მიიჩნევს უახლოეს ისტორიაში.

რისგან არის განპირობებული ასეთი შეფასება?

ბოლო დროს ბუშმა ძალიან შეირცხვინა თავი ისრაელსა და პალესტინის ომის დროს. ებრაელი ხალხის ასეთი მოყვარული, რევაზ მიშველაძე ისრაელს ვერაფრით მოვუწონებ პალესტინასა და ღაზას სექტორზე თავდასხმას. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ არც ევროკავშირს მართავს ბრძნული პოლიტიკა.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას ბოლომდე არც ერთი კონფლიქტი არ დაუმთავრებია. მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულებაც ხომ შუა გზაზე გააჩერეს. სამწუხაროდ, სარკოზ-მედვედევის მოგვარებული კონფლიქტის დროს ყოველდღე იხოცება ხალხი.

მსოფლიოში სხვისი მიწების დამპყრობი ორი აგრესორი სახელმწიფოა: ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი. ორივე, პატარა სახელმწიფოების ინტერესების იგნორირებით, თავისი საკუთარი ინტერესების განხორციელებას ცდილობს. ასე რომ, საქართველოს გულში ჩასახუტებელი უფროსი ძმა არც ამერიკაა და არც რუსეთი.

ობამა რამდენად ჩაერევა საქართველოს შიდა პოლიტიკაში?

ცხადია, თავის ინტერესებსა და საქართველოში ჩაყრილ მილიარდებს წყალს არ გაატანს. თუმცა, ბუშის სულელური პოლიტიკისგან განსხვავებით, მას არ უნდა შეეტყოს, რომ საქართველოს ბედის გამგებელია. მან ამერიკის გრძელი ხელი აქტიურად არ უნდა აფათუროს ჩვენი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ამით იგი ცოტა ხანს რუსეთსაც დააცხრობს, როგორც აგრესორს და მსოფლიო პოლიტიკასაც დააბალანსებს.



მედვედევი და პუტინი ხომ გულნამცეცა, იმპულსური პოლიტიკოსები არიან და გაბუტულ ბიჭებს თამაშობენ. ამ ორი უმწიფარი პოლიტიკოსის ნებას ეწირება პატარა ერების ბედი. დიდი ხანია ამერიკასაც აღარ მართავს გონიერი პოლიტიკოსი. საქართველო ხომ უმწიფარი ხელისუფლების გადამკიდე ზღვაში შეცურებულ უიალქნო და უკომპასო ნავს წააგავს და ოკეანის გრიგალი მსოფლიოს რომელი ყურისკენ მიგვაცურებს, არავინ იცის. ბეწვის ხიდზე გავდივართ, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

ამერიკა საქართველოსთვის სანდო პარტნიორი რომ იყოს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. სამწუხაროდ, მან რუსეთს ექვსი დღე აცალა, რომ კარგად მოეთარეშათ, მოებალახებინათ, მოესპოთ სამხედრო ინფრასტრუქტურა, ქართველი ერი მორალურადაც დაეჩოქებინათ და ფიზიკურადაც. აშშ–მა მხოლოდ ამის შემდეგ მოგვხედა ღარიბი ნათესავივით.

ჩვენ კი მაინც ხბოს აღტაცებით გვიხარია. არიქა, ქარტიას მოვაწერეთ ხელი, გვეშველებაო. მაშინ, როცა ამერიკელი პატარა ბიჭი, მეთიუ ბრაიზა პირდაპირ ამბობს, ნუ გიხარიათ, ქართველებო, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკა იარაღით დაგეხმარებათო. აბა, სიტყვით დაცვა რად მინდა, ჩემო ძვირფასო? სიტყვა ისეთი ვიცი და გამოსვლა ისე შემიძლია, რომ თავისი ალოგიკური წინადადებებით სააკაშვილი კოჭებამდე ვერ მომწვდება. ვის უნდა შენი ცარიელ-ტარიელი სიტყვა, როცა ყელამდე ცეცხლში ვარ...

არავინ დაიჯეროს, ობამა მოახერხებს, რომ რუსს გადაათქმევინოს საქართველოს შემოერთების რუსული გეგმა. არც ის დაიჯეროს ვინმემ, რასაც ოპოზიცია ბრახაბრუხობს ყოველ დღე, ჩვენ მოვალთ და ყველაფერს გავაკეთებდო, ესენი აიძულებენ პუტინსა და მედვედევს, რომ გააუქმოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა? ეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისთვის ბრძოლის კამპანიაა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანაც ისეთივე ჭკუამხიარულია, როგორც ჩვენი პრეზიდენტი. რამდენიმე თვის წინ ომი წავაგეთ, საშინლად, კატასტროფულად დავმარცხდით. საქართ-

ველოს პრეზიდენტს კი ერთი დღე არ გამოუცხადებია გლოვის დღედ. ყვანცალზეა გადასული მთელი ქვეყანა.

გული ყველაზე მეტად იმაზე მტკივა, რომ გაუთავებელი ცეკვა-თამაშია ქართულ ტელევიზიებში. რა არის? რა სიხარული გვჭირს ასეთი? შეიძლება, რომ სულ არასერიოზულ განწყობაზე ვიყოთ? ჩაიარა საახალწლო განწყობამ, დღესასწაულებმა, ობამას ინაუგურაციაც ვიზეიმეთ. ახლა რაღას ვზეიმობთ? გაუთავებლად უნდა ცეკვავდეს ომში დამარცხებული კაცი? ტერიტორიებდაკარგული საქართველოს ჭირისუფალი? იმის მაგივრად, რომ დაღვრემილი იჯდეს და ფიქრობდეს ქვეყნის გადარჩენის გზებზე, გაუთავებლად უნდა მღეროდეს?

ამ ბოლო დროს გაზეთებში ცრუ ინფორმაციები იბეჭდება, თითქოს შენობა დაგვიბრუნეს. მას კვლავ ხუთი პოლიციელი ავტომატებით ენერგიულად იცავს. არც ერთ მწერალს არ უშვებენ შიგნით. იქ არის ქართული მწერლობის არქივი, რომელიც ყოველდღიურად გვჭირდება. მის გამოსატანადაც კი არ გვიშვებენ. ასეთი პოლიიური რეჟიმი სუფევს საქართველოში, სააკაშვილი კი ხალხს ატყუებს, მწერალთა სასახლე მწერლებს დავუბრუნეო.

პრეზიდენტს ინდაური კი არ უნდა გაეგზავნა კულტურის სფეროს წარმომადგენლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა აღედგინა და მისი დამანგრეველი ლომაია პასუხისგებაში მიეცა, როგორც სახელმწიფო დამნაშავე ქართული სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის გამანადგურებელი. აგრეთვე, უნდა აღედგინა სპორტის აკადემია, სამეცნიერო აკადემია, მწერალთა კავშირი. შეიძლება სააკაშვილს ატყუებენ, მწერლებს შენობა დავუბრუნეთო. ეს არის მის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი და მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი კაცია უნიჭო მწერალი ზაალ სამადაშვილი. ოთხასი კაცი ყოველ წუთს რომ სააკაშვილს აგინებდეს, ამისთვის იბრძვის სამადაშვილი.

მგონი, ის იმისთვის იბრძვის, რომ ადრე ჩამოაგდოს ქართველმა ერმა. დაიბარებს პრეზიდენტი შემოქმედებითი



კავშირის ხელმძღვანელებს. დაჰპირდება შენობების დაბრუნებას, მეორე დღეს მასთან სამადაშვილი შედის და ასე მომართულ ტვინს, ეგებ რამე დავუთმო ინტელიგენციასო, უკუღმა შეუტრიალებს. ეტყვის, აქ რომელი მწერლებიც იყვნენ, გარეწრები, მასხარები, არასერიოზულები არიან, მე ვიცი, ვინ არის ნამდვილი ინტელიგენციაო. ალბათ, სწორედ მან ურჩია, რად გინდა შენობების დაბრუნება, კინოსტუდიის აღდგენა, თითო ინდაური გაუგზავნე და მაშინვე აქეთ შემოტრიალდებიანო. ასე მოატყუა ვიღაცამ სააკაშვილი, მაგრამ ოპერაცია „ინდაურმა“ არ იმუშავა. პირიქით, ბუმერანგივით უკან დაუბრუნდა სააკაშვილს.

განსაკუთრებით აქტიურები სააკაშვილის გამოჩეკილი ოპოზიციონერები არიან, მის ამქარში მყოფი ნოღაიდელები და ბურჯანაძეები. ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა არჩევნების დანიშვნა კი არ უნდა იყოს, არამედ სააკაშვილის იმპიჩმენტის გზით გაცილება იქით, საიდანაც მოვიდა. თუმცა ისინი წინასწარ არიან შეთანხმებულნი, რომ თავიდან უარს ამბობს არჩევნებზე. ბოლოს დანიშნავს, ოპოზიცია კი დაიწყებს: დავთანხმდეთ არჩევნებზე, ახლა ვეღარ გაგვიყალბებს სააკაშვილი! სააკაშვილი კი ხითხითებს და ხითხითებს, როგორც შიო არაგვისპირელის ერთ ნოველაშია. გააყალბებს კი არა, მეტსაც იზამს!

ხალხი ქუჩაში ენერგიულად აღარ გამოდის, რადგან თვითონ იდეაც კი გამასხარავდა – ხალხი სიმრავლით პრეზიდენტის გადაყენებისა. ხალხს მიასეირნებენ რეზიდენციამდე, შემდეგ კი იტყვიან: დღეს დიდი საქმე გაკეთდა, ახლა წადით და მშვიდად დაიძინეთო. აი, სწორედ ის არის გამყიდველი მშიშარა, ქვებუდანა, ცვედანი ოპოზიციონერი, რომელიც წინა ღამეს შეთანხმებულია სააკაშვილთან.

გაოცებული ვარ, გია გაჩეჩილაძე აქამდე მომღერალი და ლევან გაჩეჩილაძის ძმა მეგონა. თუ იგი ასეთ აქტიურ საუბარში იქნებოდა სააკაშვილთან, როგორ ვიფიქრებდი. თავად განაცხადა, შავნაბადაზე დამიბარა და მთხოვა, ინაუგურაციის დღეს რუსთაველზე ხალხი არ წამოიყვანოო. თურმე ვის ხელში

ვყოფილვართ. იქ რომ მთელი საქართველო ძიგძიგებდა, წინა დღეს უკვე გაყიდულები ყოფილან და შეიძლება რომ ამ ოპოზიციას ენდო? პრეზიდენტის ჩამოგდება ხომ საღადაო და სახუმარო თემაც კი გახდა, უკვე ანეკდოტებსაც ჰყვებიან ამაზე.

*იანვარი, 2009*

## დამარცხება ვერ გავაცნობიერეთ

„რუსთავი-2“-ის ყოფილმა მეპატრონემ და სააკაშვილის ელჩმა რუსეთში, ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, სააკაშვილთან მუშაობა შეუძლებელიაო. რა ხდება, გემი იძირება და „ვირთხები“ პირველები გარბიან?

ძალიან გვიან მოდიან გონს ჩვენი პოლიტიკოსები... როდესაც ხელისუფლებას ჩამოაცილებენ, მერე არკვევენ, რომ თურმე სააკაშვილი გაუწონასწორებელი პიროვნება ყოფილა. ვირთხების გაქცევა მიშას გემბანიდან ძალიან ადრე დაიწყო და კიწმარიშვილი ბოლო „ვირთხაა“; მანამდე მიშას უფრო ძლიერი „ვირთხები“ გაექცნენ, მაგალითად, ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე... სასაცილოდ არ მყოფნის ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გააქტიურება და მისი განცხადება, რომ საქართველომ თურმე ეს ომი წააგო. ბიჭოს, რა „აღმოჩენა“ გაუკეთებია ბურჯანაძეს? ეს ის ნინო ბურჯანაძე ხომ არ არის, 7 ნოემბერს პარლამენტში საშველად და გადასარჩენად მისული გალახული და გაზით მოწამლული ხალხი რომ დამოძღვრა, თუ სასწრაფოდ დატოვებთ აქაურობას, პირობას გაძლევთ, არ დაგიჭერთო. ხალხი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეცვივდა, არიქა, გვიშველე, გვცემს პოლიცია, გვცემს ჯარიო და თურმე დასაჭერი კიდევ ეს ხალხი ყოფილა. სხვათა შორის, ამის გაცხადება უფრო დიდი დანაშაული იყო, ვიდრე გამყრელიძისა და მისი მოშიმშილე თანაგუნდელებისთვის ყბადაღებული პლედების არგადაფარება.



როგორც ამ ავადმყოფი სააკაშვილის, ისე ამ ხელიდანწასული ოპოზიციისა არ მწამს. არათუ ქვეყნის პატრონებად არ გამოდგებიან ეს ჩვენი ძვირფასი ოპოზიციონერები, არამედ ერთი საწაღმართო ფიქრიც კი არ გაკრთება ამათ გონებაში. 20 იანვარს, როცა ამდენ ხალხს შეეძლო დაემთავრებინა სააკაშვილის ბატონობა, მთელი ოპოზიცია იყო შემკრთალი და შეშინებული... იმ დღესაც ყვიროდნენ „მიშა მოვედითო!“ მაგრამ რა იგრძნობა, იცით, ამ შეძახილში? – „ნუ გეშინია, მიშა, წუხელი რაც მოვილაპარაკეთ მე და შენ, ისევ იმ აზრზე ვართ, ამ ხალხს მოვატყუებთ ახლა, განზე გავწევთ, შენ იქნები მშვენივრად, ხოლო ჩვენ გვერქმევა ოპოზიცია, მაგრამ ჩვენც ისე ვიბაირამებთ, ჩემო მიშა, როგორც შენ ბაირამობო!..“ აი, ამიტომ არც ერთი მათგანის ბღავილისა არ მჯერა, რომლებიც დღეს დათო აქუბარდიას გვერდით რიხით ლაპარაკობენ. როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, ყველანი ჩირგვებში შეძვრებიან. ასე და ამრიგად, ეროსი კიწმარიშვილმა დიდი ჭეშმარიტება დაადგინა, თურმე სააკაშვილთან მუშაობა შეუძლებელი ყოფილა. ჭკუათმყოფელი კაცი ერთ დღეში დარწმუნდებოდა, რომ სააკაშვილი მთლად შერაცხადი ვერ იყო.

პარლამენტში ჩემგან მესამე კაცად იჯდა და მაგისი სირბილის ცქერის მეტს იქ რას ვაკეთებდი... მოვარდებოდა, გაჭიმავდა ფეხებს, დაეყრდნობოდა სახით იდაყვს, გაჩერდებოდა და მაქსიმუმ 5 წუთი და მერე ისევ გავარდებოდა გარეთ. ამბობენ, მიშა ქარიზმატულიაო. ქარიზმატული იყო ჰიტლერიც, რომელმაც დაღუპა დიდი გერმანია. ხანდახან მივუჯდებოდი სააკაშვილს გვერდით, ვფიქრობდი, კომიტეტის თავმჯდომარეა, იქნებ ლიტერატურით დავაინტერესომეთქი! შენ ხომ გჯერა, რომ მე მაგას არავითარ შემთხვევაში არ ვეტყოდი, თამარ მეფე ოსი იყო-მეთქი. კაცს თავი გამოტენილი აქვს სისულელეებით. ჰოდა, იცი რა იყო?.. რომ ველაპარაკებოდი, სააკაშვილი იყურებოდა წინ და პირდაპირ და ხანდახან გამომხედავდა, როგორც მეზოზოური ეპოქის ცხოველს და, ალბათ, გულში ფიქრობდა, – რა ლიტერატურაზე მელაპარაკება, რა რუსთაველზე მელაპარაკება,

ამ კაცს რა უნდაო, წამოხტებოდა და გაიქცეოდა... მუხრან მაჭავარიანი იცინოდა, – ბიჭო, რა უთხარი ამნაირი, რომ ეს კაცი გააქციეო. არავითარი ეროვნულისა და ქართულის გაგონება სააკაშვილს არ სურდა. აი, ასე ამთავრებს, სააკაშვილი თავის პრეზიდენტობას.

ვინ იქნება მომდევნო „ვირთხა“, რომელიც სააკაშვილის გემბანიდან გაიქცევა?

ეს 32-35 წლის ლაწირაკები, არავითარ შემთხვევაში თავისით არ წავლენ; ამათ ერთადერთი რამ აერთიანებთ მხოლოდ – ფული! რა უბედურებაც საქართველოს თავს დაატყდა, ბევრი რამ სააკაშვილის პიროვნული გაუწონასწორებლობის გამო მოხდა. ვის უშენ, ბიჭო, ცეცხლს, რუსეთის მილიონიან არმიას?! საწყალი ჯარისკაცები, სად მალავდნენ ავტომატებსა და სამხედრო ფორმებს, ღმერთმა უწყის... არავითარ შემთხვევაში, სააკაშვილი თავის ნებით არ გადადგება!

ჩირგვებში შემძვრალი ოპოზიციის 95 პროცენტს, საქართველოს წინაშე გამოსაჩენი პირი არ აქვს. ალბათ, შედარებით წესიერი და უჩინარი ოპოზიციის ის 5 პროცენტი, რომელთა გვარებსაც არ დავასახელებ და კეთილ ინებოს და ხალხმა გამოიცნოს, შეიძლება წარდგეს ხალხის წინაშე. ამ საქმეს ინტერვიუები და ტელევიზორში თავის გაყოფა კი არ უნდა, არამედ ოპოზიცია უნდა დადგეს რუსთაველის პროსპექტზე. უნდა დავთქვათ ერთი დღე, ვთქვათ, 7 ნოემბერი, როცა ხალხი შეიკრიბება და არავითარი „გრეჩიხას“ მოწოდებაზე არ დაიშლება. თვენახევარი იდგა „ვარდების რევოლუციის“ დროს სააკაშვილის მომხრეთა ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფი რუსთაველზე. აი, ასე უნდა მოხდეს ახლაც. ხალხი არ უნდა დაიშალოს და მთელ მსოფლიოს უნდა დაანახოს, რომ სააკაშვილს არ აქვს უფლება, საქართველოს პრეზიდენტად იწოდებოდეს.

ცხინვალის ომის დამანგრეველი შედეგების შესახებ, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ხელისუფლება თავისას არ იშლის, გავიმარჯვეთო.

ქუთაისში გახლდით... შემომისხდნენ გარშემო ნაცნობ-უცნობები და მეც ვყვები ჩემს სატირალს, ამ ბანდიტმა რუსებმა როგორც მოითარეშეს მთელი ქვეყანა, როგორ აგვიკლეს, როგორ გადაწვეს ჩვენი ტყეები და როგორ წამართვეს სამშობლო. ერთი ქუთაისელი მეუბნება, რეზო, ისე იჭაჭები შენ და ისე ტირი, მგონი, შენ ამ მიწებსა და ტყეებში რაღაც წილები გაქვს. სადღაა საქართველოში ეს ტყეები, პორტები და მიწები, ტყეები ჩინელებმა იყიდეს, პორტები ყაზახებისაა, ხოლო მიწა არაბებისაო. შეიძლება რუსებმა კარგი ქნეს, ტყე და პორტები რომ დაგიბომბეს, ჩინელებსა და ყაზახებს გაყიდულს უკან ვერ გამოვტყუებდით, ხოლო რუსებთან იქნებ რამეს გავხდეთო. აი, ასე სატირალ-სასაცილოდ წაიყვანა სააკაშვილმა ჩვენი საქმე.

ე. ი. სააკაშვილს არავითარი პერსპექტივა არა აქვს. ომი დაუმალეს საქართველოს, კაცო!.. გასაგებია, რომ ტელეკომპანია „კავკასიას“ არ აქვს ამის შესაძლებლობები, მაგრამ დღეს, როცა კოსმოსიდან დედამიწის ნებისმიერი წერტილის გადაღება შეიძლება, რატომ არ აჩვენებენ ტელევიზიით მიწასთან გასწორებულ 50 ქართულ სოფელს, გადამწვარ ცხინვალს? ამას ჰქვია ხალხის მოტყუება, ხალხისათვის თვალებში ნაცრის შეყრა. ბიჭო, როგორ აძლევ შენს თავს უფლებას, რომ გაეროს უმაღლესი ტრიბუნიდან ზეპირად ილაპარაკო. ბუშმა, რომელმაც შენზე უკეთესად იცის ინგლისური, წაიკითხა ტექსტი, შენ კი ანერვიულებული ხარ (კინაღამ წამომცდა „შეურაცხადი“) და ზეპირად ლაპარაკობ? ვინ გკითხავს, ბიჭო, შენ ინგლისის, გერმანიისა და ამერიკის პატრონობას, რაღაც სისულელეებს რომ მიედ-მოედე და შენი ქვეყნის სატკივარი გვერდზე დაგრჩა? სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონოდა, ცრემლი და ნაღველიც კი უნდა გამოერია თავის სიტყვაში და დეტალურად ესაუბრა იმ საშინელებებზე, რაც რუსებმა საქართველოში ჩაიდინეს. სააკაშვილს ათასჯერ მაინც უნდა გაემეორებინა გაეროს ტრიბუნიდან, – „სარკოზის ექვსპუნქტიანი დოკუმენტი რუსების მიერ უგულვებელყოფილია და არ სრულდება!“

ორიოდ სიტყვა საპარლამენტო ოპოზიციის შესახებ:

ისე იქნა ჩვენი დამაწყევარი, როგორც ესენი სააკაშვილის ოპოზიცია არიან! რაც უფრო უახლოვდებიან სააკაშვილს, მით უფრო უყვარდებათ მიშა და აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია იმის გარჩევა, ვინ არის სააკაშვილის მომხრე და ვინ არის მისი ოპოზიცია. გიორგი თარგამაძე, ალბათ, თავისთვის ფიქრობ კიდეც, – რის ოპოზიცია და რა ოპოზიცია, ჩვენთვის ვართ თბილად, ტკბილად, „მოგსრიათ“ პატრონიო...

რამდენიმე დღის წინ მწერლები გორში, „კარვების ქალაქში“ ვიყავით, სადაც დევნილები მოვინახულეთ.

ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაღაც-რაღაცეები მოვაგროვეთ – ცოტა საყოფაცხოვრებო ნივთები, თბილი ტანსაცმელი, წიგნები, კალმები, რვეულები და პროდუქტები. ვიდრე გორისკენ მიმავალ გზას დავადგებოდით, მანამდე ჩემს კოლეგებს მოვუწოდე: გაუბედურებული ხალხია, იმათ ლექსებისა და მოთხრობებისთვის არ სცხელათ და ვინმემ თავი არ მოიჭრას, დევნილებს ლექსების კითხვა არ დაუწყოს-მეთქი. ჩავედით გორში და თქვენს მტერს, რაც იქ ვნახეთ... ამდენი გაუბედურებული ქართველი ერთად არასდროს მინახავს. მოგეხსენებათ, უკვე აცივდა და კარვებში, სადაც 3-4 ადამიანს უნდა ეძინოს, 20-30 ერთმანეთისათვის აბსოლუტურად უცხო ადამიანი ათევს ღამეს. დევნილებს აკლიათ თბილი ტანსაცმელი. პლედები, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარების სახით უცხოეთიდან ჩამოვიდა, ბაზრობებზე იყიდება. ნინო ბურჯანაძეს თუკი რამ შერჩენია ადამიანური, უნდა ჩავიდეს და იმ დევნილებს, ერთი-ორი ყბადაღებული პლედი მაინც ჩაუტანოს. დევნილები ჩვენ გარშემო შემოჯარდნენ და ბუნებრივად, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, გაიმართა ლიტერატურული საღამო. ხალხი ვერ გველეოდა, წამოსასვლელად არ ვემეტებოდით.

ჩემი სამშობლო ის ქვეყანა აღარ არის, რომელსაც ომში დამარცხება ეტყობოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს. საღამოობით თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებში, უკლებლივ, ყველა რესტორანი გადაჭედილია. დარწმუნებული ვარ, რუსის ჯარი თბილისში რომ შემოვარდნილიყო და რომელიმე



ერთ ქუჩაზე სახლები გადაეწვა და ქალები გაეუატიურებინა, მეორე მეზობელ ქუჩაზე ხალხი ცეკვა-სიმღერას და ქეიფს არ შეწყვეტდა... ეს სხვა საქართველოა... თუმცა, მე მაინც იმედი მაქვს ჩვენი ხალხის სიბრძნისა, რომლის პროტესტი, სულ მალე, კულმინაციას მიაღწევს და რუსთაველის პროსპექტზე ერის ნება დაიქუხებს. აი, მაშინ კი დადგება ამ ხელისუფლების აღსასრული და ვურჩევ სააკაშვილს: ეშინოდეს ამ დღის გათენების!

*სექტემბერი, 2008*

## ვინ დაიცავს აჭარის ინტერესებს?

ჯერ ის გავარკვიოთ, მაქვს თუ არა მე – რევაზ მიშველაძეს ასეთ დელიკატურ თემაზე მსჯელობის მორალური უფლება. ჯერ ერთი, მე ერთადერთი შვილი შევწირე საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას და, მეორეც, თუ ასლან აბაშიძეს ვახსენებ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მასთან განსაკუთრებით დაახლოებულ პირთა შორის, ე. წ. „აბაშიძის გუნდში“, არასოდეს ვყოფილვარ. ეს 26 მარტის არჩევნების საარჩევნო სიაშიც კარგად ჩანს. კანდიდატთა შორის მე-14 გახლდით და შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის შემდეგაც პარლამენტის გარეთ ვრჩებოდი.

ალბათ ასლან აბაშიძის აზრით, ჩემზე უკეთესი ის ცამეტი კაცი გახლდათ. მე ვინ მკითხავს სხვის დახასიათებას, მაგრამ მათ შორის რამდენიმე საქართველოს საერთოდ არ გაეგონა, ხოლო ზოგი ისეთი „პატივცემული გვამი“ გახლდათ, ქვეყანას რომ თავი მოაბეზრა თავისი არაინტელიგენტური ყრანტალით. რასაკვირველია, ათეულში სამი-ოთხი ღირსეულიც ერია. მხოლოდ სამი-ოთხი, მეტი არა.

და მაინც მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ ყოველგვარი მიკერძოებისა და გაანჩხლების გარეშე, რაც მჯერა.

აჭარის მიმართ მიუტევებელი, ლამის გამოუსწორებელი შეცდომები უკვე დაშვებულია. ამათგან სამს გამოვყოფ: პირველი – აჭარა დატოვებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციურ-საკანონმდებლო სივრცის გარეთ. ეს მოხდა ოცდარვა მარტის არჩევნების გაუგონარი გაყალბებით. წინასწარ, ხელისუფლების თუ ცესკოს თავმჯდომარის ყოველ გამოსვლაში ჩანდა სრულიად აუხსნელი ზიზღი აჭარის დეპუტაციის მიმართ. დილიდანვე გაჰყვიროდა ჭიაბერაშვილი, დღეს, 28 მარტს, საღამოსკენ აჭარაში საარჩევნო უბნების დარბევა დაიწყებაო. რაკიღა არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ მოხდა, სახელისუფლებო ტელევიზია („ვარდების რევოლუციის“ გმირი) ცილისწამებაზე გადავიდა. ერთი სიტყვით, ძალა აღმართს ხნავს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა პარლამენტში წარმომადგენლობის გარეშე დატოვეს.

მეორე დანაშაული აჭარის მიმართ ჩადენილი ის გახლავთ, რომ აჭარიდან 25-ე ქართული შენაერთი გამოვიყვანეთ და მისი დისლოკაციის ადგილად თბილისი მივიჩნიეთ. ეს იცით, რა არის? ეს არის აჭარიდან საქართველოს ჯარის გამოყვანა, ანუ აჭარის სხვა, მტრულ სახელმწიფოდ გამოცხადება.

მსგავსი რამ აფხაზეთის დაკარგვის დროსაც არ მომხდარა.

არძინბა გვეუბნებოდა, არ მინდა თქვენთან ყოფნაო, ასლან აბაშიძე დღედაღამ გვეხვეწება, თქვენთან ყოფნა მინდაო და ჩვენ ძალით მივერეკებით საქართველოდან.

საქართველოს პარლამენტში აღარავინ დარჩა აჭარის ინტერესების დამცველი და აიშვეს პათოლოგიურცხვირპირიანმა ვაი-პოლიტიკოსებმა, ასლან აბაშიძის მოძულე ბიჭბუჭებმა, ცალ კარში თამაშით გალაღებულებმა.

მესამე წარმოუდგენელი შეცდომაა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ბათუმში ჩატარების წინააღმდეგ ცენტრის თავგანწირული გალაშქრება. ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგვხედა. მსოფლიოს სპორტულ რუკაზე ერთბაშად განათდება საქართველო. მასმედიის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდებით. მშობლიურ კედლებში იქნებ დაიბრუნონ ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა გარდასული სპორტული დიდება. ჩვენ



კი რას ვშვრებით? ასლან აბაშიძისადმი აუხსნელ, ბიჭურ-მამლაყინწურ ჯიბრს საქართველოს პრესტიჟი უნდა გადავაყოლოთ: ხელშეკრულება გაფორმებულია და ჩვენ წერილს ვწერთ მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციას, აჭარაში ბანდფორმირებანი თარეშობენ და მოჭადრაკეთა დაცვის გარანტიას ვერ ვიძლევითო. ეს ხომ იმის აღიარებაა, უწესრიგო, პაპუასური ქვეყანა ვართო.

დააკვირდით, ბოლოდროინდელ მოვლენებს. შეიძლება, პრეზიდენტი ერთი პარტიის პრეზიდენტი იყოს და სხვა პარტიებს ზიზღით უცქერდეს? წესიერ ქვეყნებში პრეზიდენტი არჩევისთანავე ტოვებს თავის პარტიას, მიკერძოება რომ არ დასწამონ. შეიძლება პრეზიდენტი საქვეყნოდ გაჰყვიროდეს, – მე პარლამენტში ოპოზიცია არ მჭირდებაო? შეიძლება, ცივილიზებულ სახელმწიფოში პარლამენტი ბრბომ გარეკოს და პასუხი არ მოეთხოვოს არავის ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის გარეკვისათვის? ვარდისკენ გახედავც აღარ მინდა, ისე შემაძულეს ვარდი. ამასწინათ პარლამენტის სხდომაზე ელდარ შენგელაიამ რომ პრეზიდენტს მლიქვნელურად ვარდი მიართვა და ჭიქაში ჩაუდო, გული კინაღამ ამერია. გალაკტიონის „სილაში ვარდი“ გამახსენდა. დიახ, ბატონებო, თქვენი ვარდი ჭიქაში კი არა, კარგა ხანია სილაშია.

აქ აღარ ჩამოვთვლი იმ სალანძღავ სიტყვებს, რითაც ჩვენი პრეზიდენტი ყოველდღე მამისტოლა კაცს – ასლან აბაშიძეს უმასპინძლდება. ახლა ასლან აბაშიძის პასუხებს დააკვირდით, თუ წამოსცდება ერთი უხამსობა, ერთი უკადრი ფრაზა. როგორ წონის და ზომავს თითოეულ სიტყვას. მეო, – ამასწინათ ტელევიზიით განაცხადა, – ვთხოვე ახალგაზრდა პრეზიდენტს, – ნუ გამლანძღავ, შეურაცხყოფას ნუ მომაყენებო. დედა და ცოლ-შვილი დაიფიცა, აწი უხერხულ სიტყვას არ გაკადრებთო. დაიფიცა, მაგრამ რად გინდა, თბილისში ჩასვლისთანავე დაავიწყდაო.

სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა გენერალი დუმბაძე. ალბათ, სამშობლოს მოღალატე მაშინ არ იქნებოდა გენერალი, თუ 25-ე ბრიგადას უბრძანებდა და ასლან აბაშიძის

და მის „გუნდს“ დააპატიმრებდა და გალიით ჩამოიყვანდა თბილისში. იმაზე რატომ არ ფიქრობენ დუმბაძის მოღალატედ გამომცხადებელნი, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დუმბაძე თავისი მეზობლების, თავისი მეგობრების, თავისი ქალაქის მოღალატე იქნებოდა. ახლობლების სისხლს დაღვრიდა და ისეთ ცუდ სამსახურს გაუწევდა ახალგაზრდა პრეზიდენტს, რასაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ გამოასწორებდა.

დავანებოთ პიროვნებათა ამბიციებს თავი და უფრო გლობალურად შევხედოთ ამ საკითხს. ნუთუ არ ფიქრობენ ჩვენი „პოლიტიკოსები“, რომ აჭარასთან ამერიკის და რუსეთის ინტერესებიც იკვეთება. რაო? რისთვის დაცუნცულებენ ლუჟკოვი და რიჩარდ მაილსი ბათუმში? საქართველოზე დარდით უსკდებათ გული? არ დაიჯეროთ. ორივე ზესახელმწიფოს აჭარის (და შესაბამისად, საქართველოს) ხელში ჩაგდება სურს. რუსს ბათუმში თურქეთისთვის დამიზნებული სამხედრო ბაზა აქვს. იმ ბაზას კიდევ ისეთი ლაზერულ-რადარული შეიარაღება აქვს, რომ ფოთიდან აფრენილ ჩვენს ჩვიდმეტივე (კიევში სიმწრით გარემონტებულ) ვერტმფრენს ისე ჩამოყრის ზღვაში, როგორც მონადირე – იხვებს და ამით დამთავრდება საქართველოს შეიარაღება. ვის ვეჭიდავებით, ვის? რუსმა პირობა მოგვცაო, რომ საქართველოს საქმეებში არ ჩაერევაო, აცხადებენ ჩვენი უმწიფარი პოლიტიკოსები. გჯერა რუსის, ჩემო იმანო? „ჩაურევლობის პოლიტიკით“ არ წაგართვა რუსმა აფხაზეთი და სამაჩაბლო? არ ჩავერევიო, იტყვის, წააქეზებს ერთმანეთზე ორივე მხარეს, მერე სამშვიდობო ბატალიონს ჩააყენებს ჩოლოქთან და მშვიდობით, მზიურო აჭარავ! რუსი ამას ისე გააკეთებს, რომ არც სააკაშვილს ჰკითხავს რასმე და არც აბაშიძეს. დავით გურამიშვილის მოჩხუბარი მამლების ბედი მაინც არ გახსოვთ? მერე ის იქნება, რომ ექსკურსიაზეც ვეღარ ჩავალთ ბათუმში და ქობულეთში, ისე, როგორც სოხუმსა და გაგრაში ვერ ჩავდივართ.

არ მითხრათ, ახლა სხვა წესრიგია მსოფლიოშიო. ამერიკა არ მისცემს რუსს აჭარის მიტაცების უფლებასო. არ დაიჯეროთ, ბატონებო, რუსი „დო პარი დო ვრემენი“ ინარჩუნებს გარეგნულ სიმშვიდეს. სტამბოლის 88 სახელმწიფოს ხელშეკრულება არ შეასრულა რუსმა, არ გაიყვანა ბაზები ბათუმიდან და ახალქალაქიდან და ამერიკის „მეგობრულ რჩევას“ შეასრულებს? იქნებ გგონიათ, რომ ჩვენი გულისთვის ამერიკა რუსეთს მოიმდურებს? მოილაპარაკებენ „ზესახელმწიფოები“ – აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა რუსეთის გავლენის სფერო იყოს, დანარჩენი საქართველო კი – ამერიკისაო და ამით დამთავრდება ადგილობრივი „მთავარსარდლების“ ურთიერთწაქოჩრება-წამოქოჩრება.

იცოდეთ, დღეს მარტო საქართველოს კი არა, მსოფლიოს მართავენ ბეცი, ნახევრად პროფესიონალი, ამბიციით შეპყრობილი პოლიტიკოსები. თქვენ ბუში დიდად დაწყობილი პოლიტიკური ხედვის, შორსმჭვრეტელი კაცი გგონიათ? შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი დაარტყამდა დღისით-მზისით მსოფლიოს ცივილიზაციის აკვანს – ერაყს ყოველგვარი საბაბისა და საბუთის გარეშე?

ჭკუათმყოფელი ხელისუფალი აგულიანებს ფანატიზმით შეპყრობილ მუსლიმანს – მიდი, ცეცხლის ალში გაახვიე ნიუიორკის ცათამბჯენები და სამოთხეში მოხვდებიო?

გონიერი ხელისუფალი ადუღებს ქვას ქვაზე ავღანეთსა თუ იჩქერიაში და იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას ცდილობს?

ვეშაპთა ამ ჭიდილში ჩვენ ჭკუა უნდა გვეხმარა, ერთ მუშტად შევკრულიყავით, ერთმანეთს უნდა მოვფერებოდით, ისეთი ხელისუფლება უნდა აგვერჩია, ქვეყანაში ჰარმონიას, ძმობას, ეროვნულ ცნობიერებას რომ დაამკვიდრებდა, მაგრამ როგორც ვატყობ, არც ჩვენ გვქონია იღბალი, გულით, შეიძლება, სიკეთისთვის მოწადინებული, მაგრამ გამოუცდელი, ჩქარი, შემაშინებლად თამამი ადამიანები მართავენ დღეს საქართველოს:

ამ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მე და ჩემი მეგობრები ორჯერ მოვხვდით პარლამენტში და ორივეჯერ სააკაშვილის „მტკიცე ნებამ“ გარეთ მოგვისროლა, მაგრამ, დამერწმუნეთ, გული მაინც არ მწყდება. ახლა გაცილებით ბედნიერი ვარ, ჩემს მოწოდებას ვემსახურები. მწერალთა კავშირში შემო-

ქმედებითი საღამოებისა და იუბილეების გამართვა, ახალი წევრების მიმღები კომისიის ხელმძღვანელობა და ჟანრული სექციების მუშაობის კოორდინირებაა ჩემი სქმიანობის სფერო. კვირაში რამდენიმე ღონისძიებას ვმართავთ. გაცოცხლდა მწერალთა კავშირი. მარტო ის რად ღირს, რომ მწერალთა კავშირში დაბრუნდნენ ოტია იოსელიანი, ნოდარ წულეისკირი, მიხეილ ქვლივიძე, მერაბ ელიოზიშვილი, სოსო სიგუა, დილარ ივარდავა, ნომადი ბართაია, ბელა შალვაშვილი, ბეჟან სივსივაძე, ზაურ მოლაშხია და სხვები.

*26.IV.2004*

## ინტელიგენცია სამარცხვინო სიტუაციაშია

„ნაციონალური მოძრაობა“ თვალსა ხელს შუა იშლება. ვინ არის რიგში, კიწმარიშვილის შემდეგ, ვინ გადმოხტება სააკაშვილის გემბანიდან?

დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილის გუნდის 90 პროცენტი სულ მალე დატოვებს სახელისუფლებო გემბანს. მიშას თანაგუნდელთაგან ზოგიერთი ჯერჯერობით გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებს, თუმცა კარგად ხვდება, რომ სკამზე ნახევრად ზის და თვალი გაქცევაზე აქვს. ჩანან ტელევიზიით სააკაშვილის ეს პატარ-პატარა მინისტრები, ლაპარაკობენ გაუთავებლად და საკმარისია, მათ საუბარს ფსიქოლოგმა მოუსმინოს, რომ დასკვნა უეჭველად ასეთი იქნება: „მე თვითონ არ მჯერა, ამას რომ ვლაპარაკობ, მაგრამ რა ვქნა, ასე მოიტანა ბედმა!“ სააკაშვილის თანაგუნდელებში ამ ბოლო დროს, ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა, – მე სკამის მონა კი არა ვარ და მიშაზე კი არა ვარ ჩამოკიდებული, სკამი არად მიღირს, თუნდაც წავალ დღესვე, ოღონდ ქვეყანას ეშველოს!

სინამდვილეში, ყველანი ხელის აქნევას ელოდებიან, რათა ისტორიის ქარბორიალს წაჰყვნენ და თქვენ ნახავთ, თუ რა



საშინელი დოღი გაიმართება სულ მალე სააკაშვილის გემბანზე, როცა მიშას გამოზრდილი პოლიტიკური ვირთხები ერთმანეთს გაქცევაში შეეჯიბრებიან. თუ ვინ შეასრულებს სააღდგომო ბატკნის ფუნქციას, კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ კიდევ ერთხელ გიმეორებთ, ხელისუფლების 90 პროცენტი გასაქცევად მზად არის!

კონკრეტულად ვინ ჩაჰყვება მიშას პოლიტიკურ სამარეში?

გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი და გივი თარგამაძე სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში კი არა, ყველგან ჩაჰყვებიან. ესენი არიან ჩრდილები, სააკაშვილის დამატებები, რომლებსაც ცხოვრებაში თავიანთი არაფერი შეუქმნიათ და სააკაშვილის გარეშე ისინი არც არაფერს წარმოადგენენ. გიგა ბოკერიასთვის, ალბათ, ყველაზე უფრო ის დრო სჯობდა, როცა სააკაშვილმა მას ტელევიზიით გამოჩენა აუკრძალა, ხალხიც დასვენებული იყო და თვითონაც.

პაატა დავითაიას საგამოძიებო კომისიის მიერ სააკაშვილის დაკითხვა ეს იყო ერთთვიანი სამარცხვინო შოუ და კომისია ისეთ კითხვებს უსვამდა სააკაშვილს, რომელიც თავის თავში პასუხსაც შეიცავდა. ასე რომ, სააკაშვილს ისღა დარჩენოდა, თავი წაღმა-უკუღმა ექნია. თუმცა პრეზიდენტმა შანსი ხელიდან არ გაუშვა და 5 საათი სისულელე ილაპარაკა.

სხვათა შორის, ვიდრე სააკაშვილს დაკითხავდნენ, მანამდე კიწმარიშვილი დაკითხეს...

კიწმარიშვილის დაკითხვის ამბავი, იცით რას მახსენებს? – ცნობილ არაკს... ყურშას ჰკითხეს, რატომ ჰყეფო? – სპილოს ვაშინებო. – მაშ, კუდს რად აქიცინებო? – მე თვითონაც მეშინიაო... სწორედ ასე იყო ეროსი კიწმარიშვილის საქმეც. შე კაი კაცო, ეროსი კიწმარიშვილი ხარ, თუ ჯანდაბა, იმ ოთხეულის ერთ-ერთი წევრი რომ იყავი, რომელმა ოთხეულმაც საქართველო დააქცია, სინანულის განცდა საერთოდ არ გაქვს? კიწმარიშვილი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ის იყო ერთადერთი ანგელოზი, რომლის ჩვევებსაც სააკაშვილმა ყური არ ათხოვა და ქვეყანა ამის გამო დაიღუპა. კი მაგრამ, არ გრცხვენია, ეროსი? შენ არ იყავი, „გამარჯვე-

ბული ხალხის“ ტელევიზიის შეფი, მთელი საქართველო რომ მოწამლეთ და ხალხს ტვინი გამოურეცხეთ? სააკაშვილი ისე ლაპარაკობდა, თითქოს არჩევნები მე გამეყალბებინოს; უნივერსიტეტი მე დამენგრიოს? მწერალთა კავშირი მე დამერბიოს? ჟურნალისტები გამომცემლობიდან მე გამომეყაროს; სპორტსმენებისთვის სპორტული აკადემია მე მომესპოს; ქართველი ხალხისთვის ეროვნება და მამის სახელი მე წამერთმიოს; როგორც ხედავთ, ადამიანის უსინდისობას საზღვარი არა აქვს. „მწერალთა კავშირის“ დარბევა, ერთხანობას მე შევაჩერე. როცა გიული ალასანიას დავურეკე და დახმარება ვთხოვე. თუმცა, შარშან 21 აგვისტოს, დარბევას მაინც ვერ გადავურჩით. როცა „მწერალთა კავშირს წერილს წერილზე უგზავნიდნენ, შენობიდან უნდა გამოგაძევოთო, დავურეკე ქალბატონ გიული ალასანიას და ვთხოვე, რომ სააკაშვილთან ეშუამდგომლა, – ნუ დაგვღუპავს და მწერლობას შენობას ნუ წაართმევს-მეთქი, მაშინ ქალბატონმა გიულიმ მიპასუხა, – დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ამას არ გააკეთებს და „მწერალთა კავშირს“ კუთვნილი შენობიდან არ გამოყრისო. როცა 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, შენობაში შემოგვივარდნენ და ქართველი მწერლების ქონება გარეთ გამოყარეს, დილით ქალბატონ გიულის დავურეკე და ვკითხე, – რაშია, ქალბატონო გიული, საქმე-მეთქი? – დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილი ამ ბინძურ საქმეში გარეული არ იქნება, მიშა ახლა კოდორის ხეობაშია და ეჭვი არ მეპარება, რომ ამის შესახებ არაფერი იცის, მიპასუხა ქალბატონმა გიული ალასანიამ. ჩავრთე ტელევიზორი და მიშა მართლაც კოდორის ხეობაში იყო და პატრიოტებთან თუ რეზერვისტებთან ერთად ცეკვავდა... ბიჭო მიშა, რამ შეგაძულა ასე ქართული მწერლობა და მწერალთა კავშირი, ვინ დაგწყევლა და გიმკითხავა, მწერლებს სასახლე წაართვი და გარეთ გამოყარეო?

ნინო ბურჯანაძესაც ვთხოვდით დახმარებას. ნინო ბურჯანაძეს მორალური უფლება არა აქვს, პრეზიდენტად იყაროს კენჭი და საერთოდ, პოლიტიკაში აქტიურად ჩაებას. ეს არის გაკოტრებული პოლიტიკოსი, რომელმაც, სააკაშვილთან ერთად, ქვეყანა დააქცია. მისი ყრილობა რას ჰგავდა, იცით? – ახალი პრეზიდენტის პრეზენტაციას. აბა, რა, კაცო, როგორც ჩანს, საქართველოში აკრედიტებული უცხოელი ელჩები სიამოვნებით დაუჭერენ მხარს მის კანდიდატურას... ხმების დათვლაც არ იქნება დაწყებული, რომ ამერიკა ბურჯანაძეს პრეზიდენტობას მიულოცავს. ამერიკის ელჩის – ჯონ ტეფტის ბურჯანაძის ყრილობაზე მისვლა სწორედ ამის მაუწყებელი საგანგაშო სიგნალია. ეჭვი მაქვს და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ნინო ბურჯანაძე და მიხეილ სააკაშვილი შეთანხმებულად მოქმედებენ და ერთმანეთში მოლაპარაკებულნი არიან. გეგმა დაახლოებით ასეთია: „შენ, ჩემო მიშა, არაფერზე ინერვიულო, ხალხის დასანახად გაგაკრიტიკებ, მაგრამ სინამდვილეში შვილიან-მამიანად შენი ვარ, მე გავხდები ახლა პრეზიდენტი და ჩემი პრეზიდენტობა იქნება ტრამპლინი იმისთვის, რომ ჩემს შემდეგ ისევ შენ ჩაუდგე ამ დაქცეულ ქვეყანას სათავეში!“ ანუ, საქართველომ ვერასოდეს ვერ უნდა მოიშოროს ეს ჭირი და სახადი! საქართველოს არსებობა ხომ თურმე წარმოუდგენელია მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის გარეშე?! ქართველი ერი ხომ უნდა შეეწიროს ამ კაცის სკამისადმი მანიაკალურ სიყვარულს?! როცა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მე და ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა ნინო ბურჯანაძეს „მწერალთა კავშირის სასახლის“ გადასარჩენად მიღება ვთხოვეთ, მაგრამ არ მიგვიღო. მერე ავადსახსენებელი 7 ნოემბრის ტრაგედია რომ მოხდა და ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად მოგვევლინა, ვიფიქრე, მაინც ქალია, დედაა, მამამისი ანზორ ბურჯანაძე მწერლებთან მეგობრობდა, იქნებ ამ ახალმა უბედურებამ გონება გაუნათა და ჭკუა ასწავლა-მეთქი და წერილი დავწერე... ცხონებული ანა კალანდაძის დაკრძალვაზე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე რომ გამოგვეცხადა და მწერლებს მოგვისამძიმრა, მომესალმა თუ არა, მაშინვე წერილი შევაჩეჩე ხელში... წერილი ისეთი შეგრძნებით გამომართვა, თითქოს ხელში ქაღალდი კი არა, ზღარბი მიმეცა, არანაი-

რი ყურადღება, არანაირი პასუხი... ზოგიერთი იფიქრებს; რას მიაჭიჭინდა ეს ხალხი „მწერალთა კავშირის“ შენობასო. საქართველო იღუპება და ერთ-ერთი ტაძარი, რომელმაც ეს ქვეყანა უნდა გადაარჩინოს, სწორედ მწერალთა კავშირის შენობაა, თორემ ჩვენ, მწერლებს, ავად თუ კარგად, ჩვენი თავი გვაქვს, სახლიც გვაქვს, კარიც და თავზე არ გვაწვიმს.

ჩემდა საუბედუროდ, ქართული ინტელიგენცია სამარცხვინო სიტუაციაშია. ინტელიგენცია დარეტიანებული ქათამივით აქეთ-იქეთ აწყდება... ყეფს, როგორ არ ყეფს ზოგიერთი ნევროზით შეპყრობილი ე. წ. ინტელიგენტი, მაგრამ სულ ხელისუფლებაში ყოფნას რომ იყვნენ მიჩვეულნი და დღეს ხალხში გამოსაჩენი პირი არა აქვთ, თავის უდანაშაულო ნათესავებს ათქმევინებენ ამ ხელისუფლების ძვირს, ამიტომ მოგვიმრავლდნენ გაპოლიტიკოსებული სიდედრები, ქალიშვილები და ვაჟიშვილები.

გუშინ გამოაცხადეს, რუსები მამისონის უღელტეხილზე გზის გაჭრას გეგმავენო. იცით, ეს რას ნიშნავს? იმას, რომ უწერა, შოვი, ონი, მალე ჩვენი აღარ იქნება. ეს სამარცხვინო ევროპელი პოლიტიკოსები თავის სარკოზიან კუშნერიანად, ყველანი დაიმალნენ და საქართველო, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უსირცხვილო და დამპყრობელი ქვეყნის წინაშე, პირისპირ აღმოჩნდა. ევროპამ და მსოფლიომ საქართველო გაიმეტა ხანგრძლივი, უსაგნო, არაფრის მაქნისი მოლარაკებების მაგიდასთან დასასმელად. ჩვენი ყოფა-ცხოვრება ასეთი უიმედო არასოდეს ყოფილა. ახლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რუსეთისთვის ენის გამოყოფა და რუსეთის აგრესორად გამოცხადება. კი, აგრესორია, ოკუპანტია, უსირცხვილოა და უსინდისო, მაგრამ ამის ლაპარაკს საქართველოსთვის არანაირი შედეგი არ მოაქვს, პირიქით, ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბება. სულელი ვიქნები, გული გავუკეთო ქვეყნას და დავაიმედო, თითქოს რუსეთი უკან წაიღებს აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის აღიარებას... არ წაიღებს, ეს არ მოხდება და ქართველი ერი უნდა გამოფხიზლდეს. ქართველმა ერმა უარი უნდა თქვას



მატყუარა, გაკოტრებულ პოლიტიკოსებზე და დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური, აბსოლუტურად უნდა შეიცვალოს. საქართველოს იხსნის პოლიტიკაში სუფთა ახალგაზრდების, გულანთებული პატრიოტების მოსვლა და რუსეთთან მოლაპარაკებების აღდგენა. ესენი პოზიციიან-ოპოზიციანა, ყველანი გაყიდულები არიან, ამათი ამბავი ძალიან კარგად ვიცი...

*დეკემბერი, 2008*

## ნუ დავცინით ხალხს

ბატონო რეზო, როგორ შეხვდით იმ ამბავს, რომ მიხეილ სააკაშვილმლა მის მიერვე ჩარეცხილ ინტელიგენციას წინასაახალწლოდ კარდაკარ გაპუტული ინდაურები ჩამოურიგა? მეკითხებიან შეხვედრებზე.

ვფიქრობ, ოპერაცია „ინდაური“ აშკარად პროვოკაციული, ჩანაფიქრი იყო. მე, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის დასაჩუქრებულთა სიაში არ მოვხვდი და არც ინდაური მხვდა წილად, მაგრამ რომ მოეტანათ სააკაშვილის საჩუქარი, ზუსტად ისე მოვიქცეოდი, როგორც ოთარ მეღვინეთუხუცესი მოიქცა!!!

ბოლო დროს სააკაშვილი ნემსის ყუნწში ძვრება, რომ თითქმის ნულამდე დასული მისი პოლიტიკური რეიტინგი ოდნავ მაინც გამოასწოროს. ამის დასტურია საახალწლო ინდაურის ეპოპეაც, რესტორან „ფაეტონში“ ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეკრება-ღრეობაც და ოპოზიციური ექპერტების სტუმრობაც პრეზიდენტის რაიხსტაგში.

მინდა მივმართო ჩვენს საამაყო ინტელიგენციას:

ნუთუ ვერ ხვდებით, ჩემო ძვირფასებო, რომ თქვენი მოსყიდვის მცდელობით წყალწაღებული პრეზიდენტი ხავსს, უფრო სწორად, ინდაურს ეჭიდება?

მან გადაუგდო ინტელიგენციას სატყუარა და ამით, ფაქტობრივად. დასცინა ქართველ ხალხს. ამიტომ ვამბობ, ოპერაცია „ინდაური“ პროვოკაციული ჩანაფიქრი იყო-მეთქი.

სააკაშვილმა იცოდა, რომ ბევრი ამ ინდაურს მიიღებდა და შეირგებდა. სწორედ ამით დასცინა ქართველ ხალხს: აი, ეს არის თქვენი ქებული ოპოზიციური ინტელიგენციაო. ვეკითხები ჩემ სძვირფას მეგობრებს: მასთან თქვენი მოსვლის და საუბრის შემდეგ თუნდაც ერთი ნამუდრეგალი მაინც გამოასწორა პრეზიდენტმა? იქნება თქვენი ერთი რჩევა მაინც ისულგულა?

რაო, დაუბრუნა მწერალთა კავშირს, ჟურნალისტებს, კომპოზიტორთა კავშირს წართმეული სასახლეები? აღადგინა მის მიერვე დანგრეული მეცნიერებათა აკადემია? აღადგინა სპორტის აკადემია? იქნებ ეროვნება ან მამის სახელი დაუბრუნა საქართველოს მოქალაქეებს? იქნებ იავარქმნილი უნივერსიტეტი რაღაც პატარა-პატარა ღონისძიებებით მაინც გაიმართა წელში? დააბრუნა უსამართლოდ გარეკილი დამსახურებული, ეროვნული მეცნიერები ჩვენ ალმა-მატერში?

სააკაშვილი მხოლოდ თავისი არაფრისმთქმელი ღიმილით შეხვდა ძვირფას ინტელიგენტებს. კბილებში ოფლი გასდიოდა, ალბათ, როცა ხედავდა იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად აკრიტიკებდნენ მას.

რაო, ახლა სიყვარულით მიიღო ისინი? ჩემო ძვირფასო პრეზიდენტის სტუმრებო, სააკაშვილს არ აინტერესებდა თქვენი აზრი, თქვენი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, მან მხოლოდ ფაქტი დააფიქსირა: დამინახეთ, რა დემოკრატი ვარ, ყველაზე რადიკალურ ოპოზიციასაც კი ვიღებო.

შეიძლება, კიდევ გაიმეოროს სააკაშვილმა მსგავსი შეხვედრები და კარგად უნდა დაფიქრდეთ. პატივცემულო კოლეგებო, როცა პრეზიდენტის მაგიდას მიუსხდებით.

როგორც ცნობილი გახდა, ბატონებს გიგა ლორთქიფანიძესა და ჯანსუღ ჩარკვიანს სააკაშვილთან საქვეყნო პრობლემებსა და ხალხის გასაჭირზე უსაუბრიათ, თუმცა, ზოგიერთს პირად პრობლემებზე საუბრით აუქაფებია პირი.

ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ოპოზიციური ინტელიგენციის მიერ დაყენებულ არცერთ პრობლემას პრეზიდენტი დადებითად არ გადაწყვეტს. მიხეილ სააკაშვილი არ არის იმ ჯურის კაცი, რომ ვინმეს რჩევა ყურად იღოს და უკან დაიხიოს.

„ასავალ-დასავალის“ ავტორიტეტული ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ დღესაც მწერალთა ისტორიულ სასახლეს 5 ავტომატიანი პოლიციელი იცავს ქართველი მწერლებისაგან. უკანასკნელ ხანს გარდაცვლილი ორი ქართველი მწერლის ჯანო ჯანელიძისა და აკაკი გეწაძის პირად საქმეში ჩახედვის ნება არ დაგვრთეს, რათა ნეკროლოგების დასაწერად გარდაცვლილთა ბიოგრაფიული მასალები მოგვეპოვებინა.

სააკაშვილის რკინის ხელით მწერალთა სასახლე დღემდე ოკუპირებულია. ისევე, როგორც ოკუპირებულია გამომცემლობა „სამშობლო“ და კომპოზიტორთა კავშირის დასასვენებელი სახლი ბორჯომში.

მე და თამაზ წივწივაძე ინდაურის კი არა, ფეხმოტეხილი ქათმის ღირსიც არ გავხდით, მაგრამ ვინც ინდაურები მიიღო, მათი ინტერვიუებიც წავიკითხე გაზეთებში. კარგია, რომ ჩემს მეგობრებს – გიგა ლორთქიფანიძეს და ჯანსუღ ჩარკვიანს თავიანთი დამოკიდებულება პრეზიდენტის ნაოხრალი საქმეებისადმი ერთი წამითაც არ შეუცვლიათ და ისევ ისეთი მედგარი ოპოზიციონერები ბრძანდებიან, როგორებიც იყვნენ.

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როგორ შეირცხვინა და მოიჭრა თავი სააკაშვილთან შეხვედრისას ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ, ამის შესახებ ჩემთვის კარგად არის, ცნობილი, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ახლა არაფერს ვიტყვი!

*იანვარი, 2009*

# ჩვენი მშველელი არავინაა

ჟენევის შეხვედრა ჩაიშალა, ხოლო ბრიუსელში სააკაშვილი დაუპატიჟებლად ჩავიდა, რისთვის ირჯებოდა, ვერავინ ვერაფერი გაიგო...

რუსებმა ჩოჩიევი და შამბა ჩაიყვანეს ჟენევაში, ხოლო ქართველები არანაკლებ ძვირფასი „ტვირთით“ ჩავიდნენ შვეიცარიაში – აკიშბაია და სანაკოევი იახლეს. მორბენალ აკიშბაიას, რომელმაც თვალის დახამხამებაში მიატოვა კოდორი და აქედანაც ისე გაიპარა, რომ ვერავინ მისი ასავალ-დასავალი ვერ გაიგო, კარგად ვიცნობთ, მაგრამ ეს სანაკოევი სად მიგყავს, კაცო, რომელსაც არც ერთი ოსი არ უჭერს მხარს და არც ერთ სიტყვას ქართულს არ ლაპარაკობს? დააბიჯებდა ჟენევაში ჩოჩიევი, რომელსაც ყურებში ერთი ბღუჯა შავი თმა აქვს ამოსული და თავისი დაფანჩული წარბებიდან საშინელი ზიზღით გვიყურებდა. ჩოჩიევთნ შედარებით რაფინირებულია, მაგრამ ქართველებისადმი არანაკლები სიძულვითი გამოირჩევა სერგეი შამბა, რომლებიც რუსმა მოგიყვანა და მოლაპარაკების მაგიდასთან დაგისვა. შანსი გაქვს, მთელი ევროპის თვალწინ ესენი გამოაჭენო, ორივენი გააშიშვლო და შენ ამას არ აკეთებ, შე კაცო? რუსეთსა და სეპრატისტებს უნდა მოლპარაკებების ჩაშლა სწორედ... სისულელე იყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტაც, ჩვენ ვიქნებით მხოლოდ და მხოლოდ წაგებულები და სხვა არავინ. პოლიტიკაში დამდურება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პირიქით, რაც უფრო დაძაბულია სახელმწიფოებს შორის ვითარება მოლაპარაკებები, კულტურული ურთიერთობები, მით უფრო ინტენსიური უნდა იყოს. მე იმასაც დიდ შეცდომად მივიჩნევ, რომ ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე აიძულეს, მოსკოვში კონცერტები მოეხსნათ. ამ ორიოდე დღის წინ სომხეთში გახლდით, სადაც მწერალთა და მთარგმნელთა მსოფლიო ფორუმი ჩატარდა ერევანში. სომხებმა სამივე ბანკეტზე თამადად დამნიშნეს... პირველ ბანკეტზე სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ლეონ ანანიანმა მორიდებით მითხრა, – რუსებიც მოვლენ და თქვენთვის ეს მიუღებელი ხომ არ იქნებაო. – როგორ გეკადრებათ, მე რა უფლება მაქვს, თქვენს სტუმრებს ბღვერა დავუწყო-მეთქი?! რუსები აშკარად ცდილობდნენ ჩვენთვის სიყვარულის დამტკიცებას და მეც აღარ დავახანე, – კი, მაგრამ თუ ასე გიყვარდით, რომ გვბომბავდით და მიწასთან გაგვასწორეთ, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა-მეთქი? – თქვენ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა ხომ არ გგონიათ, მთელი ის დღეები საშინელ დეზინფორმაციას გადმოსცემდნენ ჩვენი ტელეარხები და აჩვენებდნენ კადრს, თუ როგორ გადაუარა ქართულმა ტანკმა ოს ქალს და ბავშვსო. – არ დამალეს რუსებმა. მერე ავდექი და ცხინვალში დაღუპული ბიჭების – გნებავთ ქართველების, გნებავთ ოსებისა და გნებავთ რუსების შესანდობარი, ფეხზე წამომდგარი დავალევინე ყველას. გეკითხებით, ეს სჯობდა თუ ის, რომ იქ ერთი ამბავი ამეტეხა და რუსების ლანძღვა-გინება დამეწყო?

სხვათა შორის, როცა განვაცხადე, ჩვენმა უტვინო განათლების მინისტრმა, კახა ლომაიამ უნივერსიტეტიდან 60 წელს გადაშორებული ყველა პროფესორი გამოაძევა-მეთქი, ხალხი კინაღამ გაგიჟდა. მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგემ მაშინვე შემომთავაზა, – ოღონდ თქვენ თანხმობა განაცხადეთ და მოსკოვის უნივერსიტეტში ხვალვე მიგიწვევთ პროფესორადო. ცხადია, უარი ვთქვი, მაგრამ როგორ ფიქრობთ, მოსკოვის უნივერისიტეტის პროფესორობას რომ დავყაბულებულიყავი, რას ვეტყოდი რუს სტუდენტებს, არ ვეტყოდი, თქვენკბილა ქართველებს არ ესროლოთ-მეთქი?

საქართველოს მართავს ხელმოცარულ და ბოღმიან ადამიანთა გუნდი, რომლებსაც კონკრეტული ანგარიშები აქვთ. მაგალითად, მთავრობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ძმას ძნელაძის ქუჩაზე სახლი არ მისცეს და სახლი დაანგრევინა. ერთ-ერთს უნივერსიტეტში ქულა დააკლდა და უნივერსიტეტი დაანგრია. ერთ-ერთს მწერალთა კავშირის წევრობაზე თავისი უნიჭობის გამო უარი უთხრეს და ამის გამო, მწერ-

ალთა კავშირს მტრად მოეკიდა. შევხედე ჩვენს პრეზიდენტს და მიშა ისევ იცინის... რა არის, შე კაი კაცო, რას მიაღწიე ამისთანას, სულ რომ იცინი? მერე უღებენ, კაცო სურათებს... გადაუღებენ სურათს, ჰალსტუხს ჭამს, გადაუღებენ სურათს – წაქცეულს თავზე ტაშტებს ახურავენ გორში, ხოლო ეს ქვემოდან ყვირის, არიქა, არ დამღუპოთ, მიშველეთ, არიქა, ბომბი არ მომხვდეს თავშიო. რატომ იგდებ თავს კაცო?! ანდა მაშინ, როცა რუსეთის საელჩოს წინ მიტინგები უნდა გაგვემართა, მანდარინის ნაფცქვენები და ნახმარი უნიტაზები დაუყარეს წინ რუსებს. არ არის ეს კულტურა, არაფერს ეს არ მოგვიტანს, გარდა სიძულვილის გაღრმავებისა და დაპირისპირებისა და ახალი მოდის გიჟები, ვინც ასეთ რამეს გეგმავს, ვიღაცამ უნდა დააკავოს. მოგვიტანა რამე იმ საშინელმა კლიპმა – „კოკოითი ფანდარასტ“? ან აფხაზეთში შევედით იმ კლიპით, ველოსიპედით, მანქანით თვითმფრინავით, გემით თუ რა ვიცი კიდევ რით, სოხუმში რომ გვეპატიჟებოდნენ ქართველი მომღერლები?

გუშინ სააკაშვილი უნივერსიტეტში იყო მისული... იცით, უნივერსიტეტეში როგორ მიდის პრეზიდენტი? წინა დღით ხუთკუთხა სახის მქონე რექტორი, გია ხუბუა, რომელიც დაცვით დადის უნივერსიტეტში, გამოაცხადებს, ხვალ სწავლა არ იქნებაო და ასე მიდის უნივერსიტეტში სააკაშვილი. ამის შემდეგ, ჩვენი რეზერვისტებივით კარგად გაწვრთნილ სტუდენტებს შერეკავენ დარბაზში, სადაც 3-4 საათი აცდევინებენ და როდესაც ქანცგაწყვეტილ სტუდენტებს კისრები ჩამოუვარდებათ, მაშინ მოვა პრეზიდენტი. მიშას ხომ მთელი ქვეყანა ჰყავს საპატრონო და სად სცალია ახლა მაგას უნივერსიტეტისთვის. იმ სტუდენტებიდან არც ერთი არ იქნება ისეთი, რომელიც იკითხავს: ბატონო მიხეილ, როდის გაგვიმხელ ჩვენს ეროვნებას? ბატონო მიხეილ, რატომ გაუქმდა დისერტაციების დაცვა? რატომ გაუქმდა სამეცნიერო საბჭოები? იქ ამას არავინ არ იკითხავს, რადგან იქ შერეკილი იქნებიან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები და ტაშისდამკვრელი ახალგაზრდები, რომლებიც განათლების ყოფილმა



მინისტრმა, უწიგნურმა ლომაიამ დამოძღვრა: თქვენს ხელში წიგნი არ დავინახოო, ახლა კი რაც შეეხება მწერალთა კავშირს... უკანასკნელ იმედს ჩავებღაუჭე, როცა სააკაშვილმა გამოაცხადა, – დემოკრატიის ახალ ტალღას ვიწყებთო და ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარედ გია თორთლაძე დანიშნა. გია თორთლაძეს რა ტალახი გინდა ესროლონ, თავად ტალახში ამოსვრილმა ოპოზიციონერებმა, მისი ხასიათის წრთობა ევერესტის ბილიკებზე მოხდა. გიამ გამოაცხადა, კრიზისის დაძლევის 9 პუნქტი მაქვს ჩამოწერილი და ერთერთი მწერალთა კავშირისთვის შენობის დაბრუნებაა. მოჰკრეს თუ არა ყური ქალაქის მერიის ხელმძღვანელებმა ამ ამბავს, გამოგვეცხადნენ ტელევიზიით და გვითხრეს, – ეს შენობა მწერალთა სახლი უნდა გახდესო და იგი ჩაკეტილი ორგანიზაცია არ გახდებაო. – უი, რა კარგ ჭკუაზე დამდგარან ჩვენი პატივცებული გვამები-მეთქი, მაგრამ თქვენს მტერს, მერე რაც მოაყოლეს, – სასახლის დირექტორ-განმკარგულებელი არ არის აუცილებელი, მწერალი იყოს, ხოლო მწერლებს, თუ ძალიან შეგვეხვეწებიან, შენობაში შევუშვებთო. ვინ არის ჩაკეტილი ორგანიზაია, – ჩვენ? რა პრობლემაა, შე დალოცვილო, შექმნან ხელისუფლების დამქაშმა მწერლებმა თავიანთი კავშირი, შემოვიდნენ იმ შენობაში, ერთად ვიყოთ და ნუ ვაქცევთ ამ სასახლეს დაპირისპირების ასპარეზად. მაგრამ არა!.. მედვედევი და პუტინი დროებითია სააკაშვილი, ის ხომ არ შეიცვლება, ის ხომ მუდმივად საქართველოს თავის ტკივილი იქნება.

რად უნდა ლაპარაკი, რომ სააკაშვილი უნდა გადადგეს. დააბრუნეს საწყალი დევნილები დამწვარ სახლებში სასწრაფოდ და მიატოვეს. რა ქნას იმ ხალხმა, როგორ გაარემონტოს, როგორ შეაკეთოს სახლი, როგორ გამოიზამთროს?

7 ნოემბერი უნდა ჩატარდეს მშვიდად და ეს ყალბი ოპოზიცია ერთმანეთს ყალბი ლოზუნგების ბღავილში არ უნდა გაეჯიბროს, – „მიშა, მოვედით!“ „ხელისუფლება დღეს უნდა დავამთავროთ!..“ ეს უნდა იყოს დანამუსების მიტინგი და არა ის რომ ჩვენ გული მოვიფხანეთ, გული მოვიოხეთ და

ახლა თქვენ, კუტუნიებო, წადით ყველანი სახლებშიო. ეს თუ იქნება, სჯობია 7 ნოემბერს საერთოდ არ შევიკრიბოთ. სააკაშვილისეული სცენარი – შევარდნები, გამოვარდნები, სკამის დაწვები უნდა დამთავრდეს... თუ ხალხი იმ განწყობით მოვიდა 7 ნოემბერს პარლამენტის წინ, რომ იმ დღესვე დაამთავრონ სააკაშვილი, ეს იქნება ფუჭი იმედი და ქართველი ხალხი უნდა ემზადოს ხანგრძლივი პერმანენტული მშვიდობიანი აქციებისთვის.

ერთადერთი, სააკაშვილს ის შეუძლია გააკეთოს, რომ დაუჯეროს გია თორთლაძეს, აღადგინოს უნივერსიტეტი, აღადგინოს მეცნიერებათა აკადემია, მწერლებს დაუბრუნოს მწერალთა სასახლე და უნივერსიტეტიდან მოაშოროს მშიშარა კურდღელი, დაცვით მოსიარულე რექტორი – გია ხუბუა... ქვეყანა დაქცეულია, დანგრეულია, ყველაფერი მოშლილია და ამ დროს ხელისუფლებაში მყოფი პაყვი იძახის – სტალინის ძეგლი ავიღითო!.. რა დროს სტალინის ძეგლის აღებაა, ან რა დაგიშავა სტალინის ძეგლმა? მოუვა ფრანგს აზრად, რომ ნაპოლეონის ძეგლი აიღოს? ვინ იცის, იქნება სტალინის ძეგლმა გადაარჩინა ის მოედანი გორში და ის შენობა, სადაც მარტო ვარძელაშვილი კი არა, ჩვენი თვალებბრიალა გოკა გაბაშვილი იჯდა და სისულეებს აფრქვევდა!..

რაც შეეხება კახა ლომაიას, მაშინ, როცა ჩვენი ჯარისკაცები ძუნძულით მორბოდნენ ცხინვალიდან და ავტომატებსა და სამხედრო ტანსაცმელს მალავდნენ, მაშინ ლომაია გვიცხადებდა, მართალია, ჩვენ ცხინვალის ცენტრი დავთმეთ, მაგრამ ქალაქს მთლიანად ვაკონტროლებთ! ამ დროს ჩვენი გენერლები მცხეთაში იყვნენ და ხინკალს ჭამდნენ, ხოლო ჯარისკაცები, როგორც გითხარით, იმალებოდნენ.

მაყვალა გონაშვილმა დაწერა შესანიშნავი ლექსი, – „მე არც გრუზია“ მინდა ვიყო და არც „ჯორჯია“, ჩემი სამშობლო – საქართველო, ერთი გოჯია!“ შე დალოცვილო, რა განსხვავებაა, რუსის მონა იქნები თუ ამერიკელის?.. ჩვენი მომავალი და პოლიტიკა შეიძლება იმაზე იყოს გაგებული, მეთიუ ბრაიზას მოვეწონებით თუ არა? ევროპა და მსოფლიო



მიიღებს ამ რეზოლუციებს, მერე მოგვიბრუნდება ჩვენ და გვეტყვის, – რა ვქნა, ძმაო, ბევრი ვეცადე მაგრამ რუსეთს შეგნება არ ჰქონია და ხომ არ გადავყვებითო. არ შეიძლება პოლიტიკის იმპულსებზე აგება, არ შეიძლება პოლიტიკაში დამდურება. ნუ ჰგონია გულუბრყვილო საქართველოს, რომ ძია სემია ჩვენი პატრონი და ის გადაგვიწყვეტს ყველა პრობლემას. ამერიკა რომ რაიმეს გადამწყვეტი ყოფილიყო, რუსეთი მთელი 15 წლის შემდეგ არ აღიარებდა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობას. სანამ რუსმა თავისი ტანკებით არ გადაგვიარა, მანამდე ხმა არავინ ამოიღო და კიდევ კარგი, რაღაც ძალამ გადაგვარჩინა...

*ოქტომბერი, 2008*

## ჩვენი დროც მოვა

ევროკავშირი კრემლთან მოლპარაკებების განახლებას აპირებს, რუსეთის პირისპირ ისევ მარტოდმარტო ვრჩებით...

ეს ყვალაფერი დასავლეთისა და ამერიკის ხელწერაა, ისტორიულად ეს ამბავი გამოცდილია და ვისაც საქართველოს წარსულში ჩაუხედავს, დამერწმუნება, რომ ამერიკამ და ევროპამ ჩვენ არაერთხელ გვიღალატეს და რუსეთი ხახაში ჩაგვაგდეს. ეს ხელისუფლება ქართველ ხალხს არ აურჩევია და მიხეილ სააკაშვილი აშშ-მა გოდრით დაგვისვა მთავრობის სასახლეში. 1918-21 წლებში ასე დაპარპაშებდნენ აქ მოკლეშარვლიანი ამერიკელები, ინგლისელები და გერმანელები, რომლებიც მტკაველ-მტკაველ ზომავდნენ საქართველოს მიწას და გვაიმედებდნენ, უი, რა კარგი ქვეყანა ყოფილხართ, რა მშვენიერია, საქართველო უნდა ავაყვაოთ და ავაღორძინოთო. როგორც კი მე-11 არმია გამოჩნდა და საქართველოში შემოვიდა, მოკლეშარვლიანი ამერიკელები, ინგლისელები

და ფრანგები, ერთმანეთს ასწრებდნენ, ხოლო გერმანელები უკვე კარგა ხნის წასულები იყვნენ. ცხადია, რომ 1 აგვისტოდან, როცა ოსებმა ცხინვალიდან და ცხინვალის გარშემო მდებარე ოსური სოფლებიდან ხალხის ევაკუაცია დაიწყეს, ამ საათიდან და იმ წუთიდან დაიწყო რუსეთმა ომი. ამერიკელებიც და ევროპელებიც ხუთი დღის განმავლობაში გაყუჩებულები იყვნენ. ცოტა ადრე რომ შემოეყვანა ამერიკას თავისი კრეისერები შავ ზღვაში, რუსული თვითმფრინავები საქართველოს ცაზე ასე ვერ იპარპაშებდნენ. ამიტომაც გეუბნებით, ჩვენ ამერიკამაც და ევროკავშირმაც გაგვყიდა. მაგრამ, როცა ამათ დაინახეს, რომ რუსეთი მხოლოდ საქართველოს ტერიოტირების ოკუპაციით არ კმაყოფილდებოდა, ამის შემდეგ ამოიღეს ხმა. თვენახევარი ეყოთ ეს ლაი-ლაი, მაგრამ ახლა, როცა სიცივემ მოუჭირა და ზამთარმა კარზე მოუკაკუნათ, ევროპაში მაშინვე დაიწყეს ჩურჩული, – მოსრია საქართველოს პატრონი, ქართველების გულისთვის ჩვენ ზამთარში ვერ გავიყინებითო. ჯერ ერთ ელემენტარულად კაცობის ამბავია, შე კაი კაცო, რუსეთმა ექვსივე პუნქტი შეასრულა, რომ ლაპარაკობ? დღემდე გვაფეთქებს, დღემდე ხოცავს ქართველ ბიჭებს, საქართველოს მესამედი წაღებული აქვს და რომელ 7 აგვისტოს მდგომარეობის დროინდელი სტატუს კვოს აღდგენაზეა ლაპარაკი? დარწმუნებული ვარ, რომ ევროპასა და რუსეთს შორის მოხდა ბინძური შეთანხმება – ევროპამ საქართველო თხასავით გაყიდა და ჩვენი გულისთვის რუსეთთან ჭიდაობას თბილად გამოზამთრება არჩია.

სხდომების ეთერში გადაცემა გულისამრევი და საზიზღარია, რა ვთქვა, აღარ ვიცი... როგორც ჩანს, საქართველო ამათ ბომჟების, ყრუების, წერა-კითხვის უცოდინართა ქვეყანა ჰგონიათ, თორემ, რასაც ეს კომისია ბედავს, ამას ვერავინ გაბედავდა. გამოჰყავთ სახელმწიფო დამნაშვეები და ეკითხებიან ისეთ რაღაცებს, რომ ისინი უხერხული სიტუაციიდან გამოიყვანონ... ამოდენა ომი წავაგეთ და თურმე ეს ყველაფერი იმის ბრალი ყოფილა, რომ კულტურისა და გარემოს დაცვის მინისტრებს კარგად ვერ უმუშავიათ. ანდა, ეს



ახალი პრემიერ-მინისტრი საიდან მოძებნეს. ჩემი მეგობრის ვაჟია, ქალბატონ მანანა ფხაკაძის ვაჟიშვილი და მის დაბნეულ, საცოდავ სახეს რომ ვუყურებ, სურვილი მიჩნდება, ვუთხრა, – რა გინდა, შვილო, აქ, რატომ ჩაყავი თავი ამ თონეში?

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილს არავითარი პერსპექტივა არა აქვს. დღეს მიშა ხავსს ებლაუჭება. მე არა ვარ იმის მომხრე, ვინმე ციხეში ჩასვან, მაგრამ, როგორ განვითარდება პროცესები და რა დასკვნას დადებს ევროკომისია სააკაშვილის სამხედრო დამნაშავეობის შესახებ, კაცმა არ იცის.

სააკაშვილის ხელისუფლება ხომ უიმედოდ არის ჩაძირული. მაგრამ 7 ნოემბერს იმაშიც დავრწმუნდი, რომ დღევანდელი ოპოზიციისაგან, უფრო სწორად იმ ხალხისაგან, ვინც ტრიბუნასთან იდგა, საიმედოს არაფერს უნდა ველოდოთ. 7 ნოემბერს მე მივედი ხალხთან, მაგრამ ჩვენი ბელადების თეატრალური შეძახილების გამო, კინაღამ გული ამერია და რუსთაველის პროსპექტიდან წამოვედი. 7 ნოემბრის მიტინგი ძალიან ჰგავდა 12 აგვისტოს მიტინგს. როგორც ბოკერია და ძმანი მისნი ბღაოდნენ პარლამენტის წინ 12 აგვისტოს. სხვათა შორის, 7 ნოემბერს მთელი თბილისი იმ იმედით იყო სახლში, რომ ოპოზიცია დაუძახებდა და იმ დღესვე დაიწყებოდა დაუმთავრებელი აქცია პარლამენტის წინ, რომელიც სააკაშვილის წასვლით დამთავრდებოდა. მაგრამ კუკავამ დაასრულა სერობა და ხალხი სახლში გაუშვა. ასე რომ, ოპოზიციის მსვლელობა სააკაშვილის ახალ რაისხტაგამდე, ეს იყო დროის ფუჭად კარგვა, ოპოზიციას უნდა დაეწყო პერმანენტული აქციები და მიშა ისეა შეშინებული, სულაც არ გახდება საჭირო ის, რაც სააკაშვილმა მიშამ გააკეთა 2003 წლის 23 ნოემბერს, როცა ჯავშანჟილეტით პარლამენტში შევარდა და შევარდნაძის ჩაი დალია...

მიტინზე ერთი კაცი მოვიდა და მეუბნება, – კაცო, შენ ამ ნოემბერში ქუჩაში დგომა ადვილი ხომ არ გგონიაო? ადვილი რა არის, იცით? თბილ ბუხართან რომ ხარ მიფიცხებული, ნინო ბურჯანაძის პლედი რომ გაქვს მოხურული და

ხელში ტელევიზორის პულტი გიჭირავს. 7 ნოემბერს არ იყო იმაზე უარესი ამინდი, ვიდრე 2003 წლის ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, როცა ხალხს ცელოფნები ჰქონდა თავზე გადაფარებული და ქუჩაში იდგა. ეს გაყიდული ოპოზიცია დღენიადაგ ამას ჩასჩურჩულებს სააკაშვილს, – მიშა, ჩვენ შენი ვართ... ასე გაუხანგრძლივეს სააკაშვილს 9 აპრილამდე პოლიტიკური სიცოცხლე, რასაც გიგა ლორთქიფანიძე ვერ შეეგუა და ერთ გაზეთში „ყავარჯენი მოიქნია“, – 9 აპრილამდე ამ ხელისუფლებას ვერ მოვითმენო... 7 ნოემბერს ვინც მიტინგზე მიკროფონთან იდგა, მათ შორის შალვა ნათელაშვილი ერთადერთი კაცია, ვისაც გულწრფელად უნდა მიშას წასვლა. შალვა ქართველი კაცია, ჩირაღდანივით ანთებული კაცია, დანარჩენები, ვინც მიკროფონთან იდგნენ, ყველანი არიან მიშას მიერ დანიშნული ოპოზიციონერები. ან ის გულისამრევი და სამარცხვინო სცენა რა იყო, როცა სააკაშვილი, ერთი წლის წინათ დარბეული მიტინგის მონაწილეს შეხვდა. იმის ნაცვლად, რომ ნაცემი კაცისთვის ბოდიში მოეხადა, სააკაშვილი იძახდა, რაც ერთი წლის წინათ მოხდა, იმის შემდეგ ხომ გამოვიტანეთ მე და შენ დასკვნებიო? ის საცოდავი კაციც მორჩილად თავს უქნევდა ოჯახში შემოვარდნილ პრეზიდენტს, კი, კი, გამოვიტანეთ, ბატონოო...

დაქსაქსულობის სენი, ინტელიგენციასაც გვარიანად შეეპარა. ერთ მუშტად შეკვრის ნაცვლად, ჩვენი ინტელიგენტები სხედან და საკუთარი მეგობრებისაგან (თანამოაზრეობა ან საზოგადოებრივი წონა-გავლენა აუცილებელი არ არის), სხვადასხვა აკადემიებსა და საბჭოებს ადგენენ. მეცინება, გაზეთებში რომ უხუცესთა საბჭოების და სათათბირო დარბაზების სიებს ვეცნობი... ვისაც თავის გამოჩენის ჭია ხრავს ან წინ თეფშების გარეცხვა ეზარება, ქალებს ვგულისხმობ, ყველა იქ არის როგორც ოთარ მამფორია იტყოდა, ამათი ნაშველი საქართველო არ გაიშვა!

ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ფრაზა, – „რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთხელმწიფება!“ – დღესაც აქტუალურად დგას საქართველოს წინაშე?



ეს ისტორიული სიტყვები დაიწერა თითქმის ორი საუკუნის წინათ, მაგრამ დღეს რეცეპტად ისინი ვერ გამოგვადგება... ერთი ჩემი მეტყველებამოშლილი კურსელისგან განსხვავებით, რომელიც იძახის „ილიელი ვარო!“ ვერ გავბედავ ამის თქმას, რომ ილიას რაზმელი ვარ, მაგრამ იმის თქმას კი გავბედავ, რომ რუსის ჩექმისგან საქართველოს განთავისუფლება ვინატრო! 200 წელი რომ სისხლი გამიშრო, სამეფო რომ გამიუქმა; 1921 წელს რომ ომი დამიწყო; 1992 წელს რომ ომი დამიწყო; 1993 წელს რომ აფხაზეთი წამართვა; აგერ ახლა, ორი თვის წინ რომ ცხინვალი ხელიდან გამომგლიჯა, ამ რუსეთისგან განთავისუფლება მინდა! რუსო არ გრცხვენია, შე კაცო? არ გრცხვენია, შე პირატო და ყაჩაღო რუსო, ამოდენა ტერიტორიების პატრონო რუსო, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ მისწერა ლენინს, რას ეპოტინები ამ საქართველოს?.. დღეს საქართველო სახელმწიფო არ არის და იგი დანგრეული ქვეყანაა. რუსეთის გადამკიდე, დღეს საქართველოს ბედს თურქეთში შეკრებილი სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები წყვეტენ და არავინ არაფერს ჩვენ არ გვეკითხება.

თუ ამერიკამ, ევროპამ ხელი არ გამოიღო, თუ რუსეთს არ გაუჭირდა პოლიტიკურად და ეკონომიურად, არავითარ შემთხვევაში, მოსკოვი უკან არ დაიხევს და რაც წაგვგლიჯა, არ დათმობს.

– ჩვენ უნდა დაველოდოთ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას და ომზე ფიქრს თავი უნდა გავანებოთ, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რუსეთთან ჩატეხილი ხიდების აღდგენას და თეთრი, ბრაზიანი დათვისათვის ენის გამოყოფის პოლიტიკას ერთხელ და სამუდამოდ შევეშვათ. ამავე დროს აუცილებლად უნდა გავატაროთ დაბალანსებული პოლიტიკა – არც ამერიკას დავემონოთ და რუსეთი მტრად არ გამოვაცხადოთ და არც რუსეთს გავუწვეთ და არც ამერიკა ვლანძღოთ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი, ჩემი აზრით, არის გრძელვადიანი, მრავალ თაობაზე გათვლილი პერსპექტივა, რომელსაც მე ვერ მოვესწრები,

მაგრამ მას, დარწმუნებული ვარ, ჭკვიანი ხელისუფლებებისა და რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიული ინტერესების ობიექტურად თანხვედრის პიროებებში, განხორციელება უწერია...

*ნოემბერი, 2008*

## პოლიტიკური ახლომხედველობა დაგვღუპავს

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ჩვენი ისტორიული ბედისწერაა. იყო პერიოდები, როდესაც ამაზე მცირე ტერიტორია გვქონდა, მაგრამ არსებობდა განსაცვიფრებელი თვისება ქართველ ტომთა, რასაც ჰქვია ქართული ფენომენი – საქართველო ისევ იკვრებოდა და კოწიწდებოდა. ჩვენი გადარჩენის საიდუმლო არის ის, რომ როდესაც იმპერიასთან ომს ვაგებდით, მეორე დღესვე გაიშლებოდა ფარული, გამოუცხადებელი მოძრაობა. ოჯახები ერთმანეთს გენეტიკურ სულს გადასცემდნენ – მე ახლა დაპყრობილი ვარ, მტერს ხარკს ვაძლევ, სახელმწფოებრიობა არ გამაჩნია, მაგრამ შევინარჩუნებ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილს. ადრე თუ გვიან, ისევ გავმთლიანდებითო, ეს არის ამოუხსნელი სასწაული თვისება ქართველთა

მე ომი არ მიკვირს. ერთხელ ჩემს მეგობარ ლევან სანიკიძეს ვთხოვე, დაეთვალა ქართველების წაგებული და მოგებული ომები. თქვენ წარმოიდგინეთ, ასი ომიდან ოთხმოცი წაგებული გვაქვს. ასევე ვერ გავუმკლავდით რუსეთის იმპერიას და ორასი წელი ბატონობდა იგი საქართველოში. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაშიც მას ვებრძვით. ვერ შეეგუა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. რუსმა პუბლიცისტებმა და პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ კავკასიის დაპყრობის გასაღები საქართველო იყო.



გაზეთები, მათ შორის მწერლის გაზეთიც, ისეთ საინტერესო ანალიზს აკეთებენ, რომ მიკვირს, რატომ არ არსებობს ანალიზის ცენტრი, რომ ყველაფერი მიიტანონ სააკაშვილამდე და უთხრან: მიშა, მართალია, შენ ესა თუ ის პოლიტიკოსი და ჟურნალისტი არ გიყვარს, მაგრამ დაუგდე ყური, აქ ეს წერია, იმან ის თქვაო, მაგრამ სააკაშვილი არავის უსმენს. მან მრჩეველებიც კი გამოყარა კანცელარიიდან. სააკაშვილს თავი გენიოსი ჰგონია, მაგრამ ბეცი, ახლომხედველი პოლიტიკოსია. პროვოკაციაზე წამოეგო და ახლა ევროკავშირს უხდება იმის მტკიცება, რომ სააკაშვილი შეაცდინეს და რუსეთმა გადაუარა საქართველოს. რუსეთი რომ აგრესორი და დამპყრობელია, მსოფლიომ იცის, მაგრამ რატომ უვარდები ხახაში, როდესაც სახელმწიფოებრიობა ჩამოყალიბებული და გამაგრებული არა გვაქვს, რატომ აყენებ ასეთი დარტყმის ქვეშ ქვეყანას?!

გული მერევა, ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლები რომ გამწკრივდებიან ხოლმე აეროპორტში და ერთმანეთს ასწრებენ ამერიკაში წასვლას. გაჩეჩილაძე, გამყრელიძე, ბურჯანაძე, უსუფაშვილი და სხვები გინდ ამერიკაში წასულან, გინდა რუსეთში, ჩემთვის სულერთია. გინდ – მგელს შევუჭამივარ და გინდ მგლისფერ ტურას. ორი მხეციდან უკეთესი ამერიკა�ა, ვერც ამ აზრს გავიზიარებ. ქართული ანდაზაა: „თხა აქეს, ადიდეს, შეაგულიანეს, შეათამაშეს და მგელს შეაჭამესო“. ასე უქნა საქართველოს ამერიკამ ჩვენს სულელ პოლიტიკოსებსაც ეგონათ, უი, რა ძლიერები ვართ, ხვალვე შეგვიძლია რუსეთს კუდით ქვა ვასროლინოთო... ისეთი დებილებიც არ არიან რომ არ სცოდონდათ, როკის გვირაბიდან ხოჭოებივით რომ გამოვიდოდნენ რუსული ტანკები. ამერიკამ აცალა რუსეთს, ვიდრე არ გაანადგურებდა, გააჩანაგებდა საქართველოს ეკონომიკას, ვიდრე არ მოსპობდა სამხედრო ინფრასტრუქტურას. როდის აქეთ შეუყვარდა რუსს ოსი და აფსუა. განა მათ რუსეთმა არ წაართვა ანბანი? ეს ტერიტორია დროებით საცხოვრებლად დავუთმეთ აფსუა მწყემსებს.

ომი ახლა კი არ იყო საჭირო, 50 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო. რადგან ჩვენ მაინც ძალით უნდა დავიბრუნოთ ეს ტერიტორია, ჟენევის და ევროკავშირის მოლაპარაკებით ვერ დავიბრუნებთ. უნდა გავდევნოთ იმ ტერიტორიიდან აფსუეებიც და ოსებიც, თუ ჭკვიანად არ იქნებიან. თუ აღიარებენ, რომ არიან ეროვნებით ოსები, მაგრამ ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, ჩემი თავი ენაცვალოთ.

ამერიკაც და ევროკავშირიც გვატყუებენ, ყოველ შემთხვევაში, ოთხ დღეს აცალეს რუსეთს ჩვენთვის თავში ებრაგუნა და მერე გამართეს სხდომა – საწყალ საქართველოს რა უქნესო. საქართველოს სიყვარულით კი არ მართავენ ამ სხდომას, ვაითუ, რუსეთი გაძლიერდა და ზესახელმწიფოს სტატუსი მოიპოვა, ხვალ ხომ მეც იგივე მელისო – ეს არის მათი ფილოსოფია.

როდის დავუშვით პირველი შეცდომა?

15 წლის განმავლობაში კონფლიქტის გაყინვას შევუწყვეთ ხელი. ჩვენი ხელისუფლება გადასული იყო საქართველოს გაყვლეფასა და გაყიდვაზე. ეროვნული სული კი არ გააძლიერეს, პირიქით, ჩაკლეს. ჯარისკაცები აქციეს „კონტრაქტნიკებად“, რეზერვისტთა და პატრიოტთა ბანაკები კი გარყვნილების ბუდეებად. ხელისუფლება, რომელსაც სძულს შოთა რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, ვერასოდეს გაიმარჯვებს. როგორც კი სააკაშვილი მოვიდა ამ დღიდან დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას. პირველივე დღეს დაამსხვრია ის ეროვნული სახელმწიფო, რომლის აშენებას შეუდგა ზვიად გამსახურდია.

დღეს გამსახურდიას არაერთი მომხრე დგას სააკაშვილის გვერდით...

ეს ავადმყოფი ხალხია. სააკაშვილმა საქართველოს ეროვნება წაართვა, მწერალთა კავშირს ღამის ოთხ საათზე სპეცრაზმი დაასხა თავს. უნივერსიტეტი დაანგრევინა წერაკითხვის უცოდინარ ლომაიას, რომელიც ვერ ამბობს და ვერ წერს სიტყვა „ბავშვს“ და „ექვსს“. სტუდენტებს გამოუცხადა, წიგნი არ დავინახო თქვენს ხელში. წიგნის დრო წავიდაო. ლომაიამ თავი მოჰკვეთა უნივერსიტეტს და ქართულ მეცნიერებას. ახლა უნივერსიტეტის იუბილე ჩატარდა, უნივერსიტეტის არც ერთი მამა, მთელი სიცოცხლე რომ უნივერსიტეტს შესწირეს, არ მიიწვიეს. დღეს უნივერსიტეტს ხელმძღვნელობს ხუთკუთხა სახის მქონე, ვიწროშუბლა, ვინმე უშაფათელი გლეხი გია ხუბუა. სამარცხვინოა, როგორც მისი არსებობა, ისე მისი მეცნიერობა. დედამიწაზე არ არსებობს რექტორი, რომელიც უნივერსიტეტის დერეფანში დაცვით დადიოდეს. წარმოგიდგენიათ, ილია ვეკუა, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი დაცვით შესულიყვნენ უნივერსიტეტში! ხუბუამ უნივერსიტეტი სამხედრო ბანაკს დაამსგავსა. როცა პროტესტი გამოვთქვით, ხუთასი პოლიციელი შემოიყვანა, ხელები გადაგვიგრიხა და კლუბში შეგვყარა, დილამდე წყალიც კი არ მოგვაწოდა მოხუც პროფესორებს. შემოყარა ხუბუამ თავისი ნათესავები, ყველა თანამდებობაზე ისინი არიან. გააუქმა სამეცნიერო საბჭოები და რაც ყველაზე სამარცხვინოა ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტები. ეს ის ფაკულტეტებია, უნივერსიტეტის დაარსების პირველ დღეს რომ შეიქმნა. შვიდი ფაკულტეტის გაერთიანებას დაარქვეს ჰუმანიტარული ფაკულტეტი, არსებობს პროფესია ჟურნალისტი და ფილოლოფი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, მაგრამ დღეს რომ სტუდენტს ჰკითხო, რა არის თქვენი პროფესიაო, გეტყვის – „ჰუმანიტარი“. აი რა უქნეს იმ უნივერსიტეტს, რომელშიც ლექციებს კითხულობდნენ: კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია. გასამხედროებულ უნივერსიტეტში წინა დღეს აცხადებენ, ხვალ უნივერსიტეტში დასვენებაა, ნუ მოხვალთ. ამასობაში ხუბუა საიდუმლო სამსახურს აძლევს შავ სიას. სტუდენტებიდანაც და თანამშრომლებიდანაც შერჩეულია სააკაშვილის ტაშის დამკვრელი არასერიოზული მეცნიერები. იქ არც ერთი სტუდენტი არ დასვამს კითხვას, რატომ წაგვართვით ეროვნება, ბატონო პრეზიდენტო? რატომ დაიხურა უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონის, კონსტანტინეს გამსახურდიას კაბი-

ნეტები? მეორე დღეს სამთავრობო ტელევიზიები იტყვიან – უნივერსიტეტში სტუდენტებს შეხვდა პრეზიდენტი. ვიღაცა სულელი გოგო გამოვიდა – რა მშვენიერია, ანგარიშს გვაბარებს პრეზიდენტიო. პრეზიდენტი ანგარიშს სტუდენტებს კი არა, ქართველ ერს არ აბარებს. მას სძულს ყოველივე ქართული, რის მაგალითსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით.

ამან უკვე მიგვიყვანა იქამდე, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობს. ახლახან გურამ შარაძის დაბადების დღე იყო. იცით, რატომ მოკლეს გურამ შარაძე? პირდაპირ იყო ბრძანება წამოსული ხელისუფლებიდან, დაინახოს თბილისმა, როგორ უსწორდება ხელისუფლება ეროვნულ მოღვაწეებსო, ახლა ერთი მეტყველებადაკარგული კაცი ყოველ დილით ტელეეკრანთან აცხადებს – მე ილიელი ვარო.

ნამდვილი ილიელი ქუჩაში გააგორეს. ვინ ხარ, რა გაგიკეთებია, რა დაგიწერია? ასეთია საქართველოში ეროვნული აზროვნებისადმი დამოკიდებულება.

ჯერჯერობით საქართველოს სძინავს. როცა ქართველი ბიჭების გვამებით მოფენილია ცხინვალი, გამოდიან და ბღავიან გამარჯვებულები ვართო. იმ ქართველებს რა უნდა ელაპარაკო, რომლებიც სააკაშვილის მხარდასაჭერად ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებენ და იტყვიან – დავამტკიცეთ, რომ ერთიანი ვართ. ეს არის უცოდინარი, პოლიტიურად გაუნათლებელი ბრბოს დასტური ქარიზმული, მაგრამ წონასწორობადაკარგული პრეზიდენტის დასაცავად. თეატრალური ვიცით ყველაფერი და მათ შორის დატირებაც. სააკაშვილი მდუმარე მიტინგით იქამდე უნდა მიიყვანო, რომ სინდისი გაუღვიძო და მიხვდეს, მას მორალური უფლება არ აქვს, საქართველოს პრეზიდენტი იყოს. ამერიკაც უნდა მიხვდეს, რომ ის არასერიოზული პიროვნებაა.

ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ხალხის გამოსვლა აიცილოს თავიდან, რადგან ესენი არიან შურისმაძიებელი ახალგაზრდები, გაუნათლებელმა პატარა ბიჭებმა იმდენი ფული იშოვეს, ისე დათრგუნეს და დატკეპნეს საქართველო, რომ ცოცხალი თავით არ დათმობენ სკამებს.



ახლა საქართველოს პარლამენტმა 31 ოქტომბრამდე გააგრძელა საგანგებო მდგომარეობა. 31-ში გააგრძელებენ 15 ნოემბრამდე. მერე გამოგვიცხადებენ, საგანგებო მდგომარეობაა და ყოველგვარი მიტინგი აკრძალულიაო. საქართველოს მომავალი ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ქართველი გამოვა 7 ნოემბერს რუსთაველზე.

რაც შეეხება მწერალთა კავშირს, ქართული მწერლობა 1917 წლიდან ამ შენობაშია. 1912 წელს გარდაიცვალა სარაჯიშვილი, რომელმაც თავისი ანდერძის თანახმად, ეს შენობა დაუტოვა ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას. მისმა ცოლმა მიჰყიდა ქართველ საქმოსან ხოშტარიას. ისიც პროგრესული კაცი იყო და 1921 წელს, როდესაც ბოლშევიკები შემოდიოდნენ, დაუძახა მწერლებს და უთხრა – ჩვენ გავრბივათ, ეს შენობა თქვენთვის მიჩუქებიაო. ამასობაში შემოვიდნენ ბოლშევიკები, რომლებთანაც მივიდნენ ტიციან ტბიძე, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ჰკითხეს, ხოშტარიამ ეს შენობა დაგვიტოვა, თქვენ რას გააკეთებთო? შალვა ელიავამ დაწერა განკარგულება: „გადაეცეს მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე სახლი ქართველ მწერლებს“. ეს საბუთი ხელში გვიჭირავს ამის შემდეგ ცალკე მჟავანაძის, ცალკე შევარდნაძის და ცალკე გამსახურდიას განკარგულებები არსებობს, მწერალთა კავშირს სამუდამოდ დაუკანონდეს ეს შენობაო. ეს დოკუმენტები სასამართლოში გვაქვს მიტანილი. 4 მოსამართლე გამოვიცვალეთ. ოთხივე აღმოჩნდა უსაყვარლესი ადამიანი, ტირიან, როცა გველაპარაკებიან, რა ვქნათ, სააკაშვილი „გვაწვება“, ეს შენობა წაგართვათ, არადა, ჩვენი იურიდიული უფლება არა გვაქვს, რომ ეს შენობა არ დაგიკანონოთო.

ახლა სააკაშვილმა შექმნა ე. წ. ანტიკრიზისული საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუყენა გია თორთლაძე. მან მეორე დღესვე გამოაცხადა, ჩემი ცხრა მოთხოვნიდან ერთ-ერთი იქნება მწერალთა კავშირისთვის თავისი სასახლის დაბრუნებაო. გამოცვივდნენ ვაჩეიშვილი, უგულავა, სამადაშვილი და გამოაცხადეს – იქნება „მწერლის სახლი“, ოღონდ ეს იქნება ქალაქის საკუთრება. ჩვენ დავნიშნავთ დირექტორს,

რომელიც აუცილებელი არ არის მწერალი იყოს, თურმე ჩვენ, მწერლებს, უფლება გვექნება, შევიდეთ ჩვენს სახლში და ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით. თურმე სამადაშვილს და უგულავას უნდა ვეხვეწო, რომ ჩემს სახლში ღონისძიება ჩავატარო. მწერალთმოძულე ამ სამ კაცს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ისინი დროებით არიან თანამდებობაზე, ხვალ და ზეგ აღარ იქნებიან, მაგრამ ქართული მწერლობა დარჩება.

*ოქტომბერი, 2008*

## ბატონო პრეზიდენტო!

უკანასკნელი თვეების მანძილზე (თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში) ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულმა შეთქმულებამ ზენიტს მიაღწია.

ყველა მხრიდან უტევთ თქვენ და თქვენი ხელისუფლება ქართულ ეროვნულ სულს.

წასალეკავად გაიმეტეს ის ეროვნული ღირებულებანი, რასაც ჩვენმა სულიერმა მამამ ილია ჭავჭავაძემ თავი შესწირა.

მიმდინარეობს მთელი საქართველოს სოროსიზაცია: უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნის გადაკეთება სამოახლო-სამოსამსახურეო, განვითარებად რეგიონად.

თქვენი სამინისტრო-სამსახურები ბარბაროსულად უტევენ ქართულ ეკლესიას (იოღოველთა გაჯეჯილებით), ქართულ ენას, ქართულ სასკოლო და უმაღლეს განათლებას, ქართულ კულტურას საერთოდ და ეროვნულ მწერლობას განსაკუთრებით.

ყველა მიმართულებით აბსოლუტური მარცხი განიცადეთ პირადად თქვენ, როგორც პრეზიდენტმა რაკიღა თქვენი ნაბიჯები საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში იმპულსური იყო და არა ბრძნული განსჯის ნაყოფი.



დამარცხდით სამაჩაბლოში, დამარცხდით აფხაზეთის დაბრუნების მცდელობაში. თქვენს არცერთ ნაბიჯს უცხოეთის დიპლომატია სერიოზულად აღარ აღიქვამს. თქვენი ყველაზე დიდი „მიღწევა“ ის არის, რომ „სხვათა ომისთვის“ განწირული ქართველი ჯარისკაცებით (მარტო ერაყში – 800!) გაავსეთ აზია და გარეთ ხელმოცარული შინაურს მოერიეთ.

შიში სუფევს ქვეყანაში.

მათრახით აპირებთ საქართველოს დაპყრობას?

ჩვენ ეს არაერთგზის გვინახავს და მათრახ-საპყრობილეებით ვერ შეგვაშინებთ.

ცეცხლს ეთამაშებით, ბატონო პრეზიდენტო.

უნდობლობას უცხადებთ უნივერსიტეტის 26 ათასიან კოლექტივს, ბუდეს უშლით, საკუთარ სასახლეს ართმევთ ქართულ მწერლობას, თქვენი უმწიფარი მინისტრები დასცინიან ქართულ სახელმწიფოს და არაბ-მონღოლებზე უფრო სასტიკად, ცინკურად იქცევიან: ჰყიდიან ყველაფერს, მათ შორის სამხედრო ინდუსტრიის უკანასკნელ იმედს – 31-ე ქარხანასაც კი.

არადა რა იმედი გვქონდა თქვენი. გაზეთის წასაკითხად თქვენ სად გცალიათ, მაგრამ იქნებ გადაგეფურცლათ „მწერლის გაზეთი“ ამა წლის პირველი ნახევრის რამდენიმე ნომერი და გეხილათ, როგორ გიჭერდით მხარს. ვის, თუ არა შემოქმედებით ინტელიგენციას უნდა გახარებოდა ახალი ძალის მოსვლა ხელისუფლებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთს თქვენს ნაციონალისტობაში ეჭვი გვეპარებოდა (თქვენ ხომ ჟვანიასთან და ბურჯანაძესთან ერთად გააფთრებით იბრძოდით, რათა პარლამენტს არ დაემტკიცებინა ის სამი ეროვნული კანონი – სახელმწიფო ენის, რელიგიის და ეროვნული რეკვიზიტისა, რომელიც ყოველი ეროვნული სახელმწიფოს ბალავარია), მაგრამ თუ აწი მაინც ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში ჩაებმებოდით, მზად ვიყავით თქვენი მოქკავშირულ-კოსმოპოლიტური წარსული დაგვევიწყებინა.

სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვი გამართლდა.

სამუდამოდ მოგვამდურეთ მუსლიმანური სამყარო, გააჩანაგეთ და ძველ ჩინოვნიკთათვის წართმეული თუ წასართმევი ფულის იმედად დააგდეთ ქვეყნის ბიუჯეტი. შიმშილსა და სიბნელეს მოუცავს ლამის მთელი საქართველო. ცრუ დაპირებებით და უაზრო ღიმილით თავი მოაბეზრეთ ქვეყანას. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ, რომ თქვენ ქვეყნის შველა კი არა, ოდენ პირველკაცობა გსურდათ, რასაც დროებით (ჰაი, ჰაი, რომ მხოლოდ დროებით!) მიაღწიეთ კიდეც.

ქართული სულიერი ცხოვრების ბორბალი უკუღმა რომ დატრიალდა, შემოქმედებითი კავშირების ილაჯგაწყვეტილმა წარმომადგენლებმა (ექვსივე შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე აწერდა ხელს) დეპეშა გამოგიგზავნეთ და მოსათათბირებლად მიღება გთხოვეთ.

პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რევაზ მიშველაძემ პირადად გადმოგეცით წერილი, გთხოვეთ, საჯაროდ გამოგეხატათ თქვენი დამოკიდებულება მწერალთა სახლის წართმევის მცდელობის ვანდალური ფაქტის მიმართ.

აქაც სამარისებური დუმილი.

პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეთ.

ამ ორი კვირის წინათ ყველა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა „მწერლის გაზეთის“ საშუალებით თავისი დამოკიდებულება გამოხატა ინტელიგენციისადმი დღევანდელი ხელისუფლების აგდებული დამოკიდებულების გამო.

პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეთ.

ახლახან მწერალთა კავშირში ქალბატონი სანდრა რულოვსი მოვიწვიეთ, რომელმაც გაოცება ვერ დამალა შემოქმედებით ინტელიგენციასა და მის ქონებაზე ბარბაროსული შეტევის გამო.

ჩანს, არც საკუთარ მეუღლეს მოუსმინეთ.

ბოლოს გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ხელმოწერით გამოგიგზავნეთ წერილი, რომლითაც ერთხელ კიდევ გთხოვდით, გადაგერჩინათ საკუთარი ღირსება – უდანაშაულო შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსების დაცვით.



პასუხი არ ჩანს.

და აი თქვენი დუმილის შედეგი, – უსამართლო განაჩენი.

რაო, თქვენ, ქვეყნის პრეზიდენტს, სრულწლოვან, ზრდასრულ კაცს უფლება გაქვთ ამდენ დეპეშას, წერილს და მიმართვას დუმილით უპასუხოთ?

ვინ აღგჭურვათ, ბატონო მიხეილ, უზურპატორის ამ უფლებით? იქნებ ჩვენ, თქვენმა ამომრჩევლებმა?

ახია ჩვენზე.

*16. 11. 2004*

## არის გამოსავალი

ასე მგონია, რომ ჩვენმა ოპოზიციამ ხალხი ხელოვნურად დააბნია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგიერთი პარტიის ლიდერს სკამის ხელში ჩაგდება უფრო უნდა, ვიდრე საქართველოს შველა.

ოპოზიციური პარტიების ყველა ფორუმს ვესწრები, ყველა შეკრებას... ყველა პარტიის პროგრამას ვკითხულობ, მაგრამ არ ვიცი, საშინლად დავიბენი და მე რომ დავიბნევი, ხომ წარმოგიდგენიათ, ხალხი რა დღეში იქებნა? ოპოზიციონერთა ერთი ნაწილი აცხადებს, – რეფერენდუმი იმის შესახებ უნდა ჩავატაროთ, დავნიშნოთ თუ არა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიო!.. გეკითხებით, კაცო, განა ეგ არ არის იმის მინიშნება და აღიარება სააკაშვილისთვის, რომ მიშა, შენ მანდ არხეინად იყავი, კაციშვილი ბუზსაც ვერ აგიფრენს ცხვირწინო? ზოგი საზღვარგარეთიდან იქადნება, – ჩამოვალ და ყველას თავ-ყბას გაგიერთიანებთო!.. ზოგი ამბობს, მე ამის და ამის გვერდით არ დავდგებო!.. ყოველივე ამის გამგონე და შემყურე ხშირად თვალებს დავხუჭავ და წარმოვიდგენ, – თუ როგორ დადგებიან 9 აპრილს ტრიბუნასთან იმ გაერთიანებების ლიდერები, რომლებსაც ჭირივით ეზიზღებათ ერთმანეთი, რადგან ყველას პრეზიდენტობა უნდა, ხოლო ამ დროს,

ჩვენი ეროვნული პარტიების ლიდერები, გვინდა-არგვინდა, სეირის მოყვარულთა მდგომარეობაში იქნებიან.

საინტერესოა, რას უყურებენ ეს დალოცვილები... გამოვიდნენ და მოფხანონ ხალხს გული. ისინი ამ დროს იტყვიან, – ჩვენ ხალხს გული საკმაოდ მოვფხანეთ, მაგრამ ახლა ვდგავართ და ველოდებით, საითკენ წაიყვანენ ეს პროვოკატორები ქვეყანასო! აი, ეს იქნება, 9 აპრილს!..

თუკი 9 აპრილს ეროვნული ძალების პარად-მანიფესტაცია უნდა ჩატარდეს, რა საჭიროა ეს? გადადგომას რომ ეს ხელისუფლება არ აპირებს, ცხადია, და ჩვენ ახლა ის ვითვალოთ, 80 თუ 100 ათასი კაცი მოვა მიტინგზე?

სააკაშვილი თვითონ ამბობს, – საქართველოს მოსახლეობის 70-80%-ს ვეზიზღებიო! მიტინგზე რა რაოდენობის ხალხიც გინდა მოვიდეს, თურმე სააკაშვილს ყველაზე უკეთ სცოდნია, ვის უყვარს იგი საქართველოში და ვის არა.

აქედან გამომდინარე, ვეკითხები საზოგადოებას, – ასეთი კაცი შეიძლება პრეზიდენტის პოსტს ებღაუჭებოდეს? სააკაშვილს ჭკუა რომ ჰქონდეს და საქართველო უყვარდეს, უპირობოდ უნდა გადადგეს და თან თქვას, ჩემო ძვირფასო ხალხო, მე დავიწყე ძალიან ენერგიულად, მაგრამ გარემოებამ, გარემოცვამ, რუსეთის იმპერიამ არ მომცა საშუალება; თანაც, მეც ვიჩქარე, სულელურად დავეტაკე საქართველოს ეროვნულ წისქვილებს, სადაც სრული კრახი განვიცადე... აი, მეც ხომ მყავს ჩემი მომხრეები და დაპირისპირება რომ არ მოხდეს ჩემს მხარდამჭერებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის, მივდივარ!.. აი, ასეთი სიტყვა რომ თქვას სააკაშვილმა, ქართველი ხალხი საშინლად ტოლერანტია და დარწმუნებული ვარ, რომ მას კიდევ რაღაცას აპატიებს. 3-4 წლის შემდეგ, როცა დაჭკვიანდება, დაღვინდება, ცანცარს მოიშლის, მერე იყაროს კენჭი, კაცო საქმეს განსაკურებით რა ართულებს, იცით? ოპოზიციის მუქარა!.. – სააკაშვილი და მისი ხროვა უნდა გასამართლდეს!.. ჩავალპობთ ციხეში!.. ვერც ერთი ვერ გადაგვირჩება!.. არ შეიძლება, ჩემო კარგო, ასე ლაპარაკი... ოპოზიციამ სხვანაირად უნდა იმოქმედოს.



ესენი გაიძახიან, ყველანი ციხეში უნდა ჩავყაროთო. ჰოდა, რაკი ასეა, ესენი შეშინებულები არიან და კბილებითა და ხელებით ებღაუჭებიან ხელისუფლებას. აი, მაგალითად:

გოკა გაბაშვილი ისეა შეშინებული, კიდევ უფრო გაუფართოვდა თვალები. თან, ნამეტანი ხშირ-ხშირად იხედება უკან-უკან, ვინმემ აგური არ ჩამარტყას თავშიო.

გოკა გაბაშვილი რისი ღირსიც არის, კარგად ვიცი, მაგრამ თავში აგურის ჩასარტყმელად არც გოკა მემეტება. შეშინებულები არიან და ამიტომაც ებღაუჭებიან ხელისუფლებას.

სასაცილო გახდა ჩვენი რევოლუცია... ერთი რამ მაოცებს, – 2003 წლის 22 ნოემბერს, როცა „ბრონიჟილეტიანი“ სააკაშვილი და „უბრონიჟილეტო“ ხალხი შევარდა, პარლამენტი პანღურით გარეკა და შევარდნაძეს უყვირა, გადადექი! გადადექიო!.. ეს ხულიგნობა არ იყო?!

სხვთა შორის, შევარდნაძემ სააკაშვილს ურჩია, შენს ადგილზე, გადავდგებოდიო!.. ახლა სხვა დროა, ახლა სააკაშვილი აღარ უჯერებს თავის გამზრდელს, ედუარდ შევარდნაძეს.

ხელისუფლებამ ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა.

რომელ დიალოგზეა ლაპარაკი, იმ დიალოგზე ხომ არა, როცა ნინო ბურჯანაძე მთელ ოპოზიციას ატყუებდა, მოვილაპარაკოთ, დავსხდეთ და საქმე მშვიდობიანად გადავწყვიტოთო. რომელი ერთი საკითხი გადაწყვიტა ნინო ბურჯანაძემ? ოპოზიცია რომც წავიდეს ამ ხელისუფლებასთან დიალოგზე, მთელი ხალხის მიერ იგი მაშინვე იდიოტად გამოცხადდება და თუ რატომ, ახლავე გეტყვით... მაგალითად, შალვა ანთელაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, კახა შარტავა, კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური, ხელისუფლებასთან რომ მივიდნენ მოსალაპარაკებლად, რაზე უნდა ილაპარაკონ? მოლაპარაკების მთავარი თემა, ცხადია, სააკაშვილის გადადგომის საკითხი იქნება. მიშა კი, როგორც ვიცით, არ მიდის!

აქედან გამომდინარე, ხალხი ოპოზიციას არ ეტყვის და არ დასცინებს, – თქვე იდიოტებო, არ იცოდით ვისთანაც მიდიოდით, რა მოლაპარაკებები აგიტყდათო?

რაც შეეხება რეპრესიებს, მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლებამ რეპრესიები უკვე დაიწყო. გუშინწინ ჩემი სახლის წინ ტაქსი გაჩერდა. მეგონა, ვინმე სტუმრად თუ მოვიდა-მეთქი. ტაქსში მხოლოდ მძღოლი იჯდა, რომელიც მანქანიდან გადმოვიდა, თბილად მომესალმა და ჩემთან საუბრის ნებართვა ითხოვა, სტუმარი შინ შევიპატიჟე, რომელმაც დაიწყო, – თქვენ, საქართველოში ცნობილი პიროვნება, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი, ქართული ნოველის კლასიკოსი რევაზ მიშველაძე, როგორც საჭიროა, ისე რატომ არ აქტიურობთო. მე ვუთხარი, – როგორ არ ვაქტიურობ, მე კალმის კაცი ვარ, შემოქმედი, წერილებს ვწერ, ნოველებს ვქმნი, როცა საჭიროა, გაზეთებს ინტერვიუებს ვაძლევ, მეტი რა უნდა გავაკეთო-მეთქი? – არა, ეს არ კმარა. რაიმე ჯგუფი ან ორგანიზაცია თუ გაქვთ შექმნილი, რათა იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, უფრო აქტიურად ვიბრძოლოთო. მე ვუთხარი, რა ჯგუფი, რისი ორგანიზაცია, შენ თუ გაქვს მაგის მსგავსი რამე, არიქა, მიშველე, მიმასწავლე, ჯგუფი კი არა, სანადირო თოფი მქონდა ერთადერთი და ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ იმდენად შემზიზღდა იარაღიც და ნადირობაც, რომ ის თოფიც კი გავაჩუქე და ჩემს ოჯახში პურის საჭრელი დანის მეტს ვერაფერს ნახავ-მეთქი.

სტუმარი გამომცდელად და ირონიულად მომაშტერდა, ჩაეცინა და წავიდა. არ ვიცი, შეიძლება ცოდვას ვამბობ, ის კაცი შესაძლოა, მართლაც ალალი გულით იყო ჩემთან სალაპარაკოდ მოსული, მაგრამ ძალიან დიდი ეჭვი კი დამრჩა გულში.

ღმერთმა ნუ ქნას, 9 აპრილს რომ თოფი გავარდეს, თორემ საქართველო საბოლოოდ დაიღუპება!

ოპოზიცია მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ თუ 9-ში მოვა აუარება ხალხი, 10-ში ამ ხალხის რიცხვი განახევრდება. 11-ში მიტინგზე ხალხის მესამედი მოვა... ანუ, არაფერი ამ საქმიდან არ გამოვა, მე ქართული ხასიათი და გუნება კარგად ვიცი. სააკაშვილს ასე ესენი ვერ გადააყენებენ.

ერთადერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში, სახელმწიფო შენობების პიკეტირებაა. თბილისი კი არ უნდა ჩაკლა და



ხალხი უპუროდ კი არ უნდა დატოვო, არამედ სახელმწიფო შენობების პიკეტირება უნდა მოხდეს და ეს აიძულებს ხელისუფლებას, დათმობებზე წავიდეს.

მიხეილ სააკაშვილმა ამ ცხელ დღეებშიც კი არ დაიხია უკან ქართული ფენომენის განადგურების გზაზე. გუშინწინ ტელევიზორი ჩავრთე და გულზე შემომეყარა, – გამოდიოდა ეს უწიგნური, უნიჭო, უნივერსიტეტის რექტორი გია ხუბუა და სიტყვასიტყვით ასე ამბობდა: ჩვენ უნივერსიტეტის სტუდენტთა ენერგიას გონივრულად ვიყენებთო! „გონივრულ“ გამოყენებაში იცით, რას იგულისხმებდა? უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტში ერთმანეთის მიყოლებით აფრენდნენ ქაღალდის თვითმფრინავებს. ამას ხომ საბავშვო ბაღშიც აღარ ათამაშებენ ბავშვებს? აი, სადამდე დავეცით, სადამდე მიიყვანეს საქმე და როგორ მოსპეს და გაანადგურეს ქართული განათლების წმიდათაწმიდა კერა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ყველაზე მეტად გველუკაშვილის საკითხი მაოცებს. ახლა ზოგიერთმა ჯოხი მეორე მხარეს გადახარა და ციხეში მყოფ კაცზე პროვოკაციულად დაიწყო ლაპარაკი, – გველუკაშვილი პროვოკატორია, ეგ და კიტოვანი გადამტრიალებლები არიან!.. არ შეიძლება, ჩემო ძვირფასებო, ასე ლაპარაკი, ამ კაცის წერილებით მე აღფრთოვანებული ვიყავი. აღტაცებაში მოვყავდი მის ანალიზს, მის ინტელექტს. ასე თუ მივყევით ყველაფერს, მაშინ...

ერთი რამ ცხადია, ბურჯანაძის, დავითაშვილმა და ნოღაიდელის გარდა, ყველა შეიძლება პრეზიდენტის პოსტზე წარმოვიდგინოთ...

შე კაი კაცო, რა ფოკუსს მიტარებ ასეთს, ეს ჩვენი პატარა ბიჭი, გიორგი თარგამაძე რომ დაიბარე ამერიკაში, საყაენოში – გამაგებინე, შვილო, რისთვის გიბარებენ და რისთვის დარბიხართ ამ ურდოში?

სიმართლე გირთხრათ, არც ამ არჩევნების იმედი მაქვს, საუკეთესო საარჩევნო კოდექსი რომც შეიქმნას საქართველოში, საქართველოს პრეზიდენტს დიდი ხანია ქართველი

ხალხი აღარ ირჩევს. მილიონნახევარი ქართველი ქვეყნიდან გადახვეწილია და როგორ გგონიათ, ვისი ასარჩევია საქართველოს პრეზიდენტი?

გამოსავალი ერთადერთია. – 2003 წლის 22 ნოემბერს სააკაშვილის მიერ ძალადობრივი გზით გარეკილმა პარლამენტმა და ზვიად გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ, რომელიც ასევე ძალადობრივი გზით, იარაღის ძალით დაამხეს, ერთობლივად უნდა მიიღონ დემოკრატიული საარჩევნო კანონი, დაამტკიცონ კოალიციური მთავრობა და დანიშნონ ახალი არჩევნები.

მიხეილ სააკაშვილს ურჩევია, უპირობოდ გადადგეს, ეს მისთვისაც უკეთესი იქნება და ქვეყნისთვისაც... სხვა გამოსავალი მას არ აქვს!

*აპრილი, 2009 წ.*

## მონანიება სირცხვილი როდია

მე ვცდილობ და პრეტენზიაც მაქვს იმისა, რომ ჩემი ერის ბუნება ვიცოდე. მწერლის მოვალეობაა მუდმივად ქვეყნის მფეთქავი მაჯა ეჭიროს ხელში. ისტორიულად ცნობილია, რომ ჩვენი ხალხი არ არის მშიშარა, რაც უფრო მეტია დაწოლა, პასუხი უფრო შეუპოვარია. ის ადამიანები, რომლებსაც ეროვნულობის ნატამალი არ სცხიათ, ვერ ერკვევიან ხალხის ზნე-ხასიათში და მუდმივად დაგვცინიან. ეს ცინიზმი და ზიზღი უკვე აპოგეას აღწევს ამ დღეებში. იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილს თავისი უამრავი დანაშაული მოენანიებინა, საქმიანობა ჩვეულებრივ „რიტმში“ განაგრძო. არავის ეგონოს, რომ ქართველი ერის შემბრალებლობა უნაპიროა. როდესაც შენ 9 აპრილის წინა დღეების, მსოფლიოს ყასიდად აგებინებ, ოპოზიციას მოლაპარაკებას ვთავაზობო და საკითხებად განყენებული თემები გამოგაქვს, ეს შემზარავი დაცინვაა და მეტი



არაფერი. წარმოგიდგენიათ, რა ხდება? მოდით, ვილაპარაკოთ, ოღონდ პრეზიდენტის გადაყენება არ ვახსენოთო. ესენი კიდევ ვერ აცნობიერებენ, რომ 9 აპრილს ნახევარი მილიონი ადმაიანი პარლამენტის წინ არის მოსასვლელი და ოთხი ამდენი კიდევ სახლში ზის სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგს ჩამოსასვლელი ფული არ გააჩნია, ზოგს კიდევ, ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს. სააკაშვილმა უკვე გადაკეტა გზები, უკვე შექმნა ბარიერები, რათა რაიონებიდან ხალხი თბილისში არ ჩამოვიდეს, მაგრამ ეს არ უშველის, საქართველოს მოსახლობის 90 პროცენტი მის გადაყენებას მოითხოვს. ამ დროს ბეცი პოლიტიკოსები ამბობენ, დიალოგი გავმართოთ და პრეზიდენტის გადადგომაზე არ ვილაპარკოთო. ერთი ნაბიჯით უკან არ დაიხია სააკაშვილმა, მოჩვენებით დათმობაზეც კი არ წავიდა. ამ ადამიანმა უკვე გააუქმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც სტუდენტებს შორის შეჯიბრი იმაში ტარდება, ქაღადის თვითმფრინავს ვინ უფრო შორს გააფრენს. ამ უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს წარმოუდგენლად უვიცი კაცი, ბეცი ეროვნულადაც და მეცნიერულადაც. ხელი არ ახლო მას სააკაშვილმა და ამით გამოხატა ზიზღი ხალხის მიმართ. რამდენჯერმე გამოაცხადა, კომპოზიტორებსა და მწერლებს თავინთ სახლებს დავუბრუნებო, არ დაიჯეროთ! ნიკა გვარამიამ გვითხრა, ამ დღეებში განკარგულებას დავწერ და მაჩაბლის №13-ში სამ ოთახს მოგცემთო, მე გუშინაც გადავამოწმე და მსგავსი არავის არაფერი დაუწერია.

სწორედ ასე იყო, მაგათი აზრით, აპრილში ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. ყველაფერს თავი დავანებოთ, შეიძლება, რომ საქართველოში სპორტის აკადემია არ არსებობდეს? მე გაოცებული ვარ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელის აუხსნელი დუმილით. არა მგონია, თამაზ გამყრელიძე და როინ მეტრეველი ისეთი მშიშრები იყვნენ, რომ დღეს ხმა არ ამოიღონ. მე ვჩხავი, აგერ, აკადემიის გარეთ მდგომი კაცი ყველა ინტერვიუში, ეს ორგანიზაცია საშინლად დამცირებულ მდგომარეობაშია, თქე კაი ხალხო, საკუთარი სკამები ასე რამ შეგაყვარათ?! უკვე აღარ ვიცი, რომელ

უმსგავსობაზე ვილაპარაკო. სააკაშვილი და მისი გარემოცვის წევრები ისეთი მამლაყინწები არიან, არაფერს თმობენ, აბა, ახლა ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაცის ეშინიათ? გამოდი, მიხეილ, გამოდი და საკუთარ ხალხს უთხარი, რომ ბევრი შეგეშალა, შეცდი, ასე არ გინდოდა, ცოტა ჭკუაზე მოდიხარ და იქნებ, გაპატიონ. არა, ეს ამას ვერ გააკეთებს, ხვალ დაგვიძახებს, მოვილაპარაკოთო... კი, მაგრამ, რაზე უნდა მოვილაპარაკოთ?!

ვინც ფეხზე დგას, ყველა გამოვა. ერთ კაცს დაგისახელებთ, რომელიც ვერ ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ხმალამოღებული მებრძოლია ამ უსირცხვილო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამათ ჰგონიათ, რომ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ხმა აქვს დაკარგული. არა, მისი ჩურჩულიც კი თავზარდამცემია ასეთი თავხედებისთვის. ვისაც ფეხზე დგომა შეუძლია, ამ უსინდისო, შეურაცხადი და ავადმყოფი ხელისუფლების მოსაცილებლად ყველა გამოვა. სააკაშვილს არ აქვს მორალური უფლება, იყოს საქართველოს პრეზიდენტი, მან მონანიების შანსიც კი გაუშვა ხელიდან!

*აპრილი, 2009*

## უნივერსიტეტი იძირება

რაც ახლა უნივერსიტეტში ხდება, ლოგიკური გაგრძელებაა საქართველოში ამ ბოლო ხანს ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლისა.

საქართველოს როგორც ეროვნული სახელმწიფოს, ნგრევის ერთი ეტაპი ხელისუფლებამ წარმატებით განასრულა: საქართველოში გაუქმდა ეროვნება (არც ერთ საბუთში არ გვიწერია ქართველი). საქართველოში არ დაკანონდა ძირითადი, სახელმწიფო რელიგია მართლმადიდებლობა და საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო კანონი „სახელმწიფო ენის



შესახებ“. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული ენა არ მოიაზრება. სამაგიეროდ, პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კანონი, რომელშიც გარკვევით წერია, რომ პარლამენტის წევრებისთვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულო არ არის.

მეორე ეტაპი ქვეყნის გადაგვარებისა კარგა ხანია დაიწყო და დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს.

იგი ორი მიმართულებით განვითარდა. პირველ რიგში უნდა გაეჩუმებინათ და დაემცირებინათ მწერლობა, როგორც ენის უპირველესი ქომაგი.

ჯერ იყო და შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას გაბაიბურება დაიწყეს, მერე თანამედროვე მწერლობას მოსდგნენ.

ე. წ. სამთავრობო არხებს დაავალეს, მოეძებნათ ხელმოცარული, საეჭვო ლიტერატურული ღირებულების გაუკულმართებული აზროვნების ლიტერატორები. დაეპირისპირებინათ ჭეშმარიტი ქართული მწერლობისთვის. ამით მკითხველს „გააგებინეს“, ხომ ხედავთ, მათი დღევანდელი სახე ამ ნაყარნუყარი ლიტერატურული პორნოგრაფიებით განისაზღვრებაო.

მერე ქართველ მწერლებს გადაუკეტეს ელემენტარული საარსებო სახსრები და გააუქმეს ასწლოვანი სახელოვანი ლიტერატურული ორგანოები.

ბოლოს ამასაც არ დასჯერდნენ, რაკი საქართველოს მწერალთა კავშირში ყოველდღიურად ვიკრიბებოდით მწერლები და ვმართავდით ეროვნულ საუბრებს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ეს ერონვული ბუდეც მოგვიშალოს, ეს ტრიბუნაც წაგვართვას და 6 ივლისს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტს დაუტოვოს თუ არა ქართულ მწერლობას 1921 წლის რევკომის დეკრეტით მისთვის გადაცემული სახლი (მაჩაბლის 13).

დარჩა ეროვნული განათლების უმაღლესი კერა. ეროვნული კადრების სამჭედლო – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის დამხობისთვის ბრძოლაც ხელისუფლებამ ენერგიულად დაიწყო. რექტორის გამოცვლაზე რომ არაფერი ვთქვა, ამ ერთი თვის წინათ მოვიდა ბრძანება პრეზიდენტისა, რომლის ძალითაც უნივერსიტეტს წაართვა ავტონომია

და რექტორის ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა.

ამას მოჰყვა სამი ყოვლად უსაგნო, დაუსაბუთებელი უნივერსიტეტის სახსრებში გადატეხის გადაწყვეტილება:

1. 22 ფაკულტეტის ნაცვლად 6 ფაკულტეტი შეიქმნა. ფილოლოგიის ფაკულტეტი შეუერთდა ისტორიის, ფილოსოფიის, დასავლეთ ევროპის და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებს და აერქვა მას „ჰუმანიტარული ფაკულტეტი“. რას ქვია ჰუმანიტარული! გაგიგონიათ სპეციალობა ჰუმანიტარი? არავინ იცის, რა უნდა ვასწავლოთ, რა მიმართულება უნდა მივცეთ ამ კოსმოპოლიტური სპეციალსიტის ჩამოყალიბებას.

2. მივიღეთ მითითება შესახებ იმისა, რომ უნდა შემოვიღოთ ხუთდღიანი სწავლება და არ შეიძლება სტუდენტს დღეში სამ ლექციაზე მეტი წავუკითხოთ. აქამდე ხუთ ლექციას ვუკითხავდით. ამ მზაკვრული პრინციპით უნივერსიტეტიდან პროფესო-მასწავლებლები, 50% ქუჩაში აღმოჩნდება.

3. და ბოლოს, 27 ივნისს უნივერსიტეტის კედლებზე გამოჩნდა ბრძანება, რომლის ძალითაც დაფინანსება შეუწყდა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშავეალას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი შანიძისა და სხვა სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორიებს. რვაასი თანამშრომელი ერთბაშად გარეკეს უნივერსიტეტიდან და უსახსროდ დატოვეს.

რაკიღა 28 ივნისს ილაჯგაწყვეტილმა უნივერსიტეტელებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს, საღამოს, ტელევიზიის ეკრანიდან, შემკრთალმა კახა ლომაიამ უტიფრად განაცხადა:

ჯერ ერთი, ვინც „აქტიურობს“, მისაღები გამოცდების გაუქმების გამო განაწყენებული მასწავლებლებია. ბევრი მათგანი (მიშველაძე, კირთაძე) სრულიად არ არის „უნივერსიტეტის სახე“, ხოლო მოხსნით ჩვენ არავინ მოგვიხსნია, უბრალოდ, გრანტი ვერ მიიღებს, თავიანთ მიზერულ ხელფასებს ყველას შევუნარჩუნებთო. გამაოგნა სახელმწიფო მოხელის, სოროსის ყოფილი ვირთხის, საქართველოს განათლების დამამხობლის და უნივერესიტეტის უპირველესი ჯალათის ამ თავგასულობამ.

დილითვე მივირბინე უნივერსიტეტში მე – რევაზ მიშველაძემ (კათედრის გამგე, პროფესორმა, სამოცი წიგნის და სამი სახელმძღვანელოს ავტორმა, რომელმაც ბოლო ხუთ წელიწადში ცხრამეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოვაქვეყნე, თაობების აღმზრდელმა, ორმოცდაათამდე დისერტანტის ხელმძღვანელმა, ახალგაზრდა მწერალთა დამფრთიანებელმა, რომელიც სანტექნიკოს კახა ლომაიას აზრით, თურმე „უნივერსიტეტის სახეთა“ შორის არ მოვიაზრები...) და აღმოჩნდა, რომ ლომაიამ იცრუა, მოატყუა ათასობით ტელემაყურებელი: მოლარემ და საბუღალტრო სამსახურმა დამიდასტურეს, რომ უნივერსიტეტის არც ერთ მეცნიერ-თანამშრომელს და სამეცნიერო კაბინეტში დასაქმებულ პირს.

ესეც თქვენი პრინციპული ლომაია!

*ივნისი, 2005*

## განცხადება

რუსს საქართველოს ოკუპაცია არ დაუმთავრებია და სააკაშვილმა მწერალთა კავშირის შენობის ოკუპაცია დაასრულა.

29 აგვისტოს პრეზიდენტის განკარგულებით მწერალთა კავშირის კუთვნილ შენობაში ეკონომიკის სამინისტრო გადაბარგდა.

ტყუილი აღმოჩნდა სააკაშვილის დაპირებანი, მწერლებს შენობას არ ვართმევთო, აფიორა აღმოჩნდა კულტურის მინისტრის არაერთგზისი განცხადება; მწერალთა კავშირის შენობაში ლიტერატურული ასოციაციები გადავლენო. მწარე ხუმრობა აღმოჩნდა პარლამენტის მიერ მომზადებული კანოპროექტი, მწერალთა სასახლე ზოგადად ქართულ მწერლობას დაუბრუნდესო.

ამ გაგანია ომის დროს, როცა ქვეყანა სისხლისგან იცლება, სააკაშვილმა მოიცალა იმისთვის, ქართული მწერლობისადმი ზიზღი საბოლოოდ გადმოენთხია ისე, რომ დაეჭვების არავითარი საბაბი არ დაეტოვებინა.

ჯერ არ დამთავრებულა სასამართლო მწერალთა სასახლის კუთვნილების შესახებ, მაგრამ რუსეთთან ომში „გამარჯვებული“ სააკაშვილი სასამართლოს არ დაელოდა.

გვეუბნებიან, ესაო, დროებითიაო. საინტერესოა, ამ საომარ ვითარებაში რა სტრატეგიულ-კონსპირაციული მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს გადაავეჯებას მწერალთა კავშირის შენობაში?

ეჰ, ღმერთო, ღმერთო, შენ ხომ მაინც უწყი, რომ ყველაფერი დროებითია საქართველოში... მარტოოდენ სააკაშვილის ხელისუფლებაა მუდმივი.

ამასაც მოითმენ, ამასაც გაუყუჩდები, ქართველო ერო?!

*29.08.08.*

## ვერ ამიხსნია...

თუთბერიძისა და საპატრიარქოს თემა კვლავ დღის წესრიგშია. სკანდალი, რომელიც ხელისუფლებამ დადგა, არ ჩამოდის გაზეთების გვერდებიდან და ტელეეკრანებიდან. ზოგი ფიქრობს, რომ ეს გოგო უნდა ჩავქოლოთ, თმებით ვითრიოთ... ზოგი კი თვლის, რომ ისევ მას უნდა დავუყვავოთ და მოვაქციოთ...

სიმართლე გითხრა, მე არ მიმაჩნია, თეა თუთბერიძე ამხელა აჟიოტაჟის ღირსად. დიტო ჩუბინიძის ქრონიკის ამასწინდელ ინტერვიუში კარგად გამოჩნდა ქალბატონ თეას ინტელექტუალური მხარეც და მისი ფსიქიკური მდგომარეობაც. ის ისტერიკაში ვარდებოდა, ლოგიკას ვერ მოუხმობდა ხოლმე და ლაპარაკობდა, როგორც გაფუჭებული პატეფონის ფირფიტა. იმეორებდა ერთსა და იმავეს, მის პასუხებს დასაბუთება კი არ ახლდა, არამედ კუთხეში მიმწყვდეული ჯიუტი მოწაფესავით თავის განუზომელ ერთგულებას გამოხატავდა თავისუფლების ინსტიტუტის მიმართ და მისი პატრონების მიმართ. მე ვფიქრობ, თეა თუთბერიძე ხელს არ უნდა აძლევდეს იმ



მხარესაც, ვინც ის გამოწვრთნა და გამოზარდა. ღმერთმა დამიფაროს, ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებდე, მაგრამ მე მას ბულდოგს ვამსგავსებ, რომელმაც არ იცის, რისთვის ყეფს. სხვათა შორის, ჩემი ღირსების დამცირებად მიმაჩნია, რომ დავდგე და თეა თუთბერიძეზე ვილაპარაკო. თქვენც დიდი დრო დაუთმეთ, ჟურნალისტებმა. აქ სხვა საშიშროება არსებობს, თეა თუთბერიძე არ უნდა იქცეს მოვლენად და ტენდენციად.

თუმცა ეს ის კოლექტიური თეა თუთბერიძეა, რომელიც 2003 წელს ქუჩა-ქუჩა დარბოდა და გადატრიალება მოაწყო. შემდეგ კი იგივე კოლექტიური თეა თუთბერიძე შეიჭრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და იქიდან კინწისკვრით გამოაგდო როინ მეტრეველი. ახლა მასზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ყველას არ მოგვიკაკუნოს კარზე.

თეა თუთბერიძე ვერც რევოლუციას მოაწყობდა, ვერც უნივერსიტეტიდან როინ მეტრეველს გამოაგდებდა და ვერც 500 პოლიციელს შეუსევდა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესო-მასწავლებლებს იქიდან თხებივით გამოსარეკად. სხვათა შორის, იქიდან გამორეკილი პროფესორები, მერე სად, რომელ ბუჩქში შეძვრნენ, სად დაიმალნენ, კაცმა არ იცის. ღმერთო, შეგცოდე, უნებლიეთ ვიფიქრებ ხოლმე, მართალი ხომ არ იყო ეს ხელისუფლება, ეს ხალხი რომ გამორეკა იქიდან-მეთქი? ყველაზე ეს არ ითქმის, მაგრამ აი, საქმე რა არის – რევოლუცია ვინ მოაწყო, შენ კარგად იცი. ეს მოაწყო ამერიკამ და არა თეა თუთბერიძემ. მასზე უფრო დიდი და „სახელოვანი“ მოღვაწეები ვერ შეძლებდნენ საქართველოს ხელისუფლების ერთი ხელის დაკვრით შეცვლას. თუთბერიძეები იყვნენ ერთი პატარა ჭანჭიკები, რომლებიც სერიოზულად არც ერთ ქართველ კაცს არასოდეს მიუღია. თქვენ იმაში ხართ მართალი, რომ ეს თუთბერიძე კოლექტიურია. ზოგიერთნი დიდ სისულელეს ამბობენ დღეს, გლდანის ეკლესიას საბარგო მანქანა რომ დააჯახეს და მერე ხელისუფლებაში მყოფი მარჯვე ბიჭები წიხლებს რომ იქნევდნენ მორწმუნე ქალებისა და მოხუცების მისამართით ეს იყო არაქრისტიანული, ეკლესიისადმი მიმართული ღონისძიებაო. თურმე ნუ იტყვით,

არავითარი კავშირი ჩვენს მართლმადიდებლურ სარწმუნეობასა და გლდანის ეკლესიას შორის არ ყოფილა. თუ კავშირი არა აქვს, მივიდნენ ახლა და თვითონ დარწმუნდებიან, იქ ტარდება თუ არა წირვა-ლოცვა და მორწმუნეთა განსაწმენდელის ფუნქციას ასრულებს თუ არა ეს ეკლესია? რა თქმა უნდა, თეა თუთბერიძის მცდელობა განწირულია ჩასაფუშად, მაგრამ მას შეუძლია, ნერვები მოუშალოს არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ რამდენიმე სახელოვან კაცს, რომელიც გაჩუმებას არ აპირებს. მე ერთ-ერთი შეკრებიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ხელმოცარული ნაწილი ოპოზიციისა, რომელმაც ვერ გადაწყვიტა სასიცოცხლო პრობლემა ჩვენი ერისა და რომელმაც აცემინა პოლიციელებს თავისი უნიათობით, აბრაგუნებინა თავში ახალგაზრდებისათვის და რწმენით განმსჭვალული მომიტინგეებისათვის, მერე თვითონ ჩრდილში დადგა, ახლა თეა თუთბერიძეს თემით ცდილობს, მთავარი საკითხიდან განზე გაიყვანოს საზოგადოებრივი აზრი. თუ თეა თუთბერიძეს მაგრად შეაგინებ, ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰოპლა – ჩვენ ვცოცხლობთ! აი, ხომ ხედავთ, ჩვენ რა გულადები ვართ, მართალია, ძეხვს ვერ შევწვდით, მაგრამ აი, თეა თუთბერიძის დატკეპვნა შეგვიძლია, არადა, თეა თუთბერიძე არც ისეთი ადვილი დასატკეპნი აღმოჩნდა იმიტომ, რომ ბეღურებს ზარბაზნებს არ ესვრიან და არც თქვენ გეკადრებათ ხელის გასვრა მასზე. დღეს სწორად ამბობს ზოგიერთი, იმასაც ყრანტალებს, საპატრიარქო სახელმწიფო საქმეებში არ უნდა ერეოდესო. ეს წმინდა წყლის სისულელეა ავადსახსენებელი კომუნისტების პერიოდისა, როდესაც ეკლესია-ღვთისმსახურება თითქმის კანონგარეშედ იყო გამოცხადებული და ისე არსებობდა, სინამდვილეში კი კომკავშირელი აქტივისტები ჩასაფრებულები იყვნენ ეკლესიების კართან, აბა ერთი რომელი თანამდებობის პირი შევა შიგნით. გარდა ამ დროისა, ეკლესია ყოველთვის ერეოდა სახელმწიფოს საქმეებში და ყოველთვის ჰქონდა ამას გამწონასწორებლის ფუნქცია ერის შეკავშირების თვალსაზრისით. მე უდიდეს ფასს ვადებ პატრიარქის იმ გამონათქვამებს და ეპისტოლეებს, როცა ძალიან ხშირად ერევა საქვეყნო საქმეებში და მიანიშნებს ხელისუფლების მიერ ჩადენილ შეცდომებზე. შეიძლება გული კაცს იმაზეც დაგწყდეს, რომ ზოგჯერ ეს მინიშნებები ცოტა არასწორხაზოვანი და გაუბედავია. შეიძლება პატრიარქი მართალიც იყოს, როცა პირდაპირ პოლიტიკური ჩეხვის მეთოდს არ მიმართავს. მის მცირეოდენ მინიშნებაშიც კი ხელისუფლებამ სიბრძნე უნდა დაიჭიროს და ქოში უკუღმა არ უნდა ყაროს. არ უნდა შეხტეს და შემოტრიალდეს.

იყო დრო, როცა ჩვენი სასულიერო პირები აქტიურად ერეოდნენ მეფეების პირად ცხოვრებაშიც კი. ვითომ მისი უწმინდესობა რატომ არ უნდა ჩაერიოს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ თვით სააკაშვილის ცხოვრებაშიც? რატომ უნდა ეშინოდეს საპატრიარქოს ასეთი აქტიურობისა?

ამის ახსნა მე არ შემიძლია. მე შემიძლია გითხრა ერთი მაგალითი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან; გრიგოლ ხანძთელმა მეფეს სახლში მიყვანილი სიძვის დიაცი, ფაქტობრივად, ჩამოართვა და დედა ფებრონიას მონაზვნად მიაბარა ქალთა მონასტერში. როცა დავით კურაპალატი მონასტერში მივიდა თავისი საყვარელი ქალის გამოსახსნელად, მას უარი უთხრეს. მეფემ, რომელიც, ფაქტობრივად, ერთმპყრობელი იყო ქვეყნისა, თქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ აღარა ცოცხალ არსო“. ესე იგი, სიკვდილი ინატრა, იმდენად უყვარდა ის ქალი. ასე გვაქვს სხვა შემთხვევაც, როდესაც მეფემ იხმო უმაღლესი საეკლესიო პირი თავისთან, ის არ მივიდა. გაბრაზებულმა მეფემ მოგვიანებით მიზეზი ჰკითხა და ასეთი პასუხი მიიღო: ამ ქვეყნის ცოცხალთა მეფე შენ ხარ, ხოლო მე კი მხოლოდ უზენაესს ვემორჩილებიო. ამით მეფეს აგრძნობინა. მე შენი ხელქვეით არა ვარ და ჩემს წამდაუწუმ დაბარებას თუ მოეშვები, ძალიან კარგი იქნებაო. ახლა იმდენ ხანს იყო ჩვენი ეკლესია დათრგუნული კომუნისტური ხელისუფლების მიერ, რომ შეიძლება ეს ინერცია დღესაც გრძელდებოდეს და დღესაც ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე „აუტკივარი თავის“ პოლიტიკას ამჯობინებს ღია კონფრონტაციას ხელისუფლებასთან, თანაც ჩვენი პატრიარქი, შეიძლება ითქვას, იმდენად ბრძენია, შეიძლება ვერც კი ხედავდეს მისი ნათქვამის

სწორად გამგებს და სწორად მომსმენს, ამიტომ იგი ბევრ რამეს არ ამბობს და ბევრ რამეს მინიშნებით ლაპარაკობს. სხვა საკითხია, რამდენად შეიძლება წაადგეს ეს ჩვენს სახელმწიფოს. მაგალითად, მე ვიცი, რომ სომეხთა პატრიაქრი, რომელიც შედარებით ახალგაზრდაა, ხელისუფლებისადმი ცოტა უფრო მეტი გაბედულებით გამოირჩევა. მაპატიოს ეს მკრეხელობა ჩვენმა პატრიარქმა.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უნივერსიტეტიდან გამორეკილი პროფესორების ნაწილი ღირსი იყო, რაც გაუკეთესო. აქვე მინდა გკითხოთ, ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც მთელი 3 თვე ხელისუფლებას ლანძღავდა, მიტინგებზე იდგა და დღეს იმალება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბევრი ამ ხელისუფლებამ გადაიბირა ან დააშინა. როდესაც ინტერვიუს თაობაზე ვურეკავთ, ან იმალებიან, ან რაღაცას იმიზეზებენ.

რა თქმა უნდა, მე არ მაქვს უფლება, ჩვენი ინტელიგენცია ასე ერთი ხელის მოსმით გავწირო, რადგან ძალიან კარგად ვიცი, ათასი ინტელიგენტიდან შეიძლება ორი იყოს გაყიდული და თბილი ადგილისთვის მორბენალი. ჩვენს გაზეთს ძალიან კარგად მოეხსენება, რამდენად არიან „ჩირგვებში შემძვრალნი“ რეზო ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ წივწივაძე და სხვები. შემიძლია უამრავი მეცნიერების დასახელება, აკადემიკოსის დასახელება და ასევე ჩემი კოლეგა მწერლების დასახელება, მაგრამ აი, ამ „მაგრამს“ ჩაუკვირდით, ინტელიგენცია ძალიან მგრძნობიარე ნაწილია ჩვენი საზოგადოებისა. მე კარგად მესმის ჩვენი ინტელიგენციის ახლანდელი სულიერი მდგომარეობისა.

როცა ინტელიგენციაზე ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ ჭეშმარიტ ხელოვანს და თუ გნებავთ, ჭეშმარიტ მეცნიერს, მე გეუბნებით სახელოვან ადამიანებზე და არა ხელმოცარულ, მომწერლო-მოხელოვანო და მომეცნიერო სუბიექტებზე, ჩვენ ნურასოდეს ნუ ჩავთვლით მათ ოპოზიციონერებად, ან ხელისუფლების მომხრეებად. ჩვენ რევანშისტები არა ვართ, ჩვენ სკამებისთვის არ ვიბრძვით, ჩვენ ხელისუფლების შეცვლა იმისთვის არ გვინდა, რომ მერე მთავრობაში ადგილი დავიკავოთ. როგორ ფიქრობთ, ახლა მე რომ ჩამოგითვალოთ, მაგალითად, გიგა ლორთქიფანიძეს, გოგი ქავთარაძეს, ვაჟა აზარაშვილს, თუ გნებავთ მე, ჩვენ რას ველოდებით, რა გვინდა? მაგალითად, ჩვენთვის თვითმიზანია, ამოჩემებული გვაქვს მაინცდამაინც რომ სააკაშვილი არ მოგვწონს შესახედავად და ამიტომ უნდა დავამხოთ? მე ჩემი თავი მიმაჩნია ობიექტურ შემფასებლად საზოგადოებრივი მოვლენებისა და ნურავის ექნება იმედი, ნურც გაღმა ნაპირზე და ნურც გამოღმა ნაპირზე, ნურც რადიკალურ ოპოზიციას და ნურც რადიკალურ ხელისუფლებას, რომ მე შეიძლება თვალი დავხუჭო მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

ამას წინათ, ერთი ტელეარხის ორი კორესპონდენტი გოგონა მოვიდა ჩემთან, ოპერატორიც ჰყავდათ. ამ ტელეარხის სახელწოდება კარგად არ მახსოვს, რაღაც სულელური სათაური მოუგონიათ. ამ გოგონებმა მითხრეს: ბატონო რეზო, ჩვენ ახალი ტელევიზია ვართ და გვინდა, რომ ჩაგწეროთ. რა არხი ხართ-მეთქი, ვკითხე, ვინ დგას თქვენს უკან-მეთქი, ეს ისე ვკითხე, თორემ სინამდვილეში ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის მივცემდი ინტერვიუს და აი, რატომ: მე არა ვარ ის კაცი, რომელიც გამოშვერილ მიკროფონს აკვირდება. აბა, რა აწერია, ვისიაო. ისე, შეიძლება მართლებიც არიან ისინი, ვინც რამდენჯერმე იწვნია თავისი სიტყვების დამახინჯება; ამ გოგონებმა კიდევ ის მითხრეს, ჩვენ ვართ ნეიტრალურები, არა ვართ არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის, თქვენ რაც გაგიხარდებათ, ის თქვითო.

მე ისეთი გულუბრყვილო არა ვარ, როგორიც მათ ვეგონე. ვუთხარი: შვილო, სტუდენტობა გუშინ გაქვთ დამთავრებული, პატარები ხართ, თქვენ როგორ შეიძლებდით ახალი ტელეარხების გახსნას-მეთქი? არაო, ჩვენ ეს მოვახერხეთო. ერთმანეთს გადახედეს. გაუღიმეს და მეც დავიწყე: მაგალითად, ეს რომ გაკეთდა, ის რომ გაკეთდა, მომწონს, რომ ქუთაისი, ბათუმი და სიღნაღი გალამაზდა, მომწონს, ყველაფერს ზიზღით ვერ ვუყურებ-ემთქი, მაგრამ... აი, აქ ჩამოვთვალე ის პრობლემები და უბედურებები, რაც მე და შენ გვაწუხებს. დაუმონტაჟებიათ, კაცო, ეს ჩემი ნათქ-

ვამი და საკუთარი თავი ვეღარ ვიცანი, ტელეფონის ნომერზე, რომელიც მომცეს, ვრეკავდი და ასე მპასუხობდნენ: ბატონო რეზო, ახლა შეფერხებაა, ახლა ეს არის, ახლა ის არის, თან ვეკითხები რა ჰქვია თქვენ არხს? მერე, როგორც იქნა, დავიჭირე და თურმე „რეალ-ტვ“ ჰქვია. ჰოდა, ელდა მეცა, ყველაფერი იყო წაშლილი, ვიჯექი მე, ყეყეჩი რეზო მიშველაძე და თავგასაპნული ვაქებდი ჩვენს ხელისუფლებას. ვინ დაიჯერებს ამას? ახლა ვრეკავ იმის შემდეგ კიდევ, ცოტა მკვახე სიტყვა ვუთხრა-მეთქი იმ პატარა გოგონებს, მაგრამ უკვე გამიარა. ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილიშვილის ტოლები არიან, ხომ არ შევაგინებ და ხომ არ ვეტყვი, თქვე უსინდისოებო-მეთქი? თუმცა მე ვინც დამირეკა, ვინც მოისმინა, ათიდან ცხრამ ასე დაიწყო: ბატონო რეზო, ვიცით, რომ ეს დამონტაჟებული იყოო. ერთი-ორი კი ცოტა გამიბრაზდა, და სამართლიანად გამიბრაზდა.

ერთი მათგანი მოვიდა ჩემთან სახლში, მე მის გვარს არ დავასახელებ. რომ ვუთხარი, ასე იყო-მეთქი, დარწმუნდა და დაწყნარებული წავიდა. ისიც ჩემსავით გულმოკლული მამაა. ჩვენ მეგობრებად დავშორდით ერთმანეთს. მე, რეზო მიშველაძემ, ათასი წელი რომ ვიცოცხლო, ჩემო კარგო, ჩემს პრინციპებს, ჩემს შეხედულებებს არაფერში არ გავცვლი, არასოდეს. თუკი მე ოპოზიციაზე რამეს ვამბობ, ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ ინტელიგენტს მათ გული გაუტეხეს. ვინც მე ჩამოგითვალეთ ზემოთ, განა ზუსტად ჩემი აზრის არ არიან? განა ზუსტად ასე არ მოხდა? განა ოპოზიციიდან არ წამოვიდა ტყუილების უსინდისო კასკადი და ლაი-ლაი? არაფრის გამკეთებელი, არაფრის შემძლები გამოდგა ეს ოპოზიცია. აბა, მითხარი, რომელი ამ ქვეყნის გულშემატკივარი არ იფიქრებდა, რომ ეს არის დანიშნული ოპოზიცია? ახლა სათითაოდ გამოდიან და ამბობენ, თუთიყუშივით ერთი და იმავეს იმეორებენ, მთავარი შეცდომა ის იყო, რომ არ გაგვაჩნდა ერთიანი გეგმა მოქმედებისა. მეორე შეცდომა ის იყო, რომ ჩვენ ხელოვნური გაერთიანება მოვახდინეთ და ეს არ იყო შეხედულებათა თანხვედრაო. შემდეგ ამბობენ სიტყვა „მაგრამს“, ეს ის სიტყვაა, რომლის საშუალებითაც კიდევ ერთხელ გვეუბნებიან – კიდევ ერთხელ მოგვყევით, ცხვარო საზოგადოებავ, ახლა კი სწორ გზას ვადგავართ და არ გადაგჩეხავთ კლდეზეო. ამ დროს ჭეშმარიტი ინტელიგენტი როცა ქუჩაში გამოდის, მისკენ არის მიპყრობილი ათასობით კაცის თვალი. მე დავაკვირდი რუსთაველზე, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ისე შეირცხვინა თავი, რომ მას აღარ მისდევს ხალხი, მოგვდევენ ჩვენ. ზოგიერთი სულელი სერიოზულად ამბობს, პარლამენტში რა უნდა მწერალს, რა უნდა რეჟისორს, რა უნდა მხატვარსო? აი, როგორ ფიქრობ ახლა, როცა მე, გურამ შარაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები პარლამენტში ვიყავით, ცუდად ვმუშაობდით?

ჩვენ ენერგიას ვახმარდით ქართველი ერის გადარჩენას. აბა, ახლანდელი პარლამენტია პარლამენტი? ხომ უკვე ორი წელია, ეს პარლამენტი მუშაობს, უცებ რომ შეგეკითხო, პარლამენტის სამი წევრი დამისახელე-მეთქი, დამისახელებ? გაფიცებ ცოლ-შვილს...

მე დაგისახელებთ... მაგალითად, პავლე კუბლაშვილი...

დიახ, თუ ძალიან დაფიქრდები, გაიხსენებ, ესენი ერთმანეთს ჰგვანან, ერთსახოვანნი არიან...

ამ პარლამენტს ჰქვია პავლე კუბლაშვილი. ჩანს, ერთი ჰყავთ, რომელიც ყველა საკითხში ერკვევა. მაგას ჯერ არ წამოსცდენია: იცით რა, მე ამ საკითხში კომპეტენტური არა ვარ, მე ამ საკითხში ვერ ვერკვევიო. ა�ა... ვერ ერკვევი? ეტყვიან პატრონები, რას ჰქვია ვერ ერკვევი, შეიძლება შენ რაიმეში ვერ ერკვეოდე? არადა, ხომ შეიძლება, კაცო, ერთნაირი ბრწყინვალებით არ იცოდეს ეს ყველაფერი პავლე კუბლაშვილმა? ამას თავი დავანებოთ, მოტყუებულ მდგომარეობაში დარჩა ინტელიგენცია და ის ფრთხილობს ახლა, რათა ისევ ღრმად არ შეყოს თავი კაკანათში. ამიტომ არ მივდივარ მე, არ ვესწრები არც ერთ შეკრებას, არც ერთ დაძახებებს. გნებავთ „დაიცავი საქართველოდან„ და გნებავთ „გადაარჩინე საქართველოდან“. მე ვიცი, ეს ყველაფერი არის მორიგი სალაყბო, ორთქლის გამოშვება და საქმე იქ არ კეთდება. ამიტომ ნუ იტყვი, თუ ძმა ხარ, რომ ინტელიგენცია მშიშარა გახდა, ან ზოგიერთ ინტელიგენტს თავი მოუქონეს და რაღა-

ცას დაჰპირდნენ. ინტელიგენცია არ გაიყიდება, დამერწმუნე. მაშინ დაღუპულა საქართველო. ინტელიგენცია არ გაიყიდება ინდაურებზე და გამოგზავნილ ჭრელ ბაფთებზე.

თუმცა არიან გამონაკლისებიც.

მე, რეზო მიშველაძე, სულ ვფრთხილობ შეფასებებში. აი, ახლა რასაც გეტყვი, თუ ძმა ხარ, ნუ გაგიკვირდება, მიხეილ სააკაშვილი 36 წლისა იყო, როცა პრეზიდენტი გახდა. მაშინ მე მას დავუწერე კიდეც და პირშიც რამდენჯერმე ვუთხარი, რომ გამოცდილება არ გაქვს, ჩქარობ და რადიკალური ხარ-მეთქი. დამიჯერე. როგორც ახლა ვატყობ, ის ბევრ რამეზე დაფიქრდა, მან ბევრი რამ გადააფასა, მაგალითად, შენ შემთხვევით გგონია, რომ იტყვის ხოლმე ხანდახან: რა სისულელე იყო, ეს ლოტოტრონები, ვინ მოიფიქრაო?

მჯერა, ყველაფერი მისი მოფიქრებული არ არის, ახლა შენ როგორც ფიქრობ, იჯდა სააკაშვილი და ფიქრობდა, მოდი ახლა დირექტორებს ლოტოტრონით დავნიშნავო? სააკაშვილს ეგონა, რომ ლომაია ჭკვიანი კაცია, ლომაია კი იყო ავანტიურისტი, გაბრაზებული ქართულ ინტელიგენციაზე, ქართულ სკოლაზე, ქართულ უნივერსიტეტზე, როგორ გგონია, ჭკუათმყოფელი კაცი იტყოდა, ბავშვების ხელში წიგნი არ დავინახო, წიგნის დრო დამთავრდაო? შეიძლება რომ ჭკვიანმა კაცმა ეს თქვას?

კი შეცდომა იყო უფროსი თაობის ადამიანების დათხოვნა სამსახურებიდან, მაგრამ ბოლო დროს რამდენიმე ადგილას ვნახე ასაკოვან ხალხს ისევ აბრუნებენ. შეიძლება სააკაშვილს თავისი ახალგაზრდობის გამო ბევრი შეცდომა მოუვიდა და ამის გამო დაემართა ხალხს ინსულტები და ინფარქტები. მე უკვე პანაშვიდებზე სიარულს ვეღარ ავუდივარ. ჩემი მეგობრები ერთმანეთის მიყოლებით მიდიან ამ წუთისოფლიდან.

მე მწერალი ვარ, შეგინებაზე ადვილი არაფერია, თუ გინდა დავეტაკოთ თეა თუთბერიძეს ქუჩაში და ყური მოვაჭამოთ. თეა თუთბერიძემ ძალიან კარგად იცის, რომ არც სოფი ლორენია და არც ჯინა ლოლობრიჯიდა, ამიტომ ვუძახოთ ამ შემცდარ გოგონას, ჩვენს შვილს: ეგ სატანაა, ეგ უნდა ჩავქოლოთ. მაგას რომ ვუნახოთ ერთი ადგილი, ნამდვილად კუდი



ექნება! არ შეიძლება ასე, ჩვენ ქართველები ვართ, ყველა მხარეს ქართველები ვართ, ნუ შევჭამთ ერთმანეთს, ყელში ნუ წავუჭერთ ხელს. მოიტანა რამე შედეგი ამ ლანძღვა-გინებამ? აი, კაცურად მითხარი... მოდი, ეს გოგო ლანძღვა-გინების გარეშე მოვაქციოთ. ყოველ შემთხვევაში, ვცადოთ მაინც. ასევე ვამბობ სააკაშვილზეც, იქნებ დაყვავებით მაინც გავაკეთებინოთ რამე...

*ოქტომბერი, 2009*

## რა და რატომ ამოიღეს...

თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო უწყებებში სიტყვა „ეროვნული“ მოდაში აღარ არის. სულ ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნულ საქმეთა კომიტეტს სახელი შეუცვალეს და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი დაარქვეს. გლობალიზაცია დღეს ალენ დალესის დოქტრინის ტლანქი ხელით უტევს ეროვნულ კულტურებს. გავიხსენოთ, რას წერს ალენ დალესი თავის დოქტრინაში.

„ჩვენ დავთესავთ ქაოსს, შეუმჩნევლად შევცვლით ზნეობრივ ფასეულობებს და ვაიძულებთ მოსახლეობას, ირწმუნოს ყალბი ფასეულობები. ლიტერატურიდან, ხელოვნებიდან ჩვენ ამოვძირკვავთ ეროვნულ-სოციალურ არსს. შემოქმედებით ინტელიგენციას დავუკარგავთ ხალისს, გამოიკვლიონ და სწორად ასახონ მასების სიღრმეში მიმდინარე პროცესები. ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, პრესამ უნდა ასახონ და განადიდონ ადამიანთა ქვენა გრძნობები. ჩვენ ყველანაირად ხელს შევუწყობთ იმ შემოქმედებით ინტელიგენციას, რომელიც ადამიანის შეგნებაში შეიტანს სექსის, ძალადობის, ღალატის, ბეზღობის კულტს!“

დალესის დემაგოგიური დოქტრინის თითოეული პუნქტი ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რა სკრუპულოზურობით და „კეთილსინდისიერებით“ სრულდება იგი არა

მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, გარდა მუსლიმანური ქვეყნებისა.

გლობალიზაციის „თავგადაკლულმა“ ქომაგებმა თვით გლობალიზაციის პრინციპებსაც გაუსწრეს და გულდასმით ამოშანთეს სიტყვა „ეროვნება“. ასე რომ, მთელ მსოფლიოში დღეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა უეროვნებო!

რაც შეეხება მამის სახელს, ესეც მსოფლიო გლობალიზაციის უსიტყვო თანხმობით წაიშალა საბუთებიდან. მამის სახელი წაშალეს იმიტომ, რომ ადამიანს კავშირი არ ჰქონოდა თავის წინაპრებთან, თავის მშობლებთან, დაევიწყებინა თავისი გვაროვნული წარმომავლობა და მანქურთად ქცეულიყო, მაშინ, როდესაც ესპანურ თუ არაბულ-სპარსულ გვარ-სახელებში წინაპართა თერთმეტი სახელი მაინცაა ჩამოთვლილი, საქართველოში საბუთებში საკუთარი მამის სახელის ხსენებაც კი აიკრძალა.

ცალკე საუბრის თემაა, თუ რა გაუკეთეს გლობალისტებმა ქართული სკოლის სახელმძღვანელოებსა და ეროვნული გამოცდების პროგრამას!

გლობალიზაციის მსახვრალი თეორიის თანახმად, ახალგაზრდები უნდა აღვზარდოთ იმ შეგნებით, რომ მათ ფსიქიკაში ადგილი აღარ დარჩეს ეროვნული ღირებულებებისათვის, ცნება „სამშობლო“ და „მშობლიური მიწა“ მსოფლიოს ახალი მოქალაქისათვის სრულიად უცხო უნდა იყოს.

ყოველივე ამის შედეგია, რომ 2010 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამიდან ამოღებული იქნა იმგვარი ნაწარმოებები, რომელთა გენიალურობამ ჩამოაყალიბა ქართველ მამულიშვილთა არაერთი ეროვნული თაობა!

– ამოღებულია გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ ისტორიული შეძახილისთვის „სხვა საქართველო სად არის“. გრიგოლ ორბელიანის მეორე ლექსი „პასუხი შვილთა“ კი იმიტომ ამოიღეს, რომ იქ ასეთი სიტყვებია: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“. ამოღებულია აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, რადგანაც თავისუფლებისათვის სრულიად საქართველოს ერთიანი ბრძოლის იდეას ქადაგებს. ამოღებულია ვაჟას სტატია „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რადგან ვაჟა კოსმოპოლიტიზმის წინაშე უპირატესობას პატრიოტიზმს ანიჭებს!



ამოღებულია ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“, რადგან ეს ჩანახატი ზედმიწევნით ეხმაურება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. ამოიღეს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, რადგანაც იგი ქართველ ერს აფრთხილებს: ნუ გაიმრავლებ შენს მიწაზე უნებართვოდ შემოხეტებულ სტუმარს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს შენვე გაგასახლებს საკუთარი სახლიდანო!

ამოღებულია გალაკტიონის ლექსი „მამული“ სტრიქონისათვის „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“. პროგრამიდან ამოღებულია ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“.

თურმე, ნუ იტყვით, გლობალ-პროგრამისტებს ხელს არ აძლევთ ხევისბერის მიმართვა: „იცოდე, სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმ მიწას გედავებიან და არ დაანებო!“

ჩვენ ცოცხალ კლასიკოსს, ჭაბუა ამირეჯიბს, მისი ოპოზიციური განწყობისთვის იმით გაუსწორდნენ, რომ პროგრამიდან ამოიღეს მასში შეტანილი ცალკეული თავები „დათა თუთაშხიადან“. „დათა თუთაშხიას“ იდეები – ზნეობრივი კეთილშობილება და საქართველოსთვის ისტორიული ფუნქციის დაბრუნება – აბსოლუტურად მიუღებელია გლობალიზაციის მსოფლიო პოლიტიკისთვის.

გლობალიზაციის არტახებში მოქცეული საქართველო მხოლოდ სამ პერსპექტიულ ჭრილში წარმოიდგინება.

საქართველო უნდა იქცეს სათანადო ინფრასტრუქტურის მქონე კურორტ-სახელმწიფოდ – ფეშენებელური გზატკეცილებით. კეთილმოწყობილი ჰოტელ-სანატორიუმებითა და ტურისტული ფირმებით, ხოლო საქართველოს მოსახლეობა თანდათან ჩამოყალიბდეს ამ დაწესებულებების მომსახურე პერსონალად;

ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მთავარ მიმართულებად იქცეს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის გასაღება და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მომზადება სხვა ქვეყნებში სარეალიზაციოდ;

ქვეყნის დამოუკიდებლობის ნაბიჯ-ნაბიჯ გაყიდვის ხარ-

ჯზე პოლიტიკური ცხოვრების მოდერნიზება, რაც გულისხმობს მხარეებად დაქუცმაცების და მმართველობის იმგვარი ფორმების შემოღებას, რომ საქართველოს აღარ გააჩნდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რათა ქვეყანას აღარ გაუჩნდეს საერთაშორისო ინსტიტუტებში და სახელმწიფოთა შორის პროცესებში მონაწილეობის პრეტენზია.

ასეთია გლობალიზაციის განაჩენი!

მსოფლიო გლობალიზაციის მოახლოებულ ყალყზე შემდგარ ოკეანეს ეროვნული ფენომენის გაძლიერებით უნდა ვუპასუხოთ. დღეს ერი და ბერი წინ უნდა აღუდგეს ეროვნული სახის წაშლის ყოველგვარ მცდელობას. სხვა ვეღარაფერი გადაგვარჩენს!

*ნოემბერი, 2009*

## ერთდროულად ყეფაცა და კუდის ქიცინიც

დღეს საქართველოში საბრალდებო დასკვნების ბუმია. თითქმის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ დადო საბრალდებო დასკვნა იმის თაობაზე, თუ რა დააშავა მიხეილ სააკაშვილმა წლების განმავლობაში. თითქმის ყველა დასკვნაში ერთი და იგივე წერია.

სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიცია კარგა ხანია გასცდა ჭეშმარიტი ოპოზიციის სწორ გზას. არსად, არც ერთ ქვეყანაში დედამიწაზე ოპოზიცია გაიგივებული არ არის ნგრევასთან, რევოლუციასთან და ხელისუფლების თავების გაგორებასთან.

ჩვენ ხომ ყველაფერში გამორჩეულები უნდა ვიყოთ? საქართველოში ოპოზიციას, მარტო ახლა კი არა, უკანასკნელი 2 ათეული წლის განმავლობაში შეეძლო, ქვეყნის განვითარებაში დადებითი როლი შეესრულებინა. ოპოზიციას უნდა გამოეყენებინა ყველა ტრიბუნა იმისთვის, რომ პატარ-პატარა ჩხვლეტებით, როგორც აკეთებს ამას საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია სხვაგან. პატარ-პატარა ჩხვლეტებით, ხელისუფლება უნდა აეძულებინა, უფრო ეროვნული და ხალხზე მზრუნველი გამხდარიყო. აი, ეს ფუნქცია ოპოზიციამ განზე გადადო და ამის მაგივრად ქვა აიღო ხელში, მაგრამ ელემენტარული ჭეშმარიტებაა, ქვას რომ ისვრი მაღლა, შენ გეცემა თავში. გასაკვირი სრულიადაც არ არის, რომ ხელისუფლება, რომელსაც შენ ეუბნები, უნდა დაგამხო, ციხეში უნდა ჩაგსვა, უნდა გაგანადგურო, უნდა გაგტკეპნო, თავს იცავდეს, სხვა საკითხია, რა მეთოდებითა და რა საშუალებებით. მე უფრო მეტად იცით, რა მიკვირს? ესე იგი, მე შენ უნდა დაგამხო, თვალები უნდა ამოგთხარო, ქვეყნიდან უნდა განგდევო და რატომ მიშლი ხელს ამაშიო? აღშფოთებას გამოხატავს ოპოზიცია, – რას ჰქვია, შენ ხელს მიშლი ამ პროგრესულ საქმეშიო. ასე რომ, ჩემო კარგო, მე ისე ვატყობ, სანამ ჭეშმარიტი ოპოზიცია გამოჩნდებოდეს, მანამ ჩვენი ოპოზიცია და ხელისუფლება მშვენივრად აუდის ერთმანეთს, ერთმანეთის შესაფერისები არიან.

ჩემთვის სავალალო და დასანანი ის არის, რომ ეროვნული მოძრაობა ოპოზიციამ ჩაკლა. იცოდეთ თქვენ, აღარასოდეს დაიჯერებს ჩვენთვის ცნობილი ოპოზიციური კამპანიის მოწოდებებს ქართველი ერი და ეს ძალიან კარგად გამოჩნდა 7 ნოემბერს. მე ამას ვამბობ წუხილით და არა სიხარულით. ახლა ყოველგვარი საბრალდებო დასკვნა, ყოველგვარი ე. წ. მხილება უნაყოფოა. ეს არის ნახევრად მხილება.

ოპოზიცია იმ ფინიას წააგავს, რომელსაც ჰკითხეს, რატომ ჰყეფო? – რატომ და სხვებს ვაშინებო! – კი მაგრამ, ყეფის დროს კუდს რატომ აქიცინებო? – იმიტომ, რომ მე თვითონ მეშინიაო!

აი, ასეთია ჩვენი ოპოზიცია, რომელიც კიდეც ყეფს, კუდსაც აქიცინებს და თვითონვე ეშინია. ასეთი ოპოზიცია საშიში არ არის ხელისუფლებისთვის და არც ქვეყნის მხსნელის მანტია შვენის მას. კარგად იცის ხელისუფლებამ, რომ მისთვის რევოლუციის საფრთხემ კარგა ხნით გაიარა და ახლა დაწერილი საბრალდებო დასკვნები მხოლოდ რიტორიკაა, მხოლოდ ლირიკაა. ვის უწერ ამ საბრალდებო დასკვნებს? ვინ არის ამ დასკვნების გამგები და გამჩხრეკი?

ამასწინათ ოპოზიცია უცხოელ დიპლომატებს შეხვდა.

უცხოელი დიპლომატები ისხდნენ მუმიებივით, ეს იყო მათი მოვალეობა, მოისმინეს ეს და წავიდნენ. კრება დარჩა მხიარული. იცოდეთ თქვენ, ყველაფერი იყო, აი, ღონისძიება ჩავატარეო, რომ იტყოდნენ ხოლმე კომუნისტების დროს. ახლა ცოტა უხერხულ სახელს ეძახიან ამ ღონისძიებას – „ორთქლის გამოშვებას“.

მამაჩემსა აქვს ცხონება, ხარმა უკვე ჩაირბინა, ამათ რქებში ხელის მოკიდება ვეღარ მოასწრეს.

სიმართლე გითხრათ, ამათი მოქმედება შედეგიანობის თვალსაზრისით, ჩემთვის 10 აპრილსვე იყო ცნობილი, 9-ში შეიძლება არა, მაგრამ 10 აპრილსვე ამათი შედეგი იყო ნულის ტოლი, იმიტომ, რომ მე ოპოზიციაში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ვხედავდი მხოლოდ და მხოლოდ ისეთ პერსონებს, რომლებიც ჩემსა და შენს გასაჭირზე არ გაჰყვიროდნენ მთელი სამი თვის განმავლობაში. დღესაც საქართველოს ეროვნული სატკივარი მეორე პლანზეა გადატანილი. ჩვენ ვთავდებით, ჩვენი კულტურა სულს ღაფავს, კარგად თქვა, სხვათა შორის, ამას წინათ პრეზიდენტმა თვითონ, მე გამიკვირდა, – ისინი თავს მშვენივრად გრძნობენ, არც ფული აკლიათ, არც გართობა... ახლა „სუშის“ მოყვარული თვითონ სააკაშვილია და მე არ ვიცი, ამათ სუში უყვართ თუ არა...

თუმცა ეს კია, რომ არც ფული აკლიათ, არც დაცვა, არც მშვენიერი ჯიპები და ჯიპიდან გადმოსული დაცვის თანხლებით რომ მოვა ჩემთან, გაღლეტილ თბილისელ კაცთან და ლაპარაკს დამიწყებს, – თუ კაცი ხარ, სააკაშვილის გადმოგდებაში მომეხმარე და მერე მე გიშველიო, – მე ვერ დავეხმარები და ჩემნაირად აზროვნებს უამრავი ადამიანი იცით, რატომ? ჩემო საყვარეულო კლიმენტი, გამოგცადე მე შენ ერთხელ, მეორედ, მესამედ, მეოთხედ – აი, უნდობლობის ყველაზე დიდი ნაპერწკალი აქედან მოდის.

შენ თვითონ იყავი გუშინ უკანონობა და ფეიერვერკის სათავეში და ამ უკანონობის ერთ-ერთი სულის მბერავი, ახლა რა გინდა, კაცო, ჩემთან, მე შენს „პახმელიაზე“ ვიარო მთელი ცხოვრება? დამტოვე მე ჩემს სევდასთან, ჩემს უბედურებასთან.



გთხოვ, თუ ძმა ხარ, გაანებე ჩემს დაბოლებას თავი, არც ერთი თქვენგანი ქვეყნის მშველელი არა ხართ, დაუთმეთ ადგილი ახალ სახეებს, ახალ ძალებს, ახალგაზრდებს... სუფთა ხელების და სუფთა სულის მქონე ახალგაზრდებს. იქნებ მათ შეიდგან მხერებზე ის ტვირთი, 21-ე საუკუნის 10-იანი წლებისა?

ჭეშმარიტი ოპოზიცია ნელ-ნელა გამოიჩეკება ჩვენს ეროვნულ წიაღში, ისინი ნელ-ნელა ჩანან, ნელ-ნელა მოდიან, მაგრამ სამწუხაროდ, რაკი ყალბი ოპოზიციის ტრიბუნაზე ადგილი დაკავებულია, ისინი მოკრძალებით დგანან და ზოგჯერ მათთვის არასასურველი საქმითაც კი არიან დაკავებულები, რასაც ქვის სროლა და შეფურთხება ჰქვია.

ნახეთ, როგორ დადიან ოპოზიციონერები ამერიკაში. მე ვურჩევ ყველას, კიდევ რამდენჯერ უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენ იქ მიგიღებენ ღიმილით, ხელს ჩამოგართმევენ, მოგისმენენ, მაგრამ მოსმენის იქით საქმე არ წავა. არ დაიჯეროს არავინ, რომ, თუ დავარწმუნე მე ძია სემი ჩემს სიმართლეში, ის ადგება და საქართველოში სამართალს გააჩენს.

მე ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, შალვა ნათელაშვილი ერთადერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსია. მან ძალიან კარგად იცის, რომ მას ამერიკაში მოუსმენენ და შეიძლება ყურად იღონ, იგი დამაჯერებლად ლაპარაკობს და თანაც, ფაქტებით. მისი მიზანი ასეთია; მოდი, კიდევ ერთხელ ვცდი.

როცა შალვა ჩამოვა, მასთან ინტერვიუ ჩაწერეთ და ის ჩემს ნათქვამს აუცილებლად დაგიდასტურებთ.

ბატონი შალვა გეტყვით: მე რომ ჩავედი ამერიკაში, ყოველგვარი ზომა მიღებული ჰქონდათ, მავანთ და მავანთ... ამიტომ, სალაპარაკოდ და ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად მიმიშვეს არა პირველი რანგის ამერიკელ ჩინოვნიკებთან, არამედ უფრო მოკრძალებულ პოლიტიკოსებთან. მე, რა თქმა უნდა, ისინი დავარწმუნე სიმართლეში და დარწმუნებული დავტოვე, გამოვემშვიდობე და უკან წამოვედი. ამ დარწმუნების შედეგი აბსოლუტურად არაფერი არ არის. იმიტომ, რომ ამერიკელი, ობამაც კი, მას რომ შეხვედროდა შალვა ნათელაშვილი, საქართველოში ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს არ დანიშნავს, ხოლო რაც შეეხება

ოპოზიციურ პარტიებს, ღმერთმა მისცეთ, მაგრამ თქვენ არ გეგონოთ, რომ ეგენი შიმშილით კვდებიან.

ფულს მაგათ სახელმწიფო აძლევს... ახლა შენ რომ ჩემთან თავის გასატეხად მოდიოდე და მე ფულს გაძლევდე, ზუსტად ასეთი სიტუაციაა.

ეგ ჩვენი ფულია, სააკაშვილი თავის ჯიბიდან არ იძლევა.

ჩვენი ფულია და სწორედ ეგ არის უბედურება. ეს 21-ე საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების მშვენიერებაა, თორემ არც ლენინის და არც სტალინის დროს ასეთებს ფულს არავინ აძლევდა. ეს არ არის მთავარი. ახლა მინდა საქართველოს ბედზე ვილაპარაკო, იცი თუ არა შენ, ჩემო მკითხველო, რომ ხვალვე რომ შევიდეს რუსეთი პარიზში ან ლონდონში ჯარით, მისთვის ხმის გამცემი არავინ არ არის?

ერთი თოფი არ გავარდება. ვისი იმედი გაქვს, ბიჭო? რა ჟენევის მოლაპარაკებები, რა სისულელეები, ამ შეშფოთებების მოსმენით არ დავიღალეთ, კაცო? გამოდიან და ამბობენ, არ შეასრულა რუსეთმა მედვედევ-სარკოზის შეთანხმების არც ერთი პუნაქტი! ამ დროს, როცა იყო ბერლინის დანგრევის 20 წლისთავი, ორიოდე დღის წინ ევროპის პრეზიდენტებმა გვერდით დაიყენეს ახალი ბერლინის კედლის ამშენებელი საქართველოში, საქართველოს დამაქცევარი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი. გაჭიმული იდგა ეს კაცი, თითქოს დიდი მშვიდობის მტრედი ყოფილიყოს ამ ევროპის პრეზიდენტებს შორის, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, ჩვენ რომ გეუბნებით: მედვედევო, გაიყვანე ჯარი საქართველოდან, შეუშვი ეუთოს დამკვირვებლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ნუ ააშენებთ ბაზებს საქართველოს მიწაზე, ეს ყველაფერი ნანინად ჩაგესმოდესო. ჩვენ აბსოლუტურად ფეხებზე გვკიდია საქართველოს ბედი და იცოდე, როცა საყვედურს გეუბნებით, ან გწყევლით ხანდახან, ჩვენი ძუძუები გლოცავენო. განსაკუთრებით მერკელს შეეძლო ეს ეთქვა... მერკელის ძუძუები მართლაც ლოცავენ რუსებს. გვატყუეს, ჯერ „პაპი“ უნდა მოგცეთო, მერე „მაპიო“, მეცინებოდა, ამ ყველაფერს რომ



ვისმენდი, აი, ახლა ნატოს სამიტზე მოგვცემენო, დასცინეს საქართველოს.

ყელი მიშრება, როცა ამას ვამბობ. მაშინ, როცა რუსეთი ასე უპრაგონოდ დაესხა თავს საქართველოს, ხმა არავის ამოუღია. რუსი რაღაც მომენტში თვითონ შეჩერდა, ვერ გეტყვით, ჩვენმა ძლევამოსილმა არმიამ შეაჩერა-მეთქი, საქართველოს მიწასთან გასწორებას უნდოდა ზუსტად ორი დღე, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ესევიან, ჩვენ გაგვაცვედნეს, ქვას რომ გვესვრიან, თურმე ჩვენ ღვეზელი უნდა ვესროლოთ. ამიტომაა, რომ წამოჰყვეს თავი ჩვენმა უტკბილესმა მეზობლებმა, საქართველოს ტერიტორიაზე გამრავლებულმა სტუმარი ერების წარმომადგენლებმა და შეიქმნა ზოგადკავკასიური მითი. ქართველი? – არა, კაცო, მიდი წაართვი მიწა, წაართვი სახლ-კარი, ხმის გამცემი არ არის, ახლა ქართველი ისეა დაშინებული 2008 წლის ომში დამარცხებით, რომ ახლა უნდა შევესიოთ, გამოვხრათ, გავყიდოთ, გამოვაცალოთ თავ-სასთუმალი, წავართვათ მიწები. არა, ბატონო, არა, ეგრე არ გამოვა... ნურც ერთი ქართველი პოლიტიკოსი ნუ დამაშინებს მე დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის შთამომავალ ერს.

*ნოემბერი, 2009*

## ორივე მხარის გასაგონად

ამ ბოლო დროს ოპოზიციის უმოქმედობა საზოგადოებაში ერთგვარ გულისწყრომასა და ლიდერებისადმი გარკვეულ უნდობლობას იწვევს. ხშირად ისმის რიტორიკული კითხვა: ვინ ან რა იქნება სააკაშვილის შემდეგ! მაგალითად რით სჯობია, ვთქვათ, ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ე. წ. რადიკალური ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს?

შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს სჯობია, უწინარესად, ეროვნულობით, თუმცა ხასიათის გარკვეული თვისე-

ბით ისინი ერთმანეთს ჰგვანან – ორივენი არიან ქარიზმატულნი, ენერგიულები და უკომპრომისონი. განსხვავება კი ის არის, რომ ნათელაშვილის უკომპრომისობა საქართველოსთვის სასარგებლოა, რაც შეეხება სააკაშვილს, მისი უკომპრომისობაც, სიმართლე გითხრათ, ბევრ რამეში საწაღმართოა, ვთქვათ, კორუფციის წინააღმდეგ, მაგრამ როცა უკომპრომისო ხარ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლების, უნივერსიტეტისა და აკადემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს ვერაფერი უკომპრომისობაა...

შალვა ნათელაშვილის ბრძოლა თანამიმდევრულია არა მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ თავისი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისთვისაც და ეს ლეიბორისტული პარტიის არაერთმა შედეგიანმა აქციამაც დაამტკიცა...

რით სჯობია კოკო გამსახურდია მიხეილ სააკაშვილს? სიმართლე გითხრათ, კოკო გამსახურდიასგან და მისი წარმოშობის კაცისგან უფრო მეტს მოველოდი. მას შთამომავლობით უნდა გადასცემოდა კონსტანტინე გამსახურდიას სიბრძნე და ზვიადის თავგანწირულობა. მეტ-ნაკლებად, ალბათ, ორივე გადმოეცა, მაგრამ ძალიან მცირე დოზით. ასე რომ, ხანდახან ვფიქრობ, მართლა ხომ არ ისვენებს ნიჭი შთამომავლობაზე?!

კოკო გამსახურდია კონფორმისტულ გზებს ეძებს, აუტკივარი პოლიტიკის გზას ადგას. ამიტომ იგი, ალბათ, დიდხანს დარჩება პოლიტიკოსად, რომელსაც ხელს აძლევს, ითვლებოდეს პოლიტიკოსად, მაგრამ ვერ აღწევდეს დასახულ მიზანს; ისე ჩაგვაბერდება კოკო ხელში, რომ იგი თავისი დიდი ბაბუისა და დიდი მამის გზის ღირსეულ გამგრძელებლად აღარ ჩაითვლება ხალხის მიერ.

ნინო ბურჯანაძეზეც ვიტყვი ორიოდ სიტყვას. უპრინციპობაა მთელი მისი მოღვაწეობის უპირველესი ნიშანი. მე მას კარგად ვიცნობ. პარლამენტშიც კარგა ხანს ერთად ვიყავით.

მახსოვს ერთი ეპიზოდი, როცა პარლამენტის დელეგაცია აზერბაიჯანში იმყოფებოდა. იქ კონფერენციაზე ერთი ჟურნალისტი წამოდგა და ბურჯანაძეს ჰკითხა: „ნინო ხანუმ, თქვენზე ამბობენ, გვარ-ტომით სომეხიაო, მართალია ეს თუ არა? ერთ-ერთ არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ როგორც



კი აგირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ, პირველი ვიზიტი სომხეთში გქონდათ“. ბურჯანაძე დაიბნა, ვერაფერი თქვა, მერე მიმოიხედა და დარბაზში რომ დამინახა, განაცხადა: „მე სომეხი ვარ თუ არა, აგერ არის ჩვენი დელეგაციის წევრი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი რეზო მიშველაძე და ჰკითხეთო. მე ავდექი და ვთქვი ის, რაც მართლა ვიცი – ნინო ბურჯანაძე ჩემ თვალწინ გაიზარდა, მისი ოჯახი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა, კარგად ვიცნობ დედასაც, მამასაც და თქვენი ეჭვი ნინო ბურჯანაძის სომხობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება-მეთქი. ეს ვთქვი სრულიად გულწრფელად, რადგან მის სომხურ წარმოშობაზე არაფერი ვიცოდი და არც ახლა ვიცი, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ გამოაცხადეს, ბურჯანაძე ერთ-ერთი ცნობილი სომხური ორგანიზაციის დამფუძნებელთა შორის ითვლებაო, სიმართლე გითხრათ, ცოტა დავეჭვდი – მართლა ხომ არა აქვს სომხური ფესვები-მეთქი, თუმცა ესეც ნაკლებად მაინტერესებს. მე არა ვარ ისეთი პატარა კაცი, რომ პოლიტიკოსების ძირებში არაქართული წარმოშობა ვეძებო.

ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, აკეთებს თუ არა ესა თუ ის პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს და არის თუ არა მისთვის უპირველესი მიზანი ქართული ღირებულებების თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

ნინო ბურჯანაძე პარლამენტში ყოფნის დროს დაუცხრომელი წინააღმდეგი იყო, რომ ეროვნება ქართველი საბუთებში ჩაწერილიყო. თავგადაკლულად ვებრძოდით მე, ცხონებული გურამ შარაძე და ელიზბარ ჯაველიძე მაგრამ მან ერთი წუთითაც უკან არა დაიხია.

ამასთან, როცა ის ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ორივეჯერ მივედით მის კარზე მე და მაყვალა გონაშვილი და მიღება ვთხოვეთ. მან იცოდა, რისთვისაც ვიყავით მისული – მწერალთა კავშირის საკითხზე უნდა დავლაპარაკებოდით, ამიტომ პასუხს თავი აარიდა, დაგვემალა და მოიმიზეზა – არ მცალიაო.

მერე ანა კალანდაძის დასაფლავებაზე წერილი მე თვითონ გადავეცი, ერთი გენახათ, ისე ურცხვად შემომხედა და ისე

გამომართვა ეს წერილი, თითქოს ზღარბი შემეჩეჩებინა ხელში. თუმცა ამასაც ვინ ჩივის – არანაირი გამოხმაურება, ყურადღება ან რამე პასუხი მისგან არ ყოფილა. ასე რომ, ნინო ბურჯანაძის ეროვნულობას მე ეჭვქვეშ ვაყენებ და როცა პოლიტიკოსი ეროვნულ საქმეს არ აკეთებს, მას უფლება არ აქვს, პოლიტიკაში ყელყელაობდეს.

მე ერთი პერიოდი ვამბობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ – ხომ არ არიან „ოპოზიციონერები“ დანიშული პოლიტიკოსები?! ეს კითხვა ბუნებრივად იბადება იმიტომ, რომ როცა ჩამოდიან ხოლმე მინისტრები ლიტვიდან, ამერიკიდან ან რომელიმე სხვა სახლემწიფოდან, ჯერ ხვდებიან პრეზიდენტს და შემდეგ თითქმის იმდენივე ხნით ხვდებიან „ოპოზიციის“ მხოლოდ სამ ლიდერს – ბურჯანაძეს, გამყრელიძეს და გაჩეჩილაძეს. ვსვამ კითხვას – რაშია საქმე, ოპოზიციონერობის მონოპოლია აქვს მოპოვებული ამ სამ პიროვნებას?

რა თქმა უნდა, არა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, ეს სამი ადამიანი – ბურჯანაძე, გამყრელიძე და გაჩეჩილაძე – იმაზე კი არ ილაპარაკებს უცხოელთან, რაც ერს და ქვეყანას აწუხებს, არამედ იმაზე, რაც მათ თავიანთი კეთილდღეობისთვის სჭირდებათ. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე არ მწამს და არც არასდროს მწამდა ნინო ბურჯანაძის ოპოზიციონერობისა...

როცა ვამბობ, ოპოზიცია თითქმის არ არსებობს-მეთქი, ვგულლისხმობ იმას, რომ მათი ეიფორიული მოღვაწეობა, გულზე ხელის ბრახუნი, მიტინგებზე ომახიანი შეძახილები: „მიშა მოვედი!“ და ა. შ. სასაცილოზე სასაცილოა. ჩვენს ტელევიზიებში უნიჭო ხალხია, თორემ ახლა სწორედ იმ მიტინგების ჩანაწერებს გავუშვებდი. „პირველ არხზე“ და „რუსთავის-2“-ზე. თანაც ამ კადრებს არავითარი დამონტაჟება და კომენტარი არ სჭირდება; საკმარისია, ერთხელ უყურო, მიხვდები, რომ მართლა სასაცილოა და სატირალიც. თუნდაც იმიტომ , რომ ყოველ დღე ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდნენ, იჭაჭებოდნენ, ატყუებდნენ ხალხს და არსად, არც ერთ გამოსვლაში არაფერს ამბობდნენ ეროვნულ სატკივარზე. ისინი არ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დღესდღეობით



საქართველოში ადამიანთა დასაქმების მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა. არც თავიანთა გეგმებზე საუბრობდნენ, გააჩნიათ თუ არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რამე სტრატეგია. ყურადღების მიღმა რჩებოდათ ის, რომ შობადობის დონემ კატასტროფულად იკლო, რომ ყველა საბუთში წაშლილია ეროვნული კუთვნილება; რომ უნივერსიტეტი, მეცნიერებათა აკადემია, ფაქტობრივად, გაუქმებულია და მეტს რას ვემდურით ჩვენ სააკაშვილს?! სააკაშვილზე უკეთესები ესენი, ეს ე. წ. მომავლები, არაფრით არ არიან.

აი, მაგალითად ავიღოთ ყველაზე გახმაურებული ფაქტი – ტალიავინის კომისიის დასკვნა. ამ დოკუმენტს დააძღნენ ეს ჩვენი ე. წ. ოპოზიციონერები, თანაც სასაცილოა, რომ ყველას სხვადახვანაირად ესმის და ყველას სხვადასხვა შინაარსი გამოაქვს ამ დასკვნიდან. ნუთუ ასეთი დაუნები ვართ ჩვენ, რომ ვერ გავიგეთ, რა წერია დოკუმენტში?! ერთნი იძახიან, ჩვენი საწინააღმდეგო არაფერი წერიაო, მეორე მხარე – ოპოზიცია – კი დაბეჯითებით გვარწმუნებს, ომის დაწყებაში სააკაშვილს დასდეს ბრალი და წუთი წუთზე ველოდებით მის დაპატიმრებასო. ჩემი აზრით, ორივე პოზიცია მცდარია, ორივე მოკლებულია რეალობას. ამ ე. წ. ოპოზიციის ლიდერებმა ვერაფერი მოუხერხეს სააკაშვილს, ყველა ნიუანსში დამარცხდნენ მასთან დაპირისპირებაში და ახლა გულზე სკდებიან. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღესდღეობით ხალხს ისევ სააკაშვილისკენ უბრუნდება გული. იმდენი ზიზღი და სიძულვილი დაგროვდა ამ გაყიდული ოპოზიციის მიმართ, ისეთი უნდობლობა და გულგატეხილობა გამოიწვია ბოლოდროინდელმა მოველენებმა საზოგადოებაში, რომ ისევ სააკაშვილს ებღაუჭება ხალხი... „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, – ასე ჩვენი საქმე.

რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, იქ მართლა წერია, რომ პირველმა ქართულმა ჯარმა გაისროლა, მაგრამ მე, პირადად, სააკაშვილს ამაში არამც და არამც არ ვადანაშაულებ. იცით თუ არა თქვენ, რომ ქართული ჯარი პირველი გადავიდა იერიშზე დიდგორის, კრწანისის, ასპინძის და თითქმის ყველა ომში, რაც კი ჩვენმა ისტორიამ იცის? ზოგი ომი მოვიგეთ, ზოგი – წავაგეთ. აი, მაგალითად: სამარცხვინოდ გაიქცა ერეკლე მეფე

კრწანისის ომიდან, მაგრამ ქართველ ერს ფიქრადაც არ მოსვლია, ამის გამო გაესამართლებინა იგი როგორ შეიძლება მეფე დაადანაშაულო იმაში, რომ ვთქვათ ას ორმოცდაათი ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში?! ეს ხომ სისულელეა.

სააკაშვილის დანაშაული და სირცხვილი ის კი არა არის, რომ ომი დაიწყო, არამედ ის, რომ დღენახევარში დამთავრდა ყველაფერი.

ეს დილეტანტები – დავით კეზერაშვილი კახა ლომაია – გამოდიოდნენ და რა განცხადებებს აკეთებდნენ? – ცხინვალი როგორც ქალაქი აღარ არსებობს, მიწასთანაა გასწორებულიო. ორი სახლი დაინგრა გორში და ორი ცხინვალში, ესენი კი ზეიმობდნენ. უკვე ცხინვალს და მთლიანად სამაჩაბლოს ვაკონტროლებთო. აი, სწორედ ამან დაგვღუპა და მიგვიყვანა კატასტროფამდე ასე რომ, ჩვენ სააკაშვილის სხვა ნაკლი ჩამოვთვალოთ და სხვა შეცდომებზე ვილაპარაკოთ, რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებულ ომს, ეს იმის კისერზე იყოს, იმ ძია სემის, რომელმაც შეაგულიანა სააკაშვილი, თორემ დარწმუნებული ვარ, მას რომ ოდნავ მაინც ამერიკის იმედი არ ჰქონოდა, თვითონ, დამოუკიდებლად რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას არ დაიწყებდა.

ამერიკამ ყველაფერზე თვალი დახუჭა ხმა არ ამოიღო, სანამ რუსულმა ტანკებმა წაღმა-უკუღმა არა გადახნეს საქართველო და მერე გამოაცხადა: ეს ვერ ჩაიდინა მთლად კარგი საქციელი რუსეთმაო.

თუ ქართული ჯარი არ არსებობდა და მოწინააღმდეგის ძალებისთვის თუნდაც ერთკვირიანი წინააღმდეგობის გაწევა არ შეგვეძლო, რა თქმა უნდა, ომი არ უნდა დაგვეწყო მაგრამ ჩვენ აღლუმზე გვიჩვენებდნენ აურაცხელ იარაღს და ყურს გივჭედავდნენ – აი, ქართული არმია ძლევამოსილიაო. თუ მართლა ძლევამოსილი იყო, მაშინ ბოლომდე უნდა მიგვეყვანა დაწყებული საქმე და ტერიტორიები უნდა დაგვებრუნებინა... თუ პირდაპირი შეტევისა და პასუხის გაცემის ძალა არ გვქონდა, სხვანაირად უნდა გვემოქმედა – უნდა დაწყებულიყო რაიმე საწინააღმდეგო მოძრაობა, როგორც საფრანგეთში იყო, როცა გერმანელებმა პარიზი აიღეს, მაგრამ ჩვენთან არანაირი



მსგავსი მცდელობა არ ყოფილა. მართალია, სააკაშვილი კი გვამხნევებს, ომი ჯერ არ დამთავრებულა და ყველაფერი წინ არისო; მაგრამ ფაქტია, რომ დღეს საქართველო დამარცხებულ, ოკუპირებულ ქვეყანას არ ჰგავს, არის შოუები, კონცერტები, ცეკვა-თამაში... შეიძლება ასეთი რამ ხდებოდეს ქვეყანაში რომელმაც ერთი წლის წინათ ომი წააგო?! ამიტომაა, რომ მსოფლიოს თვალში გიჟები და უჭკუოები ვჩანვართ.

სააკაშვილი არის საქართველოს პრეზიდენტი და ყველა ქვეყანა იმის ღირსია, როგორ ხელისუფლებაც ჰყავს. ამიტომ ყოველგვარი ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ – შენ წადი და მე უნდა მოვიდეო – შეცდომად მიმაჩნია. ეს ერის გახლეჩის მცდელობაა.

პოლიტიკოსი რომ ხარ, იქნება ეს ბურჯანაძე, თუ რომელიმე სხვა ოპოზიციონერი, ჭკუით როგორ უნდა გაჯობოს მექრთამეობაზე დაჭერილმა და გასამართლებულმა შალვა რამიშვილმა?!

რომელიც გამოდის და აცხადებს: ველაპარაკე ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს, არაფერი ამათ არ შეუძლიათ, ყველანი უნიჭოები არიან და არაფრის შნო არ აქვთ“.

ხელისუფლების შეცვლა მიტინგზე გრძელი სიტყვის თქმითა და ხალხის მოტყუებით კი არ ხდება, არამედ მუხლჩაუხრელი, თანმიმდევრული ბრძოლით, გნებავთ თავგანწირვითაც, რათა დაანახო მთელ ქვეყანას, რომ შენ უკეთესად მოუვლი შენს სამშობლოს, ვიდრე არსებული ხელისუფლება მერე უკვე აღარაფერი აღარაა საჭირო, ხალხი თვითონ დანიშნავს არჩევნებს და მოახერხებს ხელისუფლების შეცვლას. ამათ, ბურჯანაძემ და სხვა ლიდერებმა, ვერანაირი გეგმა ვერ წარმოადგინეს. მათ მხოლოდ სააკაშვილის შეცვლა უნდოდათ, მაგრამ იმასაც ვერ ამბობდნენ გასაგებად, თუ რატომ უნდა შეიცვალოს. საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, რომ სწორედ ამ ლიდერებმა: ბურჯანაძემ, გაჩეჩილაძემ, ზურაბიშვილმა, დავითაშვილმა, ძიძიგურმა და სხვებმა მოიყვანეს სააკაშვილი ხელისუფლებაში და დღეს, როცა ჟურნალისტები ეკითხებიან, რატომ არ გიწვევენ უცხოეთის დელეგაციებთან შეხვედრებზეო, რა ვიცითო პასუხობენ ცრემლმორეულნი...

გუბაზ სანიკიძეზე და მის პარტიაზე რა აზრის ვარ?

გუბაზს ძალიან დიდ პატივს ვცემ სწორედ თავისი უკომპრომისობისა და ვაჟკაცობის გამო; აგრეთვე, იმის გამო, რომ ჩემი უპირველესი მეგობრის – ლევან სანიკიძის შვილია, მაგრამ გზა, რომელსაც მისი პარტია დაადგა, არ იყო ტაძრისკენ მიმავალი. ეს უკვე ჩანს, უწინარესად, იმაში, რომ „ეროვნულ ფორუმს“ იმ მომხრეების მეხუთედიც არ ჰყავს, რაც საპროტესტო აქციების დროს ჰყავდა. ამის მიუხედავად, გუბაზ სანიკიძეს მაინც აქვს უფლება, რომ ოპოზიციონერად იწოდებოდეს, ოღონდ ისიც ნუ გააკეთებს ისეთ ომახიან განცხადებებს, ამ რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით რომ მოვისმინეთ... ყველამ ვიცით, რომ ის ამის გამკეთებელი არ არის. საერთოდ ტელევაჟკაცობა არაფერს ნიშნავს. საქმის გამკეთებლი ტელევიზორში არ ყვირის, ეს მხოლოდ „ორთქლის გამოშვებაა“. მერე შენ რომ სახლში მიხვალ, ჩემო საყვარელო გუბაზ, წყნარად დაიძინებ, ღამე ერთი სამჯერ გაგეღვიძება და ფანჯარაში ჩუმად გაიხედავ, ხომ არავინაა მოსული ჩემს დასაჭერადო, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ ტყეში გავარდნის თავი არ გაქვს...

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ამ ოპოზიციას უნდა, საზოგადოების მხარდაჭერა ჰქონდეს და დასახულ მიზანს მიაღწიოს, უნდა წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა, ქვეყნის ხსნისა და კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ და რა გზით აპირებენ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, უმუშევრობის დაძლევასა და ყველა იმ მთავარი საკითხის მოგვარებას, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე პრობლემურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. უფრო მეტიც, პირადად ჩემში უკვე ჩამქრალია ყოველგვარი რადიკალიზმი ხელისუფლების მიმართ, იმიტომ, რომ ბოლო დროს გაცილებით უფრო ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ამ ე. წ. ოპოზიციამ, ვიდრე – სააკაშვილმა.

ორივეს გასაგონად ვამბობ, – ოპოზიციისა და, განსაკუთრებით, სააკაშვილის – თუ ჭკუით არ იქნებით, საქართველო დამთავრდება, შაგრენის ტყავივით შემოგველევა ხელში. ჩვენს ტერიტორიებს წაიღებენ (უკვე მიაქვთ!) და ქართველი ერი მოისპობა, მოისრისება, როგორც ნაბუქოდონოსორმა მოსრისა ებრაელები. მერე შეიძლება ორი ათას ექვსასი წელი დასჭირდეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რასაც მე ვერ მოვესწრები, ჩემო მიხეილ, მაგრამ შენ ნამდვილად მოესწრები, იმიტომ რომ „შენ უკვდავი და მარადიული ხარ!..“

ამიტომ კიდევ ერთხელ მოგმართავ, გონს მოდი და დაფიქრდი: საით მიჰყავს ეს გაუბედურებული ქვეყანა შენს უჭკუობას, იმ წინდაუხედავ და აუწონავ-დაუწონავ პოლიტიკას, რომელსაც შენ და შენი გარემოცვა ახორციელებთ!..

*ოქტომბერი, 2009*

## არჩევნები–აქილევსის ქუსლი

არჩევნები აქილევსის ქუსლად იქცა საქართველოში ყველა სახალხო ამბოხება, ყველა გამოსვლა, ადამიანთა უკმაყოფილების გამოხატვის მიზეზი 80 პროცენტი არჩევნებია. უნდა გითხრა, რომ ქართველი კაცი გაუძლებს შიმშილს, ჩვენი მოთმინების ფიალა, როგორც ჩანს, უსაზღვროა, ქართველ კაცს იმედი არასოდეს არ ტოვებს, თორემ სასოწარკვეთამდე, სიმართლე რომ ვთქვათ, არაფერი აღარ უნდა გვაკლდეს იმიტომ, რომ ტერიტორიები წართმეულია და ქვეყანაში თითქმის სრული ეკონომიკური კოლაფსია. უმუშევრობა იზრდება, თვითონ პრეზიდენტმა თქვა ქუთაისში; ჩვენო რაღაც ახალი ტიპი გამოვიყვანეთო ჩინოვნიკის, რომელიც აბსოლუტურად გულგრილია მოქალაქეთა ბედის მიმართ და საჩვენებელ ღონისძიებებზეა გადასულიო. ესე იგი უზუსტესი შეფასება იყო ჩვენი ჩინოვნიკების უმრავლესობის საქმიანობის. შეიძლება, რომ ცხოვრობდეს ქუთაისში, თითქმის ცენტრში მრავალსულიანი ოჯახი და ორი წლის განმავლობაში შუქი არ

მიეწოდებოდეს? ეს ერთი შემთხვევა იყო ამოტივტივებული, თორემ ასეთი ხომ ბევრია? მე დავინახე მასპინძელი ქალის გადარეული სახე, ისევ იმედს ჩაებღაუჭა, ის იქნება უბედნიერესი ქალი, თუ შუქი გაანათებს მის უბედურებას, ხედავ, რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს? მაგრამ-მეთქი, გეუბნები სრული პასუხისმგებლობით, მე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნები არ მინახავს, რომ არ ყოფილიყო გაზუზღული გაყალბებებით. არჩევნების გაყალბების ისეთი უნიკალური ხერხები გამოვძებნეთ, საქეიფოდ ჩამოსული დამკვირვებელი კი არა, რომ დააყენო მსოფლიოს უპირველესი გამომძიებლები, ვერ მიხვდებიან, რაშია საქმე, როგორ გაყალბდა არჩევნები. ახლა სასაცილოა, ეს დამკვირვებლები რომ შეადგენენ მერე საერთო წერილს, ზეწრებივით რომ ჰგავს ერთმანეთს: იყო მცირეოდენი დარღვევები, მაგრამ არჩევნები მაინც მშვენივრად ჩატარდა.

დაიხურავენ ქუდს და წავლენ. აი, როგორც არ უნდა გალანძღოს ვინმემ შალვა ნათელაშვილის წინადადება, მოდით, გაერომ ჩაატაროს არჩევნებიო, მე ამ საკითხში მის მხარეს ვარ. ახლა შეიძლება დაკვირვებულმა ისტორიკოსმა ერთი დიდი წიგნი დაწეროს: „არჩევნების გაყალბების მეთოდები საქართველოში“.

საქართველოში არჩევნების ისეთი გამყალბებლები არიან, მაგას მოწაფედაც არ აიყვანენ. ეს კარუსელები, ეს ხმის დათვლის დროს სინათლის ჩაქრობა, ყუთების გაქრობა, თავდასხმები საარჩევნო უბნებზე, დათვლილი ხმების შეცვლა, უკვე გამზადებული ბიულეტენების შეყრა და ძველი ბიულეტენების სანაგვე ყუთებში ჩაყრა, რომლებსაც პოულობდნენ მერე ოპოზიციონერები ნაგავსაყრელებზე. მე ვიჯექი და ვკვდებოდი სიცილით, ასეთი ბრიყვები როგორა ხართ და როგორ დაიჯერეთ, რომ ვინც ატარებს არჩევნებს, შენ მოგაგებინებს? სააკაშვილი იმ ჭკუაზეა, სწორედ! კარუსელიც კი, რომელიც გენიალური ფორმაა არჩევნების გაყალბებისა, ახლა გადაწონა სრულიად ახალმა მიღწევამ. ეს მიღწევა, იცი, რა არის? ბეჭდავენ ახალ პირადობის მოწმობებს, შენ რომ მიდიხარ,



შენი პირადობის მოწმობით და რომ გგონია, აჰაა, ახლა კი გავაჩინე სამართალი, იმას მივეცი ხმა, ვისთვისაც მინდოდაო, შეიძლება ბიულეტენში ზუსტად შენივე ნომრით, შენივე პირადობის მოწმობით სხვამ მისცეს ხმა, მერე ეს შენი ბიულეტენი ამოისვი ერთ ადგილას, აღარ გჭირდება, საარჩევნო ყუთში უკვე დევს შენი ხმა. ახლა მე შენ ნახევარი ვერ ჩამოგითვალე ამათ მიერ მოგონილი მეთოდებისა, იქ არის კიდევ მომხრეების მეორე კარიდან შემოსვლა, მოწინააღმდეგეების ასე ჯგროდ გატარება და ასე შემდეგ, აი, ახლა, როცა საქართველოში ვითარება, ასე თუ ისე, მშვიდია..

მე მაინც მშვიდ ვითარებას ვეძახი, რადგანაც ოპოზიციის ბელადებმა ირწმუნეს, რომ ვერაფერს ხდებიან, იხტიბარს არ იტეხენ და არის გაუთავებელი დასახელება, დოღია გამართული ქალაქის მერობის კანდიდატებისა მაშინ, როცა გულზე ხელის ბრაგუნით გაჰყვიროდა ჩვენი უსუსური, ვეგეტარიანული ოპოზიცია: ჩვენ იმ შეცდომას არ გავიმეორებთ, რა შეცდომაც დავუშვით წინა არჩევნებში, ახლა ჩვენ გამოვალთ მხოლოდ და მხოლოდ ერთი კანდიდატით! მერე გამოიგონეს რაღაც პრაიმერი. ბოლოს გაირკვა, რომ ეს პრაიმერი მაინცდამაინც ყველას არ აწყობს და ისევ ძველი მეთოდი, რომელიც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ არავითარი რადიკალური ოპოზიცია საქართველოში არ არსებობს, რომ ხელისუფლების ნეკნიდან გამოსული ოპოზიციონერები თამაშობენ ჩემი გაუბედურებული ქართველი ერის ყურადღების განზე გაყვანის პოლიტიკას, დროის გაყვანის პოლიტიკას... აი, ეს არჩევნები არ გამომივიდა, მაგრამ თქვენ ნახეთ ახლა რას ვიზამთ 2013 წლის არჩევნებშიო! და 2013 წლამდე უნდა ვიდგეთ ჩვენ და იმედის თითი ვწოვოთ. ბოლოს და ბოლოს, ამ აბურდულ გაგიჟებულ მსოფლიოში, როცა დამოკლეს მახვილით კიდია ჩვენზე ხან „ქათმის გრიპი“ და ხან „ღორის გრიპი“, რაღაზე უნდა ილაპარაკო კაცმა? ქათმის გრიპით ყოველ მესამეს გვისტუმრებდნენ მოუსავლეთში, თუ გახსოვს...

ჩვენ ოთხი წევრი ვართ ოჯახში და როცა მინისტრმა ჭიპაშვილმა თქვა, ყოველი მესამე დაიღუპებაო, მე გამოვ-

იანგარიშე და ესე იგი, ჩემ სიდედრს გადავულოცე ქათმის გრიპი. მკვირცხლი გონების ქალი იყო, თვითონაც გამოიანგარიშა და დაასკვნა, მართლა ასე კი არ არის საქმე, „ქათმის გრიპი“ თვლით კი არ მოდის, შეიძლება რომელიმე ოჯახში ოთხივეს დაემართოს, ხოლო რომელიმე ოჯახში არც ერთსო. ახლა „ღორის გრიპი“ მოვიდა და თქვეს, სულ ადვილი შესაძლებელია, ეს ყველაფერი მსოფლიო აფიორა აღმოჩნდეს და სინამდვილეში ჩვეულებრივი გრიპი იყოს, სურდოზე ცოტა მეტიო. ამან ხომ დამაბნია და დამაბნია, მაგრამ-მეთქი, გეუბნები, უფრო დააბნია ჩვენი ამომრჩეველი ამ წაჯექ-უკუჯექობის გაუთავებელმა პოლიტიკამ. ახლა იქნება, რასაკვირველია, მერობის ცხრა კანდიდატი და შენ როგორ ფიქრობ, ესე იგი, ოპოზიცია, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, შეძლებს, რომ თავისი კანდიდატი გაიყვანოს და საერთო ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვოს? რასაკვირველია, ვერ შეძლებს.

ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ისინი ერთმანეთს დაასუსტებენ და არჩევნების შემდეგ, უკვე როცა დამაცხებულად იგრძნობენ თავს, დაიწყებენ მუშტების ქნევას და იტყვიან: აი, აქ მოხდა გაყალბება, იქ მოხდა გაყალბება, ამას დამკვირვებლებმა არ მიაქციეს ყურადღებაო და ასე შემდეგ. ამიტომ მცირე ილუზია და მცირე იმედი მაინც რომ ჩაესახოს სამართლიანი არჩევნებისადმი ქართველ ხალხს, მე მიმაჩნია, ძალიან კარგი იქნება, თუ გაერო ან საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაატარებენ არჩევნებს. რა თქმა უნდა კი არა, თვით ამერიკაშიც ვერ ჩაუტარებიათ ნორმალურად, შენ გახსოვს, ალბათ, ოთხი წლის წინათ სამი თვე ითვლიდნენ ბუშის ხმებს.

ბუშმა ერთი ხმით მოიგო.

ერთი ხმით მოგებული პრეზიდენტი, ითვლება პრეზიდენტად? იმათ თავიანთ სატკივარი აქვთ, თავიანთი კისერი უტეხიათ და კინჩხიც ზედ მიუყოლებიათ, მაგრამ საქართველოში ჩვენ თუ ჩაგვიტარებენ ობიექტურ არჩევნებს და ხმებს ობიექტურად დაითვლიან, მე ამას მივესალმები. მე მაინტერესებს ახლა, არჩევნებს თუ გაერო ჩაატარებს, დამკვირვებლები, ალბათ, ჩვენ ვიქნებით, მე და შენ, ხომ?



ბოლოს და ბოლოს, იმათ თავიანთი მექანიზმები ექნებათ. ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ოპოზიციის ლიდერების ვოიაჟებმა ამერიკაში ვერავითარი შედეგი ვერ მოიტანა. სიმართლე გითხრა, არჩევნები გაერომ ჩაატაროსო, ეს ხავსს ჩაბღაუჭებაა, უკანასკნელი იმედია და თუნდაც იმიტომ ექნება ამას დიდი მნიშვნელობა, რომ მერე ხალხი ქუჩაში აღარ გამოვა და ისევ ზანზარს არ დაიწყებს ჩვენი ქალაქი, ბოლოს და ბოლოს, იტყვის მოქალაქე: ა, ძმაო, დაათვლევინეთ ხმები გაეროს, მაინც ვერაფერს მიაღწიეთ და ახლა, თუ კაცი ხარ, დაგვანებე თავი, ჩვენს უბედურებასთან მარტო დაგვტოვეთო. მაშინაც კი, როცა გაეროს მიერ ჩატარებულ არჩევნებში დამარცხდება ჩვენი ოპოზიცია, ისინი პოლიტიკური არენიდან წასვლას არ იფიქრებენ, მერე რა, კიდევ რაღაცას მოიგონებენ, გაერომ გვიღალატა, გაეროს კვანტი გამოგვდო! დაიწყება ისევ აყოლიება, ისევ ნერვების შლა... კი, ბატონო, ვცადოთ ესეც, მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ქარის წისქვილებთან თამაშია, ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს იმას, რომ გაერომ ჩაატაროს. შენ, პარლამენტის ჩქარ-ჩქარა მოლაპარაკე წევრი რომ ხარ და სინამდვილეში თავი ნახერხით გაქვს გამოტენილი, თუ მართლა ობიექტური კაცი ხარ, რატომ შეხტი და რატომ შემოტრიალდი, ქოში უკუღმა რატომ ყარე?! ეს თუ მოხდა, ჩვენ სახელმწიფო აღარ ვიქნებით, ჩვენ ვიქნებით პაპუასების დონის ქვეყანაო. რატო, კაცო? ქვეყანაში არეულობაა წლების განმავალობაში, ჩამოვაგდეთ ერთი პრეზიდენტი, ჩამოვაგდეთ მეორე, ჩამოვაგდეთ მესამე, ჩამოგდებას ვუპირებთ მეოთხეს, იქნებ ერთხელ მაინც საქართველოში არ გახდეს სალაპარაკო და სასაცილო აქ ჩატარებული არჩევნები? მე არ მგონია, რომ ეს ჩვენი ცივილიზაციის დაბალ დონეზე მიანიშნებდეს!

ეს ჩემი აზრია. ასი პროცენტით წააგებს არჩევნებს თითქოს ყველაზე რეიტინგული ალასანიაც კი, სხვებზე აღარაფერს ვლაპარაკობ. გიგი უგულავა გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, თუნდაც ხმები დათვალოს, ჩემო ბატონო, გაერომ. იცი, რატომ? არასდროს არ ყოფილა საქართველოში ოპოზი-

ცია ასე სახელგატეხილი... აბა, დააკვირდი შენ, დაკვირვებული კაცი ხარ, როგორი იყო ოპოზიციის რეიტინგი 9 აპრილს, რა იმედით შეჰყურებდა ქართველი ერი ოპოზიციონერებს, რომლებსაც თურმე წინასწარ ვყავდით გაყიდული? მე ერთხელ უკვე გითხარი მკითხველო და გაგიმეორებ: მე 10 აპრილს უკვე ვიცოდი, რომ აბსოლუტურად არაფერი არ მოხდებოდა, რომ ეს ოპოზიცია ხალხს გამოათაყვანებდა გრძელ-გრძელი ლაი-ლაით და მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. ახლა, მე მწერალი ვარ, საზოგადოების მაჯის შემტყობი ვარ, ადამიანთა მაჯაზე მიდევს ხელი და ყოველდღიურად ივსება ჩემი უბის წიგნაკები ადამიანთა განწყობილების ასახვით. ეს არის ჩემი პროფესია, ეს არის ჩემი საქმე, თუ კითხულობ შენ ჩემს ნოველებს, მე ცხელ კვალზე მოსიარულე მწერალი ვარ. არც ერთს, ჩემო კარგო, არც ერთს ამ ოპოზიციონერთაგან ხალხი არ ენდობა და ნელ-ნელა ადამიანთა ყურადღება, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, ისევ შემობრუნდა ხელისუფლებისკენ. ერთი წამით არ იფიქრო შენ, თითქოს მე არ ვიცოდე, რა საბედისწერო შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ, მე როგორ შემიძლია, ამ ხელისუფლებას ვაპატიო ეროვნული ფენომენისადმი გაჩაღებული დაუნდობელი ბრძოლა, როგორ შემიძლია, ვაპატიო მწერალთა კავშირში ნიღბიანების შემოგზავნა ღამის 4 საათზე, გალაკტიონ ტაბიძის და კონსტანტინე გამსახურდიას სახლის დარბევა. რაში იყო ქართველი მწერალი დამნაშავე ხელისუფლების მიმართ, იმაში, რომ სიმართლეს ამბობდა?! მე როგორ ვაპატიებ ამ ხელისუფლებას ხუთას პოლიციელის შემოყვანას უნივერსიტეტში და ეროვნულად მოაზროვნე პროფესორების გამოყრას?! შეიძლება, ადამიანი ტრაბახობდეს, მე ერთ დღეს უსამსახუროდ დავტოვე 100 ათასი კაციო? რა მშვენიერია, რა კარგია, ერთი მითხარი, რამდენი 100 ათას კაცისგან შედგება საქართველო?! მაგრამ-მეთქი, გეუბნები, შეჩვეული ჭირისა და შეუჩვეველი ჭირის ანდაზისა არ იყოს ქართველ კაცს ურჩევნია, აქამდე თუ ერთ განცხადებას წერდა სახელმწიფო კანცელარიას თავისი უბედურების შესახებ, ახლა ოთხი განცხადება დაწეროს,



ეგება ერთი მაინც ჩაუვარდეს ხელში სააკაშვილს. ქართველი ხალხის დაწერილი განცხადებები ოპოზიციის ლიდერებს რომ მიუვიდათ, ისინი სიცილით კვდებოდენენ, რა მამის სახელი, რომელი ეროვნება, რა წვრილმანი საქმეებისკენ გვექაჩებიან ჩვენი ჭირვეული მოქალაქეები, ზოგს სახლი არა აქვს გადახურული, ზოგს პურის ფული არა აქვს, ჩვენი ძალიან კარგად ვართ, გენაცვალე, პურის ფულიც ბევრი გვაქვს, ფქვილიც თავზე საყრელად გვაქვს, ჩვენ არ გვცივა, არ გვშია, არ გვწყურიაო... ამიტომაც ურჩევნია ქართველ კაცს, ერთი განცხადების ნაცვლად ოთხი დაწეროს ხელისუფლების სახელზე, მეოთხე მაინც ჩაუვარდება სააკაშვილს ხელში, როგორც ჩავარდნია ქუთაისელი ქალისა. სააკაშვილმა დაიხურა ქუდი, წავიდა ქუთაისში, იქ ყური აუწია ქუთაისის მერს და მოსახლეს რომ ვუყურებდი, თითები მიცივდებოდა და ცრემლი მდიოდა, რა ლამაზი ქალები იყვნენ, რა ლამაზი ბავშვები, იდგნენ და სერიოზულად ამბობდნენ, ორი წელია ჩვენს სახლში დენი არ ყოფილაო. სადა ვართ, კაცო, სად ვცხოვრობთ? შენ როგორ ფიქრობ, ქუთაისის დეპუტატისთვის, რომელიც იმავე დროს პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ, უცნობი იყო ეს უბედურება, რომ ბევრი ქუთაისელი ასეთ დღეშია? მიიღო რამე ზომა ჩვენმა საყვარელმა ქალბატონმა ნინომ? ეგ კი არა, მე მთელი პასუხისმგებლობით გეუბნები, ანა კალანდაძის გარდაცვალებაზე მე თვითონ მივეცი ხელში მაყვალა გონაშვილისა და ჩემი ხელმოწერილი განცხადება საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით. მაშინ ნინო ბურჯანაძე იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ფაქტობრივად, პრეზიდენტი. განცხადებაში ეწერა: „გთხოვთ, მიგვიღოთ მწერალთა სახლთან დაკავშირებით, რადგანაც უკვე წელიწადზე მეტია, ქუჩაში ვართ“. გამომართვა ეს წერილი ისეთი ზიზღით ქალბატონმა ნინომ, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი, პარლამენტში ერთად ვიყავით და რამდენჯერმე დელეგაციაშიც ერთად ვყოფილვართ, ისე გამომართვა, თითქოს ზღარბი შემეჩეჩებინოს ხელში. ჰოდა, რაკი მივეცი წერილი პირველ პირს, მე ვფიქრობ, ჩემი მოკლე

ჭკუით – ახლა ნახეთ, რა მოჰყვება ამას, გამოგვიძახებს ნინო და ყველაფერი კარგად იქნება! შენც არ მომიკვდე, არსაიდან ხმა, არსით ძახილი. თავშესაფარი ქართველი მწერლისთვის იქნებ ნაკლები უბედურება იყოს, იმასთან შედარებით, რომ დღეს ქართველ კაცს არა აქვს თავშესაფარი, რამდენია მშვენიერ კახეთში ამ წყალდიდობების გამო უილაჯოდ, უჭეროდ დარჩენილი, ქოხში რომ ათენ-აღამებს თავისი ცოლ-შვილით?

მამაჩემსა აქვს ცხონება, ყველა მათგანმა ოპოზიციური პარტიების აყოლასა და იმედის თითის ამაო ლოკვას თავი დაანებოს. მათ ურჩევნიათ, პატარ-პატარა ჯგუფებად ჩამოვიდნენ, მიადგნენ სახელმწიფო კანცელარიას, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და მოსთხოვონ საქმის გაკეთება. ყველას ვერ გაყრიან, ყველას პანღურს ვერ ამოარტყამენ. ამ გზით უფრო შეიძლება ის დანგრეული ხიდი და ჭერი გაკეთდეს, ვიდრე ამაო ლაი-ლაით და სიცხეში ამაო დგომით ოპოზიციის მიტინგზე. მე გეუბნები შენ, ერთხელ და სამუდამოდ, მე, რეზო მიშველაძეს, რაკი გამიტყდა გული, საშველი აღარ არის. ეს მე ვარ, რომელმაც ყველა ნიუანსი ვიცი, ყველა პარტია რით სულდგმულობს, ის ვიცი, ყველა პარტიის მიმართულება ვიცი... ისიც ვიცი, რა გეგმები აქვთ, როგორ, რანაირად, ისიც ვიცი, ვინ დადიოდა შუაღამისას და ვინ ხვდებოდა პრეზიდენტს. ეს ზოგმა არ გაიგოს ისე, რაკი ოპოზიციისადმი რწმენა დავკარგე, თითქოს ხელისუფლებას გულში ჩავეხუტე და ვაპატიე ყველა ის სისულელე, რაც აქამდე ჩაუდენია? არამც და არამც, სანამ პირში სული მიდგას, ვარ რეზო მიშველაძე, ქრონიკული ოპოზიციონერი. მე ვერავის მოფერებას ვერ დავუწყებ, ჩემი ფუნქცია არის მრჩევლის პოზიციაში ყოფნა, რაც არ მომეწონება ორივე მხრიდან, ხმამაღლა ვიყვირებ, რაც მომწონება, ვიტყვი, რომ აი, ეს კარგია. სამწუხაროდ, მე რომ მოვლენათა განვითარებას ვაკვირდები, პოზიტივისა და ნეგატივის ურთიერთმიმართება ჯერჯერობით არ მეტყველებს, მაინცდამაინც ოპოზიციის მხარეს რომ იყოს გამარჯვება. საუბარს ისე ვერ დავამთავრებ, პუტინის მიერ ნათქვამ სადღეგრძელოზე



და მტრებად შერაცხულ სახელოვან ქართველებზე ორიოდ სიტყვა რომ არ ვთქვა.

ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც მოსკოვში ჩავიდნენ და იმღერეს. რაშია, იცი, საქმე? პუტინის ნათქვამი სიტყვა როგორ შეიძლება სერიოზულმა დიპლომატმა ბაჯაღლო ოქროდ მიიღოს და თქვას: აჰაა, ხომ ვამბობდით, ჩვენ რომ პუტინი ბოლომდე არ გაგვწირავდა, აგერ ცხოვრობს დედამისი მეტეხში, ჰოდა, პუტინის ქართული სისხლი ადრე თუ გვიან მაინც იყივლებდა! ასეთ გულუბრყვილოები როგორ უნდა ვიყოთ? არც ეს პოზიციაა სწორი და არც ის პოზიცია, რომ თითქოს ამით საკენკი დაუყარა სუფრაზე მყოფ ქართველებს პუტინმა. სადღეგრძელოში, რა თქმა უნდა, სიტყვაზე დაჭერა სისულელეა, მაგრამ შე კაი კაცო, აგერ, გადაცემას რომ აკეთებ შენს საკუთარ ტელევიზიაში და სერიოზულად ასამართლებ ნანი ბრეგვაძესა და პაატა ბურჭულაძეს, შუბლის ძარღვი გაქვს გაწყვეტილი?! იყო თუ არა ეს საქართველოს გამყიდველობისკენ გადადგმული ნაბიჯიო? მე შემაძრწუნა ამ გადაცემამ, მე არ მინდა ახლა გვარები ჩამოვთვალო, ზოგი მათგანი ჩემი ყოფილი ასპირანტია, ზოგი ნაცნობია, მაგრამ რა გალაპარაკებს ასეთ სისულელეს, შე კაი კაცო? ვისი გამსამართლებელი ხარ, რატომ მოგეჩვენა შენ, რომ შენზე ნაკლებია პაატა ბურჭულაძე, რომელიც საკუთარი თავისთვის წართმეული დროის ხარჯზე, როცა მას შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ თეატრში იმღეროს და მილიონები იშოვოს, დგას აგერ საქართველოში, ხანდახან კლუბებში გამოდის, პატარა პროვინციულ ქალაქებში და ფულს აგროვებს ობოლი, უდედმამო, მიუსაფერი ბავშვებისათვის. ამ პაატა ბურჭულაძეზეა ლაპარაკი? ანდა ჩვენს ერთადერთ ლამაზ გედზე, ნანი ბრეგვაძეზე? რა თქმა უნდა, მათ უნდა ემღერათ. იცი, რა არის ქართველი ხელოვანისთვის მოსკოვში წასვლა? რეზო ჩხეიძე დღესაც იქ არის, გამოდის მსახიობებისა და რეჟისორების დიდი აუდიტორიების წინაშე და თანამედროვე საქართველოს განწყობილებაზე უამბობს რუსებს. მილიონზე მეტი ქართველია რუსეთში. ეს ტელევიზ-

იაში სიით მიწვეული, ხელისუფლების დამქაში ორატორები არიან უფრო გარკვეულები თანამედროვე სიტუაციაში თუ ნანი ბრეგვაძე და პაატა ბურჭულაძე? მე ვხედავდი, რომ იმ გადაცემაში ერთადერთი ჭკვიანი კაცი იჯდა, ძალიან გამიხარდა, მართლა ირაკლი აბაშიძის შვილი იყო. შეიძლება ზურაბ აბაშიძე არ იყოს გამოყენებული დიდ დიპლომატიურ სამსახურში? მან თქვა: ყმაწვილებო, მე თქვენზე ნაკლებად არ ვიცნობ რუსეთსო, თქვენზე ნაკლებად არ ვიცნობ რუს ხალხსო, ამიტომ ნუ ჩქარობთ დასკვნების გამოტანას, ნუ ხართ რადიკალურები, ნუ გადაუყრით ხოლმე წყალში დამსახურებულ ადამიანს იმას, რაც წლების განმავლობაში უკეთებია და ჩვენთვის ღირსებად დაგროვილაო. დავუშვათ, მოხდა ომი, რუსმა ტანკებით გადაგვიარა, მაგრამ აგერ უკვე მეორე წელიწადი ჩამოიმარცვლება მალე კრიალოსანზე, რაც მთელი მსოფლიო გაჰკივის რუსეთის წინააღმდეგ; შე უნამუსო, ახლავე გაიყვანე ჯარი სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან. არა გაქვს სირცხვილი, რომ სამხედრო ბაზებს აშენებ?! ხომ იცი იმ იგავის ამბავი – მელია კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით. არათუ ბაზების მშენებლობა, რუსს ოთხი არასრულწლოვანი სრულიად უდანაშაულო ბავშვები ვერ გამოწიწკნა მთელმა მსოფლიომ ხელიდან. საგანგებო საქმეთა კომისარი ჩამოვიდა, დარბის თბილისსა და ცხინვალს შორის, მსოფლიო ძალისხმევა თავისი ობამებით, სარკოზებითა და მერკელებით უძლურია. ბოლოს და ბოლოს, ყურები ხომ უნდა გამოვიფხიკოთ, კაცო? აქედან რაღაც დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ? ახლა ბირთვული საუკუნეა, ჩემო საყვარელო ქართველებო, ბირთვული საუკუნე იმას ნიშნავს, რომ საკმარისია, ერთი თავზე ხელაღებული ავანტიურისტი და მსოფლიო აღარ იარსებებს. თქვენ გგონიათ, ჩვენი გულისთვის ნატო ასწევს თავის თვითმფრინავებს და მოსკოვს დაბომბავს? თქვენც არ მომიკვდეთ, რუსი ერთი საათში მოსრისავს ევროპის ყველა ქალაქს. ეს ძალიან კარგად იცის პუტინმა და ვის უყოფ ენას, შე კაი კაცო? მე გაბრაზებით კი არ ვამბობ, როგორც უნდათ ისე ჩამითვალონ. მე რომ შენ



გაგამართლო, მერე კიდევ გეძახო რაღაცა უღირსი სიტყვები და ენა გამოგიყო, შენ ხომ შეგიძლია, მეორეჯერაც მჩეჩქვო და ისე მჩეჩქვო, რომ ძალიან დიდხანს ვიყო დარეტიანებული? ამიტომ მე რომ შენთან დიპლომატიური ურთიერთობა დავამყარე, შენთან კინორეჟისორი გამოვაგზავნე, მომღერალი გამოვაგზავნე, მე რომ შენ ჩვენი ურთიერთობების შესახებ, მეტი აღარ უნდა დამარტყა, თორემ მე იმდენად პატარა ვარ შენთან შედარებით, შემოგადნები ხელში, ჩემო დიდო მეზობელო, შენც ხომ თქვი სადღეგრძელოში, მიუღწეველი არაფერიაო? ა, ჭკვიანი კაცი ასე მოიქცევა, უჭკუო კიდევ მუშტებზე დაიწყებს ყურებას. ვისთან იწყებ, ბიჭო, მუშტებზე ყურებას, ვისთან?! ესე იგი, იმ ზესახელმწიფოსთან, რომლისაც მთელ მსოფლიოს ეშინია?! ზურა აბაშიძეს ეუბნებიან, კაცო, შენაო დელეგაციებში მონაწილეობო, საპატრიარქოს დელეგაციებში ხარ და ხშირად დადიხარ მოსკოვშიო, არ მიგაჩნია ეს ქართული სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლადო? საპატრიარქოს კბენა უგუნურ ბავშვების მიერ როგორ შეიძლება, შენ ჭკუის რიგებას უწყებ პატრიარქს, ეს ხომ კიდევ ერთი გამოუცხადებელი ომია პატრიარქის წინააღმდეგ? მე როცა ვამბობ, რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავამყაროთ-მეთქი, ეს ისე უნდა გაიგოს ზოგიერთმა სულელმა, რომ მე თურმე შემყვარებია პუტინი და მედვედევი? პუტინი და მედვედევი შეიყვარა ჩემმა მტერმა, მაგრამ ეგ ორი ადამიანი არ არის მთელი რუსეთი. ეს უნდა იცოდეს ქართველმა კაცმა. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკოსები ჩაიხვეტებიან, მთელი უბედურება მსოფლიოს პოლიტიკოსებისგან სჭირს, თორემ ადამიანები ერთმანეთს არასოდეს არ ეომებიან... შენ პუტინისა და მედვედევის მცდარ პოლიტიკას უნდა გადააყოლო მთელი ქვეყანა? კონსერვაცია, კარჩაკეტილობა და ბღვერა დიპლომატია არ არის, დიპლომატია არის შესაძლებლობების ხელოვნება, ურთიერთობის გარკვევის ხელოვნება.

*დეკემბერი, 2009*

# პოლიტიკური ძიძგილაობა

2009 წელი იწურება. თუ გავაანალიზებთ ამ წელს, საქართველოს ცხოვრებისთვის დიდად სახარბიელო არაფერია, მაგრამ, 2008 წელთან შედარებით, როდესაც ქვეყანას საშინელი ომის ქარიშხალმა გადაუარა, რომელიც მორალურად უფრო დამთრგუნველი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, ვიდრე თავისი უშუალო შედეგებით, უკეთესია.

რასაკვირველია, დანაკარგები ძალიან დიდი იყო, მაგრამ რუსეთ-საქართველოს ამ ომმა, 1992-93 წლების ომთან შედარებით, საქართველო ეკონომიურად ვერ გაანადგურა, წელში ვერ გატეხა, რაც შეეხება სამხედრო ინფრასტრუქტურასა და ბევრ სხვა რამეს, ქვეყანამ უდიდესი ზარალი ნახა. ძალიან ცუდი გავლენა იქონია ომის შედეგებმა ქართველი ერის სულიერ წონასწორობაზე. თითქოს ჩვენს გულში რაღაც ჩაწყდა იმ ეიფორიის შემდეგ, რაც მოჰყვებოდა ძალიან ხშირად საზეიმო სამხედრო აღლუმებს, ზოგიერთი აჩქარებული პოლიტიკოსის დასკვნებს, რომ უძლეველი არმია გვყავს. ეს მითი თვალსა და ხელს შუა გაქრა. მართალია, ჩვენმა ბიჭებმა იბრძოლეს, ბრძოლა არ დაუკლიათ, მაგრამ ეს იყო უთანასწორო ომი და მტრის შეიარაღება რაოდენობრივადაც და ხარისხითაც, სრულიად ბუნებრივია, პატარა საქართველოს სამხედრო დონეს დიდად სჭარბობდა და ამიტომ სამარცხვინო შედეგი ვიწვნიეთ. ახლა უკვე გვიანია ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა. არ მინდა ვინმეს შევახოცო ომის შედეგები. კომპლექსურად ვართ ყველანი დამნაშავე – ხელისუფლებაც, ჯარიც, ხალხიც, რომ 2008 წელს სამარცხვინოდ დავმარცხდით. ახლა იმის თქმა, რომ ჯერ ომი არ დამთავრებულა, არ დავმარცხებულვართ და ყველაფერი წინ არის, გულუბრყვილობაა და ასევე გულუბრყვილო მსმენელმა დაიჯეროს.

არ შეიძლება პრეზიდენტმა არ იცოდეს, რომ ომი საქართველოს დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ამას, იმიტომ ამბობს, რომ ის ცდილობს და ასეც ევალება, რომ ოპტიმიზმი და იმედი ჩაუსახოს ხალხს. მტერმა იძახა დილიდან



საღამომდე, დავმარცხდითო. ჩვენ ომი არ შეგვძლებია, სამარცხვინოდ გამოვიქეცით. ტერიტორიები დავკარგეთ. საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ჩაბმული ომებში. საქართველოს ისტორია ერთი გრძელი ომია, მაგრამ, რომ ვიძახოთ, კრწანისის ომი არ დამთავრებულა, დიდგორის ომი არ დასრულებულა, ასპინძის ომს ბოლო არ უჩანსო, ასე ხომ არ არის. ომი ლოკალურად მთავრდებოდა, მაგრამ ისტორია არ გვწირავდა.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ პრიმაკოვს, არაოფიციალურ პირს, რაიმეს მოგვარება შეუძლია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებაში, ძალიან ღრმად ცდება. ეს ის არის, წყალწყაღებული ხავსს რომ ეჭიდებოდა, ეს არის გოდოს მოლოდინი, გამოგონება გოდოსი. პრიმაკოვმა რა უნდა გააკეთოს, პრიმაკოვი თუ ჩამოვა, ჩამოვა პლეხანოვზე, თავის ქართველ და რუს ნათესავებს შეხვდება. არა მგონია, პრიმაკოვი ჩამოვიდეს. როგორც ვიცი, მისი ოჯახის წევრები ჩამოდიან. პრიმაკოვიც რომ ჩამოვიდეს, ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება მიაღწიოს, შევარდნაძესთან შეხვედრაა. შევარდნაძე კი ქართულ პოლიტიკაში ოფიციალურად არაფერს წყვეტს. პრიმაკოვი თუ ჩამოვიდა, შეხვდება ხელმოცარულ პოლიტიკოსებს ან ოპოზიციის წარმომადგენლებს, იქნება ერთი ოხვრა-ვიში, გულს მოიოხებენ.

ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდება, თორემ, სააკაშვილი რომ პრიმაკოვს არ მიიღებს, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს.

პრიმაკოვი ჩემთვის, ქართველი მწერლისთვის, არავინ არ არის. პრიმაკოვი სიტყვასა და სიტყვას შორის ხუთწუთიან პაუზებს აკეთებს, მეტყველებამოშლილი პრიმაკოვის, იმ ქვეყნის წამომადგენლის ბრძნულ აზრებს, რომელმაც ჩემი ქვეყანა გასრისა, არ მოვისმენ და კიდევ ერთხელ ნერვებს არ მოვიშლი. თუ მართლა გული შესტკიოდა პრიმაკოვს საქართველოზე, თუ რაღაც ოდნავ მაინც გააჩნდა ამ ქვეყნისა და ქალაქის სიყვარული, მაშინ შეეძლო საქართველოსთვის რაიმე გაეკეთებინა იმ უმძიმეს წლებში, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ

გამოიარა. ის ხან პრემიერ-მინისტრი იყო, ხანაც – საგარეო საქმეთა მინისტრი. არც პრიმაკოვმა, არც ახმეტაში გაზრდილმა და დაბადებულმა ივანოვმა და არც სხვა რომელიმე მოქართველო რუსმა საქართველოს საკეთილდღეოდ ერთი ნაბიჯიც არ გადადგა. ამას გულისტკივილით ვამბობ. პუტინის ნათქვამი სიტყვა მხოლოდ ჰაერში დაირხა. ეს იყო სუფრაზე ნათქვამი სიტყვა, რომ იქნებ გულუბრყვილო ქართველები ჩაბღაუჭებოდნენ. ეს ყველაფერი იყო თამაში, რომელიც ქარში გადგმული სანთელივით ჩაქრებოდა. საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებისკენ მოვუწოდებ ჩვენს ხელისუფლებას, ასევე – ოპოზიციას.

ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რუსეთთან დამდურებულის პოზაში არ ვიყოთ. მე უფრო მეტი ვიცი რუსეთის ღალატის შესახებ, ვიდრე ზოგიერთმა ოპოზიციონერმა. რუსეთი ყველა ეტაპზე ებრძოდა საქართველოს მან იავარქმნა საქართველოს მართლმადიდებლური ფრესკები. რუსეთმა აკრძალა ქართული სწავლა-განათლება საქართველოში, ქართველები აიძულა რუსეთმა, გვარები რუსული დაბოლოებით გადაეკეთებინათ. თუმანიშვილი – თუმანოვად, ბარათაშვილი ბარათოვად გადაკეთდა. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი. ისიც ვიცი, რომ მე-20 საუკუნემდე საქართველო 111 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიით მოვიდა. რუსეთის წყალობით ერთ საუკუნეში საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოს 45 ათას კვადრატულ კილომეტრზე. მე-20 საუკუნეში ორი საშინელი ომი გადაიტანეს რუსეთმა და გერმანიამ. მაგრამ მერკელი ემდურის რუსეთის პრეზიდენტს? პირიქით, გერმანიის მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთის მეგობრად ირაცხებოდეს იქამდეც კი, რომ ისე ასიამოვნა მერკელმა რუსეთს, საქართველოს ოდნავადაც არ შეუღო კარი ნატოში შესასვლელად. რასაკვირველია, ეს რუსეთის ზეწოლის შედეგად მოხდა. ჩვენ ნატოში რომ შევსულიყავით ან მაპი მაინც მიგვეღო, შეიძლება 2008 წლის ომი აგვცილებოდა. როდესაც მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ისე მოწესრიგებული, რომ ჰარმონია, მშვიდობა სუფევდეს, საჭიროა ჭკვიანური პოლიტიკა და დიპლომატია. კონფლიქტების მოგვარება რომ შეეძლოთ ევროკავშირსა და გაეროს, საჭირო არ იქნებოდა დიპლომატია, არც პოლიტიკოსები იქნებოდნენ საჭირო. უარი არ უნდა ვთქვათ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე. უარი არ უნდა ვთქვათ საჰაერო სივრცის გახსნაზე. რუსეთი არავითარ საერთაშორისო გარიგებას, შეთანხმებას ანგარიშს არ უწევს. რუსეთმა, გამოდის, აბუჩად აიგდო საფრანგეთის პრეზიდენტი. სარკოზიმ მიაღწია შეთანხმებას რუსეთთან, მაგრამ ასრულებს კი რუსეთი? უნდა გითხრათ, რომ თუ ლონდონსა და პარიზში შევა რუსეთის ჯარი მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთიც და ინგლისიც ნატოს წევრი ქვეყნებია, როგორ ფიქრობთ, ნატო მოსკოვს დაბომბავს? არ დაიჯეროთ, ევროპა ისეა შეშინებული, რომ ბირთვულ ომს არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებს. რისი იმედი უნდა გვქონდეს? საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. ხშირად გამიგონია – გადადგეს სააკაშვილი, ხომ უყვარს საქართველო, თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს რუსეთიო. ეს გულუბრყვილო ნათქვამია. მედვედევი ჰააგის სასამართლოს წინაშე რომ გამოვიდეს და განაცხადოს, გადადგეს სააკაშვილი და ვაბრუნებ აფხაზეთსა და სამაჩაბლოსო, არ დაიჯეროთ, რომ ის ამას გააკეთებს. რუსეთის დამსჯელ ძალას ვერ ვხედავ, ამიტომ არის საჭირო დაბალანსებული და ჭკვიანური პოლიტიკა ჩვენი მხრიდან.

სირცხვილი არ არის, პაატა ბურჭულაძესა და ნანი ბრეგვაძეს ელაპარაკო, რატომ ჩახვედი და იმღერე რუსეთშიო? მე რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი ვარ. ეს ყველაზე დიდი პრემიებია ჩემს სამშობლოში, მაგრამ ხვალ ტოლსტოის პრემია რომ მომცენ, უარი ვთქვა? ვთქვა, რაში მჭირდება ჩემი მტერი ტოლსტოის პრემიაო? ვინ თქვა, რომ ჩვენი მტერი ტოლსტოი და ტურგენევი არიან?! პოლიტიკოსები ერთმანეთს ძიძგი-ძიძგი მამალოს ეთამაშებიან, რა შუაშია აქ ქართველი და რუსი ხალხები. არასოდეს

რუსი ხალხი საქართველოს მტერი არ იქნება და ქართველი ხალხი – რუსი ხალხის მტერი. ეს ღმერთმა ნუ ქნას!

*დეკემბერი, 2009*

## ეს როგორ შეიძლებოდა

მიშიკო, როგორ მომესალმები 31 დეკემბერს ტელევიზიით და როგო უსურვებ საქართველოს „კიდევ უფრო აყვავებას“, როცა ანგელოზი ბავშვი და მისი დედა შენი უგუნური მოქმედების გამო საფლავში წვანან!

როგორ შეიძლებოდა აგეფეთქებინა საბრძოლო „დიდების მემორიალი“, ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი? ეს მარტო სამამულო ომზე კი არ იყო ლოკალიზებული, ეს იყო სამშობლოსათვის დაცემული ყველა მამულიშვილის ძეგლი. რაც შეეხება მის მხატვრულ ღირებულებას, როცა მივდიოდი დასავლეთში, ხონის გავლით მარტვილში, ამ მემორიალთან ყოველთვის ვაჩერებდი მანქანას და უამრავი სურათი მაქვს გადაღებული. ეს იყო მონოლითური, ძლიერი ეროვნული კოშკი თავისი ქართული ზარებით და წინ უბელო ცხენზე მჯდარი, თითქმის განწირული მზერით! როგორ კაცო, ამ ძეგლის მნახველი კაცი ხელს როგორ აღმართავ მასზე? როგორ არ უნდა გეშინოდეს ღვთისა და ერის რისხვის, როგორ უნდა გეზიზღებოდეს არა მარტო ის ხელოვანი, რომელმაც ეს ძეგლი გააკეთა, არამედ ომში დაღუპული ადამიანები! როგორ მოუვიდა ეს თავში სააკაშვილს?

თან მსხვერპლი მოჰყვა ამ მემორიალის აფეთქებას, დედაშვილი დაიღუპა!

იმიტომაც ვამბობ, რომ ამის პატიება არ შეიძლება. მე გეუბნებით ამას, 70 წლის კაცი, რომელიც რადიკალურად განწყობილი არა ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ! 19 დეკემბერმა მე შემაძრწუნა! ასეთი რამ გააკეთე და არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე დღეს არ გამოჩნდი ტელევიზიის ეთერში, დაღუპულთა ოჯახს, საქართველოს შენდობა და პატიება არ სთხოვე! მიშიკო, როგორ მომესალმები 31 დეკემბერს ტელევიზიით და როგორ უსურვებ საქართველოს „კიდევ უფრო აყვავებას“ და გახარებას, როცა ანგელოზი ბავშვი და მისი დედა შენი უგუნური მოქმედების გამო საფლავში წვანან?

მე პირადად ვარ ძალიან შეურაცხყოფილი ამ ვანდალიზმით, რადგან „დიდების მემორიალი“ აფხაზეთის ომში დაღუპული ჩემი ერთადერთი შვილის ხსოვნის ძეგლიც იყო!

ეს ყოველივე ეროვნულობის განადგურების ერთიან გეგმაში შედის. მგონი, ამ გეგმის ამოქმედება მაშინ დაიწყო, როცა ქართველთა პასპორტებიდან ეროვნება და მამის სახელი გააქრეს. მახსოვს, როგორ ვიბრძოდი ამ ყველაფრის წინააღმდეგ, პარლამენტში ფიზიკური შეხლა-შემოხლაც კი გვქონდა ამის გამო.

კობა დავითაშვილთან მქონდა ამის გამო შეხლა-შემოხლა! ეჭვი არ მეპარება, რომ ესეც ერთიანი გეგმის ნაწილი იყო. წინა კვირას თქვენს გაზეთში ერთი ყოფილი მოხუცი მინისტრი იულონ გაგოშიძე წერდა, რა კარგია, რომ პასპორტში ეროვნება არ გვიწერია, სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიაც ამის მომხრე იყოო! შენ ძალიან კარგი პასუხი გაეცი ამაზე იულონ გაგოშიძეს ზვიადისვე სიტყვებით: „ეროვნება არა აქვს ცხოველს!“

ზვიად გამსახურდიას დროს მე ვიყავი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა კონგრესის თავმჯდომარე და ამის ნიადაგზე ხშირად ვხვდებოდი ზვიად გამსახურდიას. არსად, არცერთი სიტყვით, არცერთი მინიშნებით, არცერთ მის გამოსვლაში ზვიად გამსახურდიას არ უთქვამს, ეროვნებას ნუ ჩავიწერთ საბუთებშიო.

ეს არის სოროსის, გლობალიზაციის საშინელი, ყოვლის წამლეკავი თეორიის გამონაშუქი! მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით და ამ ფიქრით ჩავალ სამარეში: გურამ შარაძე, ელიზბარ ჯაველიძე და მე ვიყავით თავგადაკლული მომხრე

სამოქალაქო საბუთებში ეროვნების ჩაწერისა! რა ხერხს არ მიმართავდა ჩვენი შესანიშნავი სამეული – ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი ჩვენს წინააღმდეგ!

ჩვენ გადაგვაჩვიეს ჩვენი ეროვნული ატრიბუტების მოვლას და ესეც არის ერთი მიზეზი იმისა, რომ ააფეთქეს ეროვნული ძეგლი და ქუჩაში 10 კაცი არ გამოვიდა! აიღეს საქართველოს ეროვნული ბელადის, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის ძეგლი ბათუმში და ამას არათუ მთელი ბათუმი არ შეხვდა პროტესტის ნიშნად ფეხზე ამდგარი, არამედ, პირიქით, ილიას ძეგლის აღებას ხელოვნების წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი. აი, სადამდე მივედით, აი, რას ჰქვია ტვინის გამორეცხვა!

სულ ვუსვამ ჩემს თავს შეკითხვას, როდემდე, კატილინა, როდემდე? ოპოზიციამ ხომ სამუდამოდ გამიტეხა გული!

მე უსამართლოდ არავის ვაკრიტიკებ! არ დავდივარ ოპოზიციის შეკრებებზე, ე. წ. ინტელიგენციის შეკრებაზე, რადგან ეს მიმაჩნია უაღრესად ფუჭ საქმედ. ერთი-ორიჯერ ის აზრიც გამოვთქვი, რომ იქნებ არ ავიღოთ ქვები ხელში, იქნებ ცოტათი მაინც მოვაქციოთ ქართული ეროვნული სახელმწიფოს შენებისაკენ სააკაშვილი-მეთქი, მაგრამ ახლა 3-4 დღეა დარჩენილი ახალ წლამდე და მე გულგატეხილი გელაპარაკებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სააკაშვილის გარემოცვიდან ყველა ერთი ჯოხით იყოს გასადენი!

მე ვხედავ დღეს და ყოველდღიურად ვადევნებ თვალყურს, რომ გიგი უგულავა სახლებში დადის, პენსიას და ხელფასს არიგებს, წიგნების პრეზენტაციას ესწრება, სკოლას სახურავი თუ ჩამოშლილი აქვს და წვიმა ჩამოდის, იქ მიაქვს მასალა, რომ გადახუროს, ლტოლვილებს თბილისში თავშესაფარს უჩენს. აგერ პოეზიის ანთოლოგიის გამოსაცემად თანხას გამოყოფს. ახლა ჩვენ ყველაფერ ამაზე ვიძახოთ, რომ ეს მოჩვენებითია, ეს არაფერს ნიშნავს? რატომ არის მოჩვენებითი? მუხრან მაჭავარიანს რომ იუბილე გაუმართეს რუსთაველის თეატრში, მოჩვენებითი იყო? ხომ შეეძლოთ, არ გაემართათ? რომელ დამწვარ „სუდში“ წავიდოდა ქართული



ეროვნული ინტელიგენცია და იჩივლებდა, რატომ არ უმართავთ მუხრან მაჭავარიანს იუბილესო?

ასე რომ, მე ასეთი დიფერენცირებული დამოკიდებულება მაქვს ხელისუფლების მიმართ. გიგი უგულავა მართლა ცდილობს, რომ კეთილი, კარგი, საქველმოქმედო საქმეებით გადაფაროს სააკაშვილის დანაშაულებრივი ნაბიჯები. სააკაშვილი კი დანაშაულს დანაშაულზე ამატებს. რა ზიზღი გაქვს ასეთი ქართველი ხელოვანის მიმართ, ქართველი მწრლის მიმართ, რომ ზონდერბრიგადას უგზავნი ღამის ოთხ საათზე, რომ ქართველი მოქანდაკის ძეგლს აფეთქებ? საიდან მოვიდა ეს პათოლოგიური ზიზღი?

აბა, დაენგრია სომხეთის პრეზიდენტს მატენადარანის ზემოთ არსებული დიდი მემორიალური ძეგლი დაღუპული სომეხი პატრიოტებისა, რა ამბავი ატყდებოდა სომხეთში. რაშია საქმე? ჩვენ დაბალი ღობე ვართ? საქართველოში ყველაფერი დასაშვებია? ვინ დაგვცინის ასე?

ორი ატომური ბომბი დაარტყა იაპონიას ამერიკამ, დღესაც კი ბოლავს ის ადგილები, მაგრამ ხომ ვუყურებთ, როგორი მეგობრები არიან იაპონია და ამერიკა? სულს ლევენ ერთმანეთისათვის! ორი მსოფლიო ომი ჩაატარეს ერთმანეთთან რუსეთმა და გერმანიამ, მაგრამ დღეს მერკელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთთან იმეგობროს! შენ როგორ ეუბნები ქართველ ხელოვანს, ნუ წახვალ რუსეთშიო? ბედმა რუსეთში რომ გამოგიყვანოს სცენაზე ქართველი მომღერალი, ბისზე მაინც ნუ გამოხვალო, რა ბავშვობაა. ეს რა სისულელეა?

საქართველოში რაც ლიტერატურული ჯილდო და პრემია არსებობს, ყველა მიღებული მაქვს! ჩემი ნოველების წიგნები, ერთტომეულები, რჩეულები 17-ჯერ არის მსოფლიოს სხვადასხვა გამომცემლობაში გამოსული. ახლა რუსეთში ვინმეს რომ მოუვიდეს აზრად ჩემთვის ტოლსტოის, ტურგენევის ან გოგოლის პრემიის მონიჭება. უარი ვთქვა? არავითარ შემთხვევაში უარს არ ვიტყვი, იმიტომ რომ პოლიტიკოსების მტრობა ერების მტრობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

მტერმა გამოუყო მუდმივად ენა რუსეთს და მტერმა უჩხიკინა თეთრ დათვს ჯოხი! იმ ჯოხსაც წაგართმევს და მკლავსაც მოგაჭამს! ნუ მოვაჭმევინებთ მკლავს რუსეთს და ანათემას ნუ გადავცემთ ქართველ ჟურნალისტს, ქართველ ხელოვანს, ქართველ ლიტერატორს, თუნდაც ქართველ პოლიტიკოსს. მე არ მიმაჩნია პოლიტიკოსთა შორის საუკეთესო პოლიტიკოსად ზურაბ ნოღაიდელი, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ის, რაც ვერ შეძლო ევროკავშირმა, გაერომ, ევროპარლამენტმა და ვერავინ გამოწიწკნა სამი ქართველი პატიმარი ბიჭი რუსს ხელიდან, გააკეთა ნოღაიდელმა! ამისთვის ახლა ჯვარს ვაცვათ ნოღაიდელი?

რას დაჰპირდებოდა ნოღაიდელი პუტინს იმ სამი გათავისუფლებული ბავშვის სანაცვლოდ? ენერგომატარებლებს? – ისედაც რუსი აკონტროლებს. წყალს? – ისედაც რუსი აკონტროლებს! საქართველოს წიაღისეულს? – ისედაც რუსი აკონტროლებს. საქართველოს კეთილგანწყობას თუ დაჰპირდა ნოღაიდელი რუსეთის პირველ პირებს, ვენაცვალე სულში, იმიტომ, რომ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ყველა ქართველის ოცნებაა. ღმერთმა ნუ ქნას, სამუდამოდ ჩაიკეტოს ჩვენთვის რუსეთის სივრცე!

რა გაცხარებულიც არ უნდა იყოს რუსეთის ორი ტანდაბალი მმართველი, არ შეიძლება, ისინი არ ფიქრობდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებით. ისინი თუ ეძებენ გზებს საქართველოსთან ურთიერთობის გასარკვევად, მიჰყევი შენც, სააკაშვილო, ამ ბილიკს! იქნებ შენს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების ერთი ბილიკი მაინც ისევ რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა იყოს!

ბატონო რეზო, ახალ წელს, 1 იანვარს 70 წელი გისრულდებათ. თქვენს განვლილ გზას რომ გადახედავთ, რა გრძნობა გეუფლებათ, მიაღწიეთ ახალგაზრდობაში დასახულ მიზანს? მკითხა ერთმა ჟურნალისტმა

ვერა! ისე მივდივარ ამ წუთისოფლიდან, რომ ჩემმა ქიჩმაჩმა ქართველი კაცის ცხოვრებას უკეთესობა მისხლის-მისხლითაც ვერ დაატყო. ჩემს სამშობლოს პირქვე დამხობილს ვტოვებ. ჩანს, დავაკელი, რაც შემეძლო, ყველაფერი ვერ გავაკეთე. საერთოდ, საქართველოს უბედურებაში ყველანი ვართ დამნაშავე – ერიც და ბერიც. და ჩვენ ჩვენი ცოდვა ყველამ უნდა ვიტვირთოთ. საერთოდ, მე ყოველთვის ვცდილობდი მოვლენები სხვადასხვა კუთხით დამენახა ჩემს ნოველებში. გზასაცდენილი კაცის საქციელშიც კი, ყოველთვის ვეძებდი სიკეთის ნიშნებს, რადიკალიზმის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. „ნაჯახური პოლიტიკა“ მწერლის საქმე არ არის. თუმცა, გული მიკვდება, როცა გონიერების ძიებაში ამაოდ დავშვრები ხოლმე, მიუხედავად ამისა, რეზო მიშველაძე საქართველოს მტრებთან კომპრომისზე არასდროს წავა!

ჭაბუა ამირეჯიბმა შემაგულიანა და გადავწყვიტე, რომანი დავწერო ჩვენს მღელვარე, აბურდულ-დაბურდულ ეპოქაზე.

სამი თავი უკვე დაწერილი მაქვს და, თუ ღმერთმა დამაცალა, 2010 წლის მაისამდე დავასრულებ.

თუმცა, ჩემო მკითხველო, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონია!

*დეკემბერი, 2010*

## ...და მაინც მიტევება და შერიგება

საუბარი დავიწყოთ იმ შეკრებიდან, რომელიც პოლიტიკოსებმა და ხელოვნების წარმომადგენლებმა ამ დღეებში სასტუმრო „პრიმა ვერეში“ გამართეს და გულიც მოიფხანეს.

მკითხველო, მე მგონი, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. მკითხველმა კარგად იცის, რომ მე ამ შეკრებების, ამ ოპოზიციის თუ საზოგადოებების დაფუძნების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი თუ არა, წევრი მაინც ვიყავი და არც მიტინგებზე გამოსვლა დამკლებია. სხვა თუ ერთხელ გამოდიოდა, მე ხანდახან ცხრაჯერ გამოვდიოდი. არ გავქ-

ცეულვარ არავითარი შეტაკებიდან, არც კალმით შემშინებია ვინმესი, არც ფიზიკურად. შიში მე ჩემს აჩიკოსთან ერთად დავმარხე მიწაში 1993 წელს და სულ ვეუბნები ხოლმე ჩემს თავს: რეზო, შენ ინერციით ცხოვრობ და მიათრევ შენს გაძაღლებულ დღეებს-მეთქი. მიუხეადვად ამისა, თუ ატყობ, ამ ბოლო დროს არც ერთ შეკრებაზე ე. წ. ინტელიგენციისა არ მივდივარ. არ მივდივარ იმიტომ კი არა, რომ ჩემს თავს ძალიან ვაფასებ და ჩემი პერსონა იქ მისვლის ღირსად არ მიმაჩნია, არა, ვინ ოხერი ვარ მე, ერთი მჯღაბნელი რეზო მიშველაძე, კალმის კაცი? ან იმიტომ კი არა, რომ ვერ ვხედავ იმ უკულმართობებს, რაც ჩვენს საზოგადოებას სჭირს, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირს, უბრალოდ, ფუჭ საქმედ მიმაჩნია. ეს არის მხოლოდ გულის მოოხება ოპოზიციურ ცრუ ტალღას აყოლილი ჩემი მეგობრებისა. მე ხომ კარგად ვიცი? როგორც მე მირეკავენ, ისე ურეკავენ გიგა ლორთქიფანიძეს, რეზო ამაშუკელს...

სულ ენაზე მადგას სიტყვები – „ცრუ ოპოზიცია“, მაგრამ ორივე მხარეს მაინც ქართველებს ვხედავ და გასაწირი არავინ მყავს. თუ გახსოვს, გიგა ლორთქიფანიძემ თქვა იმ შეკრებაზე: თუ რაიმეს გამკეთებლები არიან, გვითხრან, თუ არა და დაგვანებონ თავიო.

მე ვერ დავინახე ჩვენი ოპოზიციის ბრძოლაში ქართველი კაცის ცხოვრების გაუკეთესების სურვილი, საქართველოს, როგორც ეროვნული სახელმწიფოს გადარჩენის სურვილი. ესენი არ წასულან ერთი მოთხოვნის იქით და ეს ერთი მოთხოვნა იცი, რა არის? შენ წადი, მე მოვალ! კი, მაგრამ, კაცო, ამასაც კატეგორიულად რომ ამბობ და ამ დროს თავდადების სურვილი არ გაგაჩნია, ეგ როგორ გავიგო? შენ რომ თავდადების სურვილი გქონდეს, კიდევ სიმპათიით განვიმსჭვალებოდი, ვიტყოდი: რა გინდა, ძმაო, არ გამოსდით, მაგრამ მებრძოლები ხომ არიან-მეთქი?

ესენი ჩვენი ფეხბურთელებივით იბრძვიან და სამარცხვინოდ აგებენ.

შეიძლება წააგო, მაგრამ ღირსეულად, ძმაო, ზუსტად



ასეა ამათთანაც, მიკნავლებულ-განაზებული ხმით ლაპარაკობენ. უნდა წავიდეს, უნდა წავიდეს, აი, ახლაა გადამწყვეტი ბრძოლა, ახლა გაზაფხულზე იქნება გადამწყვეტი, ახლა შემოდგომაზე იქნება გადამწყვეტი! ამასობაში მე გავწყდი წელში, კაცო... ამ შენი „გადამწყვეტის“ ძახილში მე თვითონ გავწყდი, საქართველო გაწყდა, ქვეყანა დაიმშა! ნუ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში სააკაშვილთან ღამით მორბენალი პოლიტიკოსი ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს, ვისთან ერთადაც მე მთელი ცხოვრება გამიტარებია, ვის ტელეფონსაც საღამოს ვიღებ და მესმის: რეზო, რატომ არ იყავი? არათუ არ ვყოფილვარ, არც არასოდეს არ მოვალ-მეთქი, – ვეუბნები. ასე იმიტომ ვპასუხობ, რომ ეს წყლის ნაყვად, ფუჭ საქმედ მიმაჩნია.

აი, ეს არის მიზეზი, იმიტომ არ მივდივარ, რომ ყველაფერი წყლის ნაყვაა! ინტელიგენცია, ანუ ჩვენ, ამ ფსევდოოპოზიციონერებს იმისთვის ვჭირდებით, რომ დარბაზი შევავსოთ, ანტურაჟი შევქმნათ... აი, ინტელიგენცია ჩვენთან არის, აბა, ვინ არის ამათზე უფრო სახელოვანი?! მე რას მამაიმუნებ, შე კაი კაცო, ჩემთან რა გინდა?

არ შეიძლებოდა, ეს უშუალოდ ინტელიგენციიდან წამოსულიყო... ინტელიგენციაც ჭრელია, ერთ-ორ კაცს მოუვიდა თავში – მოდი, დავუძახოთ ამათ, ამათ, ამათ და დავსხდეთო. ჩემდა სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა პროფესიონალი მეამბოხე, პროფესიონალი ოპოზიციონერ-ხელოვანი. რა თქმა უნდა, მე ყოველთვის იმას ვქადაგებ, როცა მეუბნებოდნენ: რეზო, შენ რა გინდა პოლიტიკაში? რეზო, წერე ეს შენი ნოველები, რეზო, რა გინდა პარლამენტში? რაში გჭირდება, ამდენ ინტერვიუს რომ იძლევი, ეს რას გაძლევს შენ, როგორც მწერალს? როგორ რას მაძლევს? მე ილია ჭავჭავაძის პატარ-პატარა ნამცვრევი ვარ, ერთი პატარა ჭანჭიკი ვარ ქართულ ლიტერატურაში და ღმერთმა ნუ მაცოცხლოს ერთი დღე პოლიტიკის გარეშე! პოლიტიკის გარეშე ყოფნა იცი, რას ნიშნავს? შენ შენი ქვეყნის ბედი აღარ გაღელვებს, მაშინ ვის რად უნდა შენი ნაჯღაბნი, შენი ლიტერატურა, შენი ნახატი,

შენი სპექტაკლი და შენი გადაღებული კინო?! ოღონდ ფორმას ნუ დაკარგავთ, მე ჩემს კოლეგებს ვეუბნები. აი, პროფესიონალ მეამბოხეებად ჩამოყალიბდნენ-მეთქი, ვთქვი და დავამატებ, მაგათ დაავიწყდათ, რომ სპექტაკლი აქვთ დასადგმელი, დასაწერი აქვთ მხატვრული ნაწარმოები, კინო აქვთ გადასაღები... მე ამ შეკრებებზე ჩემთვის ძვირფას სახეებს ისეთი შიშით შევცქერი, ტრაგედიაა ეს ჩვენი ცხოვრების, რომ შენ მიმანებებინე თავი ფუნჯზე, საჭრეთელზე, კალამზე და დამსვი ერთ-ერთი პოლიტიკოს-მყეფარად. მე იძულებული ვარ, ეს გავაკეთო, მაგრამ კაი ბიჭობა იცი, რა იქნება? ჩემი ლექსი, ჩემი მოთხრობა, ჩემი სპექტაკლი, მე რომ ფორმა არ დავკარგო, ჩავრთო ამ პოლიტიკური ბრძოლის სამსახურში. მე რამდენიც არ უნდა ვიხტუნაო, რამაზ კლიმიაშვილის ადგილს ხომ ვერ დავიკავებ? რამაზ კლიმიაშვილი ჩვენს დიპლომატებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული კაცია, მეორე დღესვე იცის, მსოფლიოს რომელმა ტელეარხმა რა გადასცა, რა დევს უცხოურ საიტებზე, რა დაიწერა რუსულ პრესაში და ასე შემდეგ. ეს მისი ხელობაა. მე, ხელოვნად დაბადებული, თუ ესეც საკუთარ თავზე არა მაქვს დაბრალებული, ამას ვერ ვიტვირთებ და არც უნდა ვიტვირთო. ეს არის შენი ბუნების წინააღმდეგ წასვლა. ახლა იქ, ინტელიგენციის შეკრებაზე ერთმა თქვა, ჩემთვის საყვარელმა რეჟისორმა, რომელსაც ჩემი პიესაც აქვს დადგმული: მოდიო, არჩევნები ჩავატარებინოთ და მერე მოვაწყოთ „ბუნტიო“, არჩევნებს რომ გააყალბებენო. ესე იგი, საკმარისი არ არის, კაცო, რომ შენ დიდების მემორიალი აგიფეთქეს ის დიდების მემორიალი მამა-ბიძების ხსოვნის მემორიალი კი არ იყო, ის ომში დაღუპული ჩემი ერთადერთი შვილის ხსოვნის მემორიალიც იყო. თუ ხელოვანი გძულს, ან რა სჭირს შესაძულებელი, ხსოვნას რატომ ექცევი ასე? ბიჭო, რა სჭირს შესაძულებელი უნიჭიერესსა და უსათნოეს მერაბ ბერძენიშვილს? მე შენ გეტყვი, პოლიტიკურად აქტიურია, თვალში გეჩხირება და ინტელიგენციის შეკრებებს ესწრება თუ რა? არის პროფესიონალი ხელოვანი, თუ იმას არ სცემ პატივს, მამაშენისა და შენი



ბიძა-ბაბუების ხსოვნას მაინც ეცი პატივი, შარშან რომ ცხინვალში ბიჭები დაიღუპნენ იმათ ხსოვნას მაინც ეცი პატივი. ესე იგი, თურმე საკმარისი არ ყოფილა არც ეს „ბუნტისთვის“ – ახლა „ბუნტი“ შემოვიდა მოდაში...

თურმე არც ის ყოფილა საკმარისი, რომ ნახევარი საქართველო დამშეულია. საკმარისი არ ყოფილა ის, რომ ეროვნება და მამის სახელი გაგვიქრეს საბუთებიდან. მე სანამ პირში სული მიდგას, ამას ვერავინ გადამათქმევინებს, მარტო საქართველოა მთელ დედამიწაზე უეროვნებო ქვეყანა. თურმე არ ყოფილა კიდევ საკმარისი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების პირქვე დამხობა. თურმე არჩევნებს რომ გააყალბებს ახლა და უეჭველად გააყალბებს, აი, ამის შემდეგ კი აუცილებლად უნდა ავტეხოთ „ბუნტი“. შე კაი კაცო, თურმე ჩემი მთავარი მოვალეობა, როგორც ქართველი კაცისა და ამომრჩევლისა, ის ყოფილა, რომ სამში ერთი ავირჩიო... ესე იგი, ან ბურჯანაძე, ან დავითაშვილი, ან ძიძიგური. ეს არის ჩემი ბრძოლის მიზანი, კაცო? თუ სამში ერთი ვერ ავირჩიეთ, მაშინ კი უნდა ავტეხოთ ბუნტი, თორემ სხვა რაც ხდება, ეს რა „საბუნტოა“?! ეს არის ხელმოცარული კაცის ლაპარაკი, დროის გაყვანის პოლიტიკაა. მოვა მაისი და მერე დაიწყება: აი, ეს არჩევნები ხომ გააყალბეს, მაგრამ ახლა, მოდით, საპარლამენტო არჩევნები დავანიშნინოთ... აი, ისიც თუ გააყალბეს, „ბუნტი“ მერე ნახეთ თქვენო! ამასობაში, ამ ინტელიგენციების შეკრებასა და იმაში, გიგი უგულავა დადის სახლიდან სახლში, კარიდან კარზე, ზოგისთვის წამალი მიაქვს, ზოგისთვის პენსია, ესწრება წიგნების პრეზენტაციებს, მართავს კონკურსებს... ახლა მისმინე, ყველაფერზე ვიძახოთ, რომ ეს მოჩვენებითია? დავუშვათ, მოჩვენებითია, ქართული პოეზიის ანთოლოგიას აფინანსებს ქალაქის მერია! ასე თუ დავიწყეთ, კაცო, მაშინ ყველაფერი მოჩვენებითია. ასევე, მოჩვენებითი იყო ის, რომ ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი ტაო-კლარჯეთში გაგზავნა და თავისი ისტორიული ფესვები აჩვენა? ამის ძახილში, შენ როგორ გგონია, რამე აკლდება გიგი უგულავას? არაფერი არ აკლდება, ის აკეთებს

საქმეს, დადის ქუჩაში, ვიღაცას სახლი დაენგრევა, ახლა იქ გარბის... კი, შენ მეტყვი, ამას საშუალება აქვსო, უნდა გააკეთოსო, მაგრამ რამდენ უწყებას აქვს საშუალება, ხალხისთვის რომ ხელს არ ანძრევს? მაგალითად, ცუდი იყო ის ამბავი, ქალაქის მერიამ და კულტურის სამინისტრომ მუხრან მაჭავარიანს რუსთაველის თეატრში იუბილე რომ გადაუხადეს? ახლა ნუ შემეკამათები, მერიამ და კულტურის სამინისტრომ კი არა, ბატონო რეზო, ქართველმა ხალხმა გადაუხადაო.

ქართველმა ხალხმა გადაუხადა, მართალია, მაგრამ ამ ქართველმა ხალხმა სხვას რატომ არ გადაუხადა? ბევრს ჰქონდა სურვილი, გადაეხადა მავანისა და მავანისათვის იუბილე, მაგრამ ისე დელიკატურად გააცურეს განზე, სულ მადლობებით გაისტუმრეს.

თუ პატარა ჯგუფი ჩემი მეგობრებისა შეიკრიბება და ჩემზე აზრის გამოთქმა დასჭირდებათ, ამაზეც ყაბულს ვიქნები. ღმერთმა დამიფაროს იმის მოთხოვნისგან, იუბილე გადამიხადეთ-მეთქი.

მე არ ვიცი, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ამაზე არ არის საქმე, თუ საშუალებას მისცემენ, ერთ პატარა დარბაზში რამე აზრი გამოთქვან ჩემმა მეგობრებმა, ამისთვის მადლობელი ვიქნები, კბენასა და ღრეჯას არავის დავუწყებ. ახლა საკითხი დგას იმაზე, რომ შენ როგორ მეუბნები, დავაცადოთ არჩევნების გაყალბება და მერე ავწიოთ „ბუნტიო“? ესაა საქმე, შე კაი კაცო? აი, მიზეზი იმისა, რატომაც არ ვესწრები ინტელიგენციის შეკრებებს. მოდი, ახლა ერთ ინტრიგნულ რაღაცას გეტყვი: შეხედე სახეზე გიგი უგულავას და შეხედე სახეზე მიხეილ სააკაშვილს, ხანდახან, ბიჭო, ამ მეორესთან რა რისხვა იგრძნობა, ხედავ? აი, პირველთან... ჩემთვის მაგას შვილი არ მოუნათლავს და ჯიღა არ დაუდგამს თავზე, მაგრამ უგულავას სახეზე ხანდახან თანაგრძნობის სურვილს ვკითხულობ. რა იყო, შე კაი კაცო, 21 დეკემბერს უნდა აფეთქებულიყო მაინცდამაინც დიდების მემორიალი? არავინ არ არის შენ გარდა ამ ქვეყანაზე? აი, ამაზე მტკივა გული, მაგრამ იმაზეც მტკივა... ახლა ერთ კარგ შეკრებაზე ვიყავი, იუბილეზე, და ვინც კი ახლომახლო ტრიალებდა ხელოვანი, ყველა ლაპარაკს ამით იწყებდა: ჰიტლერს არ აუფეთქებია ძეგლები, არ მომხდარა ეს დედამიწის ისტორიაში, ფაშისტები არ აკეთებდნენ ამას! ახლა რომ ამბობენ, მოსკოვში გადაიტანენ, იქ დადგამენო, მოსკოვში რა უნდა? ეს ქართველი ერის ძეგლია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საკუთარი ხელით აღვადგენინოთ მიხეილ სააკაშვილს ეს ძეგლი.



თუ ასე გაგრძელდა, თუ ვერ მოვქაჩეთ და არაფერი შეისმინა, მერე მაგისი გაკეთებული ძეგლების აფეთქების დროც მოვა. მე როგორ ვიფიქრებდი... დავით აღმაშენებლის ძეგლზე ყაზახებმა თქვეს უარიო, მერე გაირკვა, რომ ყაზახებს არაფრი არ უთქვამთ. ამას თავი დავანებოთ, ილია ჭავჭავაძის ძეგლის აღება როგორ მოგვიდა აზრად, კაცო, ილიამ რაღა დაგიშავა? ერთი სიტყვით: „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსს სიზმრადაც არ მოლანდებია.“ მე რეზო მიშველაძე ვარ-მეთქი, თავიდან გითხარი, თუ ვინმე არ სარგებლობს ჩემი სიმპათიით ამ პოლიტიკოსთაგან, ამ ყოილთაგან, ვინც ირგებს ტანზე უკვე მომავალი პრეზიდენტის ჩოხას, ერთ-ერთი არის ზურაბ ნოღაიდელი, მაგრამ როგორ დავუშლი იმას, რომ ჩავიდეს მოსკოვში, იქ შეხვდეს რამდენიმე პოლიტიკოსს, დაარეკინოს კოკოითისთან, ჩავიდეს მერე თვითონ ცხინვალში და ის დატყვევებული ბიჭები ჩამომიყვანოს? ახლა, როგორ ფიქრობ შენ, რას დაჰპირდებოდა სანაცვლოდ ნოღაიდელი რუსს, ოღონდ ეს გამიკეთეთ ახლა, რუსებო, გამომაჩინეთ, შეაყვარეთ ჩემი თავი ქართველ ხალხს, ქულები მომაპოვებინეთ და დანარჩენი მე ვიციო? აი, შენ რას ფიქრობ, გეკითხები, სამაგიეროდ რას დაჰპირდებოდა ზურაბ ნოღაიდელი პუტინს?

რა, ჩაგაბარებთ მთელ საქართველოსო? ისედაც ჩაბარებული არა აქვთ, რაში სჭირდებათ ნოღაიდელის მიერ ჩაბარებული საქართველო? თუ უთხრა, ძმები ვიქნებითო, მაშინ ვენაცვალე ნოღაიდელს სულში, ამის სურვილი შენ არა გაქვს? ამის სურვილი აქვს მთელ საქართველოს, რომ

რუსთან ჩხუბი არ მოხდეს, თვითმფრინავები დაფრინავდნენ, მოსკოვში მილიონნახევარი ქართველი ცხოვრობს, ქართული პროდუქციაც უნდა გადიოდეს, მაგრამ ნოღაიდელის თქმა: საქართველო ოკუპირებულია მხოლოდ სააკაშვილის გამოო, ეგ არ არის მართალი. 1801 წელს რუსმა რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა გააუქმა, მაშინაც მიხეილ სააკაშვილი იყო? მერე ცოტა ხანში რუსმა საქართველოს ავტოკეფალია რომ გააუქმა, მაშინაც მიხეილ სააკაშვილი იყო? 1921 წელს რუსეთი ცეცხლითა და მახვილით რომ შემოვიდა და გასრისა საქართველო, მაშინაც მიხეილ სააკაშვილი იყო? შენ როგორ ფიქრობ, შარშან წაიღო რუსმა აფხაზეთი და სამაჩაბლო? სანამ შარშან აგვისტოში ომი იქნებოდა, ჩავდიოდით მე და შენ სოხუმში საჭყუმპალაოდ?

რუსს წაღებული ჰქონდა ყველაფერი, ოღონდ ახლა დააკანონა. რუსმა ასეთი რაღაც რამდენჯერ გააკეთა, რა, ყველა პრეზიდენტი ცუდი იყო? არ არის ასე, სააკაშვილს თავისი გაკეთებული სისულელეები ეყოფა, სააკაშვილს თავისი შეცდომები ყელამდე ეყოფა... დღეს მე, 70 წლის რეზო მიშველაძეს რაც არ მომწონს, ეს არის რუსეთში ჩასული ხელოვნებისა თუ პოლიტიკოსების გამო ატეხილი ისტერიკა. როგორო, შენ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად როგორ ჩახვედი და როგორ იმღერეო? შენ ფილმი როგორ ჩაიტანეო? ეს წარმოუდგენელი სისულელეა. პირიქით, რაც მეტი ხელოვანი ჩავა, რაც მეტი წიგნი გამოვა ქართველი მწერლის, რაც უფრო მიიქცევს რუსული საზოგადოების ყურადღებას ქართველი კაცი, მით უკეთესი. ხელოვანი სამშვიდობო მტრედია. ჩქარობენ ჩვენი ტელევიზიები და ყველაფერს ტელევიზიებს ვერ დავაბრალებ, ეს მოდის ზოგიერთი უმწიფარი პოლიტიკოსისგან. ნოღაიდელი რას დაჰპირდებოდა-მეთქი რუსებს, ისევ იმას ვუბრუნდები...

ჩვენ რუსს ყველაფერი მივეცით, ენერგოსისტემაც, წყალიცა და მიწაც, შენი მადნეულიც და მარნეულიც ჯიბეში უდევს. მე მინდა, კარგი კუთხით დავინახო, თორემ მტერმა შეიყვარა პუტინი და მედვედევი, რუსი ხალხი არასოდეს არ



იქნება საქართველოს მტერი და ქართველი ხალხი არასოდეს არ იქნება რუსეთის მტერი, ღმერთმა ნუ ქნას, პოლიტიკოსების ძიძგილაობა ერთა შორის სიძულვილში გადავიდეს. რუსი თვითონ ფიქრობს ახლა, რომ საშინელი შეცდომა დაუშვა. ეეჰ... სულ ყვანცალი, ყვანცალი და ყვანცალი, დავიღალე, ჩემო კარგო. 70 წლის კაცი ვარ, იცი, გული ყველაზე მეტად რაზე მწყდება? ჩვენ ილია ჭავჭავაძე ყველაზე კარგად გვიცნობდა; „საქმის დასაწყისში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ჩალასავით ავენთებით ხოლმე და მერე ისე ჩალასავით ჩავქრებით“. მე ვერ შევიძულებ იმ შემცდარ ქუთაისელ ქალებსაც კი, სამძიმარზე მისულ ინტელიგენციის წარმომადგენლებს კივილით რომ დახვდნენ, დაგვანებოს თავი თბილისმა, ნუ ჩამოდიხართ აქ და ნუ გვაფორიაქებთო! ბიჭო, ვის ეუბნები ამას, ეს ხომ საშინელებაა? შენ სოსო რობაქიძეს, ანგელოზი შვილის დამკარგავს, ტანჯულ კაცს, სამძიმარზე მისულს წინ უდგები? ვინა ხარ, სად გაიზარდე, ქალო?! სოსო რობაქიძე არ გინახავს, არ გაგიგონია, რა მართალი კაცია?! თუმცა ის ჩემი შემცდარი დაა, ვერც იმას ვერ შევიძულებ. მე მთელი ცხოვრება გულგრილობას ვებრძოდი, ეს ყველაზე საშინელი რამეა. იცი, რა არის კიდევ გულგრილობა? თურმე ქართველი საპროტესტო მიტინგზე დიდების მემორიალის აფეთქების გამო კი არ უნდა გამოვიდეს, უნდა გამოვიდეს, თუ კუკავას, ძიძიგურსა და დავითაშვილს ქალაქის მერად არ აირჩევენ. ყველაზე დიდი უბედურება ეს იქნება, ამათი აზრით. განა უბედურება არ არის საქართველოსთვის, როცა ჩოხოსან რაინდს, უნიჭიერეს კაცს, ვინც კინემატოგრაფიის ფაკულტეტი შექმნა თეატრალურ ინსტიტუტში, პანღურისკვრით გამოაგდებენ?!

დიახ, გოგი დოლიძეზე ვამბობ... კაცი გამოაგდეს და ერთი მისი ასპირანტი, ერთი მისი თანამშრომელი, ერთი მისი სტუდენტი საპროტესტო წერილს არ წერს, ეს გოგი დოლიძე რომ მოგვაშორეთ, ვინ მოგვიყვანეთ უკეთესიო? აი, საიდან იწყება ჩვენი სახელმწიფოებრივი სისულელეების ჯაჭვი, როცა აპატიეს სააკაშვილს 200 ათასი კაცის ქუჩაში გამოყრა,

უსამსახუროდ დატოვება, როცა აპატიეს უმაღლესი სასწავლებლებიდან და აკადემიებიდან მხცოვანი პროფესორების ქუჩაში გამოყრა, თავისი ბებია-ბაბუას, დედასა და მამას არ შეეხო, იმ ანეკდოტისა არ იყოს, ჩემს შვილს ხომ არ დავსჯიო? თავისი ოჯახის წევრები და ნათესავები არ დატოვა უსამსახუროდ, დატოვა სხვები. საიდან მოვიდა-მეთქი ზიზღი უფროსი თაობის მიმართ, ვყვიროდი... ეს ზიზღი ნუ გაგყვება, მიშა, დღემდე, შენ იცოდე, რაც ადრე მოეგები გონს, უკეთესი იქნება შენთვისვე.

არა, მაგისი ბატკნად ქცევა არავის არ უნდა, ვერ იქცევა მაინც, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც ხომ უნდა წამოსცდეს, რომ შეცდომები დაუშვა? მიშა, გამოდი და თქვი: ეს რომ გავაკეთე, არ იყო სწორი, ის რომ გავაკეთე, არ იყო სწორი, უმაღლეს სასწავლებლებში წიგნის ჯიხურები რამ გაგაუქმებინა, კაცო? ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში დარჩა წიგნის მაღაზია, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სტუდენტს შეუძლია, შევიდეს და მისთვის სასურველი სახელმძღვანელო შეიძინოს. გამაგებინეთ, მართლა ლომაიას ჭკუაზე ვიაროთ? მართლა ვთქვათ წიგნზე უარი? სახელმწიფო უნივერსიტეტში ოთხი მაღაზია იყო, ხუბუამ ყველა მიწასთან გაასწორა, წაშალა. ერთხელ მაინც-მეთქი, მიშა, ამ საახალწლოდ გეუბნები, არავის არ უნდა შენი გასრესა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ შევუერთდები კაცთმოძულეთა არმიას, რომელიც იძახის: გავტკეპნოთ, გადავუაროთ, გავთელოთ! მოუკვდა ჩემდათავად მოხარბე შენს ტანჯულ სკამს, შენთვის შეიძლება ძალიან სასიამოვნოა სუშის ჭამა და გაქცევ-გამოქცევა ბათუმსა და თბილისს შორის, მაგრამ ჩემთვის ეს საშინელი სასჯელი იქნებოდა. შენ თონეში გაქვს ჩაყოფილი თავი, მიშა, შეიძლება ხშირად კეთილი საქმის გაკეთება გინდა, მაგრამ ჭკუა არ გაძლევს ამის საშუალებას, რაც გჭირს, ვაიჭკუისგან გჭირს. მიუხედავად ამისა, ჩემო ბატონო, მე კატეგორიულად შევეწინააღმდეგები აზრს ახალი „ბუნტის“, ახალი რევოლუციის, ძმათამკვლელი ომისა და სისხლის შესახებ. არაფერი არ ღირს ამ ქვეყანაზე, არავისი



თანამდებობა დედა-შვილის დაღვრილ სისხლად, რომლის წინაშეც ჩვენ ყველანი ქედმოხრილნი ვდგავართ. ამ საახალწლო დღეებში, თუ ვინმეს ჩემი წიგნები ხელში აუღია, იცის, რომ მე ყოველთვის ვიყავი შერიგებისა და მიტევების მძახებელი... როგორც პოლიტიკოსი, ხანდახან ნაჯახური პოლიტიკის მიმდევარი ვიყავი, მაგრამ 70 წლის ასაკში ისევ პირველს ვუბრუნდები, ჩვენ მიტევების, მონანიებისა და შერიგების გარდა სხვა გზა არ გაგვაჩნია.

*იანვარი, 2010*

## მინდა მჯეროდეს

დღეს აბსოლუტურად გაუგებარია, ზოგიერთი ოპოზიციონერის განცხადება, თუ საჭირო იქნება, კიდევ შევხვდებით სააკაშვილსო. ერთხელ ხომ შეხვდით და გადადგომაზე დაელაპარაკეთ, მან სასტიკი უარი განაცხადა, შემდეგი შეხვედრაც ამ საკითხზე უნდა გაიმართოს? რა აზრი აქვს დიალოგს, როცა იცი, რომ შედეგი არ იქნება! პოლიკარპე კაკაბაძის ხორცშესხმული პერსონაჟი ყვარყვარე თუთაბერი იდგა იმ დღეს თქვენ წინაშე, ძვირფასო ოპოზიციონერებო. ხომ დაინახეთ, როგორ ჩამოართვა ხელი მოდიალოგე ოთხეულს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს კინაღამ ზედ გადაუარა, სკამამდე სამი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, მაგრამ ისეთი ტემპი აიღო, ისე მიიქნევდა ხელ-ფეხს, გეგონება, 5 კილომეტრი მაინც აქვს გასავლელიო. ნუთუ ჩვენი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არაფერს გეუბნებათ?

26-ში აღლუმს აპირებდა მიხეილ სააკაშვილი. ოპოზიციამ თქვა, სტადიონზე შევიკრიბოთო. მე გამიჩნდა შეკითხვა – რისთვის უნდა შევიკრიბოთ სტადიონზე? იმისთვის, რომ ეს იყოს ოპოზიციური ძალების კიდევ ერთი დათვალიერება და რაღაც მასკარადის მსგავსი?

თუ სტადიონზე შევიკრიბებით, მაშინ უნდა ჩატარდეს ეროვნული ყრილობა, სადაც ღია კენჭისყრით უყრიან კენჭს სააკაშვილის გადაყენებას, თორემ ჩვენ თუ სტადიონზე ისევ ლამაზი გამოსვლები ვისმინეთ, სულერთი არ არის, სად მოვისმენთ ამას? ხომ ახდა ჩვენი ეჭვები, შარშან ინაუგურაციის დღეს იპოდრომზე რომ შეიკრიბნენ. ხომ გაცხადდა, რომ გაყიდული იყო მაშინ ოპოზიცია. ორივე გაჩეჩილაძემ მოინანია თავისი შეცდომა – ღამის 4 საათზე მისვლა და შეხვედრა სააკაშვილთან. მჯერა, რომ ძმები გაჩეჩილაძეები დღეს ის გაჩეჩილაძეები აღარ არიან, რომლებიც იპოდრომზე იყვნენ. მინდა, მჯეროდეს, რომ ისინი აღარასოდეს მივლენ სააკაშვილთან ჩუმად, ღამის 4 საათზე. თვით ბურჯანაძეც კი სიმპათიურად ჩაეწერა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელებში. 6 მაისს მან ხალხს უჩვენა, რომ უკან დახევას არ აპირებს. ვინ-ვინ და, მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ეროვნულ ბრძოლაში შვილს ამოიყენებ გვერდით.

ზვიად ძიძიგურს, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ერთგულებისთვის 7 წელი იჯდა, შუბლში როგორ ესროლე ტყვია? ქალებს როგორ მოუქნიე ხელკეტი? ამის მერე რა დიალოგზე შეიძლება იყოს საუბარი? რა საშინელი სანახავი იყო ეს ძლევამოსილი ფიურერი, 7 ჯარისკაცის წინაშე რომ იდგა და ეუბნებოდა, გადაყოლილი ვარ თქვენზე, ასეთ პატივს გცემთ და ასე დამიფასეთო? სასაცილო იყო ასე გაგულისება და დავაჟკაცება იმ პრეზიდენტისა, რომელიც მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორ დაფორთხავდა მიწაზე რუსის თვითმფრინავის დანახვისას.

წაგებულ ომს კიდევ აპატიებდა სააკაშვილს ხალხი, მაგრამ ის როგორ ვაპატიოთ, რუსთაველზე გამარჯვების მიტინგი რომ ჩაატარა იმ დროს, როცა ჩვენი ბიჭების ცხედრები უპატრონოდ ეყარა ცხინვალსა და გორში? დამარცხებული, პირქვე დამხობილი, ტერიტორიებწართმეული ქვეყნის პრეზიდენტი ბოდრუმში, დემონსტრაციულად მასაჟისტის წინ რომ კოტრიალობს, იმასთან უნდა დაჯდე მოსალაპარაკებლად? რას გახდები დიალობით იმ კაცთან, რომელმაც ისეთი სისტემა მოაწყო, რომ ბაღის გამგედაც არ დაგნიშნავენ,



თუ „ნაცმოძრაობის“ წევრი ან მათი თანამოაზრე არა ხარ? ქვეყანა გავსებულია მსტოვრებით. სამი კაცი ერთმანეთში რომ დაილაპარაკებს, რას შვრება ეს სააკაშვილიო, მეორე დღეს სამსახურიდან მოხსნიან თუ სააკაშვილის თანამოაზრე არა ხარ, არც რეჟისორი ხარ, – არც – მხატვარი, არც – მწერალი. სააკაშვილის გადადგომა უალტერნატივოა!

დიალოგის მომხრე პოლიტიკოსი ან ღრმად შემცდარია, ან – ღრმად შემკრთალი. ახლა ის შეიძლება ნანობს, ხომ ვიყავი მშვიდად თანამდებობაზე, რა მინდოდა ქუჩაშიო და ისევ უკან დასახევ გზას ეძებს, მაგრამ მან არ იცის, რომ უკან დახევა მისი პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება. რა დიალოგი, რის დიალოგი!

ჩემო საყვარელო პოლიტიკოსებო, სააკაშვილთან ყველანაირი შეთანხმება არის შეცდომა, სატყუარა, ეს არის ალიკაპის გაკეთება ოპოზიციისათვის. სააკაშვილი ყველაფერს დაგპირდება და არაფერს გააკეთებს. ასე მოიქცა ის უნივერსიტეტში. ასე მოიქცა მწერლების სახლთან დაკავშირებით. სააკაშვილის ყოველი სიტყვა, ყოველი მოქმედება არის ოინბაზობა, რომელიც ანგრევს საქართველოს და ყოველი დღე ამ ოინბაზობის გახანგრძლივებისა, თქვენს კისერზეც იქნება, ჩემო საყვარელო ოპოზიციონერებო!

*მაისი, 2009*

## ვუყურებ, ვუსმენ და ვრწმუნდები...

9 აპრილის მიტინზე პიონერთა სასახლის წინ შემაღლებულ ადგილზე ვიდექი და ჩემდა უნებურად, კამათს შევესწარი, რომელიც დემონსტრანტებმა წამოიწყეს: – მაინც, რამდენი კაცი იქნებაო? – ზოგი ამბობდა, 50 ათასიაო, ზოგი – 80 ათასს, ზოგი 100 ათასს და ზოგიც 150 ათასს ვარაუდობდა. დემონსტრანტთა რიცხოვნობაზე ასეთი დაინტერესება არასერიოზულად მომეჩვენა. მაშინ გავიფიქრე, თუ ჩვენი რევოლუციური აღტყინება იმაზეა დამოკიდებული, რამდენი კაცი შეიკრიბება

რუსთაველზე, ჩვენი საქმე ძალიან ცუდად ყოფილა. მოგვიანებით გაირკვა, რომ რუსთაველზე არანაკლებ 300 ათასი მეამბოხე იდა (მე მათ მეამბოხეებს ვეძახი). იცით, რას ნიშნავს, როდესაც 300 ათასი კაცი ქუჩაში გამოდის? – ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონი მოქალაქე გამოვიდა ქუჩაში იმიტომ, რომ ამ 300 ათასის უკან დგანან მათი ოჯახის წევრები, სამეგობრო. ყველა მათგანს საშუალება არა აქვს, ზოგს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, რომ ქუჩაში 6 საათის განმავლობაში იდგეს.

წინა ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ ამერიკის მიერ იყო ინსპირირებული, რომელსაც უცხოური ძალები აფინანსებდნენ და ხელით აწვებოდნენ შევარდნაძეზე განაწყენებულ ერთი მუჭა ვითომ რევოლუციონერებს პარლამენტში შესავარდნად. ამჟამად ასე ნამდვილად არ არის. ხანდახან მეცინება ამ „გულუბრყვილო“, პოლიტიკურად უმწიფარ ხელისუფალთა არგუმენტებზე, მათი განმარტებით, 2003 წლის 22 ნოემბრის პარლამენტში შევარდნა იყო კანონიერი, „ხავერდოვანი“ და „ტკბილი“ ნაბიჯი. ახლა იმავეს განმეორება უკანონობა და კონსტიტუციის ხელყოფაა, ამდენად – დასჯადი (მათ ასეთი ტერმინი აქვთ). – რატომ, კაცო?! – 2004 წლიდან სულ რაღაც 5 წელი გავიდა, განა რა ასეთი საკანონმდებლო ცვლილებები მოხდა კონსტიტუციაში?! ის, რაც მაშინ კანონიერი იყო და გამართლებული, დღეს უკვე დანაშაულია. საქმე ისაა, რომ ქართველ ერს კვლავ ატყუებენ, იგონებენ უნიჭო, გულისამრევ გამამართლებელ საბუთებს; ამბობენ, მაშინ არჩევნები გაყალბდა, ახლა კი სულ სხვა ვითარებაა. მე თქვენ გეუბნებით – განა არჩევნების გაყალბებისათვის არ იყო იპოდრომზე ყველაზე გრანდიოზული და მასშტაბური აქცია? განა 5 იანვრის სამარცხვინოდ გაყალბებული არჩევნებისთვის არ დგას დღესაც ქართველი ხალხი ქუჩაში?

წარსულსა და დღევანდელობას შორის მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ისაა, რომ ამჯერად ჩვენი მტერი ამერიკა არ აქტიურობს, წინა პლანზე აღარ ჩანს. მახსოვს, მაშინ ყოველ 15 წუთში შევარდნაძეს ვაშინგტონიდან ურეკავდნენ. „ოპოზიციონერი“ გიორგი თარგამაძე ამერიკაში იმისთვის იყო, რათა როგორმე ვაშინგტონს სააკაშვილი სკამზე



გაემაგრებინა. ჩვენი ერისათვის ისევ არასახარბიელო მდგომარეობაა. მაშინ ავანტიურა ერთი მუჭა პოლიტიკოსებს ამერიკამ გააკეთებინა, ახლა კი თავის გაკეთებულს კბილებით იცავს, ოღონდ, ეგ არის, კბილებიც და ბრჭყალებიც დაეცვდა. ამერიკამ ქართველი ერის რისხვა დაიმსახურა და იცით, რისთვის? – ჩვენ გვეგონა, რომ „ძია სემი“ ჩვენი დასავლეთელი მეგობარი ჩვენი პატრონი იქნებოდა, პატარა საქართველოს ყველა მძიმე სიტუაციაში დაიცავდა, რეალურად, თურმე, ვერაფრის გამკეთებელი ყოფილა ამერიკამ ვერ მოახერხა, რომ საქართველოს მაპი მიეღო, რომლითაც ასე თუ ისე, თავი ქუდში გვექნებოდა და სანახევროდ მაინც დაცულნი ვიქნებოდით. რუსეთის თვითმფრინავები როდესაც წყვილ-წყვილად საქართველოს ზეცას სერავდნენ, მე, პირადად, ამერიკაზე გული სამუდამო გამიტყდა.

ჩემსავით სააკაშვილი არავის სძულს. მისი არც ერთი სიტყვისა არ მჯერა. ვუყურებ, ვუსმენ და ვრწმუნდები, რომ მიშას სძულს ქართველი ერი, ხალხი, რომლის წინამძღოლიცაა, მაგრამ სამართლიანი არ ვიქნები, თუ საზოგადოების ამ შიშს არ ვუპასუხე. რუსეთი ჩვენი მეზობელი ორასმილიონიანი ქვეყანაა, ატომური და ბირთვული იარაღის პატრონი. უკანაკსნელი 18 წლის განმავლობაში საქართველომ რუსეთთან ომი გადაიტანა. 1992 წელს სააკაშვილი იყო? – შევარდნაძე ერის წინაშე დიდი ცოდვილია. მან ხელი შეუწყო ჩვენი პირველი ეროვნული პრეზიდენტის დამხობას და უბედურებაც იქიდან დაიწყო. რაც შეეხება აგვისტოს ომს, საქართველოს საზღვრებზე რუსეთს საკუთარი ინტერესები აქვს. სააკაშვილს შეეძლო, ჭკვიანური დიპლომატიური მანევრირებითა და პოლიტიკური თამაშებით ეს ომი დროებით გადაევადებინა, მაგრამ აცილებით ვერ აიცილებდა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა ერთი ღირსეული ნაბიჯი რომ გადმოდგას, გააუქმოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, საქართველო 180 გრადუსით რუსეთისკენ შემობრუნდება...

დიდ და საქვეყნო საქმეში პოზიციისა და მრწამსის მერყეობა ადამიანებში უდიდეს უნდობლობას და უპატივცემულობას იწვევს. ერთ ამბავს გავიხსენებ ქალბატონ ნინო

ბურჯანაძესთან დაკავშირებით. გახსოვთ, ალბათ, „ვარდების ხელისუფლებამ“ ეროვნების გრაფა რომ გააუქმა პასპორტში მე მძაფრი პროტესტი გამოვთქვი პარლამენტში, მხოლოდ ცხონებული გურამ შარაძე ამომიდგა მხარში. მაშინ ქალბატონმა ბურჯანაძემ ცინიკური ღიმილით მითხრა: – „ბატონო რეზო, რა ასეთი აუცილებელია მამის სახელის ჩაწერა, განა მამის სახელი გვავიწყდება ხოლმე?“ ამიტომ მოჩანს საეჭვოდ ეროვნული დროშის ქვეშ ყოფილი ჩინოსნების – ნინო ბურჯანაძის, ზურაბ ნოღაიდელის, ირაკლი ოქრუაშვილისა და მათი მსგავსი პოლიტიკოსების ოპოზიციონერება. თვით ოპოზიციაშიც ძნელად მოიძებნებიან ჯანმრთელი და მაღალი სულიერი ღირსებების მქონე ლიდერები. გული მატკინა გამყრელიძის სიტყვებმა დიალოგის თაობაზე, არანაკლებად გულსატკენი იყო ლევან გაჩეჩილაძის გაცეცხლებაც. მომეწონა, როდესაც გია მაისაშვილმა ეროვნული დროშა გამოიტანა, მაგრამ მისი უცენზურო და უხეში გამოსვლა არ მომეწონა. არც გოგა ხაინდრავას სიტყვებია მოსაწონი – „სააკაშვილის ცხედარს აქ მოგიტანთო“. ეს ყველაფერი ქუჩურ გარჩევებსა და ყოყლოჩინა ბიჭების დაპირისპირებას უფრო ჰგავს, ვიდრე რევოლუციურ სულისკვეთებას. ასეთ დროს პრეზიდენტის „გასეირნებებიც“ ხალხის აბუჩად აგდებად მიმაჩნია. ქუჩაში ათასობით კაცი დგას და სიმართლეს ითხოვს, ის კი რესტორნებში ქეიფობს და თავის კუნთმაგარ დაცვის ბიჭებს რესტორნის წინ სიმართლის მაძიებელ ახალგაზრდა პროტესტანტებს აცემინებს, ხან კი გუდაურშია.

დღეს ძნელია, იფიქრო გამარჯვებაზე, როდესაც ოპოზიციის ლიდერები დაბნეულ ხალხს პარლამენტიდან რაიხსტაგამდე (ავლაბრის სასახლეს ასე ვეძახი) გაუძღვებიან და მცირე ექსცესების მერე თითქოს ვიღაცის ბრძანებით დაშლიან, ანუ წინ და უკან დაატარებენ. მეეჭვება, ასეთი „მარშიროვკებით“ წარმატებას მივაღწიოთ. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, ჩემი იმედის თავშესაფარი ქართველი ხალხია, ყოველთვის მართალი და არავისგან მართული. მოთმინება გვმართებს, დრო ყველაფერს სინათლეს მოჰფენს.

*აპრილი, 2009*



## ქართველმა ერმა არჩევანი უკვე გააკეთა

თბილისის ცენტრი საკნებით გაივსო... ეს საკნები რუსთაველის პროსპექტიდან ქალაქის პერიფერიებისკენ მიცოცავს; ასევე დედაქალაქში იზრდება პიკეტების რაოდენობა.

სხვათა შორის, პროტესტის ეს ფორმა ძალიან მომწონს. მართლაც, პარალიზებული უნდა იყოს ის შენობები, საიდანაც საქართველოსთვის მხოლოდ უბედურება მოედინება. ამიტომაც, პარლამენტის შენობაც, კანცელარიაც და სააკაშვილის რაიხსტაგიც ავლაბარში აუცილებლად უნდა იქნეს პიკეტირებული. არა მგონია, ჩვენმა ოპოზიციამ ისეთი უწყინარი და სასიცოცხლო შენობების პიკეტირებები დაუშვას, როგორც გახლავთ საავადმყოფოები, პურის ქარხნები და ა. შ. ასე რომ, ამ ტენდენციაში საშიშს ვერაფერს ვხედავ, თუმცა ეს საშიშია ხელისფულებისათვის, რომლის თავზეც ხალხის პროტესტი დამოკლეს მახვილივით არის აღმართული. მიხარია, რომ 9 აპრილის ეიფორიულმა მოლოდინმა – „9 აპრილს ყველაფერი უნდა დამთავრდეს!“ – უკვე გაიარა და ჩვენი ოპოზიციის ლიდერებს ეყოთ სიბრძნე, რომ ხალხის პროტესტი გარკვეულ კალაპოტში გადაეტანათ.

7 ნოემბრისა და 9 აპრილის შემდეგ, სააკაშვილს არცერთი პროცენტით ჭკუა არ უსწავლია. მეგონა, თუ მიშას ერთი ფიორი ჭკუა მაინც ექნებოდა თავში, მთელ საქართველოს რომ დაინახავდა ქუჩაში გამოსულს, რაღაც დასკვნებს უეჭველად გამოიტანდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, კაცო! თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგას რომ ცოტა მაინც ჰქონდეს ჭკუა ნასწავლი, ტექნიკის დასამტვრევად ეგ „სპეცმენაგვეებს“ გამოგზავნიდა? შენ გგონია, ეს „იმედის“ დარბევის გაგრძელება არ არის? ანდა, 80 კაცია გალახული ოპოზიციიდან, 80 კაცზე მეტი კი არ გალახულა 7 ნოემბერს, ოღონდ 7 ნოემბერს იყო ერთი შეტევა... ახლა არის უფრო ეშმაკური, უფრო ვერაგული, უფრო არაკაცური შეტევა... ბიჭო, მომღერალს ბულბულივით კაცს, ზურა მანჯავიძეს რომ თითს

მოსტეხ, ხვადაგი ხარ, აბა, რა ხარ? ნაძირალა ხარ, აბა რა ხარ? როგორ აღმართე ზურა მანჯავიძეზე ხელი, რომელიც მღერის, გალახული გამოდის ტელევიზიით და ამბობს, – მე მხოლოდ სიყვარულით გადავუხდი ამ ბიჭებსაცო.

თუ ისინი აზროვნებენ, უნდა მიხვდნენ, სადაც არიან... ერთი რამ ცხადია, თუ სააკაშვილის მომხრე ხარ, აუცილებლად უნიჭო უნდა იყო!.. უნიჭობის კომპენსაციაა სააკაშვილის მომხრეობა. ნახეთ, ყველა ნიჭიერი კაცი ოპოზიციონერია. ხელოვანთაგან სააკაშვილის მხარეს მხოლოდ ოთარ კობერიძე იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ისიც აღარ ჩანს. ჰიმნი დაუწერა „მოქალაქეთა კავშირს“ ჯემალ სეფიაშვილმა და ნახეთ ოპოზიციონერთა შორის პირველ რიგებში დგას. ის მომღერლებიც, რომლებიც მიშას უმღეროდნენ, თითქოსდა თავაზიანად ჩამოშორდნენ სააკაშვილს.

ერთ კონცერტზე მერაბ სეფაშვილის მხრიდან არ ჩამოულია სააკაშვილს ხელი, მაგრამ ჩვენი მერაბიც, ჩვენი საყვარელი მომღერალიც არ ჩანს. აი, აკადემია... სააკაშვილმა მეცნიერებათა აკადემიას რომ შეურაცხყოფა მიაყენა, ასეთი შეურაცხყოფა მას არავისთვის მიუყენებია... ამიტომ მე ვერ ვკიცხავ აკადემიის მხცოვან წევრებს, თუმცა გულში კი გამკრავს ხოლმე ერთი ფიქრი, – რატომ არ იღებენ ხმას თამაზ გამყრელიძე, როინ მეტრეველი?.. რამ დაგაშინათ ასე, რომ ერთ ინტერვიუსაც არ აძლევთ პრესასა და ტელევიზიას, რა იყო, რა მოხდა ასეთი? აკადემიის წევრთაგან მხოლოდ ელიზბარ ჯაველიძე და თენგიზ სანაძე ჩანან წინა პლანზე, დანარჩენები სად ხართ?..

ქართველი მწერლები ხალხთან არიან... მიტინგი 9 აპრილს მიჰყავდა დათო მაღრაძეს, რომელიც საქართველოს ჰიმნის ავტორია... დათო მაღრაძე სააკაშვილს თავის უბის წიგნაკში მხარდამჭერ მწერალთა ხუთეულში ჰყავდა შეყვანილი, მაგრამ ხედავთ, თუ რა სიტუაციაა და სად დგას დათო. მიტინგზე უკვე გამოვიდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, მაყვალა გონაშვილი, თქვენი მონა-მორჩილი, ვაჟა ოთარაშვილი, სოსო სიგუა, ნანა წითელაშვილი და ახალგაზრდა პოეტი – ნათია



ავსაჯანიშვილი. ასევე მიხარია, რომ მიტინგის წამყვანთა შორის ვხედავ ნიჭიერ პოეტ ქალს – ლია ნაროუშვილს. განა ცოტას ნიშნავს, ჩემო დიტო, რომ ყოველ მომიტინგეს ხელში უჭირავს პატარა ბაირაღი, რომელზეც ჭაბუა ამირეჯიბის ხელითაა წაწერილი: „დაიცავი საქართველო!“ გაგიმხელთ, სამშაბათს, პარლამენტის წინ დავდგამთ საკანს.

შევალთ მორიგეობით, რათა დაინახოს საქართველომ, სად არიან ქართველი მწერლები... განა ოპოზიციის ლიდერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უკომპრომისო და შეუდრეკელი – გუბაზ სანიკიძე უკვდავი ლევან სანიკიძის შვილი არ არის? გავამხელ კიდე ერთ საიდუმლოს: ეროვნული და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო რეიტინგიანი პარტიის თავკაცი, შალვა ნათელაშვილი ლექსებს წერს და მშვენივრად იცის ქართული პოეზია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, განა მთელი ეს ამბოხება ილია ჭავჭავაძის დროშის ქვეშ არ მიმდინარეობს? განა სააკაშვილმა „ეროვნება ქართველის“ საბუთებიდან გაქრობით, პირველ რიგში, ჩვენს ეროვნულობას არ დაარტყა? ამიტომ, იცოდე შენ: ქართველი მწერალი ყოველთვის გამოხატავდა ქართველი ერის ნებას და ახლაც ასეა...

გულახდილად რომ გითხრათ, აქამდე მიტინგზე იმიტომ არ გამოვდიოდი, რომ ნინო ბურჯანაძის გვერდით დგომა ჩემთვის სასურველ ამბად არ მიმაჩნდა, მაგრამ მაინც გამოვედი!

იმიტომ, რომ ჩვენს ოპოზიციას ერთი ბაცილა შეეპარა – გამყრელიძე და უსუფაშვილი სულ უფრო და უფრო ხშირად ლაპარაკობენ დიალოგზე, მაშინ, როცა ქალბატონი ოპოზიციონერები – ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი და ეკა ბესელია, სააკაშვილთან ყოველგვარ დიალოგს უარყოფენ!.. იცი, ახლა რა ხდება? როგორ შემიძლია, ეს უკომპრომისობა ამ ქალბატონებს დავუკარგო?.. მგონია, რომ მიუხედავად იმისა, ერთმანეთი შესაძლოა დიდად არ ესიმპათიურებათ, იმ მთავარ საკითხში, რასაც სააკაშვილის გადადგომა ჰქვია, ოპოზიციონერები მეცხვარის ნაგაზებივით არიან მგლის წინააღმდეგ!..

გამოვიდა პიტერ სემნები ამ დილას და თქვა, – საჭიროა, ქუჩის აქციებმა სხვაგან გადაინაცვლოსო! ეს „სხვაგან“ ხომ

იცით, რასაც ნიშნავს?.. ე. ი. უნდათ გაგვასეირნონ იპოდრომზე... გიორგი თარგამაძემაც, ამ „უშიშარმა და უკომპრომისო ეროვნულმა ლიდერმა“, სემნებს კვერი დაუკრა, – სწორიაო! არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თუნდაც ევროპელ მეგობრებთან თანდასწრებით სააკაშვილთან დიალოგის გამართვა! არც ის შეიძლება, რომ კათალიკოსი ჩავრიოთ ამ ამბავში... როგორც კი კათალიკოსის თანდასწრებით დასხდებიან სააკაშვილი და ოპოზიციის ლიდერები, შენ იცი, რომ ეს ყველაფერი დამთავრდება აუცილებლად შერიგებით, რადგან კათალიკოსის ფუნქცია სწორედ ეს არის. როგორ გგონიათ, ძალიან კარგადაც რომ დაარწმუნონ კათალიკოსი ოპოზიციის ლიდერებმა, – მიშა უნდა წავიდესო, ადგება და კათალიკოსი იტყვის – აი, მე ახლა დავრწმუნდი, რომ ჩვენი პრეზიდენტი არ არის მართალი, მას არ აქვს მორალური უფლება, მართოს საქართველო და მიშა უნდა გადადგესო?.. ამას არავითარ შემთხვევაში არ იტყვის კათალიკოსი, რადგან კათალიკოსის ფუნქცია ასეთია: „შერიგდით, ჩამოართვით ხელი ერთმანეთს, გადაკოცნეთ ერთმანეთი და ვილოცოთ საქართველოსთვისო!.“ პატრიარქს უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩავაყენებთ. მის მშვენიერ ქადაგებებში არის ქვეტექსტი იმისა, რომ სააკაშვილი დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე...

დარბევები უკვე დაწყებულია!.. ჰოდა, ეს დარბევა დიდ მასშტაბს შეიძენს თუ არა, ამას წინასწარ ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ არც ამ თეორიისა მჯერა, – „სააკაშვილი პოლიტიკურად კასტრირებულია! მას ძალა არ აქვს!“ ამათ დარბევები დაწყებული აქვთ, შედგენილი აქვთ დიდი სიები, ვის როდის დახვდნენ ქუჩაში და როდის გალახონ... ვენაცვალე დაჩი ცაგურიას ბიჭებს, ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ბიჭებს მოვესწარი, ასეთ ვაჟკაცებს!.. ეს თხა სააკაშვილი ხომ გააქციეს რესტორნის უკან კარიდან!.. ზოგიერთი თავგახურებული „მიშისტი“ იკითხავს: თქვენ ხალხი ხართ, კაცს ჭამას არ აცლითო? ბიჭო, მთლად სულელთან ხომ არ გვაქვს საქმე, კაცო!.. კი, მართალია, მსოფლიოს არაერთმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ დასკვნა დადო, მაგრამ ამ კაცს არავინ არ ჰყავს



პატრონი, რომ უთხრას: მიშიკო, რატომ აღიზიანებ ხალხს, რატომ აკეთებ ამას? ე. ი. მთელ საქართველოს ეუბნება, თქვენს ჯინაზე „სუშსაც“ შევჭამ, რესტორნებშიც ვივლი, „პორნომასაჟისტკასაც“ ჩამოვიყვან გერმანიიდანო. ექვსი თვის წინათ გამოაცხადა ოპოზიციამ, – 9 აპრილს აქციებს ვიწყებთო!.. მიშას რომ ჭკუა ოდნავ მაინც ესწავლა, მას რომ მთელი ქართველი ხალხი არ ეზიზღებოდეს, ამ ხნის განმავლობაში ხომ გადადგამდა რამდენიმე ისეთ ნაბიჯს, რომელიც ხალხს მისკენ შემოატრიალებდა? ვინ გვაძლევს მწერალთა კავშირის შენობას, სულ ტყუილია ყველაფერი, გაიარეთ და ახლაც ხუთი პოლიცელი გადი-გამოდის შენობის წინ. ორი კვირის წინ, ბათუმში ბრძანა მიშამ, – გავოცდი, კაცო, როცა გავიგე, რომ საქართველოში არც ერთი უმაღლეს სასწავლებელი ფიზკულტურის მასწავლებლებს არ ამზადებსო!.. აქედან ხომ ერთი ნაბიჯი იყო იმის ასაღიარებლად, – შევცდი, სპორტის აკადემია რომ დავანგრიეო, მაგრამ არა! ლომაია რა ნაძირალაც არის, ყველამ ვიცით, მაგრამ რასაც ჩვენ ლომაიას ვაბრალებდით, ყველაფერი სააკაშვილის სულელ თავში იყო გადაწყვეტილი. სპეცრექტორი, წერა-კითხვის მცირედმცოდნე ხუბუა, ლიტერატურის ინსტიტუტის უწიგნური სპეცდირექტორი, ირმა რატიანი, სპეცმენაგვეები, ყველანი სააკაშვილის სპეცრაზმელები არიან... გამოვიდა და უცხოურ ჟურნალში თქვა, – მიტინგზე დგას ის 250 ათასი კაცი, რომელიც უმუშევარი დავტოვეო!.. მე ვეკითხები, – კაცო, თუ 250 ათასი კაცი დატოვე უმუშევარი, შენ დაგიქცევია ქვეყანა და ქე ამხელ ამას?! რატომ დედაშენი არ დატოვე უმუშევარი, მიშა? რატომ მამაშენი არ დატოვე, რატომ დედაშენის მეგობრები არ დატოვე, რატომ შენი ძმები არ დატოვე უმუშევარი? პრეზიდენტი, რომელიც ამას აცხადებს, ის ჭკუაზე არ არის, კაცო!..

მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია შევიდა სიბრძნის ფაზაში!.. ეს უკვე ნერვების ომი აღარ არის, ეს არის უკვე ომი სააკაშვილის ხროვასა და დანარჩენ საქართველოს შორის. არავინ სამსახურს არ დაკარგავს, არავინ შურისძიებას არ

აპირებს... გამოდის ახლა ბარამიძე და ამბობს, – თქვენ ხომ არ გაგიჟდით, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მთავრსარდლის გაშვება როგორ შეიძლებაო! რა მთავარსარდლის, კაცო, უყურეთ ყოველ ღამეს „მაესტროს“ კლიპს, როგორ ამხობენ თავზე გორში წაქცეულ სააკაშვილს „კასრულებს“, „ფანერკებს“, „ბრონეჟილეტებს“ და როგორ იხედება სააკაშვილი ქვემოდან, – არიქა, დამაფარეთ, კიდევ დამაყარეთ, დამმარხეთ, ოღონდ რუსის ბომბი არ მომხვდეს თავშიო!.. ეს არის მთავარსარდალი, კაცო და ამის გადადგომა-არგადადგომაზეა ლაპარაკი? ასე, რომ მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, – სააკაშვილი ქართველი ერის ნებით 100 პროცენტი გადადგება!.. მიშა, ნუ დაანგრევინებ სპეცრაზმელებს რუსთაველის პროსპექტს, ნუ დაღვრი სისხლს. ქართველმა ერმა შენ უკვე ამოგშალა თუნდაც პოტენციური ხელმძღვანელობის სიიდან, წადი, გადადექი, მოგვშორდი!..

*აპრილი, 2009*

## ოპოზიციის კუს ნაბიჯები

მიტინგზე მე ვთქვი, რომ ყურებში რევოლუციის გუგუნი მესმი-მეთქი. ახლაც, ამ წუთშიც გრძელდება ეს გუგუნი, მაგრამ რაღაც საეჭვოდ ხომ არ გრძელდება-მეთქი, ჩემ თავს ვეკითხები. ლოგიკა არის ის, რომ აბსოლუტურად მთელი საქართველოსთვის მიხეილ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, მიუღებელია. მნიშვნელობა არა აქვს, მთელი საქართველო აქ იდგება, რუსთაველზე დილიდან საღამომდე თუ არა. მაგრამ, როდესაც მეორე მხარეს არც სიტყვით, არც ხალხის ნების გამოხატვით, არც გაზეთებისა და საერთოდ, მასმედიის ორიენტაციით არ ესმის, რომ უნდა წავიდეს, მაშინ, საჭიროა სხვა, უფრო ქმედითი ზომების მიღება.

მსოფლიო რევოლუციამ ასეთი ზომები იცის.



მე ვსაუბრობ ზუსტად იმ მეთოდებზე, რა მეთოდითაც სააკაშვილმა აიღო ხელში ძალაუფლება. მან ხომ ხულიგნურად აიღო ძალაუფლება ხელში. ის ხომ ბრონეჟილეტჩაცმული შევარდა პარლამენტში. მე პარლამენტში ვიჯექი, სააკაშვილი რომ შემოვარდა და პარლამენტი გარეკა. ახლა მე უკვე ნელ-ნელა გული მიკვდება ამ ჩემს მოქადაგე რევოლუციის ლიდერებზე.

უკვე გული მიკვდება იმიტომ, რომ გაუთავებელი ლაილაია, საქმე კი არ ჩანს.

მე უკვე ვხედავ, რომ მათ გულში არის შიში დაბუდებული. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზი სიტყვების თქმაში. იქ 30-მდე ოპოზიციის ლიდერი დგას. მათ შორის, მე ყველაზე კარგი ლაპარაკი ვიცი იმიტომ, რომ ჩემი პროფესია ლაპარაკია. 50 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი. აქ დამტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი სუსტი პრეზიდენტია. გუშინ, რაც ილაპარაკე, დღესაც მას ლაპარაკობ? ხვალაც ილაპარაკებ? რატომ ამაიმუნებ ამ ხალხს.

მთელი გამოცანა ამ ისტორიული მომენტისა არის სწორედ ის, რომ ჩვენმა ოპოზიციის ლიდერებმა, ვინც ამ პროცესს წარმართავს, უნდა იცოდნენ განსხვავება შევარდნაძესა და სააკაშვილს შორის, მათ პიროვნულ ბუნებას შორის. კი, მართალია, სააკაშვილის უკან მაშინ იდგა ამერიკა და მისი რევოლუცია სოროსის ფონდით იყო დაფინანსებული, მაგრამ სააკაშვილს შევარდნაძის გადმოგდებაში იმის ნახევარი მომხრეები არ ჰყავდა, რამდენიც ამ ოპოზიციონერებს 9 აპრილს ჰყავდა. 9 აპრილს საქართველოში ყველაზე დიდი რევოლუციური მუხტი იყო. რუსთაველის პროსპექტზე იდგა დაახლოებით 400 ათასი ადამიანი. 400 ათასი ადამიანის გამოსვლა იმას ნიშნავს, რომ იქ იყო ნება თითქმის მთელი საქართველოსი. 400 ათასი კაცის უკან მისი ოჯახის 3-4 წევრი ხომ დგას, მისი სამეგობრო ხომ დგას. ეს უკვე მილიონნახევარი გამოდის. თქვენ როგორ ფიქრობთ, საქართველოში რამდენი მცხოვრებია? ქართველი ერის ბედზე, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელი არიან საქართველოში მცხოვრები

ქართველები. მე სხვა ერის მცხოვრებლებს ვენაცვალე. საქართველო ინტერნაციონალური ქვეყანაა, მაგრამ სააკაშვილის გადმოგდება ქართველი ერის საქმეა. როდესაც შენ გაუშვებ ხელიდან ისტორიულ მომენტს, მერე შეიძლება ეს მომენტი აღარასოდეს აღარ დაბრუნდეს.

გადაყენების ფორმა მაინცდამაინც კინწისკვრა კი არ უნდა იყოს და ყურში ხელის ჩავლება. უნდა მოხდეს იმ შენობების პიკეტირება, საიდანაც საქართველო იმართება. ეს არის პარლამენტი, სახელმწიფო კანცელარია და ავლაბრის რეზიდენცია.

რუსთაველზე არის მოძრაობა შეჩერებული. რა არის, გამაგებინეთ? მსოფლიოში სადმე გინახავთ, რომ რევოლუცია ასე თეატრალურად მოწყობილიყოს? საკანი... კი მწერლები შევედით. ერთი ღამე მეც გავათენე. მორიგეობა დავაწესე, სურათი გადაგვიღეს, ტელევიზიებს ინტერვიუ მივეცით და დამთავრდა. ახლა, რა? მთელი თბილისი საკნებში დაჯდეს? საკნებში ვერ ჯდება ადამიანი, რადგან საკანში ყოფნა ერთ-ორ დღეს შეიძლება. რუთაველის პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის გადაკეტვით თქვენ გგონიათ რაიმე შედეგს მივაღწევთ? ვერ ვაღწევთ.

სააკაშვილის ბუნება ასეთია: იცოდეთ, რომ რევოლუციით მოსულები ძალიან ძნელად ტოვებენ პოსტს. სააკაშვილი სრული ჭკუისაც რომ იყოს, მაინც ასე მოიქცეოდა. ძალიან ძნელად თმობენ ისინი ძალაუფლებას. რატომ იცით, საქართველოს ხელისუფლების სათავეში შემთხვევითი ხალხი, ავანტიურისტები, გაუნათლებლები და უწიგნურები მოექცნენ. მათ ერთადერთი მიზანი ჰქონდათ, ეშოვათ ფული, ეძარცვათ ქვეყანა. ეს მიზანი მათ აისრულეს. საქართველო თავიდან ბოლომდე გაყიდულია, ყველაფერი, საითაც უნდა გაიხედო, რომელი შენობაც უნდა აიღო, ცა, მიწა, წყალი, წიაღისეული, ყველაფერი გაყიდეს, ფული კი სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ჯიბეში ჩაიდო. ახლა მათ ისტორიაში დარჩენაც უნდათ.

მათ ძალიან კარგად იციან, რომ თუ გადაივლის ეს ეპოქა, ეს დრო, საქართველოს დენზე ჩართულად ძიგძიგისა, მერე მოვა სხვა თაობა, რომელსაც არ ეცოდინება და არც იკითხავს, როგორ ჩაიგდო სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ხელში ძალაუფლება. მისი მოპიარე ჟურნალისტები ამბობენ, სააკაშვილი კანონიერად არჩეულია, რა გინდათ, რას ერჩით ამ კაცსო. ვინ არის კანონიერად არჩეული? იცით თუ არა თქვენ, რომ საქართველოში უკვე ქართველი ერის ნებით არასდროს აღარ მოხდება პრეზიდენტის არჩევა. იქ, ახლა რომ დგანან ტრიბუნაზე, რამდენიმე კაცის გამოკლებით, სულ კარიერისტები არიან. ისინი არიან თვითონ სააკაშვილის ყოფილი მეგობრები, რომლებმაც სკამი ვერ გაიყვეს და ახლა რევანშის აღება უნდათ. აქ ასეთი სიტყვაა ნათქვამი: ა, არ შეგყავს ხომ ჩემი ხალხი საარჩევნო სიაში? ქალი არ ვიყო, თუ არ გადაგაყენო. შენ მშიერი, სამსახურიდან გამოგდებული ქართველი კაცი გინდა შენს რევოლუციურ ხუშტურს ანაცვალო? ასე როგორ შეიძლება. სააკაშვილი ქართველი ერის მიერ არჩეული არ არის. თბილისი არის საქართველოს გონება და სინდისი. იმიტომ, რომ აქ არის ინტელექტუალური ძალა თავმოყრილი. ეს ყველამ კარგად იცის.

თბილისმა რომ არ აგირჩია, შენ სააკაშვილმა, ხმები არაქართველი მოსახლეობისაგან მიიღე. არაქართულ მოსახლეობაში (არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ) არავითარი არჩევნები არ ტარდება. ბოლო დროს რევოლუციის ლიდერთაგან ტელევიზორში ვინც გამოვიდა, ყველა ამბობს: ვინ თქვა, კაცო, რომ ჩვენ დიალოგის მომხრე არ ვართ? ეს არის პროვოკაცია.

როგორც კი სააკაშვილთან სალაპარაკოდ დაჯდები, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ აღიარე მისი პრეზიდენტობა, რომ შენ აღიარე სააკაშვილი მხარედ. ვის ელაპარაკები, კაცო? კაცი, რომელმაც საქართველოს ყველაფერი გაუყიდა, კაცი, რომელმაც არჩევნების შედეგი მიითვისა და ძალით არის სკამზე; კაცი, რომელმაც 7 ნოემბერს თავის ხალხს გადაუარა; კაცი, რომელმაც გააუქმა სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკადემია; კაცი, რომელიც თავს დაესხა მწერალთა კავშირს; კაცი, რომელმაც ეროვნული ფენომენი ნოლზე დაიყვანა საქართველოში და ქართველს ერს წაართვა მამის სახელი და ეროვნება, რომელსაც უსირცხვილოდ ილია ჭავჭავაძის სურათი უკიდია კაბინეტში, ილია ჭავჭავაძის სიტყვათა სიხშირის ლექსიკონია შედგენილი. იცით, ყველაზე მეტად რომელ სი-

ტყვას ხმარობს ყველა ქართულ სიტყვათა შორის, რაც ილიას ტომებშია? ესაა სიტყვა „ქართველი“, ჭკუიდან ხომ შეიშლებიან, საფლავში ხომ გადაბრუნდებიან. ასეთ მდგომარეობაში, როგორც კი სააკაშვილთან ჯდები სალაპარაკოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უღალატე რუსთაველზე შეკრებილ 70 ათას კაცს, რადგანაც შენ უკვე შენი დაღლა გამოაცხადე – ვერაფერი ვერ გიქენით, ვერაფრით ვერ გადაგაგდეთ, მოდით, ახლა ვილაპარაკოთო. ეს ლაპარაკი რა არის, იცით? მიშა, იცით რა, შენ არ დაგვიჭირო. ახლა ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს... ასეთი ქვეტექსტი იქნება.

მიშაც ითხოვს, არ დამიჭიროთო. ესენი იტყვიან, ჩვენ ახლა გავაკეთებთ ისე, რომ ამ რევოლუციურ ვნებათაღელვას ჩავაცხრობთ, დავამთავრებთ ამას და იცოდე, მერე გადმოგვიგდე ერთი მინისტრობა, ერთი პარლამენტის ადგილი, პარლამენტის სპიკერობა...

აუცილებლად ქვეტექსტში ეს იქნება. როგორც კი მოსალაპარაკებლად დასხდებიან, ესენი უშვებენ იმას, რომ სააკაშვილი პრეზიდენტია.

ვინც გამოდიოდა და ამბობდა, პატრიარქი ჩავრიოთ ამ საქმეშიო, ესეც უდიდესი შეურაცხყოფა იყო რევოლუციური პათოსის. პატრიარქი მოვლენილია ამ ქვეყანაზე შესარიგებლად. პატრიარქი იტყვის, მოვინანიოთო. რა მაქვს მე მოსანანიებელი?

რევოლუცია უნდა დამთავრდეს შედეგით. ეს შედეგი უნდა იყოს დამხობა ამ ხელისუფლებისა...

ვის ეშინია მაგ კურდღლის. მე შიში დავკარგე ჩემს ერთადერთ შვილთან ერთად, როცა საბურთალოს სასაფლაოზე დავმარხე სამშობლოსათვის მებრძოლი ბიჭი. ახლა მე სააკაშვილი უსამსახუროდ დამტოვებს, ციხეში ჩამსვამს თუ თავის ზონდერბრიგადას დამახვედრებს ღამე და გამლახავს, კურდღელი სააკაშვილის ვის ეშინია. სააკაშვილს არა აქვს არავითარი მორალური უფლება... კაცი, რომელსაც თავში მოუვიდა, ღამის 4 საათზე მწერალთა სასახლეს დასხმოდა თავს.

ახლა იქიდან მოვდივართ მე და მაყვალა გონაშვილი, იქ ისევ პოლიციელები დგანან. დაგვიბარეს ჩვენ და გვითხრეს, მოვილაპარაკოთ და შენობას დაგიბრუნებთ, ოღონდ მწერ-



ლის სახლი დავარქვათო. ჩვენ დავეთანხმეთ ამას. გვითხრეს, სამ დღეში განკარგულებას დავწერთო. მას შემდეგ ორი თვე გავიდა, მაგრამ არავითარი ცვლილება. ახლა ვდგავარ აქ. დღითი დღე ნელდება რევოლუციური მუხტი.

ადამიანები რევოლუციის სარდლების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. თან სააკაშვილის ტელევიზია მუშაობს ასე: წუხელ გალახულ იქნა ერთ-ერთი. სულ ერთია, რომელი მხარის წარმომადგენელს გამოაცხადებენ გალახულად, იმიტომ, რომ კაცი, რომელიც ზის სახლში, თავის შვილს ეუბნება, არ წახვიდე, ბიჭო, დაიწყეს უკვე ხალხის გალახვა. მეორე თავის ძმას ეუბნება, ე, ბიჭო, თუ ძმა ხარ, ეს გადარეულია, გიჟია, გადაუვლის ხალხს, ასე ნელ-ნელა, ნელ-ნელა, იქ ცალკე გულის გატეხვა, ცალკე ხალხის დაშინება. ცალკე მანქანის შემოვარდნა და საკანზე დაჯახება. საკანი თეატრალური ფორმაა თავსითავად. ის მუხტი აიღო გაჩეჩილაძემ. პირველ დღეს, პირველ კვირას, მშვენიერი იყო. მაგრამ ახლა გულს მირევს უკვე რუსთაველზე დადგმული, ცელოფანშემოხვეული ათასი საკანი, რას გააკეთებს ეს საკანი, კაცო?

თუ ამათ რაიმეს თავი აქვთ, უნდა გამოაცხადონ: დავიძრათ ხალხო და კანცელარიის წინ, მოედანზე მივიდეთ. იქ გავაგრძელოთ მიტინგი. რა იყო, რუსთაველის პროსპექტი პრივატიზებული გვაქვს?

რაღაც სიახლე იქნება – ერთი ნაბიჯი იქნება გადადგმული. სააკაშვილის შეცვლის მშვიდობიანი გზა არის ასეთი: უნდა შეიკრიბოს ორი პარლამენტი. ეს იქნება დაახლოებით 500-მდე კაცი.

ეს იქნება ზვიად გამსახურდიას ძალით გარეკილი პარლამენტი და სააკაშვილის მიერ 2003 წლის 12 ნოემბერს გარეკილი პარლამენტი. ესენი ლეგიტიმური ორგანოებია, არჩევითი ორგანოებია.

საქართველოში ნორმალური არჩევნები არასოდეს ჩატარებულა, მაგრამ სააკაშვილმა ჩაატარა გაუყალბებელი არჩევნები? მან ხომ უსირცხვილოდ გააყალბა ეს არჩევნები. მე ვიყავი იმ პარლამენტში, გურამ შარაძე იყო, მუხრან მაჭავარიანი იყო. ჩვენ ფულით ვიქნებოდით შესული?

ახლა როგორ არის? მაგრამ ის არჩევითი ორგანო იყო, სააკაშვილი შემოვარდა და კინწისკვრით გაგვაგდო. ის ორი პარლამენტი უნდა შეიკრიბოს, უნდა მოახდინოს სააკაშვილის იმპიჩმენტი, უნდა შეადგინოს კოალიციური მთავრობა, უნდა დაამტკიცოს საარჩევნო კანონი და უნდა დანიშნოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ეს რომ ვუთხარი ამ ბიჭებს, გაიღიმეს, ბატონო რეზო, რა დროს ზვიადის და რა დროს 2003 წლის პარლამენტიაო, მერე მანანა არჩვაძე პრემიერმინისტრობას მოგვთხოვსო. კაცო, რატომ მოგთხოვს? არჩევნები იქნება და იმ არჩევნებში მანანა არჩვაძეც მიიღებს მონაწილეობას და სხვაც. ამ ბიჭებს ვუთხარი მე, ახლა თუ თქვენ უშედეგოდ დაამთავრეთ ეს რევოლუციური აღტკინება, იცოდეთ, თქვენ მორალური უფლება აღარ გექნებათ თქვენი თავი პოლიტიკოსებად წარმოადგინოთ, მე თქვენ წაგშლით უკვე ჩემს გონებაში, როგორც პოლიტიკოსებს-მეთქი. სწორი ხართ, რეზო ბიძია, ყველა ასე მეუბნება. მეორე გზაა, პარლამენტის, ავლაბრის რეზიდენციისა და სახელმწიფო კანცელარიის დაკავება. თუ ამ ლიდერებს ეშინიათ და, მაგალითად, შევარდნა, სკამის გამოტანა, სკამის დაწვა არ შეუძლიათ, როგორც ეს სააკაშვილმა და ბარამიძემ გააკეთეს, მაშინ პიკეტირება მაინც მოახდინონ. იმის ძახილი, მიშა, მაინც გაგიშვებთ, არ გიშველის არაფერიო, რამდენ ხანს შეიძლება. ეს მშიერი ხალხი, ჩამოსული ხალხი რამდენ ხანს გაძლებს. ხომ ხედავთ, რა გაკეთდა. მთელი საქართველო აქ არის, მთელი ქუთაისი, ბათუმი შემოგვიერთდაო, ის შემომატებული ხალხი, 1000 მანქანით რომ ჩამოვიდა, მეორე დღეს არც ერთი არ იყო, თბილისმა გაიწოვა. იცით, რატომ? ისინი საქმის ხალხია, სააკაშვილმა ავტობუსით რომ ჩამოიყვანა, სახლში კი არ გაუშვა. აბა, აქედან პირდაპირ პარლამენტში შევიდეთო, ჩამოსული ხალხი მეკითხება, ამისთვის ჩამოგვიყვანეთ, აქ ლექციები გვიკითხოთო? აი, საქმე რაშია.

სააკაშვილი ვერავითარ სისხლს ვერ დაღვრის. კი სააკაშვილი გაუწონასწორებელი კაცია, პოლიტიკური ტერმინით იმ ფსიქიურ სიგიჟეს, არაადეკვატურობას ეძახიან. კარგი, ვთქვათ, სააკაშვილი არაადეკვატურია. თუ ეს სარდლები (რომლებიც აქ ხალხს, როგორც ცხვრებს, ისე დაჰყურებენ და ლამაზი სიტყვებით აყრუებენ) ისეთები არიან, რომ არც ციხეში უნდათ ორი კვირით ჩასხდომა, არც პატარა კეტის მოხვედრა, არც ის უნდათ, რომ ყური აახიონ, მაშინ, შე კაი კაცო, შენ რა, კორკოტას იმედზე გააკეთე რევოლუცია? საწყალი კაცი, რომელი მოჩხუბარი კორკოტა იყო. თურმე კორკოტამ უნდა დაიცვას აქ 100 ათასი კაცი? რევოლუციის ლიდერებს დედლობას ვამჩნევ. ასეთ დედლობას ქართველი ხალხი არ წაჰყვება.

ასეა. ამ ორ დღეში გააკეთონ ის, რაც მე შენ გითხარი. ეს ჩემი პირადი აზრია. ნუ მოაქვთ თავი დიდ ვაჟკაცებად. ნუ მოაქვთ თავი საქართველოს გადამრჩენელებად. რის გადამრჩენელები არიან, აგერ გაირკვა. მე იქ 4-5 კაცს ვხედავ, რომელიც გასალანძღავად არ მემეტება, მაგრამ ნელ-ნელა მათზეც ვბრაზდები. ყველაზე სწორი პოზიცია დაიკავა შალვა ნათელაშვილმა იმიტომ, რომ შალვა ნათელაშვილი გამობრძმედილი ეროვნული პოლიტიკოსია. შალვა ნათელაშვილმა შეატყო, ეს ყველაფერი თეატრალური რევოლუციაა, ბატონო რეზო, არაფერი აქედან არ გამოვაო, და ხომ ხედავთ? გამოვიდა სიტყვით, მაგრამ არ აქტიურობს. თუმცა, მისი პარტია აქ არის. ახლა იქ არიან ისეთები, შედარებით ვაჟკაცებად რომ მიმაჩნია, კოკო გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, კახა შარტავა და ნაწილობრივი გოგა ხაინდრავა. მაგრამ გოგა ხაინდრავა უფრო ღონიერი და გაბედული ინტერვიუებში ჩანს, ჩემი არ იყოს, ვიდრე უშუალოდ საქმის გაკეთებაში.

*30 აპრილი, 2009 წ.*

## ისედაც ვიცით...

სააკაშვილთან შეხვედრის დაშვება კი მთლიანად თუ არა, ნახევრად მაინც ღალატი იყო იმ საქმისა, რის გამოც არის ეს აქცია და ქუჩაში დგას მთელი საქართველო. ოპოზიციას ჩემი კრიტიკა არ უნდა ეწყინოს, მშვენივრად დადიან დაცვითა და

მანქანებით ოპოზიციის ლიდერები, მაგრამ უბრალო, მშიერი და გამწარებული ხალხი გამოდის ქუჩაში და ოხრავს. შე კაი კაცო, მაშინ, როდესაც საზოგადოების დაკვეთაა, რომ სააკაშვილი გადადგეს, მან დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომები. საქართველო დამარცხებული და მუხლზე დაჩოქილია, ეს არის კურდღელი პრეზიდენტი. ამიტომ მასთან მისვლა და ლაპარაკი იყო დიდი შეცდომა, ღალატს ვერ დავაბრალებ, მაგრამ არ უნდა მისულიყვნენ. ეს გამოიყენა სააკაშვილმა და თქვა, დამეთანხმნენ ბევრ რამეში ინსტიტუციონალურ ცვლილებებში და ეს ნიშნავს, რომ დიდი დიალოგი დაწყებულიაო. ახლა თუკი ამ დიალოგს ჩვენი მამაცი ოთხეული გააგრძელებს 2013 წლამდე, ძალიან კარგი იქნება. მაგრამ ახლა ჩვენ რა ვქნათ, ვისაც რუსთაველზე მოსასვლელად ფეხსაცმელები გაგვიცვდა, ვუყუროთ, ესენი კარგად როგორ გამოიძინებენ, მაკიაჟს როდის გაიკეთებენ, მერე ხუთ საათზე მოვლენ, მერე ბრძნული და ლამაზი სიტყვებით დაგვაპურებენ და იტყვიან, ზეგ გაიმართება შეხვედრის კიდევ ერთი რაუნდიო და მშიერმა ხალმა ასე ვიაროთ მიტინგებზე? სააკაშვილი იტყვის, ხვალვე გავაკეთებ იმას, რაც გინდათო, კოალიციურ მთავრობას შევქმნიო. ეს, ეტყობა, ძალიან უნდათ ოპოზიციის „მსუბუქ“ წარმომადგენლებს. სხვას ამბობს სააკაშვილი და სხვას ამბობენ ესენი, არაადეკვატურია პრეზიდენტი, ნუ შეგეშინდებათო... არავითარი კონკრეტული გეგმა ამათ არა აქვთ. ხომ ხედავთ, გაჩეჩილაძემ როგორ შეღიმილა სააკაშვილს და თავგადაკლული მომხრეა დიალოგის გაგრძელების. ვისთან დიალოგი, მკვლელთან? გინახავთ საგიჟეთში კაცს ეუბნებოდნენ, მოდი დიალოგზე წავიდეთო? დიალოგი შეიძლება იმასთან, ვისაც შეუძლია, რომ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს. სააკაშვილს აქვს უდიდესი დანაშაული ერის წინაშე ჩადენილი და მისი დაუსჯელად გაშვება იქნებოდა მისთვის უდიდესი საჩუქარი. სააკაშვილს რისი გამოსწორება შეუძლია? ის დაგპირდება, მერე მასხრად აგიგდებს, პროვოკაციებს მოგიწყობს, თავ-პირი რომ დაუსისხლიანეს რევოლუციის სარდლებს, ეს ღირდა იმ სამი ბიჭის გამოსაშვებად.



ასეთ დამნაშავე კაცთან შენ დიალოგს მართავ? ეს ნიშნავს, რომ დამარცხდი, თუ არაფრის თავი არ აქვთ, მაშინ გამოვინდნენ და ხალხს უთხრან.

და რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ?

მე ვერავინ მაძლევს პასუხს ერთ მთავარ კითხვაზე. მე ვიყავი პარლამენტის წევრი, როდესაც სააკაშვილი გიჟივით შემოვარდა „ბრონეჟილეტით“ პარლამენტში თავის ხროვასთან ერთად და ხულიგნურად, არაკონსტიტუციურად ხელისუფლება ჩაიგდო ხელში. ახლა ზღაპარს რომ ჰყვებიან, მაშინ სხვა დრო იყოო, ახლა სხვა დრო არისო, არაფერი სხვა დრო არ იყო. ჩემთვის, როგორც მეისტორიისთვის, საინტერესოა, თუ ის კანონიერი იყო და მსოფლიომ მიიღო ეს დედის რძესავით, ახლა რატომ იქნება არაკანონიერი პარლამენტში შესვლა ან კანცელარიაში? თუ ამის თავი არა აქვს ოპოზიციას, უნდა შეიკრიბოს ორი რეპრესირებული პარლამენტი – ერთი ზვიად გამსახურდიას პარლამენტი და მეორე 2003 წლის გარეკილი პარლამენტი, ეს არის ხალხის არჩეული პარლამენტი და ამ პარლამენტმა უნდა მოახდინოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი, მან უნდა დაამტკიცოს საარჩევნო კანონი, მან უნდა შექმნას კოალიციური მთავრობა და დანიშნოს არჩევნები. ამაზე რომ ველაპარაკები ოპოზიციას, მეუბნებიან, რა დროს ზვიადის პარლამენტიაო. თუ ამას არ გააკეთებენ, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ალტერნატიული მთავრობა, პარალიზება უნდა გაუკეთონ ადგილობრივ ხელისუფლებას, რეგიონებში უნდა დაიდგას კარვები, ნუ ჩავაცივდით რუსთაველის პროსპექტს, უკვე ყბადაღებული გახდა კარვები, ვენაცვალე იმ ბიჭებს, არყის ბოთლები უდგათ, უკვე ჩამოყალიბდა ინფრასტრუქტურა სამიტინგო, მიტინგს ჰყავს თავისი ლოთები, თავისი „ბომჟები“, თავისი გიჟები და ა. შ. ამით იხრწნება საზოგადოება და ეროვნული ბრძოლის აზრი, გამოცოცხლდნენ ცოტა, კაცო! რად მინდა ყოველ საღამოს მიტინგზე იმის მტკიცება, რომ სააკაშვილი სულელი და გიჟია, ეს ისედაც ვიცით. გამოცოცხლდით ოპოზიციის სარდლებო!

*მაისი, 2009*

## თუ ძალას გამოიყენებს..

ამას წინათ პარლამენტის ერთ-ერთი წევრი უმრავლესობიდან ამბობდა, ჩვენ ვერ ვხედავთ ქართველი ერის მოთხოვნასო. მისი მტკიცებით, ქართველი ერი დღის წესრიგში არ აყენებდა სააკაშვილის გადადგომას და ამას მხოლოდ პარტიები მოითხოვდნენ. მინდა ვუპასუხო უმრავლესობის ამ წევრს, მე არცერთი პარტიის წევრი ვარ, რადგან ჩემთვის ძალიან ძნელია დასკვნის გამოტანა, რომელი პარტიის პროგრამაა უფრო ოპტიმალური, ამიტომ განზე ყოფნა ვარჩიე. მაგრამ 15 მარტს რუსთაველის ძეგლთან ინტელიგენციის მიტინგი შედგა. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური პარტიის მიტინგი არ ყოფილა. თუ ინტელიგენტი ერის გონებად და სინდისად მიიჩნევა და არა – ჩასარეცხად განწირულ ხალხად, როგორც სააკაშვილი ფიქრობს, მაშინ მას უნდა დაენახა, რომ აქციაზე 10 000-მდე ინტელიგენტს მოეყარა თავი. ყველა მათგანი სააკაშვილის მიერ საკუთარი პოსტის დატოვებას მოითხოვდა. ამიტომ მეც ვურჩევ, დღევანდელი პრეზიდენტი ნუ დაანგრევინებს ამბოხებულ ხალხს თბილისს და საქმეს აჯანყებამდე ნუ მიიყვანს.

არაა საჭირო აჩქარება, დაპირისპირება. სააკაშვილის გადადგომა ამის გარეშეც შეიძლება. ვგულისხმობ პარლამენტისა და კანცელარიის პიკეტირებას. ცოცხალი ადამიანებისგან შემდგარი 4-5 ჯაჭვი რომ შემოერტყას ამ დაწესებულებებს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება.

ძალას თუ გამოიყენებს ასეთივე ძალა დაუპირისპირდება მას. სააკაშვილს თუ ჰგონია, რომ ძალიან „დაჩმორებული“ და დადედლებულია ქართველი ერი, ძალიან ცდება. ჩვენ შეურაცხოყოფილი ინტელიგენცია ვართ. პრეზიდენტი რომ მწერალთა კავშირს დაარბევს, რომ არ დაინდობს აკადემიას, როცა ის ჟურნალისტებს დევნის და ყველაფერს ასეთ დღეში ჩააყენებს, გამოვა ხალხი, აბა, რა მოხდება. შეხედეთ, დღეს უნივერსიტეტი აღარ არსებობს საქართველოში, არც ერთი ეროვნული დაწესებულება არაა დაცული და მხარდაჭერილი



პრეზიდენტის მიერ, ასეთ ქვეყანაში პრეზიდენტს მორალური უფლება არა აქვს სათავეში იყოს.

ჩვენ გვახსოვს უნივერსიტეტის აქციები, სადაც თქვენ აქტიურად მონაწილეობდით. მაშინ რატომ არ ამოიღო ხმა უნივერსიტეტის სინდისად მიჩნეულმა ზოგიერთმა პროფესორმა? მეკითხებიან ზოგჯერ.

ვინც ხმა არ ამოიღო, ეს კითხვა მას დაუსვით. როცა უნივერსიტეტის დამცველთა რიგებში ვიდექით მე გურამ შარაძე და რამდენიმე კაცი, მოვითხოვდით, არ დაშლილიყო უნივერსიტეტი, არ გვაბრკოლებდა ის ფაქტი, რომ იმ დროს ჩვენ უნივერსიტეტში ვმუშაობდით და ჩვენი გულახდილობით პრობლემა შეგვექმნებოდა. თუმცა ისინი, ვინც უკვე გამოდევნილი იყო უნივერსიტეტიდან, აქციაზე არ გამოდიოდნენ. საერთოდ, ინტელიგენციას ახასიათებს სხვისი ხელით ნარის გლეჯა. ვფიქრობ, ახლა ყველა მიხვდა, რაც გადაგვარჩენს – ეს ერთად დგომაა.

ჩემი გამოსვლების გამო უნივერსიტეტიდან გამომაძევეს სააკაშვილმა და ლომაიამ, ამითაც ავხსნი, რომ ჩემი, მაყვალა გონაშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა გამოსვლების გამოც სააკაშვილმა მწერალთა კავშირში ღამის ოთხ საათზე გამოგზავნა 200 ნიღბიანი ყაჩაღი და მწერალთა კავშირი დაარბია. ამიტომ რუსთაველის ძეგლთან საპროტესტოდ გასული ინტელიგენცია რეპრესირებული ხალხია.

დღეს საპოლემიკოდ იქცა პრეზიდენტისგან მირთმეული ინდაურები.

ეს იყო სააკაშვილის ვერაგული ჩანაფიქრი, რომ ქართველი ერისთვის ეჩვენებინა, ხედავთ, ეს არის თქვენი ინტელიგენცია. ჩემთვის რომ გამოეგზავნათ ინდაური, რა თქმა უნდა, ისევე შეხვეულს მაშინვე უკან გავატანდი. მაგრამ, ვინც მიიღო, ზოგიერთი მათგანი თავს იმართლებს, რომ სახლში არ იყო, ზოგიერთი გვარწმუნებს, მეზობელთან დამიტოვესო. გულახდილად გეტყვით – ვინც მიიღო პრეზიდენტის საჩუქარი, არ უნდა მიეღო. ამან გულის გატეხვა გამოიწვია იმ ადამიანების წრეში, ვისაც სჯერა ქართული ინტელიგენციის.

ისინი, ვინც მიიღო ინდაურები, ძალიან ცოტაა, სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელია, ამიტომ სჯობს, აღარ იტრიალოს ინდაურის თემამ ქართულ ჟურნალისტიკაში. თუ კაცმა ინდაური მიიღო, მაგრამ მეორე დღეს გამოვიდა მიტინგზე და სააკაშვილზე ისევ ის თქვა, რასაც ფიქრობდა, მას ინდაურის მიღება გამოსყიდული აქვს.

რამდენად მოახერხებს დაქსაქსული ინტელიგენცია 9 აპრილს მობილიზებას?

ინტელიგენციას ვერასდროს ვერავინ გააერთიანებს. მათ ყველას ცალ-ცალკე საკუთარი თავი გენიოსი ჰგონია. ძალიან მწყდება გული, რუსთაველის ძეგლის მახლობლად მდებარე მეცნიერებათა აკადემიაში შეყუჟული ჩემი მეგობარი აკადემიკოსები, განსაკუთრებით აკადემიის ხელმძღვანელები – თამაზ გამყრელიძე, როინ მეტრეველი და სხვები, მონაწილეობას არ იღებენ ამ საერთო-სახალხო გამოსვლებში. არც ინტერვიუს იძლევიან, ისინიც კი დაადგენენ სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკას.

ოპოზიცია, ფაქტობრივად, დაქსაქსულია, რადგან ყველას საკუთარი პროგრამა და შეხედულებები აქვს. მიუხედავად ამისა, ჯანსაღი ქართველი ერი გაუტეხელია, წყარო არის თავანკარა, ამიტომაც ყველაფერს მივაღწევთ. ქართველი ერის ნების გამოხატულებაა სააკაშვილის გადადგომა და არა – რომელიმე ცალკეული ჯგუფის.

*მარტი, 2009*

## ვერ ვენდობი

როგორც უნდა დაამცირონ მონდომებულმა „პოლიტიკოსებმა“ ამ აქციების მნიშვნელობა, აშკარაა, რომ ქართველი ხალხის უახლეს ისტორიაში ეს არის ყველაზე დიდი მასშტაბის სარევოლუციოდ შემართული დემონსტრაცია არსებული წყობილების წინააღმდეგ. ამიტომ 200 ათასი კაცი თუ იდგა რუსთაველზე, იცოდეთ, რომ გამოხატული იყო ერთი მილიონი ადამიანის ნება, მათი ოჯახის წევრები, სამეგობრო, წრისა თუ იმ ადამიანების სახით, ვისაც ფიზიკურად არ შეუძლია იქ ყოფნა. მარტო თბილისი ხომ არ არის საქართველო?! ხელისუფლებამ ენერგიულად იმუშავა იმაზე, რომ რაიონებიდან ხალხი ვერ ჩამოსულიყო. ქართულ ოპოზიციას არ ჰქონდათ ჯიბე დოლარებით გატენილი ძია სემისაგან, ისე, როგორც სააკაშვილს ჰქონდა 2003 წლის ნოემბერში, რომ რაიონებიდან თავისი სახსრებით ჩამოეყვანა ხალხი.

თუ ბოლო დროს ჩემი გამოსვლები მოგისმენიათ, შეამჩნევდით, რომ საკმაოდ მკაცრი ვარ ოპოზიციონერთა მიმართ. რა თქმა უნდა ყველა მიტინგს ვესწრები, მაგრამ ჯერჯერობით მიკროფონთან არ დავმდგარვარ, მიუხედავად ოპოზიციის ლიდერების არაერთგზის თხოვნისა.

იმიტომ, რომ ოპოზიციის ლიდერთა შორის ვხედავ რამდენიმეს ისეთს, ვინც სააკაშვილის დანაშაულებებში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა. ნუ ეგონება ქალბატონ ნინოს, რომ პირველ დღეს რომ უსტვინეს და მეორე დღეს ტაში დაუკრეს, ქართველმა ერმა ყველაფერი აპატია. სიმართლე რომ გითხრათ, ვერც გამყრელიძის მეხოტბე გავხდები. ყველაზე მიუღებელი პიროვნება კი მათ შორის ჩემთვის ნოღაიდელია.

საერთოდ არ მიყვარს გვარების დასახელება, შეიძლება ვიღაც გამომრჩეს, მაგრამ რადგან ჩამითრიეთ, გეტყვით. ისეთ ლიდერებად, რომელთაც შეიძლება ხალხი გაჰყვეს და რომელთა მიმართაც შინაგანი რწმენა და იმედი მაქვს, შალვა ნათელაშვილი, კოკო გამსახურდია, გუბაზ სანიკიძე, კახა შარტავა მიმაჩნია. ასევე ძალიან მწყდება გული და ეს ჩვენი ოპოზიციის ლიდერების სინდისზე იყოს, რომ აქტიურად არ არის ჩართული მოვლენებში ირაკლი წერეთელი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ვეტერანი და კაცი, რომელიც არასოდეს გაყიდულა.

გია მაისაშვილს, როგორც ინტელიგენტ კაცს, ისე ვიცნობ. თბილისში რომ ჩამოვიდა, პირველად ჩვენთან, მწერ-

ალთა კავშირში მოვიდა. გვთხოვა, მხარი დაგვიჭირეთო. მაშინ აზრები, განსაკუთრებით ეკონომიკური, მთლად ნათლად ვერ ჩამოგვიყალიბა, მაგრამ ბევრი რამ გასაგებად მომეჩვენა. ეს დახვეწილი, ინტელიგენტი კაცი, უცხოეთში განათლებამიღებული, ზრდილობიანად ლაპარაკობდა. ამიტომ ჩემთვის შემაძრწუნებელ იყო გიას ბაგეებიდან ასეთი რამის გაგონება. თუ გია სააკაშვილის გამზრდელში ჩემთვის პატივსაცემ პროფესორს, გიული ალასანიას გულისხმობდა, ეს შემაძრწუნებელია. მიუხედავად ჩემი ზიზღისა პრეზიდენტის მიმართ, გიულის რომ შევხვდები, ახლაც ხელზე ვაკოცებ. მისი წიგნები წამიკითხავს და მისი საქმიანობა ვიცი. მაგრამ, თუ გია მაისაშვილმა გამზრდელში შევარდნაძე იგულისხმა, ესეც შემაძრწუნებელია, როგორ შეიძლება პოლიტიკური გამზრდელი უხსენო პრეზიდენტს?! მე მგონი, ეს აზრი უცებ მოუვიდა გიას, გაუხარდა, ეს რა კარგი რამ მომაფიქრდა, მოდი ვიტყვი და ტაშს დავიმსახურებო. არ შეიძლება ამ სიტყვებს არ ნანობდეს, ისევე როგორც ჩემი მეგობრის შვილი, ვაჟკაცი კაცი გოგა ხაინდრავა. მისგან არასწორია იმის თქმა, აქ მოგიტანთ სააკაშვილის ცხედარსო. ნერვებმა უმტყუნა ლევან გაჩეჩილაძესაც, არც მისი ბღავილი მომეწონა მიტინგზე. მჩხავანა კატებს ნუ დაემსგავსებიან პოლიტიკოსები. ვინც საქმის გამკეთებელია, წინასწარ არ ჩხავის.

მოგახსენებთ, ჩვენი დემონსტრანტები მიადგნენ „I არხს“, როგორც იქნა სააკაშვილის მიერ კბილებამდე შეიარაღებულ სპეცრაზმით დაცულ შენობაში შეაღწიეს და ხელმძღვანელთან კაბინეტში შევიდნენ. გამოვიდნენ იქიდან, მოვიდნენ მიტინგზე და სიხარულით გამოგვიცხადეს, – გავიმარჯვეთ, პირველი რაუნდი მოგებულია, 4 საათიდან, „I არხი“ მიტინგის პირდაპირ ჩართვას გააკეთებსო. მე ტაში არ დამიკრავს, ვიცოდი, რომ ეს არხი სიტყვას არ შეასრულებდა. ყუბანეიშვილი ამ ხელისუფლების სამსახურშია და იძულებულია, ყოველგვარი პირმოთნეობა და ტყუილი იკადროს. რა თქმა უნდა, მოატყუა ამ არხმა ჩვენი რევოლუციის ბელადები და ტყუილად შერჩათ გულზე მჯიღის ცემა. „I არხიდან“ გაიგებთ, რა მოხდა მოლდავეთში, გვატემალაში, სტრასბურგში, მაგრამ პრეზიდენტის რეზიდენციასთან კარვებში ღამე გაათენეს ოპოზიციონერებმაო, მინიშნებითაც კი არ ამბობს არავინ. ყოველგვარი მასმედია ჩაწიხლა სააკაშვილმა, ყველა არხი მას ემორჩილება.



ეს ორი ტელევიზია ნათელი წერტილია ჩვენს რეალობაში. მათაც ლანძღავს ზოგი. ამბობენ, გია გაჩეჩილაძე მთლად ნორმალურს არ ჰგავს, აქუბარდია კი ძალიან ფრთხილია, კატის სიფრთხილე აქვსო. მე არც პირველ და არც მეორე შენიშვნას არ ვიზიარებ. „მაესტროსა“ და „კავკასიას“ თავი აქვთ გადადებული. სიბნელე და ხალხის პროტესტი მაშინ ნახეთ საქართველოში, ეს ორი ტელევიზია რომ ხელყოს ვინმემ.

სააკაშვილი რომ სრულ ჭკუაზე იყოს, აქამდეც უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი. მასზე თითქმის ნადირობს ამბოხებული ქართველი ხალხი. სააკაშვილისადმი ზიზღს საზღვარი არ აქვს და მისი ერთგული მხოლოდ მისი პირადი გარემოცვა რჩება. მას პოლიტიკურ საფლავში ჩაჰყვება მხოლოდ პირადი გარემოცვა და რამდენიმე საყვარელი, რომლებსაც აქეთ-იქით დააფრიალებს, ხან ბათუმში ჩაიყვანს და ხან რიო-დე-ჟანეიროში. სხვათა შორის, ძალიან ნორმალურად იქცევა სააკაშვილის მეუღლე და თუ ადრე ხალხის თვალში დადებითი ქულები დაიწერა სააკაშვილმა, სწორედ სანდრას წყალობით.

ზოგი ამბობს, შეიძლება თვითონ უნდა წასვლა, მაგრამ თავისი გარემოცვის ტყვე არისო. არ დაიჯეროთ! სააკაშვილი არავის ტყვე არ არის, ის თავისი უკონტროლო გონების ტყვეა. მეცოდება ეს ადამიანი. ყველაფერი ვაი ჭკუისგან სჭირს. ფაქტობრივად, ჩვენი პრეზიდენტი იზოლაციაშია. თვითონვე აღიარა, არ მეგონა, ასე თუ შემაქცევდა ზურგს დასავლეთიო. ის აღარავის სჭირდება. მისი უკანასკნელი ნაბიჯები ქართველი ერის ნერვებზე თამაშია, დაგვმართებს 500 კაცს ინსულტს და მერე წავა პოლიტიკურ მოუსავლეთში.

*აპრილი, 2009*

# სტრატეგიის დეფიციტი

როგორ შევაფასებ მუხროვანის აჯანყებას, რა იყო ეს რეალურად?

ოპოზიციამ თავისი უგეგმობით საშუალება მისცა ხელისუფლებას, გონს მოსულიყო და თავისი შეზღუდული ნიჭის ფარგლებში, ახალი პროვოკაციისთვის მიემართა, ქართველი ერის ნების წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ე. წ. ამბოხება, რომელსაც წინ უძღოდა შემაძრწუნებლად უნიჭო, სუსტი კულტურის სახლის დრამწრის დონეზე დადგმული სპექტაკლის მსგავსი ფილმი. ვის აბარებდა ანგარიშს აგენტი, რომელიც განსაცვიფრებელი სიზუსტით ჩამოთვლიდა ხოლმე შეთქმულთა გვარებს, საათებსა და წუთებს, როდის და როგორ უნდა განხორციელებულიყო რუსეთის არმიის შემოსვლა საქართველოში. იმ ფილმის და რამდენიმე ქართველი ოფიცრის დაპატიმრების გამო შეცვალა რუსეთმა თავისი გეგმა? რაო, შეეშინდა პუტინის რუსეთს (რომელიც აშშ-ს, გაეროსა და ევროკავშირს ფეხებზე იკიდებს) და უკან დაიხია? ასე რომ, ის ე. წ. შეთქმულება ჯარში ერთი ნაწილი იყო იმ გეგმისა, რომელსაც სააკაშვილი ქართველი ერის დასაშინებლად ჩაიფიქრებს ხოლმე დროდადრო, ხოლო ოპოზიცია თავის უნიათობით დიდ გასაქანს აძლევს ხელისუფლებას. მამაჩემს აქვს ცხონება, საქართველომ ყური მიაპყროს ჩვენს ნაცად, მართალ ლიდერებს, შალვა ნათელაშვილსა და გუბაზ სანიკიძეს.

ასე მგონია, სააკაშვილმა რევოლუციის მოახლოება როცა იგრძნო, თავისი ყოფილი მეგობრები დაიბარა და უთხრა: მე თქვენ გნიშნავთ ოპოზიციონერებად, მოითხოვეთ ჩემი გადაყენება, ოღონდ ღმერთი არ გაგიწყრეთ და მართლა არ გადამაყენოთო. რევოლუციის ცეცხლი გააღვივეთ და ჩააქრეთო. ამას ზოგიერთი ოპოზიციის წარმომადგენელი ნამდვილად აკეთებს. მიშას ყოფილ მეგობართაგან ბევრს ვერ ვენდობი და ჩემი ეჭვი ერთი მხრივ გამართლდა კიდეც, როდესაც მონანიების დღეს მიშასთან ერთად გამყრელიძეც აღმოჩნდა სამების ტაძარში. როგორი კეთილი ღიმილით ეგებებოდა გამყრელიძე მისკენ მიმავალ სააკაშვილს. მერე მითხრეს, რა



ექნაო. თუ არ უნდოდა ხელის ჩამორთმევა, ზურგი შეექცია მიშასთვის და დაინახავდა ხალხი, რომ ის მართლა ოპოზიციონერია, ამის გამო მისი იმიჯი განახევრდა. ყოველ მოსახვევში კი ამბობდა: ალტერნატივა არ არსებობს, მიშა უნდა წავიდესო.

მე სამჯერ გამოვედი მიტინგზე და ერთი წამით არ დამიყენებია ჩემი თავი ამ რევოლუციის მოთხოვნათა გარეთ. ტრიბუნაზე მხოლოდ და მხოლოდ სანიკიძის, ნათელაშვილის, შარტავას, გამსახურდიასა და კიდევ რამდენიმე ადამიანის ხათრით ავდივარ. ამ ბოლო დროს ბურჯანაძის მიმართაც გამიჩნდა სიმპათია, რადგან ვაჟკაცურად იქცევა და მიიჩნევს, რომ არავითარი დიალოგი მიშასთან არ შეიძლება.

თბილისი საკნების ქალაქად იქცა, ოპოზიციას სამთავრობო შენობები პიკეტირებული აქვს, ხელისუფლება კი იგნორირებას ახდენს, რა შედეგი მოიტანა ამ აქციებმა?

ამ აქციებმა, რა თქმა უნდა, დიდი შედეგი მოიტანა. იმდენად დიდი, რაზეც ოპოზიციის ლიდერები ვერც იოცნებებდნენ. უკვე მთელმა საქართველომ გაითავისა რევოლუციის საქმე, ვისაც არ უნდა დაელაპარაკო, ყველა ერთხმად გეტყვის, რომ მიშა უნდა გადადგეს. სააკაშვილს უჭირავს მხოლოდ თავის ჯიუტ ნებას, რომ ჩაებღაუჭოს სკამს, თუნდაც ეს მოხდეს მისი პიროვნების დამცირების ხარჯზე, ოღონდ პრეზიდენტი ვიყო და მაფურთხეთ რამდენიც გინდათო და, როგორც ამბობენ, რამდენიმე დასავლელი ჩინოვნიკი უმაგრებს ზურგს, რომლებიც მიშას ფულით არიან გამაძღარნი და ფიქრობენ, როგორ დავუკარგოთ ამ კაცს პატივისცემა, როგორ გავწიროთო და მეორე, ვაითუ ქართველმა ხალხმა აირჩიოს ხელისუფალი, რომელიც არ იქნება სოროსისა და დასავლეთის ყურმოჭრილი მონა და რომელიც ქართულ სახელმწიფოს შეატრიალებს ეროვნულობისკენო.

მეორე შედეგი, რაც ამ აქციებმა მოიტანა არის ის, რომ, ფაქტობრივად, პარალიზებულია პარლამენტი და სახელმწიფო კანცელარია. სააკაშვილი თავის კაბინეტში ვერ შედის. ჩვენ, ოპოზიციას გაბედულება და ჭკუა არ გვყოფნის, რომ ამ ისტორიული მომენტით ვისარგებლოთ. ახლა საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას ალტერნატიული პარლამენტი, ალტერ-

ნატიული მთავრობა, რომელიც ხელში აიღებს ძალაუფლებას. აი, აქაც ჩანს ოპოზიციის უნიათობა. კარვები და საკნები უნდა იყოს დადგმული არა მარტო თბილისში, არამედ ქუთაისში, ბათუმსა და ყველა დიდ ქალაქში. როგორც ჩანს, ამის თავი ოპოზიციას არ აქვს.

ყველასთან შეიძლება დალაპარაკება, ოღონდ არა სააკაშვილთან, რადგან ის ცრუპენტელაა. თუ დაუჯდები მას სალაპარაკოდ, ის უკვე გამარჯვებულია. ე. ი. აღიარებ მის პრეზიდენტობას, არადა, იგი ცრუ პრეზიდენტია, ის ქართველ ხალხს არ აურჩევია. მიშა ყველაფერზე დაგთანხმდება: ყველაფერს გავაკეთებო, – გეტყვის და თანხმობას განაცხადებს, ოღონდ ეს ერთ დღეში არ გაკეთდება და ერთი თვე მომეცით დროო, – გეტყვით, სინამდვილეში ის არაფერს შეასრულებს და ნელ-ნელა დაიწყებს შანტაჟს, დაპატიმრებებს, ზოგს მოისყიდის კიდეც. სააკაშვილისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს.

სანამ უნივერსიტეტს დაშლიდა და მიწასთან გაასწორებდა, ორი თვით ადრე, იგი უნივერსიტეტში მოვიდა და გვითხრა: ხმებს მივრცელებენ, თითქოს ცნობილი, ეროვნული პროფესორების გაძევებას ვაპირებ, ამას როგორ ვიზამ, როცა მშობლები და ბებია-ბაბუები პროფესორები მყავსო.

ცოტა ხანში პოლიციის ძალით გამორეკა ყველა სახელოვანი მეცნიერი, გააუქმა: ილიას, რუსთაველის, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, გამსახურდიას კაბინეტები და ივ. ჯავახიშვილის საუფლო საეჭვო ცოდნა-ყოფაქცევის „ლექტორობით“ გაავსო. ასევე მოექცა ფიზკულტურის აკადემიას.

ვინ თქვა, თითქოს მწერლებს შენობას ვართმევთო? – იფიცებოდა მწერალთა კავშირის დარბევიდან ერთი კვირით ადრე... მოლაპარაკების მაგიდასთან ოპოზიციის ლიდერების მოტყუება ამ უკანასკნელთათვის იქნებ სათაგურში თავისი ფეხით შესვლა, სარეჯგველის ლებანზე მიშვებაა. ხომ აშკარაა, რომ ამპარტავან უზურპატორს შეთანხმებაზე, რეფორმებზე წასვლას, სიკვდილი ურჩევნია, ასე რომ არ იყოს, თუნდაც მიტინგების ამ ერთი თვის განმავლობაში ხომ შეეძლო მას ქართული მიწა-წყლის უნამუსოდ გასხვისება შეეჩერებინა, უნივერსიტეტიდან რექტორ-პოლიციელი ხუბუა



გაეძევებინა, ფიზკულტურის აკადემია აღედგინა, არჩევნების გამყალბებელი თარხნიშვილი გაეგდო, საბუთებში ეროვნება და მამის სახელი აღედგინა მწერლების, კომპოზიტორებისა და ჟურნალისტებისთვის კუთვნილი შენობები დაებრუნებინა. თქვენც არ მომიკვდეთ, რომელ დიალოგზეა ლაპარაკი.

როგორც ირკვევა, ეს ყველაფერი თვალთმაქცობა, ცრუ დაპირება იყო. გახვანცალდა ანტიკრიზისული კომისია, თითქოსდა მოინდომა კულტურის მინისტრმა, მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილმა უარი თქვა. დაგვიბარეს და გვითხრეს: მინისტრმა შეთანხმების ოქმი დაკარგა და თუ გაქვთ ასლი, მოგვაწოდეთო. ეგონათ, ასლს ჩვენც დავკარგავდით. მივუტანეთ. დიდად არ გახარებიათ. კეთილი, წაბრძანდით და დაგიძახებთო. თვენახევარი გავიდა, მაგრამ მინისტრი ხელმოწერას აჭიანურებს, მიხვდებით რატომაც.

აქცია ჩვენი ვეგეტარიანელი ოპოზიციის მიერ წინაწარ დაგეგმილი არ ყოფილა. იგი გია გაჩეჩილაძემ აიღო თავის თავზე, უნდა ვთქვა, რომ 6 მაისი იყო პირველი სერიოზული გამარჯვება ოპოზიციისა ხელისუფლებაზე. ხალხის ერთსულოვანმა, ჯიუტმა ნებამ მთავრობას სამი პოლიტპატიმარი ხელიდან გამოგლიჯა. დიახ, გაუგონარი ამბავი მოხდა. პირველად დაიხია უკან სააკაშვილის რეჟიმმა. თუ გახსოვთ, სააკაშვილმა იმით დაიწყო, რომ პარლამენტის წინ მოშიმშილე 15-16 წლის ბავშვების სამართლიანი მოთხოვნაც კი არ დააკმაყოფილა და ისინი პანღურის კვრით წამოყარა. ოპოზიციის ლიდერთა გასისხლიანებული თავები ღირდა ამ გამარჯვებად. 6 მაისს რამდენიმე მითი დაიმსხვრა: ჯერ ერთი, დაიწყო სააკაშვილის „ბასტიონის“ ნგრევა, მეორეც, გაქარწყლდა არაერთი გონებაჩლუნგი პოლიტიკოსის სიბრძნე: ჩვენი პოლიცია დღეს აღარ დაგვარტყამსო. ხომ ნახეთ, როგორ დაესია 20 პოლიციელი ეზოში ქაღალდის ფრიალით მოსალაპარაკებლად შესულ უიარაღო გია გაჩეჩილაძეს. არტისტს, მომღერალს, ბულბულს, თვისტომს, შენთან ხელაწევით მოსულს კუდუსუნის ძვალს და ნეკნებს რომ უმტვრევ, კაცი ხარ შენ ამის მერე? მესამე: დროა ზოგმა „ძალიან ინტელიგენტ-

მა“ ოპოზიციონერმა ირწმუნოს, რომ სწორედ ამგვარი მეყსეული აქციებით უფრო მივაღწევთ სწორედ მიზანს, ვიდრე რუსთაველზე ლამაზსიტყვაობითა და ლექსობით.

ყველა კარგად ხედავს, რომ ქართველ მწერალთა არმია სამი-ოთხი, ხელისუფლების გვამში შემძვრალი გამონაკლისის გარდა, თავის ღვთიურ ვალს ვაჟკაცურად ასრულებს. ჩვენ ყველანი, როგორც ყოველთვის ეროვნული ბრძოლის ავანგარდში ვართ. რუსთაველზე საკანთა ქალაქი ქართველ მწერალთა საკნით იწყება მორიგეობით ვზივართ საკანში და ერის გულისთქმას ჩვენს ხმას ვუერთებთ მიტინგი არ ტარდება, რომ ორი-სამი მწერალი არ გამოვიდეს და ხალხს გამხნევებისაკენ, გაძელქვებისკენ არ მოუწოდოს. განსაკუთრებულ აქტიურ მწერლები „მწერლის გაზეთის“ წინა ნომერში ჩამოვთვალე და აქ თავს არ შეგაწყენთ. მარტო ის რად ღირს, რომ მომიტინგეებს ხელში უჭირავთ ბაირაღი ჭაბუა ამირეჯიბის ხელნაწერით – „დაიცავი საქართველო“.

*16 მაისი, 2009 წ.*

## ისევ გააწბილეს ხალხი

ძვირფასო მკითხველო, ამასწინათ გითხარით, რომ თუ 26 მაისს ჩატარდება დიდი მიტინგი და ეს იქნება სააკაშვილის გადაგდების მოსურნე საზოგადოების დათვალიერება, მაშინ ამ მიტინგის ჩატარებას, არავითარი აზრი არა აქვს-მეთქი. ისიც ვთქვი, ამისთვის ისედაც გაღარიბებულ დემონსტრანტებს ტყუილად ფეხსაცმლის ლანჩს ნუ გააცვეთინებენ-მეთქი. 26 მაისს სტადიონზე ოპოზიციას ეროვნული ყრილობა უნდა ჩაეტარებინა და მსოფლიო თანამეგობრობის გასაგონად, შესაბამისი დოკუმენტები და გადაწყვეტილებები უნდა მიეღო. იქ, ტრიბუნაზე გამომსვლელთაგან ჩემი ვარაუდის ერთადერთი გამხმოვანებელი ზვიად ძიძიგური აღმოჩნდა, რომელმაც ხალხს უთხრა, რომ დღეიდან სააკაშვილი აღარ იწოდებოდს



ჩვენ პრეზიდენტადო? აი, ამ მიმართულებით უნდა წაეყვანათ შეკრება. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ გამოსვლელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მჯიღების გულში ცემაში, პატრიოტული სიტყვების თქმაში.

გაირკვა, რომ იმ არაერთი ტრადიციული, ნაცადი მეთოდებით, რომლითაც უამრავი პრეზიდენტი გადაუყენებიათ, სააკაშვილი არ მიდის. იმიტომ, რომ ამ რეჟიმს ზურგს უმაგრებს როგორც რუსეთი, ასევე ამერიკა. ამ რეჟიმს ასევე მხარს უბამს ის უცხოური დიპლომატიური კორპუსი, რომელსაც საქართველო ხელს აძლევს როგორც დაჩოქებული, პაპუასური, ალიკაპამოდებული და „დაჩმორებული“ ტომი. ქართულ-ოპოზიციურ პოლიტიკურ ელიტას არ ეყო არც გამოცდილება, არც ძალა, არც ნება და არც გამბედაობა, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. ერთი ჩანახატი გამოვაქვეყნე, სადაც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, – „თქვენ მასწავლით, რა უნდა გავაკეთო?“ რა არის, იცით? უკვე ჩემდა სავალალოდ ოპოზიციონერები ინერციით დგანან და ცოტა მუხლების კანკალს ვატყობ. მაგათ პოლიტიკურ მობერებას ვატყობ, ისე, მინდა გავამხნევო ისინი, გავამაგრო, მივიდე, თავზე ხელი გადავუსვა, მაგრამ... ხმაში ცოტა ბზარი ეტყობათ, თვალებში ეტყობათ, რომ თავიანთი ნათქვამისა თვითონ არ სჯერათ.

რაკი ერთიანი გეგმა არ ჰქონდათ, რაკი წინასწარ არ ჰქონდათ განზრახული ყველაფერი და ატყუებდნენ ხალხს, ყველაფერი ხვალ გამოჩნდება, ჩვენ ყველაფერი გაწერილი გვაქვს... ჩვენ გვაქვს „ა“, „ბე“, „ცე“ გეგმები! მაგათ არ გამოუვიდათ ერთი რამ, ხალხი სტადიონზე რომ ნაკლები ყოფილიყო, მაშინ ოპოზიციონრები იტყოდნენ, რა ვქნათ, ძმაო, ხალხი არ მოვიდა და რა გვექნაო. მაგრამ ხალხმა ოპოზიციის ლიდერებს არ უღალატა, ხალხი მივიდა. ახლა უკვე საჭირო იყო მეორე გეგმის ამუშავება...

მანამდე იმას მოგახსენებთ, ამათ რა უნდა ვქნათ, მთელ მსოფლიოს რომ მოუწოდებდნენ და ხალხიც, საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს მსოფლიოს საინ-

ფორმაციო საშუალებებით მთელ ქვეყანას შეატყობინებდნენ, ამის შემდეგ ოპოზიციას ხალხი სამებისკენ კი არ უნდა წაეყვანა უნდა წამოეყვანა რუსთაველის პროსპექტზე და დაეკავებინა ყველა ის ადმინისტრაციული შენობა: საკრებულოს შენობა, ქალაქის მერია, კანცელარია, რეზიდენცია, პარლამენტი, „პირველი არხის“ შენობა, სადაც საქართელოს უბედურებასა და დაქცევას ჭედავს სააკაშვილი და მისი ბანდა. აი, ეს უნდა გაეკეთებინათ, 90 ათასი კაცი შეიძლება რუსთაველზე არ წამოსულიყო, მაგრამ 40 ათასი ხომ წამოვიდოდა და ეს რაოდენობა ამ საქმისთვის სრულიად საკმარისი გახლდათ.

ჯერ არავის შეუქმნია ისეთი სპეცრაზმი, რომელიც 500 ათას ადამიანს დაარბევს. ამას სააკაშვილის სპეცრაზმი ვერ გაბედავდა. აი, ასე უნდა გადწყვეტილიყო 26 მაისს საქართველოს ბედი... ჩხუბითა და აყალმაყალით კი არ უნდა განხორციელებულიყო შესვლა, ეს უნდა მომხდარიყო მშვიდობიანად. მანამდე სტადიონზე უნდა შექმნილიყო ალტერნატიული ეროვნული მთავრობა. უნდა შექმნილიყო ახალი სამინისტროები, სახელმწიფოს მართვის ალტერნატიული ორგანოები. აი, ასე უნდა ყოფილიყო, თორემ შენ რომ მიხვალ ორი საათით, იყვირებ მერიასთან, იყვირებ კანცელარიასთან, ღამეს გაათევ, ეს არაფერს არ მოგვცემს. 50 ათასი კაცის დარბევას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ ახლა ხომ ხედავთ, 28 მაისს როგორ მიუმტვრიეს ხალხს კბილები.

ყველაზე მეტად, რაც ნერვებს მიშლის და მაშფოთებს ის გახლავთ, რომ სააკაშვილი თავის ხალხს დასცინის და აბუჩად იგდებს. სააკაშვილს ერთი წუთით გონებაში რომ გაევლო, – მოდი, ცოტას მაინც გავაკეთებ და ჩემი ხალხისკენ შემხვედრ ნაბიჯებს გადავდგამ, იქნება ზოგიერთმა მაინც ირწმუნოს ჩემიო! – დარწმუნებული ვარ, ხალხი მას კიდევ შეუსმენდა. აი, გეტყვით, რა უნდა გაეკეთებინა 7 ნოემბრის შემდეგ. თვითონ რომ ტრაბახობს 250 ათასი ადამიანი დავტოვე უსამსახუროდ ამიტომ მეჩხუბებიანო, იმ 250 ათასი ადამიანიდან ნაწილისთვის მაინც გამოვიგონებდი სამსახურს, აღედგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და



იქიდან გამოდევნილი ეროვნული პროფესურა დაებრუნებინა, ამისთვის ერთი დღე უნდოდა სააკაშვილს. აღედგინა სპორტის აკადემია, აღედგინა მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირის შენობის დასაბრუნებლად სამი თვე აქვს დადგენილების პროექტი კულტურის მინისტრს, მაგიდაზე უდევს და სააკაშვილი არ აძლევს უფლებას, რომ ხელი მოაწეროს. აი, ასე ზიზღით უყურებს იგი ქართველ ხალხს... ახლა არ გაინტერესებთ, როგორ ჩამოარიგა ბოლო დროს რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიები, დაარიგა თვითონ, ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე. თვითონ დადგა თავმჯდომარედ და პრემიებიც თვითონ გასცა.

რაც არ უნდა განაცხადონ ჩვენმა ძვირფასმა ოპოზიციონერებმა, საკნებს იმიტომ ვიღებთ, რომ სხვა ტაქტიკა შევიმუშავეთო, ხალხის თვალში ეს უკან დახევას ნიშნავს. ესე იგი, ის ძლევამოსილი სასაკნო და საკარვო ლაშქრობა ხელისუფლების წინააღმდეგ არ გამოგვივიდა. ჩვენი ოპოზიცია მტკიცე არ აღმოჩნდა. ესენი ყოველ საღამოს სხდებიან და თავიანთი შემოქმედებითი ფანტაზიით ახალ-ახალ გეგმას აცხობენ, მოდი, ხვალ იქ მივიყვანოთ ჩვენი ცხვრები, ზეგ აქ, მაზეგ – იმას იქით და ა. შ. ახლა გუბაზ სანიკიძე და ოპოზიციის რაღაც ნაწილი რეგიონებისკენ დაიძრა, ხომ? აი, მე გეუბნები, ჩემო კარგო, – მთელი საქართველო რომ გამოიყვანო გარეთ მთელი საქართველო... ყველა დადგეს თავის სახლთან, თბილისიც, ქუთაისიც, ბათუმიც, თელავიც, ზუგდიდიც, ყველა ქუჩაში დადგეს, მაშინაც იტყვიან სააკაშვილის წინ მორიალე მორიელები, ეს მთელი საქართველო არ არისო?

ახლა, რაც შეეხება საპატრიარქოს... მე გეტყვით ახლა, ჩემი აზრით, რა მოხდა საპატრიარქოში. სხვათა შორის, გია გაჩეჩილაძეს ჰქონდა კეთილშობილური მიზანი, რაკი მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა ჩაეტარებინათ ეროვნული ყრილობა და ამის გამოცდილება გიას არ ჰქონდა, იგი მივიდა წინა ღამით პატრიარქთან. ისე კაცთან დასალაპარაკებლად ღამე მისვლა ძალიან უყვართ ძმებ გაჩიჩილაძეებს. ხო, მივიდა გია

პატრიარქთან და უთხრა, აი, ასე, ასეა საქმეო. ახლა პატრიარქმა რა უნდა უთხრას, – როგორმე უნდა შეაჩეროთ ეს ხალხი, რომ არ მოხდეს სისხლისღვრა და უბედურებაო. როგორ შევაჩერო, ბატონო – ჰკითხა გიამ, რანაირად შევაჩერო 90 ათასი კაცი, სად გავუშვა, თუ ამდენ ხალხს ახლა ისევ ვეტყვი სახლში წადიო, მე და ჩემს ძმას, ისევ მტრად გამოგვაცხადებენ და ისევ მღვდელ გაპონად მოგვნათლავენო. მაშინ გამოუშვი ჩემთანო, – ეტყოდა პატრიარქი. – კი ბატონო, მოვიყვან, მაგრამ შეიძლება ერთი რამ გაგიბედოთ უწმინდესო?– თქვი, შვილო, უთხრა იმან. ამ 90 ათას კაცს რომ დაინახავთ, ხომ არ შეგიძლიათ, თქვენს მრევლს უთხრა, რომ რაკი ასეთია ნება ქართველი ხალხისა, მინდა ვურჩიო ჩვენს პრეზიდენტს, რომ ამაზე დაფიქრდეს და იქნებ ხალხის ნებას გზა დაუთმოსო! რას იტყოდა პატრიარქი? ცხადია, ის მთლად „გადადექის“ ვერ იტყოდა, მაგრამ იქაც, საპატრიარქოშიც ხომ აქვს ხელისუფლებას დიდი ყური, იქაც ჰყავს თავისი აგენტები „შნირები“ და მსტოვრები. ეს უცბად მივიდა ხელისუფლების ყურამდე, ხომ ნახეთ ხელისუფლებიდან როგორი მარშით მიდიოდნენ სააკაშვილის თანამებრძოლები. ამათ, ბიჭო, შევარდნაძე გადააგდეს, 9 იმაში გამოჯეგილი პოლიტიკოსი, და ძალით აღებულ ხელისუფლებას ვერ დაიცავენ?! ჰოდა, მივიდნენ პატრიარქთან და უგულავამ უთხრა, ჩვენთან მოვიდა ინფორმაცია, თითქოს თქვენ ამის გაკეთებას აპირებთ, უწმინდესო და უნეტარესო, მე და კობა თქვენი ძველი სტიქაროსნები ვართ, მაგრამ ჩვენ თქვენმა გაზრდილმა შვილებმა, უნდა გირჩიოთ, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ თქვათ, სააკაშვილი არსად არ წავა!.. იძულებული გახადეს პატრიარქი. ზოგი ახლა წამოიყვირებს, რას ბოდავს ეს რეზო მიშველაძე, პატრიარქს ვინ რას აიძულებსო, რას მიქვიან, იძულებული გახადესო. ისე აიძულებენ, ჩემო კარგო, როგორც დაგიბარებია. პატრიარქის სიცოცხლე ამათ რამდენჯერ დააყენეს საფრთხის ქვეშ? პატრიარქს უთხრეს, ამას ნუ იტყვიო და პატრიარქმა, როგორც მას შეეფერება, თქვა, – არ გეგონოთ, რომ მაინცდამაინც თქვენი აზრი გავახმაურო,



თქვენ შერიგდით და საერთოდ, პრეზიდენტის ასე გადაგდებაზე არც იფიქროთ იმიტომ, რომ ხომ ნახეთ, ერთხელ და ორჯერ რა მოგვიტანა ამ ნაბიჯმაო. პატრიარქის მხრიდან ეს აბსოლუტურად ბრძნული და სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ იცით შეცდომა რა იყო? თუ გია გაჩეჩილაძეს პოლიტიკოსობა უნდა.. თუ არტისტია, ვენაცვალე სულში და ვატარებთ ასე სტადიონზე ხელში აყვანილს კლოუნივით. მაინც კლოუნის როლში იყო გია, რა დროს ხელში აყვანაა. პოლიტიკა, ჩემო გია, უფრო სხვა რამეა. შენ 90 ათასი კაცის ნერვები, ბედი და განწყობილება ასე არ უნდა ათამაშო, რას მიქვიან სამების ტაძარში ამდენი ხალხის მიყვანა, შენ რა, ჩემო გია, პატრიარქი იმას გეტყოდა და იმის კურთხევას მოგცემდა, რომ სააკაშვილი დაამხეთო? ამას ელოდით პატრიარქისგან? გია გაჩეჩილაძის მიერ ეს იგივე იყო, რაც გააკეთეს იპოდრომზე – წადით ახლა, კუტუნიებო, თქვენ თქვენს სახლებშიო!.. ასე რევოლუცია არ გაკეთდება!.. ნუ ეწყინებათ ჩემგან ძვირფას ოპოზიციონერებს, მაგრამ რა ვქნა, ასეთია ჩემი აზრი...

რაკი ოპოზიციას შენობებისა და ხელისუფლების პარალიზების ტრაკი არა აქვს, ამიტომ მათ უნდა გააკეთონ ასეთი რამ: ორი ლეგიტიმური პარლამენტი, რომელთაგან ერთი ტყვიითა და ზარბაზნით გააძევეს საქართველოდან, ხოლო მეორე მუჯლუგუნით, ანუ ზვიადისა და 2003 წლის 2 ნოემბერს არჩეული პარლამენტები უნდა შეკრიბოს ოპოზიციამ და ამ გაერთიანებულმა პარლამენტებმა უნდა მიიღონ 4 დადგენილება: პირველი – სააკაშვილის უპირობო იმპიჩმენტი; მეორე – ახალი საარჩევნო კანონის მიღება; მესამე ახალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და მეოთხე – ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბება და თარხნიშვილის პანღურით გაგდება.

დიახ, აქციები უნდა გაგრძელდეს, სააკაშვილმა ეს უკანონო პარლამენტი ვერ უნდა შეკრიბოს.

*ივნისი, 2009*

# ისევ ცრუ იმედი...

არის ერთი ჩეხი მწერალი, რომელსაც აქვს დაწერილი მოთხრობა „სალამანდრებთან ომი“. ერთი პერსონაჟი, კრიტიკულად განწყობილი გომბეშო ამბობს: „ჩემი აზრით, არავითარი საჭირო არ არის, გველი ასეთი გრძელი იყოსო“. გველი რომ საერთოდ არ არის საჭრისო, ამის თქმას ვერ ბედავს და იძახის, მოკლე იყოსო. აი, ასე ემართება ჩვენი ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს. ძალიან გავფილოსოფოსდით და უკვე გამოიკვეთა ორი თვის განმავლობაში, რომ თხისა და მგლის ერთად ძოვა მარტო იგავ-არაკებშია. ადრევე ვიცოდი, ესენი რომ კოლექტიურად საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანდნენ, მაგრამ ისე ერთგულად ედგნენ გვერდით ერთმანეთს, ზოგმა მართლა დაიჯერა ვიფიქრე, ნეტა ვცდებოდე, შეიძლება ცხოვრებას ჩამოვრჩი-მეთქი. მართალია, რობესპიერი არ არის ლევან გაჩეჩილაძე მაგრამ ათიათასობით ადამიანის გულისყურის მიპყრობა შეუძლია და ისედაც ბევრი რამის გადალახვა დასჭირდა, რათა ხალხი მობრუნებულიყო იპოდრომის აქციის წინა ღამით სააკაშვილთან საიდუმლო შეხვედრის შემდეგ. ამას მოჰყვა ოთხეულის შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროში, საიდანაც ხელცარიელები გამოვიდნენ, მაგრამ ახლა ერთიერთზე შეხვედრა პრეზიდენტთან, რომელიც პრეზიდენტი აღარ არის, საკუთარ კაბინეტში კი ვერ შედის ორი თვეა, რის გამო მოხდა? კარგი, დაგირეკა და შენ იმ წუთში გავარდი... როგორც კი გამოაცხადე, მე ახლა სააკაშვილთან მივდივარო, იმ წუთას ერთი 30 ქულით დასწიე შენი იმიჯი, ეს ხომ ცხადია? რა, სააკაშვილი იტყოდა: ძმაო, ლევან, თქვენმა სიჯიუტემ, ხალხის ნებამ დამარწმუნა, რომ მე უნდა გადავდგეო? ერთიერთზე რომ მიდიხარ სააკაშვილთან საიდუმლო სერობისთვის, თავისთავად აფერმკრთალებს შენს საქმეს. კი, ვაჟკაცი კაცია ლევან გაჩეჩილაძე, მაგრამ ადამიანური ურთიერთობა, მეგობრობა, ძმაკაცობა, ღვინის ბოთლზე „სააკაშვილის“ დაწერა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა მას უკვე ლოალურს ხდის პრეზიდენტის მიმართ. მიშა ეტყოდა: ლევან, რა იყო, ბიჭო, ადრე ძმები არ ვიყავით? კი დაგირეკა, მაგრამ რა გეგონა, კეცზე გამომცხვარ მჭადს დაგახვედრებდა? არ დაგახვედრებდა და აჰა, შედეგიც! ახლა ამბობს გაჩეჩილაძე: მართალია, გადადგომაზე ვერ შევთანხმდით, მაგრამ დაპატიმრებულ ხალხის საქმეებს გადახედავსო. ისიც არ უთქვამს, გამოვუშვებო. რა არის ეს, გამაგებინეთ, რა ნუგეშია? სასაცილო არ არის?! გულისამრევი არ არის?! აჰა, ისევ რაღაც სატყუარა, ისევ რაღაც ცრუ იმედი, გამაგებინეთ, რატომ გავწირეთ ეს ხალხი?! მე მუხლს ვიყრი იმ მორწმუნე ადამიანების წინაშე, რომლებიც ნეტარ არიან, მაგრამ ამ რწმენას რას ვუშვრებით?!

როცა სააკაშვილთან გაჩეჩილაძე მივიდა, სამი საათი ილაპარაკეს და იქიდან გამოსულმა ყველაფერი სამ წუთში ჩააატია, დანარჩენი ლირიკა იყო, ხომ? პრეზიდენტს რომ ჭკუა ჰქონდეს, ეტყოდა: ლევან, მე გადავწყვიტე, გამოვსწორდე და იმ 250 ათას კაცს, რომელიც ქუჩაში გავყარე, სრულიად უსამართლოდ მოვექეცი, ახლა მივხედავ, აგერ მაქვს კიდეც, ჩემო ლევან, ფურცელზე ჩამოწერილი გეგმა, ყველაფერს გავაკეთებ, საქართველოს გარეთ გაქცეულ 2 მილიონ ადამიანსაც დავაბრუნებ და მერე ბოდიშსაც მოვიხდიო. ლევან გამოვიდოდა და გვეტყოდა: ხალხო, აი, ასეთი რამე მითხრა სააკაშვილმა და გჯერათ? ხალხი დაიძახებდა: არ გვჯერა! თუმცა, ჩემო კარგო, დამერწმუნე, იქ ამაზე არ იყო ლაპარაკი, იქ ქართველი ერის გასაჭირზე არ იყო ლაპარაკი, იქ ქართველი ერის ტკივილის გაყუჩებაზე არ იყო ლაპარაკი, ერთი გულწრფელად ეუბნებოდა მეორეს: რა ვქნა, მიშა, ჩემს უკან დგას აქოჩრილი ხალხი, შენ ეს ძალა კარგად იცი, თუ ამ ხალხს იმედს გავუცრუებ, ან ჩირგვებში შევძვრები ახლა, როგორც ზოგიერთმა ჩემმა ოპოზიციონერმა გააკეთა, შეიძლება პანღური ამომკრან. ასე რო, მე უკვე აღარაფერი შემიძლია. ახლა ვნახოთ სააკაშვილის მუდარა, რომელიც გაჩეჩილაძემ არ გაამხილა: იქნებ ცოტაც მადროვოთ, ლევან, იქნებ ცოტაც?! ხომ ხედავ, მიშა, მე არ მომაქვს იერიში, რაც შემიძლია, ვაკავებ ხალხს, ხომ ნახე, მე და ჩემმა ძმამ პატრიარქთან მივიყვანეთ 60 ათასი კაცი?! – ეტყოდა გაჩეჩილაძე. აი, ასეთი ლაპარაკი იყო სამი საათის განმავლობაში, მე ამაში ეჭვი არ მეპარება.

მე არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ მართლა უნდათ სააკაშვილის გადაყენება, მაგრამ არის ერთი სამწუხარო, „მაგრამ“, ჩვენ უკვე ძალიან ღრმად შევტოპეთ, ერთი ნაბიჯი თავგანწირვისა სასტიკ ცემად და პლასტმასის ტყვიებად დაგვიჯდა, ხვალ შეიძლება ამ გადარეულმა, ნაღდი ტყვიები გვესროლოს. აი, ასე ჰკიდია ორი დამოკლეს მახვილი უდანაშაულო, ომში დამარცხებული უსამსახურო, ალალი ერის თავზე. ერთი მახვილია მშიშარა, უნიათო ოპოზიციური სარდლობა, რომლის ზოგიერთი წევრი სოფელში გარბის, ზოგიერთი ჩირგვებში იმალება და ზოგიერთს კიდევ შუბლზე ხელი აქვს შემოდებული და ამტკიცებს, ყველაზე მეტი ვიციო. მეორე მახვილია – ხალხზე ტყვიასავით დამიზნებული გაუტანელი, გამყიდველი, კორუმპირებული და ლაჩარი ხელისუფლება. ღმერთო, შენ გადაარჩინე ჩემი ხალხი ამ ორი მახვილისგან. ლევანი უნდა გამოსულიყო და ეყვირა: არაფერი, სრულებით არაფერი, დასაბმელი გიჟია! კი, მაგრამ რას მიედმოედება?!

წამოეგო, მაინც ძველმა ურთიერთობამ იმუშავა. გუშინწინ ზოგიერთი გულუბრყვილო ამბობდა: ვინ იცის, იქნებ იმისთვის დაიბარა, გადადგომის შესახებ უნდა უთხრასო? გადადგომის სათქმელად ლევან გაჩეჩილაძეს დაიბარებდა? გაჩეჩილაძე რომელი მისი მოძღვარია?!

*ივნისი, 2009*

## ოპოზიციას მხოლოდ რევანში სურს

საქართველოში ვითარება ძალიან მძიმეა. მძიმე დღეშია როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიციაც. იმედგაცრუებული ვარ.

რუსეთისკენ გადახრა ისევე ცუდს მოუტანს საქართველოს, როგორც ამერიკასთან კარგმა ურთიერთობამ მოუტანა. საქართველო არცერთი ამ დიდი სახელმწიფოს მარიონეტად არ უნდა იქცეს. რაც შეეხება მათ შეხვედრას, ობამას და მედვედევის შეხვედრაზე სხვა მთავარი პრობლემები იყო. ავღანეთის პრობლემა, ენერგოსაკითხი, ხოლო საქართველო ობამამ ისე, უბრალოდ ახსენა, მედვედევმა ამიტომაც წაუყრუა.



საქართველო მართლა რომ ადარდებდეს ობამას, ზოგადად კი არ ილაპარაკებდა, არამედ კონკრეტულად ეტყოდა პუტინს, ბუშმა დაუშვა შეცდომა, როცა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, მაგრამ აფხაზეთზე და „ოსეთზე“ ეს შეცდომა აღარ განმეორდება. ობამას იმდენად არ უღირდა საქართველო, რომ ამ საკითხზე კონკრეტულად ელაპარაკა. ის მაინც გადაეწყვიტა, რომ გაერო ისევ დაბრუნებულიყო საქართველოში...

მედვედევმა, ვეტოს მოვხსნი იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა აღიარებს სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთსო, ფაქტობრივად, მასხარაობა და მსოფლიოსთვის თვალში ნაცრის შეყრა იყო ორი სუსტი და ცბიერი პოლიტიკოსის, ობამასა და მედვედევის შეხვედრა. პუტინმა თქვა, ფეხზე მკიდიხართ პატარა ქვეყნებო და ყველაზე მეტად საქართველო! რაც უნდა პროტესტი გამოთქვას ამერიკამ იმაზე, მედვედევი რატომ ჩადის სამხრეთ ოსეთშიო, გულში გაეცინება, მედვედევსაც და თვითონ ობამასაც. ამერიკის პროტესტი რუსეთის მიმართ, სიტყვიერი განცხადების იქით ვერ წავა. მე ვენაცვალე ყველა პოლიტიკოსის ოპტიმიზმს, მაგრამ თავში საცემად გვაქვს საქმე.

ძალიან ცოტა შემოგვრჩა ხვალინდელი დღის იმედი. პატარა იმედის ნიავმა დაქროლა საქართველოსთვის, ანკარაში გაზსადენის პროექტს რომ ხელი მოაწერეს პრეზიდენტებმა. ამ პროექტის მერე ჩვენ რაღაც ფუნქცია გვიბრუნდება და, არ გვჭირდები საქართველოო, ვეღარ გვეტყვის ევროპა, მაგრამ მე ვურჩევ საქართველოს პრეზიდენტს, რომ გულში დაიტოვოს თავისი აგრესია რუსეთის მიმართ. ამ პროექტით რომ ექადნებოდა რუსეთს. მოზომილი პოლიტიკა გვჭირდება, თორემ დავიღუპებით, სწორედ ამ განცხადებებმა გაართულა კიდევ უფრო საგარეო პოლიტიკა.

ზოგი სულელი ოპოზიციონერი ფიქრობს, სააკაშვილი გადავაყენოთ და მეორე დღესვე რუსეთი გააუქმებს ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობასო. ეს, უბრალოდ, ბრიყვული

ფიქრია. ასწლეულებია, ამზადებს რუსეთი საქართველოს ტერიტორიების წართმევის გეგმას. ფაქტობრივად, მან უკვე წაიღო ჩვენი განძი, ფოთი და ბათუმი დაგვიტოვა მარტო თავისი ჭაობებით.

მე არ მიმაჩნია დიდ ვაჟკაცობად, ერთ დღეს ოპოზიციის მიტინგზე ხელისუფლება ლანძღო და მერე რაიმე თანამდებობაზე ეხვეწო პრეზიდენტს. ოპოზიციის აშკარა მოუმზადებლობა პოლიტიკაში, მათმა კურდღლურმა ხასიათმა, შედეგად ის მოიტანა, რომ სამი თვის განმავლობაში ჩემი საცოდავი ერი ტყუილუბრალოდ დააყენეს რუსთაველის გამზირზე. მე 9 აპრილსვე ვიცოდი, რომ ოპოზიციის მიტინგებიდან არაფერი გამოვიდოდა. მათ თვითმიზნად გაიხადეს მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომა და ხელისუფლებაში მოსვლა, ამიტომაც დარჩნენ ასე. სააკაშვილის ბუდიდან ამომხტარი ოპოზიცია ძალიან დიდ ეჭვს აჩენს ჩემში. არცერთი ოპოზიციას არ უთქვამს, დღეს ჩემი ქვეყანა გასაჭირშია და ერთად ვიფიქროთ უმუშევრობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზეო...

დღეს უნივერსიტეტს მართავს თვითმარქვია რექტორი. რექტორი-პოლიციელი... ამ თემებზე დღეს არავინ საუბრობს. არავინ იღებს ხმას მწერალთა კავშირის წართმეულ სასახლეზე, გურამ შარაძის მკვლელობის გამოძიებაზე, საქართველოს მოქალაქის საბუთებში ეროვნების აღდგენაზე. არცერთ ამ თემას არ შეხებია ოპოზიცია, დილიდან საღამომდე იყო ამ აქციებზე. ახლა უკვე 7-ზე იწყებენ პირად ანგარიშსწორებას პრეზიდენტის მიმართ. ასი ათასმა კაცმა შეიძლება ყოველდღე მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის ლანძღვა ისმინოს?! ოპოზიციას მხოლოდ რევანშის აღება უნდა, ყალბია მათი ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველო ადარდებთ.

მეორე მხრივ, ხელისუფლება პატარა ბიჭივით ჯიუტობს. სააკაშვილმა ცოტა ყურადღება მაინც უნდა გამოიჩინოს ქუჩაში გამოსული ხალხის მიმართ. დღეს პრეზიდენტის მხარეს მხოლოდ სამი მწერალია, დანარჩენები საწინააღმდეგო მხარეს არიან, ამ ხალხის დაწყნარება მცირედით მაინც უნდა მოახერხოს. ყველაზე დიდი შეცდომა ლომაიას და მისთანების



დანიშვნა იყო თანამდებობის პირებად. ლომაიამ ინსულტები და ინფარქტები დამართა მთელ ქართულ პროფესურას. დღეს ყველაფერი გამასხარავებულია ქართველ საგანმანათლებლო სისტემაში. აქედან უნდა დაიწყოს სააკაშვილმა, თორემ უცებ რომ ქვეყანა არ აყვავდება და ყველა რომ ვერ გამდიდრდება, ეს კარგად მესმის. ბიჭური მიდგომა ქვეყნის პრობლემებზე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. პატარ-პატარა დათმობებზე წასვლა უნდა შეგეძლოს.

მე არ მივედი ოპოზიციასთან, „დაიცავი საქართველო“ რომ დააარსეს. დიდი ჭაბუას დაძახილზე როგორ არ მივიდოდი, მაგრამ ისეთი ხალხი იდგა ისევ ბელადთა შორის, რომლებმაც სამასიათას კაცს სამი თვის განმავლობაში დასცინეს. ახლაც მხოლოდ იმის გამო ჩამოაყალიბეს საზოგადოება „დაიცავი საქართველო“, რომ სააკაშვილისთვის ენახვებინათ. აი, ჩვენთან ქართული ელიტის წარმომადგენლები არიანო. ეს გზა არ არის სწორი, ამ მოძრაობამ შეიძლება ორი სხდომა ჩაატაროს. მაგრამ მესამეს უკვე ვეღარ ჩაატარებენ, იმიტომ, რომ ის ჭკვიანი და სახელოვანი ადამიანები, ვინც მათთან ახლა დგას, როგორც კი მიხვდებიან, რომ ოპოზიცია მიწაზე მყარად არ დგას და ტყუილებს ლაპარაკობს, შემდეგ დაძახილზე აღარ მივლენ. ამიტომ, თუ ოპოზიციას რეალურად სურს მიზნის მიღწევა, სხვა მეთოდებს უნდა მიმართოს, თორემ, კიდევ ვიმეორებ, ვიღუპებით.

*ივლისი, 2009 წ.*

## ჩვენ უპატრონო ქვეყანა ვართ

ობამა-მედვედევის შეხვედრის შედეგებს რამდენიმე ქართველი ექსპერტი სწორად წინასწარმეტყველებდა. მსოფლიოს ძალთა განლაგება ახლა ისეთ სტადიაშია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გააფთრებული

ფარული ბრძოლაა გავლენის სფეროთა გადანაწილებისთვის. ამ შეხვედრამ მხოლოდ მსოფლიო დემოკრატიის ფასადი შეუქმნა ამერიკას. სინამდვილეში კი, ჩემი ფიქრით, ეს იყო ობამას ჩუმი დასტური, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში და, განსაკუთრებით საქართველოში, რუსეთმა ისე იპარპაშოს, როგორც აქამდე პარპაშობდა.

საიდან ვატყობ ამას მე? ჯერ ერთი, როცა ამხელა სახელმწიფო პრეზიდენტები ერთმანეთს ხვდებიან, იქ აუცილებელია მსოფლიოს ეცნობოს გადაწყვეტილებები, სხვანაირად ორი გიგანტი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრას აზრი არა აქვს.

ხომ ნახეთ, ამერიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ადასტურებს ამერიკის კეთილ ნებას და პრინციპულობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, რასაც რუსეთის პრეზიდენტმა დუმილით უპასუხა. ამის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის სიტყვაში ან მედვედევის ან პუტინის მიმართ ხომ უნდა ყოფილიყო მოკრძალებული რჩევის მსგავსი რამ: რაკი ამერიკის სურვილი ემთხვევა მსოფლიოს დიპლომატთა და განსაკუთრებით ევროკავშირის სურვილს, გთხოვთ, გაიყვანოთ ჯარები საქართველოდან. ამის მსგავსი რამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არ უთქვამს. თუ ამერიკას მართლა საქმით სურდა საქართველოს დახმარება, ასეც შეიძლებოდა ამ აზრის ფორმულირება. ჩვენ – ამერიკა უარს ვიტყვით კოსოვოს აღიარებაზე, თქვენ – რუსეთმა უარი თქვით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ნაჩქარევ აღიარებაზე. მით უმეტეს, ობამას ამის მორალური უფლება აქვს, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება ამერიკის წინა პრეზიდენტის დროს მოხდა.

ასეთი რამ ამერიკის სიმპათიურ პრეზიდენტს არ წამოსცდენია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ბედის მიმართ არაფერი შეცვლილა. ამერიკამ ისევ ღარიბი ნათესავისადმი მოვალეობის მოხდის მიზნით მოიხსენია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთს უთხრა – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში არ გეთანხმებიო.



კი, ბატონო, ნუ დამეთანხმებიო, – უპასუხა რუსეთმა, შენი თვალსაზრისი ჯიბეში შენთვის შეინახეო. ასი წელი ამერიკა არ დაეთანხმება რუსეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში, და რაკი კატეგორიულადაც მსოფლიო რუსეთს ვერაფერს ეუბნება, რუსეთს უსინდისოდ ასი წელი ექნება ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია. ასე რომ, ჩვენი კეთილი იმედები, რომ ამერიკის პრეზიდენტის სახით მოვიდა კეთილი ძია, რომელიც დაგვიბრუნებდა ტერიტორიებს, არ გამართლდა.

აქედან დასკვნა – ჩვენ უპატრონო ქვეყანა ვართ, ჩვენი გულისთვის არავინ თავს არ აიტკივებს, საკუთარ თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ.

*ივლისი, 2009*

## აქ ყველაფერი იყიდება

რაც დღეს საქართველოში ხდება, გულგრილობის, უნიათობის და უიმედობის სენი, ეპიდემიასავით სწრაფად რომ ვრცელდება, ოპოზიციის ბრალია. უკვე უხერხულად შევცქერით ტელეეკრანს, როცა ოპოზიციის ბელადები, ნინო ბურჯანაძე და გამყრელიძე, მეთიუ ბრაიზას ნაცვალთან შესახვედრად მიემართებიან. ოპოზიციონერებო, ასე თავაღერებული, უამრავი დაცვის ქვეშ რომ ჩამოდიხართ ძვირად ღირებული მანქანებიდან და თავაწეული მიდიხართ მეთიუ ბრაიზას ნაცვლისკენ, თითქოს სახელოვანი საქმეები გქონდეთ ერისთვის გაკეთებული, სირცხვილის გრძნობა დაკარგეთ?

დღეს, საქართველოში „პოტიომკინის სოფლების“ მოძრაობაა გაჩაღებული. არის მასობრივი შიმშილი. დარტყმას აყენებენ ქართულ ცნობიერებასა და ეროვნულობას. პატივს არ სცემენ დედაენას, ეროვნულ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებს. დარწმუნებული ვარ, ამ თემებზე საუბარი ნამ-

დვილად არ იქნებოდა ოპოზიციასა და ბრაიზას ნაცვალს შორის. საუბარი სხვაგვარად შედგებოდა. ესენი ეტყოდნენ, რომ სააკაშვილის ოპოზიციას წარმოადგენენ. თუმცა ქართველი ერის ნდობის მანდატი არა აქვთ არც სააკაშვილს, არც ბურჯანაძესა და არც გამყრელიძეს. ისინი პოლიტიკურ ასპარეზს აუცილებლად უნდა ჩამოშორდნენ. ჯობს, ოპოზიცია დაფიქრდეს, მეტი წაიკითხოს და ეროვნულობაზე შემდეგ ისაუბროს. ოპოზიციაზეა ნათქვამი: „ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო“. სააკაშვილმა ოპოზიციას ავანტიურისტული მეთოდებით ნამდვილად აჯობა. მე უკვე ყურში მესმის მიშას და ოპოზიციის ღამის საუბრები. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს აქოჩრილი ხალხი დავამშვიდოთ. არ მინდა გაჩეჩილაძეების დონემდე დავიდე და ღამეული პაემნები განვიხილო.

გაზეთებში უფრო გაბედული ჟურნალისტები მუშაობენ და ხელისუფლების შეკვეთებს არ ასრულებენ, ისეთი ნიჭიერი კაცი, როგორიც აქუბარდიაა, ისიც კი დაიშტამპა. აქუბარდია უფრო ობიექტურად საუბრობს, ვიდრე ის პოლიტიკოსი „კურდღელი სტუმრები“, რომელიც მას ხშირად ჰყავს ეთერში. გრიგოლიას გადაცემა მაინც რატომ დახურეს? იგი მერცხალი იყო და საზოგადოებრივ აზრს აფხიზლებდა. ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა გრიგოლია შეენარჩუნებინა. ინგას გადაცემა დახურეს იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლებისთვის გრიგოლია ძნელად გასაზრდელი და სამართავია.

ხელისუფლებას ბოლო დროს ხშირად ელანდება ჯაშუშები...

ხელისუფლების ამგვარი ბრალდებები ავადმყოფური ეჭვიანობის ნაყოფია. რუსეთს საქართველოში არანაირი ჯაშუში არ სჭირდება. ხელისუფლება რუსეთთან დიალოგის დაწყების და ურთიერთობის მოგვარების მოსურნეებს ჯაშუშებს ეძახის. არ შეიძლება აგენტობა დააბრალო პაატა ბურჭულაძეს. ვერ გავიგე, რა ნიშნით მიიჩნია ხელისუფლებამ მალხაზ გულაშვილი აგენტად. პირიქით, რუსი ჟურნალისტები უნდა შემოეშვათ საქართველოში, რათა ქართული ინტელიგენციის



აზრი მოესმინათ. გვეკითხა, რატომ სჯის პუტინი ასე მწარედ საქართველოს და რატომ ართმევს ტერიტორიებს. კედელთან უნდა მიგეყუდებინა ყველა რუსი ჟურნალისტი თუ მთავრობის წარმომადგენლები და გაგვეკიცხა. პასუხი მოგვეთხოვა იმაზე, რაც რუსი ჟურნალიტების გადაცემებში ხდება. გვენახებინა პერევი, ახალგორი და წართმეული ტერიტორიები. ადამიანის აგენტობა მთავრობის სიმპათიითა თუ ანტიპათიით არ უნდა განისაზღვროს. რატომ არ სცემს სანქციებს ჩვენი პროკურატურა ბაღაფშისა და კოკოითის წინააღმდეგ და რატომ არ აცხადებს მათ ძებნილებად? საქართველოს კრიზისულ მდგომარეობას ხელისუფლების მიერ ტელევიზიით დადგმული შოუები ვერ უშველის.

ეს შოუები საზოგადოებას უფრო აღიზიანებს...

ადრე მაღიზიანებდა მიშას გაქცევ-გამოქცევები და ტყუილების კასკადი. ახლა აღარ მაღიზიანებს, იმიტომ, რომ ამ ჩემს გაუბედურებულ, იმედჩაკლულ ქართველ ერს შეიძლება რაღაც ცოტა რწმენა მისმა „დონკიხოტისეულმა საქციელმა“ კიდევ უფრო გაუღვივოს, თორემ მტერმა უყურა ოპოზიციას. ამათ ღამეულ ვოიაჟებსა და მეცნიერულ სახეებს. ჭკვიანი სახეებით დასხდებიან ხოლმე „კავკასიისა“ და „მაესტროს“ ეთერში და გვმოძღვრავენ. რასაც ამბობენ, ჭეშმარიტებად მიაჩნიათ და მათი ჭეშმარიტება კარგად დავინახეთ, რომ სისულელე გამოდგა. სააკაშვილი არაა უნიჭო კაცი, ის ჩქარია და გაიხლართა მსოფლიოს ინტრიგების ბადეში. საქართველოს მშველელი არც ამერიკაა და არც ევროპა. ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაა. სააკაშვილი ეკრანიდან რუსეთის მთავრობას ლანძღავს, ღამით კი საქართველოს მიწა-წყალზე რუსს ვაბატონებთ და რკინიგზასა და ყველა სტრატეგიულ ობიექტს ვაძლევთ.

რუსეთისაგან საშიშროება „დამოკლეს მახვილივით“ ჰკიდია. სანამ რუსეთთან ურთიერთობა არ მოწესრიგდება, არაფერი მოგვარდება. ამერიკა არასოდეს გაიფუჭებს ჩვენ გამო ურთიერთობას რუსეთთან. ბენდუქიძემ ყველაფერი

გაგვიყიდა და დააკნინა საქართველოს ეკონომიკა. გაიარეთ ჭიათურა-საჩხერეში, გეგონება საომარი მოქმედებები იყო, ისეთ დღეშია იქაურობა. ამასწინათ მცხეთაში შემთხვევით ჩინელებს შევხვდი და ასეთი რამ მკითხეს, აქ ყველაფერი ვიყიდეთ და სვეტიცხოველი არ იყიდებაო?! ლიკანი ყაზახებმა იყიდეს, მიანგრ-მოანგრიეს და გაკეთებასაც არ ჩქარობენ. ახლა გავიგე, საირმეც გაუყიდიათ.

ახლახან ტაო-კლარჯეთში გახლდით, გულდაწყვეტილი და ცუდ ხასიათზე ჩამოვედი. ხახული და პარხალი მეჩეთებადაა ქცეული. არც შეგვახედეს, მოლა ისვენებსო. ამ დროს კი, ჩვენი ხელისუფლება, საქმის ნაცვლად, რუსებს მიწებს აძლევს და პატიოსან და ნიჭიერ ადამიანებს აგენტებს ეძახის. თურქებს ტბეთი და ოპიზა მთლიანად აუფეთქებიათ. ორი ლოდია მხოლოდ დარჩენილი.

როგორ ფიქრობთ, რატომ არ რეაგირებს ასეთ ფაქტებზე ჩვენი ხელისუფლება?

ყოველდღიურად თურქეთიდან უამრავი „ტრაილერი“ შემოდის. ის გვაჭმევს და გვასმევს. ჩვენ არა გვაქვს საკუთარი პროდუქცია, არ ვაწარმოებთ არაფერს. ახლა რომ ჩვენ თურქეთს ენა გამოვუყოთ, რატომ არ უვლი ჩემს ისტორიულ ძეგლებსო, „ტრაილერებს“ არ გამოუშვებს და თბილისში კატასტროფული შიმშილი დაისადგურებს.

ყველაზე ცუდი, რაც დღეს ხდება, ეროვნული ცნობიერების მოშლაა. სააკაშვილი ბავშვობაში ქართული თემების წერას ასე იწყებდა, ადამიანისთვის მთავარი პატრიოტიზმი და მშობლიური ენისა და ლიტერატურის ცოდნაა. დღეს რა ღმერთი გაგიწყრა, მიშა, რომ პრიორიტეტად უცხო ენის შესწავლა აქციე? კარგია, როცა სხვადასხვა ენაზე ლადო ასათიანს თარგმნი, მაგრამ საშინელებაა, როცა მწერლები გამოყარე შენობიდან და ატყუებ, მალე დაგიბრუნებთო.

რამ გამოიწვია ეროვნული ცნობიერების მოშლა?

თაობებს შორის გაუცხოებამ და ამ ხელისუფლებამ. ტაო-კლარჯეთში ახალგაზრდებიც გვახლდნენ. მივხვდი, რომ მათ არ აინტერესებდათ ისტორიული ძეგლები. გართობა უნდოდათ მხოლოდ. ერთ-ერთს როცა მშობელმა დაურეკა, ასეთი რამეც კი უთხრა, ეს ბებრები რომ „შემოგვტენეს“, „გაგვიტყდაო“, თორემ სხვა ყველაფერი კარგადაა. არადა, დელეგაციაში იყვნენ ომარ მხეიძე, მარიკა კვალიაშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ვაჟა აზარაშვილი და სხვები. გურამ დოჩანაშვილთან და მუხრან მაჭავარიანთან მივიდა პრეზიდენტი. ძალიან კარგი ჟესტია, მაგრამ როგორ დახვდა ჩვენი გურამი? სახეგაბრწყინებული. მუხრანმა კი თავის დროზე ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა, დიდი შეცდომა დავუშვი, რომ სააკაშვილი პრეზიდენტად ავირჩიეთო. ახლა კი, როცა პრეზიდენტი თავისთან დაინახა მისული, სახეზე ნათელი გადაეფინა და თქვა, შენ ჩემი ფალავანი ხარ, ყოველთვის შენი გამარჯვების მოსურნე ვიქნებიო. ვერ გავიგე მათი ასეთი დახვედრა, მათ უნდა ეთქვათ, რა უბედურებაც ტრიალებს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ უკან დაიხიეს. მუხრანის ასეთმა დახვედრამ ის გამოიწვია, რომ მის იუბილეზე 14 სექტემბერს, დარბაზი არ გაივსო.

*სექტემბერი, 2009 წ.*

## გადარჩენის ორი გზა

ამბობენ, – შემოდგომაზე რაღაც იქნებაო, მაგრამ ამ რაღაცისთვის ჩვენი ხალხი უკვე დაიღალა. ამ რაღაცაში, იცი, რა იგულისხმება?

იქნება პატარა გაფართხალება, მორიგი მოტყუება ხელისუფლებასთან შეთანხმებული, ხელისუფლებასთან ღამის ვოიაჟებით და მოლაპარაკებით მიღწეული და ხალხი მართლა მსურველი ცვლილებებისა, ისევ მოტყუებული დარჩება.

ჩემი წინათგრძნობა ისეთია, რომ ამ დაძახილზე ქუჩაში, თითქმის, აღარავინ გამოვა. ისევ იგივე სახეები, პოლიტიკური დებატები კი არა. პოლიტიკური დებატების მსურველნი დაუძახებენ ხალხს და შეაგებებენ ახალ სატყუარას, როგორც

ბავშვს აძლევენ ხოლმე სატყუარას და მე მგონი, ამ სატყუარას გონიერი ხალხი აღარ გაჰყვება.

მე იმ საზოგადოების ილაჯგაწყვეტილ ნაწილსაც კი პატივს ვცემ, რომელსაც სხვა გზა არ აქვს, რომ არ გამოვიდეს ქუჩაში და არ გამოთქვას თავისი პროტესტი... დიახ, ასეთი ნაწილი გამოვა. ჩვენს ქვეყანაში გათამაშდა ერთი ბრწყინვალე იგავის სიუჟეტი, შენ, რა თქმა უნდა, წაგიკითხავს და იცი ეს იგავი – „ცრუ“, ასეთი სათაურითაა ცნობილი. როდესაც გლეხის ბიჭი იძახის, – არიქა, მგელი მოდის, მგელიო!.. მოატყუა ხალხი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე როცა მართლა მოვიდა მგელი, უკვე აღარავინ დაიჯერა.

ეგ იგავი, თუ არ ვცდები, ჩვენ პირველ კლასში გვასწავლეს, მაგრამ როგორც ჩანს, უმაღლესდამთავრებულმა ხალხმა ჯერაც არ იცის.

როგორც ჩანს, ამ იგავის სიბრძნეს ბევრი ვერ ჩასწვდა... ახლა მე ვხედავ, უკვე ერთმანეთის დაჭმაზე გადავიდნენ ჩვენი ოპოზიციონერები. ადრე იყო ასეთი ლოზუნგი: ერთად დავდგეთ, შევკავშირდეთ, ხელი ხელს მივცეთო... ჩვენ, შეიძლება, შეხედულებები სხვადასხვა გვაქვს, მაგრამ ჩვენი ერთობა, რომელიც საბოლოო საქმისთვის არის საჭირო, ვერ უნდა დაარღვიოს ვერავითარმა ჩვენმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა და უთანხმოებამ.

ახლა ხშირად ისმის ოპოზიციის ლიდერების პირიდან, დროებითი პოლიტიკური არდადეგები ჩვენს დამარცხებას სულაც არ ნიშნავსო, მაგრამ მთელმა საქართველომ კარგად იცის, რომ დღეს, არც მეტი და არც ნაკლები, ნიშნავს ოპოზიციის დამარცხებას და სააკაშვილის გამარჯვებას.

ახლა ყველას უნდა, რომ თავისი წვლილი ამ დამარცხებაში ძალიან უმნიშვნელოდ წარმოაჩინოს და ამიტომ არის ასეთი გაუთავებელი თავის მართლება: ჩვენ ვამბობდით, მაგრამ არ დაგვიჯერესო. არავინ არაფერს ამბობდა, არავის არავითარი რეალური გეგმა არ გააჩნია, ეს იყო სპონტანური.

ეს იყო თავის გამოჩენის მიზნით ორატორობაში ვარჯიში, ორატორობის სკოლა გაიარეს და სხვა არაფერი ჩვენმა



ოპოზიციონერებმა. მიხარია, რომ ჩვენი პრესა ამას ძალიან კარგად ხვდებოდა, მე მიდევს ახლა წინ ყველა ოპოზიციური გაზეთი, თქვენი ორი გაზეთიც და აღფრთოვანებული ვარ არა მხოლოდ ჩემი და სხვების პასუხებით, არამედ თქვენი შეკითხვებით, როგორ სწორად სვამთ აქცენტებს! განა თავიდანვე არ ჩანდა, რომ როგორც კი დაიწყო ეპოპეა 9 აპრილის შემდეგ, არავითარი სატკივარი ხალხისა ცეცხლოვან გამოსვლებში ჩვენი ოპოზიციიდან არ ჩანდა, სატკივარი არ ჩანდა, ჩემო ძვირფასო.

მაგალითად, მე ვერც ერთს ვერ ვათქმევინე, რომ ჩადენილი იქნა საუკუნის დანაშაული: შეუტიეს ქართულ ეროვნულ ფენომენს, მიწასთან გაასწორეს. რად მინდა მე შადრევნების გაკეთება და ასფალტის დაგება იმ ქვეყანაში, რომელიც შენ დაამსგავსე აბსოლუტურად კოსმოპოლიტურ, გლობალურ-სოროსული მოდელის მიხედვით აგებულ ქვეყანას?!

ერთმა ოპოზიციონერმა მაინც თქვას, თუ რატომ დააქციეს საქართველოს უნივერსიტეტი?! თქვენ, ჟურნალისტები, ხანდახან შეკითხვას აძლევდით, მაგრამ ამასაც არ პასუხობდნენ.

გამაგებინეთ, რატომ მოშალეთ სახსრებში ქართული სპორტის ყველაზე ძლიერი ბალავარი – ფიზკულტურის აკადემია?! რატომ გააუქმეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია?! რატომ წაართვეს ქართველ მწერლებს და ჟურნალისტებს თავშესაფარი?! მოდი, ახლა დავსხდეთ ჩვენ და რაკი პოლიტიკური არდადეგებია, გავაანალიზოთ, რა ხდებოდა მაშინ: იყო გამოსვლები, რომლებიც თეთრი ზეწრებივით ჰგავდა ერთმანეთს. გალაღდა ჩვენი ოპოზიციური ტელევიზიების მეშვეობით ერთი და იგივე სახეები, ხალხმა ესენი კარგად გაიცნო, მაგრამ როცა კაცი ლაპარაკობს, სულ გეჩვენება, რომ ხვალ რაღაც აუცილებლად იქნება. ქართველი კაცი იმედიანია თავისი ბუნებით.

სულ გვეჩენება, რომ ტელევიზიით გამოსული ბელადი, ალბათ, რაღაცას არ ამბობს, ალბათ, რაღაცას მალავს, რაღაც გეგმა აქვს, მერე გამოაჩენს.

სულ ჩაგვძახიან, ჯერ ქუჩაში გამოდით, მერე აგვირჩიეთ და გეგმას მერე გაჩვენებთო.

ახლა გაირკვა, რომ აბსოლუტურად არავითარი გეგმა, თუნაც, უსუსური, არ ყოფილა. ეს იყო ორატორობის შემსწავლელი კურსები, რომელიც გაიხსნა პარლამენტის შენობის წინ. ზოგმა სამიანზე ჩააბარა გამოცდები, ზოგმა ოთხიანზე, მაგრამ ერის ინტერესების დაცვასთან ამ სამთვიან კურსებს და პოლიტიკურ ოპოზიციას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

აი, ყველაზე სავალალო ის არის. ახლა, როდესაც ისევ იმავე მანტიით იგივე სახეები ეძახიან საქართველოს, რათა ხალხი ისევ ვირტუალურ სამყაროში და ილუზიებში აცხოვრონ, მე ჩემს აზრს მოგახსენეთ, – რა უფლება მაქვს, სხვაზე ვილაპარაკო? უკვე ღრმად დაეჭვებული ჩვენი ერი ამას არ აჰყვება.

ახლა ორიოდე სიტყვა იმათზეც ვთქვათ, თუ ვინ შეუქმნა გარკვეული პოლიტიკური იმიჯი ამ ჩვენს ოპოზიციას. ორი არხი იყო ოპოზიციური და ჩვენ ყველანი მზად ვიყავით, ხელისუფლებისთვის თვალები ამოგვეჩიჩქნა, რომ „მაესტროს“ და „კავკასიას“ საფრთხე არ დამუქრებოდა. ამოიღე, ჩემო ძვირფასო, გადახედე თუნდაც სამი თვის განმავლობაში „მაესტროს“ და „კავკასიის“ ეთერით გამომსვლელთა სიას. შეძრწუნდები, თითქოსდა, ნაყიდი ჰქონდათ ეს ოპოზიციური არხები ერთი და იგივე სახეებს. გამომსვლელთა სია 11-ს არ შორდება, არავითარ შემთხვევაში. ერთი მითხარი, – დაუძახეს საქმეში გარკვეულ, ერის ბედზე მართლა დაფიქრებულ რომელიმე საზოგადო მოღვაწეს? მე მოგახსენებთ საზოგადო მოღვაწეებზე და არა პოლიტიკანებზე. გინახავს ამ ორი არხის ეთერით რომელიმე მწერალი?

აღარაფერს ვამბობ სახელისუფლებო ტელევიზიებზე, ეს ყველაფერი ამაზრზენია და როგორც არ უნდა შეიცვალოს ხელმძღვანელობა, მაინც არაფერი შეიცვლება.

მე გული იმაზე მტკივა, რომ რანაირად უნდა მომბეზრებოდა მე, ოპოზიციონერ რევაზ მიშველაძეს „კავკასიის“ და



„მაესტროს“ ყურება? ყოველ საღამოს ერთი და იგივე „გივიიი! გივიიიიი!“ ვფიქრობდი, კაი ახლა, ეს ცოტა გადაჭარბებულია, კლოუნადაა, მაგრამ სამაგიეროდ, ხომ არის ლაპარაკი, ხომ ხვდებიან ერთმანეთს აი, ხომ მოიწვიეს ეს პოლიტიკოსი, ხვალ მოიწვევენ უფრო წონადს. ეს საქართველოა, ჩემო გელა, არ შეიძლება შენ შვიდ პოლიტიკოსზე დაიყვანო.

არ შეიძლება, არ გამოჩნდეს ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ნაწილი დღეს ძირითად ოპოზიციაშია? ჩვენი თავი ჯანდაბას... როდესაც სამი ბელადი ბაიდენს შეხვდა, არც ერთს არ წამოსცდენია, რომ ზონდერბრიგადამ საშინელი ვანდალური ტრაგედია გაითამაშა და საათივით აწყობილი ტელევიზია, პატარკაციშვილის „იმედი“ დაანგრია, დაამსხვრია, დაამტვრია და მათრახით სიბნელეში დასდევდნენ ჟურნალისტებს, მაგრამ მათ ბაიდენს მკაფიოდ უთხრეს, – შენ უნდა იცოდე, ჩვენო საყვარელო ამერიკავ, რომ საქართველოში მხარდამჭერი მარტო ერთი კი არ გყავს, სააკაშვილი, არამედ ჩვენც აქ ვართ – ალასანია, ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე. ეყო ახლა ექვსი წელი სააკაშვილს ხელისუფლებაში ყოფნა და ახლა ჩვენ არანაკლები ერთგულებით შევასრულებთ თქვენს დავალებებსო. ეს დავალებები რა არის, იცი? უპირველეს ყოვლისა, ის არის, ჩემო ძვირფასო, რაზეც მე და შენ ვწუხვართ. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ეროვნება რომ არ უწერიათ პირადობის მოწმობაში.

ახლა ზოგჯერ ეკითხებიან ხოლმე ჟურნალისტები პარლამენტის წევრებს, თანამდებობის პირებს, – თქვენ დაუჭერთ მხარს ეროვნების აღდგენას საბუთებშიო? ზოგიერთი უვიცი პარლამენტარი... დეპუტატობისთვის ასეთი ეპითეტი არც შენ გაგიკვირდება, არც მე და მგონი, სალანძღავი სიტყვა არ არის, ისინი შემოხეტებულებივით არიან პარლამენტში და არ იციან, რა უნდა გააკეთონ. ზოგი სერიოზულად პასუხობს, – არაო, კაცო, არავის არ უწერია ეს ეროვნება და ჩვენ რად გვინდა, რატომ გავაღიზიანოთ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ხალხიო? თუ ძმა ხარ, არ წამიშ-

ალო, რასაც ახლა ვიტყვი: მე ვიყავი თვითონ პარლამენტში ეროვნულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ეს საკითხი შესწავლილი მაქვს. მთელ მსოფლიოში ორი ფორმა არსებობს ეროვნების გამოხატვისა სამოქალაქო საბუთებში, ერთი არის ყველას ჩაეწეროს თავისი ეროვნება და მეორე, ყველგან ჩაეწეროს ავტოქთონური, ანუ ძირითადი ერის ეროვნება. სიტყვა – ავტოქთონურის გაგონება არ სურთ სოროსელებს. აი, აქედან მოდის სიძულვილი ქართული კინოსადმი, მწერლობისადმი, პროგრესული ჟურნალისტიკისადმი, თეატრისადმი, მეცნიერებისადმი... როგორ შეიძლებოდა, კაცო, ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დაენგრია ავანტიურისტ ლომაიას და ამისთვის მას პასუხი არ ეგო?! სააკაშვილი ცდილობს, ლომაიას ნამოქმედარი გამოასწოროს, მაგრამ მხოლოდ სიტყვით ცდილობს. რა სისულელე იყო, კაცო, ლოტოტრონით ნიშნავდნენ სკოლის დირექტორებსო, მაგრამ სწორედ ლოტოტრონით დანიშნული არც ერთი დირექტორი სააკაშვილის დანიშნულ ნიკა გვარამიას არ გაუთავისუფლებია. სააკაშვილს სძულს უფროსი თაობა. მე ვიცი ძალიან კარგად, რომ იგი თავის დედას და მამასაც კი არ ეკითხება არაფერს. თვითონ მიშა „გენიოსია“, ყველაფერი იცის და როგორ კარგად იცის ყველაფერი, ეს გამოჩნდა შარშან აგვისტოში, როცა ძლევამოსილი რუსეთის 58-ე არმია დაამარცხა და საქართველოდან გააქცია. ერთხელ სააკაშვილმა თქვა, – უფროს თაობას პატივი უნდა ვცეთო და მინისტრად იულონ გაგოშიძე მოიყვანა, თუმცა ამის შემდეგ არც ერთი განდევნილი მეცნიერი თუ პედაგოგი უკან არ დაუბრუნებია, რომელიც ლომაიამ განდევნა. გია ნოდიაზე აღარაფერს ვლაპარაკობ, მე მგონი, ეს კაცი თვითონ გაუგებრობაა. თავადაც არ იცის, რომელ ეროვნებას განეკუთვნება და მისგან არც ველოდი რამე კარგი საქმის გაკეთებას. ნიკა გვარამია ჩემი ამხანაგის შვილია, ჩემი კოლეგის შვილია, არც ამას დაუბრუნებია ვინმე... ახლა მიშა, შენ თუ მზარდი პრეზიდენტი ხარ, მიეცი მითითებები გვარამიას, რომ რა შეცდომებიც იქნა დაშვებული, გამოასწორეთო. მე არ ვარ ის კაცი,



პატივს არ მივაგებდე კარგი საქმეების კეთებას. ღმერთმა ნუ დამაყენოს ისეთ ჭკუაზე, მარტო შავი და უბედური დავინახო. ახლახან ვიყავი ბათუმში, მთელი ქუჩები გადათხრილია, ძველ მილებს იღებენ, ახალს აკეთებენ. იქ ბულვარს მოუმატა ტერიტორია... ახლა მოვდიოდი და ჩემს მშობლიურ ქუთაისს გამოვუარე, ასევე აკეთებენ გზებს და ღებავენ შენობებს. გზა, გაგეხარდება რა, რომ მოდიხარ... თითქმის გორამდეა მოყვანილი ეს ტრასა, მაგრამ ერთი რამ მინდა ვკითხო, – ეს ყველაფერი მომწონს, მაგრამ ამას რისთვის აკეთებ, მიშიკო? ვისთვის აკეთებ, არარსებული საქართველოსთვის? შენ ხომ დაანგრიე ყველაზე ძვირფასი, რაც ქართველ ერს ჰქონდა – საქართველოს ისტორია, საქართველოს ეროვნული მეობა და ყოველდღიურად ანგრევ ამას. ამდენი შეძახილით, შეიძლება, ხე გახმეს... ამ ბოლო დროს, პოლიტიკოსები და არც ოპოზიციონერები არ გეუბნებოდნენ ამ ყველაფერზე, იმათ თავიანთი ინტერესები აქვთ.

შენ რომ გხვდებოდნენ შუაღამისას გამყრელიძე და გაჩეჩილაძე, რა თქმა უნდა, არ გეტყოდნენ მწერლებს დაუბრუნეთ თავიანთი შენობაო, მაგრამ შენ თვითონ რომ კულტურის მინისტრს მიეცი მითითება, მიეცი ამ ხალხს სახლიო, მერე რატომ შეაჩერე, რა ზიზღი გაღვივდა, რომ თქვი: არაა! მე ისე უნდა ჩავუშვა საფლავში ანა კალანდაძე და სხვები, რომ არ გავახაროო!

ქართველმა ხალხმა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთნაირად შეიძულა. მე მგონი, ეს უკე დიდი ტრაგედიაა.

მე პირადად იმ აზრზე და შეგნებაზე ვარ, რომ ეს ცნობადი სახეები, ეს ტელევიზიით და გაზეთებით გალაღებული სახეები ჩვენი ბელადებისა, ჩვენს საქმეს საწაღმართოდ ვერ შეაბრუნებენ. მე, მაგალითად, ყველა მათგანს ვურჩევდი... თვითონ იხტიბარს არ იტეხენ, თორემ, ზოგიერთი უკვე ამ აზრზეა, ზოგიერთი რომ მხვდება სალაპარაკოდ, უკვე ამ აზრზეა, უკვე ხელჩაქნეული. ბევრს რცხვენია გამოაცხადოს, – წავედიო, თორემ, ფაქტობრივად, წასულია. ზოგიერთი თბილ ყურეს ეძებს, შესაძრომს სააკაშვილთან. ამ შეძრომის მაგ-

ალითი იყო უშიშროების საბჭოზე მისვლა, შემდეგ ვანოსთან ჩახუტება. ოპოზიციის ერთმა ნაწილმა დაივიწყა ლოზუნგი – „სააკაშვილი უნდა გადადგეს!“

ერთი ამიხსენით, როდიდანაა პოლიტპატიმრების განთავისუფლებაზე თავს რომ დებს ნინო ბურჯანაძე? ეგ ქალი სანამ პარლამენტის თავმჯდომარე იყო, განცხადებებსაც კი არ პასუხობდა, როცა პოლიტპატიმრები უგზავნიდნენ ციხიდან. ახლა გაახსენდა მას, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არსებობენ?

ახლა, როდესაც ურემი უკვე გადაბრუნდა, ამ ურმის ისევ გადმობრუნება, ისევ შეკეთება და ქართველი ერის მიყვანა „სულთათანას“ სიმღერით 2013 წლამდე უფრო შეარცხვენს ოპოზიციას და არავითარ სიკეთეს არ მოუტანს. ხომ გახსოვს, როგორ ამბობდნენ, – არავითარი არჩევნები, არავითარი მოლაპარაკება, არავითარი მაგიდასთან დაჯდომა, ახლა ნატრობენ, – ნეტავ კიდევ ერთხელ დაგვიძახოს სააკაშვილმა, ნეტავ, კიდევ ერთხელ შეიძლებოდეს მასთან ერთად დაჯდომა. იქნებ კიდევ რაღაცა გამოვტყუოთო? ეს გამოტყუება კი ნიშნავს იმას, რომ ესენი უკვე ადგილობრივ არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას, მერე, შეიძლება სააკაშვილმა ისევ დასავლეთის ზეგავლენით საპარლამენტო არჩევნებიც დანიშნოს. მე ვიცი, ჩვენი ოპოზიციონერების ფსიქოლოგია, ისინი უკვე ნანობენ, რომ პარლამენტში არ შევიდნენ.

ახლა უკვე ამბობენ, – მოსთხრია პატრონი ამ ჭირვეულ ქართველ ერს, ჩვენს დაძახილზე უნდა გამოსულიყო საქართველოში 2 მილიონი ადამიანიო. რას ჰქვია, ჩვენ სიტყვა ვთქვით, საკნები გავაკეთეთ და 200 ათასი კაცი რატომ გამოვიდაო? – ესენი ერზე არიან გაბრაზებულები ეს უსუსურები, ეს უვიცები, ეს მშიშრები, ეს ლაჩრები. როგორ ბრაზდებიან ჩემს საცოდავ ქართველ ერზე, რომელიც გამოვიდა, დაგიდგა გვერდში, რომელმაც გაავსო სტადიონი და შენ სამარცხვინოდ მოატყუე, უნიათო თამაშის მსხვერპლად აქციე.

ამათ, ქუჩაში გამოსულ ხალხს, იმედი ჩაუკლეს, მართლა სააკაშვილის ჩაუშესკუდ ქცევა კი არ უნდოდა ქართველ



ხალხს, ვინაა სააკაშვილი? მაგალითად, მე, რეზო მიშველაძე, სააკაშვილს თავს არ გავუყადრებ სამტროდ და სალაპარაკოდ. ეგ ადამიანი ერთი ჩინოვნიკია გილაურივით, იჩლიფირთოს, რაღაცას ცუდს გააკეთებს, რაღაცას – კარგს, მაგრამ ხალხი რას ელოდა, იცით? რომ, იქნებ სამუშაო ადგილები როგორმე გამოგლიჯოს ხელიდან სააკაშვილს ოპოზიციამო. არც ერთ ოპოზიციონერს სურვილი არ ჰქონია საქართველოში სამუშაოს ადგილების შექმნისა, ყოველ შემთხვევაში, მათი გამოსვლებიდან ეს არ ჩანდა.

მაშინ, რას ერჩი სააკაშვილს, კაცო? არც მან არ იცის, როგორ უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და თქვენ ხომ მით უმეტეს, არ გცოდნიათ „გრეჩიხავ“, ბურჯანაძევ, კუკავავ, გამყრელიძევ.

ქუჩაში ხალხი იდგა, საქართველო მთავრდებოდა, საქართველოს ხელიდან ეცლებოდა ყველაზე მთავარი რამ, რომლის გამოსწორებასაც შეიძლება ასწლეულები არ ეყოს, ქართული მიწა, მე ცრემლი მდის, როცა იმ კლიპს ვუყურებ, სადაც დასახელებულია 120 ქართული სოფელი როგორ ჩააბარა ორდღიან „სახელოვან“ ომში „გამარჯვებულმა“ სააკაშვილმა „დამარცხებულ“ რუსეთს. ხალხი იდგა ქუჩაში აი, ამ მოლოდინით, იქნებ, რომელიმეს წამოსცდეს, ჯანდაბას ვიშიმშილებ, ისევ გაძვალტყავებული ვიქნებით, ოღონდ ორი სოფელი მაინც გამოვტაცოთ რუსებსო. ამის მცდელობაც კი არ ყოფილა არც ერთი ოპოზიციონერის გამოსვლაში. ახლა ბღავილი: „შენ გიჩვენებ სეირს, ქალი არ ვიყო, თუ არ დაგამხო და არ გადაგტკეპნო!“ ახლა კიდევ ყოველ ღამე ეს გულისამრევი კლოუნადა: „გივიიიიიიი! გივიიიიიიიი!!!“

რა იყო, შე კაი კაცო, იქ რომ ზიხარ, „საკანი“ ჰქვია, „კამერა“ თუ რა, ქუდი მაინც მოიხადე, არადა, არ აქვს გია გაჩეჩილაძეს ისეთი ულამაზო თავი, კაცო... მაგალითად, მე ზუსტად ისე მაქვს თმები, როგორც გიორგი გაჩეჩილაძეს აქვს, მაგრამ გინახივარ ლექციაზე ქუდით?

ერთი პირობა ვიფიქრე, თავის ფორმა აქვს ულამაზო, ან რაღაცა-მეთქი... მშვენიერი მრგვალი თავი აქვს. როდესაც

პოლიციის ეზოში გადახტა ღობეზე, იქ ჩანდა. რა იყო, კაცო, ჰა?.. რა იყო ეს, ქუდით რომ ელაპარაკებოდი ყოველ ღამე საზოგადოებას ერთსა და იმავეს, მოტყუებულმა და გაბრიყვებულმა ხალხმა შენ ხელში აგიყვანა, იმედად და ხსნად დაგისახა, ტრიუმფატორივით შემოგიყვანა სტადიონზე და შენ ეუბნები, – წადით ახლა სამების ტაძარში, ილია მეორე გაგცემთ პასუხსო.

მე ვიცი, რადიკალური ცვლილებები როგორ უნდა გატარდეს, მე ჩემი ფორმები მაქვს.

ორი გზა არსებობს... პირველი – მოწვეული იქნეს ორი პარლამენტის გაერთიანებული სხდომა, ორი რეპრესირებული პარლამენტისა. ერთი არის ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭო, რომელიც ქუჩურად, მუჯლუგუნით და კინწისკვრით იქნა გაგდებული, მეორე – 2003 წლის 22 ნოემბერს გარეკილი. ეს საქმე არ არის ძნელი გასაკეთებელი, მაგრამ უნდა გააკეთოს ნამდვილმა ოპოზიციამ და არა იმან, რომლისაც ქართველებს აღარ სჯერათ.

რაც არ უნდა პატარ-პატარა ორგანიზაციები უნდა შექმნან და რაც არ უნდა უწოდონ – „დაიცავი საქართველო“ და სხვა ასეთები, ეს ყველაფერი ქარში გადგმული სანთელივით ჩაქრება. ეს ტყუილია, მარტო ეროვნულ ნერვზე ღიტინია. მეორე გზა რა არის, იცი? როდესაც შეიკრიბება 200 ან გინდაც 100 ათასი კაცი, შენ პარლამენტში კი არ უნა შევარდე, ან ავლაბრის რეზიდენცია მოაქციო ალყაში, ვერ შევა სააკაშვილი თავის კაბინეტში და გადადგებაო, ზოგიერთს ეგონა, ეს გულუბრყვილო და სულელური აზრი იყო. ამათ დააინვალიდეს ადამიანები ამ „საკნობიეს“ თამაშით. ხალხი უნდა გაიყოს სამად და მთავარი საელჩოების წინ მოაწყოს მდუმარე აქციები მოთხოვნით: ჩვენ ვთხოვთ ყველას, ყოველგვარი რევერანსებისა და სხვა რამის გარეშე წავიყვანოთ ჩვენ მიერ მოყვანილი სააკაშვილი. არ გვინდა ჩხუბი და დავიდარაბა, დაგვიწინაურეთ ეს კაცი და წაიყვანეთ ან „გაეროში“ ან სადმე უფრო დიდ თანამდებობაზე!



აი, ეს ორი გზა არსებობს – ამით შეიძლება მიღწეულ იქნეს საქართველოში რადიკალური ცვლილებები.

არა, სააკაშვილი რომ დაინახავს, ესენი საელჩოებთან მივიდნენო, ცოტა მაინც შეეშინდება და შეიძლება, ცოტა მაინც შემობრუნდეს ქართველი ერისკენ. ვის აქვს საწინააღმდეგო, თუ ის გამოსწორდება, თუ ის რაღაც კეთილ საქმეებს გააკეთებს? შეიძლება, შესახედავად არ მოგვწონდეს და არც მისი არაქართული ღიმილი გვეფინებოდეს გულს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სულ არ შევხედავთ, იყოს, კაცო.

რა თქმა უნდა, ამის გასწორება აღარ შეიძლება, მაგრამ ჩვენი ბედია სააკაშვილი... შენ არ იფიქრო, რომ მაინცდამაინც სააკაშვილშია ჩემი უბედურება. მე ამას გეუბნები ისე კი არა, ნაჩქარევად, საკმაოდ ბევრი მიფიქრია ამაზე. დავუშვათ, ხალხის რისხვამ, რაც უკვე გამორიცხულია, აიძულა სააკაშვილი და მთელი მისი გუნდი, წავიდეს საქართველოდან და მოვიდა აი, ის გუნდი, რომელიც უკვე კარგად გავიცანით, გვარებს აღარ ჩამოგითვლი, უკვე ზეპირად იცის ყველამ... ხომ ვამბობ, რომ იმათ, რომელთა ნაწილიც არჩევნებისკენ იქაჩება, ნაწილი სოფელში გარბის და ზოგს, კიდევ სასამართლო მილიონნახევარს ართმევს ერთ ლარად ნაყიდ ქონებაში, თუ ესენი მოვიდნენ, მტრისას ისევ ოპოზიციაში აღმოვჩნდებით მე და შენ. შენ შეიძლება გაგეხარდეს, ახალგაზრდა კაცი ხარ...

საწერი იქნება ბევრი, საწერი...

კი, შენ ახლა ამათ დაუწყებ ბრძოლას, მაგრამ მე რა ვქნა, 70 წელს მიახლოებულმა კაცმა, მე ვუყურო ახლა ამ აბსოლუტურად არაეროვნულ ოპოზიციას?

ამას წინათ ბურჯანაძეს ჰკითხეს, – როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი რომ იყოთ, დაუბრუნებთ მწერლებს სასახლესო? ბურჯანაძემ თქვა: მე ამაზე ჩემი აზრი მაქვს, ხომ შეიძლება, ჩემი აზრი მქონდესო? ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ დაუბრუნებს! ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით, – ბურჯანაძე იყო ერთ-ერთი ბურჯი საბუთებიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღებისა.

როდესაც მას ველაპარაკებოდი, ასე მპასუხობდა: კარგი, კარგი, ბატონო რეზო, რა საჭიროა ჩვენი ეროვნულობის ხაზგასმა საბუთებში? კი მაგრამ, ჩვენ ხომ ამით ვამცირებთ საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს? ვეუბნებოდი, როგორც ჩვენ გვიყვარს ჩვენი ეროვნება, ისე უყვარს სომეხსაც და ქურთსაც-მეთქი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე.

რა მოხდება, თუ მოვლენ ესენი: ჯერ ერთი, დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში, დაერევიან ერთმანეთს თანამდებობისთვის. დაიწყება მერე – მე ეს მინდოდა, ამისთვის ვიბრძოდი, მე ამისთვის ვბღაოდი, ჩემზე მეტი ვინ გააკეთაო? არადა, ეს დასაწვავი თანამდებობა სულ სამია: პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე და სულ 15-მდე მინისტრი. აი, ამაზე დაერევიან ერთმანეთს და იცოდე შენ, ისე კი არ ვამბობ, რომ სააკაშვილს, იქნებ გავაკეთებინოთ, მოვქაჩოთ, შემოვაბრუნოთ ეროვნულობისკენ-მეთქი?.. ახლა რომ გეუბნები ამას, შინაგანად არ მჯერა, მაგრამ იმდენად დიდია ჩემში სურვილი მისი ცოტათი შემობრუნებისა 2013 წლამდე, რომ უკვე ყველაფერზე თანახმა ვარ.

შეიძლება, ახლა ამისთვის ბრძოლა უფრო იყოს უპრიანი, ვიდრე შემოდგომაზე გამოსვლა და „გრეჩიხას“ ყვირილი ჩვენი ფეხების ბაკუნის ფონზე. ახლა შენ როგორც გინდა, ისე მიაწოდე მკითხველს ჩემი ნათქვამი, მაგრამ ეს აზრი დამიტოვე აუცილებლად, ხომ? შეიძლება, უპრიანი იყოს ამ გიჟის მოქაჩვა. გიჟი არ ჩაწეროთ, ისედაც თვითონ იცის, რომ გიჟია, ახლა თავი შევიკავოთ, იქნებ, რაღაცა გავაკეთებინოთ...

აი, წარმოიდგინე ერთი წუთით, რომ სააკაშვილმა დაიქნია ხელი და წავიდა. ამ მომსვლელ ოპოზიციიდან, არც ერთი არც უნივერსიტეტს აღადგენს, არც ჟურნალისტებს დაუბრუნებს სახლს და არც მწერლებს, თვითონ ეგენი ამერიკულ ჰანგზე არიან აწყობილები.

ვეხვეწებოდი, – თქვით რამე, რატომ არ არის გურამ შარაძის საქმე გამოძიებული-მეთქი? მაგრამ საერთოდ არაფერი ესმოდათ და მე მგონი, ვერც ვარასოდეს გაიგებენ.

*აგვისტო, 2009 წ.*



# ყველამ უნდა გაიგოს

ზოგიერთ ჩინოვნიკს ჰქონია, მავანი და მავანი მწერალი ოპოზიციონერია და ტელევიზორში რომ გამოვაჩინოთ, ან მის გვერდით გამოვჩნდეთ, ხელისუფლება გაგვინაწყენდებაო. ეს მაშინ, როცა მთელი საქართველო ოცნებობს ჭაბუასთან, მუხრანთან, ოტიასთან, რეზო ამაშუკელთან, ან თუნდაც ჩემთან სურათის გადაღებაზე. აი, მინდა, ერთხელ და სამუდამოდ ვთქვა, არც ერთი მწერალი ოპოზიციონერი არ არის. ჩვენ იმდენად არ გავუყადრებთ თავს ბოკერიებსა და თარგამაძეებს, რომ ოპოზიციაში ჩავუდგეთ. მათი ოპოზიცია, როგორც საბოლოოდ დავრწმუნდი, მხოლოდ მათივე რიგებიდან გამოდევნილი პოლიტიკოსები არიან, რომელთაც რევანშის აღება უნდათ და სხვა არაფერი. ჩვენ თანამდებობები არ გვჭირდება... ვცდილობ, გადაჭარბებულად არ გამომივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჭემარიტი მწერალი მხოლოდ კარგი მწერალია და ძალიან ვთხოვ ყველას, ჩვენ ნუ ჩაგვაყენებენ აბეზარ ოპოზიციონერთა რიგებში. აი, ამიტომ არ მივედი მე და არ გავწევრიანდი „დაიცავი საქართველოში“. ჩვენ ცალკე ადგილი გვიჭირავს ერის ცნობიერებაში. აი, სწორედ ეს ცალკე ადგილი ერის წინამძღოლისა, ბელადისა, აღიზიანებთ მედროვე ჩინოვნიკებს. რაც მოგვწონს ოპოზიციის ნამოქმედარში, მხარში ვუდგავართ, რაც არ მოგვწონება, ვუკიჟინებთ. ზუსტად ასე ვაფასებთ ხელისუფლების საქმიანობასაც.

ოპოზიციით დავიწყებ... თუ გახსოვთ, ოპოზიციის ლიდერები ენერგიულად გაჰყვიროდნენ: არავითარი არჩევნები, არავითარი მოლაპარაკებები, ეს ოპოზიციისთვის სიკვდილს ნიშნავსო! ჰოდა, როდესაც ოპოზიციის სულთათანა მოახლოვდა და აჰა, საბოლოოდ გაიმარჯვა სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მეთოდებით, რომელიც უფრო ძლიერი აღმოჩნდა...

თუ გინდა ინტრიგები დავარქვათ... ის მაინც ხომ ფაქტია, რომ ოპოზიციამ ფარ-ხმალი დაყარა? აშკარაა, ზოგი

არჩევნებში მიძვრება, ზოგს პარლამენტში უნდა შებრუნება, ზოგი კიდევ სხვა რაღაცებს ჩალიჩობს. მე პერსპექტივას... აი, კეთილ პერსპექტივას ოპოზიციის საქმიანობაში ვერ ვხედავ. რატომ ვერ ვხედავ, იცი? თავიდანვე იყო ეს ოპოზიცია სხვადასხვა წარმოშობის. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც თამაშობდნენ და ეროვნული ნერვი საერთოდ არ გააჩნდათ, გაფხავებული ეროვნული ნერვიც კი. მე ვხედავდი, რომ ისინი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ რევანშისტები: „ჩვენ გვინდა, განვდევნოთ სააკაშვილი!“ აი, აქ მთავრდებოდა მათი თანადგომა ერისადმი... ჰა, ჰა, კიდევ ერთ რამესაც მიუმატებდნენ ხოლმე მთავარ ლოზუნგს – საქართველოში დემოკრატია არ არის და ჩვენ გვინდა თავისუფალი არჩევნები! ესეც მხოლოდ თავიანთთვის უნდოდათ, თორემ როგორ შეიძლება, შენ არჩევნებზე დასთანხმდე მაშინ, როცა საარჩევნო კანონი არის ცალმხრივად სასარგებლო ხელისუფლებისთვის და როცა თმაგრუზა, შავგვრემანი თარხნიშვილი ისევ ზის თავის სკამზე? ამიხსენი, ვისთან მიდიხარ? აქ არის ერთი რამე, ჩემო კარგო, ან არის გარიგება ოპოზიციასთან, დაპირებულია ვიღაცა, ქალაქის მერის ადგილს ჩაგაბარებო. თუმცა, ვერ გამიგია, ამ პატიოსან სოზარ სუბარს რა უნდა? მე არ ვიცი, ის დროა ახლა, რომ სოზარს გაამარჯვებინებენ და საკრებულოს თავმჯდომარედ დასვამენ? არ დაიჯერო შენ არც ერთი წუთით, შემოდგომაზე წიწილებს ითვლიანო, ვიძახდით ხშირად... აი, მოვიდა შემოდგომაც, მითხარი შენ ერთი გაკეთებული საქმე ოპოზიციისა, რომელიც საწაღმართოდ გამოადგება ქვეყანას, ერთადერთი, ვინც ყოველდღიურად ფრონტის წინა ხაზზეა, ეს არის „ლეიბორისტული პარტია“. გუშინ შალვა ნათელაშვილი გაზის ტარიფებზე იბრძოდა, გუშინწინ – დენის ტარიფებზე, მერე სტუდენტების პრობლემებზე და ასე შემდეგ. ხმალამოღებულები იბრძვიან, თან მათ მოქმედებაში არ ჩანს უკუგების სურვილი: აი, ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ქართველმა ერმა ხმა მოგვცესო. ახლა არ გაგიკვირდეს, კიდევ ერთ რამეს რომ ვიტყვი... ხელისუფლების ბევრი შეცდომა, ბევრი დანაშაული ხომ ძალიან



კარგად ვიცით მედა შენ, ხომ ათასჯერ გვაქვს ნათქვამი, მაგრამ... არ იყო საქმე პატრულის გამოჩენა თბილისის ქუჩებში? მე ამ ჩემი ძველი მანქანით ყოველ მოსახვევში აღარ მაჩერებს ინსპექტორი და ფულს არ მთხოვს. არ იყო საქმე, ვთქვათ, ის, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებდა ყველას, როცა საკუთარი ცოდნით უნიჭიერესი ბავშვიც კი ვერ ეწყობოდა უმაღლეს სასწავლებელში? ეს ეროვნული გამოცდები არ არის საქმე? კორუფციას მარტო სააკაშვილი კი არა მთელი მსოფლიო ერდროულად რომ აღდგეს, მაინც ვერ დაამარცხებს ბოლომდე, ჩვენთან გზების დაგებაზე ფული კეთდება, მაგრამ ფეხი ხომ აღარ გივარდება ორმოში? ახლა მე, რეზო მიშველაძე ამ ჭკუისა ვარ: იქნებ როგორმე ამ ეტაპზე აღარ ვიბრძოლოთ ქართველი ერის ორად გახლეჩისათვის? ერთი მხრივ, არის საზიზღარი ხელისუფლება, – მეორე მხრივ ქართველი ერი.

ახლა მაგალითად, გიჟს რომ ყოველდღე, შე გიჟო, შე გიჟო, დაუძახო, აუცილებლად ქვას გესვრის, მაგრამ ახლოს რომ მიხვიდე და უთხრა: არა, საყვარელო, ვინ თქვა შენზე, გიჟიაო, არაფერი გიჟი შენ არა ხარ... მოვა და დაჯდება შენთან წყანარად. ეს ერთ-ერთი მეთოდიც არის, ჩვენ ვერ შევძელით, ოპოზიციამ სასტიკად მოგვატყუა და გვიღალატა... ჰოდა, იმას ვამბობ, ეს ფორმა ერთმანეთის არშეჭმისა იყოს.

იქნებ სააკაშვილს ზოგჯერ დავუყვავოთ კიდეც? მიადგე, მაგალითად, რატომ ჭამ სუშსო და ესროლო ფანჯრიდან ქვა, არ მიმაჩნია სწორად. უყვარს ამ კაცს სუში და რა ქნას, ამისთვის ჩავდიოთ სულში?

ჩემზე მეტი არც არავის დაუწერია სააკაშვილის ნაკლზე, თუ შენ მოგვხვდეს ხელში, წაიკითხე ჩემი „ოცი რჩევა პრეზიდენტს“, რომელიც მისი მოსვლიდან ხუთი თვის თავზე გამოვაქვეყნე, რა დანაშაულებსაც ახლა სჩადის, ყველაფერი იქ წერია. ჩვენ ორივე მხარისკენ სწორად უნდა გავიხედოთ, ასეთი უნდა იყოს ობიექტური ჟურნალისტი... მე რომელიმე პარტიის გვამში შემძვრალი ჟურნალისტები მძულს... როდესაც ერთი მხარის უამრავ დანაშაულს ჩამოვთვლით, პატივი ვცეთ

იმათაც, ვინც სააკაშვილს ყვირილით ხვდება და ტაშს უკრავს, ვისაც სააკაშვილის ხელის ჩამორთმევა ღვთის წყალობად მიაჩნია. კიდევ იცი, რაზე ვამბობ, რომ ჩვენი პრობლემები ჩვენ თვითონ უნდა მოვაგვაროთ? აი, გაეროს სხდომაზე გავიდა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საკითხი, არც ობამამ და არც გაეროს გენერელურმა მდივანმა, პან გი მუნმა ერთი სიტყვაც არ თქვეს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაზე. როცა შენ თვალწინ გათელილია ქვეყანა, კლინტონი თავისი მომხიბვლავი ღიმილით ჩვენს პრეზიდენტს ეუბნება: საქართველოს ისევ ვუჭერთ მხარსო. ამერიკა ათასი წელი დაგვიჭერს მხარს, მაგრამ ერთი სიტყვით არ ეტყვის კატეგორიულად რუსეთს, შეასრულე შენ მიერ აღებული ვალდებულება და გაიყვანე ჯარი აქედანო. რუსმა ეს ძალიან კარგად იცის და ამიტომ ცინიკურად ეპყრობა ყოველგვარ გადაწყვეტილებას.

როგორ ფიქრობთ, მორალური უფლება როდის ექნება ამერიკას, რომ უთხრას რუსეთს: რა გინდა, ეს საქართველო რომ დაიპყარი და იქ ბერლინის ახალ კედელს აშენებ, გაათავისუფლე, თუ კაცი ხარ, ეს პატარა ქვეყანა. მე აქ რას ვხედავ, იცი? ფარულ მოლაპარაკებას ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შორის: მე კი გეტყვი, მაგრამ შენ არ გააკეთო. საქართველო განწირულია ამ თვალსაზრისით. ამერიკა არანაკლები საერთაშორისო ჯალათია და ხმის ამოღების უფლება მაშინ ექნება, როცა ავღანეთიდან ჯარს გაიყვანს. ამ დღეებში „პირველმა არხმა“ გამოაცხადა: ავღანეთის ომი ჩვენი, ქართველების ომია, დიახაც, ძალიან სწორი პოლიტიკაა, იქ რომ ბიჭებს ვაგზავნითო.

მე მეცინება ჟენევის მოლაპარაკებაზე, გაფუყულები რომ ადიან კიბეზე ეს ჩვენი დიდი დიპლომატები ბოკერიას თავმჯდომარეობით და დაჩუტულები რომ ჩამოდიან ძირს. უცებ რომ შეხვდებიან ჟურნალისტები, ეკითხებიან: რაზე მოილაპარაკეთ? ესენი ამაყად პასუხობენ: გადავდეთ მოლაპარაკება სამი თვით! არადა, სამი თვის მერე ისევ ეს ულვაშებიანი ჩოჩიევი და ეს ფაფახიანი კაცები წავლენ, დასხდებიან ერთმანეთის თვალწინ, იქ უსხედან პენსიონერები... თუ აკვირდებით, 80 წელზე ნაკლების არც ერთი დიპლომატი არ არის, ვინც ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობს, თან სახეებზე აწერიათ: აი, ვატარებთ შეხვედრებს, ამაში იხარჯება მილიონები... რისთვის ყიდულობს სახელმწიფო ამათთვის თვითმფრინავის ბილეთებს, რისთვის გზავნის ჟენევაში, გითხრა? იმიტომ, რომ ქართველი ერი შეიყოლიოს, ჩვენი ცნობიერება განზე გაიყვანოს, თხების ფარას რომ დაუკიდეს წინ კატა და აჩხავლეს, აი, ასე დაგვიკიდეს ეს ჟენევის მოლაპარაკება. გულუბრყვილი ხალხი, თორემ მე უკვე აღარ ვტყუვდები ასეთ რაღაცეებზე. აბა, ნახეთ, თურმე ერთი ნაბიჯით წინ წაწეულან... აი, თურმე კულახმეტოვი მონაწილეობდა შეხვედრაში, კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია, აქამდე, ხელს არ ართმევდნენ ერთამანეთს და ახლა ხელიც ჩამოურთმევიათ! დიდი შეღავათია ახლა ჩვენთვის, თუ სანაკოევმა ვინმეს ხელი ჩამოართვა... ახლა ჩვენი დიპლომატიის დამოკიდებულება როგორია? თურმე რუსეთი რომ დავამარცხოთ და იძულებული გავხადოთ, გაიძურწოს საქართველოდან, ამისთვის, იცი რა ყოფილა მთავარი? მთაწმინდიდან უნდა ჩამოვასვენოთ სტალინის დედა, ეკატერინე ჯუღაშვილი და გორში ავიღოთ სტალინის ძეგლი. ამ დღეებში კვლავ „პირველმა არხმა“ გამოაცხადა: სტალინისა და ჰიტლერის ერთობლივი გეგმით დაიწყო მეორე მსოფლიო ომიო. ამაზე დიდი კრეტინიზმი გაგიგია? თურმე სტალინი ჰიტლერს კი არ ებრძოდა, არამედ ეს ყოფილა შეთანხმებული მოქმედება 20 მილინი ადამიანის გასანადგურებლად.

ჩვენ რომ მთაწმინდის წმენდა დავიწყოთ, იცი თუ არა, რომ უამრავ მომხრეს ჩვენი მშობლებიდან და ჩვენი ბებია-ბაბუებიდან, სასტიკად გავანაწყენებთ? შენ უფლება არა გაქვს, იმ ადამიანების რწმენას არ სცე პატივი, ვინც კეკე მთაწმინდაზე აიყვანა და ვინც სტალინს ძეგლი აუგო. შენ თვითონ იმათი ნაშიერი, არცთუ ნაკლებად სასტიკი, ვიდრე სტალინის ეპოქა იყო, იმათ უპირისპირდები? რით განსხვავდებოდა, მაგალითად, 7 ნოემბერი, „იმედში“ შევარდნა, უნივერსიტეტის პროფესორების პოლიციის ძალით გამოყრა იმ დროის

რეპრესიებისგან? მაშინ შენ, ჩემო საყვარელო დღეს რომ ჟვანიას სკვერს, ბოკერიას ქუჩასა და ბუშის გამზირს აარსებ, არა გაქვს იმის შიში და მოლოდინი, რომ ძალიან მალე მაგ ფირნიშნებს უკან მოგაფარებენ?

მაგალითად, გოკა გაბაშვილი, იცი რა მშვენიერი ჩინოვნიკი იქნებოდა სტალინის დროში. რა შეუბრალებელი და დაუნდოებელი? შენ ერთი წუთით არ იფიქრო, რომ ბერიას რომელიმე მოადგილეზე ნაკლები იქნებოდა. მეტი რა გინდა, კაცო, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისას რაც ამათ ჩაიდინეს, განა ნაკლები იყო? არჩეული კაცი დაიბარეს და უთხრეს, დაწერე ახლავე განცხადება, რომ შენი ნებით გადადექი, თორემ „დედას გიტირებთო“ დამიჯერე, ფეხბურთის ფედერაციაში ასე უხეშად არ ჩაერეოდა თვით ლავრენტი ბერიაც კი.

50 წლით უკან დასწიეს ქართული ფეხბურთი და ახლაც არა მაქვს იმედი, რომ ესენი, თავისუფლად მიუშვებენ სადავეებს, ისევ წავა გარიგებები და მაიმუნობები, ისევე, როგორც ჩვენს ტელევიზიებში ხდება. დღე არ გავა, როცა ქუჩაში გავდივარ, არ გამაჩერონ და არ მითხრან: ბატონო რეზო, რატომ არ ჩანხართ ტელევიზორში? რა ვიცი, იქნება ამათ დონეს ვერ ვაკმაყოფილებ? იქნებ მეტყველება მაქვს მოშლილი ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელივით და აზრის გამოთქმა არ შემიძლია?

ჩვენ თურმე უნდა მივიდეთ და კარი შევუმტვრიოთ, ხომ? ბიჭო, ჩვენ ვაჟაობაზე არ მიგვიწვიეს ჩარგალში და რომელ ტელეარხებზეა ლაპარაკი? მაგათ ჰყავთ თავიანთი მომწერლო ელემენტები, რომლებიც ჩანან, მაგრამ ლიტერატურულ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენენ. ჰყავდეთ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. დღეს პოლიტიზებული როა ხელოვნება, ასეთი არასოდეს ყოფილა, თუ შენში ოპოზიციური აზრი გაკრთა, შენ არ არსებობ, შენ წინაშე შავ ფარდას დაუშვებენ. თუ პოზიციის მომხრე ხარ, ნიჭიერი მომღერალიც ხარ, ნიჭიერი პოეტიც ხარ, ა ბატონო პრემია, ა ბატონო, მივლინებები, წიგნის გამოცემა. რატომ უნდა ხდებოდეს ასე,



როგორ უნდა გაჯობონ ამ თვალსაზრისით კომუნისტებმა, რომლებიც ნიჭიერ ადამიანებს არჩევდნენ!

უნიჭო ყოველთვის უნიჭოს ეძებს... ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ, როცა გარშემო ყველა გღალატობს, ოპოზიციის ჩათვლით, სხვა რაღა დაგვრჩენია? ერთ რამეს გეტყვი: ახალი ფილმი გადაუღიათ, თვალი მოვკარი კლიპს ტელევიზორში. ფანჯარასთან, მომდგარ შიშველ ლამაზ გოგოს აჩვენებდნენ, დარწმუნებული ვარ, მთელ ფილმში შორენას ძუძუების ფასი არაფერი იქნება... იცი, რატომ გამიჩნდა ეს აზრი? ფილმის ლაიტმოტივი – სიმღერა ასე მთავრდება: „ბედნიერი საქართველო ახლა იქმნება, ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნებაა“... თუ ყუბანეიშვილის არა, ეს სიმღერა მისი მსგავსის დაწერილს მაინც ჰგავს. ეს გაამაგრებს სააკაშვილის რეჟიმს? მეტი არ იქნა ჩემი მტერი, ეს ფილმიც ისე დაგვაყრის ხეირს, როგორც ორმა ყბადაღებულმა შოუ-სიმღერამ: „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ და „კოკოითი, ფანდარასტ“.

*ოქტომბერი, 2009*

## ქართველი ერის გამოთაყვანების ხუთი ნიშანი

ამასწინათ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა: – ბატონო რეზო, გავიგე, რომ სააკაშვილი აპირებს თქვენთან მოსვლას და კავკასიური ნაგაზი შეგიძენიათ, აქაოდა, პრეზიდენტი სახლში არ შემომივარდესო...

სააკაშვილს ჩემ მიმართ განსაკუთრებული ბიოლიგიური ზიზღი აქვს. ეს ზიზღი ჯერ კიდევ პარლამენტში ჩვენი ერთად ყოფნიდან იწყება. მე ხანდახან დაველაპარაკებოდი ხოლმე მას მხოლოდ იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, როცა პარლამენტში შემოირბენდა. მინდოდა, ამ ახალგაზრდა

კაცისთვის რაღაცეები გამეზიარებინა ჩემი გამოცდილებიდან, უფრო ეროვნული გამეხადა მისი საქმიანობა. მაგრამ ისე მიყურებდა მიშიკო, როგორც ლენინი – ბურჟუაზიას.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ჩვენ შორის მაშინ წარმოიშვა, როცა სააკაშვილმა, კატეგორიულად გაილაშქრა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ეროვნების ჩაწერის წინააღმდეგ, ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი ენერგიულად გვიმტკიცებდნენ მე, გურამ შარაძეს და ელიზბარ ჯაველიძეს, რომ შევარდნაძეა წინააღმდეგი პირადობის დამადასტურებელ საბუთში „ქართველის“ ჩაწერისო.

მოვკიდე ხელი სამივეს – სააკაშვილს, ბურჯანაძეს, ჟვანიას და მივიყვანე შევარდნაძესთან. გაოცდა შევარდნაძე, არ გრცხვენიათო, – უთხრა, – რატომ მამდურებთ ამ ხალხს, როცა თქვენ ხართ ეროვნულობის დაუძინებელი მტრები და მე რატომ მაბრალებთო!

სიტყვასიტყვით ასე უთხრა ჩემ თვალწინ. სწორედ აქედან დაიწყო ჩემდამი სააკაშვილის „სიყვარული“ იმით, რომ მე სააკაშვილს, როგორც ასაკით მასზე უფროსმა კაცმა, დავუწერე „20 რეჩევა პრეზიდენტს“. საერთოდ, მრჩეველები სძულს სააკაშვილს, მაგრამ მაინც გავუგზავნე ეს წიგნი. გავიდა ხანი და ერთი რამ შევნიშნე სააკაშვილის საქმიანობაში: დაიდო წინ ეს ჩემი ოცი რჩევა და ყველაფერი უკუღმა გააკეთა! უნივერსიტეტიდანაც სააკაშვილის პირადი მითითებით გამომაძევეს. ჩემთვის რომ გული ეტკინა, გააუქმა უნივერსიტეტში ილიას, აკაკის და ჩემ მიერ დაარსებული გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტები. მე მგონი, ჩემი „სიყვარულის“ გამო 2007 წლის 21 აგვისტოს სააკაშვილი თავს დაესხა თავისი ზონდერბრიგადით საქართველოს მწერალთა კავშირს და უმოწყალოდ დაარბია იგი.

აი, ეს არის ჩემი და სააკაშვილის ურთიერთობის ანი და ჰოე. ასე რომ მე არავითარი ძაღლი არა მყავს დაბმული ეზოში, იმიტომ რომ ვიცი, სააკაშვილი ჩემთან არ მოვა, მაგრამ რომ მოხდეს სასწაული და მოადგეს ჩემს ჭიშკარს, რა თქმა უნდა, გავაღებ კარებს, შემოვიპატიჟებ, დავსვამ ჩემს ღარიბულ



ტაბლასთან და განსხვავებით ჩემი ძვირფასი კოლეგებისგან, დითირამბებს კი არ ვეტყვი, არამედ ლაპარაკს დავუწყებ საქართველოს უბედურებაზე. პრეზიდენტის უცაბედი სტუმრობა გურამ დოჩანაშვილთან და მუხრან მაჭავარიანთან თუ იცი, რას ემსახურებოდა?

ეს ძნელი მისახვედრი არ არის! მიხეილ სააკაშვილი უწიგნური კაცია. მან მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე წიგნისთვის ვერ მოიცალა. მე მეცინება, როდესაც სააკაშვილი მუხრან მაჭავარიანის გაზეპირებული ლექსებით ან გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის ციტატებით მიდის ამ გამოჩენილ მწერლებთან. ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება. სააკაშვილს უნდა, გააქარწყლოს მის შესახებ არსებული სწორი წარმოდგენა, რომ სძულს ყველა ნიჭიერი ხალხი, სძულს მწერლები, სძულს ჟურნალისტები და ყველა ისინი, ვინც იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი, არც მეტი – არც ნაკლები, მიხეილ სააკაშვილია! აი, ამიტომ გასაგებია მისი უბადრუკი მცდელობა, შეხედეთ, როგორი დემოკრატი ვარ, მივედი გურამ დოჩანაშვილთან და მუხრან მაჭავარიანთანო.

კაცმა რომ თქვას, ამაში ცუდი არაფერია. მივიდა, მაგრამ მისი მასპინძლები, ჩემი კოლეგები რომ ბოლომდე პირგახეულები ღიმილით დახვდნენ? არცერთმა მათგანმა საქართველოს გასაჭირზე არ ამოიღო ხმა და არ უთხრა სააკაშვილს, რატომ წაართვი მწერლებს სასახლეო!

არ ვიცი, რა აზრის იქნება ჩემს ნათქვამზე ჭაბუა ამირეჯიბი, მაგრამ სააკაშვილი თუ ვინმესთან მივიდოდა, პირველ რიგში, ჭაბუა ამირეჯიბთან უნდა მისულიყო. ჭაბუა ამირეჯიბის კიბეზე რომ აერბინა მიხეილ სააკაშვილს, ყველაზე კარგი ეს იქნებოდა! მე არ ვიცი, ჭაბუა გაუღებდა თუ არა მას კარს. მაგრამ ის, რომ სააკაშვილი ინახულებს დღეს ჩვენ უპირველეს მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს, ეს მის დაცემულ იმიჯს რაღაც ქულებს მიუმატებდა. მაგრამ ასე არ ხდება!

იცი, სააკაშვილი რის მიხედვით არჩევს ადრესატებს? იმის მიხედვით, ვისაც ცოტათი მაინც ატყობს მისადმი სიყვარულს და სიმპათიას! ბზარი უპოვა იმათ, ვისაც სახლში მი-

ადგა. ბზარი უპოვა იმათაც, ვისაც საახალწლოდ ინდაურები გაუგზავნა და ა. შ.

ახლახან საჩხერეში ჩატარდა მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილე, მერე, ალბათ, სხვა ქალქებში ჩატარდება. მუხრან მაჭავარიანმა დაიმსახურა მთელი თავისი შემოქმედებით, თავისი პიროვნული პოზიციით, რომ მას 80 წლისთავის იუბილეს უმართავდეს მადლიერი მკითხველი. მე თვითონ მადლობელი ვარ საჩხერის გამგებლის, საჩხერის კულტურის სამსახურის, ვინც ეს მშვენიერი ღონისძიება ჩაიფიქრა და კარგად, საინტერესოდ ჩაატარა.

მე მომიხდა პირველი სიტყვის თქმა ამ იუბილეზე და უნდა გითხრათ, რომ ყველა გამომსვლელი იყო გულწრფელი მუხრან მაჭავარიანისადმი სიყვარულში და თაყვანისცემაში, ერთადერთი, რაც გულში ჩამრჩა, ის იყო, რომ საჩხერის კულტურის სახლის დარბაზი არ იყო სავსე.

რა თქმა უნდა, ეს თვითონ მუხრანის ფხიზელმა თვალმაც შენიშნა. მერე ცოტა ხნით რომ გამოვედით ფოიეში, მე ვუთხარი, ამან არ დაგაღონოს, ჩემო მუხრან, არც გალაკტიონის შეხვედრების დროს ივსებოდა დარბაზი და შეიძლება, წვიმამაც შეუშალა-მეთქი ხელი ხალხის მოსვლას. წვიმდა იმ დღეს საჩხერეში.

არაო, მუხრანმა მითხრა, ეს იმის ბრალი უფროა, რეზო, რომ ქვეყანა დაქცევის პირას არის, ხალხი დაბნეულია. ტერიტორიები დავკარგეთ, აგერ პერევში რუსი დგას და ახლა იუბილეების დრო არ არისო. სწორი იყო ჩემი მუხრანი ნაწილობრივ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს არ ვუთხარით ის სიმართლე, რასაც ორივენი ვფიქრობდით. ეს სიმართლე, იცით, რა არის?

თავისი საყვარელი პოეტისგან ქართველი კაცი მეტ გაბეუდლებას ელის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს! მეტ გამოქომაგებას ელის! ბოლოს და ბოლოს, ილია ჭავჭავაძე წერდა გულის მოფხანვაზე. ჩვენ მეტი არაფერი შეგვიძლია და გულის მოსაფხანი სიტყვა მაინც უნდა ეთქვა მუხრანს პრეზიდენტისთვის. მიუხედავად ჩემი უღრმესი სიყვარულისა მუხრანის მიმართ, მე პირდაპირ კაცობაზე ვდებ თავს და რაზეც ახლა



ვლაპარკობ, ეს უნდა თქმულიყო. უნდა თქმულიყო მარტო გურამ დოჩანაშვილისა და მუხრან მაჭავარიანის გასაგონად კი არა, არამედ ყველა იმ მწერლისა და ხელოვანის გასაგონად, ვისაც მიხეილ სააკაშვილი ხვალ და ზეგ კარზე მიუკაკუნებს!

საქართველოს საქმე უფრო ცუდად არის, ვიდრე დაწყნარებულ ხასიათზე ჩვენ გვგონია. ხელისუფლებამ საზოგადოების გამოთაყვანებას მიაღწია. დღეს აშკარად იგრძნობა ერის გამოთაყვანების ნიშნები, რომელთა ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ მე ახლა დაგისახელებთ ქართველი ერის გამოთაყვანების 5 ძირითად ნიშანს.

გამოთაყვანების პირველი ნიშნები მაშინ გამოჩნდა, როცა ტელევიზიით საუკეთესო ათეულის გამოვლენის საშინელ პროცესს მიაჩერდა ჩვენი ცხვარი საზოგადოება. მე ამაზე სამარცხვინო საქმეს ვერც კი წარმოვიდგენდი. რუსთაველი და დავით აღმაშენებელი რიგში ჩამიყენეს, აბა რომელ ადგილზეა რუსთაველი და რომელ ადგილზეა დავით აღმაშენებელი და ამით ართობდნენ სერიოზულ ადამიანებს მთელი სამი თვის განმავლობაში.

მეორე ნიშანი ერის გამოთაყვანების მაშინ გამოვლინდა, როდესაც საუკეთესო მომღერლის გამოვლენა გაგზავნილი „ეს-ემესებით“ დაიწყეს და გული ატკინეს არაერთ ნიჭიერ მომღერალს. რა სისულელეა, ტახტზე წამოწოლილი კაცი ზუგდიდში ან თერჯოლაში, ან ბობოყვათში „ეს-ემ-ესს“ გაგზავნის თუ არა, ამით არის მომღერალი ნიჭიერი და არანიჭიერი? ამ დონეზე დავიდა საქართველო?

მესამე ნიშანი ჩვენი ხალხის გამოთაყვანებისა მაშინ გამოჩნდა, როცა ლოტოტრონებით დაიწყეს სკოლის დირექტორების დანიშვნა. ეს ხომ საოცრებაა, კაცო? შიძლება 50 მეტრში ცხოვრობდეს დირექტორობის კანდიდატი იმ სკოლიდან, რომლის დირექტორობის სურვილიც მას აქვს და იქ კი არ დანიშნონ, არამედ ლოტოში ამოუვიდეს ვიღაც გადამთიელს, ის მოიყვანონ დირექტორად და ეს კი – სკოლის ეზოში მცხოვრები, კაცი, რომელმაც ამ სკოლის ყველაფერი კარგად იცის, სადღაც შორს გადაკარგონ.

მეოთხე ნიშანი ერის გამოთაყვანების მაშინ გამოჩნდა, როცა განათლების გაუნათლებელმა მინისტრმა ავანტიურისტმა ლომაიამ თქვა, წიგნის დრო წავიდაო. ამის გამო მას წიგნიერი ადამიანები არ მიუვარდნენ განათლების სამინისტროში და ამ სულელური ნათქვამისთვის თავი არ არტყმევინეს კედელზე.

დღეს, როცა ეს ლომაია ცხრა ზღვის გადაღმაა და იქ აფუჭებს საქართველოს საქმეს, გამოდის საქართველოს პრეზიდენტი და ამბობს: ვერავითარი კომპიუტერი და ვერავითარი ინტერნეტი წიგნს ვერ შეცვლის, წიგნის დრო არასდროს წავაო. ხედავთ, პირდაპირ უპასუხა ლომაიას სააკაშვილმა.

რაი მერე? – როგორც ქუთაისში იტყვიან!

ლომაიას ეს იქ არ გაუგონია, ხოლო სააკაშვილს აქ არავითარი ზომები არ მიუღია იმისთვის, რომ ლომაიას ნათქვამი, ეს სიგიჟე გამოესწორებინა.

იცით თუ არა, რომ საქართველოს მთელ უმაღლეს სასწავლებლებში არსად არ არის წიგნის ჯიხური, წიგნი არ იყიდება შენობაში. ერთადერთი სასწავლებელი, სადაც პატივს სცემენ წიგნს და წიგნის შეძენა შეუძლიათ სტუდენტებს, ეს არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელსაც ძალიან განათლებული და ობიექტური ახალგაზრდა კაცი არჩილ ფრანგიშვილი რექტორობს.

დღეს საქართველოში მოშალეს ეროვნული ორიენტირები და ეს მოხდა მეთოდურად. თანამიმდევრობით. ერში ჩანერგეს არასრულფასოვნების სინდრომი. შეაგუეს ადამიანი, რომ არაფერს ნიშნავს ქართველობა, წარმომავლობა, გენი, უნდა დაივიწყო საკუთარი მამის სახელი. აი, ეს არის პოზიცია საქართველოს სოროსელი ხელისუფლებისა!

ერის გამოთაყვანების მეხუთე ნიშანი არის ის, რითაც სააკაშვილის ხელისუფლებას ჯერ კიდევ ფეხზე დგას. ეს არის აბსოლუტური იგნორირება უფროსი თაობის და კურსის აღება გამოუცდელ გაუთვიცნობიერებელ, გაუნათლებელ, მალემრწმენ ახალგაზრდებზე. სტუდენტებზეც ვერ იღებს კურსს მიხეილ სააკაშვილი და თუ ხედავ, ამ ბოლო დროს 10-12 წლის ბავშვებში ზეობს. აი, ეს არი ერის გამოთაყვანების მეხუთე ნიშანი და ამ ნიშნების სია, თუ როგორ გამოათაყვანა სააკაშვილმა ქართელი ერი, შესაძლოა, უსაშველოდ გაგრძელდეს.



ხელისუფლებაზე ამდენი ვილაპარაკეთ და ოპოზიციაზე არაფერი გვითქვამს. რა სჭირს ჩვენს ოპოზიციას, რატომ არ გამოსდის არაფერი?

ოპოზიციის ლიდერებმა ხალხი შეაგულიანეს და მერე თვითონ განზე გადგნენ. ზონდერბრიგადებს მიუგდეს საცემრად ადამიანები და ახლა ინტერვიუებს იძლევიან. სააკაშვილის ჩამოგდება დროში გაწელილი, ხანგრძლივი პროცესია და ზუსტ გეგმას ერთ კვირაში გამოვაქვეყნებთო. ვერავინ ვერავითარ გეგმას ვერ წარმოადგენს, რადგან მათ არც ასეთი გეგმა გააჩნდათ და არც შედგენის ნიჭი. ესენი იაფ პოპულარობაზე გამეცადინებული სნობები არიან. არცერთი ოპოზიციის ლიდერის, ვინც ამ ბოლო თვების განმავლობაში ცნობილ სახედ იქცა და რუსთაველის პროსპექტზე მიკროფონთან იჭაჭებოდა, მე აღარ მჯერა!

ერთადერთი ეროვნული ძალა, ვისიც მე მწამს, ეს არის ქართული ოცნება!

ადრე ძალიან მაღიზიანებდა სააკაშვილის არაადეკვატური, მოუზომავი გამოსვლები. ახლა აღარ მაღიზიანებს, მხოლოდ მეცინება და შეიძლება ეს უფრო საშიში იყოს!

ახლახან ტაო-კლარჯეთში ვიყავით და იქაური ქართული სიწმინდეები მოვილოცეთ. რა ხდება, რა ვითარებაა ჩვენს ძირძველ ტერიტორიაზე, რომელიც ახლა ბედის უკუღმართობით თურქეთის ხელშია?

დავიწყოთ იქიდან, რომ თურქეთმა 15 ელექტროსადგურის მშენებლობა გადაწყვიტა ჭოროხის ხეობაში და იმის გამო, რომ ეს ელექტროსადგურები გააკეთოს, ტბეთის და ოპიზის მონასტრები ააფეთქა. პარხალი და ხახული მეჩეთებად არის გადაკეთებული და ქართველ ხელოვანთა დელეგაცია არ შეგვიშვეს ხახულში და პარხალში, რა მიზეზით, იცით? მოლა ისვენებს და მას ახლა ვერ გავაღვიძებთო.

20 წლის წინათ ერთად მოვინახულეთ ოპიზა რეზო ჩხეიძემ, ლევან სანიკიძემ და მე. ერთი კვირის წინათ დავბრუნდით ტაო-კლარჯეთიდან ქართველ ხელოვანთა და მწერალთა ჯგუფი, რისთვისაც მადლობა მინდა მოვახსენო თბილისის მერიას. ეს პირველი შემთხვევაა, რომ 45-კაციანი ჯგუფი ქართველი ხელოვანების, მხატვრების, მწერლების, მუსიკოსების, ქორეოგრაფების და სხვათა და სხვათა შეირჩა და გაიგზავნა ტაო-კლარჯეთში. რაკიღა თურქები აშენებენ ელექტროსადგურებს, ის ძველი გზა, რომელიც ტაო-კლარჯეთში მიდიოდა, გაუქმებულია და 700 მეტრით მაღლა აკეთებენ გზებს. რადგან ის დანარჩენი ადგილი წყლით უნდა დაიფაროს. „საყვარელმა“ თურქებმა გზა დაუმიზნეს ოპიზას და ამის გამო ოპიზა ააფეთქეს.

ასევე არ არსებობს ტბეთის უბრწყინვალესი მონასტერი. ამაზე საქართველოს ხელისუფლება ხმას არ იღებს. იმიტომ რომ შევარდნაძემ და სააკაშვილმა დაუკანონეს თურქებს ეს უზარმაზარი ტერიტორია – ტაო-კლარჯეთი და უკვე სადავოდაც აღარ მიიჩნევენ, რომ ეს ტერიტორია თურქეთისაა. მაგრამ მე თურქთან რა საქმე მაქვს, თურქს ვერაფრით მოვთხოვ შეიყვარე ქართული ქრისტიანული ტაძრები და მოუარე მათ-მეთქი, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება რატომ არ იღებს ხმას იმის წინააღმდეგ, რომ როცა აშენდება 15 ელექტროსადგური ჭოროხზე, მდინარე ჭოროხიც აღარ იარსებებს და ჭოროხის ხეობაში მდებარე მთელი ქართული ძეგლები წყლით დაიფარება.

რატომ არ იღებს ამაზე ხმას საქართველოს ხელისუფლება, იცით? იმიტომ, რომ თურქეთი გვარჩენს, თურქეთზე ვართ ჩამოკიდებული. ერთ მშვენიერ დღეს რომ შეჩერდეს ტალღა საქართველოს გზებზე შეფენილი უზარმაზარი ტრაილერებისა, ჩვენს ქვეყანაში საშინელი შიმშილი გამეფდება.

რა ქნას საქართველომ? მიჰყვეს დინებას? არამც და არამც! საქართველოში ამერიკული რაკეტების განლაგება იქნება ჩვენთვის უდიდესი უბედურების მომტანი. ამ რაკეტების აქ ჩამოტანით მარტო რუსეთის კი არა, მთელი მუსლიმანური



სამყაროს სამიზნედ ვიქცევით! საქართველოს დაქუცმაცება დაწყებულია. ხომ ხედავთ, როგორ წამოყვეს თავი ჩვენმა საყვარელმა მეზობლებმა ყველა მხრიდან? ერთადერთი აზერბაიჯანი არ გვეცილება ჯერჯერობით ტერიტორიებს, მაგრამ ძვირფასმა მეზობლებმა ნაწილ-ნაწილ რომც არ დაგვიპყრონ, ქართველები მსოფლიოს გზებზე სახეტიალოდ ისედაც მალე გავიჭრებით, რადგან შიმშილისაგან გათანგული უმუშვერები ყოველდღე ტოვებენ საქართველოს.

ახლა თვალის მოხუჭვა, მოდუნება, გულგრილობა სიკვდილს ნიშნავს. ჩვენ ყველამ სათითაოდ უნდა ავიღოთ ხელში ქართლის ბედის გადაწყვეტის საქმე. მე, ქართველი მწერალი, რეზო მიშველაძე, განგაშის ზარებს ვარისხებ.

მოეშვი გაუთავებელ ზეიმობანას, მიშიკო! ყველა ერთად მართლაც ქვებითა და ფიწლებით დავდგეთ ჩვენი საზღვრების დასაცავად ხარბ მეზობელთაგან, თორემ საქართველო თავდება!

*სექტემბერი, 2009*

## ოპოზიციამ საქართველოს ეროვნული მოძრაობა გაყიდა

ოპოზიციის დამარცხებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთი ის, რომ ოპოზიცია იყო უნიათო და საკმაოდ გაუნათლებელი პოლიტიკაში. დიდი თანამდებობები კი ჰქონდათ, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ ელემენტარულად არ იყვნენ გაცნობიერებული იმაში, თუ როგორ ხდება ხელისუფლების შეცვლა; მეორე – შიში, მესამე – ამათი ინტერესი ხალხის, ქართველი ერის ინტერესს არ ემთხვეოდა. ქართველ ერს ხელისუფლებისგან სურს სამუშაო ადგილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეროვნული ფენომენის გაძლიერება. ეს ოპოზიციის არცერთ წარმომადგენელს სურდა. დღეს

ეროვნულ პარტიად მხოლოდ „ოცნება“ მიმაჩნია, მხოლოდ მათ ამოძრავებთ ეროვნული ინტერესები. სხვა ყველას სურდა მხოლოდ რევანშის აღება, იბრძოდნენ თანამდებობისთვის და არა ქართველი ერის ინტერესებისთვის. ამ სამმა მიზეზმა განაპირობა ოპოზიციის აბსოლუტური დამარცხება და რამდენიც უნდა თქვან, ჩვენ არ დავმარცხებულვართ, ეს დროებით უკან დახევაა, ეს არის აბსოლუტური ტყუილი.

მეოთხე მიზეზი კი გახლავთ ის, რომ ოპოზიციას არ ჰქონდა ბრძოლის არავითარი გეგმა, არავითარი სტრატეგია. მათ მოატყუეს, გააბითურეს, გააცურეს ეს პატიოსანი ადამიანები, ვინც რუსთაველზე მოგროვდა და ახლა ჩირგვებში მიიმალნენ. ჩემი წინადადებაა მათ მიმართ – ყველა მათგანი შებრუნდნენ ისევ თავიანთი მამიდების უკანალში და დაანებონ თავი ყოველგვარ პოლიტიკურ ბრძოლას. ესენი პოლიტიკოსები არ აღმოჩნდნენ!

ლეიბორისტებმა იმ წამსვე იგრძნეს, რომ ეს ოპოზიციის ეგრეთ წოდებული ბელადები არ იყვნენ საწაღმართოდ მოწოდებული და თავიდანვე გაერიდნენ მათ. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში ერთად მოიაზრებოდნენ, მაგრამ შალვა ნათელაშვილის პარტიამ მაინც თავისი გზით იარა. გარდა ამისა, ნახეთ, ხალხს რაც უჭირს, ხალხის გულის თქმა რასაც მოითხოვს, ლეიბორისტები იქ არიან. დენის ტარიფია, ლეიბორისტები აწყობენ აქციას, გაზის ტარიფია – ისე ლეიბორისტები; ქუჩაში მანქანების გაჩერების გამყვლეფავი აქციაა, ლეიბორისტები იქ არიან; სტუდენტებისთვის სწავლის ქიირს უსინდისოდ მომატებაა და ისევ ლეიბორისტები აპროტესტებენ. ამიტომ მიმაჩნია მე, რომ ეროვნული ძალაა, თორემ მასზე შეყვარებული კი არ ვარ.

მე არც ერთი პარტიის წევრი არ ვარ და არც ვაპირებ, ვარ ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე და ჩემი ფუნქცია კარგად ვიცი. არც ხელისუფლების მომხრე ვარ და არც ოპოზიციის, შუაკაცი ვარ, შუაში მდგომი კეთილი მრჩეველი. ხელისუფლება გააკეთებს კარგს, რა თქმა უნდა, ტაშს დავუკრავ. შეეშლება რამე – ყურის ამწევი ვიქნები. ასეთი დამოკიდებულება მაქვს ოპოზიციის მიმართაც, მაგრამ ახლა სასწორზე თუ დაიდება ოპოზიციის და ხელისუფლების პლუსები და მინუსები, მე, რეზო მიშველაძე, რომელიც ვარ ქრონიკული ოპოზიციონერი, ამის გამო გამოუსწორებელ ოპოზიციონერსაც მეძახიან, უფრო მეტ კარგ საქმეს ვხედავ ხელისუფლების მიერ გაკეთებულს, ვიდრე ოპოზიციის. ოპოზიციამ აბსოლუტურად ბალასტის თვისებებით დაახასიათა თავისი თავი ქართველი ერის წინაშე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება არის დაუძინებელი მტერი იმისა, რისთვისაც მე ვიბრძვი – ქართული ეროვნული ფენომენის გაძლიერების (მიხეილ სააკაშვილს სძულს ეროვნება ქართველი, მგონი, მშობელი მამაც სძულს, რადგან მამის სახელი ამოაღებინა ყოველგვარი საბუთებიდან); მიუხედავად იმისა, რომ დონკიხოტური საქციელით გამოირჩევა და გიჟივით დარბის წაღმა-უკუღმა; მიუხედავად იმისა, რომ წამოიწყო სულელური ომი, დაამარცხა საქართველო და ტერიტორიები დააკარგვინა, მე ვხედავ, აი რას: პირველი – მიხეილ სააკაშვილმა შექმნა პატრული. მე თვითონ ვზივარ ჩემი დაფეხვილი ძველი მანქანის საჭესთან და ბედნიერი ვარ, რომ არ მაჩერებს ყოველ წუთს ავტოინსპექცია და არ არის გაწევ-გამოწევა მძღოლსა და ავტოინსპექტორს შორის. ქუჩაში ღია მექრთამეობა მოსპო, მაგრამ იმ დიდ მექრთამეობას, რაც სააკაშვილის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებს ახასიათებთ, ვერ მოერევა სააკაშვილი, რა სუფთა ხელების პატრონიც უნდა იყოს; მეორე – სააკაშვილმა გაამარტივა მიწის, სახლის გაფორმების პროცედურები; ამაზე დიდი ფული კეთდებოდა; მესამე – სააკაშვილმა გააკეთა გზები. პატარა ამბავი არ არის, ყოველდღიურად რომ ასფალტი იგება საქართველოში და მეოთხე, რაც ყველაზე ამაზრზენი იყო – უნიჭიერესი ბავშვიც რომ ყოფილიყავი, უმაღლესში ვერაფრით მოეწყობოდი უფულოდ. მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული გამოცდებით წერტილი დაუსვა ამას. განა ეს 4 ცვლილება საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ყურზე კბენა და ყეფა არ დავუწყოთ ყოველდღიურად სააკაშვილს?!

აბა, ეხლა მითხარი ოპოზიციის გაკეთებული თუნდაც ერთი კარგი საქმე. ვერ მეტყვი!

სააკაშვილის დანიშნული ოპოზიციონერები მოლაპარაკებული არიან ამერიკასთან. ამით ხალხს გადაუგდეს „ნამორდნიკი“ (ძაღლს რომ უკეთებენ პირზე, იმას ჰქვია), აი, სააკაშვილის ალტერნატივაო. ერთი ოპოზიციონერი ორი დღე იყო ამ მიტინგების ავანგარდში და მესამე დღეს განაცხადა, მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთანო. ვისთან ჯდები მოლაპარაკების მაგიდასთან, ვინც 7 ნოემბერი ჩაატარა, ვინც მწერალთა კავშირს შენობა წაართვა, ჟურნალისტები გარეთ გამოყარა?! ვინც ეროვნება გააქრო, იმასთან ჯდები?! მაგრამ თვითონ ბურჯანაძეც, სააკაშვილიც და ოქრუაშვილიც მონაწილეები არიან ამ დანაშაულის. ესენი მხოლოდ იმისთვის არიან, რომ ერთმანეთს მოერიონ, ხოლო ხალხი სულ ფეხებზე ჰკიდიათ. აი, ეს თეორია აქვთ სააკაშვილის ნეკნიდან გამოსულ ეგრეთ წოდებულ ოპოზიციის ლიდერებს.

უამრავი გზა არსებობს. ერთი გზა არის ის, რომ სამების ტაძრისკენ კი არ გაეშვათ ასი ათასი კაცი, არამედ ამერიკის საელჩოსკენ და გამოეცხადებინათ, ჩვენ აქ ვდგავართ ქართველები და როგორც მოგვახვიეთ თავს სააკაშვილი, ისე წაიყვანეთ იქ, საიდანაც მოიყვანეთო. რომ გამოვა ამერიკის საელჩოს თანამშრომელი და ნახავს ამდენ ხალხს, იმ წუთში დარეკავს ამერიკაში. ამერიკა იარაღს ვერ იხმარს უდანაშაულო დემონსტრანტების წინააღმდეგ. ეს მხოლოდ სააკაშვილს შეუძლია, ამიტომ იმ წუთში გამოუძახებს ამერიკაში და დანიშნავს რაღაც დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ეს ერთი გზა.

მეორე არის აბსოლუტურად პარლამენტური. ორი პარლამენტი შეიკრიბოს, ერთი – გამსახურდიას დროინდელი და მეორე – სააკაშვილის მიერ 2003 წელს გარეკილი. ეს ორი პარლამენტი გააკეთებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს, დანიშნავს არჩევნებს და დაამტკიცებს ახალ საარჩევნო კომისიას. ლეგიტიმურია ეს ორი გარეკილი პარლამენტი, ხალხის მიერ არჩეულია და იმიტომ. ამაზე საზღვარგარეთი ხმას არ



ამოიღებს. სხვა კიდევ ბევრი გზა არსებობს, მაგრამ ეს გზა ჭკვიანი კაცისთვისაა, რეგვენისთვის კი არის მხოლოდ ხალხის მოტყუების, დროის კარგვის გზა. იძახიან ახლა სულელურად, დროში გაწელილი საქმეა სააკაშვილის მოცილებაო. დროში გაწელილი იქნება, აბა რა, შენ თუ არაფერს გააკეთებ?!

საქართველო როგორც კი ჩათვლემს, თვალს დახუჭავს და დინებას გაჰყვება, იმ წუთშივე დაიღუპება. ამას კი არ უნდა შევეგუოთ, საქართველომ ენერგიულად უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ ეროვნული მოძრაობიდან ხელისუფლებაში მოვიდეს სუფთა სინდისის, სუფთა ხელების პატრონი ახალგაზრდა და არა ისეთი, გუშინ სააკაშვილის გვამში რომ იყო შემძვრალი, გამოვიდა, რაღაც არ მოეწონა და ახლა იძახის, უნდა დავამხო.

იგივე დაჩი ცაგურია ძალიან მომწონს თავისი უკომპრომისო, გაბედულებით, განათლებით.

ასეთი იყო თავის დროზე სააკაშვილიცო, იტყვის ვინმე.

არასოდეს ყოფილა ასეთი სააკაშვილი. ის ყოველთვის ამბიციური იყო, ქუჩაში არასოდეს დადგებოდა და როგორც დაჩიმ აცემინა თავი ზონდერბრიგადის წარმომადგენლებს, ასე არ დაუდებდა თავის თავს არავის. სააკაშვილი ყოველთვის ჩირგვებიდან იყურებოდა. კარგი ბიჭია ირაკლი კორძაია, ჯაბა ჯიშკარიანი. თქვენი თაობიდან, ამ ახალგაზრდებიდან უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში. მოსასვლელი გზები უამრავი არსებობს, მაგრამ მათ ყველაზე რეალური უნდა შემოგვთავაზონ. ის გზა კი არა, რასაც ლევან გაჩეჩილაძე და მისი ძმა ადგანან, ღამით საუბრები სააკაშვილთან და დილით გულზე მჯიღის ცემა, „მიშა, მოვედი!“-ს ძახილით. ეს იყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის გაყიდვა და მათ ხალხმა რწმენის დაკარგვით დიდი ხნით უკან დასწიეს ქართული ეროვნული მოძრაობა. ახლა კაცს რომ ვუთხრა, ქუჩაში გამოდიო, იტყვის, რა მინდა, რეზო, ქუჩაში, ახლა კიდევ ახალ გამყიდველებს ვუსმინო რუსთაველის პროსპექტზეო. აი, ასე დასწიეს ამათ უკან საქართველო.

ამ ახალგაზრდებს საკმაო გამოცდილება აქვთ, 10 წელიწადია დაჩი ცაგურიას ეროვნულ მოძრაობაში ვხედავ. თქვენ როგორ გგონიათ, 20-22 წლის ბავშვები არიან? ყველა არის 30-ს მიტანებული ან გადასორებული. განა რამდენი წლის უნდა იყოს ჭეშმარიტი რევოლუციონერი, უნდა დაბერდეს?! სააკაშვილი 60 წლის რომ გახდება, ჭკუა მაშინაც არ ექნება, მაგრამ ჭკვიან კაცს 18 წლის ასაკშიც ეტყობა და 30-ისაც. 18 წლის ვასილ კიკვიძე ფრონტს ხელმძღვანელობდა.

რადგან ესენი სუფთა ბავშვები არიან, თანამიმდევრული ბრძოლით შეძლებენ. მაგათი ბრძოლის ფორმებზე არ მინდა ვილაპარაკო, რადგან წინ საშინელი მონსტრი, ნიღბიანი, კუნთმაგარი ბიჭები უდგანან, რომლებიც მათ ფიზიკურად მოერევიან. იმ ბრძოლის ფორმებს – შეაფურთხონ პარლამენტის წევრს ან შეასხან წუჭყიანი წყალი, მაინცდამაინც არ ვეთანხმები, რადგან შედეგი ამათი ციხეში ჩასმა და ამათი ცემა გამოდის. მე კი არ მინდა, რომ ამ ბიჭებმა თავი გაალახინონ და ტვინი გაალაყებინონ პოლიციელებს. ახლა ამათ ეროვნული მანტია უნდა მოისხან და სერიოზული ბრძოლა გააჩაღონ.

*ივნისი, 2009*

## რა უნდა ოპოზიციას?

ხშირად სიმართლის მოსმენა ძალიან მწარეა, მაგრამ მაინც მოუწევს ოპოზიციას ამ სიმართლის მოსმენა...

ლევან გაჩეჩილაძის სახალხო მოძრაობის პრეზენტაციაზე დამირეკეს, მაგრამ მე თვითონ არ მივედი... ჩემს არმისვლას რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ოხერი ვარ, ერთი ქართველი მწერალი, რეზო მიშველაძე სადმე მივა თუ არა, ამით შეიძლება არაფერი შეიცვალოს...

მე ჩემი პატარა მიზეზი მაქვს. ეს გაერთიანება იმ ნაბიჯად ჩავთვალე, რომელსაც სერიოზული შედეგი არ მოჰყვება. ეს



შექმნილია რაღაც პიარისათვის. აი, ხომ ხედავთ, ჩვენთან ვინ დგანან? სახალხო არტისტები, ლაურეატები, სახელოვანი ადამიანები და ასე შემდეგ.

მე არ ვიცი, რამდენად ვარ სახელოვანი ადამიანი, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ იმისი, ვინც დამირეკა.

მე ჩემი შინაგანი ბუნებით ოპოზიციონერი ვარ და ასეთი ვიყავი მჟავანაძის დროსაც კი, მაგრამ არა ვარ რევანშისტი, მე რევანშის ასაღები არაფერი არა მაქვს და კარგად ვიცი, რომ ორივე მხარეს ქართველები დგანან.

ახლა ხელისუფლების რომელიმე წევრი რომ შემხვდეს და ეგრევე ყური მოვაჭამო, ან მთლიანად შევჭამო, ასეთი განწყობა ნამდვილად არა მაქვს. ჩემი პრინციპი ასეთია, ვინც კარგს გააკეთებს, მისი ტაშის დამკვრელი ვერ გავხდები, ამ ასაკიდან გამოსული ვარ, მაგრამ კვერს დავუკრავ, დავეთანხმები და შევაქებ კიდეც. აი, ოპოზიციასთან ვდგავარ სამი-ოთხი წელია. მე ვერ ვათქმევინე ვერც ერთ ოპოზიციონერს კერძო საუბრებში, ჰქონდათ თუ არა საქართველოს პრობლემების გადაწყვეტის ელემენტარული გეგმა.

შრომისუნარიანი მოსახლეობის 80 პროცენტი დაუსაქმებელია, ხელისუფლება რომ ვერ ვარგობს ამ საქმეში, ეს სხვა საკითხია, მაგრამ შენ რომ მოდიხარ, შენ მე მითხარი რაიმე ხელჩასაჭიდი, ჭკუასთან ახლოს მყოფი რამე? მე წინა ინტერვიუშიც გითხარით და კიდევ ვიმეორებ, ასევე ვერ მოვისმინე ვერც ერთი ოპოზიციური ბელადისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გონივრული წინადადება, თუნდაც მითითება, აი, ასე გავაკეთოთ, ასე გავაკეთოთო. ორიგინალობად ზოგიერთ ოპოზიციონერს ის მიაჩნია, მოდი, სახალხო დიპლომატია ავამუშაოთო.

რას ჰქვია სახალხო დიპლომატია? ქართველ მეწისქვილეს თუ შევახვედრებთ ოს მეწისქვილეს, ამით სახელმწიფოებრივი საკითხი გადაწყდება და რუსეთი უარს იტყვის ჩვენი ტერიტორიების მიტაცებაზე?

ესეც ცრუ და ყალბი გზაა, ჩიხში მოექცა ოპოზიცია, მათ თავი არ გაანძრიეს იმისთვის, რათა შეესწავლათ სხვადასხვა

ქვეყნებში ისტორიულად რეჟიმების შეცვლის გზები, ახლა რომ ახალი მარგალიტი გადმოაფრქვიეს, სოფელ-სოფელ ვიაროთო, შენ კარგად მოგეხსენება, რას ჰქვია, სოფელ-სოფელ ვიაროთ.

სოფელში კაცი წელებზე ფეხს იდგამს, რომ რაღაცა ნახევარი წლის მოსავალი მაინც მოიწიოს, შიშით შეჰყურებს კახელი გლეხი ცას, სეტყვა არ მოვიდესო, შენ მიდიხარ ამ დროს და ეუბნები, დაანებე თავი შენს ვენახს, შენს ძროხას, შენს ქათამს და წამომყევი მე, პრეზიდენტი ჩამოვაგდოთო. არის ახლა ეს ჭკუასთან ახლოს მდგომი და რეალური გზა?

ამას ქეიფის სუნი ასდის. ინგა გრიგოლიას თავის გადაცემაში მიჰყავს ოპოზიციონერი და ალაპარაკებს ნახევარი საათი. შე კაი კაცო, დაგიძახეს ამ საღამოს ტელევიზიაში, ნახევარ გვერდზე მაინც ჩამოწერე, სოფლის აქტივის კრებაზე ხომ არ გამოდიხარ? გამოდის მერე პალიკო კუბლაშვილი და გაცილებით დამაჯერებლად საუბრობს: კონკრეტულად გნებავთ, ქალბატონო ინგა? მაშინ გეტყვით კონკრეტულად... აი, ტყიბულის შახტებში ამდენია დასაქმებული, იქ ეს ხდება, აქ ეს ხდება... ბატონო პალიკო, თქვენი ოპონენტი ამბობს, რომ ასე და ასეო. კაცო, ერთი მაგალითი მაინც დაასახელა?

მარტო იმის თქმა, რომ სააკაშვილი გიჟია, სააკაშვილი რასაც აკეთებს, ყველაფერი საშინელებაა, სააკაშვილი დასამხობი და ფეხით გასატკეპნია, ეს არაფერს არ ნიშნავს. ასეთმა თუთიყუშურმა გამეორებამ ყოველდღე დაღალა ხალხი და ნელ-ნელა გაილალა ყველა თავის სახლში... მე ამას გულისტკივილით გეუბნები, ახლა ჩვენ ამას პოლიტიკურ არდადეგებს დავარქმევთ თუ სხვა რამეს, ფაქტი ერთია... მე და შენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, იქ ვტრიალებდით, არ ეყო ჩვენს ოპოზიციას ძალა და გამოცდილება. მე ვერ ვიტყვი, ცოდვას ვერ დავიდებ, რომ ეს შეგნებულად იყო გაკეთებული, რომ ეს დანიშნული ოპოზიციაა, მაგრამ ერთი რამ ხომ ფაქტია.

კაცო, მე ვერ დავაცდენინე ვერც ერთ ოპოზიციონერს ასეთი რამე: პრეზიდენტო, შენ ჩაიდინე საუკუნის დანაშაული, როცა ქართველ მწერლებს სასახლე წაართვი და ჟურნალისტები გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყარე, როცა შენ მათ ნიღბიანი „ზონდერბრიგადები“ შეუსიე! უნივერსიტეტსა და ეროვნების გაუქმებაზე აღარაფერს ვამბობ, მას რომ დაველაპარაკე, საკმაოდ თვალსაჩინო კაცს, მითხრა: რა შუაშია, ბატონო რეზო, მწერალთა კავშირი და ჟურნალისტთა კავშირი, ჩვენ ასე დავხურდავდებით, როცა მსოფლიო პრობლემებზე ვლაპარაკობთო?

კარგი, მე ვუთხარი, მაშინ ასე თქვი: ბატონო პრეზიდენტო, აღადგინე სპორტის აკადემია, უნივერსიტეტიდან გააძევე რექტორ-პოლიციელი გია ხუბუა და ამ დაწესებულებას დაუბრუნე თავისი სტატუსი! ამაზეც კი ამრეზით შემომხედა.

თურმე ნუ იტყვი, ჩვენს ოპოზიციას... მე არ მინდოდა, რომ ეს მეთქვა, პირველად გეუბნები შენ, მართლა კი არა აქვს სურვილი, საქართველოში სამუშაო ადგილების გამრავლებისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თურმე მას რევანშისტული სურვილი ახრჩობს. შენი რევანშისთვის მე ქუჩაში გამოსული 300 ათასი ილაჯგაწვეტილი კაცი ნამდვილად მეცოდება, არა, გენაცვალე, მე ამისთვის სამ თვეზე მეტს ვერ მოვცდები, ეს სამი თვე ჩემი მზეზე ტვინის ადუღება ალალი იყოს, მაგრამ თუ რაიმე პრაქტიკული არ მითხარი, შენ უკვე აღარ გამოგყვები.

აქ არის ერთი რამ... საფრანგეთიდან ჩამოსული სიმპათიური ქალბატონი, თავისი მომხიბლავი მოდური კოსტიუმით და გარდამავალი ფერების შარფით, ყოველდღე აცხადებს: ქალი არ ვიყო, მიშა, თუ შენ ცოტა ხანში არ ჩამოგაგდო! მეორე გამოდის და ამბობს: სააკაშვილი უკვე პოლიტიკური გვამია, მაგისი ამბავი დამთავრებულია, ახლა საათებია საჭირო, მეტი არაფერიო! ასე მეორე, მესამე, გამოდის კიდევ ერთი და ამბობს: ოხ, მიშაა, ქალი არ ვიყო, თუ არ დაგამხო, მე ხომ კარგად გიცნობ, მიშა, შენ! თურმე არც კარგად იცნობს და არც არაფერი იცის. შენ ნუ გგონია, მარტო ოპოზიციასთან მქონდეს პრეტენზია, ვერც სააკაშვილს მოვუწონებ თავის საქციელს: როგორ შეიძლება, მიშა, შენ ობამასა და მედვედევის საუბრიდან მეორე დღესვე აცხადებ, რუსეთის

საქმე წასულია, რუსეთს სამუდამოდ დაჭრილი აქვს ფრთები, არც სახსრები ჰყოფნის და არც ძალა, რომ საქართველოს ომი გამოუცხადოსო? რატომ აღიზიანებ თეთრ დათვს; არ შეიძლება ასე ლაპარაკი, ხომ ნახე, ტანმომცრო პრეზიდენტმა რუსეთისამ ფეხებზე დაიკიდა ამერიკელ კოლეგასთან საუბარი და შენი განცხადების მეორე დღესვე თვითმარქვია ოსეთში ჩავიდა. ეს, რა თქმა უნდა, პროვოკაციაა და ეს პროვოკაციაა იმისთვის, რომ შენ გამოგიწვიონ.

ერთ კვირაში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ჩამოდის თბილისში. როგორც ობამამ გაგიღიმა მოსკოვიდან, ასე იქნება ახლაც... საქართველოში ვიცე-პრეზიდენტებიც ჩამოდიოდნენ, საგარეო საქმეთა მინისტრებიც და დიპლომატებიც, ერთი კეთილშობილი პრეზიდენტი საფრანგეთისა ლამის ყოველდღე აქ იჯდა, მაგრამ მის შეთანხმებას ასრულებს ვინმე? აი, ჩამოვა ახლა ბაიდენი და... მე ვფიქრობ, ეს კაცი ჩამოდის საქართველოს დასაშოშმინებლად.

მისი ჩამოსვლის წინ ოპოზიცია გაითამაშებს დიდ წარმოდგენას, შეიძლება ხალხიც შეკრიბონ, გაატარ-გამოატარონ და მერე ქუჩის ბოლოს... აი, კომუნისტებმა რომ იცოდნენ, სტუდენტებს გამოგვიყვანდნენ „პარადზე“, იდგნენ ხელმძღვანელი ამხანაგები ტრიბუნაზე და ჩვენ გვაძლევდნენ სურათებს, მე ხან ვოროშილოვის სურათი მეჭირა, ხან კიდევ – მოლოტოვის, რუსთაველზე კი ჩავივლიდით ხოლმე, მაგრამ მერე, იქით, ბოლოში კაციშვილი არ იყო, რომ ჩვენთვის ეს სურათები ჩამოერთმია.

„პარადზე“ შეიძლება გაიარო კაგანოვიჩის სურათით, მაგრამ შენს უბანშიც ხომ ვერ ივლი? ამიტომ მივიხედ-მოვიხედავდით და იქვე ვტოვებდით. ასე მოხდება ახლაც, ეს ჩვენი ცეცხლოვანი, გაბედული, მოუსყიდველი ოპოზიცია დარაზმავს ხალხს, გაატარებს რუსთაველის პროსპექტზე, ამბობენ, ახლა ხსნიანო... ჰოდა, ბოლოში იტყვიან: აბა, წადით ახლა კუტუნიებო თქვენ ორ და სამოთახიან სახლებშიო.

ისევ წამოვა გინებ-გინებით ხალხი, რათა მერე მე და შენ ახალი ინტერვიუები ვწეროთ იმაზე, თუ როგორ დასცინეს კიდევ ერთხელ ხალხს.



დარწმუნებული ვარ, ახლა ამაზე მიდის კამათი, საით გავუშვათ, საით ვუქნათ ამ ხალხს პირი, მაღლა კოჯრისკენ თუ მტკვრისკენო? არ ვარგა ეს, ესენი ასე ვერაფერს ვერ გადაწყვეტენ... ბაიდენმა კი არა, ობამამ ვერ შეაცვლევინა რუსებს აზრი, ამიტომ მაგ ადამიანის ჩამოსვლა იქნება მორიგი დიდი გასეირნება საქართველოში.

ეს ბაიდენმაც კარგად იცის, სააკაშვილმაც კარგად იცის და ჩვენმა ოპოზიციამაც კარგად იცის.

ჯონ სტეინბეკს აქვს ერთი რომანი „მრისხანების მტევნები“, სადაც მოძღვარი ეუბნება თავის ნათლულს, ტომ ჯოუდს: მე მოწოდებული ვარ, ხალხს წავუძღვე, მაგრამ საით წავიყვანო, არ ვიციო. ჯოუდი პასუხობს, ატარე ხალხი აღმადაღმა და მერე ჩაყარე პირდაპირ არხშიო.

დიახ, ჯონ სტეინბეკმა მშვენიერი რომანი დაწერა, მაგრამ ახლა ვეუბნები ამათ:

ჩემო საყვარელო ოპოზიციავ, რომელიც მთლად შიშველი დგახარ ჩემ წინაშე და ძალიან კარგად გაგიცანი ამ ხუთი წლის განმავლობაში, გამოგყვები კიდევ ერთხელ, მაგრამ არხში ნურას უკაცრავად, არხში ვეღარ ჩამოგყვები, შენ რომ პრეზიდენტის სკამი გინდა, ამის გულისთვის მე ნუ მაგლახავებ რუსთაველის პროსპექტზე!

პატრიარქი გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ მაშინ, როცა ექიმები ამბობენ, ძალიან კარგად არისო... ჩვენ ვიცით, რომ ის დროებით გასვლას ყოველთვის რაღაც ინციდენტები მოსდევს ხოლმე.

მე ახლა ჭორებს ვერ ავყვები... მე ვურჩევ ქართველებს, კარგად უსმინონ პატრიარქს და ერთმანეთი არ დაჭამონ. თუ ატყობთ, ამ ბოლო დროს პატრიარქმა ნელ-ნელა სწორი პოლიტიკური აქცენტები გააკეთა, აქ კარგად ჩანს ისიც, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მისთვის თავს არავინ გამოიდებს და არც გამოიდო, ახლაც კი, არათუ შარშანდელ ომში, როცა რუსებმა ტანკებით გადაგვიარ-გადმოგვიარეს, ამერიკამ, ფაქტობრივად, არაფერი გააკეთა... აი, ახლაც ამერიკის პრეზიდენტმა, დიდყურებიანმა, მაგრამ სიმპათიურმა ობამამ

საქართველო ისევ ღარიბი ნათესავის მდგომარეობაში დატოვა. ეს არ იყო საქართველოს მფარველისა და მეგობრის შეხვედრა საქართველოს მტერთან, პირიქით, ერთ-ერთ გამოსვლაში მინიშნებაც კი იყო, ჩვენ პატივს ვცემთ რუსეთის პრეტენზიებს პოსტსაბჭოთა სივრცეშიო. გაიგეს რამე აქედან ქართველებმა? შენც არ მომიკვდე, ვერაფერიც ვერ გაიგეს.

*ივნისი, 2009*

## მწარე სიმართლე...

ერთი წელი შესრულდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც ცხინვალში ომი დაიწყო. ომის შედეგების შესახებ მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მთელი ეს უბედურება, რაც თავს დაგვატყდა და რაც ჩვენ თვალწინ დატრიალდა, მოკლედ და კონკრეტულად, – ასე შეიძლება შეფასდეს – „ეროვნული კატასტროფა!“ ამ საშინელი ომის წლისთავზე როგორია ჩემი როგორც ქართველი მწერლის განცდა, მაქვს თუ არა იმედი და საერთოდ, ეშველება თუ არა ამ ქვეყანას რამე?

ბოლო 20 წელიწადში ორი სამამულო ომი წავაგეთ რუსეთთან. სასწაულია, კიდევ როგორ ვდგავართ ფეხზე, რუსეთს ნაპოლეონმა და ჰიტლერმა ვერ მოუგო ომი და ჩვენ რას დავაკლებთ? მე დიდი ისტორიული ქარტეხილების ვითარებაში ვიცხოვრე, მაგრამ ასეთ საშინელ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. რუსთაველისა არ იყოს, „სიცოცხლე გასაწყინარდა“, ყოველ ღამე გალახულივით ვიძინებ... რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო მტკივნეული განცდა, რომ შენი სამშობლო პირქვეა დამხობილი და ვერაფერს შველი. ჩემი ტვინის უჯრედები მხოლოდ და მხოლოდ ერთი დილემითაა შეპყრობილი – რა გადაარჩენს საქართველოს? რა გზით შეიძლება ჩვენი სამშობლოს არსებობა შევინარჩუნოთ? სადაა გამოსავალი? საშინელებაა დამარცხებულის სინდრომით



ცხოვრება, რა შეიძლება იყოს უფრო დიდი ტრაგედია, როცა შენი თვალით ხედავ, როგორ დღითი დღე პატარავდება შენი ქვეყნის მიწა-წყალი... არ გეგონოს, ჩემო კარგო, რომ მაღალფარდოვანი სიტყვებით ვლაპარაკობდე, ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა, როგორც მწერლისა. ჯერ ერთი, მტაცებელი ოკუპანტი – რუსეთი, მტკაველ-მტკაველ, თითქმის ყოველდღიურად გვართმევს მიწებს და რაც გარეშე მტერს გადაურჩა, ხელისუფლება ნაჭერ-ნაჭერ ყიდის. ეს უბედური ვითარება მარტო ჩემთვის ხომ არ არის, ხომ არაფერს ვაზვიადებ-მეთქი, ვფიქრობ, როცა ტელევიზორს ჩავრთავ და ბართლომეს ღამის მხიარულებას, გულისამრევ ცეკვა-თამაშსა და ტლინკაობას ვხედავ... რა გვჭირს, რა დაგვემართა? ამ დღეებში მაინც დავცხრეთ, ამ დღეებში მაინც შევეშვათ გაუთავებელ ბაკქანალიას, როცა ამ 20 წელიწადში ჩვენი სამშობლოს მეორედ დაცემის თარიღი ახლოვდება. აუცილებელია, სიმღერ-სიმღერით და ცეკვა-თამაშით ჩავიდეთ საფლავში? ყველაზე საზიზღარი უპერსპექტივობის, უიმედობის მაჯლაჯუნაა, თანდათანობით რომ ეუფლება ჩემს სულსა და გონებას, სხვადასხვა ისტორიულ მოსახვევზე ყოველთვის კრთოდა ჩემს არსებაში იმედის სხივი, ყოველთვის ვხედავდი გამოსავალს, ვიცოდი, თუ ასე ვივლიდით, გადავრჩებოდით. ახლა თითქმის სრულ აპათიაში ვარ, მით უმეტეს, როცა ტელევიზიით თითქმის ყოველდღე იმის საწინააღმდეგოს ვხედავ, რაც სინამდვილეშია. ასე მგონია, ქვეყნის გამოუვალი მდგომარეობა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს სრულიადაც არ ეხება, სრულიადაც არ ანაღვლებს... თუ ასე არ არის, მაშინ რა გიხარიათ, თქვე ოჯახაშენებულებო?

გადავხედოთ, ჩვენს საცოდავ ქვეყანას, აი, კონკრეტულად ასეთი მწარე სიმართლე, იშვიათად მითქვამს. 500 ათასი, ანუ ნახევარი მილიონი ლტოლვილი გვყავს, თანაც ისეთი ლტოლვილები, რომლებსაც დღითი დღე უქრებათ თვალებში შინ დაბრუნების იმედის სხივი; 300 ათასი ნარკომანი და ამდენივე ლოთი გყავს, 250 ათასი – ფსიქიკურად გადახრილი ადამიანი, მილიონ-ნახევარი – სამშობლოდან ლუკმაპურის

საძიებლად გადახვეწილი, მე ოფიციალურ მონაცემებს გეუბნები... განა რამდენი დავრჩით ამ გაღლეტილ საქართველოში. სადაა შენი ამომრჩეველი, მიშა?.. ვისთვის აცხადებ ამ ადგილობრივ არჩევნებს, თუ იცი? ბარემ არჩევნებზე ვიტყვი, ასე როგორ არის სულიერად კასტრირებული და დაგლახავებული ეს გადარჩენილი საზოგადოება, რომ ისევ თარხნიშვილის ჩატარებულ არჩევნებზე უნდა მივიდეს? ისევ ძველმა სახელგატეხილმა კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები ძველი საარჩევნო კანონით? ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლების მაღალ კაბინეტებამდე არ მიდის 100 ათასობით უმუშევრად დარჩენილის, მათ მიერ ქუჩაში პანღურით გამოყრილი მუშის, ექიმის, ინჟინრის, პოლიციელის, მეცნიერის თუ მასწავლებლის წუხილი. სულ ვფიქრობდი, როგორმე მოვრიგდებით, პოლიტიკური ციებცხელებით შეპყრობილნი შევრიგდებით, მე ხომ შუაკაცად, შუამავლად წარმომედგინა და წარმომიდგენია ჩემი თავი? მაგრამ დატაცებულ, წართმეულ ტერიტორიებს რა ვუყოთ, როგორ მედოს თავი ქართველ მწერალს – რევაზ მიშველაძეს მოსვენების ყურთბალიშზე, როცა ნახევარი მილიონი სახლკარდამწვარი ქართველი მყავს? მაგრამ აქვს თუ არა შესისხლხორცებული ქართულ ხელისუფლებას საკუთარი სახლიდან გამოგდებული ქართველის ურვა და კაეშანი? არსად, ამ წუთში, როცა ამდენი გულშემატკივარი მამიდა გყავს მსოფლიო პოლიტიკაში, არ ზის არც ერთი კომისია და რუსეთთან ბოლო ორი ომის შედეგების ლიკვიდაციაზე არ მუშაობს. არავინ ზრუნავს უმთავრესზე – თავიანთ, თუნდაც გადამწვარ სახლებში დევნილების დაბრუნებაზე! სასაცილოა ჟენევის კომისია, რისთვის ხარჯავენ მისი უგერგილო წევრები, თუნდაც სამგზავრო ფულს, დაურიგონ ეს ფული გაჭირვებულ ხალხს, ხომ ისედაც ნულის ტოლია ჟენევის ყველა თათბირი, თვეში ერთხელ სალაყბოდ და დროის გასატარებლად მიდიან ჟენევაში? აი, ამ უთავბოლო ძალისხმევამ თუნდაც ერთი დღით შეაჩერა რუსული აგრესია? ხომ ხედავთ, ახლა თრუსოს ულამაზეს ხეობას წაეპოტინა რუსისგან შეთამამებული ვიწროშუბლა, ოსი



ატამანი. თუ აგრესორ რუსებთან საზღვრების მოწესრიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია, იმას მაინც რატომ ვერ მიაღწიე სააკაშვილო, რომ აზერბაიჯანთან და სომხებთან გაგერკვია ჩვენი საზღვრები? შეიძლება, რომ საქართველოს ტერიტორიის ძირძველი ნაწილები ისევ გაურკვეველ ვითარებაში იყოს? რაო, რა, დავით გარეჯი და მისი სანახები როდიდან შეიძლებოდა გამხდარიყო აზერბაიჯანის ტერიტორია... შენ, ჩემო მკითხველო, მოდი, შემეკამათე, იქნებ ვცდები, როცა ჩიხურ მდგომარეობაზე ვალალებ!..

ცნება – „ისტორიული მიწები“, ვხედავ, რომ თანამედროვე მსოფლიოს დღეს არაფერს ეუბნება. ეცინებათ, ეცინებათ ამაზე ევროპარლამენტში, ამერიკაშიც, ეუთოშიც, ევროკავშირშიც... რას მიქვიან ისტორიული მიწებიო... არადა, ჩვენ ხომ ისტორია ვართ და მეტი არაფერი? რუსეთის იმპერიულ მადას ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ავლაგმავთ.

გამოსავალი რაშია, რა გზას უნდა დავადგეთ?

ისევ და ისევ დასავლეთი, ისევ და ისევ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა იყოს იმედი და გამოსავალი. რა ვიცი, ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ ფედერაცია ერთი ნაბიჯი იყოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად-მეთქი. მე არა ვარ ამერიკის მიმართ ასეთი რადიკალური შეფასების მომხრე – ჩვენთვის შარშან ხელი არ გაანძრია!.. და ა. შ. რუსეთი სწორედ ამერიკისა და დასავლეთის ძალისხმევამ შეაჩერა, თორემ მოსული იყო, შემოსული იყო თბილისში და არავინ მისი დამკავებელი არ გახლდათ. ნურც ევროკავშირის მიერ გამოყოფილ ოთხნახევარ მილიარდს დავივიწყებთ, ნურც ამერიკის ნაჩუქარ ერთ მილიარდს, ეს რომ არ ყოფილიყო, ჩვენ შიმშილით ჭუკებივით გაგვძვრებოდა სული, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ამერიკა არ აკეთებს თავისი შესაძლებლობის თუნდაც ნახევარს ჩვენი ტერიტორიების აღსადგენად?

კაცმა რომ თქვას, რომელ უცხო სახელმწიფოს დაუცავს სხვა ქვეყნის ტერიტორია და როდის იყო უცხოელებს გაუთავისუფლებია ვინმეს სამშობლო?

ამერიკის პოლიტიკა საქართველოსადმი ასე გამოიხატე-

ბა: „რაც დაკარგეთ, ხომ დაკარგეთ, მაგრამ ახლა გეუბნები შენ, რუსეთო, ჩემო მეგობარო და ჩემო პარტნიორო, მეტს ნუღარ წაართმევ საქართველოს!“ არა და არ წამოსცდებათ ამერიკელებს: რუსეთო, დაუბრუნე საქართველოს თუნდაც ბოლო პერიოდში წართმეული პერევი და ახალგორიო. არადა, გამწარებულ ლტოლვილს გაეროსა და ეუთოს დამკვირვებლების ყურება კი არ უნდა, თავის სახლში დაბრუნება უნდა. აი, ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არაფრით არ შეიძლება კაცმა განაცხადო: უაზროა ლაპარაკი რუსეთთან ერთმორწმუნეობაზეო!.. ან კიდევ: „რუსეთის 58-ე არმიას კუდით ქვა ვასროლინეო!..“ როგორ არის ერთმორწმუნეობაზე ლაპარაკი უაზრო, მიშა, როცა ჩვენ სხვა რელიგიების ოკეანეში მყოფებს ერთადერთი ერთმორწმუნე მეზობელი – რუსეთი გვყავს, რომელიც, რა თქმა უნდა, დამპყრობელია და შესაძლოა, ჰიტლერსა და ნაპოლეონზე დიდი დამპყრობელი დღევანდელ მსოფლიოში. მაგრამ ჩვენ რუსეთს არავინ გამოგვიცვლის...

ჰოდა, იქნებ ხელისუფლება გამოგვეცვალა?

ეს, რასაკვირველია, დღის წესრიგში მდგომი საკითხია, არ შეიძლება მთელი ეროვნული ენერგია სააკაშვილის ჩამოგდებას შევალიოთ. მე კიდევ ვიტოვებ ერთ პაწაწინა იმედს, რომ იქნებ გავტეხოთ სააკაშვილის ბავშვურ-სოროსული სიჯიუტე და ეროვნულ ჰანგზე ავამღეროთ იგი.

კი, საეჭვოა, მაგრამ მაინც, კაცო, არ შეიძლება გაუთავებელი ჯაჯგური, არ შეიძლება დენზე ჩართულივით ძიგძიგი... დააკვირდით დემოკრატებს, რა თქმა უნდა, შეურიგებლები არიან, მაგრამ თან ყოველდღიურად იბრძვიან ხან უსერტიფიკატო ნოტარიუსების წინააღმდეგ, ხან კოლექტიური მრიცხველების წინააღმდეგ... მათი ეს აქციები პატარ-პატარაა, მაგრამ ძალიან ეფექტური ჩხვლეტებია, რომელსაც ხანდახან სასურველი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

როგორ შეიძლება ეკონომიურად ჩვენნაირმა გაძვალტყავებულმა ქვეყანამ პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე ხარჯო ფული. ეგ მკვდრადშობილი პარლამენტი გინდა ქუთაისში



გადაიტანე და გინდა რიო-დე-ჟანეიროში. ეს ხომ მაინც ერთპარტიული და მიცვალებული პარლამენტია? აბა, წარმოიდგინეთ, რა ხარჯები დასჭირდება მაგის ქუთაისში გადატანას? თქმა იმისა, რომ ამით ქუთაისში სამუშაო ადგილები გაჩნდებაო, სისულელეა. რა სამუშაო ადგილები გაჩნდება, მხოლოდ დაცვის წევრები მოემატება რამდენიმე შენობას. სამუშაო ადგილებს პარლამენტის გადატანა კი არ ქმნის, წარმოების აღორძინება ქმნის. ავტოქარხნის დაზგებს დღესაც რომ ჭრიან და ჯართში აბარებენ, აი ის, ააღორძინეთ, აამუშავეთ, აბრეშუმ-კომბინატი აამუშავეთ და აი, მაშინ შეიქმნება სამუშაო ადგილები. ერთ მაგალითს მოგიყვანთ სააკაშვილის ვირეშმაკობისა. ჩემ თვალწინ შეადგინა კულტურის მინისტრმა რურუამ იმის პროექტი, თუ როგორ უნდა გადმოგვცეს „მწერალთა კავშირის“ წართმეული ქონება, პირად საუბრებში რურუაცა და უგულავაც ადასტურებენ და გვეუბნებიან, რომ შენობა ჩვენ გვეკუთვნის, მაგრამ თქვენ არ მომიკვდით, ვინ გვაღირსა? რა თქმა უნდა, სააკაშვილი ბლოკავს მის გადმოცემას, აბა მეტი სხვა ვინ ბლოკავს? არ ვიცი, მე ასეთი უნაპირო ზიზღი ქართული ეროვნული ფენომენის მიმართ, აი ახლა ხომ სიამოვნებდა ბაიდენი რომ ჩამოვიდა და სუხიშვილებმა იცეკვეს! ხომ ხშირად იმეორებს სააკაშვილი, – ჩვენ, ქართველები, მაგრები ვართო! ხომ უმასპინძლდება ქართული კერძებით სტუმრებს! ხომ იმეორებს, თავისუფლების სიყვარული წინაპრებიდან მოგვდგამსო! ხომ ამაყობს დავით აღმაშენებლით! ხომ უკიდია კაბინეტში ილიას სურათი! მაშ, რად გძულს, მიშა, ქართული ფენომენი? რატომ ხარ ილიასეული „მამული, ენა სარწმუნოების“ დაუძინეელი მტერი? რატომ გააუქმე ქართული ენის პალატა, რატომ ამოიღე საარჩევნო კანონში მუხლი იმის შესახებ, რომ პარლამენტის წევრისთვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა? რატომ გაიტანე პარლამენტიდან კანონპროექტი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ? რატომ გაუყიდე ქართველ ხალხსა და შთამომავლობას მამული? რატომ გააუქმე ეროვნება – ქართველი საბუთებში? მახსოვს, დავით

დარჩიაშვილი ამბობდა; ოღონდ რუსეთმა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს და მეტი არაფერი მინდა, მერე ნახოს, რაც დაემართებაო! გამოაცხადა უკვე, აღიარა და თქვენ ხედავთ, სრულებითაც არ ნანობს თავის საქციელს რუსეთი. პირიქით, ყოველდღიურად ახალ-ახალ უბედურებებს სჩადის. ამერიკა კოსოვოს დამოუკიდებლობას უკან რომ წაიღებს და ერაყიდან და ავღანეთიდან რომ გავა, აი მაშინ ექნება მას მორალური უფლება მოსთხოვოს რუსებს აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გაუქმება. მანამდე, ამ ამბავში ამერიკა ძლიერი და კატეგორიული ვერ იქნება. სააკაშვილის თანამებრძოლებიდან, ალბათ ყველასთან შეიძლება ლაპარაკი, მთავარია ენის გამოყოფით, კრეჭვითა და ზიზღით არ ველაპარაკოთ...

ნუ ავყვებით ჩვენ სხვებს სიძულვილში, მთავარია, ეროვნული საქმეებისკენ გადმოვქაჩოთ ისინი და ეს იქნება არაპირდაპირი ზემოქმედება ახლა ბავშვურად გაჯიუტებულ სააკაშვილზე. რაც შეეხება ოპოზიციას, მასზე ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი: მხოლოდ ეროვნულმა ძალებმა უნდა აიღონ ხელში ოპოზიციური სპექტრის ხელმძღვანელობა და ახლა სექტემბრიდან, ისევ ლევან გაჩეჩილაძის ომახიანი შეძახილი – „მიშა, მოვედი!“ და მისი ძმის „უცნობის“ – „გივიიი“ ვისმინო და ისე გაბითურებული და მოტყუებული დავრჩე, ამის არავითარი სურვილი არა მაქვს.

*აგვისტო, 2009*

## თხაო, შენ რა გიხარია...

სანამ ბაიდენის ვიზიტის „უდიდეს მნიშვნელობაზე“ ვიტყოდე რამეს, ჯერ მინდა გითხრათ ბაიდენისადმი ჩვენი ოპოზიციის დამოკიდებულების შესახებ. თუ გახსოვთ, ბაიდენის ჩამოსვლამდე ჩვენი ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა თხოვნით მიმართა თბილისის მოსახლეობას, თეთრი პერანგები და მწვანე ნიფხვები ჩაიცვითო და „თავისუფლების მოედანზე“ ისე გამოდითო, რათა დავანახოთ ბაიდენს ჩვენი პროტესტი ხელისუფლების მიმართო. რატომ იყო მაინცდამაინც ამ პროტესტისთვის საჭირო თეთრი პერანგი და მწვანე კვართნიფხავი, მთლად კარგად ვერ გავიგე და ამიტომ თეთრ ტანსაცმელზე არ მიზრუნია... მთავარი რა იყო, იცით? ოპოზიცია იმდენად დაბნეულია, რომ თვითონაც ვერ გაარკვიეს, რა მიზნით უნდა გამოსულიყო ხალხი ქუჩაში...

ნაწილობრივ დაბნეულიც არის და ნაწილობრივ მიშასიც ეს ოპოზიცია, ერთნი ამბობდნენ ბაიდენის ჩამოსვლას მხარი დავუჭიროთ, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებას პროტესტრი გამოვუცხადოთო. მეორენი იძახდნენ, არც მხარი დავუჭიროთ და არც პროტესტი გამოვთქვათო, ხოლო მესამენი – გამოვიდეთ და უბრალოდ, ბაიდენს ვაჩვენოთ, რამდენი ვართ ჩვენ, ოპოზიციაო: ოპოზიციას ხომ თვლა უყვარს – ხან სტადიონზე გვითვლიან ჩიტებივით, ახლა „თავისუფლების მოედანზე“ უნდოდათ ჩვენი დათვლა, მაგრამ არ გამოუვიდათ, ან კი როგორ გამოუვიდოდათ, როცა სააკაშვილს „ბეტეერები“ და ტანკები ჰყავდა ქუჩაში გამოყვანილი.

თქვენ გჯერათ, რომ ბაიდენმა თვითმფრინავიდან დაურეკა სააკაშვილს, თუ კაცი ხარ, ესა და ეს ოპოზიციონერები შემახვედრეო სალაპარაკოდ? რა თქმა უნდა, ეს სია შეადგინა სააკაშვილმა, მაგრამ იცით, რა იყო? ერთი ოპოზიციონერი ისეთი სახით მიდიოდა ბაიდენთან შესახვედრად, თითქოს მომავალ არჩევნებში მისი პოლიტიკური გამარჯვება უკვე უნდა დამტკიცებულიყო და შეხვედრის დამთავრების შემდეგ ბაიდენს უნდა გამოეცხადებინა, რომ აი, გავარკვიეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა სააკაშვილი და გაიმარჯვა ლევან გაჩეჩილაძემო! მეორე ისეთი სახით, ისე ლამაზად, ისე კარგად დავარცხნილი, მაკიაჟითა და დაცვით მიდიოდა ბაიდენთან, თითქოს ისევ პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ბაიდენს რასაც ეტყოდა, ამერიკის ვიცე-პრეზი-

დენტი ყველაფერს ჭეშმარიტებად და ოქროდ მიიღებდა. ასეთივე სახე ჰქონდა გამყრელიძეს, როცა ბაიდენთან შედიოდა, სახეზე ეწერა: ახლა მაცადეთ, ახლა მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, მიშა... აქამდე თუ არალეგალურად ვხვდებოდი ამერიკის პირველ პირებს, ახლა პირდაპირ მიწევს საუბარი და ვნახოთ, ვისი აჯობებსო. მთელ ამ ბაკქანალიაში სასაცილო რა იყო, იცით? როცა შეხვედრიდან გამოვიდნენ, გამოგვიცხადეს, – ყველაფერს ვერ ვილაპარაკებთ, გასაიდუმლოებულიაო. რა იყო, გამაგებინეთ, გასაიდუმლოებული? რა, ბაიდენი ამათ ეტყოდა: ცოტა ხანს, მაცალეთ, ჩემო საყვარელო კუტუნიებო, მე ვიცი ყველაფერი ძალიან კარგად, სულ მალე თქვენს გამარჯვებას ვიზეიმებთ, ყოველ შემთხვევაში ჩემი შემდეგი ჩამოსვლა ამას დაეთმობაო, ან იმას ეტყოდა, რომ რა იყო, თქვე კაი ხალხო, რატომ ჩქარობთ, ქე ვხედავ, რომ მაინცდამაინც მშივრები არ კვდებით და 2013 წლამდე მაცალეთ და მერე მე ვიცი თქვენი პატივისცემა, ახლა ასეა საჭირო? ბაიდენთან საუბარი საიდუმლოებით და იდუმალებით მოცული რანაირად უნდა ყოფილიყო, ან რას დაჰპირდებოდა ბაიდენი ჩვენს ოპოზიციონერებს ისეთს, რომ ჩემთვის და შენთვის დაემალათ?

მეორე დღეს ბაიდენმა რიხით განაცხადა და პირდაპირ მოუწოდა რუსეთს, რომ გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოდან. ეს იყო ჩვენთვის ყველაზე მთავარი, თორემ დანარჩენი, – „ჩვენ თქვენს გვერდით ვდგავართ!“, „ჩვენ ერთი მიზნები გვაქვს!“ სულ ტყუილი და არაფრისმთქმელი ლაპარაკია. როდესაც ბაიდენმა ბავშვებს უთხრა, – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მაშინ დაიბრუნებთ, როცა საქართველოში დემოკრატია აყვავდება და მეგობარი აფხაზები და ოსები თქვენკენ გამოტრიალდებიანო, – სიმწრით გამეცინა. ეს ძალიან შორეული პერსპექტივა და ცოტა არ იყოს, სასაცილო პერსპექტივა, როცა 100 წლის შემდეგ ჩვენი ძმები, აფხაზები და ოსები იტყვიან, – უიმე, კაცო, რა გვინდოდა რუსეთთან, როგორ აყვავებულა საქართველო, არიქა, გავიქცეთ ქართველებისკენო... ერთი ასეთი ანეკდოტი მახსენდება ამ ამბავზე: კაცს კაცის ვალი აქვს... დამიბრუნეო, ეუბნება, კაცო, არ მიბრუნებ ჩემს ვალსო? – ცოტა მაცადე კირილე, აი ახლა, გაზაფხულზე ცხვარს რომ გარეკავენ, ეკლიანი ღობე მაქვს და ცხვარი რომ გაივლის, მატყლი რჩება იმ ეკალზეო, ამ მატყლს დავაგროვებ, ჩემს ცოლს წინდებს მოვაქსოვინებ, გავყიდი ბაზარში და შენს ვალსაც გადავიხდიო. მევალეს სიმწრისაგან გაეცინა, ხოლო მოვალემ უთხრა: რა გაცინებს, კირილე, გაინაღდე ხომ, ვალს რომ გადაგიხდი და იმიტომ გეცინება? ისე გაინაღდა ჩვენმა დამაწყევარმა რამე, როგორც ჩვენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას გავინაღდებთ, თუ მთელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების კეთილი პოლიტიკური ნება არ იქნა, ძლიერი პოლიტიკური ზეწოლა რუსეთზე.

თუ ადამიანი ხარ და თან ისიც კარგად იცი, რომ იმ ბავშვების გაუბედურებაში შენი წვლილი ძალიან დიდია, მაშინ კაცს კურცხალი კი უნდა მოადგეს თვალზე. სხვათა შორის, თუ ჯო ბაიდენს საქართველოსთვის არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ქმედითი დახმარება სურდა, მის სიტყვაში ორი მიმართულება უნდა გამოკვეთილიყო და უნდა ეთქვა, მე რომ ჩავალ ამერიკაში, შევეცდები, დავარწმუნო ბატონი პრეზიდენტი, რომ გააუქმოს ამერიკის მიერ კოსოვოს აღიარება, რადგან კოსოვოს აღიარებით ამერიკამ წაახალისა რუსეთის მოქმედება და ეს იყო ბუშის ადმინისტრაციის უხეში შეცდომა, და მეორე, თუ მართლა გული აუჩუყა ბაიდენს დევნილი ბავშვების მდგომარეობამ, მას უნდა ეთქვა: ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა დგას ამ ბავშვების აცრემლებული თვალები, არ ღირს სააკაშვილისა და პუტინის ურთიერთსიძულვილი, ან ორი პოლიტიკური ბანაკის არსებობა მსოფლიოში იმად, რომ ეს პატარა გოგო-ბიჭები თავის ბუდეს, თავის სახლ-კარს იყვნენ მოშორებული და ყოველღამე ესიზმრებოდეთ თავისი გადამწვარი სახლ-კარი; ამიტომ, მოდით, პირველი ნაბიჯი ის გადავდგათ, რომ სანამ პოლიტიკურად მოვაწესრიგებდეთ ჩვენს ურთიერთობებს, პირველ რიგში დავაბრუნოთ დევნილებიო. ბაიდენს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს... აი, ამ ორი რამის

ართქმა მაფიქრებინებს, რომ ბაიდენის ვიზიტი იყო ბრძენი ამერიკელი პოლიტიკოსის კეთილი ნების ვიზიტი საქართველოს დასაშოშმინებლად და კიდევ ერთი ნაბიჯი მსოფლიო პოლიტიკაში იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთო, მზად ვარ შენთან პოლიტიკური მეგობრობისათვის, მაგრამ იმდენი ფული ჩავყარე საქართველოში, რომ ნურას უკაცრავად და საქართველოს ასე ადვილად ვერ დაგითმობო... სხვათა შორის, სერგეი შამბამ ბაიდენის ჩამოსვლას უზუსტესი დიაგნოზი დაუსვა, როცა თქვა: ძვირფასო ქართველებო, მაინცდამაინც ნუ გექნებათ გადაჭარბებული შეფასებები ამ განცხადებების გამო, რადგან რაც ბაიდენმა თქვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკია და მეტი არაფერი. ბაიდენმა კი გითხრათ, მაგრამ ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდისო... ეს ქარავანი კი, ჩვენდა საბედისწეროდ მიიზლაზნება, უახლოეს 100 წელიწადში ყურს არ შეიბერტყავს და არავის რჩევას, თხოვნასა თუ მოთხოვნას არ შეისმენს რუსეთი, – არიქა, საქართველოს აფხაზეთი და შიდა ქართლი დაუბრუნეო. მამაჩემსა აქვს ცხონება, მე მინდა ვურჩიო საქართველოს პრეზიდენტს: ნუ იჩქარებ, მიშა, დასკვნების გაკეთებას!.. ერთი ხალხური ლექსისა არ იყოს, – „თხას უთხრეს მგელი მომკვდარა, თხა შეკუნტრუშდა, გაიქცა; თხაო, შენ რა გიხარია, განა სამგლეთი დაიქცა?“ ბაიდენის კეთილი ნების განცხადებები საქართველომ მომავალ სამოთხესა და საქართველოს მომავალ გამთლიანებაზე, მხოლოდ ლამაზ სიტყვებად დარჩება და ნუ მისცემ შენს თავს იმის უფლებას, მიშა, რომ თეთრ დათვს, რომელსაც ისედაც დაკრეჭილი აქვს კბილები და ბოროტი თვალით გვიმზერს, ასეთი რამ უთხრა; ჩვენ დავამარცხეთ რუსეთის 58-ე ძლევამოსილი არმია, გავაქციეთ იგი საქართველოდან, ხოლო მისი გენერალი დავჭერითო. ამას პუტინიც ისმენს, მედვედევიც ისმენს, ხრულოვიც ისმენს, ბორისოვიც ისმენს და შე კაი კაცო, საქართველოს ამოგდება გინდა?.. რისი გამქცევი ხარ, ვის ეჭიდავები, რამდენჯერ უნდა დაგიბეჭდონ ჟურნალისტებმა ის სურათი, როცა გორში ხარ წაქცეული, მუხლებზე დაცემული და როგორ იხედები მაღლა, ცაში, საიდანაც რუსული ბომბდამშენები საქართველოს მოსახლეობას ცეცხლსა და სიკვდილს უგზავნიდნენ. არ გაქცეულან რუსები საქართველოდან და არავის დაუმარცხებია ისინი, მიშა, ნეტა კი ასე ყოფილიყო...

ამ ოპოზიციაზე საუბრით დავიღალეთ... ოპოზიციას, როგორც მე ვიცი და შევისწავლე, საქართველოს გადარჩენის არავითარი გეგმა არ გააჩნია, საქართველოს გადარჩენა ახლა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების შეცვლაშია. მაგრამ შენ ერთი წამით წარმოიდგინე, მშვიდობიანი რევოლუცია რომ მოხდეს საქართველოში, რა ამბავი მოხდება ოპოზიციის ბანაკში. ვაიმე, მტერს არ ვუსურვებ, დედა შვილს არ აიყვანს ხელში, იქ ამბავი იქნება... იცით, რატომ? ყველა თავის გულში პატარ-პატარა პრეზიდენტია. როცა ტელევიზიით ოპოზიციის რომელიმე ლიდერს იწერენ და მეორე ლიდერი მას გვერდით უდგას, იმას სახეზე აწერია და მე ვკითხულობ ამას როგორც მწერალი: რას ლაპარაკობს ეს, ვინ არის, ვინ მიგდია, მე ვარ და ჩემი ნაბადი, მე წინ ვინ დამიდგებაო? ოპოზიციის ბანაკში რომ ძიძგი-ძიძგი მამალო გაიმართება სკამების გულისთვის, ამაში შენ ხომ ეჭვი არ გეპარება? ვაი მაშინ შენ, უბედურო საქართველო... ამ ეტაპზე ახლა ქართველი ხალხი უნდა გაჰყვეს „ოცნებას“, ყველა დანარჩენი, ვისაც ოპოზიციის ბელადი ერქვა, არის შერცხვენილი საქართველოს წინაშე. საქართველომ კურსი უნდა აიღოს ბიძინა ივანიშვილზე, ნაწილობრივ „ეროვნულ ფორუმზე“, ხოლო იმის შემდეგ, როცა გადავა ეს პოლიტიკური ამინდი, როცა გავა წლები და ჩემ მიერ დასახელებული ორი პარტიის გადარჩევის საკითხი დადგება, მაშინ მე ცოცხალი, ალბათ, არ ვიქნები, მაგრამ მოვუწოდებ მთელ საქართველოს და ჩემს შვილიშვილს დავუბარებ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას მისცეს ჩირაღდანივით ანთებულ პატარა ბიჭს, ჩემს ყოფილ სტუდენტს, რომელიც კრაზანასავით არ ეპუება სააკაშვილის დამსჯელ ექსპედიციებს, თავი აქვს გადადებული ქვეყნისთვის... ეს პატარა ბიჭი არის დაჩი ცაგურია.

*ივლისი, 2009*

# ოპოზიციას ყური ავუწიოთ...

საქართველოს ჩიხში შეყვანა არის ქვეყნის არაადეკვატური, მოვლენებში გარკვევის უნარმოკლებული ხელისუფლების და მთელი დასავლური თაიგულის – გაერო, ევროკავშირი, ეუთო და ა. შ. მიზეზი. ამერიკა ავად გაიხლართა თავის მიერ უტვინოდ დაგებულ მახეში და ახლა თავის დაძვრენას ცდილობს. სასაცილოა ჩვენი ხალხის დაბოლება იმით, რომ ვინმე გარედან გამზადებულია ჩვენს საშველად. სინამდვილეში, ჩემო მკითხველო, არავითარი მსგავსი არ ხდება. ეს არის დროის გაყვანის პოლიტიკა. ამერიკას და ევროკავშირს საქართველო ჰგონიათ ნახევრად ველური ტომებით დასახლებული ქვეყანა და ფიქრობენ, ამ მშვენიერ ტერიტორიაზე სანამ მთლიანად გადაშენდებიან ქართველები, მანამდე როგორმე დრო გავიყვანოთო. გაერომ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ დამკვირვებლები შეენარჩუნებინა საქართველოში. შეიძლება დასავლეთის რაიმე გავლენაზე ან ბერკეტზე ვილაპარაკოთ რუსეთის მიმართ? 100 წელი იქნება რუსეთი გაეროს წევრი და 100 წელი ექნება უფლება დაბლოკოს საქართველოს სასარგებლოდ მიღებული გაეროს ყველა რეზოლუცია. ერთი რამ მიკვირს: ან მოთავებული გიჟები არიან, დიპლომატიის ანი და ბანი არ ესმით, ხომ იცით, რაც არის დამკვირვებელთა მისია? სიგარეტგაჩრილი დააბიჯებს წინ და უკან კონფლიქტის სიახლოვეს, თუ დამპყრობელმა რუსმა რაიმე საშინელება ჩაიდინა, თავშესაფარში შეიყუჟებიან. რომ ჩაწყნარდება სიტუაცია, გამოვლენ გარეთ, იკითხავენ, გააშანშალებენ უბის წიგნაკებს და ჩაიწერენ – ესა და ეს მოხდაო. აი, ეს არის დამკვირვებლის მთელი ფუნქცია და ამათი შენარჩუნება თუ ვერ მოახერხა აქ მსოფლიომ, როგორც ჩანს, გაგვწირა. ახლა ყველა კარგი გამოსავალი ის იქნება, რაკი გაეროს და ეუთოს დამკვირვებელი სეპარატისტულ რეგიონებს ვერ აკვირდება, ამოკარი პანღური და გააგდე აქედან. აი, ამიტომ ვამბობ: საბოლოოდ დადგინდა, მსოფლიოს ჰყავს ორი ყველაზე დიდი აგრესორი – აშშ და რუსეთი. რუსეთის წინააღმდეგ მთელ დანარჩენ მსოფლიოს არ ჰქონია არავითარი ბერკეტი, რომ მისი აგრესია არა თუ შეაჩეროს, არამედ დამკვირვებელი მაინც დაუნიშნოს.

ჩვენი ოპოზიცია იმედოვნებდა: მოგეხსენებათ ბურჯანაძე, ზურაბიშვილი, სხვები და სხვები მსოფლიოს სხვადასხვა მისიებში არიან ნამუშევარნი და პირადი კონტაქტები აქვთ მსოფლიო დიპლომატიასთან. ესენი იმედოვნებდნენ, რომ მცირე ზემოქმედებას მაინც მოახდენდნენ სააკაშვილზე ევროპისა და ამერიკის საშუალებით. ისევე, როგორც ამერიკამ ვერ მოახერხა რაიმე ზემოქმედება რუსეთზე, მოკრძალებული შენიშვნაც კი ვერ მისცა საქართველოს გულისთვის. აი, იმავე დასავლეთმა ყვითელი შუქიც კი ვერ აუნთო სააკაშვილს თავის აღვირახსნილ ქმედებებში. ქართული ოპოზიციის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეიკრა დასავლეთიც და საქართველოს გალირფებული ხელისუფლებაც. ამან არევ-დარევა, უიმედობა, სასოწარკვეთა გამოიწვია ოპოზიციაში და საზოგადოების ყველაზე სუფთა, ყველაზე მუხლმაგარი ნაწილი, ახალგაზრდობა განაწყო აქტიური შემტევი ბრძოლისთვის, რაც იარაღდამიზნებული ჯიხვების შეტევას ჰგავს. ჯიხვებს კიდევ აქვთ მიკრომიზანი, რომ ამ კლდიდან იმ კლდეზე უნდა გადახტნენ, მაგრამ ამ ახალგაზრდებს არავინ არ მართავს. მე მეცოდება ჩემი უსაყვარლესი სტუდენტები, თუნდაც დაჩი ცაგურია, რომლებიც გაწირეს ოპოზიციის ლიდერებმა. ამას ჰქვია მისიანება: მიდი, მიდი, მოვდივარ. ეს კი, თავისი ქვეყნის, ახალგაზრდების მოძულე სააკაშვილის რეჟიმის დროს ყოველთვის თავდება ცემა-ტყეპითა და დაპატიმრებით. კიდევ ერთი მომენტი: დაინახეს, რომ მარტო დარჩნენ და ქვეყანაზე მათი მშველელი არავინ არის, ოპოზიციის ლიდერებმა სხვადასხვა გზის ძიება დაიწყეს. მე სასაცილოდ მიმაჩნია სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური აცუნცრუკება. რას ჰქვია, ყოველდღიურად იძახი მიტინგებზე: თქვე ქაჯებო, თქვე ნაძირლებო, თქვენ სისხლისმსმელებო და მეორე მხრივ, მე შევალ ახლა და მივუჯდები ვანო მერაბიშვილის მაგიდას კოლეგიის სხდომებზეო. რა სისულელეა. წარმოგიდგენია, რომ რომელიმე სერიოზული რევოლუციონერი,

მეფის „ოხრანკის“ შემოთავაზებას ღებულობდა? სალომეზე ცოტა უფრო ჭკვიანი იყო დათა თუთაშხიას პერსონაჟი მუშნი ზარანდია, მაგრამ როგორც კი ის მუნდირი ჩაიცვა, იმ წუთშივე საკუთარი ბიძაშვილის მოსისხლე მტრად იქცა. კიდევ კარგი, პეტრე ცისკარიშვილს ეყო გამჭრიახობა და წინდაუხედავ პრეზიდენტს ასეთ ბრძანებაზე ხელი არ მოაწერინა. სალომე ზურაბიშვილი რომ ვანო მერაბიშვილის პოლიციაში შესულიყო როგორც მინისტრის მოადგილე და არა როგორც პატიმარი, მაშინ გენახათ თქვენ ოპოზიციის იმიჯის ნულზე დასვლა. ასეთი მივარდნებით სააკაშვილზე ვერ ვიმოქმედებთ. ლაყე კვერცხის სროლა ქართული მოვლენა არ არის, ეს დასავლეთიდან მოდის. არც წყლის შესხმა, ენის გამოყოფა, შეფურთხება არის ქართული მოვლენა, მაგრამ მე ახალგაზრდების კარგად მესმის, მე მათ არ ვამტყუნებ. ახალგაზრდები დააბნიეს.

მართლაც რა არის, როგორც გამოვუშვათ ეს უდანაშაულო ბავშვები ციხიდან? თავიდან დავიწყოთ. ერთი წამით არ შეუწყვეტია სააკაშვილს ზიზღი ქართველი ხალხისადმი. ერთი წამით უარი არ უთქვამს დამსჯელ ექსპედიციებზე. რაც იყო 7 ნოემბერს, ის იყო 6 მაისს, 28 მაისს და ის იყო ახლახან პარლამენტის წინ, როცა ბავშვები დაიჭირეს. ჯერ პროვოცირება გაუკეთეს, სპეციალურად გამოდიოდნენ ცოტა უფრო ჯანიანი პარლამენტარები უკანა კარიდან, რომ გამოეწვიათ ამ ახალგაზრდების თავდასხმა. არავითარ შემთხვევაში პოლიციაზე ან საპყრობილეზე თავდასხმით იმათი გამოშვება არ მოხერხდება. ნახეთ რა უქნეს ზურაბ აბაშიძეს, წყნარ, ინტელიგენტ ბიჭს. აქ ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, ერთი რამ მოხდა ფსიქოლოგიური, ძახილი იმაზე, ნუ გეშინიათ, პოლიცია დღეს სხვა არის, ეს სხვა ჯარია, აღმოჩნდა აბსოლუტურად უნიადაგო და მცდარი თეორია. ხალხს სცემენ კი არა, სანამ სისხლს არ ამოახველებს, მანამდე ურტყამენ სააკაშვილის ზონდერბრიგადები. რა იყო თქვე კაი ხალხო, ასეთს რას გაძლევთ თქვენი არაადეკვატური პატრონი, სულ ველარ იხედებით თქვენ რეზინის კეტების იქით, არ გყავთ მშობლები, ოჯახი? გამოსავალი ამ სიტუაციიდან არის ისევ



და ისევ ხალხის დიდი მასის გამოსვლა ქუჩაში, ოღონდ ძალიან გაფილტრული ოპოზიციის ლიდერების ხელმძღვანელობით. არა ისეთების, ხან იპოდრომზე რომ გაუშვებენ ხალხს და ხან სამების ტაძრისკენ, არამედ მდუმარე ლაშქრის შეკრება რუსთაველის პროსპექტზე სწორედ იმ მიზანდასახულობით, რაც ქვეყნის ძირფესვიანად შეცვლას, თვითმარქვია ხელისუფლების ძირფესვიანად შეცვლას მოემსახურება.

რომელ ლიდერს უნდა ენდოს ხალხი?

სიმართლე გითხრათ, ახლა ვინც არის, არც ერთი მათგანის აღარ მჯერა. ძალიან მიყვარდა სამი კაცი: გუბაზ სანიკიძე, კოკო გამსახურდია, კახა შარტავა, მაგრამ კოკო გამსახურდიამ ნოღაიდელისკენ გაუტია, რითაც სამუდამოდ დაისამარა თავი პოლიტიკურ ასპარეზზე. გუბაზ სანიკიძეს ეტყობა, შეეშინდა და რაღაც სულელური ფიქრები აეკვიატა ხალხოსნობის შესახებ. ესეც ახალი სისულელეა. სოფლებში მოგინდა პურმარილი? თუ იმას ფიქრობ გულუბრყვილოდ, რომ ოფშკვითელი გლეხი მიატოვებს თავის ძროხას, ქათამს, გასამარგლ სიმინდს და თბილისში სააკაშვილის ჩამოსაგდებად გამოგეკიდება? ეს ბავშვური აზრია. სანიკიძის ორეულია კახა შარტავაც. ერთადერთი, ჩემი ჭკუით, ჭკუადამჯდარი პოლიტიკოსი, ეროვნული, ვისაც შეიძლება დღეს ხალხი გაჰყვეს – ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ჯერ ასპარეზზე აქტიურად არ ჩანს.

*ივნისი, 2009*

## ურისკოდ არ გამოვა...

ე. წ. „საკნების აქცია“ სულს ღაფავს... აი, მაგალითად, დღეს (1 ივლისს) ჩემ თვალწინ, საკანთა იღბლად გადარჩენილ ქალაქს, ე. წ. ტაქსისტები მიადგნენ, რომლებიც სინამდვილეში ვანო მერაბიშვილის „ზონდერები“ არიან და მესაკნეთაგან კატეგორიულად მოითხოვეს გზის გახსნა. ფაქტია,

რომ ხელისუფლება ბაიდენის ჩამოსვლამდე ყოველნაირად ცდილობს თბილისის ცენტრალური ქუჩების ოპოზიციონერთაგან გაწმენდას.

საერთოდ, რევოლუციისა და ხელისუფლების შეცვლას ორი მიმართულება აქვს.

ერთია ჭეშმარიტი რევოლუცია, როცა ხალხი იერიშით იღებს მთავრობის სასახლეს, ხოლო მეორეა ხავერდოვანი რევოლუცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არსებულ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებით, გარიგებით, ფარული შეთანხმებითა და საქმის ჩაწყობით ხდება.

ამასთანავე, ემატება საერთაშორისო ინსტიტუტების შეთანხმება. რევოლუციის პირველი ფორმა, თავიდანვე გამორიცხა ჩვენმა ოპოზიციამ... დარჩა მეორე, ამ მეორე – ხავერდოვანი რევოლუციის ჩასატარებლად, ხელისუფლებასთან მოლაპარაკება გამოირიცხა, რადგანაც ხელისუფლება გადადგომის შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ თანხმდება და ასევე, გამოირიცხა საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერა ჩვენი ოპოზიციისადმი. ამ შემთხვევაში, მე მგონი, ბოლომდე გაკოტრებას, ხალხის წინაშე საბოლოოდ დამარცხებულის იერით დგომას, სჯობს, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინოთ და აღიაროს მთელმა ოპოზიციამ, რომ მის მიერ დასახული მიზანი ვერ განხორციელდა იმ უნიათობის გამო, რაც მათ თავიანთი ყოველდღიური სხდომებით დასახეს და გააშანშალეს ხალხის წინაშე. მე ვენაცვალე იმ ბიჭებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ საკნებში, მაგრამ მამაჩემსა აქვს ცხონება, ნუ აწვალებენ ამ ბიჭებს! საკნების რევოლუციის რეანიმაცია აღარ მოხერხდება.

უფრო სქელი შუბლის ძარღვი აღმოაჩნდა ხელისუფლებას, ვიდრე ამას ჩვენი ინტელიგენტი ოპოზიციის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა. გითხრათ სიმართლე, ახლა მეც იმ აზრის ვარ, რომ რუსთაველის პროსპექტი, უშუალოდ სამოძრაო ნაწილი, ოპოზიციამ უნდა გაათავისუფლოს, მაგრამ საკნები დატოვოს პარლამენტის წინ, პარლამენტის ირგვლივ, დარჩეს საკნები სახელმწიფო კანცელარიასთან, ავლაბრის რეზიდენციასთან... შეიძლება უფრო შემცირებული რაოდენობით, მაგრამ უფრო რაფინირებული ფორმით შეიძლება პროტესტის გამოხატვა.

ეს იქნება როგორც საზღვარგარეთისთვის, ასევე საქართველოს მოსახლეობისთვის იმის ნიშანი, რომ ოპოზიცია არ მომკვდარა.

და იგი ახალ-ახალი, უფრო ქმედითი ფორმების ძიებაშია.

ოპოზიცია არ უნდა შეეგუოს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას.

არ უნდა დაამთავროს წინააღმდეგობა ოპოზიციამ, არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, მაგრამ უფრო ქმედითი ფორმები უნდა მოიძებნოს არსებული ხელისუფლების შესაცვლელად. ამისთვის ჩვენი ოპოზიციის ძვირფასმა ლიდერებმა ჩაიხედონ მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში, კარგად გააანალიზონ, როგორ, რანაირად ხდებოდა ხელისუფლების შეცვლა სხვადასხვა ქვეყნებში... სურვილი მაქვს, რომ ჩვენი ოპოზიცია უფრო დახვეწილი და უფრო დაფილტრული და არა ასეთი ჭრელი და ქაოსური, წარდგეს ქართველი ხალხის წინაშე!

ქართველ ხალხს სამი პრობლემის მოგვარება სჭირდება: სამუშაო ადგილების შექმნა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ეროვნული ფენომენის გაძლიერება.

ვინც ვეზუვის ამოფრქვევისგან ქალაქ პომპეის მსგავსად გაყინულ სიცოცხლეს ააღორძინებს, ის იქნება ქვეყნის გადამრჩენელი, მაგრამ აი, ახლა ვნახოთ... საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 80 პროცენტი დაუსაქმებელია. 300 და 400 ათასი კაცი რომ გამოვიდა ქუჩაში, ისიც კი ძალიან ცოტაა პროტესტის გრძნობის მქონე იმ რეალურ მასასთან შედარებით, რომელიც სინამდვილეში ქვეყანაში არსებობს.

მეც ის ქართველი მწერალი ვარ, რომელიც არ შეიძლება ბოჩოლას კუნტრუშის განწყობილებაზე დავდგე, ან ბრმად დავუკრა ვინმეს ტაში!

აბა, შეხედე, ან ხელისუფლება, ან ოპოზიცია თუ ლაპარაკობს სამუშაო ადგილებზე და ვინმე თუ ლაპარაკობს რეალურად ამ თვალსაზრისით რამეს? როცა 50 კაციდან ხუთს მის-

ცემ 5-5-ათას-ლარიან ხელფასს და დანარჩენ 45 კაცს წიხლს ჰკრავ და სახლში გაუშვებ, ეს არის სამუშაო ადგილების შექმნა და ხალხის დასაქმება? ნუკი ამპარტავნობ და ნუკი ყელყელაობ და გენიოსს ნუკი თამაშობ, ორივე მხარის გასაგონად ვლაპარაკობ ამას, არამედ ადექი და ის 5 ათასი ლარი, მამაჩემს აქვს ცხონება, 25 კაცს მაინც გაუნაწილე. დაუტოვე თითოს 200-200 ლარი და რაღაცნაირად, შიმშილისგან გადაარჩინე ხალხი. ახლა მეორე: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ვილაპარაკოთ!.. თუ გინახავს შენ ან სადმე წაგიკიხავს, ჩემო მკითხველო, ერთი გონივრული მოსაზრება, ან ხელისუფლების მიერ, ან ოპოზიციის მიერ შეთავაზებული ხალხისთვის, თუ როგორ უნდა აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა? ერთი მხრივ, გაუთავებლად ისმის გულისარევამდე ამაზრზენი ტყუილები იმის შესახებ, რომ „ჩემი პრეზიდენტობის დროს აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა!“ ხოლო მეორე მხრივ, ეს ყოვლისმცოდნე ოპოზიცია თუ ამბობს ამ მიმართულებით რამეს?.. არაფერს, არაფერს ესენი არ აკეთებენ!..

საქართველო – დაჩეხილ-დანაწევრებული, ძუძუებმოკვეთილი საქართველო, კიდურებწართმეული საქართველო, ხერხემალში გადამტვრეული საქართველო, რომელიც შაგრენის ტყავივით ყოველდღიურად პატარავდება, თითქოს არავის ეცოდება და ვერ დამისახელებთ ვერც ხელისუფლების და ვერც ოპოზიციის წარმომადგენელს, რომელსაც გეგმა ექნება ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად!..

სასაცილოზე სასაცილოა, ყოველგვარი დროის გაყვანისთვის მოგონილი უცებ გაქცევები და შეხვედრები ჰილარი კლინტონთან, ან ჰილარი კლინტონთან ჩახუტების გადადება იმიტომ, რომ თურმე, ჰილარი კლინტონს მარცხენა ხელი მოჰყოლია უხერხულად, ცოტა ნაღრძობი აქვს და თურმე ისე ვერ მოგხვევს ხელს, როგორც საჭიროა. რა არის ეს, რას ჰგავს ეს? ჯერ თავს ვიკლავდით: აუ, რა უნდათ ჩვენ გვერდით ჟენევაში აფხაზებსა და ოსებსო, მაგრამ ახლა, როცა



რუსეთმა საქართველოდან გაეროცა და ეუთოც გააბუნძულა, მშვენივრად მიუსხდნენ ისინი მოლაპარაკების მაგიდას და არც ერთ ამ საერთაშორისო მოლაპარაკებაზე უკვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, აღარავინ ლაპარაკობს!

ჩვენი ოპოზიცია პატარ-პატარა რომ შეაშინეს და ცოტ-ცოტა თბილწყლიანი კლიზმები რომ გაუკეთეს სხვადასხვა შეხვედრების გამო, თუ გერმანიაში, თუ კიევში, ოპოზიციის სარდლებმა ცოტა ფერი დაკარგეს და ახლა სააკაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას კი არ მოითხოვენ, გაიძახიან, როგორმე არჩევნები იქნეს დანიშნულიო!

ეს ხომ ერთხელ უკვე იყო, ბატონებო, არჩევნები ერთხელ ხომ უკე დაინიშნა და როგორ დამთავრდა, ეს ძალიან კარგად მოგვეხსენება!..

საერთოდ, რაც ქვეყანას სჭირს, ნერვიულობა და დენზე ჩართულის მდგომარეობა სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი მწერალთა თავყრილობაზეც აისახებოდა... 450-კაციან მწერალთა კავშირში 5 თუ 6 კაცი ყოველთვის იქნება ისეთი, რომელიც თავის განსხვავებული აზრის გამოხატვას ხან რა ფორმით და ხან რა ფორმით შეეცდება და ხელისუფლების მხარდამჭერი იქნება. ზოგიერთს, რომელთა გვარსახელებსაც, რა თქმა უნდა, არ დაგისახელებთ, იმ ყრილობაზე უნდოდა ჩვენი შეკრების სხვა რელსებზე გადაყვანა, რაც არ მოხერხდა. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ მის უწმინდესობას, რომელიც ამ მძიმე დღეებში, როცა „მწერალთა კავშირი“ თავის სასახლიდან ამ უსინდისო ხელისუფლების მიერ გამოდევნილია, ჩვენ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში შეკრების საშუალებას გვაძლევს.

ახლახან გურამ შარაძის ვაჟი გარდაიცვალა. გურამ შარაძეს პირველი კურსიდან ვიცნობდი, ერთად ვსწავლობდით და მეგობრები ვიყავით. მე და გურამმა მთელი ცხოვრება ერთად გავიარეთ, ერთად დავაარსეთ მოძრაობა „საქართველო – უპირველეს ყოვლისა“, მერე მას „ენა, მამული, სარწმუნოება“ დავარქვით. ერთად, მხარდამხარ ვიბრ-

ძოდით, ჩვენი თვალსაზრისი და აზრი, არასდროს არ შორდებოდა ერთმანეთს, მაგრამ საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა, ყველას გამოგვაცალა ხელიდან საქართველოსთვის თავდადებული გურამ შარაძე. შეიძლება ითქვას, რომ იგი ბრძოლის დროს საქართველოს საგუშაგოზე დაეცა, მას ერთი პირადი უბედურება უკვე სჭირდა თავისი ლაშას დაკარგვის გამო და ახლა როცა მითხრეს, გიორგი შარაძე გარდაიცვალაო, პირველი, რაც გავიფიქრე, ერთი რამ გახლდათ, – კიდევ კარგი, გურამი ცოცხალი აღარ არის და მეორე შვილის გარდაცვალებას ვერ მოესწრო-მეთქი!.. იმედად ის მრჩება, რომ გურამის უბრწყინვალესი ქალიშვილი – რუსუდანი, მართლა მებრძოლი და ეროვნული ქალბატონი, ღირსეულად გააგრძელებს მამის დაწყებულ საქმეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბრძოლა გაგრძელდება. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ის გახლავთ, რომ ჩვენი ძვირფასი ოპოზიციონერები თავიანთ გამოსვლებში ხანდახან სრულიად სწორად და სამართლიანად გაიხსენებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ რეჟიმს შეეწირნენ, რომლებიც ქუჩაში დახვრიტეს და მე ქედს ვიდრე იმ ახალგაზრდების სულების წინაშე, მაგრამ ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე გურამ შარაძეს – საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთერთ გამორჩეულ ლიდერს.

ბაიდენის ჩამოსვლაზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ.

საქართველო რუსეთის წინაშე პირისპირ დარჩა და დასავლეთმა პილატესავით დაიბანა ხელები ჩვენზე. ოსტაპ ბენდერისეული ფრაზა – ზაგრანიცა ვამ პომოჟეტ – უკვე ჩვენ თვალწინ დაიმსხვრა...

როცა ასე გიცხადებენ, წინასწარ ომის ქრონიკას და როცა რიცხვებს ზუსტად ასახელებენ, იქ ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი საომარი ოპერაციის დაწყება, მაგრამ ომის დაწყებას რაც შეეხება, ომი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში ახლა კი არ დაწყებულა, ომი დაიწყო 1801 წელს, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო, ჩვენი სახელმწიფოებრიობა გააუქმა. 1801 წლიდან მოყოლებული, საქართველო სულ 5 წლის განმავლობაში ეღირსა ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, აქედან სამი წელი ჟორდანიას ხელისუფლებაზე მოდის, ხოლო ორი წელი – ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაზე. დანარჩენი წლები და დრო, 1801 წლიდან მოყოლებული, საქართველო არასოდეს თავისუფალი არ ყოფილა და არც დღეს არ არის. ახლა რაზე მეცინება, იცით?

ნუთუ პუტინი და მედვედევი ისეთი სულელები ჰგონია ვინმეს, რომ კახა თარგამაძისა და ლევან მამალაძის იმედზე დააგდეს საქართველოს მთლიანი ოკუპაციის პრობლემა?

არ დაიჯეროთ, არც ის დაიჯეროთ, იქ მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ოლიგარქებს პუტინი და მედვედევი აძლევდნენ დავალებებს, – აი, ახლა თქვენ ადექით, შეუძეხით რუსეთს საქართველოშიო. რუსეთის საერთაშორისო არენაზე ასეთი რაფინირებული მოთამაშე არც არასდროს ყოფილა და არც ახლა არის. თქვენ როგორ ფიქრობთ, ახლა ძალიან მორცხვია რუსეთი და თარგამაძის, მამალაძისა და კიდევ 2-3 კაცის იმედზეა და იმათ ზურგს ამოეფარება? ჯერ ერთი, ვინ გაჰყვება საქართველოში უკვე 10 წლის წინათ ჩამღერებულ პოლიტიკოსებს და მერე, რუსეთი ხომ ის სახელმწიფოა, რომელიც არავითარ საერთაშორისო კანონმდებლობას არ ემორჩილება? მილიარდობით ფული რომ დაუწყო ჩვენს ოპოზიციას წინ, ესენი ამ ხელისუფლების გამშვებები არ არიან!

იმიტომ, მკითხველო, რომ გაჩეჩილაძეს, გამყრელიძეს და კომპანიას ერთი რამ ვერ გაურისკავთ... გზა სააკაშვილის გადაგდებისა არის მხოლოდ და მხოლოდ ის გზა, რა გზითაც სააკაშვილმა გადააგდო შევარდნაძე! იცით, რაშია საქმე? როცა ორი კვირითაც არ გინდა ციხეში ჩაჯდომა და როცა ტრაკზე პატარა მოწკაპუნება არ გინდა და ისე გინდა, იყო რევოლუციის რაინდი და რობესპიერი, არაფრით არ გამოვა საქმე.

*ივლისი, 2009*

# დაბნეული ოპოზიცია

არც ერთ ელჩს, ვინც ტელევიზიით გამოდის, არ გამოუხატავს ერთი თანაგრძნობაც კი, იმ გაუბედურებული ადამიანების მიმართ, რომლებიც ორთვე-ნახევარია ქუჩაში დგანან... ეს თხაწვერა და არცთუ მაღალი ინტელექტის მქონე ელჩები, გაფუჭებული გრამაფონივით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებენ, – ჩვენ ვფიქრობთ, საქართველოს ოპოზიციას ეყოფა ძალა და აი, ასე მარგინალურ და ქუჩურ აქციებს აღარ გააგრძელებსო. შე კაი კაცო, შენ რომ ელჩი ხარ და შენი სახელმწიფოს ნების გამომხატველი ხარ, ერთხელ მაინც რატომ არ იტყვი, ჩვენ ვურჩევთ სააკაშვილს, რომ ასე ქაჯივით ნუ მოიქცევა, ხალხს ნუ დაასისხლიანებს, ხალხს ნუ სცემსო. მაინც რა გამეტებით სცემენ ამ ხალხს, კაცო... რა დედამ შობა, ან რა ოჯახში გაიზარდა კაცი, რომელიც თავის თვისტომს ასე დაუნდობლად უსისხლიანებს ცხვირ-პირს?! საქართველომ თავიდან უნდა ამოიღოს ყალბი ფრაზები – „დღეს ეს პოლიცია ის პოლიცია აღარ არის, ჩვენ გვყავს ჩვენი პოლიცია და ჯარი, ესენი თავის ხალხზე ხელს არ აღმართავენ! საქართველო ახლა ჩავარდნილია ისტერიაში... საქართველოს ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით სტუდენტობამ, რომელიც ოპოზიციის ყველაზე მუხლმარდი და ყველაზე სუფთა ნაწილია, იმედი დაკარგეს. ამ ასსახოვანი ოპოზიციის ლიდერებმა დააბნიეს ეს პატარა ბიჭები და განწირულები არიან ისინი. მე ბავშვები მეცოდებიან... მაგალითად, ჩემი საქმე რომ ყოფილიყო, არ ვურჩევ არავის, ქართული პროტესტის ფორმად ლაყე კვერცხების სროლა აირჩიოს. არც შეფურთხება, არც წყლის შესხმა, არ არის ეს ქართული ცხოვრების წესი, ამ დასავლური პროტესტის ფორმებს მაშინ აქვს გასავალი, როცა მეორე მხარეს ნორმალური ადამიანები დგანან, მაგრამ აქ საქმე გვაქვს სააკაშვილთან და მის ხროვასთან. ესენი სპეციალურად გამოიწვევენ ხოლმე ამ ბავშვებს, მერე მივარდებიან ერთბაშად, ერთს ათი დაეტაკება და ის საცოდავი, სანამ სისხლს არ ამოახველებს, მანამდე სცემენ...

მაინცდამაინც რაღა კვერცხების სროლა გადავიღოთ სააკაშვილისგან? ერთად ვიჯექით პარლამენტში 4 წელი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეგ ადრე ასე არ იყო მოწყობილი, მაგრამ ახლა უკვე ვხედავ, რომ მისი ავადმყოფობა თანდათანობით და სულ უფრო და უფრო პროგრესირდება. ხომ ნახეთ, კახელ მევენახესთან გუშინ როგორ ლაპარაკობდა, აბსოლუტურად უადგილოდ იღიმებოდა, მეტყველების აპარატი უკვე მოშლილი აქვს, მისი ლაპარაკიც არ ჰგავდა ნორმალური ადამიანის ლაპარაკს!.. ნუთუ, კაცო, საქართველო ასე უნდა გაწიროს ამერიკამ, ევროკავშირმა, მთელმა დასავლეთმა? კაცმა მოიგდო ფეხქვეშ მთელი საქართველო და ახლა რაკი მე თქვენ არ შემიყვარეთო, რაკი თქვენ ჩემი კეთილი და დიდი საქმეები ვერ დაინახეთო, რაკი მიხვდით იმას, რომ მე საქართველოში ეროვნულობის მომსპობი ვარო... რაკი მიხვდით ამასო, ახლა დედას გიტირებთო... სააკაშვილი უკვე დამთავრდა, აბა, ერთი გაბედოს და დაგვარბიოს, აბა, ერთი ხელი მოგვკიდოს! – ყვიროდნენ ეს ჩვენ ვაჟკაც-ვაჟკაცი ოპოზიციონერები. დგას ახლა სააკაშვილი ხელკეტით და ამათ ეუბნება: აბა, რომელი ხართ, გამოდით, გამოდით მაქედან... აბაშიძე ხარ, თუ გამყრელიძე ხარ? ზოგმა სოფელში გაასწრო... სოფელში გასწრება, ჩემო ძვირფასო, ვიცით, რასაც ნიშნავს. თუ მაგალითად, სოფელში საღამოს მიადგები იმერელ გლეხს ჭიშკართან... – მობრძანდით ბატონო! – გამოიქცევა ჭიშკრისკენ გლეხი. – ჩვენ ოპოზიციის ლიდერები ვართ! – ეტყვიან ესენი. – მობრძანდით, ბატონო, შემობრძანდით, აბა, ქალო, გავარდი და იმ იღბლად გადარჩენილი და სიმწრით გაზრდილი სამი ქათმიდან დაკალი ერთი, ჩვენი ძვირფასი ოპოზიციონერები მოვიდნენ. შუა ღვინოს ამოგიღებთ, მჭადებს დაგიცხობთ, რაში ვარ მე გამოსადეგი, რა გავაკეთო? – რაში და, სააკაშვილის გადმოსაგდებად უნდა წამოგვყვე თბილისში! დაფიქრდება კაცი, შუბლზე ოფლს მოიწმენდს ყაბალახით და იტყვის: კი, ბატონო, მარა, მერე

შენ მომივლი ამ ვენახს, ამ ფრინველს, ამ ძროხას შენ მომიწველი, ამ ყანას შენ გამიმარგლავ? რას მიქვიან ოპოზიციის სოფელ-სოფელ სიარული? სოფელში კაცი ოჯახს მიატოვებს და შენ აქეთ წამოგყვება? ანდა ოპოზიციის სახე როგორ კარგად გამოჩნდა ჩვენი სალომე ზურაბიშვილის აცუნცრუკებაში: გინდა თუ არა, ახლა მინისტრის მოადგილე უნდა გავხდეო. რანაირად შეიძლება ქალო, ყოველ საღამოს შენ დგახარ და იძახი, – ქაჯები, მკვლელები, გათახსირებულები!.. – და მერე მიდიხარ და კოლეგიას რომ ატარებს მერაბიშვილი, იქ ერთ-ერთ მოადგილედ გინდა დაჯდომა? მუშნი ზარანდია, სალომე ზურაბიშვილთან შედარებით, რამდენადმე უფრო სუფთა სულის პატრონი იყო, მაგრამ ის მუნდირი რომ ჩაიცვა, მერე თავის საკუთარ ბიძაშვილს გაუხდა მტრად.

სააკაშვილს სიტყვა უკან რომ არ წაეღო და სალომე ზურაბიშვილი იქ დაენიშნა, ისედაც განახევრებულია იმიჯი ჩვენი ოპოზიციის და მაშინ მთლად ნოლზე დავიდოდა ყველაფერი. ხალხი იტყოდა, – ესენი თურმე ამის მომხრეები ყოფილანო და მთლად დაგვეღუპებოდა ყველაფერი. სააკაშვილმა ეს წამოაყრანტალა და თქვა, მაგრამ იქ, მის გარემოცვაში, ეტყობა, მთლად უჭკუოები არ ყოფილან, ეყოთ იმის ჭკუა, რომ უარი ათქმევინეს სააკაშვილს.

ბატონო რეზო, ამბობენ, რომ დარბევები კიდევ გაგრძელდება. გამოსავალი რა არის ამ სიტუაციაში? თქვენი აზრით, სააკაშვილმა ეს პროტესტი ჩაახშო და გადააგორა? მეკითხებიან.

გამოსავალი არის ერთადერთი 200 ან 300 ათასი კაცი უნდა გამოვიდეს და კონკრეტული მიმართულებით წავიდეს! გამორიცხულია, რომ სააკაშვილმა ქართველი ერის პროტესტი გატეხოს. თუ მას თავისი ხალხი და ქვეყანა უყვარს, როცა ხედავს, რომ რუსეთი სწორედ მის გამო არ ელაპარაკება საქართველოს, კეთილი უნდა ინებოს და წავიდეს. თუმცა, ამას პატრიოტიზმი სჭირდება, ამას ჭკუა სჭირდება, რაც ამ კაცსა და მის გარემოცვას აშკარად არ აქვს...

*ივნისი, 2009*



# ესეც არ დავკარგოთ

რისთვის იყო სინამდვილეში გამიზნული „იმედის“ სიუჟეტი, რა მოიგო ხელისუფლებამ და რატომ ვერ აუფრინეს ბუზი არველაძეს, როგორ „ააკუნტრუშა“ ამერიკამ სააკაშვილი რუსეთის წინააღმდეგ და რატომ ვერ აგვარებს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობებს?

„იმედის“ „მოდელირება“ საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიოში „სიცრუის ათეულში“ პირველ ადგილზე მოხვედრად დაუჯდა...

და ეს გვიხარია? „იმედის“ უსირცხვილო მესვეურებისა და უნიჭო ჟურნალისტებისთვის, თუ ხელისუფლების „უხილავი ხელი“ არ ხელმძღვანელობდა, მაშინ პანღური უნდა ამოეკრათ. როცა თვითონ უნდოდათ, ხომ დევნიდნენ ჟურნალისტებს ქუჩაში? ახლა უბატონოდ ხმა არ გასცეს და ბოდიშს დააჯერეს საქართველო.

ბოდიშის ქვეტექსტი სხვა იყო. მე ბუზს ვერავინ ამიფრენს და თქვენ, საცოდავო ქართველებო, ერთ ადგილზე დაეტიეთ, თორემ უარესს გიზამთო. ხელისუფლებას რომ ეფიქრა, რომ ამ გადაცემამ ცუდი საქმე გაუკეთა, მარტო ბოდიშის მოხდას არ დასჯერდებოდნენ, „იმედმა“ ბოდიში თავის მამიდას მოუხადოს. ამ ნაბიჯით ხელისუფლებამ საზოგადოების კიდევ უფრო დიდი ნაწილი თავის საწინააღმდეგოდ განაწყო...

მათ მიიღეს ის, რაც უნდოდათ... ამ გადაცემით მოახერხეს საარჩევნო მარათონის აჩქარებული ტემპიდან საზოგადოება სხვა აზრზე გადაეყვანათ. ევროკავშირის, გაეროს და ეუთოს ხსენებაზე მწარედ მეღიმება. ჩვენი ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ჩვენი პატრონი დედამიწის ზურგზე არავინაა. ევროპა, ამერიკა და რუსეთი სამივე საქართველოს მტერია. ამერიკა ჩვენ წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალებს არ გზავნის, მაგრამ რუსეთი რომ თავს დაგესხა, ამერიკის ბრალი არ იყო? ქართული ანდაზისა არ იყოს, „თხა აკუნტრუშეს, აკუნტრუშეს და მგელს შეაჭამესო“.

წლების განმავლობაში უამრავი ხელშეკრულება გვაქვს დადებული ამერიკასთან შეიარაღებული ძალების დახმარების თაობაზე, მათ შორის, ახლახან მიღებული „ქართულ-ამერიკული პაქტი“ და ეს ყველაფერი ბლეფი აღმოჩნდა. თუ ამერიკა ჩვენს პარტნიორად არ ვარგოდა, რუსეთს სხვანაირად უნდა დავლაპარაკებოდით და მუშტი არ უნდა მოგვეღერებინა თავზეხელაღებული პუტინისთვის. ევროპის ორმაგი სტანდარტი კი ის არის, რომ გაუთავებლად იღებს სულელურ რეზოლუციებს – თუ პუტინმა ვალდებულება არ შეასრულა და ჯარები არ გაიყვანა საქართველოდან, მაშინ ხმის უფლებას ჩამოვართმევთო. რუსეთი კი ამაზე სიცილით კვდება, ხმის ჩამორთმევის უფლებით, რუსეთი ხომ ყოველგვარ ვალდებულებას იხსნის ევროპის წინაშე. „გენიოსი“ ევროპელი დიპლომატები მიხვდნენ, რომ რუსეთის კარის გაჯახუნების შემდეგ, მასზე ბერკეტების ზემოქმედებას დაკარგავდნენ და გაჩერდნენ. დღეს კი რა ხდება. რუსეთს გამალებული უმეგობრდება ევროპაც და ამერიკაც!

ნოღაიდელი და ბურჯანაძეც მიშას ჯიბრზე უმეგობრდებიან რუსეთს?

საქართველოს გადარჩენის ინტერესი მათ არა აქვთ.

ახლა გახდა სააკაშვილი სულელი, უვიცი და არაადეკვატური? ნოღაიდელი და ბურჯანაძე სააკაშვილზე ნაკლებად დამნაშავენი არ არიან საქართველოს წინაშე. სააკაშვილი რომ მოშალოს ნერვებზე, პუტინი მათ გულში იხუტებს. არადა, რა სტატუსი გააჩნიათ მათ? სააკაშვილის არ იყოს, რომელი ბისმარკები ბურჯანაძე და ნოღაიდელი მყვანან, დღეს რომ გადაწყვიტეს ყველას მამიდობა.

როცა ვეკითხებით – კრემლში შეხვედრისას ჰკითხეთ პუტინს, რომ შეცდომა იყო საქართველოს წინააღმდეგ ომის გაჩაღება? რომ საქართველოს უნდა დაუბრუნოს დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი? – თუთიყუშებივით იმეორებენ: რუსეთი თავის გადაფურთხებულს არ ალოკავს და ჯუჯა სახელმწიფოების აღიარებას უკან არ წაიღებსო. მაშ, რაღაზეა ლაპარაკი? რისთვის დადიან კრემლში და რას ელაპარაკებიან პუტინს?



თურმე იმისთვის, რომ რუსეთმა ისიც არ წაგვართვას, რაც დაგვრჩენია. ისე რომ ორმა „პოლიტიკურმა ბაჭიამ“ – ნინომ და ზურაბმა სააკაშვილი უნდა ჩამოაგდოს. აი, რისთვის დადიან ისინი რუსეთში და არა იმისთვის, რომ დაარეგულირონ ურთიერთობები. ვინც დაუჩოქა დამპყრობლებს და მათ ჯარს შემოუძღვა საქართველოში, საქართველოს ისტორიამ შეაჩვენა. თვით შვილის შემწირავ გიორგი სააკაძესაც აუწია ისტორიამ ყური და ამათ დაინდობს?

*25.03.2010*

# ასარჩევი


პოლიტიკური თანაარსებობის ..... 5
რთული პროცესი ..... 5
ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს ..... 37
სანამ პეტრე მოვიდოდა... ..... 42
რუსეთ-საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის ურთიერთობა
თანამედროვე ეტაპზე..... 57
რუსეთი ვულკანზე ზის ..... 80
თუ კანონმა ხელი არ გამოიღო ..... 93
ბეწვის ხიდზე გავდივართ..... 97
მსოფლიო პოლიტიკა და საქართველო ..... 109
ჩვენს გულში ჩავიხედოთ..... 117
საქართველოს რევოლუციები არ უკვირს..... 124
ზოგჯერ რჩევაც ისულგულე ..... 135
პარლამენტში შევარდნა ჯერ კიდევ არაა რევოლუცია ..... 141
ასწიეთ თავები! ..... 144
ნუ გავაჯეჯილებთ ანტიეროვნულობას ..... 147
ვერავის ნავში ვერ ჩავჯდები ..... 150
შეფასება ჯერ ნაადრევია..... 153
ფრთხილად ქართველებო! ..... 160
ცხრა მთავრობის გამყიდველი..... 165
ღვთის რისხვის გეშინოდეთ!..... 171
სად არიან „ქველმოქმედი“ მილიარდერები? ..... 175
გონს მოვეგოთ! ..... 179
ოპოზიცია არაკორექტულად იქცევა ..... 189
დავწვი, შენი სამართალი..... 191
ვიღუპებით ..... 203
ამხანაგო ხელისუფლებავ ..... 207
აუცილებელია თუ არა... ..... 212
„გაიმარჯვეს“... ..... 214
სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრება ..... 216
„ვირთხები“ უკვე გარბიან ..... 222
რას გიპირებენ, საქართველო? ..... 227
„უკუდო მელიებს ჰგვანან“ ..... 231
მამულიშვილნო..... 236
უნივერსიტეტი დაანგრიეს..... 238
გაიხსენე 7 ნოემბერი..... 246
განზე არ გაცუროთ ..... 252
სააკაშვილის ომი ახლა იწყება..... 260
საქართველოს გამთლიანების დრო დაუდგა..... 267
შეშფოთებული ვარ..... 276
ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ ..... 278
მსოფლიოში ერთადერთი უეროვნებო ქვეყანა ..... 282
ოპოზიცია პოლიტიკურ კულისებში..... 285
მსოფლიოში გონიერი პოლიტიკის დეფიციტია..... 291
ვაითუ პოლიგონად ვიქცეთ..... 295
ნემსის ყუნწში... ..... 300
ისევ დაბნეულობა ..... 301
დღეს რატომ არის უკანონო..... 302
წინა დღის გაყიდულები ვყოფილვართ ..... 305
დამარცხება ვერ გავაცნობიერეთ..... 310
ვინ დაიცავს აჭარის ინტერესებს?..... 315
ინტელიგენცია სამარცხვინო სიტუაციაშია ..... 320
ნუ დავცინით ხალხს..... 325
ჩვენი მშველელი არავინაა ..... 328
ჩვენი დროც მოვა..... 333
პოლიტიკური ახლომხედველობა დაგვღუპავს ..... 338
ბატონო პრეზიდენტო! ..... 344
არის გამოსავალი ..... 347
მონანიება სირცხვილი როდია ..... 352
უნივერსიტეტი იძირება..... 354
განცხადება ..... 357
ვერ ამიხსნია... ..... 358
რა და რატომ ამოიღეს... ..... 367
ერთდროულად ყეფაცა და კუდის ქიცინიც ..... 370
ორივე მხარის გასაგონად..... 375
არჩევნები-აქილევსის ქუსლი..... 383
პოლიტიკური ძიძგილაობა..... 394
ეს როგორ შეიძლებოდა ..... 398
...და მაინც მიტევება და შერიგება..... 403
მინდა მჯეროდეს..... 413
ვუყურებ, ვუსმენ და ვრწმუნდები... ..... 415
ქართველმა ერმა არჩევანი უკვე გააკეთა ..... 419
ოპოზიციის კუს ნაბიჯები ..... 424
ისედაც ვიცით... ..... 431
თუ ძალას გამოიყენებს.. ..... 434
ვერ ვენდობი ..... 436
სტრატეგიის დეფიციტი..... 440
ისევ გაანბილეს ხალხი ..... 444
ისევ ცრუ იმედი... ..... 450
ოპოზიციას მხოლოდ რევანში სურს..... 452
ჩვენ უპატრონო ქვეყანა ვართ ..... 455
აქ ყველაფერი იყიდება..... 457
გადარჩენის ორი გზა..... 461
ყველამ უნდა გაიგოს..... 473
ქართველი ერის გამოთაყვანების ხუთი ნიშანი ..... 479
ოპოზიციამ საქართველოს ეროვნული მოძრაობა გაყიდა..... 487
რა უნდა ოპოზიციას? ..... 492
მწარე სიმართლე... ..... 498
თხაო, შენ რა გიხარია... ..... 504
ოპოზიციას ყური ავუწიოთ... ..... 510
ურისკოდ არ გამოვა..... 513
დაბნეული ოპოზიცია ..... 520
ესეც არ დავკარგოთ ..... 523

# РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ

**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**

в 25 томах

ТОМ XVII

Издательство „Сакартвелос Мацне“
Тбилиси 2013